და კუალად შემდგომად ამისა სხუათა თქუეს, რომელი იქმნა ჟამთა ისუ ნავესთა და მსაჯულთა: საქმენი და ბრძოლანი ჰურიათა და წარმართანი. და მათსა შემდგომად სხუათა აღწერნეს საქმენი მეფეთანი და წინაღწარმეტყუელებანი კაცთა წმიდათანი და წიგნიცა იგი ფსალმუნთა, და სიბრძნე და იგავთა. და კუალად განსაცდელნი, რომელნი შეემთხვნეს ჰურიათა სპარსთა და მიდიელთა და ბერძენთა. და რომელნი სხუანი თბრობანი იპოებიან ძველთა წიგნთა შინა, რომელნი აღწერნეს ყოველთა ჟამთა რაათა იცნობოს თითოეულად ჟამი შემდგომითი შემდგომად.

და კუალად ამისა შემდგომად გამობრწყინდა დიდებული მოსლგავ იესუ ქრისტესი ვითარცა ზაფხული, რომელმან იგი განდგენა სიბნელს შამთისა და დაჰქსნა სიბნელი უკეთურთა, და განაბრწყინენა გულნი მოწამეთანი, და აღიწერა მოწაფეთაგან და მანარებელთა. და შემდგომად ამისა გამოჩნდეს მოწამენი ჭეშმარიტებისანი და მართალნი და ღირსნი მრავალნი, და აღიწერა სათნოება და ცხორება და მოღუაწება მათი მოსწრაფეთაგან, რომელნი იყვნეს ჟამთა მათთა, სადიდებულად ღმრთისა და რაათა მიემსგავსნენ გზათა მათთა.

და ესე ყოველი, რომელი ვაქსენეთ, არაა თუ ცუდად რაამე, არამედ ამისთვის რამეთუ მეცა მეფულების აღწერად საქმენი ყოველად წმიდისა და მოძღურისა ყოვლისა სოფლისა და მთიებისა მის განთიადისა, ნეტარისა იოვანესნი, რომელმან იგი განაგო და შეამკო საყდარი კოსტანტინეპოლისა ჟამთა არკადის და ონორის მეფეთასა, სარგებელად მსმენელთა. ხოლო მე არარაა ვიხილე ამათგანი, არამედ შეეკრიბე და შევეერთე მათ მიერ, რომელთა აღწერა. და უმრავლესი ამით თქუილულთაგანი პალადიოს ებისკოპოსისაგან ვისწავე, წიგნთა მისთაგან, რომელი მიეწერა მას თეოდორე დიაკონისადა, რომელი იყო ჰრომისა ეკლესიისა, რამეთუ ებისკოპოზი იგი დახვდომილ იყო მათ ჟამთა კოსტანტინეპოლეს და მეცნიერად გულისკვა ეყო ყოველი, რომელი კმნულ იყო მათ ჟამთა, და უკუანასკნელ დაუტევა ქალაქი თვისი და ებისკოპოზობადაცა, რამეთუ არა ინება შეწყნარება მათი, რომელნი აღდგეს ნეტარსა იოვანეს ზედა და უჯდროდ განკუთიეს იგი და შეაჩუენეს, არამედ უფროჲსდა თაენი მათნი შეაჩუენნეს. და ზოგნი ვისწავენ მდღელთაგან წმიდათა და ერისა კაცთაგან ღირსთა, და ფიცით მარწმუნეს მე და თქუეს, ვითარმედ ყოველი ესე, რომელი გითხართ შენ, ვაოეთ აღწერილი, რამეთუ კაცი ესე იყო საყუარელ და საწადელ ყოველთაგან, ვიდრემდის არა ხოლო კაცთა ჰნებავნ სმენად ცხორება მისი, არამედ და-ცა-იწერიან წიგნსა. და ზოგი ვისწავე სუკრატოს მიერ და სხუათა მრავალთაგან. ხოლო მე რაკამს წარვიკითხე ესე ყოველი, ჯერ მიჩნდა, რათამცა შეეკრიბენ ესევითარნი სათნოებანი და შევეერთენ ურთიერთას ვითარცა ჯაკუნე ოქროსანი. და არა ვინებე დატევებდა მათი განბნეულად და განყოფილად, არამედ გაუწყე თქუენ ესე ყოველი ერთსა წიგნსა შინა. და არა თუ მე შე-რამე-ურთუ თა-

ვით ჩემით წიგნსა ამას. და დაღაცათუ მცირედ არს და შეურაცხ თხრობაჲ ესე სიწმიდესა და ღირსებასა მისსა თანა, ხოლო არს მას შინა ძალი და უწყებაჲ, რომელთა შეიწყნარონ იგი მადლობით განგებისათჳს ამის წმიდისა. და რომელი შური და მოსწრაფებაჲ აქუნდა სულიერებისათჳს და უბიწოდ ცხორებისა მისისათჳს, და ვითარ იგი ზრუნვიდა ცხორებისათჳს კაცთაჲსა მსგავსად წმიდისა პავლე მოციქულისა ყოველსა შინა, რამეთუ თარგმნიდა წიგნთა და განჰმარტებდა, რომელსა მრავალნი ვერ გულისკნება ჰყოფდეს. და იყო იგი მქადაგებელი სინანულისაჲ, ვითარცა იოვანე ნათლისმცემელი, და აქუნდა მას მოწყალებაჲ და სიმშველდე ვითარცა დავითს წინაჲსწარმეტყუელსა. ხოლო შური საღმრთოჲ მოეპოა მას ვითარცა ელიას, რომლისათჳსცა ღირს იქმნა ამთ ყოველთა თანა სიხარულსა მას წარუვალსა მიმთხუევად.

ხოლო ამიერიითგან ვიწყო და მიგითხრა თქუენ სიჩაოთგან ჰასაკისა მისისაჲთ, და სულიერად განგებაჲ მისი და ღირსად ცხორებაჲ, ვითარ იგი ვპოვე აღწერილი წიგნთა შინა მრავალთა, რომელთა იგი აღწერეს უწინარეს ჩემსა ესევითარიითა უწყებითა შეუნიერად ესრეთ».

მერმინდელი დროის ნუსხებჳს (A — № 188 და S — № 384), რომლებიც, როგორც ზემოთა აღვნიშნეთ, ძველ ნუსხათაგან სხვაობენ, შესავალი ასეთი აქვს:

«ყოველთაჲე საღმრთოდ ცხორებულთა ცხორებაჲ სარგებელ არს კეთილად მსახურთათჳს, არა ხოლო თუ წესად და სახედ, არამედ ნუგეშინის საცემელადცა და აღმძვრელად სათნოებისა მიმართ, რამეთუ შთაუგდებს საწერტელსა კეთილთა მოშურნეობისასა და აღბაძევად ღმრთის-მსახურებისა მათისა მჭურვალე ჰყოფს სულსა ყოველთასა. ხოლო ოქრობირისაჲ ნეტარისა მამისაჲ უფროჲს სხუათა მათ ყოველთასა საწადელ არს სასმენელად, საცხორებელ მისაბაძევლად და სარგებელ მისათხრობელად, რამეთუ ამას სანატრელსა არა ხოლო ენაჲ აქუნდა მარგებელი მსმენელთაჲ, არამედ ცხორებაჲცა უფროჲს სარგებელი მათი, რომელნი ჰბაძვიდენ საღმრთოსა მოქალაქობასა მისსა. უფროჲსაჲ საკმარ თუ არს თქუმაჲ ჰქმნარიტისაჲ, ვითარ იგი აქუნდა სიტყუა შეუმსგავსებელი, ვგრეთვე ესეცა აქუს ქმნად დაუტევნელი. გარნა მისი ყოველივე მისათხრობელცა და რომლისაგებრ მისაბაძველცა იყავნ, რამეთუ მხატვართაგანცა უკეთესნი იგი ძუელთა მგალითთანი არა ამისთჳს შეურაცხის საყოფელ იქმნიან, რამეთუ ვერ ადვილად მისამსგავსებელ იყვნიან. არამედ სასოებითა ძნიად სადმე მისამსგავსებლობისათა საჩინოდ წინა დაუდებდიან და ყოველთა მიმსგავსებელ და მოშურნი ყოფად მისსა აღადგენდიან. ხოლო ჩუენდა სწორებით იყავნ, არცა ყოველისაჲე წარმოთქუემად შემკადრებელობითა, არცა ყოველისაჲე უთქმელად დატევებითა, არამედ იგი ოდენ ითქუმოდენ, რომელი დიდად სარგებელ ყოს მსმენელთა და არა თქუმითა დააკირვოს. ხოლო სხუაჲ იგი სხუათა დაუტევენ. ესე ნანდვლვე ჰქმნარიტად კაცი ღმრთისაჲ და თანამოსახელესაჲე თჳსსა იოანეს სინანულისა ჰქადაგებასა საკუთრებით ესეცა ჰადაგი სინანულისა თანად ეწიო, ვნით და პირითურთ ყოველთურთ ოქროჲ და უფროჲსაჲ უპატიონსენი ოქროჲსაჲ წინაჲსწარმეტყუელსა. ხოლო შური საღმრთოჲ მოეპოა მას ვითარცა ელიასა, რომლისათჳსცა ღირს იქმნა მათ ყოველთა თანა სიხარულსა მას წარუვალსა მიმთხუევად.

ხოლო ამიერიითგან ვიწყო და მიგითხრა თქუენ სიჩაოთგან ჰასაკისა მისისაჲთ და სრულიად განგებაჲ მისი და ღირსად ცხორებაჲ, ვითარ იგი ვპოვე აღწერილი წიგნთა შინა მრავალთა, რომელთა იგი აღწერეს უწინარეს ჩემსა, ესევითარიითა დაწყებითა შეუნიერად».

როგორც ამ ნაწილის ერთმანეთთან დაპირისპირებიდან ჩანს, აღნიშნული ტექსტები საფუძვლიანად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. ამიტომ აქ საუბარი შეიძლება შეეხებოდეს არა იმას, რომ ერთიმეორის გადაკეთებაა, ანდა ერთი მეორის ვარიანტულ სხვაობას წარმოადგენდეს, არამედ საქმე სრულიად დამოუკიდებელ წერილობით დოკუმენტთან გვაქვს.

ესევე ითქმის ბოლოსიტყვაობის შესახებაც.

უძველესი ხელნაწერებით წარმოდგენილი „ცხოვრება“ იოანე-ოქროპირის ნეშტის „აღმოყვანებით“ მთავრდება (251 v—255 r). ეს ნაწილი სრულიად არა გვაქვს მათგან განსხვავებული მერმინდელი ხანის ხელნაწერებში. ნუსხების საერთო აღვიღს: «და შემდგომად მცირედისა ქამისა თეოფილეცა აღესრულა» (251r, 13), ნეშტის აღმოყვანების თხრობის ნაცვლად მოგვიანო დროის ერთ XIII ს-ის ხელნაწერს (A—№ 188) სრულიად დამოუკიდებელი ბოლოსიტყვაობა აბაღია:—

«ხოლო სიტყუა ჩემი მისსავე აღვიყვანო. რომლისა მიერ არს დასაბამი დაწყებისა ამთ სიტყუათაჲსა და მისსა შეფწირო მადლობაჲ და ქებაჲ უღირსთა მიერ ბაჯითა, დაღათუ არად საგმარ არს მისდა შესწმაჲ ჩუენ მიერ, რომელი მოქალაქობს მწყობრსა შორის წმიდათა მოციქულთა და მოწამეთასა, რამეთუ მათივე მოიღუაწა ღუაწლი და ვგრეთვე დაშურა სარწმუნოებისათჳს, ვიდრე სიკუდიდმდე ნეტარი ესე, და რომელმანცა ენამან შეუძლო ჯერისაებრ მითხრობად ოქროანისა მის და ტკბილისა ენისა მისისა მადლთა, რომლისა მიერ მოირწყნეს გულნი ყოველთა მორწმუნეთანი და ნყოფად გამოიდეს სიმრაველ სათნოებათაჲ სინანულისა მიერ. და რომელიმცა გონებაჲ მისწუთა კაცობრიგსა ბუნებისა გონებასა მას მისსა და გამოთქუამცა უფსკრული იგი მას შინა მოწყალებათაჲ მდგომარე, რომელი უშურველად აღმოიგეს სულთა გუაღვითა უმეტრებათაჲთა შემწუართა.

აღეს ეკლესიაჲ იხარებს სიხარულითა სულიერითა, რამეთუ აღსავე არს თქუმულთა მისთა მიერ წმიდათა და განუხავებიეს ღწნო ღმობიერებისა ტაყკუთა შინა თჳსთა დი დლითი დღე უწდევს შვილთა თჳსთა სასუძელსა უკუდაცყოფელსა სულთასა. არამედ ჳ ნეტარო და წმიდაო მამაო იოანე, მოგჯესენენ წინაშე მუღუისა მის ტკბილისა და სახიერისა ჩუენცა ცოდილნი ესე და უღირსნი, რამეთუ გაქუს შენ კადნიერებაჲ წინაშე მისსა და იღუწი ყოველთა სარწმუნოებით მვედრებელთა, ტკბილო სულითა, ტკბილო სიტყუთა და გონებითა, ვითარცა იგი მწყემსობასა და ზედამდგომელობასა შინა ხილულსა ტკბილ იყავ სამწყსოთათჳს [ქესთა], არამედ აწ უმეტეს უხილავთა ზედა მდგომელობითა და ჳელის აღაყრობითა ნუ დაგვიწყებ ტკბილო მამაო შენთა სურვილით მაქებელთა და ჳენებისა შენისა წადიერებით აღმასრულებელთა, რათა ვედრებითა შენითა ვაოთო მოტეუებაჲ ცოდვათაჲ და განვერნეთ ჳელთაგან ბოროტისა და მოშურნისა მტერისათა, მადლითა და კაცთ-მოყუარებითა სამებისა ერთარსებისა ერთღმრთეებისაჲთა, რომელსა შეუნის ყოველივე დიდებაჲ, პატივი და თაყუანის-ცემიჲ აწ და მარადის დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკუნისამდე, ამენ».

ეს ბოლოსიტყვაობა არ გააჩნია არა მარტო ძველი ხანის ნუსხებს, არამედ მის მხგავს XI ს-ის ზემორე ხსენებულ (S—№ 384) ხელნაწერსაც. უკანასკნელი მხოლოდ ამ ნაწილის უქონლობით სხვაობს პირველისაგან. XIII ს-ის ხელნაწერის ეს ზედმეტი ადგილი, როგორც ჩანს, სხვა წყაროდანაა შემოტანილი „საკითხავის“ შესავსებლად.

ის, რაც ზემოთ შესავლის მიმართ აღვნიშნეთ, ითქმის ამ ბოლოსიტყვაობის შესახებაც: ამ ნაწილშიაც ეს ორი სახის ნუსხები ურთიერთისაგან დამოუკიდებელი არიან.

იმის სამოწმოდ, რომ ნუსხათა ეს ორი სახე ცხოვრება-მოქალაქობის თხრობის უდიდეს ნაწილში აგრეთვე ერთიმეორის განმეორებას არ წარმოადგენს და ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ჩანს, ერთი ადგილის მოყვანით დაეჯერდებით.

ძველ ნუსხას დედის მზრუნველობა იოანესადმი ჯეროვანი სწავლის მი-  
მაღლებად და იოანეს გულმოდგინება ამ ხაზით ასე აქვს გადმოცემული:

არამედ ამას თანა ურვავ ძისა თვისსა აღავსებდა მას შიშითა, რათამცა აღ-  
ზარდა იგი შუებითა, ვითარცა შეეტყუებოდა აზნაურებასა მათსა. და უნდა, რათამცა  
არავინ იყო ქალაქსა მას შინა უმჯობეს მისსა სიბრძნითა და სწავლითა და სახითა,  
რომლისათჳსცა არა დაემკუა სასოებად მისი მისთჳს, ვითარცა იგი გამოეცხადა ყოველ-  
თა კაცთა და განზარდა იგი ესევითარითა წესითა. და მრავალნი სწორნი მისნი ექვნიბიედ  
მას, რათამცა მივიდა მათ თანა სიმღერად ასპარეზსა ცხენთასა, ხოლო ყოვლადვე არა  
მიუშუა, არამედ დადგრომილ იყო იგი სწავლასა თჳსსა მოუწყინებელად.

და ვითარცა დაასრულა სწავლად იგი წიგნთად, და დაემოწადა იგი ლიბანის ფი-  
ლასოფოზსა, კაცსა მოძღუარსა ფრად სიბრძნითა, და სიტყუთა და ფილასოფოზობითა.  
და იყო მსმენელ სიტყუათა ანდრეათოსს ბრძნისათა, რომელნი იგი იყვნეს მათ ჟამთა  
განთქმულ სიბრძნითა უფროას ყოველთა ფილასოფოზთა ანტიოქიისთა. და მისცა ნე-  
ტარმან იოვანე თავი თჳსი სწავლასა და მეცნიერებასა ყოველთა წიგნთასა, ვიდრემ-  
დის მცირედთა ჟამთა დაისწავლნა ზეპირით უმრავლესნი ფილასოფოზთა ძუელთა წიგნ-  
ნი, რომელსა ვერვინ შემძლებელ არს მრავალთა ჟამთა დიდითა შრომითა დასწავ-  
ლად. და გულსეშმა ჰყოფდა, რომელსა იგი იკითხვიდა, და ჰპასრობდა თქმულსა მას  
წარმარ(თ)თასა სიბრძნითა მით ღმრთისადათ, რომელი დამკვდრებულ იყო მის თანა. და  
რომელი რაჲ პოის კეთილი მათ შინა მოისთულის, ხოლო ეკლოანი იგი და უნდოდა გა-  
ნაგდის. და დაუკვრდებოდა ყოველთა, რომელნი ხედვიდეს მას, ვიდრემდის აღივსებო-  
და სწავლულებითა ესრჳთ.

და ვითარც დაისწავა ესე ყოველი კეთილად და აღორძნდა ჰასაკითა, გამოვიდა  
ანტიოქიადთ და მივიდა ათენა ქალაქსა, რათამცა განისრულა ნეშტი იგი სწავლისადა,  
რათა იყოს სრულ ყოველსა შინა. და მოიცალა მუნ თმენითა კითხვასა წიგნთასა, და  
დადგრომითა მისითა მცირედთა ჟამთა ვითარცა ღრუბელმან აღმოიწორიდა სწავლად  
იგი ათენელთად. და წარცდა ყოველთა, რომელნი იყვნეს უწინარეს მისა სამწიგნობრესა,  
ვიდრემდის მუნცა დაუკვრდა მყოფთა მის ქალაქისათა მისთჳს და თქუსუ, ვითარმედ  
ფერთი ძუელთა ფილასოფოზთაგანი ზრახავს პირით მისითა. და იწყეს მოყუასათა მისთა  
შურობად მისა, რამეთუ არა უნდა ათენელთა, ვითარცა იხილეს ვინმე მჯობი მათი  
სიბრძნითა და მეცნიერებითა, და უფრო ხოლო უცხოჲ ქალაქისა მათისადა.

ამის მაგიერად მეორე სახის ნუსხებში გვაქვს:

გარნა მას ყოვლადვე არარად ესრეთ სასწრაფო უნდა. ვითარ... აღზრდად შეილისა  
მის საწადელისადა უბიწოებით. ხოლო იოვანე დაისწავა რაჲ ღრამატიკოსობად და სწავლად  
იგი გარეშეთად, მიიწია თავად რიტორობისაცა და ფილასოფოზობისა, რომელიცა ის-  
წავა პირველთა დიბანისგან, ვითარცა რჩეულისა და განთქმულისა, რომლისადა ჯე-  
რეთცა ფრადნი არს სიქადული რიტორობისადა. ხოლო კჳლად მეორედ ანდრადათო-  
საგან ტკივლთ-მოყუარებით შეიკრიბა. ამისა შემდგომად სურვილითა უმეტესისა სწავ-  
ლულუებისადა ათინას წარსლვად განმზადებულ იქმნა. და მიიწია რაჲ თანამოგზაურო-  
ბითა ყოვლად წმიდისა და განმამბრძნობელისა სულისადათ, რომელიცა მკვდრ იყო მის  
თანა სიჩრდთგანვე მისით კეთილსა მის მოქალაქობისა მისისათჳს, სადა იგი მუნ მყოფ-  
თა მათ ბრძენთა და ფილასოფოზთა არა გარეწარად თანა ექცეოდა, რომლისა მიერ  
ესვოდენ განიმიდღრა გონებად, ვიდრემდის არცა ერთისა ვისგან ადვილ იყო შესწორე-  
ბად მისი. ვინადაც ამიერ შესწავებულ იქმნა არა ხოლო ათინას, არამედ ყოველსა ელადას,  
და ესოდენ განთქმულ იქმნა, რომელ თჳთ ეპარხოზიცა ათინელთა ქალაქისადა წადიერ  
იქმნა ხილვასა მის ნეტარისასა.

წინა- და ბლოსიტყვაობის სრული განსხვავებულობა და თვითონ ცხოვრე-  
ბა-მოქალაქობის ეპიზოდების უმეტესად თავისებურება ექვს არ სტოვებენ,  
რომ ხსენებულ ნუსხათა ორი სახე ორ დამოუკიდებელ რედაქციას წარმოად-  
გენს ერთისა და იმავე ავტორის ნაწარმოებისას. ამასთან ეს ფაქტი იმის მა-



ჩვენებელიცაა, რომ ძველ ქართულ მწერლობას გიორგი ალექსანდრიელის შრომის—იოანე ოქროპირის ცხოვრების—ორი დამოუკიდებელი რედაქცია მოეპოვება, ორივე ნათარგმნი, მაგრამ სხვადასხვა დროს: ერთი უფრო ადრე, ვიდრე მეორე.

მეორე რედაქციის აღმოცენება ქართულში, როგორც გარკვეულია ეფრემ მცირის სახელთანაა დაკავშირებული. ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ეფრემ მცირემ ბერძნულიდან იოანე ოქროპირის ცხოვრება თარგმნა<sup>1</sup>. ამას იგი ზემორე ხსენებულ ხელნაწერში (S—№ 384) დაცულ იოანე ოქროპირის ცხოვრების ტექსტზე დართული ანდერძის მიხედვით გვამცნობდა. ანდერძით, რომელიც თ. ჟორდანიასვე აქვს გამოქვეყნებული (ქრონიკები, I, გვ. 222—223), ვტყობილობთ, რომ «ლოცვითა ბერთა ჩუენთათა საბაჲს და ანტონისითა აწცა ითარგმნა ესე ახლად ბერძულისაგან მეტაფრასისა ყოვლად წადიერებითა და მკორვალედ სურვილითა გაბრიელ ხუცისა კულეველისათა, რომელმან უმეტეს ზომისა აიძულა პირუტყუთ-სახე ესე გონებაჲ ჩემი ყოვლად მცირისა და რეცა უნარ ჩვევისისა რაჲსმე თარგმანთაჲსა ეფრემისი, და კადნიერ მყო სხუათავე თანა ამისდაცა თარგმნად და კადრებად»<sup>2</sup>.

ამრიგად, იოანე ოქროპირის ეს ნუსხა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, A ფონდის № 188 ხელნაწერთან ერთად ერთ რედაქციას ეკუთვნის, ა) ბერძნულიდან ყოფილა ახლად ნათარგმნი; ბ) წინანდელი თარგმანი, რომელიც მხედველობაში აქვს მთარგმნელს, შესაძლოა, ადრინდელ ძეგლს, 968 წლის ხელნაწერის ტექსტს, გულისხმობდეს; გ) თარგმანი „მეტაფრასიდან“ ყოფილა შესრულებული და არა „კიმიენიდან“ (ასეთი კი ადრინდელი ძეგლის ტექსტო ჩანს) და დ) ახალი თარგმანი ეფრემ მცირეს შეუსრულებია სხვა ძეგლების თარგმანებთან ერთად („სხუათავე თანა“).

## II

გიორგი ალექსანდრიელის შრომა ბერძნულად მხოლოდ ერთი რედაქციით არის ცნობილი. იგი გამოქვეყნებულია ჯერ Savilius-ის მიერ (San. Ioannis Chrisostomi opera VIII, 157—265) და შემდეგ Migne-ისა (Patrologiae..., CXIV, 1045—1210). ბერძნულის ხსენებული გამოცემები, რომლებიც ერთი რედაქციისა არიან, კ. კეკელიძეს დასახელებული აქვს გიორგი ალექსანდრიელის ქართული თარგმანის უძველესი ნუსხების შესაბამისად (იხ. მისი „უცხო ავტორები“..., ქართ. ლიტ. ისტ. I<sup>2</sup>, გვ. 585). მაგრამ შედარების ნიადაგზე ირკვევა, რომ ქართული თარგმანის უძველესი ნუსხების მიერ დაცულ რედაქციას მის სრულ შესაბამისად ვერ მივიჩნევთ. ბერძნული ცხოვრების წიგნი თანაფარდია მხოლოდ ქართულის მეორე რედაქციისა. ყველა ზემოაღნიშნული მხარე, რომლითაც უკანასკნელი განირჩევა უძველესი ნუსხების ტექსტისაგან, ანუ პირველი რედაქციისაგან, თითქმის ზედმიწევნით წარმოდგენილია ბერძნულში. პირველი ქართ.

<sup>1</sup> იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I წიგნი, გვ. 222—223; შდრ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ-რის ისტორია, I<sup>2</sup>, გვ. 237.

<sup>2</sup> იხ. საქართ. მუზეუმის ხელნაწერთა S ფონდის № 384, გვ. 121 და 122 და თ. ჟორდანიას „ქრონიკები“ I წიგნი, გვ. 221; თ. ჟორდანიას მიყვანილი ადგილის ბოლო ფრაზას შეცდომით კითხულობს: «კადნიერ მყო სხუათა ვიეთ თანა ამის დაცათარგმნად და კადრებად».



რედაქციისაგან განსხვავებული შესავალი მეორისა ზედმიწევნით თანმხედო-  
 მია ბერძნულისა; ცხოვრების წიგნის ეპიზოდები და მათი თანამიმდევრობა მე-  
 ორე ქართული რედაქციისა აგრეთვე თანაფარდია ბერძნულისა. რაც შეეხება  
 დასასრულს, აქ ქართული უძველესი რედაქცია ვრცელია ბერძნულისაზე, ხოლო  
 მერმინდელი—ეფრემის ნათარგმნი—კერძოდ მისი აღრინდელი ნუსხა ბერძნუ-  
 ლისავე თანმხედომია. ქართული ცხოვრების უძველეს წიგნთან შეფარდებით  
 ბერძნული მხოლოდ იოანე ოქროპირის აღსრულებამდისა და მის დაკრძალვამდის  
 მოდის (H—№ 2124-ით 234 v, 3 სტრ.). ამრიგად, ბერძნული ცნობილი ტექსტის  
 შემხედვრი ქართულში ის რედაქცია კი არაა, რომელიც უძველეს ნუსხებს დაუ-  
 ცავს, არამედ მერმინდელ ნუსხას რომ შემოუნახავს. ეს კი ბერძნულთან ერთად  
 პირვანდელ რედაქციას არ წარმოადგენს; ერთიცა და მეორეც მერმინდელი და  
 ერთგვარად გადანაკეთ-გადანაკაზმი ანუ „მეტაფრასი“ ჩანს, როგორც ამას ეფრემ  
 მცირის ანდერძიც ადასტურებს. მათ ავტორის უშუალო ხელიდან მომდინარეობა  
 კი არ ეტყობათ, ისე როგორც ქართული უძველესი ნუსხებით დაკულ  
 რედაქციას, არამედ შუალობა, სადაც ავტორის, ანუ ცხოვრების გამოთქმე-  
 ლის, უშუალობა, გადაწყაზმელის მშრალი თხრობით არის შეცვლილი. ამდენ-  
 ნად, მაშასადამე, ქართულ უძველეს ნუსხებს მეტი ფასი ედება, რადგანაც მათ-  
 ში ავტორის სულისკვეთება და შემოქმედება ხელუხლებელია და უფრო თვალ-  
 ნათლივ გამოიციქრება.

ქართული მწერლობის მიერ დაცული იოანე ოქროპირის ცხოვრების უძ-  
 ველესი რედაქციაც ბერძნულიდან მომდინარედ არის სავარაუდებელი. მართა-  
 ლია, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი უძველეს ნუსხათა მოსახსენებელში და  
 არც სადმე მისი მაჩვენებელი წარწერა ახლავს ნუსხებს, მაგრამ ის უხვი ლექ-  
 სიკური ბერძნისებები, რომლებსაც მათში ვხვდებით, მგონია, ერთგვარად მიგვი-  
 თითებენ ძველის ბერძნულიდან მომდინარეობაზე<sup>1</sup>. ძველში ბლომადაა სომ-  
 ხურთან საერთო სიტყვებიც, მაგრამ მათი დიდი უმეტესობა საკუთრივ სომ-  
 ხური აღარაა. ისინი ძველიდანვე ჩანან ფეხმოკიდებული ქართულში არა მარ-  
 ტო მწიგნობრული გზით, არამედ ცოცხალი ურთიერთობითაც სომხურთან და  
 საერთოდ აღმოსავლეთთან. ესეც რომ არ იყოს, სომხურიდან თარგმნილად ეს  
 ძველი ვერ გამოცხადდება იმის გამო, რომ თვით სომხურში გიორგი ალექ-  
 სანდრიელის „ოქროპირის ცხოვრების“ თარგმანი ბერძნულიდან პირვე-  
 ლად XI ს-ის გასულს ჩნდება, გრიგოლ მარტვილ მოყვარის (*Աղյայ-  
 սակը*-ის) ინიციატივითა და ერთგვარი ზედგომობით, სახელდობრ 1104 წ.,  
 როგორც ამას სომხური ხელნაწერი ნუსხები გვამცნობენ<sup>2</sup>. ხსენებული სომხური  
 თარგმანი გამოცემულიცაა: *Պատմութիւն վարդգ... Յովհաննու Ոսկեբերանի,  
 սպագրեցիսւ աշխատասիրութեամբ Սարգսի արքեպիսկոպոսի կոստան-  
 դնուպոսեցւոյ* (1751 წ., ვენეტიკი). სომხური თარგმანი გიორგი ალექსანდრი-  
 ელის ისეთი „მეტაფრასული“ ნუსხიდან ჩანს ნათარგმნი, რომელსაც უძველესი  
 ქართული თარგმანის შესავალი დედანში ჯერ კიდევ ხელუხლებელი ჰქონია.

<sup>1</sup> აკად. ა. შანიძის დაკვირვებით ეს რედაქცია ბერძნულიდან უშუალოდ მომდინარე  
 არ უნდა იყოს; თუ საიდანაა ნათარგმნი, ამაზე კ-ტ. მეცნიერი საგანგებო გამოკვლ. ამახადებს.

<sup>2</sup> *Գ. Չալոբանյան*, *Մասինսպարան հայկական թարգմանութեան, Վնստիქ*  
 1889, გვ. 616—617.

საკითხის განხილვა, თუ რა დროის თარგმანი უნდა იყოს ქართული უძველესი ნუსხების მიერ დაცული და ჩვენი შეხედულებით აღრინდელი რედაქცია ოქროპირის ცხოვრების წიგნისა, ჩვენს ლიტერატურაში საგანგებოდ არავის უცდია. მხოლოდ აკად. კ. კეკელიძეს აქვს გამოთქმული შეხედულება, რომ იგი შესაძლოა კახას მარტვილობის წიგნის გამომთქმელს ჰქონოდა ხელთ თარგმანის სახით და მისი შესავლიდან იღებდეს „თითქმის სიტყვა-სიტყვით ექსცერპტს“ თავისი წიგნის შესავლისათვის. რადგან კახას ცხოვრება IX ს-ისად არის აღიარებული, ამიტომ აკად. კ. კეკელიძეს შესაძლოდ მიაჩნია აღიაროს, რომ ამ მარტვილობის წიგნის ავტორს ხელთ ჰქონოდა 968 წ.-ისაზე აღრინდელი ნუსხა, რაც, მაშასადამე, მას ავარაუდებინებს, რომ შესაძლოა IX ს-ის თარგმანი იყოს ოქროპირის ცხოვრების პირველი რედაქცია. აგრეთვე შესაძლოდ მიაჩნია მასვე ისიც, რომ კახას მარტვილობის ავტორს დედანშიაც სცოდნოდა იოანე ოქროპირის ცხოვრება, ალბათ იმ შემთხვევაში, თუ ქართული თარგმანი ამ ძეგლისა IX ს-ად არ დადასტურდებოდა (კ. კეკელიძე, კოსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა: ტფ. უნ. მოამბე VII, გვ. 168—9).

წამოყენებულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით ჩვენთვის ისაა საგულისხმო, რომ აღნიშნულია იოანე ოქროპირის ცხოვრების ლიტერატურულ წყაროდ გამოყენება კახას მარტვილობის წიგნისათვის. იოანე ოქროპირის ცხოვრების ძველი რედაქციის შესავალთან მართლაც ამ მარტვილობის წიგნს თავისი შესავლით დამოკიდებულება ეტყობა. მაგრამ ეს კავშირი შესავალში გატარებულ აზრს უფრო ეხება, ვიდრე თვით ტექსტს. „სიტყვა-სიტყვითი ექსცერპტი“ არც ისე დიდია. თქმულის ნათელსაყოფად მოვიყვანთ აქ „კახას მარტვილობის“ შესავალს და იმ ადგილებს, რომლებიც ასე თუ ისე ხედება იოანე ოქროპირის ცხოვრების შესავალს, ხაზგასმით აღვნიშნავთ, ხოლო შედარებისათვის უკანასკნელთან ამ ცხოვრების ზემოთ მოყვანილ შესავალზე მივუთითებდით დაინტერესებულთ:

«საყუარელნო, განცხადებულ არს ყოველთათჳს, ვითარმედ არაჳინ ყო აღწერაჳ იგი წიგნთა, გარნა მადლითა სულისა წმიდისაჳთა, რამეთუ დიდმან მან მოსკე პირველად იწყო აღწერად შესაქმისა ცისა და ქუეყანისა, რომელ არა სადა ეხილვა, არამედ უწყებითა სულისა წმიდისაჳთა აღწერა იგი ვითარცა თუალითა ხილულთ: და ამისა შემდგომად აღწერნა სხუანიცა წიგნნი, რომელთა შინა აუწყა გამოსლვა იგი ძეთა ისრაილისათა შემდგომითი შემდგომად ვიდრე აღსრულებადმედ მისა.

მერმე აღიწერნეს თქმულნი იგი წინასწარმეტყუელთანი, რომელსა ქდაგებდეს მოსლვისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. აღწერნეს ოთხნი ევანგელნი, რომელთაგან ეხარების ნათესავთა მომავალთა მოსლვაჳ იგი უფლისა და განგებულეჳბა მისი კორცითა მით, რომელ მიიხუნა ქალწულისა მარიამისგან წყალოზისათჳს ჩუენისა. და ამისა შემდგომად საქმენი მოციქულთანი, ვითარ იგი მოვლიდეს ყოველსა სოფელსა და ახარებდეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა. და მრავალთა ჰრწმენა და ნათელ იღებდეს სახელითა მამისაჳთა და ძისაჳთა და სულისა წმიდისაჳთა.

ხოლო მარადის მტერი იგი და მოშურნე არა ვინა დასცხრა წინააღმდეგობად ჰემ-მარიტებისათჳს და აღაზრინნა მეფენი მის ჟამისანი და იგინი აიძულებდეს მარწმუ-

ნეთა მათ მსახურებად კვრბთა თვსთა, ხოლო რომელნიმე არა ერჩდეს მათგანნი, მოსწყუედდეს მათ პირითა მახლისადათა და ცეცხლითა დასწყუეიდეს..

მაშინ აღ-ვინმე-დგეს კაცნი მორწმუნეთაგანნი, იწყეს აღწერად ცხოვრებად წმიდათა მოწამეთა და ვითარ სახით არნ აღსასრული ღუაწლისა მათისა სადიდებელად წმიდათა მოწამეთა და აღსაბაძულად, რომელთა იგი შური საღმრთოთ აქუნდეს».

რა გზით უნდა გამოეყენებინა კახას მარტვილობის გამომთქმელს იოანე ოქროპირის ცხოვრების პირველი რედაქცია, ძნელია თქმა, ქართული თარგმანიდან პირდაპირი გამონაკრები მაინცა და მაინც არ უნდა იყოს მარტვილობის შესავალი, რადგან თანხვედნილობა, რომელსაც იქ შევნიშნავთ ტექსტის მხრით, არ არის სულ სიტყვა-სიტყვითი, უფრო შესაწყნარებელია ის აზრი, რომ მარტვილობის ავტორმა ოქროპირის ცხოვრება ბერძნულად გამოიყენა.

### III

ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში ოქროპირის ცხოვრების ძველი რედაქციის გავლენა, როგორც ლიტერატურული წყაროსი, კახას მარტვილობის წიგნზე უფრო სხვას ატყვია. ის კი მარტვილოლოგიური ჟანრის ნაწარმოები არ არის, არამედ იმავე დარგისაა, რომელსაც თვით ოქროპირის ცხოვრება ეკუთვნის, ე. ი. ცხოვრება-მოქალაქეობითისა, რომლითაც საზოგადოდ მდიდარია ძველი ქართული ლიტერატურა. ოქროპირის ცხოვრების გავლენას ვნიშნავთ ისეთ ძეგლზე, როგორიცაა გრიგოლ ხარძთელის ცხოვრება გიორგი მერჩულისა, ამ შედეგზე ძველი ქართული აგიოგრაფიისა.

გიორგი მერჩულის შესანიშნავი თხზულების—„ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისადა-ს“—გამომცემელმა, აკად. ნ. მარმა მერჩულის ლიტერატურული წყაროების ამოცნობა სამართლიანად რთულ საკითხად მიიჩნია. გამოცემაზე დართულს თავის გამოკვლევაში განსვენებული მეცნიერი ამის მიზეზად ქართული საეკლესიო ლიტერატურის მემკვიდრეობის შეუსწავლელობასა და გამოუქვეყნებლობას ასახელებდა. ძნელია ასეთ პირობებში ჩამოითვალოს წყაროები და სახელმძღვანელოები (руководия) გიორგი მერჩულისაო, წერდა იგი 1911 წ.¹. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა უხვი გამოშვებით, მართალია, დიდად ვერც დღეს დავიკვებნით, მაგრამ ეს საუხუჯე, მისი თითქმის ერთად თავის მოყრით საქართველოს მუზეუმში, შედარებით უფრო უკეთ არის დღეს ხელმისაწვდომი, ვიდრე ეს იყო ოდესმე.

გიორგი მერჩულის ცნობილი ნაწარმოების წყარო პირველ ყოვლისა საძიებელია იმ ჟანრის ლიტერატურაში, რომელსაც იგი ეკუთვნის. ეს კია ცხოვრება-მოქალაქეობათა დარგი მწერლობისა. წყაროდ სავარაუდოა როგორც ორიგინალური, ე. ი. ქართულად გამოთქმული, წინამორბედი ცხოვრებები,

¹ «Грузинская духовная литература настолько плохо изучена—пока нет даже хотя бы не критических изданий громадного большинства памятников,—что о перечне источников и пособий Георгия Мерчула и его продолжателя, о точном определении их сылок не может быть речи» (Н. Я. Марр, Георгий Мерчул, Жизнь св. Григория анд-зийского... СПб, стр. LX).

ისე უცხოურიც,—დედნისა თუ თარგმანის სახით. ერთ-ერთ უცხოურ წყაროდ, როგორც ზემორე აღვნიშნეთ გიორგი ალექსანდრიელის ნაწარმოები—ცხოვრება იოანე ოქროპირისი—ჩანს და ისიც მისი უძველესი რედაქცია, რომელიც დღეს-დღეობით, როგორც ვნახეთ, ქართულ თარგმნილ ლიტერატურას დაუტავს.

ამ ძეგლის ძველი ქართული თარგმანი ან 951 წლისათვის, ანდა 958—966 წლებს შორის უნდა იყოს შესრულებული და არა შემდეგ, ვინაიდან უძველესი ნუსხა ქართული თარგმანისა უკვე 968 წ. ეკუთვნის. 951 წ., როგორც ცნობილია, ის თარიღია, როდესაც გიორგი მერჩულს პირველად დაუწერია თავისი ნაწარმოები. 958—966 წლებს შორის კი ეს თხზულება, მასშივე დაცული ცნობის თანახმად, ბაგრატ კურაპალატს განუახლებია რამდენიმე სასწაულის ჩართვით, როგორც ფიქრობენ, ავტორისავე დახმარებით<sup>1</sup>. 951 წლამდის თარგმნა ამ ძეგლისა იმ შემთხვევაში შესაწყნარებელი, თუ მივიჩნევთ, რომ ამ შრომის თარგმანი, რომელთანაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ახლო ნათესაობა ემჩნევა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, წინ უსწრებდა უკანასკნელის შექმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ იმ მოტივით გავამართლებდით მის თარგმნას, თუ მივიჩნევდით, რომ ორიგინალური შრომის წერისას, თუ მის წინ, „ოქროპირის ცხოვრებას“ ავტორი დედანში იცნობდა, ხოლო მისი დამთარგმნისა და შეკეთების შემდეგ კი აღეძრა სურვილი საკუთარი ძალით, თუ სხვისთვის დავალებით, ეთარგმნა ქართულად და მიეწოდებინა თავისი მკითხველებისათვის ეს ბერძნული ძეგლი, რომელიც სიახლოვეს იჩენს და ერთგვარი ნიმუშიც კია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორისათვის. ასეა თუ ისე, ჩვენთვის საგულისხმო ძეგლი X საუკუნის 50—60-იანი წლებისათვის ჩანს უკვე თარგმნილი,—გიორგი მერჩულის ნაწარმოების აღმოცენების ახლო ხანს, მის წინ თუ მის შემდეგ, უფრო კი—მის წინ.

ხოლო რაც შეეხება „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ მსგავსებას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან“, ამას ორ რამეში ვამჩნევთ: 1. აღნაგობრივ-შინაარსობლივსა და 2. ენობრივ მხარეში.

„იოანე ოქროპირის ცხოვრება“ ორიგინალისა თუ თარგმანის სახით მით უნდა გამხდარიყო იდეურად წასაბაძი, რომ მასში გადმოცემულია მისი მთავარი პერსონის არა ჩვეულებრივი ცხოვრება და მოქალაქობა, არამედ ისეთისა და ისეთნაირად, რომ, როგორც იქაა ნათქვამი, სხვებიც „მიემსგავსნენ გზათამათა“. საერთო და მისაბაძი იოანე ოქროპირისა და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებათა შორის კი ამ მხრივ ბევრია.

იოანე ოქროპირი მისი ცხოვრების წიგნით წარმოდგენილია ისეთ პირად, რომელიც თავსა დებს მართლმადიდებლობისათვის, რომელიც როგორც მართალი და წრფელი ადამიანი, ისიც მწყემსთმთავარი, მოწოდებულია ამხილოს ყველა, ვინც კი არ იქნება ის—მეფე თუ დედოფალი, ერი თუ ბერი, დიდი თუ პატარა:—«არავის თუალ ვახუამ თქუნგანსა, არამედ რომელსა უკმდეს მხილება და განკრძალვად ვასწავებ და ვამხილებ», წინასწარ უცხადებს და აფრთხილებს იოანე მღვდელთმთავარი მეფეს; ყველას საერთო მოთხოვნილებას უყე-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ.-ის. ისტ., I<sup>2</sup>. ტფ. 1941 წ., გვ. 134—135.

ნებს: «რომელსა ერწმუნა ფრიად, ფრიადცა მიეკადოს-ო». პატივთა საზომის ანუ ხარისხის მაძიებელი იგი არაა, მას ყველაზე მეტად მძოვრი ასკეტის მყუდრო ცხოვრება აინტერესებს და მოსწონს. მას უნდა შეჰჩენოდეს ის ბოლომდის, რომ ვისმე მიეშვა იგი.

ასეთივეა თითქმის გრიგოლ ხანძთელიც მისი ცხოვრების წიგნის მიხედვით. მისთვისაც სანუკუარი მხოლოდ და მხოლოდ ბერული ცხოვრებაა. პატივის გაურბის—აპატივსა ვხედავ და პატივისაგან მეშინის-ო», არის მისი პასუხი მაშინ, როცა მას ხუცად ეძახიან. მასაც არ ასვენებენ, მაგრამ დიდ პატივს იგი გაურბის, ისევ ბერ-მონაზვნობის წიაღში უნდა დარჩეს მოღვაწედ. მხილება მძლავრთა ამა სოფლისა, რა სფეროშიაც კი იქნებოდა ეს საჭირო, მისთვისაც ძირითადი მიზანია. აკი კინაღამ მსხვერპლი გახდა ერთხელ ის ამ მხრივ ანჩის ეპისკოპოსის ცქირისა! ერთი სიტყვით, ორივე პირს საერთო მომენტი ცხოვრების სარბიელზე უხვად მოეპოვებათ. მიზანდასახულობის ერთიანობასთან ერთად ორივე მოღვაწეს ხასიათის ერთნაირობაც აბადიათ. მიდრეკილება სწავლისადმი, გულისხმიერება შეთვისებაში, ინტერესი ფილოსოფიის მიმართ, კერძოდ გარეშე და წარმართულისადმი, ორივესათვის საერთოა. სათნოებით შემკული და განხორციელებული სასწაულთ-მოქმედნი არიან ორივენი სიცოცხლეშია და სიკვდილის შემდეგაც. ყველა ამ თვისების გადმოცემის დროს არც ერთისა და არც მეორე წიგნის გამომთქმელი არ ზოგავს არავითარ ლენსა და შესაძლებლობას იმისათვის, რომ სურათი დიადი ჩანდეს.

თხზულებებს ამ საერთო შინაარსობლივ მხარესთანა და მონათესაობასთან ერთად ენობრივი სიახლოვეც აკავშირებს. ზემოაღნიშნულ მსგავს მომენტთა გადმოცემის დროს ჩვენ ხშირად ვხვდებით საერთო სიტყვიერ გამოთქმებსაც. ეს კი არა მარტო თხზულებათა ერთნაირი საგნის არსებობით აიხსნება, არამედ მითაც, რომ ერთი მეორისათვის ერთგვარი ნიმუშია, მისაბაძია ამათუიმ მხრივ. ამიტომაცაა, რომ „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ წიგნი ჩვენთვის მერჩულის შრომის დაწერის წინა, მაგრამ ახლო ხანის თარგმანად არის უფრო შესაწყნარებელი, ვინემ მისი დაწერის შემდგომ.

ერთსაცა და მეორე ცხოვრების წიგნსაც წინ ერთგვარი შესავალი მიუძღვის, სადაც ავტორებს უმთავრესად საუბარი აქვთ თავიანთ ნაშრომთა წყაროების შესახებ. შესავალს თვითონ „ცხოვრება“ მოსდევს. მოღვაწეთა ვინაობა, შთამომავლობა, ყრმობის ხასიათი, სწავლა-აღზრდა, ინტერესი სიბრძნის-მოყვარეობისადმი, სიბრძნის ჩენა, სახელის შეძენა და განთქმა—ესაა ორივე ძეგლისათვის დამახასიათებელი ნიშნები დასაწყისიდანვე. შემდეგ კიდევ: ღვაწლი და შემოქმედება, სარბიელი მოქმედებისა, პატივთაგან გაქცევა პატივის შიშით, სათნოება და ღვთისმიერობა, სასწაული, მხილება, შესმენა, სიძულილი, უკანასკნელის ნიადაგზე აღმოცენებული შური, მერჩულთან თავის დახრწევა სანაცვლოსაგან, ხოლო ოქროპირის ცხოვრების წიგნით იოანეს მსხვერპლად გახდომა—ძირითადი მსგავსი მხარეებია ორივე თხზულებისათვის.

ამ მხარეთაგან ისეთი ეპიზოდებრივ შემხვედრი ადგილის ნიმუშად, სადაც გამოთქმის სიახლოვეც ჩანდეს, შეიძლება დაგვასახელოთ შემდეგი ადგილი:



მერჩულთ:

«ხოლო გულის-ხმეობაჲ სწავლისაჲ განსაკრვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და ვმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ სამოდღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისაჲ ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად. და რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის. და განითქუა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ სიტყუსაებრ მოციქულისა» (ბ 39—47).

[ეს ადგილი ბერძნულის შემხვედრ ქართულ ტექსტში, ე. ი. მეორე რედაქციისაში, არ მოგვეპოვება. იქ მხოლოდ ორიოდ სიტყვით არის გადმოცემული იოანეს სწავლულობა: „ზ იოვანე დაისწავა რაჲ ღრამატეკოსობაჲ და სწავლაჲ იგი გარეშეთა, მიიწია თავად რიტორობისაჲცა და ფილოსოფოსობასაჲ].

ასეთ საერთო ეპიზოდებ. ივ ამა თუ იმ მომენტს თან სდევს ფრაზეოლოგიურიც—ან სრულიად თანხვედნილი, ანდა ნაწილობრივ; ასეთებია:

1. «ბრძნად აღადის პირი თვისი» (მერჩ. ბ. 50); შდ. «აღალო პირი თვისი» (ოქრ. ცხ. 73 v, 11).

2. «გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ» (მერჩ. ბ 46); შდრ. «და ჰბასრობდა თქუმულსა მას წარმართთასა სიბრძნითა მით ღმრთისაჲთა» (ოქრ. ცხ. 12 r, 17).

3. «მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი» (მერჩ. ბ 40); შდრ. «ზეპირითა დაისწავლიან [სიტყუათა იოვანესსთა], ვითარცა დავითი» (ოქრ. ცხ. 56 r, 10).

4. «ველმწიფეთა თუალუხუავად მამხილებელო» (მერჩ. 5x 19); შდრ. «ვაიკითხის საქმე ესე თუალუხუავად» (ოქრ. ცხ. 155 r, 16).

5. «მიმგავსებულო ელიაჲსო და იოვანესსო» (მიმართავენ გრიგოლ ხანძთელს, გ 91); შდრ. «მიმგავსებად ცხოვრებასა ელია და ელისესსა და იოვანესსა წინაჲსწარმეტყუელთა» (ვედრება იოანესი მონაზონთადმი, —ოქრ. ცხ. 32 r, 14).

6. «მამხილებელო და განმსწავლელო კუერთხითა სწავლისაჲთა, [გრიგოლ]» მერჩ. 5x, 18); შდრ. «მოილო კუერთხი მხილებისაჲ [იოვანე]» (ოქრ. ცხ. 78 v, 18).

7. «ხატეცა მონაზონებისაჲ ემოსა» (მერჩ. ბ 35); შდრ. «აქუნდა [იოვანეს] გონებასა მისსა მონაზონებაჲ» (ოქრ. ცხ. 27 v, 3).

8. «ვთქუა მრავლისაგან მცირედი» (მერჩ. კბ 8); შდრ. «გამოვიძიეთ მცირედი მრავლისაგან» (ოქრ. ცხ. 65 v, 9).

გიორგი ალექსანდრიელით:

«და მისცა ნეტარმან იოვანე თავი თვისი სწავლასა და მეცნიერებასა ყოველთა წიგნთასა, ვიდრემდის მცირედთა ჟამთა დაისწავლნა ზეპირით უმრავლესნი ფილოსოფოსთა ძუელთა წიგნნი, რომელსა ვერვინ შემძლებელ არს მრავალთა ჟამთა დიდითა შრომითა დასწავლად. და გულისწმა ჰყოფდა, რომელსა იგი იკითხვიდა და ჰბასრობდა თქუმულსა მას წარმარ(თ)თასა სიბრძნითა მით ღმრთისაჲთა, რომელი დამკვდრებულ იყო მის თანა. და, რომელი რაჲ პოის კეთილი მათ შინა, მოისთულის, ხოლო ეკლოანი იგი და უნდოჲ განაგდის» (12r, 8—12v, 2).



9. «შთახედნა კედლისა ნაპრაღსა და იხილა» (მერჩ. 6 11); შდრ. «შთახედნა ნაპრაღისაგან კარისა და იხილა» (ოქრ. ცხ. 94 v, 3).

10. «სამწყსოთა მათ... პირმეტყუელთა» (მერჩ. მზ 3); შდრ. ცხოვართა «პირმეტყუელთა» (ოქრ. ცხ. 209 v, 11).

11 «ვერ შემძლებელ იყო თვსსა მას სენსა საანჯნო ყოფად» (მერჩ. 6გ 3); შდრ. «არა ჯერ არს ყოველთა საანჯნო ყოფად» (ოქრ. ცხ. 138 r, 7).

12. «საზომსა მონაზონებისასა მიწვენულ იყვნეს» (მერჩ. მ 1); შდრ. «დაგიწესებია მათდა საზომი მონაზონებისაჲ» (ოქრ. ცხ. 50 r, 9).

13. «რამეთუ თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაჲსა» (მერჩ. ბ 35); შდრ. «ყოვლადვე განშორებულ იყო ჩუეულებისაგან ყრმათა სიმღერისა» (ოქრ. ცხ. 6 r, 5).

14. «იყო ტრფილ მისა მიმართ» (მერჩ. 6 60); შდრ. «ტრფილ იყო მისა» (ოქრ. ცხ. 91 v, 15).

15. «ღვნოჲ კულა სიყრმითგანვე არა ესუა» (მერჩ. იმ 15); შდრ. «არა სუმიდა ღვნოსა ყოვლადვე» (ოქრ. ცხ. 85 v, 18).

16 «იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა» (მერჩ. ბ 27); შდრ. «იყო ძქერთისა წარჩინებულთაგანისაჲ» (ოქრ. ცხ. 5 v, 14).

17. ინებეს [გრიგოლის] ხუცად კურთხევად» (მერჩ. გ 1); შდრ. «უნდა რაჲთამცა აკურთხა იგი [იოვანე] მღვდელად|ხუცად» (ოქრ. ცხ. 27 r, 2—49 r, 10).

18. «ჰასაკისა ზრდასა თანა» (მერჩ. ბ 50); შდრ. «ვითარცა აღიზარდა იოვანე ჰასაკითა» (ოქრ. ცხ. 6 v, 4).

19. «რომელი პოვის სიტყუად კეთილი [სიბრძნესა ამის სოფლისა ფილოსოფოსთასა] შეიწყნარის» (მერჩ. ბ 44); შდრ. «რომელი რაჲ პოის კეთილი მათ შინა [თქუმულსა წარმართთასა], მოისთულის» (ოქრ. ცხ. 12 v, 1).

20. «სიტყუად მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა» (მერჩ. ბ 49); შდრ. «და ესევეთართუ სიტყუთა განაკვრენა მშობელნი თვსნი, და რამეთუ იგინიცა შემკულ იყვნეს სულიერითა მით მარილითა» (ოქრ. ცხ. 10 r, 17).

21. «განიბოხა სიბერჲ ჩემი» (მერჩ. ვ 76); შდრ. «განიბოხა მშობელთაგან ნუკევეთა» (ოქრ. ცხ. 6 r, 6).

22. „ძქ იგი თვის დააგდო წინაშე ფერჯთა ებიფანსსთა» (მერჩ. მდ 16); შდრ. «მოიყვანა ძქ თვისი... და დააგდო იგი ფერჯთა ზედა იოვანსსთა» (ოქრ. ცხ. 89 r, 19).

23. «ბრძანე პასუხი» (მერჩ. მზ 70); შდრ. «პასუხი მომეც» (ოქრ. ცხ. 141 b, r, 3).

24. «მიწია სტოვასა ეკლესიისასა» (მერჩ. ლთ 5); შდრ. «მჯდომარჲ სტოვასა მონატრისასა» (ოქრ. ცხ. 40 b, r, 5).

ცხადია, აღნიშნულ გამოთქმათაგან ზოგიერთს ამ ენარის სხვა ძეგლშიაც წავაწყდებით, მაგრამ წილი მაინც დამახასიათებელი აღმოჩნდება მერჩულის თხზულებისა და მის წყაროდ საგულებელი ოქროპირის ცხოვრების გარკვეული რედაქციისათვის.

ენობრივ სხვა მომენტთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსიკა. ამ დარგში თავს იჩენს იმ სიტყვების გვერდით, რომლებიც საერთო ხმარებისაა მეზო-

ბელ აღმოსავლურ ენებთან, დასავლურიც, —სახე ლდობრ ბერძნული- ბერძნული სიტყვები განსაკუთრებით პალატისა და ეკლესიის წიაღის ტერმინებს წარმოადგენენ. მათი უთარგმნელად გაშვება იმის მომასწავებელია, რომ ხსენებული თარგმნილი თხზულების მომხმარებელი წრისათვის ისინი უჩვეულო კი არ არიან, არამედ საკმაოდ მახლობელი. ასეთი რამ კი იმ წრისათვის, რომელშიაც აღმოცენებული უნდა იყოს ეს თარგმანი (ჩვენი აზრით ტაო-კლარჯეთისათვის), უფრო შესაძლებელი იყო X ს-ის დამდეგიდან მტკიცე კავშირის დამყარების გამო როგორც ადგილობრივ სამთავროებსა და ბიზანტიის კარს შორის, ისე საერთოდ კულტურული ურთიერთობითაც ქართველთა და ბერძნებს შორის.

მეზობელ აღმოსავლურ ენებთან საერთო ხმარების სიტყვებიდან, რომელთა დიდი ნაწილი აღრინდელ ძეგლებსაც ახასიათებს, აღსანიშნავია ახალი სპარსულის სიტყვები, როგორიცაა: პასუხი, საანჯმინო, აუგი, დასტური, დივანი, ხუაიშნობა.

ანალოგიური სურათი ამ მხრივ გიორგი მერჩულის ნაწარმოებშიაც გვაქვს. ამრიგად, ამ შეხვედრითაც ეს ორი ძეგლი მჭიდრო ურთიერთ-დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ამიტომ შესაძლოა დაისევას კითხვა, ხომ არაა ოქროპირის ცხოვრების თარგმანი თვით გიორგი მერჩულის მიერ შესრულებული? აღნაგობითი მხარისა და ეპიზოდებრივი ზოგიერთი მომენტის შეხვედრა, გამოთქმათა და ლექსიკის მსგავსება თითქოს ხელს არ უნდა გვიშლიდეს, კითხვაზე რომ დადებითი პასუხი გავცეთ. თუ ეს სწორია, მაშინ შესაძლებელია დაისევას საკითხი, თუ ვის უნდა გულისხმობდეს ხელნაწერის უჩველესი ნუსხის პირველი რვეულის პირველსავე ფურცლის ვარა-ზე გამოხატულ ოქროპირის სურათის წარწერაში მოხსენებული გიორგი («წო იოვანე, შე ე გო»): ოქროპირის ცხოვრების გამომთქმელს გიორგი აღლქსანდრიელს, თუ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორს—გიორგი მერჩულს.

#### IV

დასასრულ, ცხოვრების წიგნის ერთ ადგილს უნდა შევეხოთ, რომელიც დასავლეთ საქართველოსთან არის დაკავშირებული. ცხოვრების წიგნი ვადმოგვცემს, რომ როდესაც იოანეს სახელი გაითქვა მცირე სომხეთში ექსორიზმის დროს, ეს «ვერღარა დათმეს მერმე, არამედ დააწესეს ბრძანებაჲ ბოროტი და ძნელი... რაჲთა სწრაფით მოიყვანოს იოვანე პიტოონტად, ადგილსა ოჯერსა ფრიად ტოტზანოს (ტოტზონოს var.) შინა, და არს იგი კიდესა თანა ზღუსა მის პონტოჲსასა და დასასრული არს პონტოჲსად და ბერძენთა ჯელმწიფებისაჲცა, და ახს ესე ბარბაროზთა უკეთურთა». ეს ადგილი, რომელიც ბიჭვინტასა და იმ ქვეყანას ეხება, სადაც ეს პუნქტი იმყოფება, ბერძნულს ისე აქვს გადმოცემული, როგორც მის ზედმიწევნით ქართულ მერმინდელ თარგმანს, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფრემ მცირეს ეკუთვნის: «რაჲთა მუნით პიტკონად წარიყვანონ, რომელ იგი არს ოჯერ ქმნილი ქალაქი, მარჯუენით კერძო კიდესა პონტოჲსა ზღუსასა, დასასრულსა ბერძენთა მთავრობისასა, მოკიდული ბარბაროზთა და მძუნვარეთა ნათესავთაჲჲ. აქ უკვე ქვეყნის სახელწოდება, სადაც ეს ქალაქი იყო, არაა დასახელებული.

სახელწოდება „ტოტზანო“ რთული სიტყვა ჩანს. მეორე ელემენტი «ტზანოს» (Τζανος) კანთა და მეგრელთა სახელწოდებაა, ხოლო «ტო»—არტიკლი. რომ აქ კან-მეგრელთა ქვეყანა დასახელებული, ამას ავეგერიანის მიერ სხვადასხვა უცხო და წმინდა სომხური წყაროებიდან გამოკრებით შედგენილი ცხოვრების წიგნიც მოწმობს. აქ იკითხვის: «*Հրաման հանին... զի վարիսցի... ի սահմանս Պոնտիսի մինչև ի գիւղն կոչեսեալ Պիղիւզին յերկիրն շենսոյ յեղը Սիւս ծովսն ի մէջ բարբարոսաց*»<sup>1</sup>. საგულისხმო აქ ისიცაა, რომ ქართველ მთარგმნელს დედნის ფორმით აქვს მოყვანილი ქართული მიწა-წყლის, ქალაქისა და ქვეყნის, სახელწოდებანი, შეიძლება იმიტომ, რომ მას არ ესმოდა მათი ქართული შესატყვისები და მისთვის დედნის ფორმით უმოსცა. X ს-ის დამდეგისათვის ეს ვითარება მართლაც დასაშვებია.

<sup>1</sup> Մկրտիչ Ազեղբեան, *Լիակատար վարք և վկայագրությունքն սրբոց, հասիր Ը, 1813, Վենետիկ*, გვ. 415. სომხური ხელნაწერები (მაგ., ენშიაძ. ფონდი № 1733 და 1913) და მათ მიხედვით გამოცემული სომხური ცხ-ბის წიგნი ამ ადგილს თითქმის ისე წარმოადგენენ, როგორც ვფრემ მცირის თარგმანსა და მის ბერძნულ დედანშია დატული: «*Ի Դիլիան (ხოვან: Պիղիւզին), ի տեղի, որ կարի յոյժ անապատ էր. մերձ ի ծովն մեծ Պոնտոս, ի սահմանս Համց, մათ ի բարբարոսն*» (გვ. 272—3).

## ლიპარიტ ლიპარიტის ძე და მისი ახლად აღმოჩენილი თხზულება

### I

#### ლიტერატურული ცნობები ლიპარიტის სამწერლო მოღვაწეობისა და მეცენატობის შესახებ

გიორგი ხუცეს-მონაზონი თავის შესანიშნავ თხზულებაში, რომელსაც „ცხოვრება და მოქალაქობა და წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“ ეწოდება, ლიპარიტ ლიპარიტის ძის, ამ დაუცხრომელი მებაბობისა და ბაგრატ IV-ის დაუძინებელი მტრის შესახებ სწერს: „ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს (ლაპარაკია გიორგი მთაწმიდლის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი წიგნებზე, მ. კ.) და უფროდს ყოველთადასა დიდად იღუაწა სულითა კურთხეულმან ანტონი, ლიპარიტ ყოფილმან, და თვისისა მონასტრისა, ბარალამ წმიდისათჳს<sup>1</sup>, დააწერინა და წმიდასა ამას ბერსა (ესე იგი გიორგი მთაწმიდელს, მ. კ.) დიდად პატივ უპყრა და ნუგეშინის სცა, და თვისისა მონასტრისაგან გაკუეთილი შეუქმნა, და სიმტკიცე თვისითა ქელითა დაუწერა, და შუენიერი ქება და მადლობა დაწერა მას შინა ღუაწლთა და შრომათა მისთათჳს-ო (ათონის კრებული, საეკლ. მუხეუმის გამ., გვ. 316, ხელნ. გვ. 69)<sup>2</sup>.

ამ ციტატიდან აშკარაა ორი რამ: 1. ლიპარიტი დახასიათებულია როგორც მეცენატი და ერთ-ერთი პოპულარიზატორი გიორგი მთაწმიდლის მიერ ნათარგმნი წიგნებისა, და 2. ლიპარიტი გახლავთ ავტორი გიორგი მთაწმიდლისადმი მიძღვნილი «შუენიერი ქებისა და მადლობისა».

სამწუხაროდ, ბარალამ წმიდის მონასტრისათვის ლაპარაკის დაკვეთით გადაწერილი წიგნები ჯერჯერობით არ ჩანს და ამიტომ მათი რაოდენობისა და სიავ-კარგის შესახებ ჩვენ არაფრის თქმა არ შეგვიძლია; ასევე არც იმ „შუენიერი ქება-მადლობის“ ტექსტს მოუღწევია ჩვენამდე, რომ მის ლირსება-ნაკლულეევანებაზე მსჯელობა შეგვეძლოს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ დავერჩა სამი

<sup>1</sup> ფიქრობენ, რომ აფხაზეთში მდებარე აწინდელი სოუქ-სუს ეკლესია უნდა იყოს ყოფილი წმიდა ბარალამის მონასტერი (იხ. ვახუშტი, საქართ. ისტორია დ. ბაქრაძის რედაქციით გამოც., გვ. 162, სქოლიო).

<sup>2</sup> ციტატები გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულებიდან მოგვყავს არა საეკლ. მუხ. მიერ გამოცემული ტექსტის მიხედვით, რომელიც გვიანდროინდელი ნუსხიდანაა გადმობეჭდილი აუარებელი შეცდომებით, არამედ საქ. სახ. მუხეუმის № S/353 ხელნაწერით (ყოფ. წერა-კით. გამ. სახ. ფონდი), რომელიც XI—XII საუკუნის საუკეთესო ნუსხაა და რომლის მითითებისათვის პროფ. ნ. ბერძენიშვილს დიდად ვმადლობ.

დიდი წიგნი ლიპარიტის ბრძანებით გადაწერილი და სწორედ ერთ-ერთ ამ წიგნთაგანში გახლავთ ის თხზულება, რომელიც ლიპარიტის კალამს ეკუთვნის და აქამდე ცნობილი არ ყოფილა ჩვენს ლიტერატურაში.

ეს წიგნები ექვეთიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნული ენიდან ნათარგმნი იოანე ოქროპირის ეგზეგეტიკური თხზულებებია; ამათგან 2 (№№ 19, 20) „მათეს თავის თარგმანებას“ შეიცავს, ხოლო 1 (№ 21) „იოანესას“.

სამივე წიგნი დაწერილია ეტრატზე საუკეთესო ათონური სკოლის ნუსხური ხელით გაბრიელ კოტაჯის მიერ, და შემკულია მომგებლისა და მწერლის მრავალ ანდერძ-მოსახსენებლით (იხ. თ. ჟორდანიას ქრონიკები I, 190 და sqq).

## II

### ხელნაწერი

ქვემოთ მოთავსებული ტექსტი „მართლ-მადიდებლობისა და მწვალებლობისათჳს“ ჩვენ ვნახეთ ქუთაისის „მზარეთ-მცოდნეობის მუზეუმში“ 1241 წელს, როცა მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ ვიყავით იქ მივლენილი იოანე ოქროპირის „იოანეს სახარების თარგმანების“ ვარიანტებზე სამუშაოდ<sup>1</sup>. ტექსტის მაღალმა ენობრივმა და მხატვრულმა ღირსებებმა პირველსავე წაკითხვისას მიიქცია ჩვენი ყურადღება და მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჩვენ ძეგლის ორიგინალურობა-ნათარგმნობაზე გარკვეულად არაფერი ვიცოდით, მაინც გადმოვიწერეთ მისი გამოქვეყნების მიზნით.

1942 წ. იანვარში, როცა „იოანეს სახარების თარგმანება“ ვარიანტებითურთ გავამზადეთ სასტამბოდ, ჯერი ამ თხზულებაზე მიდგა. მაგრამ რადგან საკირო იყო თხზულების ავტორის გამორკვევა, ამიტომ თავისი კომპეტენტური აზრის გამოსათქმელად ჩვენ იგი ვაჩვენეთ პ. ინგოროყვას, რომელმაც თხზულება ლიპარიტისეულად ცნო და მისი გამოქვეყნება გვირჩია<sup>2</sup>.

ჩვენი ძეგლი მოთავსებულია „იოანეს სახარების თარგმანების“ ბოლოს და შეიცავს in quarto დაწერილ ორს ეტრატის ფურცელს. ზომა 45×31 სმ. ნაწერისა 36<sup>1</sup>/<sub>2</sub>×23<sup>1</sup>/<sub>2</sub> სმ. ხელი, თარგმანების ტექსტთან შედარებით, უფრო წვრილია (ალბათ, საწერი მასალის ნაკლებობამ აიძულა მწერალი ასე მოქცეულიყო). ტექსტი საერთოდ კარგად იკითხება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მცირეოდენ გადასულ ადგილებს, რომელთა აღდგენა კონტექსტის მიხედვით არც

<sup>1</sup> ესარგებლობ შემთხვევით, რომ გულითადი მადლობა გამოვუცხადო ქუთაისის „მზარეთ-მცოდნეობის მუზეუმის“ კოლექციის საერთოდ და კერძოდ კი—მუზეუმის დირექტორს ანზ. მ. გოგსაძეს და უმცროს მეცნ. თანამშრომლებს: ქ. სანიკიძესა და მ. ლეჟავას; იქ ყოფნისას ჩემთვის ხელის შეწყობისა და კარგი სამუშაო პირობების შექმნისათვის.

<sup>2</sup> ჩემს მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მადლობა მოვასუნო პ. ინგოროყვას ლიპარიტის თხზულებასთან დაკავშირებულს თავაზიან რჩევა-დარიგების მოცემისა და ზოგიერთი ლიტერატურული წყაროს მითითებისათვის.

ისე ძნელია. რადგან ეს თხზულება ანდერძს არ წარმოადგენდა და არავითარ ისტორიულ ცნობას არ იძლეოდა, თ. ქორდანიას აღარ დაუბეჭდავს ქრონიკებში.

### III

#### ძეგლის ორიგინალურობის შესახებ

ჩვენი ძეგლის უეჭველ ორიგინალურობაზე მიგვითითებს ტექსტისა და მასზე მიყოლებული ანდერძის ურთიერთობა. მეორე პირველის გაგრძელება და ორგანული ნაწილია. მართლაც-და, ყოვლად შეუძლებელია ტექსტი დასრულებულად ჩავთვალოთ იქ, სადაც ნუსხური ხელი მთავრდება. ამ აზრის დასადასტურებლად მოვიტანოთ ტექსტის ბოლო: «რომელნი აწ მოძღურებათა მათთაჲ შეჰმზადეს არამთუ ქუეყნითი-ქუეყანად მიმყვანებელი, არამედ ქუეყნით ცად აღმყვანებელი სულისა და გონებისა მართლ-მორწმუნეთაჲსა; ამათ ყოველთა მეოხებითა და თანა შეწევნითა». ამ უკანასკნელ სიტყვაზე წყდება ნუსხური ხელი და აქ წერტილის დასმა ყოვლად შეუძლებელია. ხოლო თუ ტექსტს გადავაბამთ ანდერძის დასაწყის სიტყვებს «მე ლიპარიტ, ძემან სულკურთხეულისა» etc., მაშინ ანდერძს ტექსტის ბუნებრივ გაგრძელებად ჩავთვლით.

რომ ტექსტის ბოლო მოთავსებული იყოს ფურცლის უკანასკნელ სვეტზე (მაგ., 484v/b-ზე), მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრა ტექსტის გაგრძელება მომდევნო დაკარგულს ფურცელზე, მაგრამ აქ ასე როდია; ტექსტი (ე. ი. ნუსხური ხელი) თავდება 484v/a-ზე, და ცოტა ხარვეზით, იმავე გვერდის იმავე სვეტში იწყება ლიპარიტის ანდერძი მრგლოვანით დაწერილი.

ჩვენი საბუთები, რომლებიც ზემოთ გამოთქმულ აზრს კიდევ უფრო ამტკიცებს და უდაოს ხდის, შემდეგია:

1. არც ერთი დღემდე ცნობილი ანდერძი ლიპარიტისა ისე არ იწყება, როგორც ჩვენი ტექსტის შემდეგ მოთავსებული ანდერძი. ყველა ანდერძი იწყება „ღმერთის“ „ქრისტეს“, „სამება წმიდის“ „უფლის“ და სხვა რელიგიური ატრიბუტების მოხსენებით, და შემდეგ მიჰყვება დასახელება ლიპარიტისა, მისი მშობლებისა და შვილების (იხ. ანდერძები №№ 1, 2, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13, 17, ქრონიკები I, 190—194); ხოლო რაც შეეხება № 18 ანდერძს, მხოლოდ ამას შეაქვს დისონანსი ლიპარიტის ანდერძთა სტრუქტურაში და უშუალოდ ლიპარიტის დასახელებით იწყება: «მე ლიპარიტ, ძემან სულ-კურთხეულისა» etc. რაშია საკმე? საკმე ისაა, რომ ანდერძის დასაწყისად არის გამოყენებული თვით თხზულება, რომელშიაც მთელი მართლმადიდებლური კრედა მკერმეტყველურად გადმოცემული მხატვრულ სახეებში და უკანასკნელი ანდერძის თავისებურებაც მხოლოდ ამით აიხსნება და სხვა არაფრით.

2. № 17 ანდერძსა (ქრონიკები I, 194) და ტექსტის ზოგიერთ ადგილს შორის, თუ მცირეოდენ რედაქციულ სხვაობებს არ მივიღებთ მხედველობაში, ჩარული იდენტურობა არის, მაგალითად:



## ტექსტით

## ანდერძით

1. და ძლიერებითა ცხოველის-მყოფელისა წმიდისა ჯუარისაჲთა (90, 17).
2. მადლითა წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისაჲთა (90, 18).
3. მეოხებითა წმიდათა მოციქულთა (90, 18).
4. (მეოხებითა) მღვდლო-მოძღუართა, მოწამეთა და მამათაჲთა, რომელთა მკნედ-მოძღუაწებითა მათითა (90, 19).

1. ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველის-მყოფელისა ჯუარისაჲთა... (91, 13).
2. მადლითა წმიდისა და დიდებულისა წინამორბედისა და ნათლის-მცემელისა იოვანესითა (91, 12).
3. უხითა და ვედრებითა დიდებულთა წმიდათა მოციქულთაჲთა... (91, 15).
4. მეოხებითა ღირსთა წმიდათა მღვდლო-მოძღუართაჲთა, სანატრელთა და ღმერთ-შემოსილთა მამათაჲთა, მეოხებითა წმიდათა და კეთილად მძღვეთა ახოვანთა მკნეთა მოწამეთაჲთა (96, 16).

3. მესამე საბუთი გახლავთ ანდერძის ტექსტუალურ (თუ შეიძლება ასეთიქვას) ნაწილიდან მოსახსენებელზე ისეთივე გადასვლა, როგორც ჩვენს ძეგლშია: ... მეოხებითა წმიდათა და კეთილად მძღვეთა, ახოვანთა, მკნეთა მოწამეთა, მადლითა და სარწმუნოვებითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲთა, და მეოხებითა ყოველთა წმიდათაჲთა, რომელი საუკუნითგან სათნო ეყენეს ღმერთსა, მე ლიპარიტ ერისთავთა-ერისთავი» etc.

4. ჩვენს ძეგლსა და ლიპარიტის სახელით ცნობილ ანდერძებში საკვანძო საკითხი, რომელსაც მწერალი თავს დასტრიალებს, გახლავთ მართლმადიდებლური ეკლესიის ქება და მწვალებლობის განქიქება.

5. ლიპარიტის ანდერძები არ წარმოადგენს ტრადიციულ ანდერძებს, რომლებშიაც მხოლოდ მსასოებლის, ზეცისკენ ხელაპყრობილი მორწმუნის, ღალატისი ისმოდეს სულის ცხოვნებასა და ცოდვათა პატიების შესახებ, არამედ ისინი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხატვრული თხზულებებიცაა, რომლებშიაც არა იშვიათად იპოვის კაცი მშვენიერს სახეებსა და შედარებებს. სანიმუშოდ მოვიტანოთ ორი: «წმიდაჲ ესე წიგნი, თარგმანებული წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ, რომელმან ოქროჲსა მდინარითა მორწყუნა გულნი მორწმუნეთანი». ან და იქვე: «რამეთუ დასტკბნეს გონებასა ჩემსა თაფლ-მწოთოლვარენი ესე სწავლანი მისნი» (ქრონიკები I, 191).

ყველა ზემოთ მოტანილი საბუთის გათვალისწინების შემდეგ ჩვენ დამტკიცებულად მიგვაჩნია, რომ ქვემოთ დაბეჭდილი თხზულება სახელწოდებით „მართლ-მადიდებლობისა და მწვალებლობისათჳს“ ლიპარიტ ლიპარიტის ძის ორიგინალური ნაწარმოებია.

<sup>1</sup> რადგან № 17 ანდერძს დამატების სახით აქვე ვებეჭადვთ, ამიტომ პარალელურ ადგილებს არ ვამრავლებთ.

## IV

## ლიპარიტის პიროვნებისათვის

ამაყმა და ქედმოუხრელმა მეფემ გიორგი I-მა მთელი მისი ხანმოკლე სი-  
ცოცხლე შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში გაატარა და თავის შვილს,  
ბაგრატ IV-ს, ეკონომიურად გაჩანაგებული და პოლიტიკურად დაუძლურებული  
სახელმწიფო დაუტოვა სამეკვიდრეოდ. მისი შინაური მტრები დიდებული აზნა-  
ურები იყვნენ, ხოლო გარეშე მტერი არა შორეული მაჰმადიანური სახელმწიფო,  
არამედ ახლო მეზობელი, „ერთმორწმუნე სახელმწიფოს“ კეისარი ბასილი  
ბრძანდებოდა. ამ კეისართან უკანასკნელი ომი გიორგი I-მა ბასიანთან წააგო-  
1023 წელს<sup>1</sup> და იძულებული გახდა დასთანხმებოდა ზავის სამარცხენო პირო-  
ბებზე, რომელთა ძალითაც მას თითქმის მთელი სახელმწიფო ხელიდან გამოე-  
ცალა, და ამასთან ერთად ღვიძლი შვილი, 3 წლის ბაგრატიც, მივევლად წარე-  
გვარა 3 წლის ვადით ბიზანტიის სახელმწიფოს საჰემბპურობლის მიერ.

სამწუხაროდ, მამას შვილისათვის თითქოს თავისი ბედიც ეანდერძები-  
ნოს, არც ბაგრატი ყოფილა მაინცადამაინც ბედნიერი: შინაურსა და გარეშე.  
მტრებთან გამუდმებულს ბრძოლებს შეაღია მან მთელი თავისი ენერგია და  
ამის გამო, მემატინის სიტყვით რომ ვთქვათ, «ჟამთა მისთა დაწყნარება ქუე-  
ყანასა არა ჰქონდა» (ანასეული ქ. ცხ., 197 ა).

ბაგრატ IV-ის გარეშე მტრები იყვნენ: საბერძნეთის კეისარი კონსტანტინე  
VIII, განძის ამირა ფადლონი და თურქთა სულტანი. ხოლო რაც შეეხება ში-  
ნაურ მტრებს, ესენი იყვნენ იგივე დიდებული აზნაურები, რომელთა შორის  
უპირველესი ადგილი ეჭირა ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავს, რომელიც შეფეხ-  
თითქმის 20 წლის განმავლობაში (1040—1059) დაუნდობლად ებრძოდა და ამ  
ბრძოლის დროს არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა<sup>2</sup>.

ლიპარიტ ლიპარიტის ძის წინაპართაგან ჩვენი ისტორია იცნობს იმ ლი-  
პარიტს, რომელიც IX საუკუნის ბოლო წლებში ცხოვრობდა და რომელზედაც  
მემატიანე ამბობს: «და შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, ციხე  
კლდე-კართა» (ანასეული ქ. ცხ., 164 ა).

ხოლო რაც შეეხება ბაგრატ IV-ის თანამედროვე ლიპარიტს, რომლის პი-  
როვნებაც ჩვენ გვანტერესებს, მას არა მარტო მამა-პაპათა ნანდერძევი კლდე-  
კარი, არამედ ნახევარი საქართველო ხელთ ეპყრა, ამ დროს ერთ-ერთი უძლი-  
ერესი აზნაური იყო და მეფის შემდეგ პირველ გავლენიან პირად ითვლებოდა  
როგორც საქართველოში, ისე საქართველოს გარეთაც<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ქრონოლოგიას ყველგან ვღებულობთ აკად. ივ. ჯავახიშვილისას.

<sup>2</sup> ლიპარიტის ვარდა ბაგრატის დაუძინებელი მტრები იყვნენ აბაზას-ძენი, რომლებიც  
ისე გაკადნიერდნენ, რომ «შეპყრობდა მეფისაჲ ეგულებოდათ» და რომლებზედაც მეფე ვიორგი  
მთაწმიდელს ეუბნება: «რამეთუ მრავალ-გზის ჯელ მეყო და ვერ ოდეს განმემარჯუა» მათხელ  
(ათონის კრებული აღაპებით, საეკ. მუხ. გამ. 319—320, ხელნ. გვ. 74).

<sup>3</sup> ... ἐπὶ τῶν τῶν τε καὶ ἀνδρῶν βεβηγμένων καὶ μεγίστων καὶ τῶν Πατριάρχων  
Cedreni II, 572: [ლიპარიტი იყო] ჭკუითა და ვაჟაცობით სახელგანთქმული, და იბერიაში, ბა-  
გრატის შემდეგ, ყველაზე უფრო ძლიერი).

საქართველოში უგვირგვინო მეფეს, ლიპარიტს, საქართველოს საზღვრების იქითაც თავი მეფურად ეჭირა და მეფისგან დამოუკიდებლად უცხო ქვეყნებს, თურქეთსა და ბიზანტიას, უკავშირდებოდა. ბერძენები განსაკუთრებით დიდად დავალებულნი იყვნენ მისგან, რომელიც მათ არა ერთხელ მიჰშველებია თავისი ჯარით მტრებთან ბრძოლაში, და არაერთხელვე გაუმარჯვნიათ მისი მხნეობითა და ნიჭიერი სამხედრო მოქმედების შედეგად.

ყველა ზემონათქვამის შემდეგ არც გასაკვირველია, რომ ზვიადსა და გორხოს აზნაურს მეფისაგან მისადმი ანგარიშგაუწვევლობა და სახელმწიფო საქმეებში მისგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა თავისი თავის შეურაცხყოფადა და აბუჩად აგდებად მიელო და მეფეზე გული აეცრუებინა; ეს ასეც იყო: თავდაპირველად, სანამ ბაგრატის მცირეწლოვანი იყო და სახელმწიფო საქმეებს დიდებულები თავიანთ ნება-სურვილზე ჰმართავდნენ, ლიპარიტი მეფეს არ მტრობდა, ხოლო მის შემდეგ კი, რაც მეფე სრულწლოვანი გახდა და ლიპარიტის დაუკითხავად დაიწყო მოქმედება, შეურაცხყოფილი აზნაური თავის პატრონს მოსისხლე მტრად გადაეყიდა და მოსვენებას აღარ აძლევდა; რომ ეს ასე იყო, აი საამისო ფაქტებიც:

1028 წ., როდესაც ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე VIII-მ ნიკიტა პარაკიმომენის სარდლობით გამოგზავნა ჯარი საქართველოს წინააღმდეგ, «მოვიდა, ჩამოდგა და [მო]აოჯრნა იგივე ქუეყანანი, რომელნი ბასილი მეფესა მოეოჯრნეს» (ანასეული ქ. ცხ., 182 ს), მაშინ ლიპარიტი ბაგრატის მხარეზე იყო: მან შეკრიბა «სხუანიცა აზნაურნი», მტერს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და კლდეკარი არ დაანება, რის გამოც ბერძენთა მხედრობა იძულებული შეიქნა გაწბილებული უკან გაბრუნებულიყო. ასეთი მეგობრული ურთიერთობა ლიპარიტსა და ბაგრატ IV-ს შორის გაგრძელდა 1032 წლამდე, ამ წლიდან კი იწყება ახალი ფაზა მათ შორის დამოკიდებულებისა.

1032 წელს<sup>1</sup> ქართველთა დიდებულებს: ლიპარიტ ლიპარიტის ძესა, ივანე აბაზას-ძესა და ქართლის ერისთავს დიდებულნი იღვა დაებადათ: გაეთავისუფლებინათ თბილისი არაბთა ოთხ-საუკუნოვანი ბატონობის უღლისაგან; ამ მიზნით გამოიტყუეს მათ ამირა ჯაფარი მუხათ-გვერდს, შეიპყრეს, ამყოფეს დიდხანს პატიმრობაში, წაართვეს ბირთვისის ციხე და შემდეგ ტყვე გადასცეს ბაგრატს დასასჯელად. მაგრამ ნაცვლად დასჯისა «შეიწყალა აფხაზთა მეფემან და გაუტევა ტფილისს [ზედა ამირად]» (ანასეული ქ. ცხ., 184 ს).

მეფის ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯი მისი მცირეწლოვანებით შეიძლებოდა გაემართლებინა და ეპატებინა კაცს, მაგრამ ლიპარიტმა არაფერს ანგარიში არ გაუწია და «მიერთვან დარჩა მტერობა ლიპარიტსა და ამირას შუა» (ანასეული ქ. ცხ., 184 ს).

ანალოგიური ამბავი განმეორდა ხუთი წლის შემდეგ, ე. ი. 1037—1038 წლებში, როცა ლიპარიტის რჩევით ბაგრატ IV-მ გადაწყვიტა თბილისის საამიროს საქართველოზე შემოერთება და ამ მიზნით მოკავშირედ მოიწვია კახთა მეფე გაგიკი, სომეხთა მეფის დავითის შვილი, მოკლული კვირიკეს დისწუ-

<sup>1</sup> თ. ქორდანიას მიხედვით კი 1042—1045 წლებში (იხ. ქრონიკები I, 199).

ლი. მოკავშირეთა ჯარების მიერ თბილისი ალყაშემორტყმული იყო სრული ორი წლის განმავლობაში და ისე გაუჭირდა ამირასა და მის ჯარს, რომ შეჰკრეს ტივები და გაამზადეს ნაეები ღამით განძას გასაპარავად; მაგრამ ზოგიერთმა დიდებულმა, რომლებსაც ეშინოდათ ლიპარიტის კიდევ უფრო გაძლიერებისა, ურჩიეს მეფეს არა გაძევება ამირასი და ლიპარიტისაგან ფარულად «დაამკვდრეს ამირა ტფილისსავე ზედა» და «მიერთგან შეიქმნა ლიპარიტ ქუე-გამხედვარად თავის პატრონისგანა-ო—დასძენს მემატთანე (ანასეული ქ. ცხ., 185 1<sup>ა</sup>). ჩვენი ისტორიკოსის მიხედვით ისე გამოდის, რომ ეს უაზრო და აჩქარებული ზავი დიდებულებმა მეფეს ლიპარიტის სამტროდ დაადებინეს; ასევე გაუგია ეს ფაქტი თვით ლიპარიტსაც და ჰქონდა კიდევაც მიზეზი მეფესთან აშლისა და ორგულობისა, რომ მართლა ასე ყოფილიყო. მაგრამ, არაბი ისტორიკოსის ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ თბილისზე ალყის მოხსნა სულ სხვა მიზეზით ყოფილა გამოწვეული: იბნ ალ-ასირის მიხედვით ქართველებმა შეიტყვეს, რომ სელჩუკიანნი ამირას მოსაშველებლად მოდიოდნენ, რომ მათ გზადაგზა სომხეთი უკვე აეობრებინათ; ამიტომ ქართველებმა სელჩუკიანთა შიშით ქალაქ თბილისს მსწრაფლ ალყა მოხსნეს (Defremeri Frag. 483). თუ ეს მართლა ასე იყო, მაშინ ჩვენი დიდი ისტორიკოსის, აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმისა არ იყოს, «ბაგრატიონისა და დიდებულთა გადაწყვეტილება გონიერული და ფრთხილი იყო» (ი. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია II, 435), და სხვანაირი მოქმედება ქართველების მხრით იქნებოდა ყოვლად გაუმართლებელი. აბა რა აზრი ექნებოდა თბილისის ალებით მთელი საქართველო საჯიჯვანდა და გასავერანებლად ხელში ჩაეგდოთ გამძევარებული მტრისათვის? მაგრამ აქ შეიძლება კაცს კითხვა დაებადოს: თუ მართლა ასე იყო და ლიპარიტმაც იცოდა თურქ-სელჩუკიანთა დაძვრის ამბავი, რატომ მაინც წინააღმდეგი იყო თბილისზე ალყის მოხსნისა? ჩვენი აზრით, თუ ლიპარიტ ლიპარიტის ძემ ეს ამბავი იცოდა და მაინც ამირას გაძევების მიზნით ალყის მოუხსნელობის მომხრე იყო, მაშინ ორში ერთია: ან ლიპარიტს, ვითარცა მხედართმთავარს, არ ჰქონია შორსმჭვრეტელობა, ან და დიდი გამხედვაე სტრატეგოსი ყოფილა; ძლიერი ჯარი ჰყოლია და გამკლავების იმედი ჰქონია. პირველის გაზიარება, ეგონებთ, მის მტრებსაც არ შეუძლიათ და უკანასკნელის შესაძლებლობაში, ვინც ლიპარიტის პიროვნებას იცნობს, მგონი არავენ დაეკედეს.

ორი ზემოდასახელებული ფაქტი (ამირას გაშვება და თბილისზე ალყის მოხსნა), ლიპარიტის ბაგრატ მეფისადმი გაორგულების ფაქტებია და შეტი არაფერი. ხოლო ნამდვილი მტრობა მათ შორის 1040 წლიდან იწყება<sup>1</sup>.

<sup>1</sup> რომ ეს ასეა, ამის დამადასტურებელ ფაქტად ისიც კმარა, რომ როდესაც 1035 წელს დვინის ამირა სომხეთს შეესია და სომხეთის მეფემ დავითმა დახმარება ბაგრატ IV-ს სთხოვა, მეფეს თავიანთი ჯარებით მიეშველნენ: კახელები, მეფე გაგიკის ხელმძღვანელობით, თბილისის ამირა ჯაფარი და მეფის ჯარი, ლიპარიტისა და ივანე აბაზას-ძის ხელმძღვანელობით. როგორც ცნობილია, მოკავშირეებმა დვინის ამირა სასტიკად დაამარცხეს და სომხეთის საზღვრებიდან განდევნეს (იხ. ანასეული ქ. ცხ., 184 1<sup>ა</sup>). მაშასადამე, 1036 წელს ლიპარიტი არამც თუ მტერი ყოფილა მეფისა, არამედ მოკეთე და სანდო პიროვნება, რომელსაც ხელმწიფის ჯარის სარდლობა დაჰკისრებია.

თბილისზე ალყის მოხსნისა და ამირასთან ზავის შეკერის შემდეგ ბაგრატ მეფემ, რომელსაც უთუოდ საქართველოს გაერთიანების იდეა ამოქმედებდა, გაილაშქრა მისი გუშინდელი მოკავშირის, კახეთის წინააღმდეგ. მან მიიმხრო აშოტ მარილელ მთავართან ერთად სხვებიც, შეუხდა კახეთის მეფეს მიქელ-გაბრიელის მთაზე, შეება და ამ ბრძოლაში შეიპყრო: პანკისის ერისთავი სტეფანოზ ვარჯანის-ძე, ხორნაბუჯის ერისთავი ვაჩე გურგენის-ძე, შტორისა და მაქელის ერისთავი დაჯედ, დისწული გოდერძისა; აქედან ის გადავიდა თიანეთში და დასწვა კვირიკე მეფის მიერ აგებული ბოდოჯის დარბაზი. მაგრამ შინაურმა არეულობამ აიძულა მეფე წარმატებით დაწყებული ბრძოლისათვის თავი დაენებებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო (ანასეული ქ. ცხ., გვ. 185). ამ აქედან დაიწყო ლიპარიტმა აშკარა და სისხლიანი ბრძოლა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ<sup>1</sup>.

ამ გალაშქრებიდან ცოტა ხნის შემდეგ ლიპარიტმა შემოიყვანა საქართველოში ბერძენთა მეფის ლაშქარი, გადმოიყვანა ბაგრატის ძმა დემეტრე, რომელსაც ის ქართველთა მეფედ ვარაუდობდა, და რითაც მან საქართველოს განხეთქილებას მიიღწია (გადაიბირა და მიიმხრო ზოგი დიდებული), ღმრთულს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენსა და მოწუეს არე-არე ქართლი» (ანასეული ქ. ცხ., გვ. 185 ა).

აქ შეჩერდა ლიპარიტის საომარი ოპერაციები ისე, რომ მას ატენი. აუღებელი დარჩა, რადგანაც ბერძენთა ჯარმა მოახლოებული ზამთრის სუსხით შეშინებულმა, ინება სამშობლოში დაბრუნება, ხოლო რადგან ლიპარიტს მარტო თავისი ჯარით არ შეეძლო მეფის დამარცხება, ამიტომ ზავი ააჩიო. მეფემ კი, ორგული აზნაურის გულის მოსანადირებლად დაუძინებელ მტერსა და მოლატეს «უბოძა ქართლის ერისთაობა» (იქვე, 186 ა). ლიპარიტის ეს პირველი განდგომა უნდა მომხდარიყო, აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, 1044—1045 წლებში (ქართველი ერის ისტ. II, 437).

ამ პირველ განდგომასთან დაკავშირებით შეიძლება ასეთი საკითხი დაეზადოს კაცს: რატომ მაინცაღამაინც ბაგრატის კახეთზე გალაშქრების შემდეგ

<sup>1</sup> აკად. მ. ბროსეს აზრით «მღუეზი იმით (ე. ი. ბაგრატ IV-სა და ლიპარიტს, მ. კ) შორის მტრობისა და შურისძიებისა იყო ის შეურაცხყოფა და გაუპატიურება, რომელიც ბაგრატმა ლიპარიტის ცოლს შეამთხვია» (საქ. ისტ. I, 140).

ლიპარიტსა და ბაგრატს შორის ჩამოვარდნილი მტრობის აშკარი ახსნა, სხვათა შორის, მომდინარეობს კედრენიდან, რომელიც სწერს: *Ἰγὸς ἄγαθὸς τῆς δυνάστεως ἔπειθε τὸν δεσποτὸν Ἰωάννην ἀποστῆναι ἀπὸ τῆς ἀρχῆς* (Georgis Cedreni Hist. comp. t. II, 572 ა). სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიის დიდი მოამაგის, მ. ბროსეს ცნობა კედრენის ამ ბერძნული ციტატის თარგმანს წარმოადგენს. სამწუხაროდ მეთქი იმითმ ვამბობ, რომ ჩვენი ისტორიის საფუძვლიან მცოდნე ისტორიკოსს არ უნდა მოსვლოდა ისეთი შეცდომა, როგორც მოუვიდა ბიზანტიის ეპითალამწერელს, რომელიც ყურმოკრული ამბებით აკოწიწებდა ზოგჯერ თავის ისტორიას.

კედრენის ამ ცნობიდან გამოდის, რომ 1048 წლამდე მეფესა და ლიპარიტს შორის მტრობა არ ყოფილა და რომ მათ ბრძოლას პირადული სარჩული სდებია მხოლოდ. არაა სწორი: სუვერენსა და ვასალს შორის სისხლიანი ბრძოლა 1040 წლიდან დაიწყო და ამ ბრძოლას არა პირადი, არამედ სოციალური მიზეზები ედო საფუძვლად (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართლ-სამართლის ისტ., წიგ. II, ნაკვ. II, 123).



შემპართა იარაღი ლიპარიტმა საქართველოს მეფის წინააღმდეგ? ჩვენის აზრით იმიტომ, რომ მან ეს ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია და, თუ დღეს მეფე კახეთს შემოიერთებდა, ხვალ ჯერი ლიპარიტის სამფლობელოს შემოერთებაზე მიდგებოდა.<sup>1</sup>

რაც შეეხება საქართველოს გაერთიანების იდეას, მას დიდებული აზნაურები დიდად არ თანაუგრძობდნენ იმიტომ, რომ მათს უსაზღვრო უფლებებს თვითმპყრობელი მეფე მტკიცე საზღვარს დაუდებდა; ამის გამო, უქვეყელია, გავლენიანი აზნაურობა არც თუ ძალიან მოწადინებული იქნებოდა, რომ საქართველოს ბატონი მეტის-მეტად გაძლიერებულიყო-ო, სამართლიანად შეჰნიშნავს ივ. ჯავახიშვილი<sup>2</sup> (ქართ. სამართლის ისტ., წიგ. II, ნაკ. II, 124).

ლიპარიტის გულის მოგება ბაგრატ IV-მ ვერ შესძლო იმიტომ, რომ განა ლიპარიტი უბრალო და შცირე აზნაური იყო, რომ ზავი ზავად მიეჩნია, მეფის მიერ ნაწყალობევი პატივი დიდ ბედნიერებად, ლმობიერი მოპყრობის საპასუხოდ მეფეს ფხეებში ჩაპვარდნოდა და სიკვდილამდე პატრონის ყურმოჭრილ მონად დარჩენილიყო! ლიპარიტი სულ სხვა ბუნების დიდებული აზნაური გახლდათ: მას ზავი ფიქტად მიაჩნდა, ქართლის ერისთავობის პატივი—მცირე საჩუქრად (რომელსაც დღეს აძლევენ და ხვალ წაართმევენ), და ლმობიერი მოპყრობა,—მისდამი შიშით ნაკარნახევ საქციელად. აი, ამიტომ, მან 1046 წ. ბოლოსა და 1047 წლის დასაწყისს კვლავ განაახლა ბრძოლა მეფის წინააღმდეგ: გამოიყვანა ანისში დადგენილი არტანუჯისა, ხიხათა და ციხის-ჯვრის ერისთავი აბუსერი, აწყურის ციხის პატრონი, ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და შეიპყრა იგინი ანისის კარსა. ამ ამბით შეძრწუნებულმა მეფემ ანისს თავი დაანება, დასტოვა თბილისიც და გავიდა ჯავახეთს. მაგრამ რადგან ამ დროს მას მაწყვერელმაც უღალატა და ლიპარიტს მიემხრო, შიშით თავზარდაცემული მეფე იძულებული შეიქნა «ზამთრისა ბუქთა საშინელთა» შავშეთიდან ქართლში გაქცეულიყო (ანასეული ქ. ცხ., 187 ა).

ლიპარიტმა ახლაც მიჰმართა ერთხელ უკვე მის მიერ გამოყენებულ ხერხს: გამოიყვანა საბერძნეთიდან ბერძენ ჯართან ერთად ბაგრატის ძმა დემეტრე, რომლის გამოჩენამაც «განხეთქა ამის სამეფოსა კაცნი: რომელნიმე წარუდგინა [დემეტრეს] და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულობასა შინა» (ანასეული ქ. ცხ. 187 ა); და რადგან ზავის მიხედვით მეფეს ლიპარიტის შვილი ივანე ჰყავდა მძევლად, ხოლო ლიპარიტს აბუსერ ერისთავი, ლიპარიტმა შვილი ისხნა განსაცდელისაგან და სამაგიეროდ გაუშვა აბუსერი.

მიუხედავად ამისა ბრძოლა მაინც მოხდა: ლიპარიტისა და ბერძენთა ჯარები შეეტაკნენ ბაგრატისას სასირეთის ქალის თავს, სადაც კვლავ შეიპყ-

<sup>1</sup> ჩვენის აზრით შემტდარია მ. ჯანაშვილი, როდესაც ფიქრობს, რომ კახეთის წინააღმდეგ გალაშქრებით ბაგრატ IV-ს, თითქოს, მის მიერ ამირას გაშვებით უკმაყოფილო კახელ-დიდებულების დასჯა ნდომოდეს მხოლოდ და სხვა არაფერი (მ. ჯანაშვილი, საქ. ისტ., გვ. 85).

<sup>2</sup> ბედნიერ გამონაკლისს ამ მხრივ იოანე მარუშის-ძე წარმოადგენდა, რომელმაც საქართველოს გაერთიანების საქმეში დავით დიდ კურაპალატსა და ბაგრატ III-ს დიდი დახმარება გაუწია (იხ. ანასეული ქ. ცხ., 172).



რეს აბუსერი და სხვა დიდებულებიც (იქვე, 187 ა). მართალია, ამ ბრძოლის შემდეგ დემეტრე ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ ლიპარიტის მტრობამ მინც დიდ საგონებელში ჩაავდო ბაგრატ; და რომ მას საქართველოს განხეთქილება თავიდან აეცილინა, შესარიგებლად მცირე ცხენოსნებით მივიდა სოფ. ხოვლეში და სთხოვდა ლიპარიტს შერიგებას. მაგრამ «რა ცნა ლიპარიტ მოსულა მისი, არა ნახა, გარიდა მუნით, შეიქცა და წარვიდა აფხაზეთს» (ანასეული ქ. ცხ., 188 ა). ეს უკანასკნელი მაგიური საქციელი ლიპარიტისა შეიქნა „დამადასტურებელ საბუთად“ ბიზანტიის ჟამთააღმწერლის კედრენის 1048 წლის თარიღის ქვეშ მოთხრობილი ცნობისა, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ვითომც, რადგან ბაგრატმა პირადად ვერა დააკლო რა ურჩ აზნაურს, ცოლა გაუშუპატიურა<sup>1</sup>. ხოლო ლიპარიტმა მეფე დაამარცხა, კავკასიის მთებში განდევნა, დაესხა თავს მეფის სასახლეს აფხაზეთში და ძალით ბაგრატის დედას ნამუსი აპხადაო (cit. op. II, 572—573).

ეს ცნობა საქართველოს ისტორიაში ხელი-ხელ საგოგმანებელ ცნობად იქცა, ისტორიკოსთა დიდმა უმეტესობამ იგი ლიტონ ქვეშარიტებად მიიჩნია და თავიანთ თხზულებებშიაც სხვადასხვა ვარიანტებითა და ნუანსებით შეიტანეს (იხ. მ. ბროსე, საქ. ისტ., ნაწ. I, 140, დ. ბაქრაძე, „ბაგრატ IV“, გვ. 26, მ. ჯანაშვილი, საქ. ისტ., ზ. ჭიჭინაძის გამ. 1884, გვ. 88). მხოლოდ განსვენებული აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი დაექვდა ამ ცნობის სინამდვილეში და ხაზი გაუსვა სამ მომენტს: 1. რომ, ამგვარი შურისძიება და მტრობა ბიზანტიაში მიღებული ყოფილა, 2. რომ საქართველოს შესახებ ეს ერთად-ერთი ცნობილი მაგალითია და 3. რომ ამ საზიზღარი საქციელის შესახებ არც ქართველი, არც სომეხი ისტორიკოსები არას ამბობენ (ქართ. ერის ისტ. II, 440).

მართლაცდა, რადგან ასეთი სამარცხვინო საქციელი ბიზანტიაში მიღებული იყო, იმ ქვეყნის მწერალს, რომლის ტონი ქართველთა და სომეხთა მეფეებისადმი მუდამ მედიდური და დამამცირებელია (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. II, 391), ადვილად შეეძლო მტრის პირიდან გამოსული ჭორი სინამ-

<sup>1</sup> დ. ბაქრაძის აზრით, მეფის საქციელი „მისი დედათ-მოყვარულობის“ გამო ჩაუდენია და «ამ უპატიურობის სახლვეველად ლიპარიტმა ბრძოლა აუტყნა ბაგრატს, რომელიც დაამარცხა და განდევნა მთებში»-ო, —სწერს იგი (იხ. ვახუშტის ისტ. 159, სქოლიო).

ბაგრატ IV-ის „დედათ-მოყვარულობის“ ამბავიც კედრენიდანვე მომდინარეობს: **Πατριάρχης** **δὲ τῆς Ἰβηρίας ἀρχιεὺς** **ἄχβλᾶτος** (= აღგიარასნილი, თავაშვევული, უხნეო) **ἔγγραφεν**, **ὅτι τὸν Ἀπαρτίου τῆς καινῆς ἑξομῆρας...** **ἵνα** **ἀγαθῶς** **τινῶν** **ἐπὶ τὸν ἑαυτοῦ δεσποτικῶν ἔργων ἕνεκα** **ἡμῶν** **ἀγαθῶν** **καὶ** **παιδείας** **τινῶν** **ἑαυτοῦ** **ἕνεκα** **τῶν** **Καταστάσεων**—ო, —სწერს კედრენი, რომლის უმეტ-ნაკლებო ქართულ თარგმანსაც ზემოთ მოყვანილი დ. ბაქრაძის ციტატი წარმოადგენს.

სხვათა შორის უნდა შევნიშნოთ, რომ ბაგრატის „დედათ-მოყვარულობა“ ისტორიაში ცნობილი არაა და ამდენად ის კედრენისავე „აღმოჩენად“ უნდა ჩაითვალოს.

რომ ბაგრატის ასეთი მიღრეკილების პიროვნება ყოფილიყო, ამას შემეტანე და გიორგი ხუცეს-მონაზონიც არ დაჟარავდნენ ისევე, როგორც არ დაჟარეს ჩვენმა მწერლებმა და ჟამთააღმწერლებმა ასეთი საქციელი აშოტ კურაპალატისა, ადარნესისი (გ. მერჯული, ცხ. გ. გრიგოლ ხანძთელისა... ნ. მარის გამ. გვ. 56, წ. 5, სტრ. 4 და გვ. 60, წ. 5, სტრ. 1) ლაშა გიორგისა და დიმიტრი თავდადებულის (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია III, 6, 110).

დვილედ მიედო. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ეს ცნობილი „ფაქტი“ ერთადერთია საქ. ისტორიაში, მრავლის მეტყველია. განა ბაგრატ IV ქართველ მეფეებში ყველაზე რეგენი, უგუნური და ზნედაცემული იყო, რომ ასეთი მდებარე საქციელი ჩაედინა?! პირიქით, იგი ჩვენი მემკვიდრის დახასიათებით იყო «სრული სიბრძნითა და ფილოსოფოსი ენითა» (ანასეული ქ. ცხ. 197<sup>26</sup>).

ხოლო ჩვენის მხრით ვიტყვით, რომ ბაგრატ მეფე ამ საზიზღარ საქციელს არ ჩაიდენდა შემდეგი მოსაზრებით: ა) ამით მეფე ლიპარიტთან შესარიგებელ გზას საბოლოოდ გადაიჭრიდა და სამუდამოდ დაპყრობადა სამეფო ტახტს; ბ) ბაგრატიონიანი მეფე, რომელიც თავის თავს დავით წინასწარმეტყველისა და ღვთის შთამომავლად აკი სთვლიდა (ივ. ჯავახიშვილი, სამარ. ისტ. წ. II, ნაკ. II, 119), დაიცემდა ავტორიტეტს ხელქვეითთა შორის, რაც მეფისათვის მომავალში დიდად საზიანო იქნებოდა.

ყველა ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კედრენის ეს ცნობა ან მტრის პირიდან გამოსული და ყურმოკრული ქორია ბიზანტიური მეტრით ვაზომილი და ქეშმარიტების იარღილით ისტორიაში შეტანილი, ანდა თვით ბიზანტიელი მწერლის მიერ მოგონილი ამბავია ქართველ მეფე-დიდებულთა ჩირქის მოსაცხებლად და დასამცირებლად<sup>1</sup>.

მაშ, რა იყო მიზეზი იმისა, რომ ლიპარიტმა სოფ. ხოვლეში მეფე აარა ნახა, გარიდა მუნიი და შეიქცა? ამის მიზეზი, ჩვენის აზრით გახლდათ ის, რომ მეფესთან ლიპარიტი მინცადამინც პირნათლად ვერ იყო და ბაგრატის წინაშე უნდა წამდგარიყო როგორც სამშობლოს მოღალატე (ბერძენთა ჯარის საქართველოში შემომყვანელი). და ვინ იცის, იქნება მოთმინებიდან გამოსულ მე-

<sup>1</sup> ლიტერატურაში გამორკვეულია და სადავოდაც არავის მიაჩნია ის ამბავი, რომ ბიზანტიის XI—XII საუკუნის ჟამთააღმწერლის გ. კედრენის თხზულებები სახელწოდებით „*Ἐπιστολὴ τῷ Ἰωαννῆνι*“ („მსოფლიო ქრონიკა“) წმინდა წყლის კომპილაციური სახის ნაშრომებია და შედგენილია სკილიცეს, გიორგი სინკელისის, თეოფანეს და სხვათა მიხედვით. (კომპილაცია ბიზანტიის ჟამთააღმწერლებში მიღებული იყო და არამც თუ პლაგიატობად, არამედ საესებით სამართლიან საქმედაც კი ითვლებოდა).

ავტორი იმდენად მოკლებული ყოფილა ორიგინალურობას, რომ მას, ასე ვასინჯეთ, ვეღარ მოუხერხებია წინასიტყვაობის დაწერაც კი, და ის სიტყვასიტყვით გადმოუწერია სკილიცედან. რომლისაგანაც ის (ე. ი. გ. კედრენი) ყველაზე მეტადაა დავალეული. ასე, მაგალითად, 811 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1057 წლამდე (ე. ი. ის წლები, რომლებიც ჩვენ გვიანტერესებს) მისი ისტორია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამოშვებულ ადგილებსა და წინასიტყვაობის შესალაშინება-შესწორებას, პირწმინდადაა გადმოწერილი სკილიცედან და მას, კ. კრუმბახერის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, ღირებულება ექნება მხოლოდ მანამდე, სანამ სკილიცეს სრული ბერძნული ტექსტი არ იქნება გამოქვეყნებული (იხ. Очерк истории Византии, под редакцией и с предисловием В. Н. Бенешевича, вып. III, стр. 111).

მაშასადამე, გამოდის, რომ ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტის შესახებ ყალბი ცნობების გავრცელებაში ბრალი მიუძღვის არა გ. კედრენს, არამედ სკილიცეს, რომლის პოპულარიზატორიდაა მხოლოდ პირველი და მეტი არაფერი.

აქ იბადება კითხვა: საიდან უნდა მომდინარეობდეს სკილიცეს ეს „ცნობები“? ჩვენის აზრით უთუოდ ზეპირგადმოცემებიდან, რომლებითაც სკილიცე ხშირად აესებდა წინამორბედ ისტორიკოსების თხზულებათა ხარვეზებს (იხ. დასახელებული შრომა, გვ. 110).

ყველა ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენის აზრით, საჭიროა, რომ მეტი სიფრთხილე გამოვიჩინოთ ბიზანტიელ ჟამთააღმწერელთა ცნობების გამოყენებისას.

ფეს მისთვის დამახასიათებელი სულგრძელობა ვერ გამოეჩინა და ურჩი და მარადის მემბოხე ყმა შესაფერისად დაესაჯა. გარდა ამისა, ლიპარიტს კარგად ეცოდინებოდა, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის თავგამოდებულმა მეფემ, ბაგრატ III-მ, არამც თუ ურჩი და გაუსწორებელი აზნაურები, არამედ მორჩილნი, და ამავე დროს მოკეთე დიდებულებიც არ დაინდო; მან ისინი მიიტყუა, დააპატიმრა, ციხეები წაართვა და საპატიმროებში ჩაპხოცა (იხ. სუმბატის „ცა და უწყება“ 66, 67 და ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. II, 421). ბაგრატ IV-ის მიერ კახეთის წინააღმდეგ გალაშქრებაც ხომ ასეთივე მოვლენა იყო? ამიტომ და მხოლოდ ამიტომ ლიპარიტმა შეფესთან მისვლა ვერ გაბედა და გაიქცა<sup>1</sup>.

რადგან მშვიდობიანის გზით ბაგრატ IV-მ ლიპარიტთან ვერა გააწყო რა, სცადა ერთხელ კიდევ შეპბრძოლებოდა მას და სულა კალმახის ერისთვისა, გრიგოლ აბუსერისძის არტანუჯის ერისთვისა და სხვა მესხ აზნაურთა ჯარებით დადგა არყის ციხესთან. ლიპარიტმა თავის მხრივ კახნი, სომეხნი და ბეძენნი მოიშველია, „მიუწდა უგრძნაულად არყის ციხეს და შეიბნეს; სძლო ლიპარიტ და გააქცია მეფე“ (ანასეული ქ. ცხ., 188 12).

1047 წ. ლიპარიტმა მის მფარველსა და დამხმარე კეისარს დვინი დაუმორჩილა (იქვე).

1048 წ., როდესაც სულტანი იბრაჰიმ ალამიანი შეესია ბასიანს, ბერძენთა კეისარმა სთხოვა ლიპარიტს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში დაჰხმარებოდა. ლიპარიტიც დასთანხმდა და თავისი ლაშქრით მიემხრო. ამ ბრძოლაში ბერძენები სასტიკად დამარცხდნენ, ლიპარიტი ტყვედ ჩაიგდეს ხელში თურქებმა და ხვარასანში სულტანს მიჰგვარეს<sup>2</sup> (ანასეული ქ. ცხ. 188 26).

კედრენის ცნობით ირკვევა, რომ დატყვევებულ ლიპარიტზე დიდი მზრუნველობა გამოუჩინია ბიზანტიის კეისარს: „ჯერ კიდევ 1048 წელს თავისი ნოტარი გიორგი დროზი მიუგზავნია საჩუქრებითა და გამოსასყიდი ფულით

<sup>1</sup> ხოვლეში მომხდარი ამბავი, ჩვენის აზრით, აქ მოსატანიც არაა იმიტომ, რომ იგი 1046 წლის ბოლოსა და 1047 წლის დასაწყისს მოხდა (იხ. ივ. ჯავახიშვილის ქართ. ერის ისტორია II, 439), ხოლო კედრენის ცნობა მოთხრობილია 1048 წ. თარიღის ქვეშ და, ცხადია, შედეგი მოვლენის წინ ვერ მოხდებოდა.

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას აზრით ეს ომი ბერძენ-ლიპარიტის ჯარებსა და თურქებს შორის მოხდა არა 1048 წელს, არამედ 1050 წლის დამდეგს (იხ. ქრონიკები I, 198). აქ განსვენებული მკვლევარი უფლებებელაქოფს როგორც კედრენის ცნობას, რომელიც ლიპარიტის დატყვევების თარიღად 1048 წელს ასახელებს, ისე სინას მთის № 38 ხელნაწერის მინაწერს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია II, 443), სადაც ნათქვამია: „მოვიწიე ქორონიკონსა სრამას ჟამსა დავწერე ესე, ოდეს ლიპარიტ თორქთა გაუშვესო“. ქორონიკონი სრამა=1051 წელს (780+271) და თუ ამ წელს გაათავისუფლეს, ხოლო ტყვეობაში სამი წელი დაყო, როგორც ცნობილია, მაშინ ცხადია, რომ ის 1048 წელს დატყვევებულა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. II, 443). გარდა ამისა, ანაკოფიის ციხის, თბილისის საამიროს, კახეთისა და ანისის შემოერთებას ბაგრატი როგორ შესძლებდა, რომ ლიპარიტი საქართველოში ყოფილიყო ამ წლებში? ერთი სიტყვით, ყველა ფაქტი თ. ჟორდანიას თარიღის წინააღმდეგ ლაპარაკობს.

სულტანთან და ლიპარიტის განთავისუფლება, ზავი და მშვიდობიანობა უთხოვია<sup>1</sup> (cit. op. II, 580 ა).

ეს ფაქტი იმას ადასტურებს, რომ ლიპარიტი თავისი ჯარით ბერძენ კეისრისათვის საუკეთესო და ანგარიშგასაწევი ძალა ყოფილა.

ლიპარიტს ტყვეობაში დაუყვია 3 წელი და გაუთავისუფლებიათ 1051 წელს (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. II, 443). ტყვეობიდან განთავისუფლებული ლიპარიტი სწევია კეისარს და რადგან იგი (ე. ი. ლიპარიტი) «მსახურებისა მისისათვის ტყუე ქმნილ იყო» (ანასეული ქ. ცხ., 189 ა), ჯარიც გამოუტანებია და საქართველოში გამოუგზავნია. ცხადია, ბაგრატს არ შეეძლო ასეთს პირობებში მყოფ მეტოქესთან საქართველოში დარჩენა და 1054 წ. თავისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი ქუთაისს დაუტოვებია სამეფო ტახტზე და თვითონ საბერძნეთს წასულა კეისართან საჩივრელად<sup>2</sup>.

ბაგრატის საბერძნეთში ყოფნის დროს ლიპარიტმა სთხოვა უფლისწული გიორგი დედასა და დიდებულებს; მისცეს, აკურთხეს რუისის ტაძარში მეფედ, მცირეწლოვანი მეფის რეგენტობა თვითონვე იკისრა, ხოლო მოვლა-პატრონობა ბაგრატის დას, გურანდუხტ დედოფალს, დაავალეს და ამნაირად ლიპარიტი მთელი საქართველოს ფაქტიური მეფე გახდა (ანასეული ქ. ცხ., 189).

ბაგრატმა ვერც ისე ჩქარა მოაგვარა კეისართან საქმეები, როგორც თვითონ ვარაუდობდა: ლიპარიტის ხათრითა და მიკერძებით კეისარმა მას საქმე გაუქიანურა და მხრლოდ სამი წლის შემდეგ, ე. ი. 1057 წ. გამოისტუმრა საქართველოში.

ბიზანტიის კეისარმა, სარგებლობდა რა რომაული დევიზით *divide et impera*, მეფესა და მის აზნაურს საქართველო ასე გაუნაწილა: ბაგრატს რჩებოდა პატრონად და მეფედ მთელი იბერიისა და აფხაზეთისა, ხოლო ლიპარიტი — თავის სიცოცხლეში მესხეთის მთავრად მეფის სუვერენიტეტის ცნობით (კედრენი, cit. op. II, 573). მაგრამ ჩვენს შემატიანეს თუ დაუუჯერებთ, ლიპარიტს უფრო დიდი ტერიტორია დაუნარჩუნებია: სახელდობრ, ლიხის «ზემო კერძო დაუკლებელად» (ანასეული ქ. ცხ., 189 ა). ლიპარიტი კვლავ ძლიერი ყოფილა, «იყო მოყუარედ მისსა ხუარასანს დოღლუბეგ სურტანი და საბერძნეთს მეფე ბერძენთაო», — შენიშნავს შემატიანე (იქვე).

<sup>1</sup> Τὸν μὲν οὖν Διπαρίτην, ἄξ ἐπύθετο τὴν τούτου κατὰχρησὸν ὁ βασιλεὺς ἔλθω ἐγγύθεν ἀναρρῶσθαι, καὶ ὀρθὰ πωλατελεῖν καὶ λήτρα ἐπέμψας τῷ σουλτάνῳ τὴν Γεωργίου τὸν λεγομένον Δρόσο... ἐξαιτεῖται τὴν ἐλευθερίαν καὶ σπονδὰς εἰρήνης Georgii Cedreni II, 580 ა: მეფემ [ე. ი. ბიზანტიის კეისარმა, მ. კ.] შეიტყო თუ არა ლიპარიტის დატყვევება, ყველაფერი გააკეთა მის გამოსასხნელად: ძვირფასი საჩუქრები და გამოსასყიდი ფული გაუგზავნა სულტანს გიორგის ხელით, რომელსაც დროულს უწოდებდნენ, და სთხოვა [მისი] განთავისუფლება, მშვიდობა და ზავი).

<sup>2</sup> თ. ქორდანიას ქრონოლოგიით ლიპარიტი უნდა დატყვევებულიყო თურქების მიერ 1050 წელს, ხოლო ბაგრატი უნდა წასულიყო საბერძნეთში 1050 წლის ბოლოსა და 1051 წლის დასაწყისში (იხ. ქრონიკები I, 198). თუ ეს ასეა, მაშინ 1050—1051 წ. რალა მთარბენებდა ბაგრატს ბიზანტიის კეისართან საჩივრელად, როცა 1053 წლამდე (ე. ი. სამი წლის განმავლობაში) ლიპარიტი ხორასანს იქნებოდა ვითარცა ტყვე და საქართველოს ბატონობაში მეფეს შემცილებელიც არავინ ეცოდებოდა?! აქ ქრონოლოგიური აღრევა ხომ არ უნდა იყოს?

მაგრამ, მისი ბატონობისა და პარწაშის დასასრულიც მოახლოვდა: მისგან თავმოებწრებულმა მესხეთის დიდებულებმა სულა კალმახელის მეთაურობით, რომელსაც ლიპარიტისაგან ბევრი სიმწარე ეწვნია, შეიპყრეს ლიპარიტი და ძე მისი ივანე დლივის და მიჭვარეს ბაგრატს მსჯავრის დასადებად<sup>1</sup>.

ამის შემდეგ მეტი რაღა დაპრჩენოდა მახეში გაბმულ ახნაურს, ბერად აღიკვეცა. «გამოიღო თავისი ხუასტაგი, და ჩაიცუნა ჩოჯანი, შევედრა ძე თუისი მეფესა, ივანე, და დარჩა არგუეთის მამული ივანეს»<sup>2</sup> (ანასეული ქართ. ცხ., 190 ა).

ლიპარიტმა ამ დღიდან მოყოლებული დაიწყო პილიგრიმობა: მოილოცა წმინდა ადგილები და დაასაჩუქრა მონასტრები, რომ მისი სულის მოსახსენებლად ეწირათ. ამ დროს უნდა ეკუთვნოდეს ათონის კრებულში შეტანილი მისი აღაპი, სადაც ვკითხულობთ: «თუესა იანვარსა იზ, წმიდისა ანტონის დღესასწაული აღაპად განგვწესებია ლიპარიტისთჳს. რამეთუ მოვიდა წმიდასა ამას მონასტერსა და მოსცა ეკლესიასა წმიდისა ღმრთის-მშობელისა ასი დრაჰკანი, მამასახლისობასან მამისა თეოდორესსა, და მოგუცა ყოველსა ძმობასან სხუად ორმეოც და ათექუსმეტი დრაჰკანი—სამთა ერთი სამასსა სულსა; და რადჟამს მიიცვალა ესე, დღესასწაული წმიდისა მამისა ანტონისი საცხენებელად და სალოცველად სულისა მათისა დავაწესეთ, რათა აღესრულებოდის ყოვლითავე მოსწრაფებითა, ვითარცა მაშენებელთავე; ხოლო ეწოდებოდა სახელი მონაზონებისად ანტონი; ქრისტემან სანატრელ ყვენ სული მათი. ამინ იყავნ» (ათონის კრებული აღაპებით, საეკ. მუხ. გამ., გვ. 224, ხელნაწერი A/558, გვ. 375).

ლიპარიტი გარდაიცვალა 1064 წელს ქ. კონსტანტინეპოლში «და წარმოიყუანეს დიდითა დიდებითა ერთგულთა და გაზრდილთა მისთა, მოიყვანეს და დამარხეს კაცხს, სამარხოსა მამათა მათასა» (ანასეული ქ. ცხ., 191 ა).

<sup>1</sup> ცდება პროფ. მ. ჯანაშვილი, როცა ამბობს, რომ უკანასკნელად დაპატიმრებისას «მეფემ აპატია ლიპარიტს და ხელახლა დაუმტკიცა ყველა მისი საკუთარი მამულები და არგვეთი. ამაჲმა ლიპარიტმა აქ ვედარ მოისვენა სირცხვილისაგან, წავიდა კონსტანტინეპოლში და იქ გარდაიცვალა» (საქ. ისტ. გვ. 88). არაფერი ამგვარი არ მომხდარა. მეფემ ლიპარიტს აპატია არა მისი „ყველა დანაშაული“, არამედ მხოლოდ სიცოცხლე; ბაგრატმა არგვეთი მისცა არა ლიპარიტს, არამედ ივანეს, და სხვა არავითარი „მამულები“ მამა-შვილს არ მიუღიათ! და რაც მოწყალება გაიბეჭდა მეფემ მხოლოდ იმიტომ, რომ «დაამტკიცეს მეფე და დიდებულნი ამის სამეფოსანი ციხიანთა ლიპარიტისათა, მშვიდობით გაშუებისათუის ლიპარიტისა და ივანესა მოსცნეს კლდე-კარნიო» (ანასეული ქ. ცხ. 190 ა), სწერს შემატანიე. მაშასადამე, ბაგრატ IV-ს ფიცი დაადებინეს მეციხოვნეებმა, რომ მეფე არ დასჯიდა ლიპარიტსა და მის ძეს ივანეს, და მხოლოდ ამის შემდეგ ჩააბარეს კლდე-კარის ციხე-სიმაგრე. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ მეფემ არგვეთი მისცა ივანეს სახელოვ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ლიპარიტმა «შევედრა ძე თუისი მეფესა ივანე» (ანასეული ქართ. ცხ. 190 ა) და სულგრძელმა მეფემ დამორჩილებულს ყმას უკანასკნელი თხოვნა პირნათლად შეუსრულა.

<sup>2</sup> შემატანიის ამ ცნობის შემდეგ საკვირველია რაში დასჭირდა დ. ბაქრაძეს ამისი თქმა: «უფრო დასაჯერებელია, რომ ლიპარიტს მოსწყინდა ბოლო დროს აღელვებული და აღშფოთებული ცხოვრება და მონაზონის სახე შეიმოსა»-ო (ბაგრატ IV, გვ. 41). კი არ მოსწყინდა, აიძულეს ის ასე მოქცეულიყო! ბაგრატ IV მას კვლავ აღარ ენდობოდა, რადგანაც მისი მოთინიერების იმედი საშუდამოდ დაკარგული ჰქონდა და პატივყარილსა და ციხე-ჩამორთმეულს ლიპარიტს ერთადერთი გზა მონასტრისაკენ დაპრჩენოდა.



ასე დაასრულა თავისი ცხოვრება ერისკაცობაში შოუსვენარმა, მარადის მეამბოხე დიდმა ერისთავთ-ერისთავმა ლიპარიტმა.

ასეთია მოკლე მიმოხილვა ლიპარიტის ცხოვრებისა, რომელიც თავისთავად დაუსრულებელი ბრძოლებისა და ხმლის ტრიალის ეპოპეას წარმოადგენს; მაგრამ ლიპარიტის მოღვაწეობა ხომ მხოლოდ სამხედრო საქმეებით არ შემოიფარგლება? ის არის როგორც დაუცხრომელი მეამბოხე, ისე «მოსწრაფედ ტრფიალი წიგნთა საღმრთოთაჲ» (ქრონიკები I, 193), ის არის როგორც მნგრეველი და მომწველი ნაგებობათა (ანასეული ქ. ცხ., 185 23), ისე «მაშენებელი» (აღაპი), ის არის როგორც სამშობლოს მოღალატე, ისე სამშობლოსა და მწერლობისათვის გულშემატკივარიც და, დასასრულ, რომ მას როგორც ხმალი, ისე კალამიც კარგად უჭირს, ამაში მკითხველი აქვე მოთავსებული მისი თხზულების გაცნობითაც დარწმუნდება.



## ტექსტი

1. [ნართლ-მაღიღვლოზისა და მფვალღვლოზისათვის]<sup>1</sup>

- 483 r/a რომეთუ მქადაგებელთა ჭეშმარიტებისათა მოგუასწავეს მეცნიერებითა სა-  
 ღმრთოდთა მეტყუელებითა, და აღვიარებთ მათ მიერ უწყებითა სამებასა და-  
 უბადებელსა, და ყოველთა არსთა სიბრძნით დამბადებელსა; რომელ იგი ზეშთა 5  
 არს ყოველთა მოგონებათა და გამოთქუმათა ბაგეთაგან ჯორციელთა; ღმრთე-  
 ებად გუამოვნებით სამებად და სამებად ბუნებით ერთ-სწორებად; მამად დაუსაბა-  
 მოდ, და დაუსრულებელი ნათელი, ბუნებითი უნიფოდ, მნათობი შორის ორთა  
 ცხოველთა, სწორი განზრახვითა და განგებითა თვთმფლობელობისადათა; და ძმ  
 დაუსაბამოდ, მხოლოდ მხოლოდსაგან, მხოლოდ-შობილი, ცხოვრებად ცხოვრე- 10  
 ბისაგან, ნათელი ნათლისაგან თუალთ-შეუდგამისა, რომელი თვთებითა ჯელმწი-  
 ფებისადათა ჰგიეს უცვალეებლად მამისა თანა, და სულისა, ყოვლითავე მსგავსე-  
 ბითა, თვნიერ ძეობისა; და ძალი დაუსაბამოდ, ცხოველს-მყოფელი, რომელი  
 აღავსებს ყოველთა სიმდიდრითა ღმრთის-მეცნიერებისადათა და თვთ ჰგიეს ორ-  
 თა მათ თანა არსებითა სუფევესა უკუდავებისასა; ესრეთ აღვიარებთ მართლ- 15  
 483 r/b მადიდებლობითა ჭეშმარიტსა ღმრთეებასა, სამ-ცხოველებით გამოცხადებულ-  
 სსა, ხოლო ერთსა სამებისაგანსა ძესა, მხოლოსა ორითა ბუნებითა; ერთ ხატად,  
 შეურწყმელად, რომელი უწინარეს საუკუნეთაჲსა შეუცავითა მით ღმრთეებისა  
 ბუნებითა იყო მამისა თანა.

30  
 20  
 1,1 ვითარცა უხრის ნესტჳ იგი ღმრთის-მეტყუელებისაჲ, და ჭური სიწმიდი-  
 1,1 საჲ, მომთხრობელი უქამოსა მას არსებასა, და იტყჳს «პირველითგან იყო სი-  
 ტყუაჲ», ესრეთ აღამაღლებს გონებათა ჩუენთა პირველისა მის მიმართ, რომ-  
 ლისა მიწდომად შეუძლებელ არს; რამეთუ რაოდენცა ამალდეს გონებაჲ სი-  
 მალლისა მიმართ ჟამთაჲსა, პირველი იგი უმაღლეს იპოვების.

25  
 25  
 483 v/a პრამედ მოვიყვანოთ გონებაჲ თჳსავე სადგურად, და ვისმინოთ ამისვე  
 საღმრთოდსა მახარებელისაჲ, რომელი პირველადვე მოგვთხრობს მიუწდომელსა  
 ვას და უსაზღვაროსა არსებასა, და კუალად ღალადებს უცნაურსა მას საიდუმ-  
 483 v/a ლოსა, და მიზეზსა ვსნისა ჩუენისასა, საესესა ყოვლითა საშინელებითა, | და  
 1,14 იტყჳს: «და სიტყუად იგი ჯორციელ იქმნა; ესე არს სიტყუად იგი, რომელი  
 პირველითგან იყო უშობელისა თანა მშობელისა და აღსასრულსა საუკუნეთასა 30  
 კაცთა მსგავსებისა მოდგამ იქმნა.

<sup>1</sup> ტექსტი დედანში უსათაურაო და შინაარსის მიხედვით ჩვენ ვასათაურებთ.



484 r/b რისაჲ, სარწმუნოებებაჲ მვეცებრ განბოროტებულთა მწველებელთაჲ, რომელნი განცოფნეს სიბრძნესა შინა ამის სოფლისასა; რამეთუ სილაღითა მით უკეთუ-  
რებისა | [მათისაჲთა] <sup>1</sup> არა თავს იღვეს მორჩილებად სწავლასა მოციქულთასა, არამედ შემოიღეს მოძღურებაჲ უცხოჲ და მრავალ-სახს; ამისთჳსცა უცხო იქ-  
მნნეს მეორედ შობისა მისგან სულიერისა, და ესრეთ შეპყრობილნი ბნელითა 5.  
უმეცრებისაჲთა ეწყებოდეს წინაშე პიზსა ნათლისასა.

ხოლო წმიდათა მათ მოძღუართა მართლისა სარწმუნოებებისათა, ვითარ-  
ცა ცეცხლითა, ენითა მათითა შეწუეს ეკალი წველებისა მათისაჲ, და ჯეჯილი  
იგი მართლ-მადიდებლობისაჲ, კრებული ერთა მორწმუნეთაჲ, იხარებს ცუარი-  
თა მით გარდამომდინარითა პირით მათით; და განწყობილნი ოხრიან ღელეთა 10  
შორის ეკლესიისათა დიდების-მეტყუელებად საშინელისა სამებისა, რომელი დი-  
დებულ არს უკუნისამდე.

ამის წმიდისა სამებისა ჳეშმარიტითა სარწმუნოებითა და მისა მიმართ  
მეოხებითა დედოფლისა ჩუენისა, ყოვლად-წმიდისა ქალწულისა მარიამისითა,  
რომელმან ერთი სამებისაგანი, ძმ ბუნებით სწორი მამისაჲ, თნიერ წესთა ბუ- 15  
ნებისა საშოსა დაიჭია, და ესე არს მეოხი ყოველთა ქრისტიანეთაჲ წინაშე ძი-  
484 v/a სა მისისა და ღმრთისა ჩუენისა; | და ძლიერებითა ცხოველის-ყოფელისა წმი-  
დისა ჯუარისაჲთა, და მადლითა წმიდისა იოვანე ნათლის-მცემელისაჲთა, და მე-  
ოხებითა წმიდათა მოციქულთა, მღღელთ-მოძღუართა, მოწამეთა და მამათაჲ-  
თა, რომელთა მენედ მოღუაწებითა მათითა, სულიერითა, განაპნეს სიღრმენი 20  
უფსკრულთა ურწმუნოებისათანი, და ერი ღმრთისაჲ, ახალი ისრაელი განი-  
ყვანეს აღთქუმულსა მას იერუსალემსა; რომელნი აწ მოძღურებათა მათთაჲ შე-  
პმზადეს არაფთუ ქუეყნითი-ქუეყანად მიმყვანებელი, არამედ ქუეყნით ცად აღ-  
მყვანებელი სულისა და გონებისა მართლ-მორწმუნეთაჲსა, ამით ყოველთა მე-  
ოხებითა და თანაშეწევნითა მე <sup>2</sup> ლიპარიტ, ძეჲან სულ-კურთხეულისა უცლისა 25  
ლიპარიტ ერისთავთ-ერისთ[ვისამან], შეწევნითა ღმ[რთისაჲთა] და მეოხებითა  
ყოვლად-წმიდათა მახარებელთაჲთა, გულს-მოდგინედ აღვაწერიენ წმიდანი ესე  
484 v/b წიგნნი თარგმანნი სახარებისანი სამ წიგნად. | სალოცველად სულისა [ჩემი]სა,  
სალოცველად სულთა მშობელთა ჩემთასა, და დღე-გრძელებისათჳს შევითა ჩემ-  
თაჲსა. 30

აწ ვინ აღმოიკითხვიდეთ წმიდათა ამით წიგნთა, მოგვკსენენით წმიდათა  
შინა ლოცვათა თქუენთა, რაჲთა უფალმან სასყიდელი თქუენცა მოგანიჭოს.

ქრონიკონი იყო ორას სამოცდაცამეტი. (= 780 + 273 = 1053 წ.).

ესე სამ[მ]ნივე <sup>3</sup> წიგნნი დავწერენ ჳელითა საპყრისა ჩემისა გაბრიელ კო-  
ტაქსაჲთა. 35

<sup>1</sup> ეს სიტყვა ღუდანში გადაზეცხილია და კარგად არ იკითხება.

<sup>2</sup> აქამდე მოდის ნუსხურით ნაწერი ტექსტი, ხოლო ამ სიტყვიდან მოყოლებული ვიდრე ლიპარიტის ანდერძის დასასრულამდე, მრგლოვანი ხელია.

ღუდანში სწერია „სანივე“.

## 2. ლიპარიტის ანღერძი № 17

(იხ. და შედარე ქრონ. I, 194)

482 r/a დიდებამ შენდა სამებაო წმიდაო, მიზეზო ყოვლისა კეთილისაო, უხუებით მომცემლო ნიჭთა შენთა საღმრთოთაო; დაესრულა შეწვენითა შენითა წმიდაჲ ესე წიგნი, განმანათლებელი სულისაჲ, სადიდებელად სახელისა შენისათჳს წმი- 5 დისა ამინ.

შეწვენითა ღმრთისაჲთა, მამისა, ყოვლისა მპყრობელისაჲთა, ძლიერები- 10 თა ძისა მისისა მხოლოდ-შობილისაჲთა, მადლითა სულისა სახიერისა ყოვლად-წმიდისაჲთა; ამის წმიდისა სამებისა, გუამოვნებით შეურყვენელისა, და ერთ-ღმრთეებით განუყოფელისა ნებითა და ბრძანებითა; და მეოხებითა ყოვლად- 10 ქებულისა, და უმეტეს კურთხეულისა წმიდისა ღმრთის-მშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა; მადლითა წმიდისა და დიდებულისა წინამორბედისა, და ნათლის-მცემელისა იოვანესითა; ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველს-ყოფელისა ჯუარისაჲთა; ვედრებითა წმიდათა და დიდებულთა მთავარ-ანგელოზთაჲთა და ყოველთა ზეცისა განწესებულთა დასთა მღუძარეთაჲთა; უხითა და 15 ვედრებითა დიდებულთა წმიდათა მოციქულთაჲთა; მეოხებითა ღირსთა წმიდათა მღდელთ-მოდღუართაჲთა, სანატრელთა და ღმერთ-შემოსილთა მამათაჲთა; მეოხებითა წმიდათა და კეთილად მძღეთა, ახოვანთა, მვნეთა მოწამეთაჲთა; მადლითა და სარწმუნოვებითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲთა, და მეოხებითა ყოველთა წმიდათაჲთა, რომელი საუკუნითგან სათნო ეყვნეს ღმერთსა. მე 20

482 v/a ლიპარიტ ერისთავთა-ერისთავი, ლიპარიტ ერისთავთა-ქერისთვისა დიდისაჲ ძმ, ღირს ვიქმენ აღწერად ამათ ოთხთავე მახარებელთა სახარებათა თარგმანები- 25 სსა, აღწერად თარგმანებულსა წმიდისა იოვანე ოქროპირისასა<sup>1</sup>—პირველად სადიდებელად, და სალოცველად, და მოსაქსენებელად თავისა ჩემისათჳს; სადიდებელად და სალოცველად ძეთა ჩემთათჳს: რატისთჳს, ივანესთჳს და ნიანიას- 25 თჳს; სალოცველად, და სალხინებელად, და მოსაქსენებელად ყოველთა ცოცხალთა ჩუენთათჳს; სალოცველად და მოსაქსენებელად ყოველთა მიცვალებულთა სახელისა ჩუენისათა, სულსა რატ ერისთვისასა, სულსა მამისა ჩემისა ლიპარიტ ერისთავთა-ერისთვისასა; სალოცველად სულსა ძმთა ჩემთასა: რატისა და ივანესა; სალოცველად და მოსაქსენებელად სულსა დედისა ჩემისა ცხოვრებასსა, 30 და ყოველთა მიცვალებულთა სახლისა ჩუენისათა.

დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დიდებულსა საყდარსა აწყურისასა; საყოფელსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა, ველითა საპყრისა ჩემისა გაბრიელ მწერლისა კოტაჲსაჲთა, მღდელთ-მოდღურებასა არსენი ებისკოპოზისასა, ბოცოჲსა მარზაპნისა, ჯაყელისა ძისასა. ქრონიკონი იყო "ს"დ"ე". 35

<sup>1</sup> აქ უნდა შევნიშნოთ, რომ იოანე ოქროპირმა დასწერა თარგმანება მხოლოდ ორი მახარებლის—მათესი და იოანესი; ხოლო რაც შეეხება ორ დანარჩენ მახარებელს—მარკოსსა და ლუკას, მათი თარგმანება თეოფილაქტე ბულღარელის კალამს ეკუთვნის (იხ. კ. კეკელიძე, „იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან“, „პრობლემა“ № 1, გვ. 63, და მისივე ქართ. ლიტერატურის ისტორია I, 1941 წ., გვ. 293).

ადიზის ხელნაწერის ბერძნისებები \*

ჩვენს ნარკვევს „ადიზის ხელნაწერის ბერძნისებები“ მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: მკვლევართა ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ადიზის ხელნაწერში, რომელიც ოთხთავის ქართული თარგმანის უძველეს სახეს წარმოგვიდგენს სრულად, მოიპოვება ელემენტები ბერძნული ენისა და ელინური სამყაროს გავლენისა მთარგმნელზე. გარდა ამისა ჩვენ გვსურს მკვლევართა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ყველაფერი ის, რაც ამ ქართულ ძეგლში სომხურს ენათესავენ, კატეგორიულად არ ღალადებს *via armeniacae*-ს აუცილებლობაზე. საჭიროა ამის მითითება მით უმეტეს დღეს, როდესაც დასაუღეთ ევროპის მეცნიერნი, რომელნიც უკანასკნელ ათწლეულებში სამართლიანად დაინტერესდნენ ქართული მწერლობის უძველესი ძეგლებით, უკვე დამტკიცებულად იჩინევენ იმ დებულებას, რომ ქართული ოთხთავი — სწორედ მისი ადიზური რედაქციით — სომხური ორიგინალიდან მომდინარეობს. პროფ. რ. ბლეკი 1928 წელს გამოცემულ შრომაში *Caesarean text of Mark* კატეგორიულად აცხადებს: „მუდღებელია რაიმე ეჭვი არსებობდეს, რომ ქართული თარგმანი მომდინარეობს უშუალოდ (directly) სომხური ორიგინალიდან“, რომელიც არ არის იდენტური არც სომხური დაბეჭდილი ტექსტისა, არც უძველესი დაცული სომხური ხელნაწერებისა (გვ. 294). ასეთი მსჯელობა წარმოადგენს იმ კვლევა-ძიების უშუალო გაგრძელებას, რომელსაც აწარმოებდა აკად. მარი და მოცემულია მის მიერ XB II—IV ტომებში.

I

აკად. ნ. მარი ამბობს: *паразителен вульгаризм, проявляемый Адишской рп. в «ყოველსა სნეულებასა» [მთ 4:1] (XB II, 172), და ამ ე. წ. ვულგარულ მრავლობით რიცხვს თელის იგი მერმინდელ მოვლენად. ამავე მუხლში ის ჰპოვლობს არქაიზმის ნაშთს «პირად-პირადითა», რაც იმიტომ წარმოადგენს არქაიზმს, რომ ის მნიშვნელობითაც და მატერიალურადაც გადმოგვცემს სომხურს **ქ აქს აქს**.*

\* წაკითხულია მოხსენებად საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სადომაზე 1930 წლის 14 თებერვალს. იბეჭდება მცირეოდენი რედაქციული შესწორებებითა და დამატებით.

სომხური ორიგინალისაგან ქართული თარგმანის დამოკიდებულების საკითხს, როგორც ვხედავთ, სწყვეტს აქ ორი ძირითადი დებულება: 1. ე.წ. ვულგარული ფორმები ეს მერმინდელი მოვლენაა; 2. ქართულ და სომხურ გამოხატვაებზე შორის კონსტრუქციული მსგავსებაა. ამ დებულებების შესახებ უნდა შემდეგი შევნიშნოთ:

ვულგარიზმი და არქაიზმი ერთი მეორის დასაპირისპირებელ ცნებებად, ცხადია, ვერ ჩაითვლება. ვულგარული ფორმა—ეს ხალხური ენის ფორმაა, ვულგარული ენა—ეს ის ენაა, რომელსაც ხალხი ლაპარაკობს, ის ხალხი, რომლისთვის უცნობია სალიტერატურო ენის ნორმები. საღმრთო წიგნების თარგმნა ხომ ქრისტიანული პერიოდის ქართული ლიტერატურული ძეგლების გაჩენის უპირველეს პერიოდს მიეწერება და რატომ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ოთხთავი თავდაპირველადვე დახვეწილი ლიტერატურული ენით უნდა მოვლენოდა ქართულ მწერლობას. პირიქით, ვულგარიზმი—გაგებული როგორც ხალხურიზმი—სიძველის მომასწავებელია. ანალოგიური მოვლენაა ხომ ბერძნულში, სადაც „die Sprache der nt. Autoren steht der natürlichen Volkssprache... näher, als der vornehmen Literatursprache (Debrunner, Gram. d. nt. Griechisch, გვ. 3).

არ არის საჭირო საგანგებო ძებნა ებ-იანი ვულგარული ფორმებისა. ამნაირი ფორმები მრავალია ადიშის ხელნაწერში და იმათ ყოველთვის შეესატყვისება ოპიზის, ტბეთის და სხვა მერმინდელი ხელნაწერების ე. წ. არქაული ფორმები. მაგ.:

მთ 41<sup>ს</sup> სხდეს სოფლებსა (ო, ტ: სოფელსა) და აჩრდილთა.

მთ 81<sup>ს</sup> მოართვეს მას ეშმაკეულებ მრავალ და განსხნა სულები სიტყუთ და ყოველივე იგი სნეულები (ო, ტ: ყოველნი რნი ბოროტად სნეულ იყვნეს) განკურნა.

მკ 15<sup>ა</sup> სხუეებიცა მრავალნი (სხუანი მრავალნი).

მთ 8<sup>ა</sup> კოლტი ღორებისა მრავლისა (ო, ტ: ღორთაჲ) მძოვარი.

ამეგარი „ვულგარიზმებით“ სავესა როგორც ადიშის ხელნაწერი, ისე ოპიზისა და ტბეთისა, მაგრამ ადიშისაში უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან. ადიშის ვულგარიზმები მარტო მორფოლოგიას არ ეხება. ხალხური ენიდან მოტანილად უნდა ჩაითვალოს ისეთი ფორმები, როგორიცაა:

მთ 13<sup>28</sup>: მივიდეთ და მოვჰმარგლოთ იგი (ო, ტ, v: გამოვარჩიოთ = *σαλλέξωμεν*, სომხ. „ქალესტუქ“ (ქალეც = შეკრებას) *ჟაიქსიეღ*.)

მთ 13<sup>29</sup>: მომარგლასა მას ლუარძლისასა (ო, ტ, v: შეკრებასა = *σαλλέξωμεν* *εξ* *ἐξέξω*, სომხ. „ქალიცქ“, *ჟაიქსეღ*.)

მკ 5<sup>ა</sup>: შენ გეტყვ, ქალა აღდგ (ო, ტ: ყრმაო; *εὐ* *χοιρέσιον*).

მკ 11<sup>20</sup>: დილითი (ო, ტ, v: განთიად).

მკ 13<sup>25</sup>: მასკულაენი (ო, ტ, v: ვარსკულაენი).

ინ 11<sup>ა</sup>: ხ აწ მო და მივიდეთ მისა (v: მოგუალეთ მივიდეთ მისა).

შემასაღამე, ადიშურ რედაქციაში დაცული ერთი—ჩვენის აზრით უძველესი—



ფენის ავტორი იძლევა ისეთ სიტყვებს, როგორც მაშინ იხმარებოდა სალაპარაკო ქართულში; ეს სიტყვები შემდეგდროინდელი რევიზიის ავტორების მიერ შეიცვალა იმ ლიტერატურული ფორმებით, რომლებიც ამასობაში დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში: ქალა—ყრმაო, მომარგლა—შეკრება, მო—მოგუალეთ და სხვ. ამრიგად, ოთხთავის უძველეს თარგმანს უნდა ახასიათებდეს ხალხში დამკვიდრებული, სხვადასხვა ცნებათა გამომხატველი ქართული სიტყვების ხმარება. საჭიროდ მიგვაჩნია ამ დებულების დასამტკიცებლად მოვიყვანოთ რამდენიმე ცნების გამომხატვის შემთხვევები:

**მამახახლისი.** ბერძნული *οἰκονομότης*-ის შესატყვისად ქსომხური ყველგან ხმარობს *მამახახლისი* „ტანუტერ“-ს, ხოლო ქართული თარგმანის ო, ტ, ႁ „სახლის უფალს“. ადიშის ხელნაწერი 8 შემთხვევაში (მთ 10<sup>ა</sup>; 13<sup>ა</sup>; 13<sup>ბ</sup>; 20<sup>ა</sup>; 20<sup>ბ</sup>; 21<sup>ა</sup>; 24<sup>ა</sup>. მკ 14<sup>ა</sup>) იძლევა ფორმას *მამახახლისი*, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში (ლკ 12<sup>ა</sup>; 13<sup>ა</sup>; 15<sup>ა</sup>) „სახლის უფალს“, ე. ი. მეტწილად ხმარობს იმ სიტყვას, რომელიც ქართველთა მაშინდელ სოციალურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი იყო (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 148—149).

**სამღელეო.** ბერძნული *ἱερός* ოთხთავში გვხვდება ჩვენ 31-ჯერ. ეს სიტყვა ყველა ხელნაწერში და მათ შორის ადიშისაშიც (და აგრეთვე სომხურ თარგმანშიაც) გადმოცემულია „ტაძარი“-თ. მაგრამ არის ორი ადგილი ადიშის ხელნაწერში, სადაც „ტაძრის“ ნაცვლად სწერია „სამღელეო“ (მკ 11<sup>ა</sup>: სამღელეოჲთ; [ო, ტ: ტაძრით]; მკ-12<sup>ა</sup>: სამღელეოსა [ო, ტ: ტაძარსა]). საფიქრებელია, რომ ეს ორი შემთხვევა წარმოადგენს ძველი ტექსტის ნაშთს. და სიტყვა „სამღელეო“<sup>1</sup> ქართულში იხმარებოდა ძველად, სანამ „ტაძარი“ დამკვიდრდებოდა იმ ცნების გამოსახატავად, რომელსაც ბერძნები ძველადვე *ἱερός*-ით გამოთქვამდნენ.

**საყურძენი.** ბერძნულს *ἀμαρτάν*-ს შესატყვისება სომხურში *საყურძენი*, ხოლო ქართულში (ო, ტ, ႁ) „ვენაჯი“. ის გვხვდება ჩვენ ოთხთავში 21-ჯერ (9-ჯერ მთ 20<sup>ა</sup>, 2, 3, 7, 8; 21<sup>ა</sup>, 34, 38, 40; 5-ჯერ მკ 12<sup>ა</sup>, 8, 9; 7-ჯერ ლკ 20<sup>ა</sup>, 33, 15, 16; 13<sup>ა</sup>, 7). ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ადიშის ხელნაწერში მათეს 9 შემთხვევიდან 8-ჯერ მოცემულია „საყურძენი“ და მხოლოდ ერთხელ „ვენაჯი“ (21<sup>ა</sup>); მარკოზის 5 შემთხვევიდან მხოლოდ ერთხელ არის „საყურძენისა“ (12<sup>ა</sup>), დანარჩენებში ისევე, როგორც ლუკას ყველა შემთხვევაში მოცემულია „ვენაჯი“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სხვაგანაც თავდაპირველად იყო „საყურძენი“, რაც შემდეგ „ვენაჯით“ იქმნა შეცვლილი. ამას გვაფიქრებინებს სამი შემთხვევა, სადაც გვხვდება „სავენაჯისა“ (ლკ 13<sup>ა</sup>; 20<sup>ა</sup>) და „სავენახისამან“, და ერთიც ოპიზა-ტბეთის «სავენაჯისაჲ» (მთ 21<sup>ა</sup>). აქ საუნდა წარმოადგენდეს სა-ყურძენის რემინისცენციას.

**სეფე-წული.** ადიშის ხელნაწერი ორად-ორ ადგილას (ინ 4<sup>ა</sup>; 4<sup>ბ</sup>) სხვა ხელნაწერთა „სამეფო კაცის“ ნაცვლად ხმარობს „სეფე-წულს“.

<sup>1</sup> ჩვენის აზრით, ამ სიტყვის ისტორია ასეთი უნდა იყოს: ლოცვა—ლაღლი (—\*ლაღ-ლაღ-ი), მლოცველი—მღღელი (—\*მ-ლაღ-ელ-ი), სამლოცველო—სამღღელი.

4<sup>18</sup>: და მუნ იყო სე ფე-წულ ერთ (v: ვინმე სამეფო ფოჯოთ მოსრული კაცი).

4<sup>19</sup>: ჰრქუა მას სე ფე-წულ მან მან (სამეფო ფოჯოთ კაცმან).

აქ ქართული, ისევე როგორც ეს „მამასახლისის“ შემთხვევაში გვქონდა, ბერძნული *βασίλειος* (ვარიანტი: *βασίλειος*)-ის შესატყვისად იძლევა მაშინდელი სოციალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ტერმინს, რომელიც ამავე მნიშვნელობით ცოცხალია „ესტატე მცხეთელის ცხოვრებაში“ (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამ. ისტ. I, 194—195).

**ფეცხლი.** აკად. ივ. ჯავახიშვილს (ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგია გვ. 10) აღნიშნული აქვს, რომ ქართულს როგორც თარგმნის, ისე ორიგინალურ ლიტერატურაში „ვეცხლი“ საზოგადოდ „ფულის“ აღსანიშნავად იხმარებოდა. ასეთი ხმარება დადასტურებულია ოთხთავის ქართულ თარგმანშიაც, სადაც ლკ 19<sup>18</sup> და ლკ 19<sup>21</sup> ბერძნულ *ἀργύριον*-ს („ფულის“ და არა „ვერცხლის“ მნიშვნელობით) შეეფარდება ქართული „ვეცხლი“ (და სომხურშიაც „ზარწათნ“ და „ზარწათნ“ *զարծաթ*). მაგრამ ქართულ თარგმანს—ადიშურსაც—სომხურისაგან განსხვავებით ახასიათებს ერთი რამ: ბერძნული *μυζ*-ს ბაღდად, რომელსაც სომხურში ყველგან (10 შემთხვევაში: ლკ<sup>1</sup> 19<sup>15</sup>—<sup>21</sup>) „მნას“ უდრის, ქართული იძლევა სიტყვას „ვეცხლი“ (5 შემთხვევაში) და «სასწორი» (4 შემთხვევაში). ერთ შემთხვევაში (ლკ 19<sup>21</sup>) *vulgata* (ჯრ) იძლევა „მნაჲ“, ადიშს ეს ადგილი აქლია, მაგრამ ჰაემეტი ბალიმფსესტი (ტფ. უნივ. მოამბე III, 384), რომელიც საერთოდ ადიშურ რედაქციას მისდევს, ამ ადგილას იძლევა «სასწორი». მაშასადამე, ოთხთავის ქართული უძველესი რედაქცია *μυζ*-ს (= 100 დრაქმას) იცნობს როგორც „ვეცხლს“ ან «სასწორს». თუ როგორია „სასწორის“ ისტორია ვერ ვიტყვით; რაც შეეხება „ვეცხლს“ მნას მნიშვნელობით, აქ ჩვენ უნდა გვქონდეს ქართულში ძველიდგანვე დამკვიდრებული—სემიტურის გავლენით—გაგება „მნა“-სი. აქ საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ ერთი ცნობა ეპიტაფის კვიპრელისა, რომელიც თავის თხზულებაში *Περὶ μέτραυ καὶ σταθμῶν* ამბობს: *Μυζ ἄντ' τῶν μᾶνη* πῆ. γὰρ Ἐβραῖνε διαλέξει μᾶνη ὁ ἀργύριον καλεῖται (O. Viedebantt, *Quaestiones Epiphaneae metrologicae et criticae*. Lipsiae, 1911, გვ. 55).

ამგვარად, ადიშურსა და მასთან ახლო მდგომ ხელნაწერებში ჩვენ გვხვდება ხოლმე ისეთი სიტყვები, რომლებიც დამოუკიდებლად იმისა, რომ მთარგმნელს წინ ჰქონდა დედნის გარკვეული გამონათქვამები, წარმოვიდგენენ ნაშთებს ხალხში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული და ხმარებული სიტყვებისას. ადიშის ხელნაწერის ხალხურიზმებისათვის შეიძლება მოგვეყვანა მრავალი ფონეტიკური ხასიათის მოვლენაც, როგორც, მაგ., «სარჩელი»-ს ხმარებისა „სასჯელის“ მაგიერ (ლკ 11<sup>21</sup>), მაგრამ ჩვენ ამჟამად ამაზე აღარ შევიჩერდებით და გადავალთ ზემოთმოხსენებულ მეორე დებულებაზე, რომელიც წამოყენებულია მეცნიერთა მიერ ქართული თარგმანის სადაურობის შესახებ მსჯელობის დროს.

## II

«პირად-პირადითა» იმიტომ წარმოადგენს არქაიზმს, რომ ის მნიშვნელობითაც და მატერიალურადაც გადმოგვცემს სომხურს «ი პსს პსს» *ի պէս պէս* (ნ. მარი *XB II*, 172). ასეთი მრჩობლი გადმოცემა, ჩვენის აზრით, არ შეიძლება იყოს შედეგი სომხური ენის გავლენისა. ეს იმავე ვულგარულს (ე. ი. ძველს, ხალხურს) ენას და საზოგადოდ ძველ ქართულს ახასიათებდა და ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ასეთი წესი გამოთქმისა ხშირია ოთხთავში. ასეთი მრჩობლი კონსტრუქცია იხმარება, მაგალითად:

ა) მრავალგზისობის და მრავლობითობის გამოსახატავად:

- ლკ 2<sup>11</sup>: წლად-წლად (v: წლითი-წლად), *κατ' ἔτος, ἀμή ἀμή*,  
 ლკ 9<sup>28</sup> }  
 ლკ 11<sup>3</sup> } დლითი-დღედ, *καθ' ἡμέραν, ἡσπασπασ*  
 ლკ 19<sup>47</sup> }  
 ლკ 23<sup>17</sup>: დღესასწაულად-დღესასწაულად (v: დღესასწაულსა მას).  
*κατὰ ἑορτήν, ἡσπασ*  
 ლკ 21<sup>11</sup>: ადგილ-ადგილ (v: ადგილ-ადგილ) *κατὰ τόπον, ἡσπασ*  
*ἡσπασ*

ჩვენ აქ ვხედავთ, რომ იმ დროს, როდესაც სომხური არ საჭიროებს ყოველთვის მრჩობლი ფორმების ხმარებას, ქართული მრავალგზისობას აღნიშნავს მრჩობლი სიტყვებით. ქართული ფორმები შეეფერება ბერძნულ *κατὰ-*თანდებულებიან გამოთქმებს აკუზატივით: ასეთი გადმოცემა ბერძნული *κατὰ-*კონსტრუქციისა დადასტურებულია ისეთი ძეგლებისათვისაც, რომელთა სომხური წარმოშობის საკითხი არ დასმულა არასდროს. მაგ., გიორგი ამარტოლი 248, 34 „ქალაქად-ქალაქად“ (*κατὰ πόλιν*). გარდა ამისა, მტკიცება არ სჭირდება იმ ვარემოებას, რომ სალაპარაკო ქართულისათვის ამგვარი კონსტრუქცია ბუნებრივია: „ადგილ-ადგილ“, „დლითი-დღედ“ და სხვ.

ბ) რავგარობის გამოსახატავად (ზმნისართი):

- ლკ 17<sup>7</sup>: ადრე-ადრე (v: მეყსეულად), *ἐμπέσας, ἡσπασ*  
 ლკ 5<sup>33</sup>: ზედას-ზედა, *συχγὰ, ἡσπას<sup>1</sup>*

ზმნისართის გამოხატვა მრჩობლი ფორმით აგრეთვე ქართულისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს, გარეშე სომხურის გავლენისა. თუ დავხედავთ სომხურს „ვადვადაკი“-ს, მის შესატყვისად ადიშის ხელნაწერში ჩვენ რამდენჯერმე გვაქვს მარტივად „ადრე“. და „შეორე მხრით, მრჩობლი გამოთქმა დადასტურებულია სხვა ქართულ ძეგლებშიაც. მაგალითად, იოანე პეტრიწის

<sup>1</sup> შდ. ინ. 4, 41 „და უმეტეს მრავალთა მრავალთა ჰრწმენა (v: და უფროსა სიმრავლესა) ბერძნ. πολλὰι πλεῖστας სომხ. բազումք (მრავალნი); გიორგი ამარტოლი 148, 13: „ზედას-ზედა“ *συχγὰ*; იე და ეეს ცა 21, 21 კრავალატიცა ზედას-ზედა (ე. ი. ხშირად) მიუწერნა.

„განმარტებაში“ (ე. ი. არა თარგმნითს ნაწილში, არამედ ორიგინალურში) კვითხულობთ<sup>1</sup>:

7 9: კაცი... ბიჯთა მიერ გზავნითი გზავნად (ე. ი. თანდათან) სრულ ჰყოფს თუსსა ნავალსა.

7 10: სულიცა... მიდგების მცირედ მცირედ.

13 25 (შენიშვნა): აწ ცან დიდად დიდად სათანადოდ და საკიროდ.

და სალაპარაკო ქართულისთვისაც ხომ ჩვეულებრივია გამოთქმა: ნელ-ნელა, მალ-მალე, ხშირ-ხშირად.

თვით ზედშესრულ სიტყვებშიაც, რომელნიც თავისი შინაარსით მრავლობითობის ელემენტს შეიცავენ, ქართული იჩენს მრჩობლობითობას. ბერძნული *ἐξαρταί*, მაგ., ქართულად თარგმნილ ძეგლებში გადმოიცემა «კაცად-კაცადი» (გიორგი ამარტოლი 70, 31; 91, 18), ე. ი. ყოველი, ყოველი კაცი; ასევეა ორიგინალურ ძეგლებშიაც: «თუთოულად კაცად-კაცადსა ფრიადი საფასე განუყვეს» (ცა ინე და ენი 16, 27); «კაცად-კაცადისა კულა მიცემული ვინ აღრაცხოს» (იქვე 18, 27).

ქართულთან ერთად მრჩობლობითობა, როგორც ჩანს, სომხურსაც ახასიათებს და საერთოდ აღმოსავლური ენებისათვის ის ჩვეულებრივი ყოფილა. ასე, მაგ., მრჩობლი გამოთქმები აღნიშნულია ასურულისათვისაც, სადაც ინ 6 7 *ḫarḫaš* („მცირედ“) ყოფილა გამოთქმული *modicum modicum* (იხ. Tischendorf-ის შენიშვნა).

### III

ჩვენს მიზანს არ შეადგენდა შევხებოდი ყველაფერ იმას, რაც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში როგორც არმენიზმი ოთხთავის ქართულ თარგმანში. ზემოთქმულით გვინდოდა მხოლოდ აღგვენიშნა, რომ თითო-ორი-ლა გამონათქვამის კონსტრუქციული მსგავსება სრულეებით არ მოწმობს სომხურის გავლენას. მასობრივად მთელი ტექსტის შედარება არა მარტო სომხურთან, არამედ ბერძნულთან და სხვასთანაც სულ სხვა შთაბეჭდილებას იძლევა ქართული თარგმანის წარმოშობის გათვალისწინებისათვის.

ცხადია, ქართულ თარგმანს არმენიზმები მოეპოვება. მოეპოვება გაცილებით მეტი, ვიდრე ეს აღნიშნულია აკად. ნ. მარის, ს. კაკაბაძის და რ. ბლეჯიის მიერ.

მთ 14 1: ესმა ჰსროდეს ჩოროროდსა (ო, ტ, ვ: ოთხთა მათ სამთავროთა მთავარსა) „ჩოროროდაპეტ“ *չորրորդսպետ, շէրճբղէ.*

მთ 26 1: შიშითა ნელსაცხებელი (ო, ტ, ვ: ალაბასტრი ნელსაცხებელი) „შიშ“ *շիշ, ձկնաքարն մաքու* (აგრეთვე მკ 14 ა).

<sup>1</sup> იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, თბ. 1937.

- მთ 27 17 დღესა ბალარჯობისასჲ (ო, ტ, ჯ, v: უცომოე-  
ბისასა); „ბალარჯაკერაცნ“ (ძველი გამოთქმით „ბალარჯა-  
კერაცნ“) რაჟარქსკრავზ, რჲუ ჰჯნჲან (აგრეთვე მკ 14, 12).  
ინ 11 44 გამოვიდა მკუდარი იგი კრული ფერკით ველით რეზი-  
თა (ად); გამოვიდა მკუდარი იგი შეკრული ველით და ფერ-  
კით სახვევლითა (ო, ტ, v); „ერიზანტოქ“ *ერისანთოქ*  
(„ერიზით შეკრული“), *ჯერისად*.  
ინ 20 7 და არ შამაგი იგი (v: და სუდარი იგი); „ევ ვარ-  
შამაკნ“ *ხ ქარჯამასკნ, ჯაჲ რე თაშაჰჲეი*.

და კიდევ მრავლის ჩამოთვლა შეიძლებოდა აქ. მაგრამ საკითხი ის არის, თუ რა წარმოშობისაა ეს არმენიზმები? ამის შესახებ უნდა ვთქვათ შემდეგი:

1) ის გარემოება, რომ ქართულ ოთხთავში ისეთი სიტყვა გვხვდება, რომელიც სომხურ ენაშიაც გვხვდება, სრულიად არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული თარგმანი სომხურიდან მომდინარეობს.

ა) ბოროტი: ოთხთავში ხშირად გვხვდება და სომხურშიაც ცოცხალი სიტყვაა, ის იხმარება იმ ადგილებში ქართული თარგმანისა, სადაც სომხური ყველგან სულ სხვა სიტყვას იძლევა (ჯარ „ჩარ“ = ბოროტი, მაგ., მთ 12 36; 12 36; ინ 7 7).

ბ) როკიკი: ცნება „საზრდელისათვის“ (რეფქ) მოცემულია შემდეგი ადგილები:

- მთ 3 4 საზრდელად შისა (რეფქ, „კერაკურ“ *ქერაკიურ*).  
მთ 6 36 საზრდელისა (რეფქ, „ზკერაკურ“ *ქქერაკიურ*).  
მთ 10 10 სასყიდლისა თვისისა (რეფქ, „კერაკოჲ“ *ქერაკიურ*).  
მთ 24 35 როკიკისა (ო, ტ, v საზრდელი | რეფქ, „ზკერაკურ“  
*ქქერაკიურ*).  
ლკ 3 14 როკიკი (v: როკიკი | *ბქსისი*, „თოშაკქ“ *ქიუაკქ*  
(=მარაგი).  
ლკ 12 23 საზრდელისა (რეფქ, „ზკერაკურ“ *ქქერაკიურ*).  
ინ 4 8 საზრდელი (რეფქ, „კერაკურს“ *ქქერაკიურს*).

მიუხედავად იმისა, რომ „როკიკი“ სომხურში ცოცხალი სიტყვაა, არც ერთ ადგილას სომხურ თარგმანში ქართულ „როკიკს“ ის არ შეესატყვისება.

გ) ურაკპარაკი:

- მთ 6 8 ურაკპარაკთა (ო, ტ, v: უბანთა ზედა), *ბუ რაჲ თაჲა-  
ჯაჯაჲ, „პრაპარაკც“ რაჲაროსიჲე*.  
მთ 10 11 და შორის ურაკპარაკთა (ო, ტ, v: შესაკრებელთა)  
მათთა გგუემდენ (ო, ტ, v: გტანჯჯდენ) თქუნენ, *ბუ რაჲ  
თაჲაჯაჯაჲ, „ი ეოლოფურდს“ ქ თიიქიურჲა*.  
ინ 11 41 და შეკრბეს ურაკპარაკსა (v: და შეკრბეს კრე-  
ბული), *რუჲრჲი, „ეოლოვეცან დატან“ თიიქიურჲა  
ქათხან*.

- მთ 4 <sup>28</sup> შესაკრებელთა შინა (v: შორის) („ი ეოლოვურდს“, *ქ ძიციციყა*).
- მთ 6 <sup>2</sup> შორის შესაკრებელთა და შორის უბნებსა („ი ეოლოვურდს. ევ ი ჰრაპარაკს“, *ქ ძიციციყა ხ ქ ჩრაცყარაკა*).
- მთ 9 <sup>35</sup> შესაკრებელთა შორის („ი ეოლოვურდს“, *ქ ძიციციყა*).
- მთ 12 <sup>9</sup> შესაკრებელსა მათსა („ი ეოლოვურდს“, *ქ ძიციციყა*).
- მთ 13 <sup>34</sup> შესაკრებელთა მათთა (სომხურში არ არის).
- მკ 1 <sup>39</sup> შესაკრებელთა შინა („ი ეოლოვურდს“, *ქ ძიციციყა*).
- მკ 3 <sup>1</sup> შესაკრებელსა („ი ეოლოვურდს“, *ქ ძიციციყა*).
- მკ 6 <sup>2</sup> შესაკრებელსა შინა („ი ეოლოვურდს“, *ქ ძიციციყა*).
- ლკ 4 <sup>18</sup> შესაკრებელთა მათთა („ი ეოლოვურდს“, *ქ ძიციციყა*).
- ლკ 6 <sup>4</sup> შესაკრებელსა მათსა („ი ეოლოვურდს“, *ქ ძიციციყა*).
- ინ 18 <sup>29</sup> მე მს ვასწავებდ ერსა მას ტადარსა მას შინა (v: მე მარადის ვასწავებდ შესაკრებელსა და ტადარსა შინა) („ი ეოლოვურდს ევ ი ტაჭარი“, *ქ ძიციციყა ხ ქ თანაყი*).

ჩვენ ვხედავთ, რომ ქართულში „უ რ ა კ პ ა რ ა კ ი ს“ ხმარება სრულიად არ არის დაკავშირებული სომხურ „ჰრაპარაკ“-თან. ვარდა ამისა ქართული ფორმა იმდენად განსხვავდება სომხურისაგან, რომ ის, ჩანს, სალაპარაკო ქართულიდან უნდა იყოს მიღებული.

2) მეორე წყება სიტყვებისა, რომელიც სომხურთან ნათესაობას იჩენს, სულ სხვა ხასიათისაა.

#### ა) მური.

მთ 2 <sup>11</sup> მართუეს მას (ო, ტ: მართუეს მას; v: შესწირეს მისსა) ძღუენი ოქროჲ, გუნდრუკი და მური.

ინ 19 <sup>30</sup> მოილო მური შეზავებული ჰალოდთურთ.

მური აქ უდრის ბერძნულს „*μαρμαρι*“, ხოლო სომხურს *գմուր*, ე. ი. მურ-ს. რასაკვირველია, ფორმითა ქართული „მური“ სომხურთან ერთად დგას, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს სიტყვა არც ბერძნულია და არც სომხური. იგი ბერძნულში სემური ნასესხები სიტყვაა, ებრ. *mor*, არამ. *mura*, და იმით აიხსნება, რომ თვით ბერძნულში *μαρμαρι*-ს პარალელურად ჩვენ გვაქვს ფორმა *μαρμα* (შეიძლება გამოთქმით უდრიდეს „მურა“).

ბ) მაგრამ უფრო მეტ სომხურობას იჩენს მეორე სიტყვა, სახელდობრ, ლკ 16 <sup>4</sup> ნაცვლად ვულგატაში მიღებული „ასი საწნეხელი ზეთისა“ (ჯრ.), აღმის ბელნაწერში ვკითხულობთ „ასი მარი ზეთი“, რის ბაღდადაც სომხურში იკითხება: „ჰარიჯრ მარ ძითოდ“ *հարիჯր մար ձիթայ*; მაგრამ „მარი“ სომხური სიტყვა არ არის. *Μάρης*, როგორც სიტხეთა საწყაული, იხმარებოდა პონტოში: ეპიფანე კვიპრელი წერს: *Μάρης μέτρον παρὰ Ποντιοίς ἐστὶν* (Viedebant, 55), და სრულიად ბუნებრივია, რომ პონტოს მეზობლად გავრცელებულ ქართულსა და სომხურ ენებში შეიძლებოდა ის შეთვისებული ყოფილიყო (ბერძნულ ოთხთავში ამ ადგილას იკითხება *ἐλάειν βάρια*).



გ) პარი და სტამანი.

მკ 7 : განბანად სასუმელთაჲ სტამანთაჲ („სტომანაც“ *σπομάνη*)-  
 ლკ 15 : ესმა ჳმად სახობისაჲ და პარით მემღერთაჲ (v: ესმა  
 ჳმად სიხარულისა და განცხრომისაჲ), *ἦρασαν τῆς φωνῆς αὐ-  
 τῶν*, „ზხად ერგოცნ ევ პარუც“ *ἐλάσαν ἡρώδης ἡ ἡσ-  
 ἰα*.

აკად. ნ. მარმა ნათელყო (XB II), რომ „პარ“ ცეკვა სვანურში დღესაც  
 შემონახულია (შუშპარ), ხოლო რაც შეეხება სტამანს, ის ხომ ბერძნული  
 სიტყვაა (*σπασίαι, σπασίαι*), რომელიც, როგორც ჩანს, ქართულში შეთვისებუ-  
 ლი ყოფილა და დღემდის დარჩა სვანურში. ჩვენ ქვემოთ კიდევ დავინახავთ,  
 რომ ის მუხლი, სადაც „სტამანი“ გვხვდება, სხვა მხრივაც ბერძნულ დედანს  
 ემხრობა და არა სომხურს.

ამრიგად, მთელი რიგი იმ ადგილებისა, სადაც მკვლევარნი არმენიზმებს  
 ჰპოულობენ და აქედან ქართული ოთხთავის სომხურიდან თარგმნილობას ას-  
 კვნიან, აიხსნება წმინდა ქართულ ნიადაგზე, გარეშე ყოველგვარი არმენიზმ-  
 ბისა.

მაგრამ ერთი რამ, რასაც ვივარაუდებ, შეიძლება გაუგებარი დარჩეს. რაღა  
 ჰქონდა ქართული ოთხთავის იმ ადგილებში გვხვდება ეს სომხურთან საერთო  
 სიტყვები („მური“, „მარი“, „პარი“, „სტამანი“), სადაც ისინი სომხურშიაც  
 არის ნახვარი? აქ, ვფიქრობ, საჭიროა შემდეგის ვივარაუდოთ: ქართველ  
 მთარგმნელებს, ცხადია, გათვალისწინებული ექნებოდათ მთელი სიდიადე და  
 ღირსი იმ საქმისა, რომელსაც ისინი იწყებდნენ, და განსაკუთრებულის სე-  
 რიოზულობით და წინასწარი მოფიქრებით შეუდგებოდნენ მას; გათვალისწი-  
 ნებული ექნებოდათ ის, რომ საჭირო იყო დედნიდან გადმოთარგმნა, თუ ასე-  
 თი მათთვის ხელმისაწვდომი იყო, ე. ი. თუ ბერძნულის ცოდნა ჰქონდათ. რომ  
 ბერძნული იცოდნენ ბიზანტიის მოსაზღვრე კუთხეებში მაინც, ამას მტკიცება

1 გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა, არმენიზმები გვაქვს ადიშის ზღვანაწერის  
 შემდეგ ადგილებშიაც:

	ადიშ	სომხ.	ქართ.	ბერძნ.
მთ 13,33	გრიესა	გრიეს	საწყაულსა	σασα
მთ 17,4	ტალავარ	ტალავარ (ტალ...)	ტალავარ	ταρρα
მთ 18,24	ქანქრისაჲ	ქანქაროჲ	ტალანტისა	ταλαντας
მთ 25,15	ქანქარი	ქანქარ	ქანქარი	ταλτατα
მკ 6,8	პილენძსა	პლინძ (პლინძ)	რვალი	χελαι
ლკ 12,55	ზორშაკი	ზორშაკ	სიციხე	χαστα
ლკ 17,29	წუმწუბი	წუმბ	წუნწუბაჲ	ψει
ლკ 24,13	ასპარეზ	ასპარისაჲ	უტგან	σπασίαι
ინ 5,13	ამბოზისა	ამბოზინ	ერი	εχλου
	(სომხურად „ამბოზ“ ნიშნავს „ხალხს“ და „ამბოზებას“. იხ. აგრეთვე			ინ 7,49)
ინ 6,8	სვიმონ კლდი — სამან	სიმონი ვიმი	სვიმონ პეტრესთან	... Πέτρος
ინ 7,2	ტალავარობისაჲ	ტალავარაპარაკ	კარვობისა	ταρραταρρα
ინ 13,24	თვალ-ღყენა	ანარკელ	წამ-ღყენა	νεμα

არ სჭირდება (ეს ცხადია აგრეთვე ცოცხალ ნიადაგზე შემოსული ბერძნიზმებით). გარდა ამისა, სწავლული მთარგმნელები გამოიყენებდნენ ყველა იმ თარგმანსაც, რომელზეც მათ ხელი მიუწვდებოდათ, და სრულიად ბუნებრივია, რომ ბერძნულიდან მთარგმნელნი მიმართავდნენ ხოლმე სომხურსაც და ასურულსაც.

## IV

რა საბუთია ვიფიქროთ, რომ ადიშის რედაქციის ავტორებს ძირითად დედნად ჰქონდათ ბერძნული? ამ საკითხის განხილვისას, ცხადია, ჩვენ ვერ დავემყარებით იმ ადგილებს, რომლებიც ერთნაირ სახეს ატარებენ ერთი მხრივ ადიშის ხელნაწერში და მეორე მხრივ დანარჩენ ხელნაწერებში, რომელთა ბერძნული დედნიდან მომდინარეობა, ანუ რომელთა შემდეგდროინდელი რეცენზია ბერძნული დედნის მიხედვით მეცნიერთა მიერ აღიარებულია.

ბერძნიზმები ამ, ჩვენ მიერ გამოჩეულ ადგილებში სხვადასხვა ხასიაფისა იქნება.

### ა) ზედმიწევნითი, აზრის დამაბუნდოვნებელი თარგმანი ბერძნული სიტყვებისა

#### 1) Πρῶτα κτλ

ინ 5 ა: იყო იშლმს ცხოვართ საბანელსა მას, რლსა ერქუმის ჰებრაელებრ ბეთისდა, [და] ხუთ ეზოდ იყო.

ვულგატა (და ჯრუჭი) უმატებს „საბანელსა მას ტბა“ და ნაცვლად „ეზოდ“ იძლევა „სტოვა“-ს. აზრი გაუგებარია ადიშის რედაქტორში: არა ჩანს, თუ რა იყო იერუსალემს? ამ ადგილის შემდეგდროინდელ შემსწორებლებს გასაზრიანებლად ჩაუმატებიათ აქ „ტბა“ და, რადგან ხელმეორე შესწორება ხდებოდა ბერძნულის მიხედვით, „ეზო“-ც შეუცვლიათ „სტოვა“-თი. ამ ადგილს, რასაკვირველია, არავითარი „ტბა“ არ ესაქიროება, სიტყვები ყველა თავის ალაგას იყო გადმოცემული, ხოლო მთარგმნელს ვერ გაუგია იქ ერთი სიტყვა და აქედან წარმოსდგება მთელი ბუნდოვნება. ბერძნულში ეს ადგილი იკითხება: *ἔταυ θῆ ἐν τοῖς ἱεροῖσι καὶ ἐπὶ τῆ πρώτα κτλ ἁλισμαῖς, ἡ ἐπισκοπῆς ἱερῶν: Κηθαι:θ, πέντε ταῖς ἑξαια. Πρῶτα:κτλ* აქ წარმოადგენს საკუთარ სახელს: ასე ეწოდებოდა იერუსალემის ერთ ადგილს, ქალაქის ჩრდილო კედლის კარიბჭეს (ἡ πρώτη κτλ sc., πάλι). ქართველ მთარგმნელს ეს როგორც ჩვეულებრივი პრῶτα-იდან („ცხოვარი“) წარმოებული ზედსართავი სახელი გაუგია („საცხოვარო“, „ცხოვართ“) და, რადგან ცალკე ადიექტივის აზრი არ ჰქონდა, ამ სიტყვის მეზობელი არსებითი სახელი მისთვის მიუკუთვნებია („ცხოვართ საბანელსა“), იმ დროს, როდესაც ეს ადგილი ასე უნდა გაეგო: „იყო იშლმს პრობატიკსა მას (ან: ცხოვართ ბქესა მას) საბანელი, რლსა ერქუმის...“).

სომხურში სწორად არის. სომეხ ავტორს ეს სიტყვა, როგორც საკუთარი სახელის გამოხატველი, გადმოუთარგმნელად დაუტოვებია: *Առ... პრობატიკს*

ავაზანი ( „(ε... η ιριρσσιχξ ασσσσσ... „იყო... პრობატიკესა მას საბანელი“).

2) Θεοφιλε და 3) πανδοχειον || πανδοχειον

ლკ 1 ო მიწერად შენდა მენეო ლთის მოყუარეო.

ლკ 10 ო და მოიყვანა იგი ყლთასა მას სადგურსა (ჯრუქისაშიც ასევეა).

ლკ 10 ო მისცა ყოველთა სადგურისა მოლუაწესა მას.

ცხადია, ამ წინადადებათა დამწერს ბერძნული დედანი უნდა ჰქონოდა ხელთ. ბერძნული სიტყვები Θεοφιλε, ეიζ πανδοχειον (πανδοχειον), თჳ πανδοχει დაშლილია აქ მათ შემადგენელ ნაწილებად და ისეა გადმოთარგმნილი, იმ დროს როდესაც პირველი საკუთარ სახელსაც კი წარმოადგენს. შემდეგდროინდელ შემსწორებლებს უგრძობიათ ეს უხერხულობა და მიუწერიათ აქ, ალბათ აშიაზე, „თეოფილე“ და ამით აიხსნება, რომ ჩვენს ვულგატაში ამ ადგილას იკითხება: „მიწერად შენდა მენეო ლთის მოყუარეო თეოფილე“.

რაც შეეხება მეორე სიტყვას (πανδοχειον), რომელიც „სასტუმროს“ „უცხოთა შესაფარს“ უდრის; სადაც ყველას შეუძლია დაიქირაოს ბინა, ჩვენს მთარგმნელს ესეც სიტყვა-სიტყვით გადმოუცია: παυ—„ყოველთა“. „ყოველთასა სადგურსა“ შეეძლო დაეწერა მას, ვისაც πανδοχειον ჰქონდა თვალწინ. რომ მთარგმნელს ამ ადგილის სომხური შესატყვისი ჰქონოდა „პანდოკი მი“ (ლკ 10 ო) და „პანდოკაპეტ“ (10 ო), ის ამას სომხურის მიხედვით ვერ გაიგებდა და ამ ბერძნულ ნასესხებ სიტყვას დასტოვებდა გადმოუთარგმნელად, როგორც მოქცეულან შემდეგ სომხურის მიხედვით რევიზიის მომხდენნი ოთხთავის სხვა ადგილას, მაგ.:

ინ 13 ო შთაასხა კონქსა,

რომლითაც შეცვლილია სომხურის „ი კონქ“-ის მიხედვით ძველი „შთაასხა საბანელსა მას“, რაც ბერძნული ეიζ ην νιπηρα-ს თარგმანს წარმოადგენდა.

4) χχιηχιδ || χχιηχιδ (აქლემი—საბელი).

სიტყვა χχιηχιδ („აქლემი“) ოფხთავში გვხვდება ექვსჯერ: მთ 3 ო; 19 ო; 23 ო; მკ 1 ო; 10 ო; ლკ 18 ო. აქედან სამს შემთხვევაში ყველა ვარიანტი ყველა ენაზე კითხულობს χχιηχιδ („აქლემი“).

მთ 3 ო: ხოლო თავდასა იოჰანეს ემოსა სამოსელი თმისაგან აქლემისა.

მთ 23 ო: წინამძღუარხო ბრმანო, რომელნი დასწურავთ კურნაქსა (რ: ბურნაქსა) და აქლემსა შთანთქამთ.

მკ 1 ო: ხოლო იოვანე მოსილ იყ[ო] სტევითა აქლემისაგა.

დანარჩენ სამ შემთხვევაში (მთ 19 ო; მკ 10 ო; ლკ 18 ო) ეს სიტყვა ნახმარია ცნობილ ანდრაში აქლემისა და ნემსის ჯუნწის შესახებ და ვარიანტები ნაირნაირად კითხულობენ მას: ზოგი კითხულობს χχιηχιδ („აქლემი“), ზოგი—χχιηχιδ.

ეს ანდაზა შემდეგია: *επιπρωτηρον ελαυ και η λαν δετ ερηματω: ραφινωδ ελταλφειν η πλισσιον εις την βασιλειαν του φεαν* („უფრო ადვილია აქლემი გაძვრეს ნემსის კუნწში, ვიდრე მდიდარი შევიდეს სასუფეველში“). ჯერ კიდევ ძველ კომენტატორებს შეეკვებიათ ამ ანდაზის მნიშვნელობა: *αχμηλας* აქ „აქლემს“ ნიშნავს, თუ სხვა რამე იგულისხმებო? მაგალითად, ძველი სქოლიასტები, მთ 19 24-ის ტექსტთან სწერენ: „*αχμηλον* აქ ცხოველს<sup>1</sup> კი არ ნიშნავს, არამედ მსხვილ თოქსო“. ამით აიხსნება ის, რომ ხელნაწერებში *αχμηλας*-ის ნაცვლად გაჩნდა *αμαλας*, ე. ი. გადამწერლებმა, რომელნიც იმ აზრისანი იყვნენ, რომ აქ „აქლემი“ კი არ უნდა იგულისხმებოდეს, არამედ „მსხვილი თოქი, საბელი“, მოისურვეს განესხვავებინათ ეს ორი სიტყვა ორთოგრაფიულად და, რადგან იმ დროს *η* და *ι* გამოთქმაში აღარ განსხვავდებოდნენ, შემოიღეს *αμαλας* („საბელი“).

მკ 10 25

უადვილეს არს ზომ საბელისა განსლვად ჯურელისა ნემსისასა (ად).

უადვილეს არს მანქანისა (მანქნისა ჯრ. პ) საბელი ჯურელისა ნემსისასა [სა] განსლვად (ო, ტ, ჯრ. პ-პ).

უადვილეს არს აქლემი ჯურელისა ნემსისასა განსლვად (v).

„დიჯრინ ც მალხო გნდ წაკ ასლან ანცანელ“.

*დიჯრინ ჭ მალხო გნდ წაკ ასლან ანცანელ*.

(„უადვილეს არს მალხო ხვრელსა ნემსისასა განსლვად“).

მთ 19 24

უადვილესა ზომთ საბლისაჲ ჯურელსა ნემსისასა განსლვად (ად).

უადვილეს არს მანქანისა (მანქნის ჯრ. მანქანის პ) საბელი განსლვად ჯურელსა ნემსისასა [სა] (ტ, პ, ჯრ.).

უადვილეს არს მანქანისა საბელი (აქლემი)<sup>2</sup> განს. ჯ. ნ. (ო).

უადვილეს არს აქლემი განსლვად ჯურელსა ნემსისასა (v).

... .. *მალხო* („მალხო“)...

ლკ 18 25

უადვილეს არს მანქანის საბელი ჯურელსა ნემსისასა განსლვად (ად).

უადვილეს არს მანქანის საბელი ჯურელსა ნემსისასა განსლვად (პ, ჯრ.).

უადვილეს არს მანქანისა საბელი ჯურელსა ნემსისასა განსლვად (v).

... .. *მალხო* („მალხო“)...

ამ ადგილების შედარება გვიჩვენებს, რომ:

1. ოთხთავის ვულგატაში (v), ე. ი. გიორგი მთაწმიდელის რედაქციაში, რომელიც წარმოგივლდგენს ბერძნულთან საბოლოოდ შეჯერებულ ტექსტს, აქ-

<sup>1</sup> ე. ი. „აქლემს“.

<sup>2</sup> წერებულა «მანქანისა საბელი», მერე წაუფხვკიათ და დაუწერიათ «აქლემი» (подсказано и исправителем надписано вульгатное аქლემი—Венешенях).

ჰაქის გაგებულია როგორც „აქლემი“ (ასე იყო საბოლოოდ დადგენილი ამ სიტყვის გაგება თვით ბერძნულ ტრადიციაში).

2. გიორგი მთაწმიდელის წინადროინდელ რედაქციაში, რომელიც წარმოდგენილია X საუკუნის ტბეთისა და ოპიზის ნუსხებით, *ჰაქის* გაგებულია როგორც „მანქანისა საბელი“, ე. ი. გაგებულია როგორც *ჰაქის* („საბელი“), ხოლო დამატებული აქვს მსახლერელი „მანქანისა“.

შენიშვნა 1. რომ ვარიანტი „მანქანისა საბელი“ ხელთ ჰქონია ვულგატის რედაქტორს (გიორგი მთაწმიდელს) და მას შეუსწორებია ის „აქლემად“, ჩანს იქიდან, რომ მას ერთ შემთხვევაში (ლკ 18,25) გაჰპარვია წინადროინდელი გაგება ამ სიტყვისა და შეუსწორებელი დაუტოვებია „მანქანისა საბელი“.

შენიშვნა 2. რომ გაგება „მანქანისა საბელი“ უკვე გიორგი მთაწმიდელის წინადროინდელ პერიოდში გამხდარა საეჭვო და სადავო, ჩანს იქიდან, რომ ოპიზის ნუსხაში ერთ ადგილას (მთ 19,34) წერებულა „მანქანისა საბელი“, იგი წაუფხვკით და შეუცვლიათ „აქლემით“.


3. მეათე საუკუნის წინადროინდელ რედაქციაში, რომელიც წარმოდგენილია 897 წლის ადიშის ნუსხით, *ჰაქის* გაგებულია აგრეთვე როგორც „საბელი“ (*ჰაქის*), ხოლო მსახლერელად ნაცვლად „მანქანისა“ დართული აქვს „ზომ“ (მკ 10 ო „ზომ-საბელისა“, მთ 19 ო „ზომთ-საბლისაჲ“).

შენიშვნა. ადიშის ნუსხის გადამწერისათვის რომ ცნობილი გამოთქმა „მანქანისა საბელი“, ჩანს იქიდან, რომ ერთ შემთხვევაში (ლკ 18,25) მასაც უწერია „მანქანისა საბელი“ (და არა „ზომ-საბელი“).

ამგვარად, ოთხთავის ქართულ რედაქციაში მოცემულია *ჰაქის*-ის ორნაირი გაგება: 1. ძველი — „საბელი“, 2. უფრო გვიანი — „აქლემი“. პირველი გაგება („საბელი“) არასდროს არ არის გამოხატული მარტივად სიტყვით „საბელი“; მას ყოველთვის თან ახლავს მსახლერელი: „მანქანისა საბელი“ ან „ზომ-საბელი“.

\*საბელი

(*ჰაქის*)



სომხურ რედაქციაში ყველგან იკითხება „მალხო“, რაც *Худанашев*-ის ლექსიკონით ნიშნავს „верный или канат“. ლექსიკონის ავტორისათვის, როგორც ჩანს, სიტყვა უცნობია და მას მხედველობაში აქვს სწორედ ჩვენი ადგილები, სადაც ბერძნული ტექსტის მიხედვით შესაძლებელია როგორც *ჰაქის*.



ისე *ζάμλος* (როგორც „აქლემი“, ისე „საბელი“). რომ მივიღოთ შედეგობა-ში ის, რომ სომხური ოთხთავის სხვა სამ ადგილას, სადაც *ζάμλος* გვხვდება (მთ 3 ა; მთ 23 ა; მკ 1 ა), სწერია არა „მალხო“, არამედ „უხტ“ (= აქლემი), გვჩვენებს ის, რომ ჩვენს ადგილებში „მალხო“ მხოლოდ „საბელს“ ნიშნავს და არა „აქლემს“. მაშასადამე, ქართულში იგივე გაგებაა, რაც სომხურში, და, ვინაიდან ყველა სამი ადგილი აღიშის ხელნაწერში იძლევა „საბელს“, შეიძლება და დავკვირდეთ: *via armeniaca*.

მაგრამ არ უნდა დავკვირდეთ: 1) რომ ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერში, ისეთებშიც, რომელნიც ტექსტთან ერთად კომენტარებსაც შეიცავენ (მაგალითად, *codex Mouacensis IX—X* საუკუნისა), ვკითხულობთ *ζάμλος* („საბელი“) და 2) რომ ქართულში არ სწერია მარტივად „საბელი“: ორ შემთხვევაში სწერია „ზომ-საბელისა“ („ზომთ-საბლისა“) ერთ შემთხვევაში კი — „მანქანისა-საბელი“.

რას ნიშნავს „ზომ“ და „მანქანისა“? მათი შესატყვისი არც ბერძნულს ტექსტშია და არც სომხურში. ვფიქრობთ, ეს გასაგები გახდება, თუ მივმართავთ იმ კომენტარებს, რომლებიც ამ ადგილებს უძღვნეს ძველმა კომენტატორებმა: მათთვისაც ხომ ეს ადგილები მთლად ნათელი არ იყო.

ერთ სქოლიოში, რომელიც ორი გენეს (185—254) მიეწერება, ვკითხულობთ: *ζάμλος* ძე ἰδὲ τὸ ἐν ἄσῳ λέγει, ἀλλὰ τὸ πᾶς τὰ χροῖσιν, ἢ μετῆσαι τὸ ἀγῆρα: οἱ γὰρ αἱ („*ζάμლოს*-ად აქ ცხოველს კი არ იტყვის, არამედ მსხვილ საბელს, რომლითაც მეზღვაურები ღუზებს აბამენ ხოლმე“).

მეორე სქოლიოში სწერია: *ζάμλος* οἱ μὲν τὸ χροῖσιν τῆς μῆρας ἢ τὸ ἐν ἄσῳ („*ζάμლოს*-ად ერთნი მანქანის საბელს თვლიან, მეორენი ცხოველს“)<sup>1</sup>.

ცხადია, ქართველი მთარგმნელი იცნობს ამ კომენტარებს, რომ გვიწერს „მანქანისა საბელიო“ (τὸ χροῖσιν τῆς μῆρας): რომ მას ხელთ არ ჰქონოდა ბერძნული ოთხთავი ბერძნულივე კომენტარებით, მარტო *ζάμლოს*-ი ვერ მისცემდა მას დასაყრდენს გამოთქმისათვის „მანქანისა საბელი“.

რაც შეეხება აღიშის ორ დანარჩენ ადგილას მოყვანილ გამოთქმას „ზომ-საბელისა“, ესეც მომდინარეობს იმავე ბერძნული კომენტარებიდან — და ნიშნავს მსხვილ საბელს, რომელიც ნავების მისაბმელად იხმარებოდა.

რ. ბლეჯკი მარკოზის-თავის გამოცემაში ზომ-ს სთარგმნის ლათინური სიტყვით *mensura* („საზომი“) და, ამგვარად, ფიქრობს, რომ აქ გვაქვს დღეს ხმარებული ქართული სიტყვა (ზომა, ზომიერი, საზომი და სხვა); მაგრამ ასეთი მნიშვნელობით ამ ადგილების (მკ 10 ა; მთ. 19 ა) გაგება გაძნელებოდა.

როგორც გამოიკრვა, ეს სიტყვა „ზომ“ ნახმარი აქვთ სომეხ მწერლებს სებეოსს, ლევონსა და ასოლიკს „ნავის მისაბმელი [საბელის]“ მნიშვნელობით („ნავაკამურჯ“)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხილეთ Tischendorf-ის გამოცემა, გვ. 271, სადაც შენიშვნებში მოყვანილია ეს კომენტარები.

<sup>2</sup> იხილეთ აქარიანის სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. II, გვ. 977.



## 5) Παύλῳ.

მკ 7 ა ყველა ხელნაწერში, ვგირდა ადიშისა, იკითხება: „უკუეთუ არა იდაყუთ გან დაიბანნიან კელნი არა ქამიან“. იდაყუთ გან უნდა გადმოგვეცემდეს ბერძნულს *παυλῷ* („მუშტით“, „მუჭით“). ამ ბერძნულმა გამოთქმამ კომენტატორები დიდი ხანია საგონებელში ჩააგდო. ამ მუხლში მოხსენებული მოვლენა ესმით, როგორც ისეთი დაბანა ხელებისა, როდესაც ერთი ხელის მუჭი მეორე გაშლილ ხელს სრესს, ან ხელების დაბანა იდაყვამდე ან კიდევ დაბანა ერთი პეშვი წყლით (იხ. Preuschen—Bauer, Wörterbuch, Lpz. 1928, s. v. *παυλῷ*). რომ გაგება „იდაყვამდე დაბანისა“ ბერძნულში დამკვიდრებულია, ეს ჩანს იქედან, რომ ახალი ბერძნული ოთხთავი ამ ადგილას ჰქითხულობს *μῆ-χρῖ τῶν ἀχρῶν* („იდაყვამდე“), ამას ადასტურებს ქართულიც („იდაყუთგან“)¹ — სომხური თარგმანი „ბრანალირ“ აღნიშნავს „პეშვით“ („ბურნ პეშვი, ხელის მტყვანი, ძალა“).

სულ სხვა რედაქციას იძლევა ადიშის ხელნაწერი, სადაც ჩვენი ადგილი იკითხება: „წუთს წუთ თუ არა დაიბანნიან კელნი, არა ქამიან“. „წუთს წუთ“, უნდა წარმოადგენდეს სახინაცვალს ფორმისა „წუთ-წუთ“, რაც ქართულში მრავალბუნელი კონსტრუქციით, როგორც ეს ზემოთ გვქონდა მოხსენებული უდრის „წუთობით, ყოველ წუთს“.

საიდან უნდა მომდინარეობდეს ასეთი გაგება ჩვენი ადგილისა? ერთ-ერთ შესაძლებელ განმარტებად ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი: ბერძნული *παυλῷ* ქართველი მთარგმნელის მიერ ამოკითხულ იქმნა, როგორც *παυλῷ*, რომ *π* და *α* ლიგატურის ერთმანეთში აღრევა ადვილია, ეს ნათლად ჩანს გარდტაუზენის *Griech. Palaeographie*-ის ბოლოში დართული ტაბულებიდან (Taf. 4a, 4b): ჩვენი ადგილისათვის მხედველობაშია მისაღები, რასაკვირველია, მთავრული კურსივი 3—4 საუკუნისა (მაგალითად, შეადირე 221 წლის ლიგატურები *αα* და *ππ*) ან ნუსხური კურსივი 4—5 საუკუნისა (მაგალითად, 350 წ. ლიგ. *αα* შეადირე იმავე ხანების *π*). ასეთი აღრევა არაბერძნებისათვის მით უმეტეს ადვილი იყო, რომ თვით გამოთქმა *παυλῷ*, როგორც დავინახეთ, არც თუ ასაზრიანებად წინადადებას, თუ ის ჩვეულებრივი „მუშტის“ მნიშვნელობით იქნებოდა გაგებული. რაც შეეხება *παυλῷ*-ს, რომელიც ჩვეულებრივ „წერტილს აღნიშნავს, მისი ხმარება „წუთის“ მნიშვნელობით ხაზხურ ენაში დადასტურებულია როგორც საღმრთო წერილით (ლკ 4 ა ჰ *παυλῷ* *χρῶν*), ისე ახალი ბერძნულით, სადაც ის ცალკეულ უ-*χρῶν*-დ იხმარება (შდრ. Ioh. Compennass, *Vulgaria: Glotta V*, 215 sq.).

## ბ) ბერძნულში წინადადების კონსტრუქციაში

1) Participium. იმ დროს, როდესაც სხვა რედაქციები (α, ბ, γ) იცავენ ნაცვალსახელიან კონსტრუქციას („რომელი, რომელნი...“), ადიში მისდევს ბერძნულ მიმდებარე კონსტრუქციას.

¹ ასეთი გაგებისათვის შეიძლებოდა ხელი შეეწყო იმ ვარაუგობას, რომ *παυλῷ* ნიშნავს აგრეთვე „მანძილს იდაყვიდან მუშტამდე“.

მთ 9 \* იხილა კაცი მჯდომარე საზუერესა ზა (ჯრ: რომელი ჯდა სა-  
ზუერესა ზედა) ჰიჭრაπთი ჩაჩჩმეიონ ჰპი თბ თელაი:თ.

მთ 11 16 მსგავს არს იგი ყრმათა მსხდომარეთა შს უბნებსა პაი-  
ბსი:ჯ ჩაჩჩმეიონ:ჯ ჰნ თაი:ჯ აჩორაი:ჯ.

მთ 13 24 მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მთესვარსა კეთილი-  
სა თესლისა (ჯრ: რომელმან დათესა თესლი კეთილი) ჰიჭრაπთი  
თპეირანთი ჩაღბუ თაქრუა.

მფ 13 28 მთესვარი იგი თესლისა მის კეთილისაჲ ო თაქრუა თბ  
ჩაღბუ თაქრუა.

სომხური ამ შემთხვევაში ყველგან (გარდა მთ 8 24) იძლევა არამიმღეობიან  
ფორმას.

საყურადღებოა, რომ ასეთი კონსტრუქცია გვხვდება ჩვენ იმ ადგილებ-  
შიც, რომელთა შესახებ მკვლევარნი თითქოს სხვა ნიშნების მიხედვით ამბობენ,  
რომ სომხური რედაქციისა არისო, მაგალითად.

მთ 8 28 მოეგებოდეს მას ორნი ეშმაკეულნი სამარობნით გაამომავალ-  
ნი ჰჩ თბ მუჩუაი:თ ჰჯერჩმეიონი.

სადაც „სამარობნით“-ში სამარე ნაცვლად „საფლავისა“ ს. კაკა-  
ბაძის აზრით (იხ. მისი „საისტორიო ძიებანი“, გვ. 23) არმენიზმია. თავი  
რომ დავანებოთ იმასაც, რომ სრულიად დაუსაბუთებელია „სამარეს“ არმენიზ-  
მობა (სომხურში მას უღრის „გერეზმან“) და „საფლავის“ ქართიზმობა—  
საფიქრებელია, რომ „სამარე“ და „საფლავი“ დაკრძალვის სხვადასხვა  
წყების აღმნიშვნელი ტერმინები იყოს—თავი რომ დავანებოთ ამასაც, სწორედ  
ამ მუხლში გვაქვს ჩვენ ტექსტუალური ხასიათის ერთი მნიშვნელოვანი მოწმობა:

ად: და ვითარ წიად ჳდა იგი მიერ წიად სოფელსა მას გადერელთა-  
სა,

სადაც ო, ტ, v, ჯრ იძლევიან „გერგესეველთასა“. ასევე აქვს სომხურს  
„გერგესაცვოც“ და მხოლოდ ადრში შეეფერება ბერძნულს:

ჰჯ თჩუ ჯარჲთ თბ Γαδჯარჲთ.

2) ინ 10 21 ქვეები აღიდეს, რაშუცა დაქოლეს იგი.

(ჯ, v: აქენდა ქვეები ჰურიათა, რაშუცა (ქეაჲ) დაკრიბეს მას  
ჰჰაჲთაჲთა ჳნაჲს... ᳚ა ჳნაჲთაჲთა ანაჲთ.

### გ) ბერძნული სიტყვები

აღიშის ხელნაწერი იძლევა ყველა იმ ბერძნულ სიტყვას, რომელიც და-  
ნარჩენ რედაქციებში თუ ხელნაწერებში გვხვდება. ეს სიტყვებია:

- |                    |                   |
|--------------------|-------------------|
| სანდალნი (თაიბაღა) | მილიონ (მილიონ)   |
| ტაბლა (თაბლა)      | პინაკი (პინაჯ)    |
| სულარი (თაიბაღა)   | კლიტენი (კლესიბა) |

სტოა (στωά)	ლეგეონ (λεγεών)
ქლამინდი (χλαμίνδα)	ლიტრა (λίτρα)
ალბასტრი (ἀλβαστερον)	მარგალიტი (μαργαρίτης)
ანგელოზი (ἀγγελος)	ლანქნასა (λανκνη)
ბალანტი (βαλαντιον)	ლანკლითა
კეისარი (Καίσαρ)	პალონ (πάλη—სურნელება, მცენარე)
იოტა (ἰώτα)	სფვრიდი (σφαιρίδας)
პარაფსიტი (παρὰψιτός)	ნარდიონი (νάριδος)
ლამპარნი (λαμπάρις)	ლაგვნითა (λαγυνίον)

მაგრამ ამ სიტყვებს ჩვენთვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა თარგმნის სადაურობის საკითხის გამოსარკვევად. ვინაიდან: 1. ჯერ ერთი მათ ბერძნულ-დედნაში ხშირად სხვა ბერძნული სიტყვა შეესატყვისება და 2. მეორეც, ისინი ისეთი ფორმით არიან მოცემული, რომ ზეპირად შეთვისებულად მოჩანან (კლიტენი, კეისარი, ლამპარნი და სხვ.). ამ სიტყვებით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ ოთხთავის მთარგმნელები ელინური სამყაროს გავლენას განიცდიან, რამდენადაც ბევრი ცნებისათვის ისინი ხმარობენ ბერძნებთან კულტურული და სხვა ურთიერთობის დროს შეძენილ სიტყვებს. ჩვენი ადიშის ხელნაწერისათვის შემოსენებულ, სხვა ხელნაწერებშიც ხმარებულ ბერძნულ სიტყვებს ემატება ზოგიერთი სხვა სიტყვაც. ასე, მაგალითად,

ა) არც ერთი ხელნაწერი არ ხმარობს „მარმარილო“-ს.

ინ 2<sup>ე</sup> მუნ დგეს ტაკუკნი მარმარილოდსანი

(v: მუნ დგეს სარწყულნი ქკსანი)

ს(ზოი): ნბრ(ა)

„თაკუდქქ კქეაქქ“.

ბ) მკ 12<sup>ა</sup> დასხნა ორნი „ფ. შ ი ტ ნ ი“ λεπειζ, „ლუმამს“ (ო, ტ, v მწყულინი)

ეს შენიშნული მომენტები მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თარგმანი წარმოშობილია ელინური გარემოს გავლენით.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი მიზნებისათვის ისეთი ადგილების დასახელება, სადაც ჩანს უშუალო გავლენა ბერძნული ფუძე-დედნისა.

ა) იქედნეთანო. ოთხ ადგილას (მთ. 3<sup>ე</sup>; 12<sup>ა</sup>; მკ. 23<sup>ა</sup>; ლკ 3<sup>ე</sup>) ჩვენ გვხვდება ადიშის ხელნაწერში ისევე, როგორც სხვა დანარჩენებშიც:

ნაშობნო იქედნეთანო

ყენი/ყათა ეხ(ზნ)უ.

და ყველა ამ ადგილებში სომხური იძლევა სულ სხვა სიტყვას: „იშიც“. ასეთი ბერძნობი გარეშე ბერძნულ ტექსტის გავლენისა წარმოუდგენელია.

## ბ) დ რ ა ქ მ მ.

ლკ 15<sup>8</sup> ღედაკაცსა... აქუნდეს დ რ ა ქ მ მ ათი და <რ>ლ არს სატირი >რ<sup>6</sup> წარწყმიდის დ რ ა ქ მ მ ერთი.

(v: დ რ ა ქ მ მ ათი და წარწყმიდის ერთი).

ἀπολέσει δραχμὴν μίαν.

„დრამქ ტასნ... ზდრამ მი“.

გ) ინ 12<sup>13</sup> აღილეს რტოები თანაკისაჲ ჰლაჰაუ ეჲ წაიჲ ონი ფონიჲსა)

(ჯრ: მოილეს რტოები დანაკის კუღთაგან.

„ოსტს არმავენიაც“ (финиковое дерево).

აქ გვაქვს ჩვენ კონტამინაცია „ფინიკისა“ და „დანაკისა“.

## დ) ო ო ო ო — ს ა ვ ა ქ ო ო .

მთ 20<sup>8</sup> მდგომარენი სავაქროსა ზელა (ἐστῆται ἕν τῆν ὀροῦν „ი ჰრაპარაკს“

(v. უბანთა ზელა);

მთ 11<sup>18</sup> შს უბნებსა (ἐν ταῖς ὀροαῖς „ი ჰრაპარაკს“).

მთ 23<sup>7</sup> უბნებსა ზა (v. უბანთა ზელა) (ἐν ταῖς ὀροαῖς „ი ჰრაპარაკს“).

მკ 6<sup>10</sup> უბნებსა ზა (v. უბანთა ზელა) (ἐν ταῖς ὀροαῖς „ი ჰრაპარაკს“).

მკ 7<sup>4</sup> და სავაქროთ და შევლენედ ეჲ არა განიბანინან.

(ო, ტ, ჯრ: და უბანთაგან რა შევიდინან უკეთუ არა იბანონ.

καὶ ἂν ὀροῦν ἕν μὴ βαντισθῶνται...

„ეჲ ჰრაპარაკს მტეალ...“

მკ 12<sup>28</sup> უბნებსა ზა (v. უბანთა ზელა) (ἐν ταῖς ὀροαῖς) „ი ჰრაპარაკს“.

ლკ 11<sup>33</sup> უბანთა ზა (ἐν ταῖς ὀροαῖς „ი ჰრაპარაკს“).

ლკ 20<sup>46</sup> უბანთა ზა (ἐν ταῖς ὀροαῖς „ი ჰრაპარაკს“).

როგორც ვხედავთ ოროს მხოლოდ ორჯერ არის გადმოცემული „სავაქროთ“ იმ დროს, როდესაც სომხურში ყველგან არის „ჰრაპარაკს“. ოროს რომ ქართველს თავისუფლად შეეძლო „სავაქროთ“ გადმოცემა, ცხადია, ვინაიდან ცოცხალ სალაპარაკო ბერძნულში ოროს „სავაქროს“ ნიშნავდა (ოროსაჲ—ვყიდულობ). მაგრამ აქ საყურადღებოა სწორედ ის, რომ ოთხთავში მხოლოდ აქ შეიძლება ჰქონდეს ოროს-ს სავაქროს მნიშვნელობა (შდრ. Preuschen-Bauer s. v. ოროს). გარდა ამისა, ყურადღებოა იპყრობს ის გარემოება, რომ მუხლი მკ 7<sup>4</sup> თვით დედანში იწვევს უთანხმოებას: გამოცემულ ტექსტებში სწერია: καὶ ἂν ὀροῦν ἕν μὴ βαντισθῶνται (βαντισθῶνται), ხოლო რადგან ზოგიერთებს გაუგებლად მიუჩინებიათ მარტივად დაწერილი ἂν ὀροῦν, უძველესი ხელნაწერები უმატებენ ἕν μὴ βαντισθῶνται ἂν ἕν ὀροῦν ἕν μὴ βαντισθῶνται, ხოლო სომხური, როგორც Tischendorf-ი შენიშნავს, ამბობს et redeunt a foro. ქართული „და სავაქროთ და შევლენედ“ ზედმიწევნით გადმოგვცემს καὶ ἂν ὀροῦν ἕν μὴ βαντισθῶνται.

ე) ბერძნული ტექსტის გავლენის ნათელსაყოფად მოვიყვან კიდევ ორ შემთხვევას ტექსტუალური სხვაობის ხასიათისა:

მთ 5: არა წარმართთაცა ეგრევე ყვიან (ად).  
 არა მეზუერეთაცა იგივე ყვიან (ო, ტ, ჯრ).  
 ὁβχι̅ και̅ οἱ̅ ξ̅ι̅ψ̅ι̅χοἱ̅ ἀ̅ν̅θ̅ε̅ π̅ο̅ι̅σ̅η̅σ̅υ̅.

ბერძნული ძირითადი ხელნაწერები იძლევიან სწორედ იმავე კითხვას, რო-  
 შელსაც ადიშის ხელნაწერი იძლევა.

სომხ. „ნაქსავორქ ევ მელავორქ“  
 թεληναι: peccatores.

მთ 6: ნუ მრავლის მეტყუელ ხართ ვითარცა ორგულნი (ად).  
 ნუ მრავლსა იტყვთ, ვითარცა იგი წარმართთაგანნი (ჯრ)  
 წარმართთა ყვიან (ო, ტ).

აქაც უძველესი ბერძნული ხელნაწერი B (Codex Vaticanus s. IV) იძლე-  
 ვა არა: ξ̅ι̅ψ̅ι̅χοἱ̅ (წარმართნი), არამედ οἱ̅ π̅ο̅ι̅η̅χοἱ̅: (—მლიქენლნი, ორგულნი).  
 ამასვე იძლევა, სხვათა შორის, ასურულიც.

სომხური აქ ჰკითხულობს „ზჰეთანოსსნ“ (=წარმართნი).

#### დ) სპეციფიკური მნიშვნელობით გადმოცემული გამოთქმები

ამგვარად, ოთხთავის ადიშის რედაქციის შედარება ბერძნულ დედანთან გვარწმუნებს იმაში, რომ ადიშის რედაქციის ავტორს თვალწინ ჰქონდა ძირი-  
 თადად ბერძნული დედანი (და არა რომელიმე სხვა). ამ ნიადაგზე აეხსენით  
 ჩვენი ზოგიერთი შეუსაბამობაც, რომელიც ქართულ თარგმანს ახასიათებს. მაგ-  
 რამ, მეორე მხრით, არის შემთხვევები, როდესაც ადიშში ნახმარია ისეთი გა-  
 მოთქმა, რომელიც განსხვავდება ქართული ოთხთავის სხვა რედაქციების გამო-  
 თქმისაგან, თუმცა ეს უკანასკნელი რედაქციებიც ბერძნულთან შედარების შედე-  
 გადაა მიღებული. ეს განსხვავება აიხსნება იმით, რომ ერთი და იგივე ბერძნუ-  
 ლი გამოთქმა გაგებულია სხვადასხვანაირად, იმიტომ რომ ესა თუ ის ბერძნუ-  
 ლი გამოთქმა გვიან საუკუნეში უკვე აღარ ესმოდათ იმ მნიშვნელობით, რო-  
 მელიც მას ჰქონდა ძველ საუკუნეებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, გვიანი საუ-  
 კუნეების მთარგმნელმა და რედაქტორმა კარგად იცოდნენ ბერძნული სა-  
 ლიტერატურო ენა, ხოლო ცოცხალი ბერძნული სალაპარაკო ენა  
 მისი ძველი იდიომატიზმებით მათთვის უცნობი იყო. ადიშის რედაქციის ავტო-  
 რი კი, თვითონ უფრო ძველ საუკუნეში მცხოვრები და ხალხური ენის მკოდ-  
 ნე, უკეთ ერკვევა ამა თუ იმ სიტყვის სპეციფიკურ მნიშვნელობაში მოცემულ  
 ადგილას და მის სხვა მნიშვნელობაში სხვა ადგილას. ქვემოთ მოგვყავს ამ დე-  
 ბულების დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითი:

1) Ὁρθει — „იგულეთ“

ამ ზმნის ჩვეულებრივი მნიშვნელობაა „ხედვა“, „ხილვა“; ἰρθει — „იხი-  
 ლეთ“. მაგრამ მთ 9 ან ეს ზმნა საგანგებო მნიშვნელობითაა ნახმარი.

ქრისტესთან მოვიდნენ ორნი ბრმანი და სთხოვედნენ განეკურნა ისინი. ქრისტე შეეკითხა: გრწამთ, რომ მე ეს შემოძლიაო? იმათ დაუდასტურეს—გრწამსო. მაშინ ქრისტემ ხელი შეახო მათ თვალებს და თქვა: აღსრულდეს თქვენზე. თქვენი რწმენაო, და ბრმებს მაშინვე აეხილათ თვალები. ქრისტემ გაჯავრებით მიმართა მათ: *εραξε μηδεις γυωσχετα*. მიუხედავად ამისა იმათ ეს ამბავი მოდევს მთელ ქვეყანას.

რა უთხრა მათ ქრისტემ სიტყვებით *εραξε μηδεις γυωσχετα*. ქართული ოთხთავის სხვა ნუსხებში (ო, ტ, ჯრ, პ, ვ) ეს წინადადება გადმოცემულია: «იხილეთ, ნუმცა ვინ უწყის», ე. ი. უყურეთ, რომ ეს ამბავი არავინ გაიგოსო. *εραξε* აქ გადმოცემულია «იხილეთ»; აღიშის ხელნაწერმა კი იცის ამ გამოთქმის სპეციალური მნიშვნელობა: «გაუფრთხილდით, არავინ შეიტყოს ეს ამბავი»<sup>1</sup> და წერს: «იგულეთ», ნუმცა ვინ აგრძნობს».

## 2) Πληρωμα — «საკერებელი»

Πληρωμα ნიშნავს „სისავსეს“, „სავსებას“. ამ მნიშვნელობით არის ის ნახმარი მკ 8<sup>20</sup> *εγωδωρι σავς* (σπαριδωι πληρωματα), ონ 1<sup>18</sup> «სავსებისა მისისავან» (*εξ τωσ πληρωματασ αντων*). მაგრამ ორ ადგილას (მთ 9<sup>16</sup>; მკ 2<sup>21</sup>) ეს სიტყვა იხმარება „საკერებელის“ შესახებ. ქართულ რედაქციებში ეს ადგილი ასეა გადმოცემული:

მთ 9<sup>16</sup>: *ουδεις δε επιβληει επιβλημα ραουσ αγραφοι εν ιματισ παλαισ, ανρει γαρ τσ πληρωμα αντων αντων ιματισ.*

არავინ დაადგის სადგმელი უმურკლველი სამოსელსა ძუელსა; რადილის [აღლის (ტ)] სავსებაჲ სამოსლისა მისგან (ო, ტ).

არავინ დაადგის სადგმელი ნახეისა უმურკველისაჲ სამოსელსა ზაძუელსა; რადამოილდიძის დგმულმან მან სამოსლისა მისგან (ად).

მკ 2<sup>21</sup>: *ουδεις επιβλημα ραουσ αγραφοισ επι ιματισ παλαισ εν δε μη ανρει τσ πληρωμα αντων αντων τσ καισεν τσ παλαισ.*

არავინ სადგმელი [უმურკლველი] ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა; უკუეთუ არა, მოაპის მისგან ცოცხალიცა იგი ახალმან მანძუელისაჲ მის (პ, ო, ტ).

არავინ სადგმელი ნახეისა უმურკველისაჲ დაადგის სამოსელსა ზედა ძუელსა; უკუეთუ არა, გამოილდიძის სწორად თჳსა ახალმან მანძუელისაჲ მის (ად).

<sup>1</sup> ასეთი მნიშვნელობა აქვს ამ ზმნის იმპერატივის მომდევნო მკ და იმპერატივით (*γυωσχετα*); იხ. Bauer, Wörterbuch, 919.

<sup>2</sup> «იგულეთ» უნდა ნიშნავდეს „გულში დაიმარხეთ“.

<sup>3</sup> პ: არავინ დაადგის სამოსელი ახალი უმურკველი სამოსელსა ძუელსა, რადამოილდიძის სიმტკიცემან მან ახლისამან.

ჯრ: არავინ დაადგის სადგმელი ახალი უმურკნველი სამოსელსა ძუელსა; რადამოილდიძის სიმტკიცემან მან ახლისამან.



ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, რომ იმ დროს, როდესაც სხვა ნუსხებს  $\pi\lambda\eta\rho\alpha\mu\alpha$  ესმით მისი ძირითადი მნიშვნელობით „საკესებაჲ“ (მთ 9<sup>13</sup>), ადიშის ხელნაწერი ითვალისწინებს მის საგანგებო მნიშვნელობას „საკერებელი“, „სადგმელი“<sup>1</sup>.

### 3) Π τ α χ ო ო — კირვეული

Π τ α χ ო ო ნიშნავს „ლარიბს“, რომელსაც ესაქიროება სხვისი დახმარება, იგი თხოულობს შემწეობას (საპირისპიროა  $\pi\lambda\iota\sigma\tau\omega\varsigma$  „მდიდარი“). ამ მნიშვნელობით (მატერიალური მდგომარეობისა) იგი გვხვდება მთ 26<sup>11</sup>; მკ 14<sup>7</sup>; [ლკ 14<sup>13</sup>; 14<sup>21</sup>; 16<sup>20</sup>; 16<sup>21</sup>] ინ 12<sup>8</sup>; 12<sup>9</sup> და სხვაგანაც, და გადმოცემულია სიტყვით „გლახაკი“ (გვხვდება აგრეთვე გადატანითი მნიშვნელობით „გლახაკნი სულითა“).

გარდა ამისა ოთხთავში  $\pi\tau\alpha\chi\omicron\sigma$  ნახმარია იმათ მიმართაც, რომელნიც არა მარტო იმიტომ არიან  $\pi\tau\alpha\chi\omicron\sigma$ , რომ ქონებრივად „ლარიბნი“ არიან, არამედ იმიტომაც, რომ ისინი ამ ქვეყანაში დაჩაგრულნი არიან და სასოწარკვეთილებას იწაგრძელებენ, და ღვთის დახმარება პირველ რიგში მათ ესაქიროებათ. ასეთი მნიშვნელობით არის ნახმარი  $\pi\tau\alpha\chi\omicron\sigma$ ; მთ 11<sup>8</sup> (და ლკ 4<sup>18</sup>; 7<sup>22</sup>)<sup>2</sup>.

ადიშის რედაქციას სხვა რედაქციებისაგან განსხვავებით ეს ნიუანსი გადმოცემული აქვს და, იმ დროს როდესაც  $\pi\tau\alpha\chi\omicron\sigma$  ყველგან გადმოთარგმნილია „გლახაკი“, მთ 11<sup>8</sup> ვკითხულობთ „და კირვეულთა ეხარების“  $\alpha\alpha\iota\ \pi\tau\alpha\chi\omicron\sigma\ \epsilon\mu\alpha\gamma\gamma\epsilon\lambda\iota\zeta\omicron\upsilon\gamma\alpha\iota$ .

### 4) Ἄ π λ ι σ ო ო — ნათელი

ეს სიტყვა ბერძნულში ნიშნავს „მარტივს“. მაგრამ თვალის შესახებ ოთხთავის ორ ადგილას (მთ 6<sup>22</sup> და ლკ 11<sup>33</sup>) ის ნახმარია „ნათელის“ მნიშვნელობით (საწინააღმდეგო „ბნელი“, „ბოროტი“  $\pi\eta\upsilon\eta\rho\epsilon\varsigma$ )<sup>3</sup>.

ოთხთავის ქართულ თარგმანებში (ო, ტ, ჯრ, პ, v)  $\acute{\alpha}\pi\lambda\iota\sigma\omicron\sigma$  გადმოთარგმნილია „განმარტებული“; ადიშის ხელნაწერში კი ვკითხულობთ: „უკუეთუ თუალი შენი ნათელ იყოს, ყოველნი ჳორცნი შენი ნათელი იყვენენ“  $\acute{\epsilon}\acute{\chi}\epsilon\ \eta\ \acute{\sigma}\ \beta\epsilon\mu\alpha\lambda\mu\acute{\epsilon}\zeta\ \sigma\upsilon\alpha\ \acute{\alpha}\pi\lambda\iota\sigma\omicron\sigma$ ,  $\beta\lambda\omicron\upsilon\ \tau\eta\mu\acute{\alpha}\zeta\ \tau\omicron\upsilon\alpha\ \varphi\alpha\tau\epsilon\iota\upsilon\theta\epsilon\upsilon\ \acute{\epsilon}\tau\alpha\iota$  (მთ 6<sup>22</sup>)<sup>4</sup>.

### 5) Ἰ π η ρ ἔ τ η ῖ — მტარვალი

Ἰ π η ρ ἔ τ η ῖ ნიშნავს „ხელქეითს“, რომელიც უფროსს ან ოსტატს ემსახურება („მსახური“). ოთხთავში ეს არის სასამართლოს მოხელე, სინაგოგის მსა-

<sup>1</sup> იხ. Bauer, Wörterbuch, 1077.

<sup>2</sup> იხ. Bauer, Wörterbuch, 1169.

<sup>3</sup> Bauer, Wörterbuch, 134.

<sup>4</sup> ადიშის ხელნაწერის ლუკას თავში (11,34), რომელიც სხვა რედაქციისადა ჩანს, ვკითხულობთ „განმარტებულ“.

ხური, მეფის ამაღლება და სხვა. ქართულ თარგმანში ყველგან ამის აღსანიშნავად იხმარება „მსახური“ (მთ 26 <sup>33</sup>; მკ 14 <sup>63</sup>; 14 <sup>63</sup>; 7 <sup>39</sup>; 45 <sup>36</sup>; 18 <sup>36</sup>). ერთადერთი ადგილია მთ 5 <sup>36</sup>, სადაც ადიშის ხელნაწერში ვკითხულობთ „ნუ უკუე მიგცეს მოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა და მსაჯულმან (მან მიგცეს შენ მტარვალსა და საპყრობილედ შეგაგდონ შენ“ *μήποτε δε παραιμή ό άνδ(μ)ος τή αρειχή και ό αρειχ(μ)ος τή ν(μ)ηρ(μ)ετ(μ)η, και ες(μ)ε παλαχ(μ)η β(μ)ληθήτω*. მართლაც, ამ ადგილას *ν(μ)ηρ(μ)ετ(μ)η* სპეციალური მნიშვნელობით არის ნახმარი და ნიშნავს „მტარვალს“, „ჯალათს“ (Scherge, Büttel, *свѣтъ, мѣлъ*).

## V

ამით ვამთავრებთ ჩვენ, ამჯერად, მსჯელობას ადიშის ოთხთავის ბერძნულზე. ზემოთქმულიდან, ვფიქრობთ, ნათელია, რომ

1) ადიშის ოთხთავში შრავალი ისეთი ბერძნისმია, რომელიც ჰგულისხმობს იმას, რომ ოთხთავის ადიშური რედაქციის ავტორს ხელთ ჰქონია ბერძნული დედანი;

2) ბერძნისმები მოიპოვება, მართალია, ქართული ოთხთავის გვიან რედაქციებშიც, რომლებიც (როგორც, მაგალითად, გიორგი მთაწმინდელისეული) ბერძნულ დედანთან შეჯერების შედეგად არიან წარმოშობილი, მაგრამ ადიშის ბერძნისმები ლიტერატურული ხასიათისა კი არაა, არამედ ისინი მომდინარეობენ, ზოგჯერ, ბერძნული სიტყვებისა და გამოთქმების იმ იდიომატურ გავებიდან, რომელიც მათ ჰქონდათ უფრო ადრინდელ ბერძნულში და რომელიც უფრო გვიან საუკუნეებში შეიძლება არც კი სცოდნოდათ არა თუ ქართველ მთარგმნელებსა და რედაქტორებს, არამედ თვით ბერძნებსაც;

3) ადიშის ოთხთავი ამჟღავნებს არმენისმებსაც; მაგრამ ეს არმენისმები ან ისეთ სიტყვებს ეხება, რომლებიც, საერთოდ, სომხურ ენაში გვხვდება, მაგრამ ოთხთავის იმ ადგილებში, სადაც ქართულ თარგმანში გვხვდება, ისინი სომხურში არ მოიპოვებიან; ან-და ეს ისეთი არმენისმებია, რომლებიც ბერძნისმებთან შედარებით გვიანი წარმოშობისად მოჩანან.

რამდენადაც ადიშის ოთხთავში არმენისმების არსებობა საეჭვო არაა, ამდენად შეიძლება ვინმემ ჩვენი ძირითადი, ბერძნისმის პრიმატობისა და, მაშასადამე, ადიშური რედაქციის ბერძნულიდან მომდინარეობის შესახები დებულების საპირისპიროდ დაგვიყენოს დებულება, რომ თვით ამჟერა ბერძნისმები (მაგალითად, *πριβαχ(μ)η, αμ(μ)η(μ)ετ(μ)η* და სხვ.) უკვე სომხურს თარგმანში იყო მოცემული, და ადიშურ რედაქციაში დადასტურებული მცდარი (თუ იდიომატური) გავება სომხურში დაშვებული შეცდომიდან მომდინარეობს და არა უშუალოდ ბერძნულიდან. მაგრამ ასეთი მსჯელობა სწორი არ იქნებოდა: როგორ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ადიშურ რედაქციაში დადასტურებული ბერძნისმების სომხურიდან მომდინარეობაზე, როდესაც არც ერთ, ამჟამად ცნობილ, სომხურ რედაქციაში ასეთი გავება არ არის დადასტურებული, ხოლო ბერძნულში ამ ადგილების იდიომატური (თუ მცდარი) გავება დადასტურებულია და ზემოთ ჩვენ მიერ, თავთავის ადგილას, ნათელყოფილი. გარდა ამისა ზოგჯერ იმის

დადასტურებაც შეიძლება, რომ რომელიმე ადგილის არმენიზმი ბერძნობის შემდეგ არის წარმოშობილი. ამაში დაგვარწმუნებს ჩვენ მთ 5<sup>18</sup> და ლკ 16<sup>11</sup>-ის განხილვა.

მთ 5<sup>18</sup>

ამენ გეტყვ თქუნ, რამეთუ ცანი და ქუეყანაჲ წარვდენ და იოტა ოდენი ერთი რქაჲ არა წარვდეს შჯულისაგანი (ჯრ, პ).

ა<sup>ნ</sup> გეტყვ თქუნ ვ<sup>ლ</sup>დე წარვდეს ცაჲ და ქყანაჲ იოტა მართო ერთი რქაჲ არა წარვდეს შჯულისაგან (ტ).

ამინ გეტყვ თქუნ, ვიდრემდე წარვხდეს—ცა და ქუეყანა, იოტა ერთი. გინა რქა ვრთო არა წარვხდეს სჯულისაგან (V).

ხოლო მართლიად გეტყვ თქუნ: ვიდრე|ე| წარსლვამდე -ცი|სა| და ქუეყ-  
ნისა, იოტა [...სა] სწაუ|ლი| |ა|რა... (ად).

..... ἡ τὰ ἐν τῇ οὐρανῷ καὶ ἐπὶ τῆς γῆς.....

..... კაცე ძქ, იქ ზ<sup>2</sup>ა<sup>ნ</sup>ს<sup>ა</sup>ქსე<sup>ქ</sup> ძქ ს

ლკ 16<sup>11</sup>

უადვილეს არს ცისა და ქყნისა წარსლვაჲ ვ<sup>ლ</sup>ელა შჯულისაგანი ერთი მოხატული დაერდომად (ჯრ, პ).

უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვა, ვიდრელა სჯულისა ერთი რქა დაერდომად (V).

ხოლო უადვილეს არს ცისა და ქყნსა წარსლვაჲ, ვიდრე არა შჯულისა-  
გან ერთისა სწავლული დაერდომად (ად).

..... ἡ τὰ ἐν οὐρανῷ καὶ ἐπὶ τῆς γῆς.....

..... ზ<sup>2</sup>ა<sup>ნ</sup>ს<sup>ა</sup>ქსე<sup>ქ</sup> ძქ...

ადიშური ვარიანტი «სასწაული» მთ 5<sup>18</sup>-ში სრულიად უადვილოა, ისევე როგორც გაუგებრობაზეა აგებული ლკ 16<sup>11</sup>-ის «სწავლული».

საქმის ვითარება ნათელია. ორივე ადგილას ლაპარაკია „იოტის ოდნად სჯულისაგან გადახვევაზე“ და ამ აზრის („იოტის ოდენ“, „კნინოდენ“) გამოხატავად ნახმარია ἡ τὰ ἐν οὐρανῷ καὶ ἐπὶ τῆς γῆς. ἡ τὰ ἐν οὐρανῷ καὶ ἐπὶ τῆς γῆς ან ἡ τὰ ἐν οὐρανῷ καὶ ἐπὶ τῆς γῆς ნიშნავს „რქას“, ხოლო ἡ τὰ ἐν οὐρανῷ καὶ ἐπὶ τῆς γῆς სპეციალურ ტერმინს წარმოადგენს გრამატიკაში და ნიშნავს ასოსთან ნახმარ პატარა დიაკრიტიულ ნიშანს, მახვილის ან სპირიტუსის გამომხატველს; ოთხთავის ამ ადგილებში კი (მთ 5<sup>18</sup> და ლკ 16<sup>11</sup>) ის ნიშნავს „უმნიშვნელოს“, „კნინს“<sup>1</sup>. ქართველ მთარგმნელს ἡ τὰ ἐν οὐρανῷ καὶ ἐπὶ τῆς γῆς („რქა“) აღურევია სიტყვასთან τὰ ἐν οὐρανῷ καὶ ἐπὶ τῆς γῆς („სასწაული“), ან იქნებ მის ხელნაწერში მართლაც ეწერა ასე. ქართული ოთხთავის შემდეგდროინდელმა რედაქტორებმა შენიშნეს ეს შეუსაბამობა, შეასწორეს და „სასწაული“ მაგიერ დასწერეს მართებული «რქა».

ასევე ყოფილა ადიშურ რედაქციაში გაგებული მათეს პარალელური ადგილი ლუკასთან (ლკ 16<sup>11</sup>), ხოლო იქ მერმინდელ რედაქტორს ერთი გაუგებრობის ნიადაგზე «სასწაული» მაგიერ გაუკეთებია «სწავლული». ეს გაუგებრობა შეიძლება სომხურთან შედარების შედეგი იყოს. სადოქრებელია, რომ

<sup>1</sup> იხ. Bauer, Wörterbuch, 671.

ადიშის რედაქტორის სომხურის *Հասնախոցի* („იოტა“, „რქა“) აერიოს რალაც სიტყვასთან, რომლის დასაწყისი იყო *Հաս...* („სწავლა“, „მეცნიერება“). ხოლო იმის კვალი, რომ იქ «სასწაული» ეწერა, დღესაც არის დარჩენილი:

ხწერია: «შჯულისაგან ერთი სა სწავლული»

ყოფილა: «შჯულისაგან ერთი სასწაული (— სა სწავლული)».

ამგვარად ცხადია, რომ ლქ.1611-ის არმენიზმი («სწავლული»), თუ კი მართლაც არმენიზმთან გვაქვს საქმე, უფრო გვიანი წარმოშობისაა, ვიდრე მისი ბერძენიზმი («სასწაული»).

ანტიკის გადანაშთები ძველ-ქართულ ლიტერატურაში

I

მეთერთმეტე საუკუნიდან, როდესაც ჩვენში დამყარდა ულტრაბიზანტიური მიმართულება, ქართველები დიდი ინტერესით სწავლობენ ანტიკურ კულტურას, — ძველ ბერძნულ ისტორიას, ფილოსოფიას, მითოლოგიასა და ლიტერატურას. ეს ინტერესი მეთერთმეტე საუკუნეში არ გაჩენილა, ის უძველესი დროიდანვე მზადდებოდა ჩვენში: ბერძნულ-რომაული კულტურის ელემენტებს ჩვენი წინაპრები გაცილებით ადრე ეცნობოდნენ ბიზანტიელებთან უშუალო, ცოცხალი, საქმიანი ურთიერთობის პროცესში, უფრო კი მწიგნობრული გზით. ჯერ კიდევ საეკლესიო ბიზანტიური მწერლობის საშუალებით შემოდიოდა ჩვენში და ვრცელდებოდა ცნობები ელინური კულტურის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ითამაშეს ჩვენში იმ მწერლებმა, რომელნიც ახლო იდგნენ ანტიკურ ლიტერატურასთან და უფრო მწვავედ განიცდიდნენ მის სიდიადეს<sup>1</sup>. ვგულისხმობთ იმ ავტორებს, რომელნიც, პოლემიკური თუ სხვა რაიმე მოსაზრებით, თავიანთ ნაწარმოებებში ხშირად ეხებოდნენ ამ კულტურას. ამ მხრივ ჩვენი კულტურის უძველესი (მეათე საუკუნემდე) პერიოდისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ბიზანტიური ჰაგიოგრაფია. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, რომელშიაც დაბირისპირებულია ორი სამყარო: — ანტიკური და ქრისტიანული, — მეტს საბაბს პოულობდა შეხებოდა ძველს ბერძნულ-რომაულ კულტურულ მემკვიდრეობას. რადგანაც მეათე საუკუნემდე ჩვენი ნათარგმნი ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს სწორედ ჰაგიოგრაფია წარმოადგენდა, ამიტომ გასაგები ხდება, რომ მასაც შემოჰქონდა ჩვენში ცნობები ანტიკური წარსულიდან. ამგვარი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები ჩვენს მწერლობაში ბლომად მოიპოვება. ამთავად ჩვენ გვინდა შეეჩერდეთ ერთ თხზულებაზე, რომელსაც „ეგსტრატის წამება“ ეწოდება.

ეგსტრატის მოღვაწეობა დაკავშირებულია ქვეყანასთან, „რომელსაც ჰრქვან ასტალია“ (Ἀσταλία), თუმცა ის მსაჯულს ეუბნება: «სახელი ჩემი არს ეგსტრატის და მეორედ წოდებულ არს ბარსაბონ და ქუეყანაჲ ჩემი კკრისიკეს». დღეს არსებულ ბერძნულ რედაქციასთან (რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი) შედარებით, აქ «ბარსაბონი» ზედმეტია და «კკრისიკეს» არის არაკეყნის სახელი, არამედ მეორედი სახელი ეგსტრატისა; ბერძნულში ასეა:

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია II, 8—9, 1941 წ.

«*Κυρισικής τῆς πατρικῆς τῆς πατρικῆς διακόνου*» (cognomine *Cyrisikes paterno sermone*). ქართულ თარგმანში რომ ამ შემთხვევაში რაღაც გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, ეს თვითონ ამ თარგმანის მომდევნო ადგილებიდანა ჩანს, იმ ადგილებიდან, სადაც «კურისიკეს» მართლაც ევსტრატის მეორე სახელია: ძვე წარვალ ნათესავესა შენისა თანა კურისიკესა, რომელ არს დიდებული ევსტრატის», «უფალო ჩემო კურისიკე». ევსტრატი საკმაოდ დიდი თანამდებობის კაცი იყო: «აქუნდა მას ტელმწიფებად დივანთა ზედა» — «*Ἐπισημοῦ τῆς βασιλείας ἡπαρχῆς ἡγεμῶν*»<sup>1</sup>. რადგანაც მან ქრისტიანობა აღიარა და შეგნებული მისი მქადაგებელი გახდა, იმპერატორ დეოკლიტიანეს (284—305). ბრძანებით ის, ხანგრძლივი და გულდადებითი გამოძიებისა და დაკითხვის შემდეგ, აწამა აგრიკოლაროს მსაჯულმა ან მთაწარმა.

დღესდღეობით ცნობილია ერთადერთი ბერძნული რედაქცია ევსტრატის მარტილობისა, რომელიც ეკუთვნის სვიმეონ მეტაფრასტს (X საუკ. გასულს)<sup>2</sup>. ის ძველი, კიმენური, რედაქცია ამ თხზულებისა, რომელიც სვიმეონს გადაუკეთებია ან გადაუმეტაფრასებია და რომელიც დაუწერია, ერთი ცნობით, სებასტიელ ბერეს ევსევის, მეორეთი კი დოროთეოზს, დაკარგულა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით არსად ჩანს. ეს დაკარგული რედაქცია შემონახულა ქართულ თარგმანში<sup>3</sup>, რომელსაც ვპოულობთ ორ ხელნაწერში: საქართვ. მუხ. A 95 და სინას მთის № 11 (ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით). რომელი ენიდანაა გადმოღებული ქართული თარგმანი?

ამ საკითხს იმიტომ ვაყენებთ, რომ სვიმეონ მეტაფრასტის დრომდე ამ თხზულების არსებობა მოსალოდნელია არა მარტო ბერძნულს, არამედ, ბერძნულის გზით, აღმოსავლეთის ქრისტიან ერთა ენებზედაც; მაგალითად, ცნობილია სომხურ ენაზე, მართალია ქართულისაგან განსხვავებული, მაგრამ მაინც თავისებური რედაქცია მისი<sup>4</sup>. მართალია, ბერძნული «კიმენი» ამ თხზულებისა არ შენახულა, ამიტომ ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას მოვახდინოთ შედარება ქართული და ბერძნული ტექსტებისა, მაგრამ გათვალისწინებით მეტაფრასტული რედაქციისა, რომელშიაც დედანი დიდად გადაკეთებული არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში დიალოგურ ნაწილში, შეგვიძლია ვთქვათ,

<sup>1</sup> ტერმინის *Σκρινარიος* — *Serinarius*-ის შესახებ იხ. Du-Cange, *Glossarium* t. II, 1401: *Ντοϋραφες, χαρτογράφιον τῶν ἐπαρχῶν, ἡρεπασφρις*. აქ მოყვანილია ნაჩვენები ადგილი ევსტრატის მარტილობიდანაც.

<sup>2</sup> Migne, PG. T. 116, col. 467—506.

<sup>3</sup> ქართულად არსებობს სვიმეონ მეტაფრასტის რედაქცია; ის გადმოღებულია ექვთიმე ათონელის მიერ ავტორის სიცოცხლეშივე, X-საუკუნეში, და შემონახულა ათონის ხელნაწერში № 50 (H. Marr, *Автографич. материалы по грузин. рукоп. Пивера I, 6—7*). ქართულადვე არსებობს ერთი რედაქცია ამ თხზულებისა, რომელიც თავში ძველს, კიმენურ რედაქციას მიყვება, ბოლოში კი მეტაფრასტულს (გელათ ს № 5, ფურ. 236—256 და ათონის ილიას სკიტისა № 6, ფურ. 114—126).

<sup>4</sup> P. Peeters, *Bibliotheca hagiographica orientalis*, p. 70, § 300, Bruxellis, 1910; ეს რედაქცია იმ ნაწილში, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, სვიმეონ მეტაფრასტის რედაქციას იმეორებს (*Vitae et passiones sanctorum* II, 462—3).



რომ ქართულ თარგმანი ბერძნულიდან უშუალოდ არ მომდინარეობს. ბერძნული დედნის სასარგებლოდ თითქოს შემდეგი ფაქტი უნდა დააბრაკობდეს: ევსტრატო, ნათქვამია ქართულ თარგმანში, დადგინებულ იყო «ყოველსა ზედა ელამიტასა», «რამთა იყვნენ მსახურად მისა ყოველსა ელამიტელნი». როგორც ჩანს, «ელამიტა», «ელამიტელნი» გაგებულია აქ როგორც გეოგრაფიულ-ეთნიკური ტერმინი, ნამდვილად კი გვაქვს, სვიმეონ მეტაფრასტის რედაქციის მიხედვით, ბერძნული *λεπτανοί*, ლათინური *limitaneus*, რაც სულ სხვა რამეს ნიშნავს, სახელდობრ: *ταῖς ἐξ ἁλιπτοσῶν φαλαγγισται*<sup>1</sup>.

მაგრამ ასეთი დამახინჯება ამ ტერმინისა შესაძლებელია მომდინარეობდეს იმ აღმოსავლური ტექსტიდანაც, საიდანაც შეედლო ქართველ მთარგმნელს გადმოეღო ეს თხზულება. ეგევე უნდა ვთქვათ სიტყვის «ეპისტრატოსს» და საკუთარი სახელების ბერძნული ან-ით დაბოლოების შესახებაც.

უფრო მეტი საბუთია ვიფიქროთ, რომ ქართული თარგმანი არაბულიდან მომდინარეობს. რასაკვირველია, უშუალო შედარება არც არაბულთან შეიძლება, ვინაიდან დღესდღეობით არც არაბულ ენაზე, ჩანს ეს თხზულება; მაგრამ საკუთარი სახელების გადმოცემისას ისეთ მოვლენებს ვაწყდებით, რომელთა ახსნა ან მხოლოდდამხოლოდ, ან უპირატესად არაბულ ნიადაგზე შესაძლებელია. ასეთებია:

1. თხზულებაში ეკითხულობთ: ზევსმა ზეცით გარდამოავდო «მამა მისი აკრონოს», იგულისხმებო ლმერთი *Κρόνος*. საიდან გაჩნდა ამ სახელის თავში აწ ეს არის წმიდა წყლის არაბიზმი, სახელდობრ ეპენთფისის I გაჩენა ისეთ სახელთა და ტერმინთა სათავეში, რომელნიც ორი თანხმონით იწყებიან<sup>2</sup>. მართალია, სახელი *Πλάτων* თავისუფალია ჩვენს ტექსტში ასეთი დამატებისაგან (შემდეგი დროის მაჰმადიანურ-სპარსული გზით შემოსულ ტექსტებში ჩვენშიაც ჩვეულებრივია აფლათუნ=პლატონ), მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ სახელი «პლატონ» მთარგმნელისათვის ცნობილი და გასაგები იყო, ხოლო «კრონოს» არა, ამიტომ ის მან მექანიკურად გადმოიღო.

2. საკუთარი სახელების გადმოცემისას სისტემურად ნახმარია: ა) ბერძნული *α-ს* მაგიერ ე: ექუსანტიოს (ექუსენტიოს); ბ) სამაგიეროდ ა არის ნახმარი ბერძნული *ε-ჟე-ს* მაგიერ: ექუსანტიოს=ექუსენტიოს, არმი=ერმი, ტიმოს, ბირაოს, ასშულოს; ც) ა იხმარება აგრეთვე *α-ს* მაგიერ: არესტი=ორესტი; დ) ი იხმარება *α* და *ε-ს* ნაცვლად: *Ποσειδών* (*Ποσειδών*—*Ποσειδών*) ტრანსკრიბირებულია როგორც *პისიდიონ*. ასეთი აღრევა თუ შენაცვლება ხმოვნებისა (*Ποσειδών* იწერება როგორც «უმიროს», მაგრამ ამ მოვლენას უშუალოდ ბერძნულიდან მომავალ ტექსტებშიაც ვპოულობთ ხოლმე) შესაძლებელი და მოსალოდნელია, ნაცნობი მიზეზის გამო, არაბული დამწერლობის ნიადაგზე.

3. ბერძნულ სახელთა II ტრანსკრიბირებულია ბ-თი: ბირაოს (*Πειραξ*), ბანდროს (*Πανδραξ*), სარბიდონ (*Σαραπιδών*); ასეთი მოვლენა ნ. მარს არაბულიდან მომავალი ტექსტების დამახასიათებლად მიაჩნია<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ამ ტერმინის შესახებ იხ. Du-Cange, Glossarium, t. I, col. 814.

<sup>2</sup> Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов, стр. 200.

<sup>3</sup> Ibid., стр. 203, § 8.

4. თხზულებაში მოხსენებულია ვინმე ასშულას. ვინ უნდა იყოს იგი? მთარგმნელმა, რასაკვირველია, არ იცის, რომ მას საქმე აქვს სახელის *Αισχλως* ეკვივალენტთან, რომელშიაც *α*: გადმოცემულია *ა*-თი (§ 2, b), *α*—*ა*-თი (§ 2, c), ხოლო *χ* ტრანსკრიბირებულია შ-თი. ჩვენთვის აშკარად საყურადღებოა უკანასკნელი მოვლენა; მართალია, იგი ( $\chi = \text{შ}$ ) ბერძნული ფონეტიკური მოვლენაა<sup>1</sup>, მაგრამ ამას ადგილი ჰქონია არაბულშიაც<sup>2</sup>, ამიტომ, ზემოჩამოთვლილ სხვა მოვლენასთან ერთად, ესეც არაბიზმად შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩვენს ტექსტში.

ამრიგად, თავდაპირველი ბერძნული ტექსტი თხზულებისა უთარგმნიათ არაბულად, ხოლო არაბულიდან გადმოუღიათ ქართული თარგმანი.

როდის უნდა იყოს შესრულებული ქართული თარგმანი? ზუსტად ამის გარკვევა ძნელია, მაგრამ, თუ ლექსიკას მივაქცევთ ყურადღებას, საკმაოდ არქაულ შრესთან უნდა გვქონდეს საქმე; აქ ჩვენ გვაქვს ასეთი სიტყვები: ზორვა, გება, მუნქუესვე, საერთადო, ცანდალი, მუსმარი, სავამრობელი, უპირადსი, ჩუკენი, ვმათა ქცევად (*εχ μιασιχδ*); ბერძნული *παισιχδ*: *λργω* გადმოთარგმნილია ასე: «თქუმული; რომელი დაედვა განგებასა ზედა»: ყურადღებას იქცევს ბრძანებითი კილო მოკვეცილი *ე*-ნით: აჩუენ; უწყოდ. ყოველ შემთხვევაში, მეცხრე საუკუნეზე ადრე, როდესაც იწყება მთარგმნელობა ქართულ ენაზე ლიტერატურული ძეგლებისა არაბულიდან პალესტინაში, საბას ლავრაში, ამ თხზულების გადმოღება საგულგებელი არაა, იმიტომაც, სხვა არა იყოს, რომ იმაში ნახმარია სპარსული ტერმინი «დივანი»; უფრო საფიქრებელია, რომ ის სწორედ მეცხრე საუკუნეში ითარგმნა, რადგანაც ბერძნული *χ*-ს შ-თი გადმოცემა, რასაც ჩვენს ძეგლში ვპოულობთ, ნ. მარის დაკვირვებით, სწორედ IX—X ს. ხელნაწერებში იჩენს თავს<sup>3</sup>.

ვინ არის მთარგმნელი. ამის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება.

აღმოჩენა ქართულ ენაზე დაკარგული ბერძნულ-არაბული თხზულების თარგმანისა თავისთავად მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტია, მაგრამ აშკარად არა ეს ფაქტი გვაინტერესებს ჩვენ; ამთავად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ცნობები ძველი ბერძნული ფილოსოფიიდან, მითოლოგიიდან, იურისპრუდენციიდან და ლიტერატურიდან, რომელთაც ამ თხზულებაში ვპოულობთ. ამიტომ, ვიკავებთ რა თავს მთლიანი თხზულების გამოცემისაგან, ვაქვეყნებთ იმისაგან იმ ნაწილს მისას, რომელშიაც მოცემულია ასეთი ცნობები. ტექსტს ვიღებთ საქართველოს მუზეუმის A ფონდის ხელნაწერიდან № 95.

<sup>1</sup> H. Mapp, Крещение ... стр. 164. მიხივე შენიშვნა ჟურნალში Христиан. Восток, т. I, 363.

<sup>2</sup> Ibid., стр. 203, § 8.

<sup>3</sup> Ibid., стр. 164, მიხივე შენიშვნა ჟურნ. Христиан. Восток, I, 363.

## II

## სიტყვებისაგან ევსტრატისა და აგრიკოლაოს მთავრისა

- 1140b A. მიუგო წმიდამან ევსტრატოს და ჰრქუა: «შ მსაჯულო, მითხარ მე, რომელსა ესე გკითხავ შენ: შჯულნი უფლებენა მეფეთა ზედა ანუ არა?» ჰრქუა მას მთავარმან მან: «ჰე, უფლებენ, რამეთუ იმარხვენ მათ!» ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატოს: «უკუეთუ შენზედაცა ვიდრემე უფლებენა და ყოველთა ზედა, რომელნი არიან შენებრნი, ანუ თუ წიგნსა ხოლო შინა დაწერილ არიან?» 5
- 1141a ჰრქუა მას მთავარმან მან: «და რაჲსათჳს იკითხავ ამას | საკითხავსა, შ თავო ჭეშმარიტებისა წინააღმდეგობათო, და ვინ იკადროს ყოფად რაჲსამე წინააღმდეგომი შჯულთაჲ?» ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატოს: «შ მსაჯულო, რამეთუ პოვნილ არს შჯულსა შინა დიდებულისა კეისრისასა ესრტთ: „განეშორენ ყოველი იძულებდაჲ ყოვლისა სიტყვსაგან და საქმისა და იხმიენ საზომი დაჯერებად ყოველსა ადგილსა! და ჯერ არს მისა, რომელი არს მთავარსა ქუეშე, ორთა საქმეთაგანი ერთი: ანუ დაარწმუნოს და მიიღოს, რასა იგი ეძიებდა, ანუ დაირწმუნოს და ყოს ბრძანებული იგი მისა ნებითა თავისა თჳსისაჲთა“. და შემდგომად სიტყვსა ამის მცირედრე კჳლად იტყვს ესრტთ: „უბრძანებთ მფლობელსა, რაჲთა განზაოს შიში სიმშჯდითა და ეგრტთ შჯიდეს საშჯელსა ბჳობისასა, რაჲთა არა მოძულებულ იქმნეს შიშისა მისგან და არცა შეურაცხ იქმნეს და დაწუნებულ სიმშჯდისა | მისგან“. ესე ესრტთ წერილ არს, შ მსაჯულო, ანუ არა?» ჰრქუა მას მთავარმან მან: «ჰე, ჭეშმარიტად წერილ არს!» მაშინ წმიდამან ევსტრატოს ჰრქუა მას: «უკუე გევედრები, რაჲთა დაჰმარხო სიტყუად ესე ჩემზედა!» ჰრქუა მას მთავარმან მან: «შენ ზედა და ყოველთა ზედა ჯერ არს დამარხვად რომელი იგი არს შჯულთა შინა, ვითარცა თანამდებისა საქმს საპატიოჲ!» ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატოს: «უკუე გევედრები, რაჲთა განზაო შეში სიმშჯდითა და სიფიცხლმ მყუდროებითა; ვითარცა კაცმან გამოცდილმან ანუ დაირწმუნო პირველად, ანუ დაარწმუნო და ჰჳობდე ყოველთა ზედა გულის-ზრახუთა მართლითა და ცოცხლითა. და უკუეთუ არა მომმადლებ მას სათხოელსა, უკუე თჳნიერ სიტყვსა და გამოკითხვისა, გინა შჯულისა მგუემე, მტანჯე, მომკალ და ყავ: რაჲცა გნებავს». ჰრქუა მას მთავარმან მან: «ყოველი, რომელი გნებავს, თქუ კადნიერად, | რამეთუ მსაჯულებასა ჩუენსა უყუარს დარწმუნებაჲ უფრო- 30  
ესლა ფრიად».
- B. ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატოს: «ვითარ მიბრძანებ მე, შ მსაჯულო, რაჲთა ვჰმონებდე ერთსა ღმერთსა ანუ მრავალთა ღმერთთა?» ჰრქუა მას მთავარმან მან: «ღმერთსა ერთსა და ღმერთთა მრავალთა!» მიუგო მას ევსტრატოს და ჰრქუა: «ღმერთსა დიდსა და ღმერთსა მცირესაჲ?» ჰრქუა მას მთავარმან მან: «ჰე, ზევსს[ი] პირველად და მისა შემდგომად აპოლონს და პისი-დიონს!» ჰრქუა მას ევსტრატოს: «რომელთა ბრძენთაჲ, ანუ რომელთა მეცნიერთაჲ, გინაჲ წინაღმარაგმეტყუელთაჲ გასმიეს ვითარმედ თაყუანის სცეს ამით?»

- პრქუა მას მთავარმან მან: «პლატონისი და არისტოტელისი და არმისი და სხუათა ბრძენთაჲ, რომელნი, უკუეთუმცა იცნოდე, პატივმცა სცემდი ვსენებასა მათსა, ჰ ევსტრატოსს, რამეთუ იყვნეს იგინი კაცნი დიდებულნი და განსაკვრებელნი». | პრქუა მას ევსტრატოსი: «არა უმეცარ ვარ მე ერთსაცა მათგანსა, არამედ სიყრმით ჩემითგან ვიკითხავ საქმესა მათსა და ვიცინი თქუმულნი მათნი და მისწავის ყოველცა წმათა ქცევად, რამეთუ მესუა მე მამად კეთილის მოყუარულ და გონიერი და მასწავა ესე ყოველი; უკუეთუ მიბრძანო მე, ვიწყო პლატონისითგან და წარმოვთქუა». პრქუა მას მთავარმან მან «რამეთუ ეპოვეთ ჩუენ ვითარმედ პლატონ დაწერა წიგნსა შინა მისსა, რომელი მიუწერა ტიმაოოსს, ვითარმედ გარდავიდა იგი მდინარესა ერთსა, რომელსა ერქუა ბიროოს, და ილოცა მუნ ღმერთთა მიმართ. ესე შენთანა ბრძენი არს [ანუ] არა?» პრქუა მას ევსტრატოსი: «ფრიადლა და დიდად აბრალეხს პლატონ ღმერთსა შენსა ზევსს[ს], და ისმინე, რასა იგი იტყუხს მისა მიმართ, ვითარმედ იწყე შენ ბიროოსითგან და თქუმულსიგან მისისა, რომელი | დაედვა განგებასა ზედა, წიგნსა მას შინა მისსა მეორესა, [რომელსა] წერილ არს ესრესთ ვითარმედ კეთილის მომცემელ არს ღმერთი და მიზეზი ყოვლისა კეთილისაჲ, ვითარ იგი ვიტყუთ ყოველნი, და არა თუ მიზეზი გარეშე კეთილისაჲ, რომელ არს ბოროტი; ხოლო კეთილისაჲ ესრესთ ვიტყუთ ვითარმედ არავინ არს მიზეზი მისი, გარნა მხოლოდ ღმერთი, ხოლო ბოროტისა არა არს მიზეზ. აწ უკუე არა ჯერ არს შენდა, რაჲთა შეიწყნარო უმბროსს, გინა სხუად ვინმე ფილოსოფოსთა მათგანი, მისებრ მეტყუელთაჲ, რომელთა თქუეს ვითარმედ ზევს მიზეზი არს კეთილისაჲ და ბოროტისაჲ და მზაკუვარ ექმნა სარწმუნოებასა და დაჰქსნა ზორვად; რომელ იგი ყო ბანდროსს. და ნუ აქებ კუალად შფოთისმოყუარობასა ღმერთთასა, რომელსა ზევს მინდობდელ იყო. და კუალად თქუა ასშულას ვითარმედ ღმერთი არს მიზეზი რაჲემს | ჰნებავნ კაცსა ბოროტისა ყოვად ყოვლისა სახისაჲ. და არა უნებს პლატონს, რაჲთა ესმეს ქალაქსა შინა მისსა მეტყუელად არცა ბერი და არცა ჰაბუკი, რომელი იტყოდეს ესე ვითარსა რას. ვითარმედ არა სათნო არს, რაჲთა ესუას მას ღმერთი მამის მკლველი, ვითარ ესე ზევს; რომელსა აწ თქუენ ესავთ, ვითარმედ გარდამოავდო მამად მისი აკრონოს ზეციით და შემუსრა იგი. და არა ჯერ არს, ვითარმცა ითქუა ღმერთისა ზედა ვითარმედ შექმნა თავი თჳსი მფრინველად და აცთუნა დედაკაცი და იმრუშა მისთანაჲ. და კუალად სძულს პლატონს ღმერთი შენი ზევს ფრიად, რამეთუ სიმძლავრითა მით ტრფიალებისა მისისაჲთა მძლე ექმნა მას გლოვად დედაკაცისაჲ და ტიროდა იგი სიკუდილისა ზედა სარბიდონისსა. ანუ არა ესე არსა, ჰ მსაჯულო, რამეთუ წერილ არს წიგნთა შინა მისთა? უვარ-  
1144a ყო ესე ღმერთად და ბრძანა, | რაჲთა არავინ ემსგავსოს მას კეთილის მოყუარეთაგანი ამით ესე ვითარითა ვნებითა. აწ რაჲსათჳს თქუენ ჰგომობთ ესე ვითართა საქმეთა, რომელთა იგინი ვლტოლვილ იყვნეს მათგან, და ჩუენცა გუაიძულეზით კუალად, რაჲთა ჩუენცა თაყუანის ვსცეთ თქუენთანა?»

1 პლატონისი. 7 მოყუარე. 14 ბიროოსითგან.—და თქუმული მისი. 15 ესრეთ. 17 გარეშე. 1-8 ესრეთ. 38 რომელთა | რომელსა.



- C. და ჰრქუა მას მთავარმან მან: «თავსვიდეა უგუნურებად შენი სიბრძნისა ჩემისათს, და შენცა კულად მითხარ ჩუენ, ვინ არს ღმერთი, რომელსა შენ ესავ, და ვითარ იქმნა იგი კაც და დაისაჯა და ჯუარს ეცუა, და იტყუო მისა, ვითარმედ ღმერთი არს?» ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატისოს «უკუეთუ მიბრძანო მე, რაათა ვდტყოდე, უკუე ისმინე ჩემი სულგრძელებით და განვაგოთ საქ- 5 მც ესე პირველად გულის სიტყუთა მართლითა და ქეშმარიტითა და შემდგომად გაუწყო შენ რომელსა იგი ეძიებ». ჰრქუა მას მთავარმან მან: «მიბრძანებიეს შენდა, იტყოდე, რაეცა გნებავს აწ!» მაშინ თქუა წმიდამან ევსტრატისოს: 1144b «უღირსა|ყოველსა კაცსა გონიერსა, რაათა იხილოს ღმერთი ვითარმედ მართალ არს და მიუწდომელ და გამოუთქუმელ და არარად ჰგავს მას; და უცვა- 10 ლებელ არს გონებითა და მიუთხრობელ არიან საქმენი მისნი და ძალი მისი უფროეს ყოველთა ძალთა. ანუ არა ესე არსა შენ წინაშე, ჰ მსაჯულო, ბრძენო?» ჰრქუა მას მთავარმან მან: «ეგრე ვჭგონებ?» ჰრქუა მას ევსტრატისოს: «შეესძინოთ ყოვლისათს ესეცა, რამეთუ არა იცვალეზის იგი აღვილითი აღ- გილად». ჰრქუა მას მთავარმან მან: «ქეშმარიტად ყოვლით კერძოვე!» ჰრქუა 15 მას წმიდამან მან: «აწ უკუე და ვირწმუნოთა, ვითარმცა იყენეს სხუანი ღმერთნი მისვე შანთისაგან წარუვალისა და განურყვენელისა და ვთქუათ ვითარმედ მას შინა არიან ყოველნი და, უკუეთუ იყენენ დაკლებულ მისგან, ჯერ არს 1145a ჩუენდა, რაათა არა ეგონოთ იგი ღმერთ არავის კაცთაგანისა წინაშე, რამეთუ ღმერთი სრულ არს, ვითარცა იგი თქუმულ არს; რომლისაჲ იგი ჯერ არს 20 თაყუანისცემად და დარწმუნებად ყოვლით კერძო». ჰრქუა მას მთავარმან მან: «ეგრცთ არს!» ჰრქუა მას წმიდამან მან: «უკუე რაე ვთქუათ ღმერთთა მგაგთ შენათს მრავალთა: მათ ყოველთაჲ [არსა] ესე დიდებულებაჲ და სათნოებაჲ წმიდაჲ და ძლიერებაჲ და შუენიერებაჲ სამარადისოჲ, ვითარ ეგე იტყუო, და ძალითა სწორ არიან და ბუნებითა შეერთებულ ურთიერთას. და არა განშო- 25 რებულ? და უკუეთუ ესრე არიან და სრულ ყოვლითა და სწორ საქმითა. და სიბრძნითა, და არა ერქუმის მათ ღმერთნი დიდნი და მცირენი, არამედ ერთი ღმერთი, ძლიერი ძალითა მიუწდომელითა, და სახელი ერთი ღმრთეებისაჲ წოდებად, და ნუ ჰგონებთ მათსა ვითარმედ ჭრთი მათგანი ზეცას დამკვდრე- ბულ არს და ერთი ზღუას და ერთი ჯოჯოხეთს. ანუ არა ესრე ჰხედავა, ჰ 30 მსაჯულო!» | და... ჰრქუა... მთავარმან...: «ვითარ ჰმონებ ღმერთსა ჯუარცმულსა?» ჰრქუა მას წმიდამან ევსტრატისოს: «ვიწყო ისი დოსესითგან ფი- ლოსოფოსისა: „დასაბამსა იყო სიბნელც და უფსკრული წყალთაჲ“. მაშინ ღმერთმან შეამკო სოფელი ესე არა თუ ყოფილისა რაესაგანმე, არამედ დაჰბადა ყოველივე არარაესაგან სიტყუთა და ბრძანებითა მისითა» [ამის შემდეგ მოყვა 35 ნილია, საგმაოდ ვრცლად, მაბლიჟრი მათხრობა კვიქნის და ადამიანის შეკმ- ნის შესახებ, აგრეთვე საზარების თქმულება ქრისტეს ევაწლსე, და შენიშნულია: | «ესე ვთქუ შემოკლებულად, რაათა დაირწმუნო ბრძენისა შენისა პლატონისა- გან და მეცნიერ იქმნე ჩემ მიერ და დაუტეო ზეცს, რომელმან იგი მოკლა მა- შად თუსი, ღმერთმან შენმან მეძაემან და მფრინველმან და გრძნეულმან, რომე- 40 ლი იტყებდა შეილთა თუსთა სიკუდილსა».

## III

მოტანილი ნაწყვეტი შედგება სამი ნაწილისაგან, რომელთაგან პირველი (A) იურიდიკული ხასიათისაა; მეორე (B) მითოლოგიურ-ლიტერატურული, ხოლო მესამე (C) ფილოსოფიურ-თეოლოგიურისა.

პირველ ნაწილში ჯერ აღიარებულია საყოველთაო სავალდებულო ხასიათი რომის კანონებისა, რომელთა ძალას სცნობენ და ემორჩილებიან ყველანი, მეფეთა და მთავართა გამოუკლებლივ. მერე ნაჩვენებია რომაული მოქმედი სამართლის («შუელი დიდებულისა კეისრისა») სამი მუხლი: 1) მსაჯულის სიტყვასა და საქმეს უნდა ახასიათებდეს არა იძულება, არამედ დამაჯერებლობა; 2) პასუხისმგებელმა ან უნდა დაარწმუნოს მსაჯული და ამით თავის მიზანს მიიღწიოს, ან თვითონ უნდა ირწმუნოს მისი და თავის ნებით შესარულოს, რასაც მისგან მოითხოვენ; 3) მსაჯულმა საქმის წარმოებისას უნდა «განზაოს შიში სიმშვიდით», რათა შიშმა არ შეაძულოს ადამიანს კანონები, ხოლო ზედმეტმა სიმშვიდემ აბუჩად არ ააგდებინოს ისინი. ევსტრატე გამოსთქვამს იმედს, რომ ის გასამართლებული იქნება ყველაფრის ამის გათვალისწინებით.

მეორე ნაწილში<sup>1</sup> მსაჯული, ევსტრატის შეკითხვაზე, აყენებს შემდეგს დებულებას: ადამიანი თაყვანს უნდა სცემდეს არა მარტო „ერთსა“ და „დიდს“ ღმერთს (Θεῷ), როგორცაა ზევსი, არამედ „მრავალთა“, „მცირეთა“ ღმერთთაც (θεῶν), მაგალითად, აპოლონსა და პისიდიონს (ამ სახელის შესახებ იხ. ზემოთ § 2, d). ღმერთების დაყოფაში „ერთად“ და „მრავლად“, „დიდად“ და „მცირედ“ ძველ ბერძენ მოაზროვნეთა, განსაკუთრებით კი პლატონის ფილოსოფიური მოძღვრება გვეხმის. მართლაც, ევსტრატის შეკითხვაზე: რომელი ბრძენი, ან მეცნიერი, გინა თუ წინასწარმეტყველი (προφῆται) თაყვანსა სცემდა მათო, მსაჯული ასახელებს პლატონს, არისტოტელეს და არმის. «არმი» არის Ἐρμῆς Τριτοχῆριστος, რომლის სახელს, დამახინჯებული სახით, ჩვენი მემპტიანეც იხსენიებს (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, 198, 205) ერთს ადგილას (ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, რამდენიმე ჯერ კიდევ გაურკვეველი, ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა, თბილ. უნ-ის მოამბე V, 306—308). თავისი სიტყვების დასადასტურებლად მსაჯული ასახელებს პლატონის თხზულებას «ტიმაოსს»: «წიგნსა შინა მისსა, რომელი მიუწერა ტიმაოსს» (ὅν τῷ πατρὶ Τίμαῳ βίβλον), სადაც ვითომცდა სწერია, რომ პლატონი «გარდავიდა მდინარესა ერთსა, რომელსა ერქუა ბირაოს (εἶς τῶν Περσῶν ἄναξίβουζος) და ილოცამუნ ღმერთთა მიმართ» — «ბირაოს» (Περσῶν) არის ქ. ათენის ერთ-ერთი ნავსადგური, რომელიც ქართველ მთარგმნელს, თუ მის არაბულ დედანს, «მდინარედ» გაუგია და მოუნათლავს. ეს მოწმობა მაინცადამაინც დამაჯერებელი არ უნდა ყოფილიყო ევსტრატისათვის, რადგანაც დასახელებულ თხზულებაში ასეთი ცნობა არ

<sup>1</sup> ეს ნაწილი ძველი „კიმენისა“ უფრო ნაკლებად უნდა იყოს შეცვლილი სვიმონ მეტაფრასტის რედაქციაში (Migne, PG. t. 116, თავი KB, col. 492 ABCD), ამიტომ უფრო თამამად შეიძლება ამ რედაქციით შემოწმება ჩვენი ტექსტისა.



მოიპოვება, მაგრამ ის მაინც განაგრძობს ბაასს: მოიგონე, თუ რას ამბობს პლატონი თავის მეორე წიგნში: ღმერთი არის მიზეზი ყოველი კეთილისა და არა ბოროტისა. აქ სახელი მეორე წიგნისა აღნიშნული არაა, მაგრამ უნდა იგულისხმებოდეს პლატონის თხზულება „სახელმწიფო“, სადაც ხაზგასმით არის აღპარაკი იმის შესახებ, რომ ღმერთი, როგორც უაღრესად სახიერი (*ἀγαθὸς*) არსება, არ შეიძლება იყოს მიზეზი ბოროტისა. აქ რომ მართლა „სახელმწიფო“ იგულისხმება, ეს შემდეგიდანაც ჩანს: „სახელმწიფოში“ პლატონი ავითარებს იმ აზრს, რომ ქვეშარიტი ღვთაების წარმოდგენას არ უდგება ჰომეროსის, ჰესიოდეს და სხვა პოეტების თქმულებები ღმერთების შესახებ, ვითომც-ისინი ერთმანეთს ამხობენ, სტანჯვენ, ჰმუსრვენ და მტრობენ, რომ ისინი, მოტყვილებისა და შეცდომაში შეყვანის მიზნით, იცვლიან თავიანთ გარეგნობას და სხვ. მართლაც, ჩვენს ტექსტში ევსტრატი ეუბნება მსაჯულს: არ არის დასაჯერებელი „ჰომეროსის“ და სხვა „ფილოსოფოსთა“ (*φιλοσοφῶν*), კერძოდ «ასჟულასის» (ესქილეს ამის შესახებ იხ. ზემოთ § 4) შეხედულება, რომ უზენაესი ღვთაება არის მიზეზი კეთილისა და ბოროტისა (ჰომეროსის და ესქილეს მოძღვრებით, ადამიანის ყოველგვარი მოქმედების, კეთილის თუ ბოროტის, მიზეზი არის უღმობელი ბედი ან შეუცნობელი ღვთაებრივი ძალა), რომ მისი შთაგონებით ბანდროს «მზაკუვარ ექმნა სარწმუნოებასა და დაჰქსნა ზორვად» (*βραχὺν καὶ παρῆναι ἄρχασι*). ამ ადგილას, რომელიც, მეტაფრასტული ბერძნული ტექსტის მიხედვით, საკმაოდ ბუნდოვანია, «ბანდროს» უნდა იყოს *Πάνδαρος* (Pandarus)<sup>1</sup>, ძე ლიკაონისა; ერთ-ერთი ბელადი ტროელთა ომისა, სახელგანთქმული მოისარი, რომელმაც დასჭრა მენელაოსი და ამით დაარღვია ცოტახნის წინათ დადებული პირობა და ფიცით შეკრული კავშირი. შემდეგ, არ არის დასაჯერებელი, რომ ქვეშარიტი ღმერთი იყოს შფოთის მოყვარე და თავისი შამის, კრონოსის, ზეციით გარდღმობადებული და მკვლელი, იგულისხმება საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული თქმულება კრონოსის მიერ თავისი ახლადდაბადებული შვილების შთაყვანების, ზევსის გადარჩენისა და მის მიერ მამის დამხობის შესახებ. არც იმის დაჯერება შეიძლება, განაგრძობს ევსტრატი, რომ ქვეშარიტმა ღმერთმა, მრუშობის მიზნით, თავისთავი ფრინველად შესცვალოს და დედაკაცი შეაცთონოს; აქ იგულისხმება თქმულება იმის შესახებ, რომ ზევსმა მიიღო სახე გედისა და შეაცივნა ლედა, ანდა მხედველობაში მიღებულია მისი ხშირი გამოცხადება ჰერასთან გუგულის სახით. არც ის ეგუება ქვეშარიტი ღვთაების იდეას, რომ ქალისადმი ტრფიალებით და მისი გავლენით, ის, ღმერთი, სტიროდა «სიკუდილსა ზედა სარბიღონისსა». აქ იგულისხმება შვილი ზევსისა *Νακχρηβία*, მეფე ლიციელისა, ტროელთა მოკავშირე, პატროკლეს მიერ მოკლული. პლატონს არ უნდაო, ამბობს ევსტრატი, რომ ამგვარი ვენებებით შეპყრობილ ღმერთს ემსგავსოს ვინმე კეთილისმოყვარეთაგანი, მას არ უნდა, რომ ასეთი რამე სჯეროდეს ბერს თუ ქაბუქს მის ქალაქშიო. «ირწმუნე ბრძენისა ზენისა პლატონისაგან და დაუტყვე ზევს, რომელმან იგი მოკლა მამაჲ თვისი,

<sup>1</sup> სვიმონ მეტაფრასტის ტექსტში, აქედან სომხურშიაც. შეცდომით არის *Πάνδαρος*.

ღმერთთან შენმან მეძაემან და ფრინველმან და გრძნეულმან, რომელი იტყვბდა შეილთა თვსთა სიკუდილსაო», ათავებს თავის სიტყვას ევსტრათი.

მესამე ნაწილში ევსტრათი ჯერ უთვალისწინებს მსაჯულს, რომ ღმერთი, ყოველი გონიერი და ჯანსაღ-მოაზროვნე ადამიანის შეხედულებით, უნდა იყოს მართალი, მიუწვდომელი, გამოუთქმელი, შეუდარებელი, უცვალეზელი, ყოვლად ძლიერი, ბრძენი, ყოვლად შევნიერი, ყოვლის შემცველი, ყოვლგან მყოფი, ერთი სიტყვით — ყოვლად „სრული“. ასეა ხომო, ეკითხება ევსტრათი. მსაჯული ეთანხმება, რომ სხვანაირად არც შეიძლება წარმოვიდგინოთო. მაშასადამე, ეუბნება ევსტრათი, თუ რომელსამე თქვენს ღმერთთაგანს აკლია თუგინდ ერთიც ამ თვისებათაგან, ის, როგორც არასრული, ნამდვილ ღმერთად ვერ ჩაითვლება, ხოლო თუ ისინი ყველანი ერთი «შანთის» ან ბუნების არიან, თუ ისინი «სრულ არიან ყოვლითა და სწორ საქმითა და სიბრძნითა», მაშინ, უნდა ეთქვათ, აღარ არიან «ღმერთნი დიდნი და მცირენი», როგორც თქვენ გჯერათ, და არც იმისი თქმა შეიძლება, რომ ერთი მათგანი «დამკვდრებულ არს ზეცას, ერთი ზღუას და ერთი ჯოჯოხეთს». ასეთი წარმოდგენა ღვთაებაზე და არგუმენტაცია ამ წარმოდგენისა ძირითადად ამოღებულია პლატონის თხზულებებიდან, როგორცაა ტიმეოსი, სახელმწიფო, ფედონი, კანონები; განსაკუთრებით პირველი, ამრიგად, ევსტრათიმ მსაჯული საკუთარი მისი, ელინური, იარაღით დაამარცხა, იქამდე, რომ მან «ვერ შეუძლო პასუხისა მიცემად და დადუმნა მყოვარ ეამ». ერთადერთი, რაც მან მოახერხა, — ბრალდებულს ეკითხება ქრისტიანობის შესახებ: რაღას წარმოადგენს იგიო? ევსტრათი იწყებს ქრისტიანობის შესახებ ლაპარაკს ბიბლიური კოსმოგონიით და აქაც, მეტი დამაჯერებლობისათვის, იშველიებს ჰესიოდეს «თეოგონიიდან» შემდეგს ცნობას: «დასაბამსა იყო სიბნელე და უფსკრული წყალთაჲ» (ბერძნულით — ერემოსი და ქაოსი). ეს ცნობა მისთვის იმიხაა მნიშვნელოვანი, რომ სიტყვისიტყვით იმეორებს იმას, რასაც ბიბლიის პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ (შესაქმ. I, 2).

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამჟამად წარმოვადგინოთ შემდეგი მსვლელობა ამ სიტყვისგების ან პაექრობისა. მოყვანილი ნაწყვეტი ამ სიტყვისგებისა საყურადღებოა იმით, რომ 1) რომის სამართლის არსისა და საფუძვლების გათვალისწინებით, ის ხელს უწყობდა ძველს საქართველოში იურიდიკული შეგნების გაცხოველებას, ჩამოყალიბებას და გაღრმავებას; 2) შემოქონდა ჩვენს ძველს მწერლობაში ცნობები ანტიკური ლიტერატურიდან და მითოლოგიიდან; 3) აცნობდა ჩვენს წინაპრებს ანტიკური ფილოსოფოსების თხზულებებსა და შეხედულებებს. ყველაფერი ეს ნოყიერ ნიადაგს ჰქმნიდა იმ კულტურულ-ლიტერატურული და ფილოსოფიური რენესანსისათვის, რომელმაც, გარკვეულს პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურ პირობებში, მძლავრად იფეთქა ჩვენში მეთერთმეტე საუკუნიდან. მეორე მხრივ ისიც აღსანიშნავია, რომ ამგვარი ცნობები შემოდრიოდა და ვრცელდებოდა ჩვენში არა მარტო ბერძნული, არამედ არაბული მწერლობიდანაც. მეშვეობა არაბული ლიტერატურისა ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის შეთვისებისა და მისი გადაცემის საქმეში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებისადმი დიდი მნიშვნელობის ფაქტია, მაგრამ ეს საეკლესიო კვლევა-ძიების საგანია და ამჟამად თავს ვიკავებთ მისგან.

ΓΙΟΣ ΑΡΡΗΝ — ძე წული<sup>1</sup>

1. 1934 წლის Glotta-ს ნომერში კვითხულობთ Bror Olsson-ის პატარა წერილს სათაურით „სინჯ ორეჟი“, სადაც მკვლევარი ორი მაგალითის საფუძველზე, რომელიც მას უშოვია „იონეს გამოცხადებასა“ და მესამე საუკუნის ერთ-ერთ პაპირუსში, ძალიან ფრთხილად ეპყს ქვეშ აყენებს სიტყვა სინჯ-ის მნიშვნელობას. იგი ამბობს: ჩვეულებრივის გაგებით სინჯ ნიშნავს „ვაჭიშვილს“, მაგრამ, ეტყობა, იგი ხალხურ მეტყველებაში გასთანაბრებია παις და παιδιον-ს და ტექსტებში, როდესაც საჭირო იყო „ვაჭიშვილის“ გადმოცემა, არ კმაროდა მარტო სინჯ-ი. მას სჭირდებოდა კიდევ ორეჟი ანუ ორეჟი-ის დართვა. აი მაგალითები:

και ξεταχεν σινβ ორეჟον (იონ. გამ. 12ა).

πρωφορησ δειναιχεν πα: ναιομηνηματισμεν της ၎ρη:ερωσαςης μη ξεχεν σινβ ორეჟον (Papiri Societa Italiana. 9.1039.36).

ამ წერილის საფუძველზე „ახალი აღთქმის“ ბერძნული ტექსტი შევეუღარეთ ქართულსა და სომხურს და ასეთი სურათი მივიღეთ: ბერძნ. სინჯ-ი გად-ცემულია ქართულად: 1. ძე, 2. შვილი, 3. ნაშობი; სომხურად: 1. ორეჟი და 2. ძაწილი.

მაგალითები:

სინჯ = ძე.

a. ძე = ვაჭიშვილი.

მკ 12,6 ჰ: ონ მია სინβ ჰეონ ორეჟეონ ასთინ მერმე ერთლა dC ესუა საყუარელი (A<sub>1</sub>, B)   
 ααα ორეჟი ძე ჰე ორეჟი ორეჟი

მთ 27,37 მარეჟონ ძე ၎πείσσειε პრბჟ ასთინჟ ონ სინβ ასთინ ორეჟონაჟსკენელ მიუვლინა ძე ორეჟი (A, B)   
 ორეჟი ორეჟი ორეჟი ორეჟი ორეჟი ორეჟი ორეჟი

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად ისტორიის ინსტიტუტის დილოლოგიის განყოფილების სწო-მაზე 1943 წლის 8 მაისს.

<sup>2</sup> XXIII ტ., 1,2 რვ., გვ. 112.

- მკ 9,17 ἤγειρα τὸν υἱὸν μου πρὸς σε  
მოვიყვანე ძე ჩემი შენდა (A, B)  
*აძი უყრეღი ჩა აა რიღ*
- b. ძე=შვილი.
- მთ 7,9 ὃν ἐὰν ἀιτήσῃ ὁ υἱὸς ἀπὸ τοῦ πατρὸς  
ἄρῃσιν πάντοτε ὁ πατήρ· ὁ υἱὸς οὐκ ἔρχεται  
ἐκ τῆς οὐρανόθεν, ἀλλ' ἐκ τοῦ πατρὸς ἐστίν· ὁ  
ὁ πατήρ ὁ ἀγαπᾷ τὸν υἱόν, ὁ ὅστις ἐκ τῆς οὐρανόθεν  
ἐκ τῆς οὐρανόθεν ἐκ τῆς οὐρανόθεν (A, B)  
*გიე ჩინაჩიეჩი პრეჩი ჩე რაი*
- ლკ 10,22 ὁ υἱὸς οὐκ ἔρχεται ἐκ τῆς οὐρανόθεν  
ἀλλ' ὁ πατήρ ὁ ἀγαπᾷ τὸν υἱόν, ὁ ὅστις ἐκ τῆς  
οὐρανόθεν ἐκ τῆς οὐρανόθεν (A)  
*ჩე ოჯე რიოქ ქე ოქ ქე ურეჩი ხქქ ოჯ რაი*
- მთ 13,38 ὁ υἱὸς οὐκ ἔρχεται ἐκ τῆς οὐρανόθεν  
ἀλλ' ὁ πατήρ ὁ ἀγαπᾷ τὸν υἱόν, ὁ ὅστις ἐκ τῆς  
οὐρανόθεν ἐκ τῆς οὐρανόθεν (A, B)  
*ურე ურეჩი რე არეჯაქეჩიან ჩე*
- ნი 6,38 ὁ υἱὸς = შვილი.
- მთ 5,45 ὁ πατήρ ὁ ἀγαπᾷ τὸν υἱόν, ὁ ὅστις ἐκ τῆς  
οὐρανόθεν ἐκ τῆς οὐρανόθεν (A, B)  
*ჩი ხეჩიქე ურეჩი რე ოჯე რაი*
- ლკ 16,8 ὁ υἱὸς οὐκ ἔρχεται ἐκ τῆς οὐρανόθεν  
ἀλλ' ὁ πατήρ ὁ ἀγαπᾷ τὸν υἱόν, ὁ ὅστις ἐκ τῆς  
οὐρανόθεν ἐκ τῆς οὐρανόθεν (A)  
*ჩი ურეჩი რე ოჯე რაი*
- ინ 17,12 ὁ υἱὸς ὁ ἀγαπᾷ τὸν υἱόν, ὁ ὅστις ἐκ τῆς  
οὐρανόθεν ἐκ τῆς οὐρανόθεν (A)  
*ურეჩი ჩე ოჯე რაი*
- აფ 6,38 ὁ υἱὸς = ნაშობი.
- მთ 21,5 καὶ ἐπιβιβηκὼς ἐπὶ ὄνον καὶ πῶλον υἱὸν ὑποζυγίον  
და ზე ზის იგი ვიროსა და კიტუსა ნაშობსა კარაულისსა (B)  
*ჩე ჩეჩი ოჯე ჩე კარაულისსა*<sup>1</sup>
- მთ 23,31 ὁ υἱὸς ὁ ἀγαπᾷ τὸν υἱόν, ὁ ὅστις ἐκ τῆς  
οὐρανόθεν ἐκ τῆς οὐρανόθεν (A, B)  
*ჩქქ ურეჩი რე ოჯე რაი*
- ლკ 20,34 ὁ υἱὸς ὁ ἀγαπᾷ τὸν υἱόν, ὁ ὅστις ἐκ τῆς  
οὐρανόθεν ἐκ τῆς οὐρανόθεν

<sup>1</sup> ὁ ὄνος—осленок. A-შიაც ეს ადგილი ისევეა, როგორც სომხურში.

ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებიან და განჰქორწინდებიან (A)

*„იქიქი აუჯიორჩა აკიორქი ღანააკი აინსუ ხე თიორე ქინჩი“*

ამრივად, ქართულის მონაცემებით დასტურდება ის, რაც Olsson-მა მოსაზრების სახით წამოაყენა, სახელდობრ, — ბერძნული ანბნ-ის მნიშვნელობა უფრო ფართოა, ვიდრე „ვაჟიშვილი“, დაჰისქვესატყვისება ქართულ „ძეს“, „შეილსა“ და „ნაშობს“:

2. ქართული „ძის“ მნიშვნელობა, სახელდობრ, რომ იგი არ ნიშნავდა მაინცადამაინც „ვაჟიშვილს“, არამედ სინონიმი იყო „შეილისა“ და „ნაშობისა“, ზემოთ მოყვანილი მაგალითებითაც დასტურდება<sup>1</sup>. ამ გარემოებას უფრო ნათელს ხდის ქართული „სახარების“ სხვადასხვა რედაქციები, სადაც ეს სიტყვები (ძე, ნაშობი, შეილი) პარალელურად იხმარება, მაგ.,

მკ 2,19 A შემძლებელ არიან-მე ნაშობნი ქორწილისანი მარხვად (B ძეთა).

მთ 8,12 A ხ ნაშობნი (B ძენი) იგი სასუფევლისანი.

მთ 9,15 A ... შვილთასა (B ძეთა) ქორწინისათა...

3. მსგავსად ბერძნულისა, იმისათვის, რომ „ვაჟიშვილი“ გადმოეცა ქართულ ენაზე მწერალს, საჭირო იყო „შეილის“ აღმნიშვნელ რაიმე სიტყვას (ჩვეულებრივ ძე-ს) დართოდა სიტყვა „წული“.

აკად. არნ. ჩიქობავა შრომაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ წულის შესახებ წერს: „—ულ სუფიქსი გამოიყოფა წულშიც, რომელიც, ეტყობა, გარკვეულ დიალექტურ წრეში „შეილის“ ნაცვალს იყო, ვრცელი გამოყენება ჰქონდა ძველ ქართულში და იხმარება ახლაც გამოთქმებში: ძმისწული, დისწული, ქალწული (= ქალიშვილი)“ (გვ. 43).

საბაას ლექსიკონში ვხვდებით: წული—ვაჟი. დისწული—დის ვაჟი, ძმისწული—ძმის ვაჟი. ქალწული—ვაჟი უბიწო, ქალწულა—ქალი უბიწო.

ამრივად, აკად. არნ. ჩიქობავას აზრით, „წული“ „შეილია“ (განუორჩეველად სქესისა), საბაას აზრით კი „წული“ ვაჟობის, მამრობითობის აუცილებელი ელემენტის შემცველი „შეილია“. ტექსტების ამ მხრივ გადასინჯვამ მეორე მოსაზრება უფრო სარწმუნოდ გამოავლინა. ნათარგმნ ძეგლებში ბერძნ. ჰერეზ და სომხ. *արსი* შეესაბამება ქართულ „წულს“ და ორივე სიტყვა, ბერძნულიცა და სომხურიც, აღნიშნავენ მამრს.

დამოუკიდებლად ხმარებული ჰერეზ, *არსი* ქათულად გადმოდის: მამალი (მკ 10,6, A) მამაკაცი (G, 3,28 ვულგატა), მამანი (R, 1,27 ვულგატა), წული ლკ 2,23

*ზ: πῶς ἄρσεν διανοήσει κατὰ τὴν φύσιν τῶν ἀρσενῶν ἁγίου πνεύματος*  
*ბ: ἰσχυρὸν ἄρσεν ἰσχυρὸν ἰσχυρὸν ἰσχυρὸν...*  
ვ'დ'ენ წულმან რ'ნ განალოს საშობ წ'და ო'ნისა ეწოდოს

<sup>1</sup> არაფერს ვამბობთ ქართულ საერო ლიტერატურაზე, სადაც ავთანდილიც ძეა ამირსასაღარისა და თინათინიც ძეა როსტევან მეფისა (იხ. ვეფხისტყაოსანი, სტრ. სტრ. 35, 38, 42, 350, 1248, 1745 etc.).

დაბადება 34,15.

*περιεμνησθησεν ἡμῶν πατρὶς ἀρχαίαν*  
**ქ ქრიათქ ჰსქ ყამწნაქს არილ**  
 დაიკვთის ყოველმან წულმან თქუწმან

დაბადება 34,24.

*καὶ περιετέμνοντο τῆν σάρκα τῆς ἀκριβείας ἀπὸν πατρὶς ἀρχαίαν*  
**ხე ქრიათხეჩს ყამარქს ანქრიათიქჩს ჩერხანგ თმწნაქს**  
**არილ**

და წინა დეიკვეთდეს ხორცსა წინა დაცვეთილებისა მათისასა ყოველი წული.

ენახოთ, „ვაქიშვილს“ როგორ გადმოგვეცემენ ნათარგმნი ძეგლები?

რომელმან ჰშუა ძე იგი წული  
*ἦν δὲ ἔτεκεν τὸν ἀρσενα*  
**ირ ბნაღ ყამანილქს არილ, Ap 1213.**

და შუა მან ძე წული  
*καὶ ἔτεκεν σὺν ἄρρενα*  
**ხე ბნაღ ღჩსს არილ Ap, 2,5**

„ხ“ ვა მოიწია უამი ლევჭიპპაჲს შობისაჲ და შუა ძე წული...“

*ἦδη δὲ ἄρχον ῥόσια τῆς Λευκίπης ἐχούσῃς παῖδᾶ τε ψευδαμύνης*  
**ჭრრენა...** (გალაქტ. და ეპისტ. თ. VII)<sup>1</sup>

მთ 17,18 A „და ვანიკურნა წული (B ყრმაჲ) იგი“

*καὶ ἐμειραπέσθη ὁ παῖς*  
**ხე რჭკხეყო. ამანილქს“**

(ცოტა ზემოთ, 17,15 იგივე პიროვნება მოხსენებულია: A, B ძეწ, ანᾶს ἰρηქ).

„აუწყებდა... ვდ შობად უც მას ყრმაჲ წული და ეწოდოს მას სახელი სუმონ“ (K, 218 12)

„ხ“ მეცხრესა წელსა მეფობისა კოსტაჲს ძის წოჯლსა ჰერაკლე-  
 დსსა (K, 68 17)

„თეკლას მარტულობაში“ „წულით“ გადმოცემულია *υπαπανησοκ*<sup>2</sup>, რაც ნიშნავს „სხვათა ხელთქვეშ მყოფ ბიჭს“, მაგალითად:

*ყნოც ყათათანხაკსი ყანქ საყ 105*

წარილო წულმან მან... განსყიდად პურად 106 7

*ხე ხერხი საყათათანხაკსი ზჩიე ზკანოც საყ 107*

და წული იგი მოვიდა და მოართუა ხუთი ქუეზაჲ პური 107 14.

ორიგინალურ ძეგლებშიაც „წული“ იმავე მნიშვნელობისად მოჩანს. დაბი-  
 რისპირებულია „წული“ და „ქალი“. მაგ.,

<sup>1</sup> საგულისხმოა, რომ ბერძნ. *παῖδᾶ* ქართულად ძე-თი არის გადმოღებული.

<sup>2</sup> ამაზე მიმითითა დოც. ილ. აბულაძემ.



- „არა მივის ჩვენ შვილი წული მკვდრად, არამედ მისხენ შვილნი ქალნი“ (ჯუანშერი; მარიამისეული ქ. ცხ. 426).
- „არა დაშთა ყრმა წული, არამედ ქალი ერთი სახელით ხვაშაქ“ (ქამთააღმწერელი; მარიამისეული ქ. ცხ. 822).
- „და კულად ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა ესუა შვილი ყრმა და წული“ (გრ. ხანძთ. მე, 1. იქვე მე, 9 ბავშვზე ნათქვამია—ძე).

ბროსესეულ „ქართლის ცხოვრებაში“ (გვ. 566) ვკითხულობთ: ალთუნმა ჯერ „მოუცლად ილო ყრმა წული“, კვლად მიუდგა და ჰშვა ასული“. იოანე პეტრიწი პროკლე დიაღოხოსის შესახებ ამბობს, რომ მის მშობლებს ეუწყა: „მოგეცეს თქვენ წული ყრმა (II, 4). ჩვენ მიერ განხილულ მასალაში ერთადერთი შემთხვევა იყო „წდა ნინოს ცხში“ (გვ. 801, 29), სადაც „წული“ ქალს შეეხება, სახელდობრ: ჯრი წარილო ძის წოლმან ჩემმან სალომე“<sup>1</sup>.

ზემოთ უკვე მოყვანილი იყო საბაას განმარტება, „დისწული“ და „ძმისწული“ „დის“ ან „ძმის“ ვაჟიშვილს აღნიშნავენო. ამ მხრივ წარმოებულა დაკვირვებამ „ქებათა ქების“ ტექსტზე (ვულგატა, ნ. მარის გამოცემა T. P. III, ა. შანიძის „პალეოგრაფიული რვეული“) და მისმა შედარებამ ბერძნულთან და სომხურთან გვაჩვენა, რომ იქ არსებული „ძმისწული“ (|| დისწულია || დისწული)<sup>2</sup> ბერძნულში გვიჩვენებენ ὁ ἀδελφεῖς და სომხურში *h2 րատարդի*-ს ან *հքարարդիակ*) [იხ. ქებათა ქება I 12, 13, 13; II 3, 8, 9, 10, 16, 27; etc.] ὁ ἀδελφεῖς ნიშნავს nephew, Neife, სულერთია ძმისა იქნება თუ დისა ეს ვაჟიშვილი. Nichte, niece კი არის ἡ ἀδελφεῖς.

სომხური *հքարարդի* ნიშნავს საერთოდ „ძმისშვილს“.

თუ „ძმისწული“ და „დისწული“ მხოლოდ ვაჟების შესახებ ითქმოდა, მაშინ საძებნია, დის ქალიშვილისა და ძმის ქალიშვილის აღსანიშნავად რა ტერმინები იხმარებოდა. შესაძლებელია, სულ არ იყო ამისი გამომხატველი სპეციალური სიტყვა და მაშინ ამისი (ე. ი. ტერმინის უქონლობის) საფუძველი ისტორიულ-იდეოლოგიურ სფეროში იქნებოდა დასაძებნა.

აგრეთვე სარკვევია სიტყვა ქალწული—(თუ კი წული—ვაჟობაზე მიუთითებს, და ქალი—გარკვეულად ქალობაზე); მაგრამ ის გარემოება, რომ ამ სიტყვაში ხაზი ესმება ქალის უბიწოებას და არა შვილობის მომენტს, შეიძლება მას სხვა სიბრტყეზე აყენებდეს.

უფრო მარტივად ჩანს საქმე სეფეწულთან (= დიდებულთ ვაჟი), რომელსაც სეფე-ქალი (= დიდებულთ ქალი) უპირისპირდება, და უფლისწულთან, რომელიც ჩვეულებრივად ტახტის მემკვიდრე მამაკაცს აღნიშნავს.

<sup>1</sup> მაგრამ ტექსტი შებლაღული უნდა იყოს ამ ადგილას. რადგან სალომე უჯარმელი, რომლის შესახებაც არის აქ ლაპარაკი, არის ძის ცოლი მირიან ქართლის მეფისა (და არა ძის წული), რომლის პირითაც არის ამბის თხრობა (სალომე იყო თრდატ მეფის ასული და მირიანის ვაჟის, რვეის, მეუღლე. იხ. ანასეული ქართლის ცხოვრება გვ. 46 ათ).

<sup>2</sup> თავისთავად საინტერესოა, ქართულში რატომ არის ძმისწული || დისწული? გვიმანუშლად ექ. არის Freund, რუსულად „ძმა“.

დედა-წული საბას განმარტებითვე ნიშნავს სახლის ჯარაბობას (საბა იმოწმებს რიცხვითა 32,17; ამ ადგილზე ქართული ვულგატა იძლევა „ძენი ისრაელისანი“, ბერძნული „αιτι: Ιαράβη“, ე. ი. დედაწული ყოფილა აისი. ბიბლიის ამ გამოთქმას შინაარსით თითქოს ემთხვევა „შაჰნამეს“ მაგალითი: „ჩვენ მიუტდეთ ერანელთა, დედაწული აუტიროთ“. ტ. I, 130, 433ა). „დედაწულში“ „წულის“ მნიშვნელობა გაფართოებული მოჩანს.

ამრიგად, თუ მოხსნილად ჩავთვლით იმ წინააღმდეგობას, რაც „ქალწულისა“ და ნაწილობრივ „დისწულ-ძმისწულის“ სახით ჩანს, „წულის“ ძირითად და პირველ დანიშნულებად მამრობის გადმოცემას მივიჩნევდით.

### შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

A—ადიშის ოთხთავი.

B—ოთხთავის ოპიზისა და ტბეთის რედაქციები, ბენეშევიჩის გამოცემა (მათე და მარკოზი).

G—ეპისტოლე გალატელთა მიმართ.

R—ეპისტოლე რომაელთა მიმართ.

Ap—იოანეს გამოცხადება.

## სიკვდილისა და თვითმკვლელობის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანი“ საგმირო პოემაა. თავისი შინაარსით ეს ნაწარმოები წარმოადგენს ბრძოლას; ბრძოლას სიყვარულისა და მეგობრობისათვის. ამ ბრძოლაში ერთგვარად ჩაბმულნი არიან გმირნი—როგორც მამაკაცი, ისე დედაცა. წესიერად წარმოებული ბრძოლა უთუოდ მსხვერპლს გულისხმობს. მსხვერპლის ერთი სახეთაგანია თავდადება დასახული მიზნისათვის, სიკვდილი ძიების საგნისათვის. კემშარიტი მებრძოლი უთუოდ მსხვერპლის გამღებია და აქედან: მსხვერპლის გაშვება მარად სიკვდილთან აქვს საქმე და ბუნებრივია, გმირი მებრძოლი იმათითვე უნდა არკვევდეს თავის პოზიციას სიკვდილის მიმართ, და თვით ნაწარმოებიც, რომელიც გმირთა ბრძოლას გადმოგვცემს, უნდა ეხებოდეს სიკვდილის საკითხს და შესაფერ პასუხსაც იძლეოდეს მისთვის. აქედანვე ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სიკვდილის საკითხს სათანადო ადგილი ექნება დათმობილი და სათანადოვე შეხედულება იქნება მის შესახებ მოცემული როგორც ავტორისა, ისე ცალკეული გმირისა, მებრძოლისა.

მაგრამ, სანამ ამას გავარკვევდეთ, აუცილებლად საჭიროა გავიხსენოთ, რა არის საზოგადოდ სიკვდილი, როგორ აქვს იგი წარმოდგენილი ადამიანს და რა პოზიცია უჭირავს მას მის მიმართ?

სიკვდილის უშუალო განცდა ადამიანისათვის—ეს სიცოცხლის სრულიადი, აბსოლუტური წინააღმდეგობაა და არც შეიძლება სხვაგვარი წარმოდგენა გქონდეს სიკვდილზე, როდესაც მას უშუალოდ, ფიზიკურად განიცდი.

ადამიანი ცოცხლობს, იკვებება, იბრძვის, მრავლდება. ტკებება თუ იტანჯება ამა ქვეყნის სიკეთითა თუ სიავით და უცებ (ან ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ) კვდება. ფიზიკურად ეს მართლაც წინააღმდეგობაა სიცოცხლისა.

მაგრამ ცოცხალსა და მცოცხლობ ადამიანს არ სურს თავის სრულს წინააღმდეგობაში გადასვლა, და იგიც იწყებს ბრძოლას სიკვდილის წინააღმდეგ.

ბრძოლა ორგვარია: ვთქვათ, ადამიანი შეიპყრო რაიმე სენმა, სიკვდილის პირზეა მიმდგარი. ადამიანი ებრძვის სენს, ცდილობს აირიდოს სიკვდილი. ამგვარ ბრძოლას ხშირად დადებითი შედეგი მოაქვს, მაგრამ ეს შედეგი დროებითია. ამიტომაც ადამიანი არ კმაყოფილდება სიცოცხლის მარტოოდენ გახანგრძლივებით. მას სომატური სიკვდილის შემდეგაც უნდა ცხოვრება, მას სურს მარად უკვდავად იგულავოს თავი. მაგრამ ულმობელი სიკვდილი ღმინც მოდის, და ადამიანიც უძლური აღმოჩნდა მასთან ბრძოლაში. ადამიანს სიკვდილის

შიში იპყრობს, იგი ჰკარგავს ბრძოლაში საყრდენ ნიადაგს და თანდათან რეალური, სამი განზომილების ქვეყნიდან სასულეთში გადადის: თხზავს არარსებულ საიქიოს და არწმუნებს თავის თავს, რომ სიკვდილი საზოგადოდ მოგონილი ამბაკია, ადამიანის სული მარად უკვდავია, იგი სხეულის გახრწნის შემდეგაც ცოცხლობს და დადგება დრო, კვლავ შეუერთდება სხეულს.

აქ ფართო გასაქანი ეძლევა სხვადასხვა სარწმუნოებრივ თეორიას, სხვადასხვა რელიგიას. რელიგიაც გამოდის მარად უკვდაობის დამასაბუთებლად. იგი არწმუნებს ადამიანს, რომ ცოტათი მაინც გაანელოს სიმკაცრე სიკვდილისა, რომ: «Смерть не есть настоящий конец существования, а только переход от настоящей жизни к будущей».<sup>1</sup>

ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ქართული «გარდაცვალება».. ზოგი ვინმე ფიქრობს, რომ ამ თქმაში დიდი მეცნიერული აზრია ჩაქსოვილი, რომ ქართველთ იმ თავითვე სკოდნიათ მატერიის მუდმივობა, მარადიულობა, რომ ადამიანის სომატური სიკვდილით მისი მატერია სხვად იქცევა და არისპობა და ამიტომაც სიკვდილს «გარდაცვალება» უწოდესო. არ არის სწორი! საქმე ის არის, რომ კანონი მატერიის მუდმივობის შესახებ შედარებით ახალი მიღწევაა, და რაც შეეხება ქართულ «გარდაცვალებას», აქ იგივე და იგივე სიკვდილის უსურველობის, მისგან თავის დაღწევის ამბავია. ადამიანს არ უნდა სიკვდილი, მას სურს იცოცხლოს, მაგრამ, რადგან სიკვდილს გვერდს ვერ უვლის, სიტყვით მაინც ჰქმნის ერთგვარ ილუზიას უკვდავობისას და, აი, კიდევაც იბადება ცნება არა სიკვდილისა, არამედ «გარდაცვალებისა», გადაადგილებისა.<sup>2</sup>

ამასთანავე საიქიოში არსებობის, «გარდაცვალების» შემდგომ ცხოვრების სურათი ისეთი მიმზიდველი და წარმტაცია, რომ სავსებით ჩრდილატს ამ ქვეყანას, ყველაფერს მიწიერსა და მიწიურს, და ადამიანის არსებობას ორად ჰყოფს: თუ ერთის ნაწილით იგი ამ ქვეყანაშია, მეორით უკვე სიცოცხლეშივე გადაპარგებულია «საიქიოს». ადამიანის ამგვარი გაორება მეტად მავნებელია ცხოვრებისათვის; ადამიანი უკვე აღარ წარმოადგენს სრულფასეულ არსებას. ცხადია, ამისთანა პიროვნება ცხოვრების სასტიკ პირობებთან ბრძოლაში არ გამოდგება, იგი სხვისი შემხედვარეა, იგი სიცოცხლეშიაც მკვდარია, და მის გამირობაზე ლაპარაკიც კი ხომ ზედმეტია.

ამავე დროს ცხოვრება მოითხოვს, რომ თითოეული პიროვნება სრულფასეული იყოს, გამოიღოს ამა ქვეყნიდან მაქსიმუმ გამოსაღები, იყოს ამა ქვეყნის სიკეთეთა მაქსიმალურად ამთვისებელი. ამისათვის კი ადამიანმა თავდაპირველად სიკვდილის შიში უნდა განიშოროს.

სიკვდილის შიშს ორგვარად შეიძლება ებრძოლო. ცნობილია ლ. ტოლსტოის განწყობა სიკვდილისადმი. ტოლსტოი ადრე მოიცვა სიკვდილის შიშმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას ჩაენერგა მას ეს შიში და არ მოჰშორებია სიკვდილამდე. ტოლსტოი ებრძოდა სიკვდილის შიშს. ახალგაზრდობაში ეს ბრძოლა ადვილი საქმე იყო. რეალურ სამყაროში მყოფისა და მოქმედის ტოლს-

<sup>1</sup> Мечников. Этюды о природе человека. Москва, 1905.

<sup>2</sup> შდრ. ბერძული *μετεψυχωση* (μετεψυχωσε).

ტოისათვის სიკვდილის შიშთან ბრძოლა სიკვდილისადმი ზიზღით ამოიწურებოდა, და მწერალიც თავისუფლად გრძნობდა თავს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ტოლსტოი ასცდა რეალურ გზას, ბრძოლა სიკვდილთან უფრო ძნელი შეიქნა და უკანასკნელ ხანებში პირდაპირ შეუძლებელი გახდა.

მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ამტკიცებს ტოლსტოი, რომ არ არსებობს სიკვდილი, არამედ მხოლოდ მარადიული უკვდავობა, მაგრამ სიკვდილის აჩრდილი მაინც თან სდევს მას. ბევრს ებრძოდა ტოლსტოი სიკვდილის შიშს, დიდხანს ებრძოდა, ცდილობდა, როგორმე გაქცეოდა მას. გაქცევა კიდევაც... მაგრამ... სწორედ უღმობელ სიკვდილს ჩაუყვარდა ბრძალებში. „ვერ დიპირავეს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“.

რატომ ვერ დააღწია თავი ტოლსტოიმ სიკვდილის შიშს? იმიტომ, რომ ამ მხრივ ყალბ ნიადაგზე იდგა.

მას რა არის საჭირო იმისათვის, რომ „წელში გაიმართო“ და სიკვდილის შიში სავსებით განიშორო? საამისოდ საჭიროა სიკვდილ-სიცოცხლის ნამდვილი რაობა იცოდე, ბუნებისა და ბუნებრივ მოვლენათა ურყევი განვითარების კანონი სწორად გკონდეს წარმოდგენილი, და ეს ნამდვილი, სწორი წარმოდგენა კი შემდეგს გვეუბნება: სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ერთია, განუკვეთელია, სიკვდილი არაა სიცოცხლის აბსოლუტური წინააღმდეგობა. სიკვდილი არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს სიცოცხლე. თუ არის სიცოცხლე, მასადამე, სიკვდილიცაა. სიკვდილი მხოლოდ ერთ-ერთი მომენტთაგანია სიცოცხლისა. დაიბადა სიცოცხლე, მასთან ერთად გაჩნდა კვდაობა, სიკვდილი. თუ გინდა სიცოცხლე, სიკვდილსაც უნდა შეეგუო, შეურიგდე. არ არსებობს სიკვდილი სიცოცხლის გარეშე. სიკვდილი აუცილებელია, იგი გარდუეალია ყველა სათვის, იგი ყოვლადია, და ადამიანმაც უნდა შეიგნოს სიკვდილის ეს გარდუეალობა, ყოვლადობა, და მაშინ ისიც სავსებით განიშორებს სიკვდილის შიშს.

საზოგადოდ ცნობილია, რომ, საერთო, საყოველთაო ჭირი უფრო ძვილად ასატანია, ვინემ კერძო, შენი საკუთარი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი ილია ჭავჭავაძის «განდეგილი». განდეგილი თვისთაგან და მეგობართაგან განეშორა, რომ „ქეშმარიტი იგი თვისება—ზრახვა ღმრთისა“ ეპოვნა, მაგრამ დამარცხდა, მოკვდა.

რამ მოკლა განდეგილი? იმ შეგნებამ, რომ ზრახვა ღმრთისა, რომლისთვისაც ის იღვწოდა; საერთოდ არსებობს, კვლად იარსებებს, მაგრამ თვითონ იგი, განდეგილი, შეიქნა უღირსი ამ ზრახვისა. ნიჭი, ღვთისგან მომადლებული, მხოლოდ მას წაერთვა, საზოგადოდ კი არ მოსპობილა. სწორედ ამ შეგნებამ მოკლა განდეგილი. განდეგილი რომ დარწმუნებულიყო, რომ სწრაფვა სულის საცხონებელი საზოგადოდ ფუჭი საქმეა, ის ცოცხალი დარჩებოდა და კვლად დაუბრუნდებოდა ცხოვრებას, სწორედ ისე, როგორც ტოლსტოის მამა სერგი (დაწერილია ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ტოლსტოი მთელი თავისი არსებით მიწასა და მიწიერს ეზიარებოდა). მამა სერგიც დიდხანს იღვწოდა სულის ცხონების გზაზე, ერთგვარ შედეგსაც მიაღწია თავის გუნებაში ამ მხრივ, მაგრამ საბოლოო ანგარიშში სამი და მეტი ათეული წლის წრთენა და წამება ტყუილი გამოდგა. მამა სერგიმ შესცოდა. ამ



შეცოდებამ გამოათხიზლა იგი. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სულის ცხონების საქმე, რომელსაც იგი ემსახურებოდა, ფუჭი და არარა შეიქნა. მან დაუტევა ეს გზა: თავად შეიჭრა გრძელი თმა (განდევილობის გარეგნული გამოსახულება), ღავად განიძარცვა ბერული ტანსაცმელი და კვლად დაუბრუნდა ცხოვრებას და იმდენად შეიტკბო და შეიყვარა იგი, რომ თუ პირველად. ბერად აღკვეცამდე, თვით უკეთესი პირობები ამქვეყნიური ცხოვრებისა არ აკმაყოფილებდა, ამიერიდან „ღვთის გლახადაც“ შესანიშნავად გრძნობდა თავს და სხვათაგან ურჩევდა, შეეყვარებინათ ეს ქვეყანა თავისი ბრძოლითა, ტანჯვითა და ვაივაგლახითა. რაშია საქმე? ილია ჭავჭავაძის განდევილი კვდება იმ შეგნებით, რომ ბერობა საზოგადოდ კარგი საქმეა და მარადიული, მხოლოდ თვითონ ვერ შეიქნა ღირსი მისა; ლ. ტოლსტოის ბერი კი საბოლოოდ რწმუნდება, რომ ბერობა საყოველთაოდ მცდარი გზაა და საესებით გამოფხიზლებული, კვლად უბრუნდება ცხოვრებას იმ რწმენით, რომ ყველას, ვინც ბერულ გზას დაადგება, ისე მოუვა, როგორც მას. მოვლენის ყოველადობისა და გარდუვალობის შეგნებამ ადვილად გადაატანინა მას მარცხი, მეტიც: გაამარჯვებინა კიდევ.

ამრიგად: თუ ადამიანი დარწმუნდება, თუ შეიგნებს, რომ სიკვდილი გარდუვალია და საყოველთაო, საყოველადო მოვლენაა, იგი თავიდან მოიშორებს სიკვდილის შიშს და რაც შეიძლება გაახანგრძლივებს სიცოცხლეს.

მაგრამ ეს შეგნება თავისთავად არ მოდის. გარდა პირადი განწყობისა, მას სათანადო პირობები ეჭირება და მაშინ პირადი განწყობაც შესაფერად განმტკიცდება.

იძლევა თუ არა შოთასდროინდელი საქართველო საამისო პირობებს? ამის შესახებ იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ უკვე შეიძლება მოკლედ მოვჭრათ, სახელდობრ: XII—XIII საუკუნეთა ქართველი ლალი და მორკმულია. საამისოდ მას ცხოვრება ყველაფერს აძლევს. ამდროინდელი ქართველი, ვგულისხმობ საზოგადოების სათანადო მოწინავე ფენას (თავისი თუ სხვისი ხარჯით), ცხოვრებას ეტანება მთელი არსებით და დაუცხრომლად ტკებდა მით. ამდროინდელი ქართველი გარდამეტებულად ამა ქვეყნის მეტრფე და მუხალი-სეა, რომელიც არასდროს, არავითარ პირობებში არ დასთმობს სიცოცხლეს, იბრძოლებს მისთვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ბრძოლა სიცოცხლისათვის სიკვდილისადმი უარყოფის განწყობას, სიკვდილისადმი ზიზღსა და სრულიადს უშიშარობას გულისხმობს.

შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა.

ჩვენ არ ვიცით, ვის ეკუთვნის ეს თქმა: შოთას თუ ხალხს? თუ შოთას, ეს მხოლოდ მთელი პოემის დედააწრის დამადასტურებელი იქნება, რადგან ნაწარმოების გმირთა საქმიანობა სწორედ სიკვდილის უშიშარობაზეა დამყარებული და თუ საბოლოო ანგარიშში ჩვენ გვაქვს ბრძოლის ოპტიმისტური განკვანძვა, ეს მხოლოდდამხოლოდ ამიტომ, რომ რუსთაველის გმირთ სიკვდილის არ ეშინიათ.



მაგრამ შეიძლება ეგ თქმა ხალხს ეკუთვნოდეს! კიდევ უკეთესი, რადგან, ჯერ ერთი: ეს იქნება კუთვნილება იმ ხალხისა, რომელმაც შოთა წარმოშვა, და შოთა და ხალხი ამ შემთხვევაში მთლიანია, ერთია, განუშორებელი; მეორეც—იგი, ეგ თქმა, მთლიანად და სავსებით ადასტურებს XII ს. ქართველის განწყობას ცხოვრებისა და სიკვდილის მიმართ.

შეუძლებელია ცხოვრებისადმი ამ განწყობას თავისი გამოძახილი არ ეპოვა მხატვრულ ნაწარმოებში; შეუძლებელია, ცხოვრება „ლალი და მორკმული“ იყოს და ლიტერატურა, მისი ამსახველი და ორგანიზატორი, ამა ქვეყნის ამაოებაზე ლაპარაკობდეს და ხალხს სოფლის მიღმეთისაკენ მოუწოდებდეს. ეს არსად არ ყოფილა და არც ჩვენშიაც. და ლაპარაკი ამის შემდეგ იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოქმედ პირთა საქმიანობა უკიდურეს პასივობაშია დაყვანილიო, უთუოდ უნდა მოიხსნას.

„ვეფხისტყაოსანი“ ამქვეყნიურ ცხოვრების შესხმა-მითხრობაა. ულამაზესი, და ვერც ენახავთ ჩვენ სხვა რომელსამე ნაწარმოებს, მისი გმირნი რომ აგრე მტკიცე და ურყევენი იყვნენ მიწიერისა და მიწიურის აბსოლუტურად სიყვარულში და სიკვდილის მიმართ აგრე უარყოფითად განწყობილნი, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“.

ჩვენ ვთქვით: იმისათვის, რომ განიშორო სიკვდილის შიში (და მრავალი ზოროტება სწორედ ამისგან მოდის), საჭიროა დარწმუნდე, შეიგნო, რომ იგი, სიკვდილი, გარდუვალი მოვლენაა და ამ შეგნებისდა მიხედვით იმოქმედო.

როგორ წარმოუდგენიათ სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთ?

### როსტომიანი

თავდაპირველად ეს ცნობა მოვკითხოთ როსტევანს, რომელიც ნაწარმოებში შედარებით მცირე როლს თამაშობს, ასე ვთქვათ, მეტეორივით გამოჩნდება სულ სამჯერ.

ვაეის უყოლობით დამწუხრებულმა როსტევანმა ვახირონი მოიხმო და მათთან საუბარი გამართა ტახტის მემკვიდრის შესახებ.

უბრძანა: გკითხავთ საქმესა ერთვან სასაუბნაროსა.  
ოა ვარდმან მისი ყვაილი გაახმოს, დაამწნაროსა,  
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (35).

ვარდი აქ სიცოცხლეა, ხოლო მისი ვახშობა-დაჭნობა—სიკვდილი. როსტევანს სავსებით სწორად და ნათლად აქვს წარმოდგენილი ის გარემოება, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი ერთია, სიკვდილი სიცოცხლის არსებითი მომენტია, ან როგორც ენგელსი ამბობს: «სიცოცხლის უარყოფა არსებითად თვით სიკვდილშია ჩანერგილი; ცოცხლობ, მაშასადამე, კვდება».

როსტევანს ისიც სწორად აქვს გათვალისწინებული, რომ სიკვდილი გარდუვალია.

დღუს ურა, ბვალე მოვკვდები, სოფელი ასე მქნელიაო (36)

<sup>1</sup> იხ. ბუნების დიალექტიკა (რუსული თარგმანი) გვ. 210, 1941.

და არაჩვეულებრივი სიღინჯითა და სიმშვიდით იღებს ამ ჭირთა უფრო ძნელ-  
ჭირს.

ასეთიღ როსტევან მეფე.

### ავთანდილი

მაგრამ განსაკუთრებით გამოკვეთილი და განმტკიცებულია ამ მხრივ:  
ავთანდილი. ავთანდილს მეტად მძიმე ტვირთი დააკისრა ავტორმა. იგი-  
იმთავითვე ორმხრივად განწყობილი: ერთსა და იმავე დროს უდიდესი მეტრ-  
ფეცაა და არაჩვეულებრივად მტკიცე და ურყევი მეგობარი. ამ მხრივ ავ-  
თანდილის მდგომარეობა მართლაც რომ მძიმეა, მაგრამ გმირი მანაც გამარჯ-  
ვებულად გამოდის მხოლოდ იმიტომ, რომ მას სავსებით სწორად აქვს წარ-  
მოდგენილი სიკვდილის რაობა და გარკვეულად უარყოფითადაა მის მიმართ  
განწყობილი.

ავთანდილი მიდის უცხო ყმის, ტარიელის, საძებრად და დარიგებას აძ-  
ლევს შერმადინს—სახელმწიფო შემინახე და თუ ვინიცობაა, მოგკვდი, მიტირე  
და მივაგლახეო.

მაშინღა ჰყადრე მეფესა არ საქმე სასურვალთა,  
აცნობე ჩემი სიკვდილი, იყავ მართ ვითა მთრვალთა,  
მიხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლთათვის გარდუვალთა (158).

მაშასადამე, ავთანდილისათვის სიკვდილი საყოველთაო მოვლენაა, ამას-  
თანავე იგი გარდუვალთა, ამიტომაც ავთანდილს არც ეშინია მისი. ავთან-  
დილი სიკვდილის შიშზე უკვალთა:

ეს შეგნება არაჩვეულებრივად უადვილებს მას მოზღვაებული ჭირის  
ატანას. დადგება ავთანდილი რაიმე უდიდესი გასაჭირის წინაშე, ფიქრობ, გა-  
დაულახველი დაბრკოლება გადაელობა წინ, მებრძოლი მერყეობს, მაგრამ საკ-  
მაოა სიკვდილის უშიშარობა მოიგონოს, მსწრაფლ მისადმი ზიზღით აღენთება  
და, ახალი ძალგულოვნებით აღჭურვილი, კვალად წინ მისწრაფის სრულსა გა-  
მარჯვებამდე.

ავთანდილი წავიდა ტარიელის საძებრად. მისი არსება ორადღა გაყოფი-  
ლი: ფიზიკურად თუ უცხო ყმისაკენ მისწრაფის, «სულით» თინათინთანაა.

თქვა: მზეო! ვარდა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს ადრე,  
ბრფლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უყვითლესადრე;  
მაშინ რაღა ვქმნა, ვერ ჰკრეტა რა მომხვდეს კვლა უგრძესადრე!

და ხაშს მოყვრისათვის სიკვდილი, ესე მე დამიე წესადრე“ (139).

უშიშარობითვე აიხსნება ის, რომ ავთანდილი სატრფოსათვის სიკვდილს  
ლხინად მიიჩნევს (181), ხშირად „სიკვდილს“ თვით ეძებს; არ ეკრძალების (249),  
მაგრამ ხანდახან სიკვდილის უშიშეუვალი ადამიანიც შეიძლება შედრკეს, და-  
გმოს სიცოცხლე და ინატროს ამიერ სოფლით გასელა. ნიშნავს თუ არა ეს  
იმას, რომ მებრძოლმა უღალატა თავის რწმენას, რომ იგი სიკვდილის უშიშა-  
შეიპყრო, მთლიანად მას დაემორჩილა? არა! ეს მხოლოდ იმის მაუწყებელია,  
რომ მდგომარეობა, რომელშიაც მებრძოლი ჩავარდა, მეტად მძიმეა და დაბრ-  
კოლება, რომლის გადალახვაც მას სჭირდება. განსაკუთრებულად დიდია  
როგორ იქცევა ამ შემთხვევაში მებრძოლი? იგი წვრთნის, ავარჯიშებს თავის  
თავს სიკვდილის უშიშარობაში.

კვლავა ეტყვის: „დათმობა სჯობს“ და თავსავე ეუბნების:  
 დღეთა ადრეთ მოკვდები, გული ჩემი ნუ დადნების (190).

ამიტომაც ამგვარი მდგომარეობა მეტად მოკლეა, გრძელდება მხოლოდ წამ ერთ.

კვლავტყვის: გული რაბომცა გაქვს სიკვდილისა წადება,  
 სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისი დადება (727).

და ისევ შეუპოვრად განაგრძობს ბრძოლას.

ასეთივეა ავთანდილი, როდესაც იგი მეორეთ წასვლას აპირებს და შერ-  
 მაინის ესაუბრება.

მე-იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიბრად ბერად,  
 ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღვრად (786).

მაგრამ განსაკუთრებით მკაფიო გამომეტყველია ამ მხრივ თავის ანდერძ-  
 ში, როსტევანს რომ დაუტოვა გაპარვის წინ.

ეს ანდერძი ერთი უმძლავრესთაგანია, თუ არ უმძლავრესი მთელ ნაწარ-  
 მოებში. პოეტმა აქ უდიდესი დრამატიზმი მოგვცა ავთანდილის არსებაში. ამ  
 ანდერძით ავთანდილი ერთ უმშვენიერეს, უდიდეს ადამიანად გვევლინება.  
 ავთანდილი კირთა მთმო, ყოველგვარ ორპირობას მოკლებული, სიცრუისა და  
 გაუტანლობის მგმობელი, მეგობრისათვის უამრავ დაბრკოლებათა გადამლახვე-  
 ლი, ამ ანდერძში ჩანს.

და ყველაფერი ეს იმიტომ, რომ ავთანდილს არ ეშინია სიკვდილის, იგი  
 შიშვეულია. მეტიც: ავთანდილი გმობს სხვათაც, ვინც კი ამ მხრივ მერყე-  
 ობს, შემდრკალია.

რა უარეა მამაცსა, ომშდგან პირის მღმეველსა,  
 შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილსა მეკველსა!  
 კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?  
 და სჯობს სახელისა მოხვევა ყოველსა მოსახვექლსა\* (799).

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;  
 მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძაღვლოვანი.  
 ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,  
 და სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი (800).

ავთანდილისათვის, რა რიგ ძნელი საკითხი იყოს, მისი გადაწყვეტა ყო-  
 ველთვის მკვეთრად ისმის: ან სიკვდილი ან გამარჯვება, მესამე გამოსავალი  
 მან არ იცის.

ტარიელის „უპირულობით“ გულდაკოდილი ავთანდილი, როდესაც მეო-  
 რეთ მოსვლისას იგი შინ, გამოქვაბულში, არ დახვდა, უკვე სასაყვედროდ მოე-  
 მზადა, მაგრამ მსწრაფლ თავი შეიკავა და გადაწყვიტა:

არ ვინანი გადასრულსა—ბრძენთა სიტყვა ვაგყადრო:  
 წავალ, ვებნნი, ანუ ვპოვებ, ან სიკვდილი მოვიადრო (§59)

და ეს აგრეა არა მარტო მაშინ, როდესაც ავთანდილი ბრძოლის მწვერ-  
 ვალზეა ასული და გამარჯვების პირი უკვე აშკარად ჩანს. არა! ბრძოლის და-

საწყისშივე, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიცით მისი არამცთუ მომავალი შედეგი, არამედ საერთო ხასიათიც კი, — ავთანდილი მარადეამ სწორედ ამგვარადაა განწყობილი.

ავთანდილი მოქარავენთ ეხმარება მეკობრეთა წინააღმდეგ. მოწინააღმდეგე მძლავრია:

გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა,  
მას ნავსა თავთა სალუწად სახნისი ჰგია ძელითა (1037).

ჰკიოდეს და მოდიოდეს, იხახდეს და ბუკსა ჰკრესა;  
შეუშინდა ქარავანი მათ ლანქართა სიდიდესა;  
ყმაბან უთხრა: ნუ იშიშვით თქვენ იმათსა სიალფესა,  
და ნუ დაეხოც იმ ყველასა, ან სიკვდილი ჩემი ღღესა (1038).

აუცილებელი გამარჯვება, გამარჯვების ნებისყოფით, აღტურვა — ესაა სახელმძღვანელო ავთანდილისათვის. სიკვდილთან ამგვარი განწყობით იბრძოდა ავთანდილი. ამან შექმნა იგი წამყვანად ბრძოლაში, ამგვარი განწყობა ასულდგმულებად მას ბრძოლებში თანდათან მეზარდ დაბრკოლებათა გადალახვაში, ამ განწყობამ გაამარჯვებინა მას საბოლოოდ.

### ტარიელი

რა მიმართებაშია სიკვდილთან ტარიელი?

მაგრამ თავდაპირველად თვით ტარიელისათვის.

ტარიელი ნაწარმოების მთავარი გმირია; სახელიც მისგან მიეცა: «ვეფხისტყაოსანი». პოემის ნამდვილი ამბავი ტარიელით იწყება, ტარიელითვე თავდება იგი. თითოეული გმირიც ტარიელისთვისაა უპირატესად ამოქმედებული, ყველაფერი ტარიელის სამსხვერპლოზე მიდის, იქ შეიწირება, ყველა მოქმედებს იმდენად და იმისათვის, რომ ნაწარმოების მთავარი კვანძი სათანადოდ გაიხსნას, ტარიელის საქმე შესაფერად განხორციელდეს, რუსთაველიც განსაკუთრებით ტარიელის მგოსანია.

მო, დავსდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი.

მისებრი მართ დაბადებით ვინმეა ყოფილა შობილი! (7).

ეს ადგილი ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც ზოგი ვინმე განმარტავს და კერძოდ აკად. ნ. მარო: «Ключ к сострадалыцам. Придите, кому нанисана на роду судьба Тариели и у кого неиссякаемо текут слезы [в плаче] о нем». ნამდვილად კი, «მისებრი მართ დაბადებით ვინმეა ყოფილა შობილი» ეკუთვნის არა თანამგრძნობთ, არამედ თვით ტარიელს: ტარიელისთანა ვინ დაიბადოს, ჯერ არვინ დაბადებულა! და მართლაც, ტარიელი ცოცხლობს საუკუნეთა განმავლობაში, მისი სახელი გადმოდის თაობიდან თაობაში და ხალხში იგი ცნობილია როგორც სწორუბოვარი, გულუშიშარი, ქველი რაინდი, ხოლო საქართველოს ერთ კუთხეში, სამეგრელოში, ტარიელი უკვე ზოგად სახელად იქცა და იგი მხოლოდამხოლოდ მოყმის, რაინდის, მძლეთა მძლეველის აღმნიშვნელია.

აქედან უკვე თავისთავად ცხადია, თუ როგორ იქნება სიკვდილის მიმართ განწყობილი ტარიელი. ტარიელს სავსებით სწორად აქვს წარმოდგენილი სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობა. მისთვის სიკვდილის პროცესი სიცოცხლის პროცესთანაა დაკავშირებული, უერთურთოდ წარმოუდგენელია, მთლიანია, განუყვეთელია. და ეს მთელი მკაფიოებით გამოსჭვირს ავთანდილის გაცნობის-თანავე, როდესაც ტარიელმა გადაწყვიტა ამბის თხრობა და წინდაწინვე გვამცნო თავისი მრწამსი, თავისი გაგება სიკვდილ-სიცოცხლისა, მიგვითითა იმ ხაზზე, რომლითაც იგი ივლის მომავალი ბრძოლების ჩასატარებლად.

ყმასა უთხრა: ვინცა კაცმან ძმა იძმოს თუ დაცა იდოს,  
 ზამს თუ მისთვის სიკვდილსა და ჰირსა თავი არ დაჰრიდოს,  
 ღმერთმან ერთი რით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს,  
 და შენ ისმენდი, მე გიამბობ, რაცა გინდა წამეკიდოს (306).

ცხონება აქ სიცოცხლეა; წაწყმედა—სიკვდილი. მაშასადამე, სიცოცხლე და სიკვდილი დაპირისპირებულთა ერთს, მთელს წარმოადგენენ<sup>1</sup>.

ამრიგად, ტარიელს შეგნებული აქვს, რომ სიკვდილი გარდუვალია და მას ამიტომაც აღარ ეშინია მისი: ტარიელიც შიშუეულია, შიშუეული მთელი-ნაწარმოების, მაშასადამე, მთელი ბრძოლების სივრცეზე. ასე:

1. შიშუეული იყო ტარიელი თავიდანვე, როდესაც ძლიწითა და  
 ვით კატასა ხოცდა ლომსა (328).

2. შიშუეულია ტარიელი, როდესაც მას როსტევეანის ყმანი დაქერას უპირებენ და:

მან გლახ, იგინი დახადნა მტერთაცა საწყალობელად.  
 ჰკრა ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელ-ალუჯრობელად.  
 და ზოგსა გადაჰკრის მთრახვი მყვრდამდის გასაპოხელად (94).

3. შიშუეული იყო ტარიელი მაშინაც, როდესაც სამმა ძმამ განიზრახა მისი დაქერა და მან კი:

მით ერთითა მათრახითა თავი ასე გადაჰჭრიწა,  
 ვითჲ მკვდარი უსულო კენა, ვითა მიწა დაამიწა.  
 მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოამაწა,  
 და თვალთა წინა «წაუვიდა» ლალი, კუშტი, ამაყი, წაი (209).

4. მხოლოდ შიშუეულობით, სიკვდილის უშიშარობით აიხსნება ტარიელის ბრწყინვალე გამარჯვება ხატაელებზე. პოეტი განსაკუთრებულად ხაზგასმით აღნიშნავს ტარიელის პირად სიქველეს.

შუბი ვსთხოვე, ხელი ჩაყავ მუზარადის დასატკმელად;  
 საოშარად ატეხილი, ვიყავ მათად გამტეხელად;  
 ერთსა წაესწედი უტყვეანსა, წავგრძელდი და წაველ გრძელად;  
 და მათ ურიცხვი ჯარი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად. (445).

ახლოს მიველ, შემომხედეს, შმაგიაო, ესე თქვესა,  
 მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;  
 კაცს შუბი ეჭარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მოჰხდეს მუსა.

და შუბი ჯატყდა, ხელი ჩაყავ, ვაქებ, ხმალო, ვინცა გლესა! (446).

<sup>1</sup> ვ. უ. კ. ო. ბ. ე. რ. ი. ძ. გ. - ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილის წაკითხვისა და გაგებისათვის: საქ. მეც. აკად. მოამბე, ტ. II, № 8, 1941.



შიგან ასრე გავეროივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,  
კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი,  
კაცი, ზემგან განატყორცი, ბრუნავს, ვითა ტანაჯორი,  
და ერთობ სრულად ამოვსწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი (447).

ერთობილი მომეზვიენეს, მრგვლივ შეიქმნა ომი დიდი;  
ვკრი რასაცა, ვერ დამიდგის, სისხლსა მჩქეფსა აღმოვღვრიდი,  
და ცხენსა კაცი გავვეთილი, მანდიკურად გარდავჭვიდი,  
სითაც ვიყავ. გამექტიან, მათ შექმნიან ჩემი რიდი (448).

5. კვალად მხოლოდ შიშვეულ ტარიელს შეეძლო ექმნა და ეთქვა:

კარვის ქალთა ჩაზღართული, ჩავექერ, ჩავაკარაბაკე;  
ყმასა ფეხთა მოვევიდე, თავი სვეტსა შევუტაკე.  
და წინა მწოლთა დაიხახეს, გლოვა მიჰხვედა საარაკე,  
ცხენსა შევეჯე, წამოცავე: ჯაჭვი მეცვა საკურტაკე (558).

ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწვეარი,  
წამოველ, წყენა დამიწყეს, დავხოცე ჩემი მდგვარი;  
და ქალაქი მჭონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,  
მუნ შიგან შეველ მშვიდობით, ამოდ იგივე მე ვარი (559).

6. შიშვეულობით აენთო ტარიელი, მეტმა ზარმა რომ გააშმაგა და გულსა უთხრა: ნუ მოკვდები, არას გარგებს ცუდი წოლაო და მსწრაფლ ხოლო ვაიჭრა ნესტანის საძებრად.

7. უთუოდ შიშვეულია ტარიელი, როდესაც იგი ფრიდონს ეხმარება მტერთა დამარცხებაში.

მათი მესმა დაპირება, ჩაბალახთა ჩამობურვა;  
ნავი წინა მომეგება, არა ვიცი; იყო თუ რვა.  
და ფიცხლად ზედა შევეჯახე, მათ დაიწყეს ამოდ ცურვა:  
ქუსლი ვკარ და გავუქცივე, დაიხახეს დიაცურ „ვა“ (614).

კვლა სხვასა მივე, მრგვკიდე ხელი ნავისა ბაგესა,  
ზღვასა დავანთქი, დავხოცე, ომიმცა რალა აგესა,  
და სხვანი გამექცეს, მიჰმართეს მათ მასა საქულბაქესა,  
ვინცა მიჭერეტდის, უკვირდეს, მაქებდეს, არ მამაგესა (615).

8. უდავოდ ვერვინ დასწამებს მხდლობას ტარიელს, უკაცურ ქვაბში დევნი რომ ამოწყვიტა და შიგ თავად დასახლდა.

9. ისევ და ისევ სიკვდილის უშიშარობასთან გვაქვს საქმე, როცა ტარიელი ვეფხ-ლომს ეომბა და ორივე

დახსნა სოფლისა თმობასა (910).

10. ოდნავად არ შეზღაღულა ტარიელის შიშვეულობა მაშინაც, როცა ამის შემდეგ თვითონ:

ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაეზღნიჯა,  
და საყელონი გარდებიენეს, თავი სრულად გავგლიჯა,  
მას აღარა შეხმოდა, სოფლით გაღმა გაეზიჯა (868).

და თუ ავთანდილის მრავალგზის შთაგონების შემდეგაც, იგი უარს ამბობს ბრძოლაზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მეზრძოლმა დიდი ბრძოლა გადაიტანა და დროებით შედგა, რომ ხანმოკლე შესვენების შემდგომ, კვალად განეწყოს ახალი ბრძოლებისათვის.



11- არც მაშინაა ტარიელი ლაჩარი და მჭვარი, როცა მას ავთანდილმა ღესტანის ამბავი მოუტანა და იგი დაბნდა და:

ავთანდილ მკერდსა დასხა მას ლომსა სისხლი ლომისა.  
ტარიელ შეკრთა, შეიძრა რა ხმი ინდოთა ტომისა (1346).

აქ თვით შეკრთომასაც არაჩვეულებრივი სიღიაღია.

12. აუცილებლად უიშუეუვალობითაა, რომ:

კაცსა უკრავად დაბნდდის ხმა ტარიელის ხაფისა,  
აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდის სიმაგრე ჯავშან ქაფისა (1416).

და ამისგამო:

ციხისა მცველნი ყველანი იდგა მართ ვითა სნეული,  
თავით ფერხადის დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული,  
ციხისა კარნი განზმულნი, კართა—ნალეწი, სრეული,  
და ცნეს ნაქმრად ტარიელისად: «საქმე არს ეს მისეული» (1419).

და ჩვენც უნდა ვცნაოთ და ვიცნოთ ტარიელის უშიშარობა და მისი უიშუეუვალობა სიკვდილისა: მან ეს საცესებით დაიმსასურა და თუ ვინმე, მიუხედავად ამისა, კვალად დაიწყებს ტარიელის ლაჩრობაზე ლაპარაკს, ჩვენ ამ თქმას სავალდებულოდ ვერ მივიღებთ და ვერც სხვას ვურჩევთ მიიღოს ის.

### ნესტანდარეჯანი

აბა, ახლა ამ მხრივ ნესტანდარეჯანი მოვიკითხოთ. ნესტანიც ნაწარმოების მთავარი გმირია, რომელიც იბრძვის სიყვარულისათვის. პოეტმა მრავალი დაბრკოლება შეუქმნა ნესტანს, არაჩვეულებრივად მძიმე საბრძოლველი დაუსახა მას და ამით მისი პიროვნება, საბოლოოდ გამარჯვებული, შეყვარებულის უღამაზეს სახედ დაგვიხატა.

ნესტანისათვის არ არსებობს არავითარი მზღვარი და დაბრკოლება, რომლის გადალახვა არ შეიძლებოდა სიყვარულისათვის, საყვარლისათვის, სწორედ ნესტანი არის მზიდავი სიყვარულის მთელი სიმძინისა ნაწარმოებში, იგია და უპირატესად იგი სიყვარულის „ქირსა შიგან“ გამაგრებული. მისი წამყვანი.

ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ მას ბადალი არა ჰყავს არც ერთ ლიტერატურაში.

ვამბობ: არც ერთ ლიტერატურაში, რადგან არაჩვეულებრივ მძიმეა და აუტანელი ის პირობები, რომლებშიც ნესტანს უხდება ბრძოლა, სახელდობრ: თუ ტარიელი საყვარელს მოშორებული იყო, თავისუფლად მაინც შეეძლო ბრძოლა მის დასახსნელად. ნესტანი კი იმთავითვე დატყვევებული იყო, ბრძოლის თავისუფალ საშუალებათ მოკლებული. მიუხედავად ამისა, იგი ერთხელაც არ შემდრკალა, თავისი გულის ამხანაგისათვის ერთ წამსაც არ უღალატია, მაშინაც კი, როდესაც ტარიელი უკვე ცოცხალი ღიარ ეგონა.

თავის სიმტკიცეს და მედეგობას და განუსაზღვრელ სიყვარულს ტარიელისადმი ნესტანი იჩენს ყველგან, ბრძოლების მთელ სივრცეზე და არ არსებობს არავითარი მაცუთურება, რომ შეარყიოს მისი ეს სიმტკიცე.

ბუნებრივია, რომ ნესტანის არსებაში სიკვდილის უშიშარობა მეტობდეს-  
ყველა სხვისას.

ნესტანს სავსებით სწორად აქვს წარმოდგენილი, რომ სიკვდილზე ფიქრი-  
და მისი შიში აღუნებს და საბოლოო ანგარიშში ანადგურებს ადამიანს, ამი-  
ტომ რაც მალე განუმორები მას, მით უკეთესია.

ტარიელი დაავადებულია ნესტანის სიყვარულით, იგი დაბნდა, სავსებით-  
დაილია. ბრძოლის წამყვანი ამ შემთხვევაში ნესტანია.

მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, მაგრამ ბნედა ცული მძულსა (376).

ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?

სჯობს სიყვარულსა უჩვენე საქმენი საგმირონია (377).

ნესტანი ზღვათა მეფესთანაა დატყვევებული. არსაიდან შევლა.

სადაური სად მოსულვარ, ვის მივხვდები, ვისთვის ხელი  
რა ვქნა, რა ვყო, რა მერგების, სიტოცხლე მკირს მეტად ძნელი.

მდგომარეობა მეტად დაძაბულია, სასოწარკვეთაც თითქოს გადამეტებუ-  
ლი, სიცოცხლე აუტანელი. რით გათავდება ბრძოლა: დაეცემა მებრძოლი,  
თუ ამ დაბრკოლებასაც გადალახავს და ისევ იბრძოლებს გამარჯვებისთვის,  
სიცოცხლისთვის?

ნესტანისთანა სულისკეთების ადამიანისათვის არავითარი დაბრკოლება  
არ არსებობს, ნესტანი ტარიელისთვისაა ხელი, ტარიელია მისი საბოლოო-  
მიზანი, ტარიელი მას ასულდგმულებს, იგი მატებს მას ძალას ახალი ბრძო-  
ლისათვის, ტარიელი საზღვრავს მებრძოლის ქცევას და ეს ქცევა კი სხვა არა-  
ფერია, თუ არ უძლეველისა მძლეობა.

და ნესტანიც იბრძვის უძლეველის გადასალახავად.

კვლაცა იტყვის: ნუ დავაქნობ შევნებასა ვარდთა ფერსა,

ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა;

სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?

და რა მისკირდეს, მაშინ უნდა ნ გონებანი გონიერსა! (1191).

ნესტანმა გადალახა უძლეველი.

დარჩა მთვარე გავსებული, ვველისაგან ჩაუნთქნმელი (1198).

რატომ? იმიტომ, რომ ნესტანი იმთავითვე გამარჯვების ნებისყოფითაა-  
აღქურცილი, გამარჯვების განწყობითაა განმტკიცებული და ამიტომაც მთელი  
მისი საქმიანობა დაუტყობელი ბრძოლაა სიკვდილთან, მაგრამ ამაზე შემდეგ-  
როდესაც თვითმკვლელობის საკითხს შეეხები.

## ა ს მ ა თ ი

სიკვდილის უშიშარობა ახასიათებს ასმათსაც, ნესტანისა და ტარიელი-  
სათვის ამ უმაგალითოდ თავდადებულ ადამიანს, მათი ჭირისა და ლხინის განუ-  
წყვეტელად მოზიარეს. ამ მხრივ საკმაოა ავთანდილთან შეტაკების ამბავი მო-  
ვიგონოთ.

ავთანდილი მოითხოვს ასმათისაგან უცხო ყმის, ტარიელის, ამბის თხრობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრება იმ ვარაუდით, რომ ქალი სუსტი არსებია და სიკვდილი დააშინებსო.

გიჯობს, მითხრა, ამის მეტი მართ აღარა არ გაწყინო,  
თვარა ღმერთთან მტერი ჩემი მოკლას, ვითა მოგაკვინო (239).

პირდაპირ გამანადგურებელი პასუხი გასცა ამ მუქარას ასმათმა და ამასთანავე მეტად მშვიდად და აღუშფოთველად და იშვიათის ირონიის ჩართვით.

ქალმან უთხრა: ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი:  
თუ არ მომკლავ, არ მოვკვდები, მრთელი ვარ და მოუკლავი.  
რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ქირთა უნაზავი?

და კვლა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედან თავი (240).

სანამ მრთელი ვარ, არ გეტყვი და მომკლავ — ვერ გეტყვი! მოკლედაა თქმული, მრავალია ნათქვამი! მაგრამ, შეიძლება, ასმათს სიკვდილის ეშინია და სიცოცხლეს ებლაუჭება? არა!

კვლა ეტყვის: ყმაო, რად მხოვე, ვინ მეუბნები, მე ვინო?  
ეგე ამბავი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმევინო!

და მე ჩემი თავი ნებითა ჩემითა მოგაკვლევინო,  
ვითა უსტარი ბედითი, ადვილად დაგაზვეინო (241).

ჩემი სიკვდილი შენ ჩემად პატიჟად ნურად გგონია,  
მით რომე დამსხნი ტირილსა, შემშრების ცრემლთა ფონია;  
ჩაღად მიჩნის ყოველი სოფელი, მისთვისვე შემეწონია,

და ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყვანი მისანდონია (242).

ასმათის ასეთი დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლისადმი ისეთი მკვეთარი გამოდგა, რომ ყმა იძულებული შეიქნა ბრძოლის ეს მკაცრი საშუალება უკუეგდო და სხვა ღონე ელონა.

სიკვდილის უშიშარობით განმტკიცებულმა ქალმა სძლია მახვილით აღჭურვილსა და მით მოქმედ მამაკაცს. მერე ვის? ავთანდილს, რომელსაც ამ მხრივ ყველაზე უკეთ წარმოუდგენია სიკვდილ-სიცოცხლის რაობა.

სიკვდილის უშიშარობასვე განამტკიცებს ასმათი, როდესაც ავთანდილთან შერიგების შემდეგ, მას მიჰმართავს:

შენთვის მოვკვდე, ამისებრივე მემცა საქმე რა ვიღონე (253).

### გ მ რ მ ა დ ი ნ ი

ორიოდე სიტყვა შერმადინის შესახებ. მაგრამ წინასწარ: როგორ ითვისებენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირნი სიკვდილის შიშვეუვალობას: ასე ვთქვათ, ერთ ახმით, თუ თანდათან, ხანგრძლივი წრთენისა და წაფვის შემდეგ განიმტკიცებენ თავის არსებაში ამ თვისებას? უეჭველად, დიდი ყოყმანისა და ბრძოლის შემდეგ. შეიძლება, ზოგს ვისმე ეს გარემოება გმირის სისუსტედ მოეჩვენოს. არ იქნება სწორი. ყოველი დიდი, წამყვანი თვისება დიდი ბრძოლის, ტანჯვისა და ვაი-ვაგლახის შედეგია; ამასთანავე მხოლოდ ის, რაც ხანგრძლივი წაფვითაა მოპოვებული, რჩე-

ბა ადამიანს სამარადისოდ, ადვილად მონაპოვები კი ადვილადვე ქრება:

„ვეფხისტყაოსანშიაც“ თითოეული გმირის სიკვდილის უშიშარობა ბრძოლის შედეგადაა მოპოვებული.

გავიხსენოთ ავთანდილისა და ვაზირის საუბარი. ავთანდილი სთხოვს ვაზირს: მიშუამდგომლე როსტევანთან—გამიშვას ტარიელთანო. ვაზირი შედრკა-წარმოუდგა რისხვა, რომელსაც მეფე დაატყენდა მას, არასასურველ ამბავს რომ გაიგებდა და უარი უთხრა ავთანდილს.

თავმან მისმან, მუნვე მომკლავს, ვეკვ, წამიცა არ წამაროს,  
შენი ოკრო შენვე დაგრჩეს, მე, გლახ, მიწა მესამაროს;  
მომკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოვნმაროს (743).

აქ ვაზირი სიცოცხლეს ებლაუჭება, სიკვდილის ეშინია. უკვე ტირის, მოთქვამს, ვაებს, წარმოუდგა სიცოცხლის განშორებებს წუთი და აძლიერებს უარსათქმელ საბუთებს.

გზა არ წავა თავსა წინა, სიცოცხლე, გლახ, ვითა გათხიო,

ე. ი. ჩემო სიცოცხლე, რა გიყო, გამოსავალი არაა, ვით გეყო სათნო, ვით გიშველო, ვით დაგეხმარო?

ამიკლებს და ანუ მომკლავს: ვგე სიტყვა ვითხ სთქვიო?  
რად არ მუნვე გაიგონე, რად ხარ შმაგი აგეთიო?

ამ ეტაპზე ისევ სიცოცხლის შენარჩუნების სურვილმა აჯობა, სიკვდილის შიშმა გაიმარჯვა:

სჯობს სიცოცხლე აკლებასა, ამას თავსა აწვე ვსწვრთიო (744).

მაგრამ გაძლიერდა შემოტევა ავთანდილის მხრივაც.

აწ, ვაზირო, მაგა პირსა გული კრული ვით მოგთმინდეს?  
რკინა, ჩემი მონაცვალე, ხამს, გაცვილდეს, არ გატინდეს.

და თქვი, რა გინდა წაგვიდოს, თავი დადევ საწამებლად (750).

გატყდა ვაზირი.

ვითყვი: მოვკვდე, არა მაგა. ჩემი მხეცა თქვენ მოგხედების (751).

ამრიგად, საბოლოო ანგარიშში ვაზირიც სიკვდილის შრშმუევალი შეიქმნა და ამგვარი დარჩა ის ბოლომდე.

სიკვდილის საკითხთან დაკავშირებულია თვითმკვლელობის საკითხი. აქ არ შეეუდგებით იმის გამოძიებას, თუ რა იწვევს თვითმკვლელობას, ადამიანის მიერ ძალით სასიცოცხლო ფუნქციების შეწყვეტას, მოსპობას. აღვნიშნავთ მხოლოდ: თვითმკვლელობათა რიცხვი მერყეობს იმისდა მიხედვით, თუ რა პირობებში უხდება ადამიანს ცხოვრება: დაცემის ხანაში, „ჩუამსა რღვევისა და დაკნინებისასა“, ცნობილია, თვითმკვლელობა მატულობს, აღმავლობისას და საერთოდ ეკონომიურ და პოლიტიკური ძლიერებისას თვითმკვლელობა ყოველთვის კლებულობს, მინიმუმამდე დადის.

გაბატონებული კლასი, რომელიც ყველაფერს თავისი მდგომარეობით შაზღვრავდა, თვითმკვლელობას უარყოფითად აფასებდა. აქედან ცხადია, რომ ვორი ტენდენცია იქნება გატარებული „ვეფხისტყაოსანში“ თვითმკვლელობის მიმართ. თვითმკვლელობა „ვეფხისტყაოსანში“ დაგმობილია, იგი ეშმაკის საქმედაა მიჩნეული. თვითმკვლელობა დაგმობილია ყოველგვარ პირობებში. იგი დაუშვებელია მაშინაც, როცა ადამიანი უდიდესი გასაჭირის წინაშე დგახარ და თითქოს არავითარი გამოსავალი არ არსებობს. არ არის ისეთი მდგომარეობა, საიდანაც ცოცხალი კაცისათვის გამოსავალი არ მოინახებოდეს და ამიტომ ბუნებრივ სიკვდილამდე ადამიანმა თავის თავს ხელი არ უნდა შეხოს, თავი არ უნდა მოიკლას.

ხაზს ვუსვამ ამ გარემოებას, რადგან ჩვენში, დიდხანი არაა მას შემდეგ, ხელს უწყობდნენ იმ აზრის გავრცელებას, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ თავიდან ბოლომდე სტოიციზმი ა გატარებულიო. მართალია, მიუხედავად ამ შეხედულების ავტორის სახელის მრავალკაშიერობისა, მისი აზრები დღემოკლე გამოდგა, მაგრამ რაკი ეს ითქვა და სტამბურადაც გაფორმდა, საჭიროა აღინიშნოს, რომ სტოელთა ერთ-ერთ ბუნებად და თვისებად სწორედ თვითმკვლელობა ითვლებოდა, მაშინ როდესაც „ვეფხისტყაოსანში“, როგორც ვთქვოდ, თვითმკვლელობა დაგმობილია.

თვითმკვლელობისადმი ამგვარი განწყობა ყველა გმირს ახასიათებს, მაგრამ ამ მხრივ ყველასგან ავთანდილი გამოირჩევა.

ასე:

1. მეორეთ წასვლის წინ ავთანდილი ესაუბრა ვაზირს და ანდერძი დაუტოვა როსტევანისთვის გადასაცემად.

აწ ანდერძა ჩემსა მოცემ, როსტანს წინა დაწერილსა.

შენ, შეგვედრებ, დაგიკიროს, ვითა გმართებს ჩემსა ზრდილსა.

მოვეცემ, თავსა ნუ მოიკლავ, სატანისგან ნუ იქმ ქმნილსა (787).

2. ეგევე მისი შეხედულება გამოსჭვირს ტარიელის მიმართ, როდესაც უკანასკნელი, ვეფხ-ლომთან ბრძოლის შემდეგ, უარს ამბობს ბრძოლაზე.

ყმამან უთხრა: რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად იქ ავსა,

ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახშილი არა სწავესა;

ვის უქნია შენი მსგავსი სხვასა კაცთა ნათესავსა,

და რადსა ტანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა? (874).

3. ასეთია ავთანდილის მრწამსი თვითმკვლელობის საკითხში და აღსანიშნავია, რომ ეს უარყოფითი შეფასება თვითმკვლელობისა მარტო სხვისთვის კი არ აქვს მომარჯვებული, თვითონაა უწინარეს ყოვლისა მისი ხორცშემსხმელი, ცხოვრებაში გამტარებელი. ამგვარია ავთანდილი ყველგან, მთელი დრამის განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებით გაკაყებულია სწორედ მაშინ, როდესაც ბრძოლა მის არსებაში გრძნობასა და მოვალეობას შორის (თინათინის სიყვარულსა და ტარიელისათვის წამლის ძებნას შორის) არაჩვეულებრივად გართულდა, მეტისმეტად გააღმასდა.

ვარდი ჰყნებოდა, ღრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა;  
 ბროლი და ღალი გათლილი, ლაქვარდად გადოქცეოდა;

მიუხედავად ამისა:

გამაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ უმხნეოდა (954).

ავთანდილი გაუმაგრდა სიკვდილს, ე. ი. თავი არ მოიკლა, პირიქით, თავს მხნედ გრძნობდა.

ავთანდილი მნათობთ მიმართავს, სთხოვს მათ თანაგრძნობას, დახმარებას, მაგრამ ამაოდ. ვერ უშველა მას სევდის მნათობმა ზულმა; ვერ დაუდგინს სამართალი მართალი მუშტარმა; არ გაიტანა იგი მესისხლეთა უხუცესმა მარხიხმა; არ ათხოვა მას ყური მკურნალთა მეთაურმა ასპიროზმა. მიჯნურს არა შეუძლია მეტი ბრძოლა. იგი დაავადდა, დასაწყულდა, მთლიანად დაილია-უკანასკნელ, მთვარეს, სნეულთა ეტლს ემუდარა. მთვარე ყველაზე მეტად გაიგებს მიჯნურს, მას, მხოლოდ მას შეუძლია იგრძნოს მიჯნურის ცეცხლი უშრეტო, რადგან სატრფოს, მზის მიმართ, ისიც ავთანდილის მდგომარეობაშია: მისი შექიცი ხომ საკუთარი არ არის, არამედ ანარეკლია, თინათინია მზისა. მთვარე აუცილებლად შეიბრალებს, შეიტკობს მიჯნურს.

უქიდურესობამდე დაიძაბა ბრძოლვ, არაჩვეულებრივად გამძაფრდა „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“, მაგრამ რამდენად მეტია დაძაბულობა, იმდენად მეტი უნდა იქნეს ჭირსა შიგან გამაგრება, და ავთანდილიც გამაგრდა.

აწ გულსა ეტყვის: ვითამცა გდის ცრემლი. არ გაგხმობია  
 რას გარგებს მოკვლა თავისა? ეშმა ძმად თურე გძმობია;  
 მეც ვიცი, ჩემსა ხელმქმნელსა ძმად ყორნის ბოლოს სთმობია.  
 და მაგრამ თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია! (965).

ამრიგად, თვითმკვლელობა ყველგან ეშმაკის საქმედაა მიჩნეული, იგი დაგმობილია.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არც ერთი მოქმედი პირი თავს არ მოიკლავს? არა! პოეტს შეუძლია ჰქონდეს რომელიმე აზრი-მის მისდევდეს, იგი იყოს გმირთა მთავარი წამყვანი, მაგრამ იმავე პოეტს უფლება აქვს, რომ უფრო მკაფიო გამოკრთომა მისცეს რომელიმე დადებით მოვლენას, პარალელურად დახატოს ამ მოვლენის უარყოფითი სახე.

აქაც: თვითმკვლელობა უარყოფილია, მაგრამ დავარი თავს იკლავს:

ზღვათავე განვლეს სარკმელნი, მაშინვე გაუჩინარდა.  
 დავარ თქვა: მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ, და?  
 ვირე მომკლევდის, მოვკვდები, სიცოცხლე-გასაწყინარდა,  
 და დანა დაცა, მოცაკვდა; დაცა, გასისხლმდინარდა (582).

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე?! არა! შოთა არ თანაუგრძნობს ამ თვითმკვლელობას. დავარი ჩააყენეს ისეთს მდგომარეობაში, რომ თავი მოაკვლევინეს. შოთა უარყოფითად იხსენიებს იმათ ვინც ჩაადენინა დავარს თვითმკვლელობა.



დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღვთისა მტერმან:  
თავი ფიცა ძმამან შენმან, არ დაგარჩენს, იცის ერმან (576).

მაშასადამე, თუ შოთა აქ ვისიმე წინააღმდეგაა, უწინარეს ყოვლისა, იმ შირთა, რომელთაც თვითმკვლელობა მოაწყეს.

ნესტანდარეჯანიც წინააღმდეგა თვითმკვლელობისა. მთელი მისი ქცევა დასაწყისიდან ვიდრე გამარჯვებამდე ამის დამადასტურებელია. და თუ ეს ასეა, მაშინ როგორ შევათანხმოთ ნესტანდარეჯნის ამ რწმენასთან მისი რამდენიმე თქმა, რომლებიც თითქოს თვითმკვლელობას განამტკიცებენ.

1. ნესტანი ზღვათა მეფესთანაა დატყვევებული. მას სასძლოდ განამზადებენ. ნესტანი წინააღმდეგა. მცველთ ეუბნება:

უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიკემ დანასა (1194).

ერთი შეხედვით აქ თითქოს თვითმკვლელობის ხელყოფასთან გვაქვს საქმე, ნამდვილად კი აქ მხოლოდ მუქარაა, მცველთა დასაშინებელი და არა ხელყოფა, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ აქ, ამ გაჭირვების დროსაა, ნესტანი განსაკუთრებულად გამეხებული რომ ამბობს:

სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსაო (1194).

2. მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ არის ნესტანდარეჯნის მეორე თქმა, რომელიც კვალად თვითმკვლელობას ეხება. ეს ცნობილ წერილშია, ტარიელს რომ მან ქაჯეთიდან გამოუგზავნა.

შენმან მზემან, უშენოსა არვის მიძხედეს მთვარე შენი,  
შენმან მზემან, ვერ ვის მიძხედეს. მოცაჳიდეღ სამნი მზენი.

აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდი კლდენი,  
და სული ჩემი შეივდრე, ზეცით მომხედენ ნუთუ ფრთენი (1303).

არც აქა გვაქვს რასაკვირველია, თვითმკვლელობის განზრახვა. აქ ზრძოლა უკიდურესობამდეა მისული, სავსებით მიწურულია, სხვაგვარად: აქ ტრაგედიის უკანასკნელი აქტია. აქ უპირისპირდება ერთმანეთს სხვაგან მიხედლომა და სიკვდილი. სხვაგან მიხედლომა, სხვის ხელში ჩავარდნა, ნაძრახი სიცოცხლეა და:

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი (800)—

ეკ ხომ „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გმირის სამოქმედო დევიზია და მათ შორის ნესტანისაც პირველ რიგში და, ცხადია, სხვაგან მიხედლომას იგი სახელოვან სიკვდილს ამჯობინებდა.

ამ შეგნებამ გაიტანა რუსთაველის გმირები ბოლომდე, ამ შეგნებამ და რწმენამ გაამარჯვებინა მათ საბოლოოდ.

დასასრულ: ისევ განვიმეოროთ: საიდან შეითვისა შოთამ ასეთი ოპტიმისტური აზრები, რა გზით ჩაუნერგა მან მამაცობის ეს თვისებები თავის გმირთ? გარედან ისეხსა, თუ საქართველოს ნიადაგი აძლევდა მას საამისოდ სათანადო მასალას და შესაფერ განწყობას?

თქმა იმისა, რომ, უცხო გავლენა არ იყო, ძნელია, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ, შოთას ლიტერატურული ნაქითხობა უთუოდ თავს იჩენდა

(ეპიკური, ლუკრეცი სიკვდილის შესახებ ამგვარსავე აზრს განამტკიცებენ), მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ერთგვარ პირობებში ერთგვარი აზრები იბადებიან, და საქართველოს იმდროინდელი პირობები კი, როგორც აღვნიშნეთ, ისეთი იყო, რომ სხვაგვარი აზრი და მსჯელობა სიკვდილისა და თვითმკვლელობის შესახებ შეუძლებელი იყო.

ეპოქა გამარჯვებათა სისტემას წარმოადგენდა და ლიტერატურული ძეგლიც სიკვდილის დათრგუნვისა და ცხოვრების მონიჭების მლადადებელი უნდა ყოფილიყო და იყო: კიდევ უშიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა. ქართველისათვის ეგ თქმა მარად სანუღვებელი იყო. მონობის მოწინააღმდეგეს, უკანდასახევიც არ ჰქონდა ადგილ-მამულის სიპატარაის გამო. და ამიტომაც საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა განიმტკიცა ეგ თვისება მედეგობისა და ურყეველობისა.

ქართველი მარად შიშუეუვალი იყო: ან სიკვდილი ან გამარჯვება. სხვა გამოსავალი მან არ იცოდა და ამიტომ ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვან სიკვდილს ამჯობინებდა. ამით სულდგმულობდა ქართველი იმთავითვე. ინდივიდუალური სიკვდილით სიცოცხლეს ბადებდა. კვდებოდა კაცი-ქართველი, მაგრამ ბუნება ქართველისა, კაცება-ქართველობა მარად ცოცხლობდა და, უამრავ ჭირთა მნახველი და ამტანი, სახელოვნად მოვიდა ჩვენ დრომდე.

და დღესაც, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და სამშობლომ მცველი მოითხოვა, შიშუეუვალი ქართველობა, როგორც ერთი, ამხედრდა მტრის წინააღმდეგ და შეუპოვრად იბრძვის საბოლოოდ გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად.

## მუკოლ ბერიძე

### ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსანი“

დიდი მხატვარი ილია დიდი პუბლიცისტი იყო: მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოში არ დასმულა საკითხი, ცხოვრების რომელი დარგიდანაც გნებავთ, რომ მის განხილვაში ილიას არ მიეღო აქტიური, გადამწყვეტი მონაწილეობა.

ილია თავისი დროის ქართული საზოგადოებრივი აზრის ყოველდღიური ხელმძღვანელი იყო.

მაგრამ მართო ზემოხსენებულით არ ამოიწურება ილიას საქმიანობა. დიდი პოეტი ამავე დროს იშვიათი კრიტიკოსიც იყო. ვერ ვიტყვით, რომ ამ ხანით მას ბევრი ჰქონდნენ ნაწერი, არც ისე ბევრია, მაგრამ, რაც არის, უეჭველად ხალასია. აქ მოკლედ და დაუნჯებულად მოცემულია ამა თუ იმ ლიტერატურული საკითხის შესახებ ამომწურავი პასუხი. ამ მხრივ ილია ისეთი ძლიერი იყო, რომ მხატვრული სახით შეეძლო არაჩვეულებრივი სიმძლავრით რომელიმე კრიტიკული აზრის გადმოცემა. ასეთია, მაგალითად, ილიას ცნობილი ლექსი ალ. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი. აქ გასაღვივარი სიმარტივით ამოწურულია ალ. ჭავჭავაძის პოეზიის რაობა. ეს ლექსი თავისი შინაარსით არ ჩამოუვარდება იმავე მწერლის შესახებ დაწერილს სხვა მოზრდილ ნაშრომებს.

ამგვარივეა მეორე მისი წერილიც ნ. ბარათაშვილის შესახებ. უკანასკნელზე ხომ მართლაც ბევრია დაწერილი, მრავლის უმრავლესი ილიას წერილი მაინც ყველას მეტობს თავისი შინაარსით: ცოტაა ნალაპარაკევი, მაგრამ ბევრია ნათქვამი, ბევრი იმისთანა რამ, რაც დღესაც ზოგ კრიტიკოსს ვერ აუთვისებია.

ასეთივე მკვეთრია ილიას სხვა წერილებიც ხელოვნების ამა თუ იმ დარგის შესახებ. თითოეულის განხილვა ცალკე შრომას მოითხოვს. ამახანად შინადა შევჩერდეთ ილია ჭავჭავაძის კრიტიკულ ნაწერთა მხოლოდ ერთ უბანზე, სახელდობრ: რა წილი აქვს ილია ჭავჭავაძეს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლაში.

## I

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა ილიასთვის ბუნებრივად ორ მომენტს შეიცავს: თავდაპირველად თვითონ სწავლობს ამ უკვდავ ნაწარმოებს და შემდეგ სხვას ასწავლის.

როდის იწყებს ილია ნაწარმოების შესწავლას? თითქმის ბავშობიდანვე, წერა-კითხვის შესწავლის შემდგომვე, — ასე გადმოგვცემს თვითონ ილია თავის ცხოვრების აღწერილობაში. და ეს ასედაც უნდა იყოს: მისი მამის ოჯახი ქართულად იშვიათად განსწავლულ წევრთაგან შედგებოდა, და თვითონ ილიასაც შემდგომში არაერთხელ მადლობით „მოუგონებია ის ნეტარი დრო ყმაწვილობისა და ბავშობისა, ოჯახში რომ ქალები ასწავლიდნენ „ვეფხისტყაოსანს“.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 20—21 წლის კაბუჯი ილია ამ ნაწარმოებს, თავისი დროის მიხედვით, იშვიათად დაუფლებულია. ამ ხანებში პოეტი არ იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულ განხილვას, მაგრამ ცდილობს გაააზრიანოს ნაწარმოების ესა თუ ის ადგილი, მისცეს მათ პრაქტიკული გამოყენება, დაუკავშიროს თავისი დროის მომენტებს, საკირბო-როტო საკითხებს და ამ მიზნით თავისებურ ლიტერატურულ ხერხს მიმართავს: ამა თუ იმ ტიპის დახატვისას, ამა თუ იმ დებულებდს ნათელსაყოფად თავის საკუთარ ნაწარმოებში შეაქვს „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო ადგილები და, უნდა ითქვას, ამ ადგილების ინტერპრეტაციისას, ნაწარმოების იშვიათ ცოდნას იჩენს.

ამ მხრივ განსაკუთრებით „გლახის ნაამბობია“ საგულისხმო.

ილია ნადირობის დროს ხშირად ხვდებოდა ერთსა და იმავე ადგილას გომურში მწოლიარე უცხო გლახას, მოინდომა მისი ვინაობის გაგება, ჯერ სხვებს გამოჰკითხა, შემდეგ თვითონ მივიდა მასთან და გამოესაუბრა. გლახამაც შესჩივლა:

„ასე უპატრონოდ ამ ჩარდახ ქვეშ ამომდის სული. ამოდენა დედამიწის ზურგზე დამტირებელი არა მყავს. სიკვდილსაც ისე დავავიწყდი, როგორც კაცსა, ველი და არ მოდის... ნუ მოვა, ეს კია, რომ სადაური სადა ვკვდები.“

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?

ყოელი შენი მინდობილი, ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა.

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა,

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.

მართალი უთქვამს ამის მთქმელსაო: თუ ქვეყანამ პირი უუქმარიდა და არ შემიკვდლა, ღვთის კალთა ხომ ფართოა!“

— მე აბა, — განაგრძობს ილია, — წარმოიდგინეთ, რა რიგად გამიკვირდებოდა ძონძებში გახვეულის გლახისაგან ეს „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები...

„ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდი-

ნა. მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა, უკვდავო რუსთაველო“ (20).

დღე, ნუ იქნება ამ ნაწყვეტის პირველი ნახევარი გლახის ნასიბრძნი, ვთქვათ, რომ იგი ავტორმა ხელოვნურად, ნაძალადევად ათქმევინა გლახას, დეე! მივიღოთ, რომ ორივე—როგორც პირველი, ისე უკანასკნელი ილიასია. გადაჭრით უნდა ვთქვათ: 22 წლის ჭაბუკს („გლახის ნაამბობი“ დაწერილია 1859 წელს) შესანიშნავად, უეჭველად თავის ადგილს აქვს გამოყენებული შოთას-ეს მართლაცდა უკვდავი სიტყვები, უაღრესად მხატვრული თქმა. ხაზს ვუსვამ ამ გარემოებას, რადგან ზოგიერთს ეს სიტყვები დღესაც უაღრესი პასივობისა და გულგატეხილობის მაუწყებლად მიუჩნევია და ამის გამო თვით „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობაც ჩვენთვის უფრო უახლოეს დროსათვის შესაძლებლად გაუხნია.

გაყვეთ ქვემოთ. გლახა გადმოგვცემს თავის ჭაბუკობის ამბავს. იგი დათკოსთან ერთად თბილისშია. მღვდელი ვინმე ასწავლის მას წერა-კითხვას. გლახამ დიდი ნიჭი გამოიჩინა, მოძღვარსაც იგი უფრო რთულ სასწავლზე გადაჰყავს: „ვეფხისტყაოსანს“ ასწავლის.

აქაც პოეტის მიზანია—ნაწარმოების მკაფიო, ცხოვრებაში გამოსადეგი ადგილები ამოიღოს და დაუკავშიროს იგი პრაქტიკულ საქმიანობას.

[მღვდელი] ადგა, გამოაღო პატარა თახჩის კარი და გადმოიღო ერთი დაბეჭდილი წიგნი.

— აი, ძმაო, ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე, რაც კი რამევაქვს ჩვენს ენაზე, ამას ჯერ არა სჯობია.

ეს სიტყვები ჩვენ ახლაც შეგვიძლია გავიმეოროთ. მართლაცდა „ვეფხისტყაოსანი“ ჯერჯერობით ყველას მეტობს, იგი სრულყოფილია როგორც შინაარსით, ისე ფორმით, მაგრამ განკერძობებულად არ დგას. ციდან, ასე ვთქვათ, არ ჩამოვარდნილა. თვით ეპოქაც მისი წარმოშობი, თავისი დროის მიხედვით, სრულყოფილი იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიტერატურული ძეგლი მკიდროდა დაკავშირებული თავისი დროის გარეპირობებთან და არც შეიძლება მისი, ამ ძეგლის, განხილვა და დაფასება გარეშე ამ გარეპირობებისა, ამ გარეპირობების უმისოდ. ილიამაც კარგად იცის ეს და ბუნებრივად, „ვეფხისტყაოსანს“ თამარის ეპოქას უკავშირებს.

მსჯელობა ისევ კითხვა-პასუხის წესით მიმდინარეობს.

— თამარ-მეფე ხომ გაგიგონიათ?

— როგორ არა!

— [ჰო და], თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა, ეგ იმის შეფობის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბობია, იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა—სიმტკიცე; მკლავსა—სიმაგრე, ეგ დალოცვილის... თამარის დროს მომხდარა.

ცხოვრების მოვლენათა უფრო კომპლექსურად განხილვა შეუძლებელია.

— ეგ წიგნიც იმან დაწერა?

— არა... ერთი კარის კაცი ჰყოლია შოთა რუსთაველი: იმას დაუწერია.

— ეს სულა?

— სულ, თავიდან ბოლომდე გალექსილია. ძნელი გასაგები კი იქნება, მაგრამ ერთი-ერთმანეთს ვუშველოთ და გავიგებთ. ბევრგან მისი სიტყვები გაჰქირვებაში გულს მოგფხანენ, ჰირს გაგიადვილებენ, გულსა და გონებას გაგიწრთვნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ.

რა იალბუწივით ქედმოღვრებული გამრიყურება აქ ილია თავისი სამართლიანი და უქველად მართებული თქმით იმათთან შედარებით, ვინც ღღესაც „ვეფხისტყაოსანში“ ფატალიზმსა და უაღრეს გულგატეხილობას ეძებს.

სად პასივობა და გულზე ხელდაკრეფილობა და სად — განვიმეოროთ! მისი სიტყვები გაჰქირვებაში გულს მოგფხანენ, ჰირს გაგიადვილებენ, გულსა და გონებას გაგიხსნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ.

ასე აცოცხლებს ილია „ვეფხისტყაოსანს“, ამგვარად აძლიერებს იგი ამ ნაწარმოების სოციალურ ფუნქციას.

ყველაფერი ეს წინასწარი საუბარია მოძღვრისა გლახასთან. იწყება თვით „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა. მოგეხსენებათ, ნაწარმოებს წინასიტყვაობა აქვს, შედარებით თვით ამბავთან ძნელად გასაგები, იმდენად, რომ ღღესაც კი, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ დასაუფლებლად მეტი მასალა მოგვეპოვება და კვლევადიების მეთოდიც უკეთესი გვაქვს მომარჯვებული, — ღღესაც კი ჩვენ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას რომ შევუდექით, წინასიტყვაობა დავტოვეთ და პირდაპირ ამბიდან დავიწყეთ: იგი ბოლოსათვის შემოვიწინებთ.

ახალგაზრდა ილიამაც იცის ეს გარემოება.

— „მომიჯდა გვერდით, — ამბობს გლახა, — გადამიშალა თვითონვე რამდენიმე ფურცელი და მომცა. დავხედე იმ ადგილს, სადაც თითი დამიღო, ეწერა „ამბავი პირველი როსტევან მეფისა“. მე ვუთხარი:

— რატომ თავიდან არ მაწყებინებ?

— ნუ აჩქარდები, ყველაფერი თავის დროზე უნდა. თავი უფრო ძნელად მგონი, შენთვისაც და ჩემთვისაც; თუნდ ეგ არ იყოს, ამბავი აქედამ იწყება. მერე, როცა მე და შენ კარგად მივხვდებით, მაშინაც მოვესწრებით მაგის გადაკითხვასო.

კითხვა გრძელდება. მოძღვარი ხშირად შეაჩერებდა ხოლმე გლახას საგულისხმო ადგილებზე და შეეკითხებოდა: გესმისო?

ამგვარად გარჩეულია „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი ფორიზმი, სენტენცია და თითოეული მათგანი დაკავშირებულია ცხოვრების მიერ წამოყენებულ სათანადო საკითხებთან. ასე, მაგალითად, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია“. განყენებულად გადმოცემული ეგ თქმა გაუგებარია, მაგრამ სათანადო მაგალითებით ნათელყოფილი, უკვე ცხადი ხდება. ილიაც ამ თქმას უკავშირებს ცნობილ იგავს სამი ტალანტის შესახებ.

მხატვრული მასალა აქ მოხმობილია ამა თუ იმ მოვლენათა კონკრეტიზაციისათვის და, უნდა აღვიაროთ, ეს კონკრეტიზაცია წარმატებით მიმდინარეობს.



მოძღვარი [უკეთ: ილია] კვალად განაგრძობს ნაწარმოების კითხვა-კომენტარს და ცდილობს მონახოს ისეთი ადგილები, რომლებიც მისი, ილიას, მოღვაწეობის ძირითად ხაზს შეეფერება. რომელია ეს ხაზი? პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა.

ილიას ყველა ნაწარმოები ამ მთავარი ღერძის ირგვლივ ტრიალებს. რომელ საკითხსაც არ უნდა აშუქებდეს, არის იგი ეროვნული თუ საერთო-საკაცობრიო ხასიათისა, — ყველგან და ყველაფერში, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაზე აქვს მას ლაპარაკი. როგორაა ეს ურთიერთობა გადაწყვეტილი?

პიროვნება საზოგადოების დვიძლი შვილია, საზოგადოება მას ზრდის, უვლის, პატრონობს, და თუ საქმე საქმეზე მიდგა და საჭიროება შეიქნა, პიროვნებაც ვალდებულია მთელი თავისი არსებით მსხვერპლად შეეწიროს საზოგადოებას, და არა მარტო საზოგადოებას, საზოგადოების ცალკეული წევრიწადმიც ამგვარადვე დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ყოველ შეგნებულ პიროვნებას.

ასეთია ილიას ურყევი დადგენილება და განწყობა ამ საკითხში.

გავიხსენოთ:

თავდაპირველად ეს საკითხი მან თავის საპროგრამო ლექსში (პოეტი) დასვა: პოეტი უწინარეს ყოვლისა მოქალაქეა, იგი ხალხის შვილია და ხალხისავე მოძმე უნდა იყოს ჭირსა და ლხინშიო.

ამ ლექსში ილია მხოლოდ პოეტზე ლაპარაკობს. რაც შეეხება „მგზავრის წერილებს“ — აქ ილიამ საზოგადოების სამსახური (ამ შემთხვევაში სამშობლოს სამსახური, მისი განთავისუფლება) ყველა მოქალაქისათვის სავალდებულოდ გახადა.

მყინვარი გარეგნულად მიმზიდველია, წარმტაცი, მაგრამ განზე გამდგარა, მიუკარებელია, ქვეყნის ჭირვარაში, ვაი-ვაგლახი მისთვის უცნობია. იგი შრომის დეზერტირის სიმბოლოა. ძირს მყინვარი!

თერგი გარეგნულად არაა ლამაზი, მღვრიეა, მაგრამ მოძრავია და სხვა-საც ამოძრავებს: იგი ჯანისა და ღონის მომცემია: თერგი მოქმედო, მოღვაწე პიროვნების სიმბოლოა. გაუმარჯოს თერგს!

ასეთია ილიას გადაწყვეტილება პიროვნების შესახებ. მაგრამ გადაწყვეტილება აქ თეორიულ ხასიათს ატარებს. სხვა თავის ნაწერებში პოეტი უკვე კონკრეტულ პიროვნებებს გვაძლევს, საზოგადოებისათვის თავდადებულ ტიპებს გვისახავს.

ამგვარია:

ა. „დედა და შვილი“: მოხუცმა, ავადმყოფმა, ქვრივმა დედამ (პიროვნებამ) გაგზავნა ბრძოლის ველზე თავისი ერთადერთი მარჩენალი ვაჟი სამშობლოს დასახსნელად (საზოგადო ინტერესი).

ბ. „ღიმიტრი თავდადებული“ — ამგვარივე დედაზრის მატარებელია.

გ. „განდეგილშიაც“ — პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება.

ყველგან ეს ხაზია გატარებული.

მაგრამ ჩვენ ისევ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ, „გლახის ნაამბობს“ და ვუბრუნდეთ.

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დროს ქუჩიდან ხმაურობა მოისმა, მღვდელი მსწრაფლ გარეთ გავიდა, იკითხა, უთხრეს, მტკვარში კაცი იხრჩობაო. ამის გაგონებზე და მღვდლის ფეხის მოსხლეტა ერთი იყო.

მღვდელი მიიჭრა მტკვრის ნაპირას, მიდამო ხალხი კრთებოდა, ისმოდა ყვირილი, მოთქმა, ვაი-ვაგლახი; მაგრამ შველას ვერვინ ბედავდა. მღვდელმა მსწრაფლ ტანთ გაიხადა, გადავარდა მდინარეში და დამახრჩავალი მუშა გადაარჩინა. მუშა გადაარჩინა, მაგრამ თვითონ კინალამ გადაყვა: ფილტვების ანთება დაემართა, ძლივს გადაარჩა. როცა მობრუნდა, ჰკითხეს: „მეტისმეტად თავგამეტებული ყოფილხარ, თუ შენი თავი არ გებრალეობოდა, დედაშენს მაინც შეიბრალეზდი, უფრო ცოდვა არ იქნებოდა, რომ მოხუცებული დედა უპატრონოდ დაგეგლო ამ ტიალ ქვეყანაზეო“. მოკლედ მოუჭრა: „სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა... თუ სიკვდილი მოახლოვებულია, თუ ადამიანი მაინც უნდა მოკვდეს, სჯობს ხალხის სამსახურში ამოუვიდეს სული“.

და ამ დებულებათა ნათელსაყოფად ილიას მეტად მომარჯვებულად მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო ადგილები.

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფე კიტრად ბერად,  
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.

ან: სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.

ანდა: სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა.

ან კიდევ: ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჰირსა არ დამრიდად,  
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

ასე ნახულობდა, სამართლიანად ნახულობდა ილია „ვეფხისტყაოსანში“ ცხოვრებისათვის გამოსადეგ ადგილებს და ცნობილია, რამდენად მეტია ამა თუ იმ ნაწარმოებში ცხოვრებისათვის გამოყენებულობა, გამოსადეგობა, იმდენად ძლიერია იგი და ფასდაუდებელია სოციალურად.

და აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ოდნავადაც არ ნელდება: რაც დრო მიდის, იგი უფრო და უფრო აღრმავებს, აფართოებს თავის ამ თვისებათ და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დღეს უფრო, ვინემ ოდესმე, მიღებულია მშრომელი ხალხის მიერ.

ამ მხრივ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ნაწარმოების მოქმედი პირები უმაღლესი წოდების დიდგვარიანნი არიან: მათ უკვე დიდი ხანია შემოეძარცვათ თავისი მეფური სამოსელი და ისინი ჩვენ წინაშე წარმოდგებიან არა

როგორც მეფე ან მისი ხასნი, არამედ მხოლოდ როგორც ადამიანები, რომელთა საუკეთესო თვისებები —

- ა. განუყრელი მეგობრობა;
- ბ. მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილება — იბრძოლონ საერთო საქმისათვის საბოლოო გამარჯვებამდე;
- გ. უსაზღვრო, დაუცხრომელი სიყვარული;
- დ. სამშობლოს სიყვარული —

ჩვენი თვისებებია, რომელთა საშუალებით ჩვენ ვაშენებდით და კიდევაც ავაშენეთ უმაგალითო და კაცობრიობის ისტორიაში ჯერ გაუგონარი სოციალისტური სახელმწიფო.

მე არ გამოვუდგები სხვა ადგილების მოყვანას, კიდევ ბლომად მოიპოვება. ნათქვამიდანაც ცხადია, რომ ილია მართლაც ბავშობიდანვე იცნობდა „ვეფხისტყაოსანს“ და დროის მიხედვით იშვიათად იყო მას დაუფლებული.

## II

აქედან ბუნებრივია: როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და სათანადო კომისია შედგა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად, ილიაც ამ კომისიაშია: მართალია, იგი თავმჯდომარის მოადგილეა (თავმჯდომარედ გრ. ორბელიანი იყო), მაგრამ ფაქტიურად თვითონ იყო საქმის ხელმძღვანელი და წამყვანი. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია კომისიის მუშაობის საანგარიშო ოქმებს. მართო მოკლე რეზოლუციური ჩანაწერები და მოგვეპოვება, მაგრამ ილიას პრაქტიკული საქმიანობა და განყენებულიობისადმი უარყოფითი განწყობა აქაც ჩანს.

პირველ სხდომაზედვე ჩამოვარდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ, სანამ ტექსტის კითხვას შევუდგებოდეთ, საჭიროა წინასწარ მტკიცე და ურყევი პრინციპები გვექნეს შემუშავებული, პრინციპები, რომელთა მიხედვით ეს ტექსტი უნდა დავადგინოთ. ბევრი ილაპარაკეს, ვერ შეთანხმდნენ.

ილიამ მოკლედ მოჭრა: პრინციპები და თეორიები საქმის ვითარებიდან გამომდინარეობენ, შევუდგეთ კითხვას და კითხვის პროცესში პრინციპებიც გამოვუშავდებო.

ჩვენი ახლანდელი კომისიის მუშაობამ ცხადყო, რომ ილია მართალი იყო. ჩვენც შევადგინეთ ვითომდა ურყევი პრინციპები, მაგრამ კითხვისა და დადგენის პროცესში არაერთი კორექტივის შეტანა მოგვიხდა ამ პრინციპებში.

## III

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილი ცოდნა ილიამ გამოიჩინა ცნობილ წერილში, რომელსაც სახელად „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“ ეწოდება (ქავკავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, თბ. 1927, გვ. 183-198).

მოგეხსენებათ აკაკის „სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე“. იგი ორჯერ იყო წაკითხული; ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში 1887 წელს.

სამწუხაროდ, ლექციები წაკითხვისთანავე არ დაბეჭდილა და ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, აძნელებს საქმის ვითარებაში გარკვევას.

ილია თავის წერილს ზეპირად წერდა, მარტოოდენ მეხსიერებას ემყარებოდა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში გაზეთში მოთავსებულ მცირე ანგარიშს), და შეიძლება ვინმემ იფიქროს: რა ვიცი, ჩვენ, რამდენად სწორად აქვს მას გადმოცემული აკაკის აზრებიო?

მეორე მხრით: აკაკის ლექციები 11 წლის შემდეგ დაიბეჭდა და, მაშასადამე, შეიძლება კვლად ვინმემ თქვას: ხომ არ შესცვალა აკაკიმ რაიმე თავის ლექციაში, ხომ არაა იგი დაბეჭდილი ახალი რედაქციით?

ყოველ შემთხვევაში, აკაკი ბრალს სდებდა ილიას (აკაკიმ, გარდა ლექციებისა, წერილიც დაბეჭდა ილიას საპასუხოდ): ჩემი აზრი დამახინჯებულად წარმოუდგინა მკითხველ საზოგადოებას. ნამდვილად კი მე აგრე არ მითქვამსო და თან მოჰყავს ციტატა... [ივლისსხმება ლექციიდან]. არავითარი მსგავსება ამ ციტატასა და ლექციის სათანადო ადგილს შორის! ეს მით უმეტეს გასაკვირველი და საოცარია, რომ როგორც ლექცია, ისე პასუხიც ერთსა და იმავე ჟურნალშია მოთავსებული (აკაკის თვითური კრებული, წელიწადი პირველი, № 5, იანვარი 1898 წ.).

ასეთია საქმის ვითარება, მაგრამ მშ ჩვენთვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. როგორიც არ უნდა იყოს აკაკის შეხედულება „ვეფხისტყაოსანსა“ და მის გმირებზე, ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს ილია, ილიას მოსაზრება ნაწარმოების შესახებ, მით უმეტეს, რომ: მართალია, აკაკის ფორმალურად არა აქვს თავისი დებულებანი ისე მოთხრობილი, როგორადაც მას ილია მიაწერს ხოლმე, მაგრამ არსებითად აკაკის შეხედულება მთლიანად და საესეებით სწორადაა გადმოცემული.

მაგრამ რა თქვა აკაკიმ თავის ლექციებში?

პირველ ლექციას თემასთან არავითარი კავშირი არა აქვს. საკითხის გაშუქება მეორე ლექციიდან იწყება.

შოთა რუსთაველს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების, სხვადასხვა ხალხების ღირსებები ნაკლულევანებები პოეტურად და ძლიერად აქვს გამოხატული თავის დაუფიწყარ „ვეფხისტყაოსანში“.

ამ დებულების ნათელსაყოფად ავტორი თავდაპირველად ქართველთა დახასიათებას იძლევა—ჯერ ზოგადად, შემდეგ დანაწევრებით. „ყველა, როგორც ქართლელი, ისე იმერელი, ისე მეგრელი და ისე გურული ერთნაირად დღეს ცრუები არიან, მაგრამ მტ სიცრუეში განსხვავება არის და რადგანაც იმ სიცრუეში გამოიხატება თვითეულის მათგანის ხასიათი, ამისათვის ჩვენ გავარჩევთ და გამოვიკვლევთ იმ განსხვავებას“ (გვ. 21). და იწყება თითოეულის დახასიათება ამ ხაზით.

„ქართლური ან ამერული სიცრუე უმანკოა; იმაში ბევრიც რომ ეცადოთ, ისეთ მხატვრულ ნიშნებს ვერ იპოვით, როგორც იმერულ სიცრუეშია. და მართლაც, აბა დაუკვირდით ქართლელს, როდესაც ის ტყუილებს ამბობს, თუ იმ

„სიტყუეში პატიოსნური სულსკეცება არ დაინახობ? ქართლელი მისთვის კი არ ცრუობს, რომ ვინმე მოატყუოს, არა, როშავს, ისე, თავისთვის, რასაც თავის გული ეუბნება. ის ტრაბახობს სულ კეთილ საქმეებზე: სკოლებს მართავს, ქვრივ-ობხრებს ეწევა, მტრებს ამარცხებს, მოყვარეს ეხმარება, — ერთი სიტყვით რაც საპატიოსნოა და კაცის ღირსების გამომჩენი, სულ იმაზე ბაქიობს“ (22).

მეორე ადგილას:

„ქართლელი საზოგადოდ გულწრფელია, სიმაართლის მოყვარე. გაუდრეკელად პირდაპირი ხასიათის მიმდევარია; საოცარი ვაჟკაცი და იმავე დროს იმდენად დიდსულოვანი, რომ სხვისი დანაშაულობის ადვილად მომტყვებელია. დღეს, როდესაც დრო და ვითარება შეეცვალა, დამძიმდა, ზარმაცს ჰგავს, დღიურ ვარამს თავს ვერ ართმევს და წვრილმან საქმეებს რომ შეეჭიდოს, ვერ ახერხებს“ (გვ. 3).

„იმერელი ცბიერია. და ეს ზნე არა თუ მოქმედებაში და სიტყვა-პასუხში, სიარულშიც კი უცხადდება. მართლაც, აბა, შეეკითხეთ იმერელს და დააკვირდით მის სიარულს: რაც უნდა სწორი გზა ედოს წინ, მაინც აქეთ-იქით მიუხევე-მოუხევეს და ისე მიდის... თუმცა იმან შორიდანვე შეგნიშნათ, მოგკრათ თვალი, მაგრამ ისე კი გიახლოვდებათ, რომ თითქოს არ დაენახოს, მერე ერთი უეცრად შეგეფეთებათ, შეკრთება, რასაკვირველია, აქტიორულად და ბოდიშს მოიხდის ალერსიანი სიტყვებით. მთის ამბავი რომ უნდოდეს სათქმელად, ჯერ ბარის ამბით დაიწყებს, რაც გულში აქვს და რაც სურს გითხრას, იმას პირდაპირ არ მოგახლის და ამას იმიტომ შერება, რომ სანამ მანვერობს, ე. ი. იმისთანა საგანზე გემუსაიფებათ, რომელსაც მისთვის მნიშვნელობა არა აქვს რა, — ავათვალღიერებ-ჩავათვალღიერებს, აგწონს, თქვენ სახეზე და სიტყვაში წაიკითხავს თუ რა გუნებაზე ბრძანდებით და მერე, თქვენი ხასიათის ან გუნების შესაფერად, ბანგივით ნელ-ნელა შემოგაპარებს, რაც უნდა სათქმელად. დარწმუნებული ხართ, რომ იმ დროს თქვენს მოტყუებას ცდილობს, მაგრამ ისე ხელოვნურად კი ასრულებს ამ თავის წინათგანზრახვას, რომ თქვენ რაღაც უცნაური ძალით მოტყუებული რჩებით და არა ნალელობთ იმ დროს თქვენ უნებურ მოტყუებას.

„იმერელი პირდაპირ არ აქებს კაცს და არც ავინებს; ვისიც ქება უნდა, იმას ავინებს, მაგრამ ამ გინებაში ისეთი გამოანგარიშებული სიტყვებია, რომ ყოველ ქებაზე უკეთესია; და ვისიც გალანძღვა უნდა იმას აქებს: მაგრამ ისე მოხერხებულად და სოფისტიკურად კი დაუწყებს ქებას, რომ ვაი იმ ქებას. მაგალითად, იმერელს უნდა ვენმე აქოს, — პირდაპირ რომ ქება დაუწყოს, ფიქრობს; ვაი, თუ მიდგომა ჩამომართვანო და ისეთ გვარად დაიწყებს გმობას, რომ თვითონ თქვენ გამოგასარჩლებს და ისე ხელოვნურად კი გებასებათ, რომ გაგიტყუებს და მომტყებულ სურვილს აღძრავს თქვენში მისი ქებისას, ვისიც ქება თვითონ სურს გულში, და სიტყვით კი სხვას ამბობს.

„ბოლოს დაგეზიანებება, თვითონ შეწუხებული დარჩება და თქვენ კი გაამაყებელი რჩებით მით, რომ სულ წინააღმდეგი დაუმტკიცეთ თქვენს მოპირდაპირეს და დაითანხმეთ. შემდეგ იმეორებთ ხან ერთთან, ხან მეორესთან ამ ამ-



ბავს და იმერელსაც ის უნდა, მისი გულის წადილი სრულდება და რა ენაღ-  
ვლება (25—26).

ამგვართვე: მეგრელი, გურული.

ამ უეჭველად მცდარი დახასიათების გამოძიებას თავი რომ დავენებოთ-  
და ვიკითხოთ: მართალიც რომ იყოს, რა კავშირი აქვს ყველაფერს. ამას „ვეფ-  
ხისტყაოსნის“ გმირებთან-თქო, აკაკის მეტი,—დადებითად ვერავინ გვიპასუხებს.

აკაკი კი გვეტყვის.

„ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ ვნახავთ ჩვენს ქვეყანას მისი კუთხეებით და  
მცხოვრებლებით ისე გამოხატულს, როგორც სარკეში ჩასახულ რამეს (31). თუ  
ამ ზოგადმა თქმამ არ დაგაკმაყოფილათ, აკაკი ვრცლად იტყვის: რუსთაველს-  
სურდა „ვეფხისტყაოსანში“ დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამო-  
ეყვანა მისი საიდეალო გმირი როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისაც. საქარ-  
თველო რომ გაშლილი და თანასწორი ბუნებიანი იყოს, მაშინ ის ერთს პირს  
აიღებდა გმირად, მაგრამ რადგანაც... ის სხვადასხვა ბუნებიანია და ხალხებიც  
სხვადასხვა ხასიათების მქონი, ამისთვის მან საჭიროდ დაინახა, ერთი გმირის-  
მაგიერ აეღო სამი, გადაეკავშირებია ერთმანეთთან, ერთი მეორით შეეგოს და  
ასე წარმოედგინა ჩვენთვის. ამ აზრით იმან აიყვანა ამერიდან—ტარიელი, იმე-  
რიდან—ავთანდილი და შავი ზღვის პირიდან—ფრიდონ და მათი შეერთებით-  
დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოსი“ (გვ. 32).

ამაზე მეტი შებოჭილობა გეოგრაფიული პირობებით და ბიოლოგიზმით  
შეუძლებელია!

„არჩევანში რომ შევიყვანოთ ქართველები ამ სამი გმირის შესახებ, უეჭ-  
ველია, ქართლები ტარიელზე მიგვიითიებენ, იმერლები ავთანდილს აირჩევენ  
და საზოგადოდ შავი ზღვისპირელები—ფრიდონს მოიწონებენ.

„ეს მისი ბრალთა, რომ ის განსაკუთრებითი ხასიათები, რომლებიც ამ სხვა-  
დასხვა კუთხის საქართველოს ერთმანეთისაგან განასხვავებენ. ამ გმირებში  
იხატება და თითოეული კუთხე თავის საკუთარ, ახალ ნაცნობს ხედავს იმათში“  
(გვ. 33).

ეს მამაკაცები. ქალები? ნესტანი—ამერია, თინათინი—იმერი, ხოლო ფატ-  
მანი—ზღვისპირელი. ამასთანავე: პირველი—ნესტანი ძალიან ემსგავსება ხასი-  
ათთ ტარიელს, მეორე—ავთანდილს. ფატმანი? არ ჩანს, ვის?

აქ მოყვანილი აკაკის აზრები მცდარია, უეჭველად მცდარი. აკაკისათვის  
„ვეფხისტყაოსანი“ სარკეა არა მარტო იმდროინდელი საქართველოსი, XII ს.  
საქართველოსი, არამედ ეს სარკეობა მისი სამარადისოდაა მიჩნეული. გ ა ვ ი-  
მ ე ო რ ო თ: „არჩევანში რომ შევიყვანოთ ქართველები ამ სამი გმირის შესახებ,  
უეჭველია, ქართლები ტარიელზე მიგვიითიებენ, იმერლები ავთანდილს აირ-  
ჩევენ და საზოგადოდ შავი ზღვისპირელები—ფრიდონს მოიწონებენ“. რატომ?  
—იმიტომ რომ თითოეული კუთხე თავის საკუთარ ნაცნობს ხედავს. ამ პი-  
რებშიო. გარდამეტებული რეალისტი კომენტატორია აკაკი, გადა-  
ქარბებულ ფოტოგრაფობას და ეთნოგრაფობას აკუთვნებს აკაკი შოთას. ყოვ-  
ლად შეუძლებელია ამგვარი შეხედულების გაზიარება. ტარიელი, ავთანდილი,  
ფრიდონი, ნესტანი, თინათინი XII ს. ფეოდალურ-რაინდულ საქართველოს წარ-



მომადგენლები არიან, მაგრამ ყველანი ისინი უწინარეს ყოვლისა ადამიანები არიან: რომელიმე მათგანი იმიტომ კი არ ატარებს ამა თუ იმ თვისებას, რომ, მაგალითად, ქართლელია, ან იმერელი, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ეპოქის, თავისი კლასის შვილია და ამით თითოეული მათგანი კლასობრივი ადამიანის საზოგადო ტიპს, საზოგადო სახეს წარმოადგენს. და სწორედ ამგვარი პოზიცია დაიჭირა ილიამ აკაკის მიერ დასმული საკითხისადმი.

აკაკის ლექციებში ილიამ უკან დახევა დაინახა. ნაწარმოების ქართულობის დამტკიცება—მისი ეთნოგრაფიულ-ჩარჩოებში მომწყვდევით ილიამ შოთასთვის სულთამხუთავად მიიჩნია და „ვეფხისტყაოსნის“ სილიადე—მისი ზოგადი თვალსაზრისით განხილვაში მოგვცა.

ამასთანავე აღსანიშნავია:

თუ წინათ და მის დროსაც „ვეფხისტყაოსნის“ სპეციილისტები ნაწარმოების განხილვისას მხოლოდ მისი წარმოშობის საკითხის ირგვლივ ტრიფლებდნენ, არასპეციილისტი, მაგრამ დიდი მწერალი-მხატვარი ილია, უნდა ითქვას, პირველი და პირველად იძლევა შოთას ამ უკვდავი ქმნილების მხატვრულ ანალიზს, ტიპების ფსიქოლოგიურ დახასიათებას.

თავდაპირველად ილია გვაძლევს ნაწარმოების ზოგად დახასიათებას. მისი აზრით „ვეფხისტყაოსანი“:

ა. სულიერი განძია, რომელიც სამკვიდროდ და სასახლოდ უანდერძა ჩვენმა წარსულმა ჩვენს ერს.

ბ. იგი დიდებული პოემაა, შექმნილი ჩვენის ერის დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისაგან, ჩვენს ენაზე;

გ. ჩვენ თავს ვიწონებთ; ვსახელობთ, ვკადულობთ ამ ნაწარმოებით;

დ. იგი დიდი რამე საუნჯეა, საშვილიშვილოდ საპატიო, საუკუნეთა განმავლობაში არდაქნობილი, არგაბათილებული, არდავიწყებული.

ასეთია „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ყველასათვის როდია ცნობილი ნაწარმოების ზემოაღნიშნული თვისებები.

აქედან: მიუცილებელი საჭიროება—„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ იწერებოდეს და იკითხებოდეს შესაფერი წერილები.

აქედანვე: აკაკის ლექციების გამართლება:

მაგრამ... ერთია წაკითხვა და როგორ წაკითხვა—შეორე.

აქედან იწყება ილიას შეტევაც.

„მთელი სამი ლექცია ბ-ნის აკაკისა, —ამბობს ილია, —წარმოადგენს ერთს იმ დედაზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის ქართველი. მისი სიტყვით, ტარიელი, რადგანაც ზარმატია—ქართლელია, ავთანდილი, რადგანაც წინდახედულია და ცბიერი—იმერელია, და ფრიდონი კი—არ გვახსოვს, რა მიზეზითა და რის გამო—ზღვისპირელი ქართველია: იქნებ იმის გამოც, რომ ცოტა აქვს, მაგრამ ყოველგან სიკეთე მიუწვდომელი?“

როგორ არღვევს ილია ამ უეჭველად მცდარ დებულებას?

ჯერ ზოგადი მოსაზრება მოჰყავს: ეს დებულება მცდარია. აგრე რომ ვინაგარიშოთ, რუსთაველი უბრალო ეთნოგრაფი იქნება და არა გენიოსი. თავისი ამ ნათელი დებულების დასამტკიცებლად ილია კერძო მაგალითებს ემყარება.

თავდაპირველად შექსპირის ფალსტაფს იხსენებს.

„ფალსტაფს, რომელიც შექსპირს ტყუილებისა და კვებნა-ბაქიობის გულად გამოუხატავს, განა ათასს მსგავსს ვერ მოვუპოვებთ ჩვენს საქართველოში? აკი ბ-ნმა აკაკიშაძე თავის ლექციებზე დაგვაჯერა, ქართველები ტყუილებისა და კვებნა-ბაქიობის მოყვარენი არიანო. მართალიც არის: ჩვენში ტყუილებისა და კვებნა-ბაქიობის ისეთი ფალავენები არიან, რომ თვითონ ფალსტაფი,—ეგ ზოგადი ტიპი ცრუ და მკვებნარა კაცისა,—ტაშს დაუკრავს მოწონებისას და შევირდოდ მიებარება. ნუთუ ეს გარემოება ნებას მისცემს ვისმე თქვას: „შექსპირმა ფალსტაფით ქართველები გამოსახა“—სამართლიანად დალადებს ილია.

სხვა მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს.

აკაკის შემდეგ დებულებებზე ჭადავალ.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ამა თუ იმ საქციელს, ამა თუ იმ საქმიანობასა და ხასიათს აკაკი თითოეულის მათგანის ტომობრივი წარმოშობით ხსნის.

ფარსადანი და ტარიელი ნადირობიდან შინ ბრუნდებიან ბაღდადად. მეფემ უბრძანა ტარიელს: ქალის ნახვა მინდა, დურაჯები უნდა მიგუტანო. მეფე შედის კოშკში, ტარიელი გარეთ რჩება. მეფე უბრძანებს ასმათს: გარეთ მყოფ ტარიელს დურაჯები გამოართვი და ნესტანს მიუტანეო. გარეთ გამოსვლისას ასმათმა ისეთნაირად აზიდა ფარდა, რომ ტარიელმა დაინახა მზეთუნახავი, გულში სიყვარულის ისარი ეცა, დაბნდა, უსულოდ ძირს დაეცა, მჩვრად იქცა. ტარიელს დაუწყვეს მკურნალობა, მაგრამ ვერას გახდნენ, სანამ ნესტანმა არ შემოუთვალა:

„ბედითი ზნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია,  
სჯობს საყვარელსა უჩვენენ საქმენი საგმირონია“.

ხატაელებზე გაილაშქრე, შინ გამარჯვებით დაბრუნდი და სიტყვას გაძღვე: შენს გარდა ქმრად არავის შევირთავო.

ავთანდილსაც უყვარს თინათინი, უყვარს, იტანჯება, მაგრამ ჩუმად:

„გულსა მისსა სიყვარული მისი ჰქონდა დამალულად“.

თინათინი გამეფდა: ავთანდილისათვის ეს უდიდესი ბედნიერებაა. როგორც სპასპეტი ყოველდღე მივა მეფე-საყვარელთან მოხსენებით, მაგრამ ავთანდილი ოდნავადაც არ ბნდება: მტკიცე და ურყევი. რატომ? აკაკი გვიპასუხებს: იმიტომ რომ „ტარიელი მოქმედებს გულის აყოლით, ავთანდილი კი თავს ეკითხება“.

ავთანდილმაც მიიღო თინათინისაგან საზოგადოებრივი ხასიათის დავალება: უნდა მონახოს ტარიელი.

აბა, როგორ ასრულებს თითოეული მათგანი დავალებას? აკაკის აზრით—ტარიელს შეეძლო გაუჭირებლად მთელი ჯარით მისვლა ხატაელებზე და ში-

შიც არაფრის ექნებოდაო; ამის ნაცვლად, გულს აყოლილი, საომრად ატეხილი ტარიელი პირდაპირ ეკვეთება მტერს.

„ახლოს მიველ, შემომხედეს, შმაგაო ესე თქვესა.

მუნ მივმართე მკლავმეგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;

კაცს შუბი ვკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიხედეს მზესა,

და შუბი გატყდა, ხელი ჩაყავ, — ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა.

შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,

კაცი კაცსა შემოვსტყორცე, ცხენ-კაცისა დადვი გორი,

კაცი ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი,

და ერთობ სრულად ამოვსწყვიდე წინა კერძი რაზმი ორი.

ასეთია ტირიელი.

ავთანდილი?

„ავთანდილი აუჩქარებლად კვალში უდგია მისდა მინდობილ საჯანს (ტარიელის მონახვა), ბოლოს მიაგნო კვალს, მაგრამ არ შეუტია, არ შეეჯახა და ეს არა იმიტომ, ვითომ შემეკრთალიყოს და შეშინებოდეს, არა! ავთანდილი წინდახედულია, ასჯერ გამოზომა. ტარიელი კი სხვა ბუნებისაა, სხვა ხასიათისაა. იგი გულს დაუშორჩილებიაო“.

აკაკი მცდარია, მცდარია მთლიანად: მისი ახსნა უადრესად პრიმიტიულია. აქ ბუნება და ხასიათი არაფერ შუაშია. ამოცანა აქვს თითოეულს დავალებული სხვადასხვაგვარი.

ტარიელმა ხატაელნი უნდა დაიპყროს. მტერი უნდა გაანადგუროს, მაშასადამე, აქ შეტევა და სასტიკი ბრძოლაა საქირო. ტარიელიც იბრძვის.

რაც შეეხება ავთანდილს, მისი ამოცანა სხვაგვარია: უცნობი მოყმე უნდა მონახოს, უნდა გაიცნოს, თინათინს ამბავი უნდა მოუტანოს.

აბა, რად ეღირებოდა მთელი პოემა, ავთანდილი რომ თავიდანვე ჰკვეთებოდა ტარიელს, დაემარცხებია იგი, ანდა თვითონ დამარცხებულიყო? მოხერხებოდა კი მაშინ პოემის გაშლა? ცხადია, არა! ხასიათის სხვადასხვაობა არაფერი მოსატანია. მაგრამ, ვთქვათ, რომ ტარიელი და ავთანდილი სხვადასხვა ბუნებისა და თვისებებისა არიან. განა ეს ტომობრიობაზეა დამოკიდებული? აჰა, კის რომ კკითხოთ, აუცილებლად იგი ასეთს დასკვნას მოგვეცემს: „ამგვარად ჩვენ ეხედავთ, რომ ტარიელი მოქმედებს გულის აყოლით და ავთანდილი კი თავს ეკითხება. თუ გავიხსენებთ წინა ლექციას, როდესაც ამერლების, იმერლების და შავი ზღვისპირელების ხასიათების განსხვავებაზე ვლაპარაკობდით, მაშინ რათლად დავინახავთ, რომ ტარიელში ისახება ქართლელების ხასიათი და ზნე, ავთანდილში — იმერლებისა და ფრიდონში — შავი ზღვისპირელებისაო“ (46—47).

„არაო, — უპასუხებს ილია: — ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი მამაკაცი და დედაკაცი „ვეფხისტყაოსნისა“ ყველაზე უწინარეს ადამიანები არიან და, მაშასადამე, ზოგადი ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი.

„აი, ბუნდა ავიღოთ ლექტორის მიერ თითქმის სასაცილოდ აგდებულს მხაღლითი, რომ ტარიელს ნესტან-დარეჯანის პირველ დანახვაზედ გულს შემოე-

ყარა და დაბნდა. ამ შემთხვევამდე კი რუსთაველმა ბევრგან გვაჩვენა, რა ძლიერი კაცია ყოვლისფრით ტარიელი სულითა და ხორციითა.

„ამ თვალად-მცირე შემთხვევაშია მთელი ნასკვი, რომლისაგანაც გამოიხსნება მთელი რთული ხასიათი იმისთანა კაცისა, როგორც ტარიელია. კარგს, გონებაშეხვედრას და გამჭირვალს ფსიქოლოგს რომ ეს ძლიერება და ძალღონიერობა ტარიელისა აცოდინოთ და ამისთან ეს უცარი შემოყრა გულისა დაწვრილებით უამბოთ,—პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ტარიელი დიდი გულისთქმის კაცია, იმისთანა გულისთქმისა, რომელსაც ვეღარც ხორცი უძლებს და ვეღარც სული და რომელიც-ჰკუთას, გონებას მთლად იმორჩილებს, როგორც ზ ა რ ი, ე ლ დ ა, მ ე ხ ი. კაცს რომ ჰკუთას და გონება გამოეცლებო, ის მკვდარია საქმისათვის, მოქმედებისათვის. ამიტომაც ტარიელისთანა ძალღონიერი კაცი და მისთანავე გულისთქმისა ყოვლად შემძლებელია, თუ გარემოება ცხოვრებისა გულისთქმაში ხელს უწყობს, ე. ი. თუ გულისთქმას კმაყოფილებას აძლევს და აწუხებს,—და თუ არა, ამისთანა, კაცი სუსტია, უღონოა, უქმია, ერთი სიტყვით, სნეულია“ (188).

ასეთია ტარიელი: „გულისთქმამ ცნობა წაართვა, ცნობის წართმევამ—ლონე და უღონობამ მჩვრად აქცია ეს ახოვანი კაცი. აქ რა შუაშია ქართლელთ, ან კახელი, ან იმერელი... აქ კაცად-კაცია, გულისთქმის ქარცეცხლში გატარებული თავიდაც ბოლომდე“ (189).

„ტარიელი მჩვრად იქცა იმიტომ-კი არა, რომ ზარმაცი ქართლელია, არამედ იმიტომ, რომ მაგისთანა ბუნების კაცი უსათუოდ მჩვრად უნდა იქცეს, რაკი იმ გარემოებაში ჩავარდება“ (195).

აკაკი ქალების ხასიათსაც ტომობრივ წარმოშობით ხსნის. „რაც აქ კაცების შესახებ ვთქვით და დავინახეთ, იგივე ითქმის ქალების შესახებაც: ნესტანი—ამერიია, თინათინი—მერიი“ (47). და სხვათა შორის იმ გარემოებამ, რომ ნესტანმა პირველად დანახვისას ტარიელს არაფერი უთხრა და ცივად გაისტუმრა, ნესტანის ამერლობით ხსნის.

ილია, რასაკვირველია, არ ეთანხმება. „გაიხსენეთ ის ადგილი, როცა ტარიელი პირველად შეეყრება სალაპარაკოდ ნესტან-დარეჯანსა, რომელიც ისეთივე დიდი გულისთქმის დედაკაცია, როგორც მამაკაცი ტარიელი. ტარიელს ამ ამბავს ასე მოგვითხრობს:

დიდხანს ვედეგ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა.

ოდენ ტკილად შემომხედის, ვითამცა რა შინაურსა,

ასმათ უხმო, მოიუბნეს, ქალი მოდგა, მითხრა ყურსა;

და „აწ წადიო, ვერას გითხრობს“, მე კვლა მიმცა აღმან მურსა.

„ამისთანაზე იტყვიან ხოლმე, გენიოსური კალმის მოსმაო და სწორედაც ასეა. დიდ საგრძნობელს, თუნდ ერთი და იგივე ძირი ჰქონდეს, ისეთი ბოლო და ზემოქმედება არა აქვს, როგორც პატარას. დიდი მწუხარება ცრემლს უშრობს კაცს, პატარა კი ცრემლს ადენს; დიდ სიხარულს ხშირად ცრემლი მოჰყავს და პატარას კი—ღმილი; დიდი გულისთქმა, ქეშმარიტობა გრძნობა მუნჯია, უტყვია, და პატარა კი—ყბედი, ლაქლაქა-

„აი, გულთამხილავი რუსთაველი რამ-სიდიდე გრძნობას ხედავს ნესტან-დარეჯანის გულში და რა ხატით გვაჩვენებს ჩვენ მის ძლიერებას, სილიადეს და ძლიევამოსილებას, ქალმა ველარა თქვა რა, სიტყვა შეეკრაო...“

„რუსთაველი სასწაულ-მოქმედებით ერთის კალმის მოსმით ქმნის და გვეუბნება,—ტარიელი დაითხოვა, ისიც სხვისი პირით:

„აწ წადიო, ვერას ვითხოვს“, ე. ი. ქალი დამუნჯდაო,—და აბა, იფიქრეთ, რა გრძნობაა ამის მოქმედი გრძნობა. შეიძლება და ამაზე ცხოვლად, ამაზედ უკეთესად ოთხის სიტყვით კაცმა ანიშნოს ძლიერება და სილიადე გრძნობისა, როგორც მით არის ნაწიში, რომ იმ გრძნობამ ადამიანი დაამუნჯაო ჰაშინ, როცა თქმა და ლაპარაკი სამოთხესავით სანატრელია და ასე მოსალოდნელი ტრფიალის ქალისაგან, რაკი პირველად შეეყარა სალაპარაკოდ თავის სატრფოსა.

„აქ ერთის კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეხლანდელი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და მაინც ესოდენ ცხოვლად ვერ გამოგვიხატავდა სათქმელსა“ (191—2).

ასეთიბ ილია, ამგვარია მისი განწყობა საზოგადოდ ლიტერატურულ ნაწარმოებისადმი და კერძოდ „ვეფხისტყაოსნისადმი“.

თუ აკაკიმ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები დაახურდავა და შოთას მიერ ჭერძოდან ზოგად კაცობრიულობამდე აყვანილი ტიპები უმართებულოდ ვიწრო, სულთამხუთავ, ეთნოგრაფიულ ფარგლებში მოამწყვდია,—ილიამ ტიპები კვალად აღადგინა და სამართლიანად ისევ თავის კუთვნილ ადგილას, ინტერნაციონალურ ზღვრებში მოათავსა.

აქ შეიძლება ვინმემ თქვას: მართალია, პოეტი მით უფრო დიდია, რამდენად იგი ასცდა ეთნოგრაფიულობას და თავისი (უკვე შემოქმედებით) ზოგადკაცობრიული ტიპი მოგვცა, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ პოეტი არაფრისაგან ვერაფერს შექმნის, მასაც, რაც გინდ. გენიოსი იყოს იგი, საყრდენისკირდება, და ეს საყრდენი აუცილებლად ეროვნული ბაზა უნდა იყოს. მართალია. მართალია, მაგრამ ერთია საყრდენი, საწყისი, და მეორეა ამ საწყისიდან მოქმედების გაშლა, ეროვნულიდან ზოგად კაცობრიულში გადასვლა.

მწერალი ზეპირად არ თხზავს, მას ფაქტი სკირდება. უცილობლად. მაგრამ თუ საყრდენ ფაქტსა და მასზე აღმოცენებულ ნაწარმოებს შორის თანასწორობის ნიშნის გავლება მოხერხდა, აქ უკვე შემოქმედება აღარ არის და ნაწარმოებიცარ შეიძლება იქნას მხატვრული. აქ საქმე უფრო ფოტოგრაფიასთან გვაქვს.

ილიას ეს გარემოება შესანიშნავად აქვს გათვალისწინებული.

„თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის სიმკაულთ აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ნამოქმედარს შემოქმედებისას, მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო და რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება“. ანდა:

„შემოქმედების ძალის ღონიერება ერთი და იგივე არ არის, როცა ერთი მთელს გადასწვდება ხოლმე და მეორე კი მარტო ნაწილსა. მწერალმა თუ



სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენივრად გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკე სახელწოდებული კაცი—ივანე თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადის კაცის გამომხატველის შემძლებელია. ამიტომაც პორტრეტების მხატვარი, დიდი სახელგანთქმულიც და გამოჩენებული, ყოველთვის უმდაბლესი და უმდარესია მასზედ, ვინც ზოგადის კაცის ტიპის მოქმედი, თუნდაც ხელსაქმობით, ტექნიკით ამისი თანასწორი იყოს. ამიტომაც თვითონ პორტრეტების წერას, ე. ი. ცალკე კაცის ხატვას, მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს და თითქმის ხელოვნებადაც არ არის ცნობილი, რადგანაც ეგ უფრო ოსტატობაა, ვიდრე ხელოვნება“ (193).

მე არ ვამბობ, რომ ილიას ეს შეხედულება დღეს მთლიანად და საცესებით მისაღებია—მეთქი, მაგრამ ილია რომ ტიპებისა და ტიპიურობის გაგების იმდროინდელ მოწინავე დონეზე დგას, ეს უცილობელია. ამ შემთხვევაში ილიას ხემოხსენებული თქმა ჩვენს ყურადღებას ბელინსკისაკენ მიმართავს.

ტიპიურობის შესახებ სწორედ ბელინსკი იყო პირველმთქმელი იმისა, რაც აქ ილიას აქვს შოთას ტიპების გამო გამოვლინებული.

მაგრამ ხომ შეიძლება, რომ პოეტი ვერ აცდეს უბრალო პორტრეტულობას, ვერ შეიქრას განზოგადების სიღრმეში და ეთნოგრაფიულობის ვიწრო კალაპოტში ჩაჩჩეს?

შეიძლება. და როგორც ჩანს, ამგვარი პოეტები შოთას დროსაც ყოფილან და სწორედ მათ შესახებ აქვს მას გამოკვეთილი:

„მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა  
არ ძალუძს სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა,  
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა,  
და დიდთა ვერ მოკვლენ, ხელად აქეთ ხოცა ნადირთა მცირეთა“.

მაშასადამე, ამგვარი პოეტები, ყოველთვის, ყოველდროს ყოფილან, მაგრამ ისინი და შოთა დიად შორიშორ არიან: შუა უზის დიდი მზღვარი! ილიამაც იცის ეს და ამიტომაც, რომ ამბობს:

„ვიწრო მოედანი მართო პატარა ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორიც რუსთაველია“.

#### IV

ილიას არც შემდეგშიაც დაუკლია „ვეფხისტყაოსნისათვის“ თავისი სამართლიანი მზრუნველობა.

„ჩვენ რუსთაველის სახელი მეტის-მეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დაეუთმობთ“ (198). ასე დააბოლოვა ილიამ თავისი წერილი აკაკისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და არ გასულა მცირე ხანი და მას ისევ მოუხდა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წერა.

1889 წ. რუსულ ჟურნალ „სევერნი ვესტნიკში“ დაიბეჭდა ივ. ჯაბაძარის წერილების მთელი სერია: Письма о Гречини, სადაც საქართველოს წარსული



კულტურა უმკველის ტენდენციურობით და უარყოფითად იყო დახასიათებული, კერძოდ „ვეფხისტყაოსანი“.

Ошибочны и надписи к иллюстрациям: на стр. 63 изображен не северный вход Джвари, а южный; на стр. 66 представлены детали зап. портика Кутаисского храма Баграта, а не армянского храма Кечарис; на 67 стр. — капитель южн. портика того же храма, а не гелатской трапезной.

Заканчивая наш обзор, мы можем повторить, что в настоящее время разработка вопросов грузинского искусства, благодаря той громадной работе, которая, при постоянной помощи партии и правительства, проводилась в течение последних 20-ти с лишним лет, находится на высоком научном уровне и что наука о грузинском искусстве ежегодно обогащается новыми серьезными трудами. Конечно, нельзя не сожалеть о том, что некоторые ученые, о работах которых мы говорили выше, не дали себе труда держаться на уровне современных достижений советской науки, но даже не проработали критически использованный ими материал и удовлетворились только лишь повторением давно опровергнутых положений. Такое поверхностное отношение к древне-грузинскому искусству, так же как и древне-армянскому вредит, прежде всего, самим исследователям, так как лишает их возможности увидеть и понять во всей полноте и во всем многообразии картину развития материальной культуры народов т. н. Христианского Востока, т. е. одну из самых значительных страниц всей средневековой культуры.

Но мы уверены, что ныне, после создания Академии Наук Гр. ССР, с появлением перспектив широкой публикации изысканий и в связи с этим — с популяризацией научных достижений, указанным досадным недосмотрам и ошибкам не будет более места.

Наука же о грузинском искусстве, несомненно, будет развиваться еще быстрее и сможет со всей полнотой выявить и показать все те богатства древне-грузинской культуры, для освоения которых нужна будет напряженная работа целых поколений<sup>1</sup>.

<sup>1</sup> Мы не касались работ Лежава и Джандиери об архитектуре горной Грузии и исследований о древне-грузинской монументальной живописи. Им, также как и обзору всей иностранной литературы, предполагается посвятить отдельные статьи.

## ასტერის ამასიელის „შესხმა ფოკასისი“

### 1. ასტერი ამასიელი ძველ-ქართულ მწერლობაში

ასტერი ამასიელი ჩვენს ძველ მწერლობაში ძალიან ღირსი და წარმოდგენილი; მისი მხოლოდ ერთი თხზულება—„ფოკას შესხმა“ ცნობილი ქართულად<sup>1</sup>. ეს თხზულება<sup>2</sup> ორი რედაქციითაა მოცემული: 1) ე. წ. კიმენური რედაქცია (ძველი, X საუკუნემდე გადმოთარგმნილი) და 2) მეტაფრასტული (ახალი, XI საუკუნეში ნათარგმნი)<sup>3</sup>.

#### ა) კიმენური რედაქციისათვის

ქუთაისის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის (ყოფ. გელათის) ხელნაწერი № 3. ზომა  $41\frac{1}{2} \times 27\frac{1}{2}$  სანტ. ნაწ.  $27 \times 15\frac{1}{2}$  სანტ. ნუსხა ჯერჯერობით უნიკუმია ჩვენი ძეგლისათვის. წიგნი წარმოადგენს წმინდანთა ცხოვრებას, გადაწერილია XVI საუკუნეში ლამაზი ნუსხური ხელით ქალაღზე in quarto და სულ 760 ფურცელს შეიცავს. აქედან ჩვენს ძეგლს უჭირავს 6 ფურცელი. წიგნის მომგება ივედემონ I ჩხეტიძე<sup>4</sup> (1543—1578).

თუ მხედველობაში არ მივიღებთ „წ“-სა და „ჟ“-ის ხმარების რამდენიმე უწყესო შემთხვევას, ძეგლში კარგადაა დაცული არქაული ორთოგრაფია.

<sup>1</sup> რუსულ მწერლობაში მოიპოვება ასტერის სამი თხზულება: 1. ფოკას შესხმა ორჯერაა ნათარგმნი: სლავურად (Митр. Макарий, Миня-Четы 22 сент.) და რუსულად (Богословский Вестник. 1894 г. отд. I, стр. 1); 2. საუბარი ეფემიას ხატის შესახებ და 3. საუბარი მნის შესახებ (Христианское чтение, 1827 г. часть 27-ая).

<sup>2</sup> „ფოკას შესხმის“ ქართული თარგმანის არსებობა ცნობილი გახდა აკად. კ. კეკელიძის (იხ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I<sup>2</sup>, 579).

<sup>3</sup> ცდება ე. ლატიშვიცი როცა ფიქრობს, რომ თითქმის ქართულ მეტაფრასტებში ფოკას შესხმა არ მოიპოვებოდა (იხ. Византийская Царская Миня (1915), გვ. 109, შედარებითი ცხრილი). მას ეს შეცდომა არ მოუვიდოდა, რომ მხედველობაში მივლო კ. კეკელიძის შენიშვნა, სადაც ნათქვამია, რომ მეტაფრასტის ხელი ცნობილ ავტორთათხზულებებს არ შეჰხებიაო (К. Кекелидзе, Иоанн Ксифилин как продолжатель Симеона Метафраста (Христианский Восток, 1912, том I, вып. 3, стр. 336). ეს იმას ნიშნავს, რომ კრებულში არის ისეთი თხზულებები, რომლებიც მეტაფრასტირებულნი არ არიან და აქტივ მეთაფრასტულ ცხოვრებათა სიაშიც არ არიან შეტანილი.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I<sup>2</sup>, 100.

## ბ) მეტაფრასტული რედაქციისათვის

## ხელნაწერი A

ქუთაისის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმის (ყოფ. გელათის) ხელნაწერი № 4, გადაწერილი ევდემონ I, ჩხეტისძის ბრძანებით<sup>1</sup> მანუელ ინანი-კოსშვილის ხელით 1565 წელს. ზომა 43×29 სანტ. ნაწ. 28<sup>1</sup>/<sub>2</sub>×16 სანტ. წიგნი წარმოადგენს წმინდანთა ცხოვრებას, დაწერილია ქაღალდზე in quarto-ლაშაზი ნუსხური ხელით და შეიცავს სულ 669 ფურცელს; აქედან ჩვენს ძეგლს უჭირავს სულ 5<sup>1</sup>/<sub>4</sub> ფურცელი.

ნუსხის 668 ფურცელზე (r/a-b) არის გადაწერის ვრცელი ანდერძი, რომელიც თ. ყორდანიას შემოკლებით აქვს დაბეჭდილი<sup>2</sup>. ეს ანდერძი ჩვენის აზრით, შინაარსის მხრივ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს და ამიტომ აქვე ვბეჭდავთ სრულად და ქარაგმების გახსნით:

«ადიდენ ღმერთმან ორთავე შინა ცხოვრებათა ქრისტეს მიერ კურთხევისა კურთხეული საქრისტიანოს ზღუდე და მაკურთხეველი ტომ-ნათესაეობით ჩხეტისძე დიდი მამათმთავარი აფხაზეთისა ქათალიკოზი ევდემონ.

არემეთუ სათნოა იჩინა წმიდათა ამათ და სულთა განმანათლებელთა ღუაწლთა და საკრველებათა მოწამეთა მიერ ქმნილისა, რომელთა იღუაწეს და მრავალნი ტანჯვანი დაითმინეს ქრისტეს ღმრთისაათვის და აწ მეოხ არიან ცხოვრებად სულთა ჩუენთათვის; რომელსა ფრიადი სურვილი აქუნდა ეკლესიათა და საღმრთოთა წერილთათვის; რომლისა ბრძანებითა და ჯერ-ჩინებითა გათავდეს წმიდაე ესე თუშ ოკტომბერი ყოვლითურთ სრული და უნაკულო დიდებულსა საყდარსა გელათს, სავანესა წმიდისა ღმრთის-მშობლისსა, ინ-

<sup>1</sup> ვ. ლატიშვილი უსამართლოდ იქცევა, როცა ამბობს, რომ თითქოს კ. კეკელიძეს გელათის მეტაფრასტული წიგნები ევდემონ ჩხეტისძის გადაწერილად მიაჩნდეს (იხ. მისი *Византийская Царская Мияя* (1915) გვ. 83, შენ. 2). კ. კეკელიძეს არსად თავის წიგნებში (კიმენი I, XXX, XXXVII, ქართ. ლიტ. ისტორია I<sup>2</sup> 100) ეს არ უთქვამს. ხოლო რაც შეეხება მის წერილს „Исаия Ксифилин как продолжатель Симеона Метафраста“ (*Христ. Восток*, том I, вып. 3, стр. 335)—იქაც, როცა ევდემონ ჩხეტისძეზე სწერს, რომ მეტაფრასტული წიგნები «переписал для Гелатского монастыря за все 12 месяцев»-ო, ცხადია, გადაწერის ნებბას გულისხმობს და არა გადაწერას. ან რა საფიქრებელია: ევდემონ ჩხეტისძე თანამდებობიდან გადამდგარიც რომ ყოფილიყო, ამ უზარმაზარ სამუშაოს შესრულებას ფიზიკურადაც ვერ შეძლებდა (იხ. კ. კეკელიძე, კიმენი I, XXV, XXVI, და მისივე ქართული ლიტ. ისტორია I<sup>2</sup>, 100).

თუ ვ. ვასილიევსკის კატეგორიული მტკიცება სწორია და ნამდვილად 10 წიგნი-საგან შედგებოდა მეტაფრასტულ ცხოვრებათა კრებული (იხ. მისი წერილი: *Синод. кодекс Метафраста ЖМНП* 1897, часть CCCXI, 35); მაშინ გამოდის, რომ ევდემონს გადაუწერინებია 10 მეტაფრასტული წიგნი, რომელთაგან ჩვენამდე 5-ს მოუღწევია (და არა 7-ს, როგორც თ. ყორდანიას წერს (ქრონიკები, I, 223).

გარდა ქუთათური ხელნაწერებისა, ევდემონ ჩხეტისძის განკარგულებითაა გადაწერილი საქ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერი № A/507, რომელიც გადაწერილია იონანე კობინა-შვილის ხელით და წარმოადგენს სადღესასწაულო თვენს (იხ. თ. ყორდანიას *Описания* II, 60).

<sup>2</sup> ქრონიკები II, 405—406.



დიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეფეთ-მეფისა გიორგისსა<sup>1</sup>, ძისა ბაგრატ მეფეთ-მეფისასა ქორონიკონს სწგ (=1565), მისსა გ.

«ადიდენ ღმერთმან და უბიწოდ მშობელმან მისმან პატრონი ქათალიკოზი ევდემონ ამ სოფელს დღეგრძელობით, ხოლო მერმესა მას დაუსრულებელსა საუკუნოა. იყავნ საჯსენიქელი და კურთხევაა მათი ამინ.

«ამისა უცებად მხრეკელსა ფრიად ცოდვილსა ინანიკოს შველს მანუელს და მშობელთა მისთა შეუნდოს ღმერთმან, ამინ. და ვინაცა ბრძანოთ, თქუენცა შეგინდნეს ღმერთმან.

«უცებად ჩხრეკისათჳს, ნუ დამწყევთ ღმრთისათჳს გვეედრები. დიდი წიგნი ამის მეტად არ მეწერა და რაჲც ჩემგან იქნებოდა სიმართლეს, მოვიპირვე, უფალო ჩემო.

«ჩუენსა განმგესა და ზედა-მდგომელსა სჯმიონ ჯათარიძესა და მშობელთა მისთა შეუნდენეს ღმერთმან, ამინ. სულიერსა დედასა ჩემსა მაქავარიანის ქალსა ანტონინესა და მშობელთა და ძმათა მისთა შეუნდოს ღმერთმან ამინ».

### ხელნაწერი B

საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № S/384. ზომა  $31\frac{1}{2} \times 25\frac{1}{2}$  სანტ. ნაწ.  $28 \times 19\frac{1}{2}$  სანტ. წიგნი დაწერილია XI საუკუნის დასასრულს<sup>2</sup>. ნუსხა თავიდან ბოლომდე დაწერილია in quarto და არა in folio, როგორც თ. ჟორდანიას უწერია<sup>3</sup>. მასალა ქალაღლია, ხელი მაინცადამაინც ლამაზი ვერაა. წიგნი წარმოადგენს წმინდანთა ცხოვრებას; მთარგმნელებად ჩანან ეფრემ მცირე (მეტი ნაწილისა), სტეფანე სანანოძისძე და დავით ტბელი<sup>4</sup>.

ჩვენს ძეგლს ამ ნუსხაში  $3\frac{3}{4}$  ფურცელი უჭირავს და სამწუხაროდ ხელმოუწერელია. ისე, გამორიცხული არაა მისი ეფრემ-მცირისეულობა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> გიორგი II, იმერეთის მეფე (1565—1583).

<sup>2</sup> სიმართლე რომ ითქვას, იმდენად მაღალი ღირებებისა ეს ხელნაწერი გელათურ (№ 4) ხელნაწერთან შედარებით, რომ ის უნდა გამოგვეყენებინა მეტაფრასტული რედაქციის ძირითად ვარიანტად. მაგრამ ჩვენ ასე ვერ მოვიქვეით შემდეგი მიზეზების გამო: 1) გამოქვეყნებულ ლიტერატურაში, მართალია, ეს წიგნი ცნობილი იყო (თ. ჟორდანიას, ქრონიკები I, 221, კ. კეკელიძე, კიშინი I, გვ. XII, ქართ. ლიტ. ისტორია I<sup>2</sup>, 222), მაგრამ მასში შემავალი „ფოკას შესხმის“ ვარიანტი ცნობილი არ ყოფილა. 2) მ. ჯანაშვილის ავტოგრაფულ აღწერილობას (Q/578ა) გავეყვანით იმ დროს, როცა ტექსტი უკვე მზად გვქონდა.

ამ ნუსხის დათარიღებაზე ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა: თ. ჟორდანიასის 1091 წლამდე დაწერილად მიაჩნია (ქრონიკები I, 221), კ. კეკელიძეს XIII საუკუნისად (Иоанн Ксифиний как продолжатель Симеона Метафраста (XB, 1912, том I, выпуск 3, стр. 336) და მ. ჯანაშვილს XII საუკუნისად (Q/573ა, გვ. 324). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნუსხა უთუოდ დედანია და დაწერილია XI საუკ. ბოლოს ან XII საუკ. დასაწყისში.

<sup>3</sup> ქრონიკები I, 221.

<sup>4</sup> იხ. ქრონიკები I, 221—228.

<sup>5</sup> ცნობილია ლიტერატურაში, რომ სექტემბრის მეტაფრასტები თ. გ. ფ. ი. ლ. ბ. უცეს.

ხელნაწერის 535a გვერდზე არის წითურად მრგლოვანი ხელით დაწერილი გადამწერის ანდერძი, რომელსაც წიგნის დასათარიღებლად გადამწევეტი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ აქვე ვათავსებთ:

იესუ ქრისტე, მულობელო ყოველთა სუფევათაო, აღიდე ორკერძოდათვე დიდებითა შენ მიერ გვრგვინოსანი ბრწყინვალე და უძლეველი მეფეთა-მეფე გიორგი და მაღალი კესაროსი, და განამრავლენ წელნი მეფობისა მათისანი ნებისაებრ მათისა. და [ღმრთისა] მიერ .მონიჭებული ძე მათი და ვით მეფე და პანიპერსევასტოსი აღიდე და მძლე ყავ ყოველთა ზედა მტერთა და წინააღმდეგომთა ამინა<sup>1</sup>.

## 2. ასტერი ამასიელის ცხოვრება და მოღვაწეობა

(დაახლოებით 320—410 წლებში)

### ა) ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

ძალიან მწიბრი ცნობები არსებობს სპეციალურ ლიტერატურაში ასტერი ამასიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. არც ერთ მის თანამედროვე ან შემდეგდროინდელ მწერალს საამისო თითქმის არავითარი მასალა არ დაუტოვებია და ამიტომ მკვლევარნი იძულებულნი გამხდარან თითო-ოროლა ცნობა მისივე თხზულებებიდან მოეპოვებინათ.

ამ საშუალებით ირკვევა, რომ მას სიყრმეში მასწავლებლად ჰყოლია ეინ-მე სკვითი<sup>2</sup>, რომელიც ნაყიდი ყოფილა ანტიოქიელი მოქალაქის (ეროვნებით სირიელის), გრამატიკის მასწავლებლის მიერ. ბატონის ხელისშეწყობით მონა

მონახონს უთარგმნია 1081 წ. (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I<sup>2</sup>, 222), მაგრამ ჩვენი ძეგლი, კერძოდ, მისი ნათარგმნია თუ არა, ეს საკითხი გამოსარკვევია.

<sup>1</sup> ქრონიკები I, 236.

<sup>2</sup> სკვითი რომ განთქმული მეცნიერია და მასწავლებელი, ეს არც პირველი შემთხვევაა და არც უკანასკნელი. ასტერის მასწავლებლის გარდა, ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ მეორე სკვითი, უაღრესად ნიჭიერი და დიდი განათლების მქონე მარდონი, რომელიც ჯერ იყო და ივლიანე განდგომლის დედის ასწავლიდა ბერძნული ანტიკური მწერლობის კორიფების ჰომეროსისა და ჰესიოდეს თხზულებებს და შემდეგ, როცა ეს ქალი გარდაიცვალა, მან წვრთნა დაუწყო მომავალ იმპერატორს (ივლიანეს) და შესაწავლა ანტიკური მწერლობა და ფილოსოფია (В. Васильев, Лекции по истории Византии, том I, 67).

სხვათა შორის ეს მოვლენა უთუოდ დამაფიქრებელია: როგორ ხდება, რომ სკვითი, ეს ყოველთა კაცთა უფელურესი» (ასტერის თქმით) ტომის წარმომადგენელი აკეთებს რევოლუციურ ნაბიჯებს ველურობიდან კულტურის უმაღლეს საფეხურამდე და ხდება დიდი ტრადიციის მქონე კულტურული ქვეყნის განმანათლებელი? აქ უთუოდ ანგარიშგასაწევია ის, რომ «სკვითი» და „სარმატი“ — როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. ს. ჯანაშია, — კრებითი სახელები იყო და მრავალს სხვადასხვა მოდგმის ტომს აღნიშნავდა» (საქართველოს ისტორია უფელესი დროიდან XIX საუკუნის დამლევამდე თბ. 1943, გვ. 34), და რომ ტერმინი „სკვითი“ გარკვეულ ეთნიკურ ერთეულზე არ მიუთითებს, და რომ მისი დანაწევრებაა შესაძლებელი, ამაზე შეგვიძლია დავიმოწმოთ ისტორიის მამამთავარი ჰეროდოტე, რომელიც ამბობს: Historia, IV, 24: «Σχισθῆσαι δὲ οἱ ἄν ἔλθῃσι ἐξ ἀπείρου δι' ἑπταῖ ἔριμυθῆσαι καὶ δι' ἑπταῖ γλασθῆσαι διακρήσασθαι» („ხოლო სკვითთაგან, რომლებიც მათთან მოდიან (ლაპარაკია ბორის-

ისე კარგად განისწავლაო, — ამბობს ასტერი, — რომ „კარგა [ხნის] შემდეგ — მეცნიერებათა ჩინებული ცოდნით ბრწყინვალე და სახელგანთქმული გახდა როგორც ბერძნებში, ისე რომაელთა შორისაც. ხოლო შემდეგ — რჯულის მოძღვარიც კი შეიქმნაო“<sup>1</sup>. ასტერის ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ მას უსწავლია სხვადასხვა მეცნიერება, მაგრამ ფოტის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, თუ «სად უცხოვრია, ან რა საგნები უსწავლია [ამის შესახებ] არას ამბობს»<sup>2</sup> იგი ამ ნაწარმოებში.

ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხის გაცემა ხერხდება ასტერის იმ თხზულების მიხედვით, რომელსაც ეწოდება „საუბარი მდიდრისა და ლაზარეს შესახებ“<sup>3</sup>; აქ ის ამბობს, რომ წინათ (ალბათ, ერისკაცობაში, მ. კ.) უვლია სასამართლო ადგილებში. აქედან ირკვევა, რომ ის ვეჭილი, იურისტი ყოფილა. და თუ ასე იყო, მაშინ, ცხადია, მას ახალგაზრდობაში იურისპრუდენცია და მქერმეტყველება უსწავლია<sup>4</sup>. გარდა ამისა, საფიქრებელია, რომ ასტერი ამასიელი, როგორც გრამატიკის მასწავლებლის ნამოწაფარი სკვითის მოწაფე, გრამატიკასაც შეისწავლიდა.

ასტერი ამასიელი სოზომენეს მოწმობით ამასიის ეპისკოპოსად განწესებულა ევლალისის შემდეგ<sup>5</sup>, რომელიც ამ მეტროპოლისს განაგებდა იმპერატორ ვალენტის მეფობის დროს (363—378 წწ.). სოზომენეს ამ ცნობის დადასტურებას ჩვენ ვპოულობთ ასტერის საუბარში „ნაყროვანების შესახებ“<sup>6</sup>, სადაც ის ამბობს, რომ მოსწრებია ივლიანე განდგომილის (361—363 წწ.) ანტიქრისტიანულ მოღვაწეობას.

საუბარში „კალანდის შესახებ“<sup>7</sup> ასტერი იგონებს ევტროპის კონსულობასა და დაღუბვას, როგორც წინა წლის ამბავს, რაც 399 წელს მოხდა. ეს სიტყვა, მაშასადამე, წარმოუთქვამს მას 400 წელს.

როდის გარდაიცვალა ასტერი ამასიელი, ამის შესახებ დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ 431 წელს რომ ის ამასიის საეპისკოპოსოსს არ განაგებს, ეს უდავოა; ამ წელს ამასიის ეპისკოპოსია პალადი, რომელიც

თენისა და სხვა ზღვისნაპირას მდებარე სავაკრო ადგილებზე — მ. კ.), შვიდ ენაზე შვიდი თარჯიმნის საშუალებით აწარმოებენ თავიანთ საქმეებს“ და ჩამოთვლის ამ ხალხს, რომელთაგან არიან მომთაბარენი („*νομάδες*“), მიწათმოქმედნი („*γεωργοί*“), მხვნილნი („*ἀποτῆρες*“) და სხვა. აქედან ცხადია, რომ სკვითები, სხვადასხვა ეკონომიური წრის წარმომადგენელი, 7 ტომი მაინცაა და ვინ იცის ამ სკვითებში „არა სკვითიც“ ჰყავდეს ვარულნი ბერძენ ისტორიკოსს.

<sup>1</sup> Photii Bibliotheca cod. 271: *καὶ γυνέσθηα κατὰ πολλὰ τῶν μαθημάτων περιόξεν, ὡς καὶ παρ’ Ἑλλήτων καὶ Ῥωμαίων λαμπρὸν γυνέσθηα καὶ περιπόητον ἐπέσθη καὶ νόμων ἀφ᾽ ἑοῦ διδάσκαλος.*

<sup>2</sup> Photius *ibid.*: *πὸν δὲ διατρέβοντος, ἢ τίνος μαθήματος; οὐ λέγει.*

<sup>3</sup> Orat. 1.

<sup>4</sup> ამ ვარაუდის დადასტურებას წარმოადგენს ყველა მისი თხზულება, რომლებშიაც მწერალი ენამკვლევრობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევა.

<sup>5</sup> Созомен, Церковная История 7, 2; Филарет Черниговская, Ученые... II, 225.

<sup>6</sup> Orat., 3.

<sup>7</sup> Orat., 4.

III მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონაწილეობს. ასტერის მოღვაწეობის ფარგლების დასადგენად უთუოდ მნიშვნელოვანია ის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ მან თავისი «სიცოცხლის ღრმა მოხუცებამდე მიაღწია»-ო<sup>1</sup>. და თუ 431 წელს (დაახლოებით, ცხადია) ის ღრმა მოხუცებული გარდაიცვალა<sup>2</sup> და ღრმა მოხუცება კი იმ დროისათვის 90 წელი მაინც იქნებოდა, მაშინ გამოდის, რომ ის 341 წელს დაბადებულა. ანდა თუ მივიღებთ სპეციალისტთა უმეტესობის თარიღს 410 წელს, მაშინ ასტერის დაბადების წელი დაახლოებით 320 იქნება. ასეა თუ ისე, ასტერი ამასიელის ცხოვრება და მოღვაწეობა სავარაუდლოა IV საუკუნის პირველ ნახევარსა და V საუკუნის პირველ ნახევარს შუა.

### ბ) ლიტერატურული მემკვიდრეობა

ასტერი ამასიელის ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია; მის კალამს ეკუთვნის ჰომილიები, ენკომიები, ეგზეგეტიკური თხზულებები და ერთიც პოლემიკური<sup>3</sup>. ჯერჯერობით ცნობილია მისი 28 ნაწარმოები<sup>4</sup>, რომელთაგან სრულია 22 და ნაწყვეტების სახით კი—6<sup>5</sup>.

რაც შეეხება ასტერის თხზულებათა პუბლიკაციას, აქ ასეთი სურათია: 4 საუბარი (4, 5, 6 და 7 ფსალმუნთა შესახებ) დაბეჭდა კოტელიერმა<sup>6</sup>, ბასილი ამასიელის შესხმა—გეკუმტეინმა<sup>7</sup>, ხოლო დანარჩენი თხზულებები კომბეფიზისა<sup>8</sup> და დუციეს მიერაა გამოქვეყნებული<sup>9</sup>. ამ გამოქვეყნე-

<sup>1</sup> Photii in Amphilochois, quaest. 125.

<sup>2</sup> ასტერის გარდაცვალების თარიღზე ლიტერატურაში ახრთა სხვადასხვაობაა: ფილატრეტ ჩერნიგოველ-ნეიინელი არქიეპისკოპოსი ფიქრობს, რომ ეს მოხდა 404 წ. (Историч. уч. об отцах церкви II, 255), „Богословский Вестник“-ის (1894), Прав. Бог. энциклопедия-ს (том II, стр. 100), ავტორები და არქიეპისკოპოსი სერგი (ПМВ том II, стр. 389) ვარაუდობენ 410 წ., ხოლო რაც შეეხება ფაბრიციუსსა და კომბეფიზს (PG t. 40 pp. 157, 160—162) ისინი ამ თარიღს შესახებ არაფერს ამბობენ.

<sup>3</sup> პოლემიკურად ჩვენ ვთვლით სიტყვას კალანდის დღესასწაულის წინააღმდეგ, orat. 2: *ἀγὸς κατ' ἑορταζὸς τῆς ἑορτῆς τῆς Καλαυδῆς*.

<sup>4</sup> Христианское Чтение-ს ავტორი რატომღაც 12 ასახელებს (Хр. Чт. 1827, часть 27, стр. 5). ხოლო პიერ ლარუსი სწერს: «Il reste de lui qu'elles homilies» (Grand dictionnaire t. I, p. 823). ნუთუ „რამდენიმე“ ითქმის 28 თხზულებასზე და ისიც—ყველა ჰომილიაა?! ასევე ცდება ПБЭ-ის ავტორი როცა ამბობს, რომ «Из них 22 сохранились впопне, кроме того еще две беседы издаются в числе творения Нисского...». არაა სწორი. აქ სამი შეცდომაა დაშვებული: 1) რომ სხვა ავტორთა თხზულებებში იბეჭდებოდა არა 2, არამედ 3 თხზულება ასტერისა. 2) რომ არა იმ 22 მთლიანი თხზულების გარდა, არამედ შიგაა ჩათვლილი ეს თხზულებები და 3) ის, რომ არა მხოლოდ გრიგოლ ნოსელის ნაწერებში, არამედ ერთი მათგანი წმ. პროკლეს თხზულებებშიც იბეჭდებოდა (ამაზე ქვევით).

<sup>5</sup> ეს ვექსი ნაწყვეტი ცნობილია პატრიარქ ფოტის Bibliotheca-ს მიხედვით და ერთ ამ ნაწყვეტთაგანში, რომელსაც „საუბარი ასისთავის მონის შესახებ“ ეწოდება (ლკ. VII, 1), არის ის ბიოგრაფიული ცნობები, სადაც ასტერის სკვით მასწავლებელზეა ლაპარაკი.

<sup>6</sup> t. III, Monum. Graec. Eccl.

<sup>7</sup> Acta Sanct. ad 26 April.

<sup>8</sup> t. I, Auctarii novissimi, Paris 1648, 1672.

<sup>9</sup> Auctarium, Paris 1624.

ბულ თხზულებებში სხვათა შორის შედის: 1. საუბარი პირველ-მოწამისა სტეფანეს შესახებ<sup>1</sup>, რომელიც მანამდე ითვლებოდა წმ. პროკლეს თხზულებად და მის შრომებში იბეჭდებოდა; 2. ცოდვათა მონანიების შესახებ<sup>2</sup>, გამოცემულია გრიგოლ ნოსელის თხზულებებთან ერთად, და 3. მარხვის შესახებ<sup>3</sup>, აგრეთვე ნოსელის თხზულებებთან იცემოდა. ამ თხზულებათაგან 21 გადმობეჭდილია Migne-ის პატროლოგიაში<sup>4</sup>.

ასტერი ამასიელი ბერძნულ საეკლესიო მწერლობაში უდავოდ შესანიშნავი მწერალია. მის ნაწერებში შეინიშნება ენის სისუფთავე, სტილის დახვეწილობა და მხატვრული შედარებების ზომიერი ხმარება. მის თხზულებებში ხშირად იპოვიეთ ე. წ. ლიტერატურულ წიაღსელებს, სადაც იგი ამჟღავნებს ანტიკური კულტურის ღრმა ცოდნას.

ასტერი ამასიელი ყველა ამის გამო ბიზანტიურ მწერლობაში დიდად დაფასებული ყოფილა: დავითნის ე. წ. „კატენებში“<sup>5</sup> მისი ეგზეგეტიკური თხზულებებიდან შეუტანიათ ციტატები ეკლესიის ისეთ ცნობილ მწერლებთან ერთად, როგორც იყვნენ კირილე და ათანასე ალექსანდრიელი, ევსუქი და სხვა. „მისი საუკეთესო საუბრები (როგორიცაა „მდიდრისა და ლაზარეს“, „უსამართლო მნის“ შესახებ) გამოირჩევა შესანიშნავი ლოგიკური აღნაგობით, ნათელი აზრით და არაიშვიათად აღწევენ აღმაფრთოვანებულ მჭერმეტყველების მაღალ საფეხურს“<sup>6</sup>. ასტერის ავტორიტეტს ხშირად მიმართავენ შემდეგი დროის ეკლესიის მოღვაწენი. ასე, მაგალითად, VII მსოფლიო საეკლესიო კრებაზე<sup>7</sup> ხატის მებრძოლთა წინააღმდეგ ორჯერ წაიკითხეს მისი თხზულება „ეფემიას შესახებ“<sup>8</sup>.

<sup>1</sup> Combefisi, Auct. nov. t. I, p. 283; PG t. 40 p. 337; IB: Ἐγκύμιον εἰς τὸν ἄγιον πρῶτον μάρτυρα Στέφανον.

<sup>2</sup> t. 2, ed. 1638, p. 165; PG t. 40, p. 352; II: προτροπικὸς περὶ μετάνοιᾶς.

<sup>3</sup> t. 2, p. 247; PG t. 40, p. 369. IA: Ἀόγος εἰς τῆς ἀρχῆς τῶν κηστειῶν.

<sup>4</sup> PG t. 40, 164—477.

<sup>5</sup> ეს თხზულება გადმოუქართულებია ჟურნალ მცირეს (იხ. კ. კეკელიძე, ლიტერატურის ისტორია I<sup>2</sup>, 233).

<sup>6</sup> Православная Богословская Энциклопедия (1901) том I, 101.

<sup>7</sup> კრება მოხდა ნიკეაში 787 წელს ირინე დედოფლისა და მისი ძის კონსტანტინე VI (780—797) მეფობის დროს.

<sup>8</sup> ტილემონისა და XCI-ს ავტორების აზრით ეს თხზულება „დაწერილია ასტერის მიერ ახალგაზრდობაში, საოჯახოდ და არა საჯაროდ წასაკითხად. მათი თქმით არ შეიძლება და ეპისკოპოსს ვეითხა დემოსტენე, ესქილე და უნერბულიც კი იყო ელაპარაკა ხალხში ევფრანორის მიერ შესრულებულ ლეგენდარულ მედას სუჩათზე (აქ ავტორები გულისხმობენ მედას სახიზარ საქციელს, კმრისადმი შურისსაძიებლად შეიღები რომ დახოცა). აქ, როგორც ფილარეტიც შენიშნავს, შეცდომას უშვებენ ავტორები: 1. კრებაზე ამ თხზულებას უწოდებენ „საუბარს ხატის შესახებ“. 2. თვით თხზულების დასაწყისითაც ირკვევა, რომ იგი მიმართულია ხალხისადმი და 3. დვთისმეტყველი არა მარტო კითხულობდა ელინ პოეტებსა და ორატორებს, არამედ მათი თხზულებებიდან ადგილებიც კი შეჰქონდა საკუთარ ნაწერებში“ (Учение II, 258, შენ.).

ჩვენის მხრით დავუბატებთ: 1) მედას ლეგენდა თვით ხალხმა შექმნა, ხალხნი ტრიალებდა და ამ ამბის მოგონება მათში არავითარ ცუდ მორალურ რეაქციას არ გამოიწვევდა. 2) თუ თხზულება ეკლესიის მიერ მიღებული (ე. ი. კანონიკური) არ იყო, განა მისი მსოფლიო საეკლესიო



დასასრულ ხაზი უნდა გავუსვათ ერთ მომენტს: ეს გახლავთ ის, რომ ასტერის ნაწერები რეალისტური თხზულებების შთაბეჭდილებას სტოვებენ მკითხველზე; მათში თქვენ ვერ იპოვით სასწაულებსა და ლეგენდებს, რაც ასე დამახასიათებელია საერთოდ საეკლესიო მწერლობისა და კერძოდ ჰაგიოგრაფიული დარგისათვის. ეს თავისებურება ასტერი ამასიელის თხზულებათა ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

### 3. ფოკა მარტიროლოგიაში

მართლმადიდებლურ ეკლესიას წმინდანთა დასში ჩარიცხული ჰყავს ორი ფოკა<sup>1</sup>, ორივე ქალაქ სინოპიდან. პირველი მათგანი ერისკაცობაში მეზღვაური ყოფილა და შემდეგ სინოპის საეპისკოპოსო კათედრა სქერია. ის შეუპყრია პრეფექტ აფრიკანს და მსჯავრის დასადებად მიუგვრია იმპერატორ ტრაიანესათვის (97—117), რომელიც ქრისტიანობის დაუძინებელ მტრად ითვლებოდა. უკანასკნელს იგი უგვემია, მაგრამ წარმართობისაკენ მაინც ვერ გადაუბირებია და ღმერთებისადმი მსხვერპლი ვერ შეუწირვინებია. შემდეგ ფოკა ჩაუგდიათ დაუშლელი კირით სავსე ორმოში, სადაც ის 3 საათის განმავლობაში ყოფილა, მაგრამ მაინც უვნებლად გადაარჩენილა. ბოლოს მოწამე ეპისკოპოსი ცხელ აბანოში გადაუგდიათ. აქ მას უტოცხლია 3 დღის განმავლობაში და ბოლოს მომკვდარა. როცა ამოუღიათ მისი გვამი, ის ყოფილა სურნელოვანი, ვითარცა ნარდი ან ძვირფასი მირონი, და მკვრივი, როგორც ყინული.

ამ ბოროტების ჩადენისათვის არც ტრაიანეს საქმე წასულა კარგად: მას დაჰპართია ხურება (ცხრო), სიცოცხლეშივე დაჰხვევია მატლები და ასეთს ტანჯვაში გარდაცვლილა. აქედან ცხადია, რომ ფოკა ეპისკოპოსის წამება თითქმის ემთხვევა ტრაიანეს გარდაცვალების თარიღს, რაც 117 წელს მოხდა:

წმინდანთა აქტებში ამ მოწამის ცხოვრება, მოღვაწეობა და წამება იმდენად ვრცლად და გაზვიადებულადაა წარმოდგენილი, რომ გამოძეგმლები მის უტყუერობაში დაეკვებულან და ის შემდეგი დროის შეთხზულად მიუჩნევიან<sup>2</sup>.

ასევე იქცევა ბოლანდისტი Karl Van de Vorst-იც: მისი აზრით ნამდვილი ისტორიული პიროვნება იყო ასტერის მიერ შექმნილი ფოკა მებაღე და ერთი პიროვნების სამად გაყოფა-დანაწევრება შემდეგ მოხდა<sup>3</sup>. ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება ამ ძეგლისადმი მასში არსებული ლეგენდარული ელემენტების (უპირველეს ყოვლისა სასწაულების) სიჭარბითაა გამოწვეული და, ვფიქრობთ, უსამართლოდ: „უდაეოა, არ ხდება სასწაულები, მაგრამ არსებობს

სით კრებაზე წავითხვა შეიძლებოდა? 3) საეკლესიო მწერლობის კორიფე ბასილი დიდი პირდაპირ აცხადებს: «*κατὰ πᾶσαν τῆς οὐχ τῶν μελιτῶν τῆς εἰκόνα, τῶν λόγων ἡμῶν μεθεχέου*» E. Ловягин, избранные места из греческих писаний отцев до IX века вост. I, 255 («ხოლო ამნაირად ყველაფერში ფუტკართა მსგავსად [ჩვენ უნდა] ავითვისოთ მათი (ე. ი. წარმართთა. მ. კ.) თხზულებები»).

<sup>1</sup> Karl Van de Vorst-ი ასახელებს მესამე ფოკას, ანტიოქიელს (An. Boll. 30 (191), გვ. 263

<sup>2</sup> Act. Sanct. Iul. III, 629—645.

<sup>3</sup> В. Латшнев, ВЦИМ, стр. 263.

ბევრი რამ სასწაულებრივი და აუხსნელიო“—ამბობს ჰარნაკი, როცა ახალი აღთქმის სასწაულებს ეხება<sup>1</sup>. საესებით სწორია; არ შეიძლება ძველი მოვლენის ახალი თვალით დანახვა და თანამედროვე კრიტიკიუმით გაზომვა. ასეთი ლეგენდები და სასწაულები ადამიანის გონების უძლურების გამომოყვანებაა ბუნებაში მომხდარი მოვლენების ახსნისა და აღქმის საქმეში. და ჩვენ ამ ფანტაზიის კორიანტელში უნდა შეესძლოთ რეალური ელემენტების გამორჩევა-ანალიზი.

გარდა ამისა, ზემოდასახელებული ავტორები ნუთუ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ 404 წელს სინოპიდან კონსტანტინეპოლში გადმოსვენებულ იქმნა ნეშტი ფოკა ეპისკოპოსისა და ამ პროცესისთან დაკავშირებით ორი სიტყვა წარმოუთქვამს იოანე ოქროპირს, რომელთაგან ერთს ჩვენამდეც კი მოუღწევია<sup>2</sup>.

მეორე ფოკა, რომლის შესხმაც ასტერი ამასიელის კალამს ეკუთვნის და რომელსაც ჩვენ აქ ვაქვეყნებთ, ყოფილა ღარიბი მებაღე და სახელგანთქმული ქველმოქმედი. ის დაუსმენიათ ქრისტიანობის გაერცვლებისათვის იმპერატორ დიოკლიტიანესთან (284—305)<sup>3</sup>, რომელსაც მის შესაპყრობად წარუვლენ-

<sup>1</sup> А. Гарнак, Сущность христианства, перевод с немецкого. Л. М. СПб (1907), стр. 21.

<sup>2</sup> Migne, PG t. 50, 699—706.

<sup>3</sup> ისტორიაში ცნობილია, რომ დიოკლიტიანემ ქრისტიანებს დევნა დაუწყო მხოლოდ მისი მეფობის ბოლო წლებში (303 წ.). რა იყო მიზეზი და რამ გამოიწვია მისი ამხედრება მათ წინააღმდეგ, ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა: ასე, მაგალითად, ვ. ჩერნიშევი ამის მიზეზად მეფის მრჩეველსა და ქურუმებს თვლის, რომლებმაც შეგავლენა მოახდინეს მეფეზე (იხ. В. Чернышев, Говения христиан в Римской империи, стр. 78 (СПБ 1904)).

სულ სხვა აზრისაა ამ საკითხზე თ. უსპენსკი; მისი აზრით, დიოკლიტიანემ შექმნა ახალი ტიპის რომის იმპერია, რომლის ხელქვეით მყოფთ, მიუხედავად წოდებისა და მდგომარეობისა, მოეთხოვებოდათ დაძაბული საზოგადოებრივი მუშაობა. ამ საქმისათვის იმპერატორს ესაჭიროებოდა ახალგაზრდა და ჯანმრთელი ხალხი; ქრისტიანები კი იმქვეყნიური ჯვრებით გატაცებულნი დაუქორწინებლობის აღთქმასა სდებდნენ და მონაზონობისკენ მისწრაფოდნენ. ამიტომ მეფე იძულებული შეიქნა თავისი პოზიცია შეეცვალა მათდამი. ყოვლად შეუძლებელია, —უსპენსკის აზრით,—ასეთ დიდ საქმეში. როგორცაა ედიქტი ქრისტიანობის წინააღმდეგ, დიოკლიტიანეს ეხელმძღვანელა შემთხვევითი შთაგონებებით და კაპრიზებით (Ф. Успенский и История Византийской империи, том I, часть I, 75—76).

ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ დიდი მეცნიერის შეხედულება შემდეგი მოსახრებით: 1) რომ ავტორი მართალი იყოს, მაშინ დიოკლიტიანეს ასეთი ნაბიჯი უნდა გადაედგა თავისი მეფობის პირველივე წლებიდან. როცა მისი ინიციატივით, მართლაც, ყალიბდებოდა ეს უზარმაზარი, ახალი ტიპის იმპერია და არა მაშინ, როდესაც ეს პროცესი უკვე დამთავრებული იყო. 2) არაა სწორი ის ამბავი, თითქოს ქრისტიანები იმ დროს განმარტოებისკენ მისწრაფოდნენ და ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე აღარ ფიქრობდნენ. ქრისტიანობამ არამც თუ IV საუკუნეში დაანება თავი მარტოდენ ზეცისკენ ჰერეტას, არამედ II საუკუნეშიც კი მას მაგრად უდგას ფეხი-მიწაზე: ზეციური სამოთხე და ჯოჯოხეთიც ამ „ცოდვილ“ ქვეყანაზე აქვს მოწყობილი და თბილად მოკალათებულა სახელმწიფოს ყოველი ტიპის დაწესებულებაში (ასე გასინჯეთ სავაჭრო-დაწესებულებებშიც კი). ამ საკითხში ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ საეკლესიო მოღვაწე ტერტულიანე, რომელიც 200 წლისათვის იძლევა ცნობას იმის შესახებ, რომ ქრისტიანები ყველა თანამდებობაზე მსახურებენო. იხ. Гарнак, Церковь и государство до образования государственной церкви, стр. 200 (წიგნი „Из истории раннего христианства“.

ნია ლიქტორები. უკანასკნელნი შემთხვევით ლამის გასათევად მოხვედრილან თვით მსხვერპლის სახლში. ფოკა, შეძლებისდაგვარად, კარგად გამასპინძლებია ამ არასასურველ სტუმრებს და უკანასკნელნი როცა შეზარხოშებულან, თავიანთი მოგზაურობის მიზანიც გაუმხელიათ მისთვის. ფოკა იმდენად ყოფილა გატაცებული ქრისტიანული რწმენითა და მოწამეობრივი სიკვდილის სურვილით, რომ არამც თუ გაქცეულა და დამალულა, არამედ პირიქით—თავისივე ხელით გაუთხრია საკუთარი საფლავი, გაუმხელია ვინაობა და უთხოვია მათთვის, რომ იქვე, თავის სახლში ყოფილიყო მოკლული. ლიქტორები სახტად დარჩენილან და არ ნდომებიათ მისი თხოვნის აღსრულება, მაგრამ ბოლოს ფოკას მაინც დაუყოლიებია ნებას ჯალათები და მისთვის თავი მოუკვეთიათ<sup>1</sup>.

ასტერი ამასიელი შესხმაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეზალე წმ. ფოკა მეზღვაურთა მფარველად ითვლება. ამ გარემოებას ჩაუფიქრებია ჰაგიოგრაფიაში მომუშავე ზოგიერთი მკვლევარი და კითხულობენ: ეპისკოპოსი ფოკა რომ ითვლება ასეთად, გასაგებიცაა, რადგანაც ის ერისკაცობაში მენავე იყო, მაგრამ ფოკა მეზალე რატომ უნდა ითვლებოდეს მენავეთა მფარველად? ამ კითხვის პასუხად აყენებენ შემდეგს ჰიპოთეზებს: 1) ან ასტერი ამასიელმა მიაწერა მეორეს ის, რაც პირველს ეკუთვნოდა, ანდა 2) ერთიცა და მეორეც მენავეთა მფარველებად ითვლებოდნენ სხვადასხვა ადგილას<sup>2</sup>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ არავითარ ფოკათა აღრევას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმიტომ, რომ ასტერი ახლო იდგა შესხმის ობიექტთან როგორც ქრონოლოგიურად, ისე ტერიტორიალურადაც.

რაც შეეხება მეორე ჰიპოთეზას, ის სწორია: მენავეთა მფარველი ორივე შეიძლებოდა ყოფილიყო იმიტომ, რომ სინოპი ზღვის სანაპირო ქალაქი იყო, მის მცხოვრებთა უმეტესობის მეურნეობა,—ზღვასთან იქნებოდა დაკავშირებული, და ფოკაც ამ ხალხში მოიხვეჭდა ქველმოქმედის სახელს და ისინიც თავიანთ მოამაგე მეზალეს მფარველად და მზრუნველად მიიჩნევდნენ. ვანა აუცილებელია, რომ მენავეთა მფარველი მაინცადამაინც ყოფილი მენავე იყოს?<sup>1</sup> სახე-

—сборник статей, перевод с немецкого под редакцией Н. М. Никольского, М. 1907).

ჩვენის აზრით უფრო მართალია ამ საკითხში ვ. ჩერნიშევი: ვინაიდან ქრისტიანები ამ დროს, პროფ. ი. ჩელცოვის თქმით, მთელი იმპერიის 1/20 ნაწილს შეადგენდნენ მხოლოდ (И. Чельцов, История христианской церкви, том I, 115, СПб, 1861), ამიტომ, ცხადია, წარმართთა ხვედრითი წონა სამეფო კარზე მეტი იქნებოდა, ვიდრე ქრისტიანებისა, და დიოკლიტიანეს კიდევაც გულით რომ არ ნდომებოდა ეს საქმე, წარმართთა პრეტენზიების დაუკმაყოფილებლობა მაინც არ შეეძლო, თუ, რასაკვირველია, საიმპერატორო ტახტის შენარჩუნება უნდოდა.

რომ ჩვენი ვარაუდი სწორი უნდა იყოს, ამაში კონსტანტინე დიდის მაგალითიც საკმარისია: ის, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობისადმი სიმპათიურადაა განწყობილი, ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებას მაინც ვერ ბედავს და მილანიის ედიქტით (312 წ.) მხოლოდ ამ რელიგიის de jure ცნობით კმაყოფილდება.

<sup>1</sup> სერჯის თქმით ფოკა უწამებიათ „დაახლოვებით“ 320 წელს (ПМВ, II, 281); ეს მოსახერხებელი იმდენად არა ახლდა სინამდვილისაგან, რომ მისი გაზიარება შეუძლებელია.

<sup>2</sup> В. Латышев: Виз. Врем. VI (1899), стр. 349; Арх. Сергий: ПМВ, II, 292 (1901).

<sup>3</sup> „Как бы то ни было,—ამბობს ვ. ლატიშევი,—в нашем памятнике (ლაპარა-

ლი საზოგადოა და მისი ვიწრო, პროფესიულ ჩარჩოში მოთავსება ყოვლად შეუძლებელი რამაა.

#### 4. ფოკას შესხმის ორი რედაქცია ქართულ ხელნაწერებში

ქართულ ხელნაწერებში მოიპოვება ასტერი ამასიელის „ფოკას შესხმის“ ორი რედაქცია: ვრცელი<sup>1</sup> და მოკლე<sup>2</sup>, პირველი მათგანი წარმოადგენს ზუსტ-თარგმანს მინის პატროლოგიაში მოთავსებული ბერძნული ტექსტისას<sup>3</sup>, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია კიმენურ რედაქციად, ე. ი. ისეთად, როგორიც გამოსულა თვით ავტორის ხელიდან.

რაც შეეხება მეორე რედაქციას, ის პირველთან შედარებით მოკლეა: მასში გამოტოვებულია შესავალი მთლიანად და მთელი რიგი ისეთი ადგილებისა ტექსტში, სადაც ე. წ. ლიტერატურული წიაღსვლები, ზოგადი მსჯელობები აქვს მოკეპული ბერძენ ავტორს.

უკანასკნელი რედაქცია მეტაფრასტული ძეგლის ყველა ნიშნის მატარებელია<sup>4</sup> და ამდენად საეარაუდო იყო, რომ ის აღმოჩნდებოდა ბერძნულ მეტაფრასტებში, რომლებსაც მინის გამოცემის მიხედვით სამი ტომი (114—116) უჭირავს. ეს კრებული ჩვენ ვაგწინჯეთ და მათში ფოკას შესხმა არ აღმოჩნდა.

მაგრამ, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, თუ შესაძლებელია ამ კრებულში შეტანილი ყველა ცხოვრება მეტაფრასტული არ იყოს<sup>5</sup>, ჩვენის აზრით არც ისაა შეუძლებელი, რომ მის გარეშე არსებული ზოგიერთი ცხოვრება-ენკომიონი ნამდვილად მეტაფრასტული რედაქციისა იყოს<sup>6</sup>.

და, მართლაც, მოსკოვის სინოდალ. ბიბლიოთეკის 4 ბერძნულ ხელნაწერში<sup>7</sup>, რომელთა შორის უძველესი X საუკუნისაა და უახლესი XVI საუკუნის,

კია ხერსონესში აღმოჩენილ თიხის რგოლში ამოტიფრულ ფოკას გამოსახულებაზე св. Фока, покровитель нищепримного дома в Херсонесе, представлен в виде рыбака, а не вертоградаря» (Виз. Вр. т. VI (1899), стр. 349). აქ აშკარად არა, მაგრამ ყრუდ მაინც ისმის უარყოფითი პასუხი მეტაფრასტული ფოკას მენავეთა მფარველობის შესაძლებლობის წინააღმდეგ.

<sup>1</sup> ქუთაისის მხარეთ-მცოდნ. მუზეუმის ხელნაწ. № 3, 649—654.

<sup>2</sup> ქუთაისის მხარეთ-მცოდნ. მუზეუმის ხელნაწ. № 4, 248—253.

<sup>3</sup> Migne, PG, t. 40, 300—313.

<sup>4</sup> ჩვენ როცა ამ ვარიანტის მეტაფრასტულობის საკითხს ვაყენებთ, ცხადია, ვიცით, რომ ის წიგნები, რომლებშიც ჩვენი ძეგლი იმყოფება (S/384 და გელათის № 4) მთლიანად მეტაფრასტული წიგნებია; მაგრამ ამასთან ერთად ისიც ხომ ცნობილია ლიტერატურაში, რომ ამ ხელნაწერებში შესული ისეთი თხზულებები, რომლებიც ცნობილ ავტორებს ეკუთვნიან, მეტაფრაზირებულნი არ არიან (К. Кекелидзе, Иоанн Ксифилин как продолжатель Симеона Метафраста: Христ. Восток, том I, 336).

<sup>5</sup> იხ. ვ. ვასილიევსკის წერილები: 1) О жизни и трудах Симеона Метафраста (ЖМНП (1880), часть ССХII, отл. 2, 434) და 2) Синодальный кодекс Метафраста (ЖМНП (1897), часть СССХI, 350).

<sup>6</sup> ანას ვაფიქრებინებს ჩვენამდე მოღწეული მეტაფრასტული ნუსხების შედგენილობათა სხვადასხვაობა (იხ. ვ. ლატიშვილის Византийская Царская Миня, 109 და პატრ. სერვისის ПМВ, I, 243—244).

<sup>7</sup> ეს ხელნაწერებია: № 177, X—XI საუკ., № 179, XI—XII საუკ., № 131, XII—XIII ს.

მოიპოვება „ფოკას შესხმის“ მოკლე რედაქციის ბერძნული შესატყვისი დედანი, რომელიც ნბ-ის ავტორს საუკეთესოდ მიაჩნია ყველა ნუსხებს შორის, რაკ კი არსებობს ევროპაში, და რომლის მიხედვით ის „ზოგან ამოკლებს, ზოგან ავსებს და ზოგან ასწორებს კომბეფიზის ტექსტს“<sup>1</sup>.

ჯერ ის ფაქტი, რომ ჩვენი ძველი მოთავსებულია ისეთ ბერძნულ ხელნაწერებში, რომელთა შორის უძველესი X—XI საუკუნეზე ადრინდელი არაა, იმას გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ეს რედაქცია მეტაფრასტული იყოს<sup>2</sup>.

ამ საუკუნეში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ერისკაცობაში მდიდარი, განათლებული და ფაქიზი სიმონ მეტაფრასტი, რომელმაც თითქოს თავისი ფიზიკური თვისებები მწერლობაშიაც გადმოიტანაო, შეუდგა ძველი ძეგლების გაცხრილვა-გათაქიზებას და «მისი ტკბილი მეტაფრასებით» იმდენად მოაჯადოვა ბიზანტიელები, რომ მათ კიმენები სამუდამოდ ჩაკეტვინა სეიფებში<sup>3</sup>.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღწეროთ ის ადგილები კიმენური რედაქციისა, რომლებიც მეტაფრასტულში არაა და ამასთან ერთად გავსინჯოთ ის „საბუთიანობაც“, რომლითაც ნბ-ის ავტორსა და კომბეფიზს ისინი ზედმეტად დაყალბად მიაჩნიათ:

1. 226<sup>a</sup>—227<sup>b</sup> შესავალი მთლიანად, დაწყებული «კეთილი და უმჯობეს მოსწრებათათჳს მოლუაწეთაჲსა... ვიდრე და ქრისტეს მიერ დიდებულთა უდიდებულესსა».

ამ ნაწილში ლაპარაკია თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობაზე ხელოვნებაში, გეომეტრიაში, მედიცინაში და დასასრულ ჰაგიოგრაფიაშიაც. აქ მწერალი ამტკიცებს, რომ თეორია წინ უსწრებს პრაქტიკას და უერთმანეთოდ მათი არსებობა შეუძლებელია. მოიგონებს ბიბლიიდან მუხა მამბრეს, ეფრემ ქეტელის მიერ თავის ცოლისათვის, სარასთვის ნასყიდ გამოკვებულს და აქედან ლოგიკური კავშირით გადადის ფოკას ამბებზე და ამბობს: «ესრეთვე<sup>4</sup> მეცა

და № 180, XVI საუკ. (სამწუხაროდ, ეს ხელნაწერები ამჟამად რა ნომრებით რომელ წიგნთსაცავში იმყოფება, ჩვენ არ ვიცით და ამიტომ ძველი ნომრების დასახელებით ვმაცხოფილდებით).-  
<sup>1</sup> Bog. Vest. (1894), октябрь, отд. I, стр. 3.

<sup>2</sup> არქივს. სერგი ამ საკითხს გადაჭრილად აცხადებს: «Скоро метафрасты живописания вытеснили древнейшие его жития, так что минеи четыи относимые по письму к X веку, уже содержат метафрастовы жития...» (ПМВ, I, 243).

<sup>3</sup> საქართველოში უფრო შეგნებულად მოქცეულან ამ საკითხში. ჩვენ მოგვპოვება ისეთი საბუთი, რომლითაც მტკიცდება, რომ XI საუკუნეში ქართველები კიმენურ რედაქციებს მეტაფრასტულზე ნაკლებ არ აფასებენ. ასე, მაგალითად, ეფრემ მცირე ამბობს: «გვედრები ყოველთა, რომელნი მიემთხვენთ წამებასა ამას, რათა უწყებულ იყვნეთ, ვითარმედ არათუ ამისთჳს დაწერილ არს, ვითარცა უმეტესსა რასმე მეტყუელი პირველისსა, გარნა რამეთუ ყოველთავე ამთ დიდთა მოწამეთა ორ-ორი აქუს წამებაჲ: უმეტესი და უახლესი. არათუ უმრუდესი და უმაღლესი, არამედ უცხადესი და უღრმესი. ეგრეთვე აქუნდინ ამასცა მეორე ესე პირველსავე თანა: რამეთუ ესე ბერძენთაცა ესრეთ აქუს, რათა რომელიცა ვის სთნდეს, მას იკითხვიდეს და ლოცვასა ჰყოფდეს განმგებელთათჳს და შენდობასა მკადრებელთათჳს» (ქრონიკები, I, 222).

<sup>4</sup> აბზაცი «ესრეთვე მეცა»-თი დაწყებული და გათავებული «უდიდებულესსა»-თი ხომ კონკრეტულად ფოკას პიროვნებაზე ლაპარაკობს, და გვიკვირს, როგორ შეეღია ნბ-ის ავტორი



დღეს პატიოსანსა ტაძარსა სამგზის სანატრელისა ფოკაძისა მოწვევული, ადგილისაგან აღმოვივსებ კსენებასა...ა.

ამ შესავლის შესახებ კომბეფიზი და ББ-ის ავტორი ერთი აზრისანი არიან: მათის აზრით იგი ისეთი ზოგადი ხასიათის მატარებელია, რომ უნდა იყოს შესხმის ისეთი ტრაფარეტული ნაწილი, რომელიც გამოდგებოდა ყველასათვის, თუ კი მასში წმინდანის სახელსა და ღვაწლს ჩასწერდნენ<sup>1</sup>. ББ-ის ავტორი კიდევ აეთიარებს ამ აზრს და სვამს საკითხს: ხომ არ არის ეს რომელიმე საერთო მოკლე ენკომია, რომელსაც გადააბამდნენ წმინდანისადმი მიძღვნილ მოკლე შესხმას (ამ შემთხვევაში „ფოკას შესხმიდან“ ამოკრებილს)? ხოლო შემდეგ ეს ნაწილი შესაძლებელია გადამწერლებმა<sup>2</sup> გააერთიანეს და მიიღო ისეთი სახე, როგორც იგი წარმოდგენილია კომბეფიზისა და მინის გამოკვებებში<sup>3</sup>.

ჩვენი აზრით, ყველა ზემოდასახელებული მოსაზრება, შესავლის წინაღმდეგ მიმართული, ხასიათდება ორი ნიშნით: 1) ჰაგიოგრაფიულ ძეგლთა არქიტექტონიკის გაუთვალისწინებლობა და 2) წინასწარ აკვიატებული აზრი. მართლაც-და, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ჩვენმა ავტორებმა არ იციან ის, რომ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს ჩვეულებრივ<sup>3</sup>, მოეპოვებათ: 1) შესავალი, 2) ტექსტი და 3) დასკვნა. შესავალში ზოგადად გამიზნულია ის ამბავი, რაც უნდა მოგვითხროს მწერალმა, ტექსტში აღწუსებულია წმინდანის ღვაწლი და დასკვნაში—ტექსტზე დაყრდნობით, მორალური ხასიათის მოწოდებაა მსმენელებისადმი. ამ წესით უწერიათ საეკლესიო მწერლობის თითქმის ყველა დარგში და არც ასტერი ამასიელს შეეძლო მიღებული ტრადიციისათვის ეღალატა და ჩვენი ავტორების ყაიდაზე ეწერა.

რაც შეეხება ჩვენი ძეგლის მოსკოვურ ნუსხებს, ისინი, ჩვენი აზრით, ყველანი მეტაფრასტული რედაქციისა არიან და შესავალიც ამიტომ არ გააჩნიათ<sup>4</sup>.

ББ-ის ავტორმა რატომ გასწირა შესავალი, გასაგებია: მას მისი ხელთ არსებული მოსკოვის ბიბლიოთეკის ბერძნული ნუსხები, რომლებსაც თხზულების ეს ნაწილი ჩამოკლილი აქვთ, იდეალურ ვარიანტებად მიაჩნია და ამ პროკრუსტეს ყალიბში ათავსებს ყველა სხვა ვარიანტს<sup>5</sup>. მაგრამ გაუგებარია კომბე-

აქ თურმე ფოკას საყდრის შედარება მამბრეს მუხასა და ქვერონის გამოქვაბულთან, ბუნებრივი პალესტინისათვის, საჩოთიოდ ისმის იმ სიტყვაში, რომელიც პონტოს პროვინციაში წარმოითქვა. ახირებული პრეტენზია; გამოდის, რომ მწერალს არა აქვს უფლება მოიფანოს ბიბლიიდან ტერიტორიულად შორს მდებარე გეოგრაფიული ადგილები.

<sup>1</sup> Богос. Вест. (1894), стр. 3, прим. 2; აგრეთვე стр. 9, прим. 41.

<sup>2</sup> Бог. Вест. (1894), стр. 3—4.

<sup>3</sup> „ჩვეულებრივ“-რეთქი იმიტომ ვამბობთ, რომ არსებობენ ისეთი ძეგლებიც, რომლებსაც შესავალი არ გააჩნიათ.

<sup>4</sup> ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი მეტაფრასტულობისა შესავლის არ ქონებაა. საკითხის დიდი საეტიკისტი ვ. ვასილიეჭსკი ამის შესახებ წერს: «Так как в виду имелось составить цельный однородный сборник, то уже на этом основании подлежало исключению многое из того, что было и считалось украшением отдельных житий в их первоначальных редакциях. Незачем было удерживать при отдельных сказаниях длинные вступления, часто весьма схожие по содержанию (об. ძისი წერილი: „О жизни и трудах Симеона Метафраста“: ЖМНП, 1880. часть ССХII, отд. 2, 392—393).

ფიზის საქციელი: რა ნახა ამ ცნობილმა მკვლევარმა აქ ისეთი მდარე ხარისხის, რომელიც სიყალბის შთაბეჭდილებას ტოვებდეს მკითხველზე?

2. 227<sup>12</sup> «წმიდათა უწმიდესსა და ქრისტეს მიერ დიდებულთა უდიდებულესსა».

ეს ადგილი კომბეფიზის და БВ-ის ავტორის თქმით ყალბია იმიტომ, რომ აქ არ ჩანს ასტერი, როგორც დახელოვნებული, გამოცდილი ორატორი<sup>2</sup>. კომბეფიზი ამ შემთხვევაში ცდება, აქ ასტერის ორატორობა არაფერ შუაშია. მას ეს ადგილი არ მოსწონს მხოლოდ იმიტომ, რომ ასტერი ამასიელი „წმიდათა უწმიდესად“ და „დიდებულთა უდიდებულესად“ თვლის საწყალ მებაღე ფოკას და არა მოციქულებს პეტრესა და პავლეს, ე. ი. ღალატობს პაპისტიკურ კულტს, რაც, ალბათ, მაშინ არც არსებობდა ბიზანტიაში. ხოლო რაც შეეხება БВ-ის ავტორს, ის მოსკოვური ნუსხების მიხედვით მსჯელობს და რასაც ამ მეტაფრასტულ წიგნებში ვერ პოულობს, ყალბად მიაჩნია.

3. 228<sup>3</sup> «რამეთუ ნუ ვინ მოიგონებს აწ სამსახურებელისა განყოფილებასა, არამედ უკუეთუ რაფთურით მოსწრაფეთა კაცთა მზრდელად იჩუშნა და დედალა» (abs. Сн.).

4. 228<sup>35</sup> «ბრჭალ-ფიცხელთა ტრედი იგი. ხოლო ვითარ წინააღმართმეტყუელი ესაია იტყვს» (abs. Сн.).

ამ ადგილის შესახებ БВ-ის ავტორი შენიშნავს: როცა ავტორს წინასწარმეტყველება მოჰყავს არა შინაარსის მიხედვით, არამედ ზუსტი ციტატით, მაშინ ესაიას დასახელება საჭირო არ იყო და ამდენად იგი შემდეგდროინდელი ჩანამატია<sup>3</sup>.

ეს შენიშვნა გაუგებრობაზეა აგებული. ცხადია, ავტორისათვის<sup>1</sup> საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ ციტაციის ამ სახით მოყვანისასაც ასახელებდნენ წყაროს. რომ ეს ასეა, ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა“-დან, რომლის თარგმანი გიორგი მთაწმიდლის მიერაა შესრულებული:

<sup>1</sup> ასეთი ტრადიცია რუსულ ლიტერატურაში შემდეგ წლებშიც იყო და მკვეთრად იგრძნობოდა: ასე, მაგალითად, ვ. ლათიშევი წერდა: «... склоняюсь к мысли, что изданный мною греческий сборник гораздо скорее может претендовать на имя Ксифилина, как автора, чем открытый им (აქ ლაპარაკია ვ. კეკელიძის მიერ გამოქვეყნებულ წიგნზე „Иоанн Ксифилин как продолжатель Симеона Метафраста: Христ. Восток, т. I, вып. 3); ...«Таким образом,—ганаგრძობს ლათიშევი,—мы приходим к выводу, что изданная нами книга, по всей вероятности, и есть именно Ксифилиновская, и притом сохранилась в своем чистом виде, как вышла из под пера автора» (Виз. Пар. Миния, 1915, 114, 116).

<sup>2</sup> კეკელიძეს, როგორც ფრთხილ მეცნიერს, სრულებითაც არ ჰქონია პრეტენზია მის მიერ შედგენილ მეტაფრასტულ თხზულებათა სიის ამომწურავობისა. თავის წიგნში იგი აცხადებდა: «Мы далеки от мысли утверждать, что даем точный список метафразированных Симеоном и Иоанном Житий святых...» (იხ. „Иоанн Ксифилин как продолжатель Симеона Метафраста“: ХВ, 1912, том I, вып. 3, стр. 339).

<sup>3</sup> Бог. Вест. (1894), стр. 9, прим. 38.

<sup>3</sup> БВ (1894), стр. 13, прим. 80.

1) «ვითარცა გუასწავებს ჩუენ პავლე და იტყვს, ვითარმედ „მის მიერ დაეზადა ყოველივე გინათუ ხილული, გინათუ არა ხილული, გინათუ საყდარი...“ (A/73, 6r).

2) «თქმული იგი ესაიაფსი... „რომელმან დაამყარა ცაჲ ვითარცა კუამლი“ (A/73, 10r).

3) «გესმეს ფსალმუნთა შინა, ვითარმედ „მე დავამტკიცენ სუეტნი მისნი“ (A/73, 11v).

ასეთი მაგალითების მოყვანა სხვა ავტორების მიხედვითაც შეგვეძლო და, თუ მხოლოდ ბასილი დიდის სამი მაგალითით დავკმაყოფილდით, ეს იმიტომ, რომ იგი სანიმუშო მწერლად ითვლება ყოველ მხრივ, და გარდა ამისა, ფიქრობთ, რომ ნიხ-ის ავტორის წინააღმდეგ არც ეს სამი მაგალითი იყო საჭირო იმდენად ცნობილ ამბავზეა აქ ლაპარაკი.

5. 230: «რამეთუ ვარსკულაფი ვარსკულაფსა ჰმატს დიდებითა ზოგადსა-ცაჲსაეკვსაებრ და ვმისაებრ ჭურისა რჩეულისა და უფროასლა მკვდროანისა ყოველსა კერძოსა სახელოანცა არს წმიდათა შორის» (abs. Син. Migne).

ამ ადგილზე ჩვენი ავტორები არაფერს ამბობენ, რადგანაც ის არც კომბეფიზის ნუსხაში ყოფილა და არც სინოდის ხელნაწერებში მოიპოვება.

6. 230: «და ვითარ სახედ ზამთრისა ჟამსა ძვრ-ყოფასა საზრდელისასა ტრედნი ახალ ნამორჩთა ყანობირთა ზედა მფრინვალენი ორნატთა მათთა ზედა მსხდომარეობენ» (abs. Син. Migne).

7. 233: «სადა მდებრი მკითხველი, ცრუ-მისანი, მეძიებელთა ელამთა და უჩინოთა მოგებათა მიმმადლებელი. რადთა სიტყუათა საეკუქლობითა მიუმთხუშვლობისა და ტყუელისა პასუხი წინა განიმზადოს, სადა წყაროჲ მისნობისა წყლისა მშობელ საგონებელი? არა ყოველნი სიჩქურ და წარრევა, რანიცა საცთურისა მიმართ უძღულობდეს» (abs. Син. Migne).

აი ეს არის ის ადგილები, რომლებსაც აკლებს მეტაფრასტული რედაქცია კიმენურთან შედარებით.

გარდა ამისა აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ადგილებიც, რომლებიც მართალია „ფოკას შესხმის“ ორივე რედაქციაში არის, მაგრამ კომბეფიზის მათ ასტერიეულობაში იჭვი ეპარება.

1. 229: ასტერი ამასიელი ამბობს, რომ ლიქტორებს, მართალია, არ უნდოდრათ მოეკლათ ფოკა თავის სახლში, მაგრამ ფოკამ «თქუა, დაარწმუნა და იენო»-ო. ამ ადგილს კამათის ხასიათზე დაუყენებია კომბეფიზი და შენიშნავს: კიდევაც რომ ფოკას ეს ჩაედინა, საჭირო იყო პატიება ამ გულუბრყვილობისა და უცოდინარობისათვის და არა ქების შესხმა მხოლოდ იმ მიზნით, რომ წამებულის მხნეობა და ქრისტიანული რწმენით გატაცება ეჩვენებინაო.

2. 230: ფოკასო, —ამბობს ასტერი, —არა ნაკლებ სცემენ პატივს რომეონნი, ვიდრე პეტრესა და პავლესო. პაპისტიკური კულტის პეტრესა და პავლეს აპოლოგეტურ პოზიციებიდან კომბეფიზის ეს ადგილი ყალბად ძიარნია. მაგრამ მას ავიწყდება, რომ საქმე ეხება IV საუკუნეს და საფიქრებელია ამ კულტის მონოპოლიის იმ დროისათვის არარსებობა.

3. 231: კომბეფიზის გაზვიადებულ ენამკვერობად მიიჩნია ის ამბავი, რომ

ფოკას ქებას ამბობენ არა მარტო შავისა და ადრიატიკის ზღვების და დასავლეთის ოკეანის მენავენი, არამედ აღმოსავლეთისაცაო.

აქ მკვლევარი იშველიებს გეოგრაფიას და ამბობს: ყოვლად შეუძლებელია აღმოსავლეთის ზღვამდე მივლწიათ მენავეებს, მაშინ მათ დასჭირდებოდათ მთელი აფრიკის ირგვლივ შემოვლაო<sup>1</sup>.

თუ ჩვენ ტექსტს ჩაუვკვირდებით, დაინახავთ, რომ ასტერი ამასიელრ აქ იმას კი არ ამბობს, რომ თითქოს სინოპელი მენავენი მიდიან აღმოსავლეთის ზღვებამდეო, არამედ იმას, რომ იქაურ მენავეთა შორისაც კი იდიდება ჩვენი მოწამეო. ესეც რომ არ იყოს, განა შესხმა ისეთი ქანრი არ არის მწერლობისა, სადაც არამც თუ მოსალოდნელი, აუცილებელიცაა ჰიპერბოლები და მეხოტბე არაა ვალდებულნი ყველაფერში მათემატიკური სიზუსტე დაიცვას.

ყველა ზემომოყვანილი გამოტოვებული ადგილების გათვალისწინების შემდეგ თუ რამდენად შეეფერება სიმართლეს მიქაელ ფსელოსის ცნობები: რომ თითქოს სიმონ მეტაფრასტი «ცხოვრებათა გადაკეთებისას არ ეხებოდა დედანთა შინაარსს, მათ იგი უყურებდა როგორც უძველეს პირველ-წყაროებს, რომელთაც ის არ უნდა დაშორებოდა, რომ არ ეფიქრათ ახალ, სხვა ნაწარმოებს ქმნისო, ის ასხვაფერებდა გარეგან სახეს ისე, რომ არ ეხებოდა თხზულებათა არსებით მხარეს და შედგენილობას, მას არ შეჰქონდა მათში ახალი აზრები და მხოლოდ სცვლიდა გამოთქმის საშუალებებს—სტილსა და თხრობის ხასიათსაო»<sup>2</sup>, ამაში მკითხველი თვითონვე დარწმუნდება ჩვენი პატარა ძეგლის, „ფოკას შესხმის“ ორი რედაქციის შედარებითაც კი.

და თუ მეტაფრასტმა ცნობილი ავტორის, ნიჭიერი მწერლის, კარგად დაწერილ თხზულებაში ამდენი ცვლილებები შეიტანა, როგორ მოექცეოდა ის ანონიმურ, ლიტონი ენითა და უხეში სტილით დაწერილ ნაწარმოებთ, ესეც ადვილად შეიძლება კაცმა გაითვალისწინოს.

დასასრულ, დასკვნის სახით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიმონ მეტაფრასტმა თავისი რედაქტორული მუშაობით პირველ-წყაროებზე:

1) ძველ თხზულებებს დაუკარგა ის სურნელება, რომლითაც „ეპოქის სული და მისწრაფება შეიგრძნობოდა“<sup>3</sup>.

2) მხატვრული ადგილებისა და ზოგადი მსჯელობების გამოტოვებით ეს (თხზულებები) გაჰხადა შშრალ მძიმერებებად და ამით ჩვენ მოგვისპო საშუალება ძველ მწერალთა მხატვრული ალლოს და ინტელექტუალური დონის გათვალისწინებისა, და

3) არც ისაა შესაძლებლობათაგან გამორიცხული, რომ მას მისი მახვილი კალმის ქვეშ ისტორიული ფაქტებიც ემსხვერპლოს.

<sup>1</sup> БВ (1894), стр. 20, прим. 154.

<sup>2</sup> В. Васильевский, О жизни и трудах Симеона Метафраста: ЖМНП (1880) ССХII, отд. 2, стр. 392.

<sup>3</sup> В. Васильевский, Ibid. 391.

### 5. კიმენური რედაქციის ერთი თავისებურება

ერთი სინტაქსური თავისებურება, რომელიც თვალში ეცემა კაცს ამ ძეგლის კითხვის დაწყებისთანავე, გახლავთ შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის ჩავარდნა, რაც გამოწვეულია ბერძნული დედნის გავლენით.

ასეთი შემთხვევა ჩვენს ძეგლში სულ 8-ჯერ გვხვდება:

1. 226<sup>a</sup> «კეთილ და უმჯობეს მოსწრაფებათათჳს მოღუაწეთათჳს»: *Καλή και σπουδέρουσα τινε ἀγαθῶντινος τῆ σπουδῆς.*
2. 230<sup>a</sup> «საკრველ იგიცა ადგილი; მუამაჯარეჲ და ონთეს ἔ τῆσδε».
3. 230<sup>b</sup> «რამეთუ პატიოსან წინაშე უფლისაჲ სიკუდილი ღირსთა: *Τίμος γὰρ θῆαντιον τῆν Κυρίου ἢ θῆανთეს τῶν θῆων ἄντων.*
4. 231<sup>a</sup> «ესე ნაწილ ფოკაჟსა დაბრდომილთა: *τῶντο ἢ μῆρις τῶν Φακῶ πεινῆται.*
5. 232<sup>a</sup> «არა საკრველ უკუეთუ: *και ὁπῶθ ἰαυμαჯარῆ.*
6. 233<sup>a</sup> «სადა მდღერი მკითხველი» (ბერძნულში არაა).
7. 233<sup>b</sup> «სადა წყაროჲ მისნობისა წყლისა (ბერძნულში არაა).
8. 233<sup>c</sup> «არა ყოველნი სიჩქურ და წარრევა» (ბერძნულში არაა).

ქართული ენისათვის ეს უჩვეულო კონსტრუქცია შეინიშნება აგრეთვე «ქება-ქებათაში», რასაც იქ სემიტურიდან მომდინარე მოვლენად თვლიან. აკად. ნ. მარს იგი ალბათ იმდენად უმნიშვნელო მოვლენად მიაჩნია, რომ თავისებურებებში არ აღნიშნავს<sup>1</sup>.

### 6. კიმენური რედაქციის შეცდომები

ძეგლში მოიპოვება რამდენიმე შემთხვევა ზოგიერთი დაწერილობით მსგავსი ბერძნული სიტყვის ერთმანეთში აღრევისა და აქედან გამომდინარე მცდარი თარგმანისა.

ამ სახის შეცდომა სულ სამია ჩვენს ძეგლში:

1. 227<sup>a</sup> *τῶν ἑαίρηων* («მეგობარი») მთარგმნელს ჰგონებია *τῶν ἑσῆρων* და «სხუათა»-დ უთარგმნია.
2. 229<sup>a</sup> *τῆν θῆρηα* («ნადირი») ჰგონებია *τῆν θῆρηων* და უთარგმნია «კართა»-დ.
3. 231<sup>b</sup> *τῆ βῆρη* («კლდე», «მეჩხი») ჰგონებია *βῆρη* და გადმოუცია «სითხე»-დ.

პირველ ორ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ საშუალო ბერძნულში ჩვეულებრივი ორთოგრაფიული აღრევა (*α—ε, η—α*), ხოლო მესამეში დაწერილობით მსგავსი ორი სიტყვა მთარგმნელს აურევია ერთმანეთში.

<sup>1</sup> H. Mapp. TP, კმ. II, §§ 27—28



წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ასტერი ამასიელ ეპისკოპოსისაჲ შესხმაჲ  
წმილისა მღელ-მოწამისა ქრისტესისა ფოკახსი

მამაო გუაკუროხენ.

- 5 კეთილ და უმჯობეს<sup>1</sup> მოსწრაფებათათჳს მოღუაწეთაჲსა ჳსენებაჲ წმიდა-  
თაჲ. რაჲეთუ არა ხოლო თუ სიტყუაჲ წურთის | სათნოებისა და კეთილ-მსახუ- PG 301  
რებისა მოსურნეთა, არამედ საქმენიცა მართლად ცხოვრებულთანი ცხადად მას-  
წავლელად წინა დაედებინა, რომლისათჳსცა ღმერთი ჩუენიცა ურჩეულესთა 649r/b  
წარმართებთათჳს მცნებათა მომცემელი იტყჳს, ვითარმედ «რომელმანცა ყოს მთ 5,<sup>18</sup>  
10 და ასწავოს, იგიცა დიდად წოდებულ იქმნეს». და სხუაგან «ბრწყინვედინ ნა- მთ 5,<sup>16</sup>  
თელი თქუენი წინაშე კაცთაჲსა, რაჲთა ხედვიდენ კეთილთა საქმეთა და აღი-  
დებდენ მამასა თქუენსა ცათა შინათასა». რაჲეთუ სიტყუერი მწურთელობაჲ  
საქმითისა მოქმედებისა უღარესი და უუძღურესი, მასწავლელი არს. და რაჲ-  
დენ სასმენელისასა სახედველისა უდასტურეს ყოფასა ვიტყვთ, ეგოდენ სიტყუ-  
15 სასა უძლიერესობაჲ საქმისაჲ აღსარებულ არს. ესრეთ ვისწავებთ ჳელოვნება-  
თა, ესრეთ განვიწურთებით ზედ-მიწვეწულობათა უპირატეს სიტყვთ სწავლისა  
მიმართ ჩუქულნი. ამის შემდგომად ჳელითა და გამოცდილებითა მცირედ-მცი- 649v/a  
რედ ქმნად განძლიერებულნი. და ქუეყნის მზომელიცა წიგნთათჳს ვიდრემე ფრი-  
ად დამაშურალი, და აღვსებული სასმენელითა მასწავლელისაგან, სხუებრ ვერ  
20 მისწუთების პირად-პირადთა დასახულთა ძალსა არა თუ შეისწავნეს წერტილ-  
ნი, და წარზიდულნი და მომრგულებულნი ფიცარსა ზედა. არა უკუ<sup>მ</sup> ვერცა  
ვარსკულავთ-მრაცხველობისა სურვიელსა განსწურთის სიტყუაჲ ოდენ სასწრა-  
ფოჲსა მიმართ, არა თუ ჳელოვნად სფეროჲსა მომწერელმან მასწავლელმან წი-  
ნაშე თუალთა დაუდვას ცისა მოძრაობაჲ; და იპოკრატიცა მკურნალი მრავ-  
25 ლად დამაშურალობდეს რაჲ და სხუანი მოძღუარნი უჳელოვნო არს მკურნალი, 649v/b  
არა თუ პირველ მრავალთა სნეულთა მიმართ თანა მავალმან მათგან ისწავოს სნე-  
ულთა მკურნალობაჲ.

მსრეთვე ჩუენცა, მოწაფენი მოწამეთანი, პირველ აღსაარებისა მოძღუარ-  
მყოფელნი მოთმინეთა კაცთა საქმეებისანი ვისწავებთ ვიდრე უკუანაჲსკენელთა  
30 ძრთამდე დაცვასა კეთილ-მსახურებისასა წმიდათა მათ სამარხოთა მათთა, ვი-  
თარ რაჲმე ძეგლთა მხედველნი ხატვათა მიერ დასახულთა, და განმკაცრებით  
ლუაწლსა მოწამებრიესა ცხად მყოფელთა.

და ვითარ სახედ მიახლებულნი მუხასა მამბრესა, გინა ქუაბსა მოსყიდულ- შეს 23,<sup>18</sup>

<sup>1</sup> ამ სიტყვის («συμφορῶσα») შემდეგ ჩავარდნილია რთული შემასმენლის ზნური ნა-  
წილი «არს», ისევე, როგორც ბერძნულში, სადაც სწერია: «Καὶ αὐτὸς σὺμφορῶσα  
τοῖς ἀναίσχυτοις ἐν παντοίῃ».

სა, რომელი ქეტელმან ეგრემ საქლავად სარჩაჲსა განსცა, სადა იგი თუთცა 650r/a მამათ-მთავარი თუსთა ძეთა თანა დამარხულ არს, მყის შემდგომად ადგილთა მათ ხილვისა გულის-სიტყუათა შინა განიხლებენ ოცნებასა, და გონებითა ზედვენ მორწმუნესა მამათ-მთავარსა, დასაბამსა კეთილ-მსახურებისასა, და მის მი- 5 ერსა წინა დაცუთილებასა. ხოლო მოიგონებენ | ძირით მისით აღმოცენებულ-თაცა ისაჲს და იაკობს. და შემდგომად კაცთა ამათ ქსენებისა ყოვლისა მათ ძლითისა თხრობისა მხილველ იქმნების.

მსრეთვე მეცა დღეს, პატიოსანსა ტაძარსა, სამგზის სანატრელისა ფოკა- 10 ზედა თქუმულთა თხრობათისა; ვხედავ მემტილესა ველოვნებითა, მარტივსა სუ- 650r/b ლითა, უცხოთ-მოყუარესა, უფროჲსლა ზღუს კიდისხსა, ქუეყნისა საშუალთა— ქველის-მოქმედისა, წმიდათა უწმიდესსა, და ქრისტეს მიერ დიდებულთა უდი- დებულესსა.

რამეთუ<sup>1</sup> ღირს და წმიდა ყოველივე ახოანთა მოწამეთა გუნდნი, ვნებისა 15 ქრისტეს ვნებათა წილ<sup>2</sup> უკუნ მცემელი, სისხლითა სისხლისათჳს ყოველთა მა- ცხოვრისა მენაცვალეობასა აღმასრულებელი; გარნა თუთ მათცა შორის არა ერთი არს ყოველთავე დიდებაჲ, არცა ერთისა და სწორისა საზომისა მიმართ განჰნაწილებიეს ყოველთავე პატიოსნებაჲ, არამედ უპირატესობასა და შემდგო- 20 მობასა ვერცა თუთ გუნდი განველტოლვის წმიდათაჲ. | ხოლო ამისდა მიზეზად 650v/a

20 ვპგონებ მსაჯულისა ფრიადსა განმწულიველობასა და თუალ-უბუამობასა. რა- მეთუ განიხილავს სატანჯველთაცა სიმრავლესა, და წინა-აღმდგომობისა შინასა მოთმინებასა და განმცდელი ღუაწლისაჲ, ღირსებითთა სანაცვლოთა განუყოფს მოლუაწეთა. და არასადა საკრველ, უკუეთუ ღმრთისაგან ესრეთ პატივ იცემე- ბის სამართალი. ვინაფთჳნ ჩუენ შორისნიცა მკედართ-მძღუანნი და ღუაწლი<sup>3</sup>

25 დამდებელნი არა სწორ ექმნებიან განქველებულთა, გინა განრკინებულთა, არა- მედ თითოეულსა საზომისაებრ წარმართებულებისა ზედა დასთქუმენ შესატყუეს- თა ნიკთა ცემასა.

ხოლო ესენი წარმოვთქუმნ რაჲთა ვაჩუშნო, | ვითარმედ რომელმან დღეს 650v/b

30 მოგუმაღლა ჩუენ მიზეზი ესე შემოკრებისაჲ, სხუათა<sup>3</sup> და თანა-მოლუაწეთასა არს უსაჩინოს. რამეთუ სხუანი ვიდრემე არა ყოველთა მიერ ყოველნი ცნობი- ლობენ, არცა აქუს განთქმული მკნე-მამაცობაჲ. ხოლო ფოკაჲსი არა არს ვინ უწყეარი, არამედ ვითარ სახედ მზისა შარავანდი წინაშე ყოველთა თუალებისა განფენილი არს, ეგრეთვე ამის მოწამისაცა ჰამბავი ყოველთა სასმენელსა განს- მენილ არს; და რაჲთა შემოკლებულად ვთქუა, რაოდენთაცა იცნეს მეუფე ქრის- 35 ტე, იცნეს მათ სარწმუნოაცა მონაჲ. ხოლო უფროჲსლა გთნავს თუ, ზოგადობითთა სხუათა შესხმათა დამტყეებელმან მოწამისა უაღმატებულესნი თხრობანი თქუნ მოწამეთ-მოყუარეთა მოგითხრნე.

<sup>1</sup> ამ აბზაცით იწყება B რედაქცია.

<sup>2</sup> ამ სიტყვის შემდეგ ბერძნულ დედანში სწვრია „χάρις“ ქართულში უნდა იყოს «მაღ- ლისა უკუნმცემელი».

<sup>3</sup> ამ სიტყვის ადგილას ბერძნულ დედანში სწვრია „ταυ εταπεινα“ („მეგობართა“), რაც მოთარგმნელს „აღუ ე-ტაჲ“ პვონებია და „სხუათა“-დ უთარგმნია.

1 | ბამოილო უკუშ წმიდად ესე კაცი, ქრისტეანეთა დიდი სარგებელი, მეხო- 651r/a  
 ბელმან სინოპმან, ქალაქმან ძუშლითგანმან და შესწავებულმან ღონიერობითა,  
 მოთმინეთა და ფილოსოფოსთაათა. რამეთუ ნუ ვინ მოიგონებს აწ სასამსა-  
 ხურებელისა განყოფილებასა, არამედ უკუეთუ რაეთურით მოსწრაფეთა კაცთა  
 5 მზრდელად იჩუშნა და დედად; ხოლო ცხოვრებისა მისისა კვლოვნებაჲ იყო მტი-  
 ლისა მოურნეობაჲ და მუშაკობაჲ, რომლისა მომგებელი მუნ საღმე წინაშე ბქე-  
 თა ქალაქისათა, პირსა ზედა ხერთვისისასა, ილუწიდა შრომის-მოყუარებით თა-  
 ვისა თვისსაცა და მოქენეთა ცხოვრებისა ნუგეშინის-საცემელად. ხოლო განუღებ-  
 და უცხოთაცა მცირედსა მას და მკოდოვსა საყოფელსა ფრიად წაიდერებით. 651r/b  
 10 და ფოლოცსა ზედა მკვდრი, ქონებულთა ზოგად წინა დაუღებდა მომავალთა.  
 და იყო ლოთი ახალი, არა სოდომელთა, არამედ სინოპელთაჲ. ხოლო ჟამი რაჲ  
 გარდაჲდა, | მცნებად იგი ჰოვა არა უსასყიდლოდ, რამეთუ უცხოთ-მოყუარები- PG 305  
 საგან შეიძინა ცხოველს-ყოფელისა სიკუდილისა მიზეზი. ხოლო თუ ვინაჲ და  
 ვითარ, მცირედ კუალად-გებულისაჲ ისმინეთ:

15 სიტყუად კეთილ-მსახურებისაჲ მოგუშთხრა რაჲ ჩუენ, და ღმრთის-მეტყუ-  
 ელებისა ქადაგებაჲ ყოველთა სასმენელისა მიმართ მიიწია, ხოლო საცნაურ იქმ-  
 ნა ქრისტე და მისნი საღღმლონი ფსალმუნისაებრ «აღიფრტვნის წარმართთა 651v/a  
 და მეფენი და მთავარნი შეკრბეს ერთად და საცთურისა იგი ერნი იესუჲს გან-  
 ნეფებასა განრისხნეს». და ყოველი ქრისტეანე ვითარ ძკრის | მოქმედი იძიებო-  
 20 და, და მახლობელი იტანჯებოდა, და შორიელი გამოიკულებოდა. რომლისა-  
 თუცა ფოკა ვერცა უნდოებამან კვლოვნებისამან და მემტილებამან დაფარა,  
 არამედ იგიცა, ვითარცა უფროსლა საკუთარი მესაღღმლე ქრისტესი, შესემ-  
 ნილ\* იქმნა. ვინაჲ მიუჯდეს ზედა უბადრუკისა ამის და წარმდინარისა სოფლი-  
 25 ცა ბრალი მისი ეგვეითარ, რომელ ბრწყინვალითა კმითა აღიარებდა ახლანი  
 იგი, და არავისა მკითხველობასა, საქმეთა მიერ აჩუშნებდა, ხოლო კითხული,  
 მხიარულებით ღაღადებდა.

და მივიდეს რაჲ მტარვალნი მისისა მტანჯველობისანი, და მიზეზნი ჩუე-  
 ნისა | დღესასწაულობისანი, თუთ მას საძიებელსა თანა დაივანეს, არცა მეცნი- 651v/b  
 30 ერთა, არცა შესწავებულთა; რამეთუ ჯერეთ უთქუმელად აქუნდა წადიერებისა  
 მიზეზი, რაჲთა უპირატეს განსწავლულნი ქალაქისა გარეგანთა თუ ვინ არს ფო-  
 კა და სადა იუბრების ანაზდა ზედა-დასხმულთა შეიპყრან იგი, ვითარ ოდესმე მთ. 26.17  
 ებრაელთა იუდას თანა მტილსა შინა უფალი. ხოლო შესცილებოდა: ვითარმედ  
 შინაგან ბადეთა აქუს სანადიროჲ, ძაღლთა მათ—კრავი იგი, მგელთა—ტარიგი  
 35 იგი, მტაცებელთა, ბრქალ-ფიცხელთა—ტრედი იგი.

ხოლო ვითარ წინაჲსწარმეტყუელი ისაია იტყვს «ვეფხთა თანა განისულ- მს. 11,  
 ნებდა თიკანი იგი, და მგელთა თანა ძოვდა კრავი იგი, და ლომთა ზუარაკსა 7  
 თანა ზოგად აქუნდა საღგური».

40 | ხოლო ვინაჲთგან ვითარ ქმნად შეჰკავს, ტაბლამან და ამხანაგობამან ურ- 652r/a  
 თიერთას მიმართ მიჰმადლეს კადნიერებაჲ, გამოიკითხვიდა მაიგან მოწაშე: თუ

\* ტექსტში სწორია „შესმესმენილი“, ხოლო სწორი ფორმა მიწერილია აშიაზე.

უინ არიედ და რადსათჳს მიწვენილ არიედ ქალაქსა მათსა, ხოლო მათ წადიდერე-  
 ბით და უცხოთ-მოყუარებით კაცისა ამის-მასპინძლობისა მრიდებელთა, და მის-  
 და თქუმადთა არავის თხრობისა მამცნებელთა, აუწყეს მას საედუმლოჲ იგი დო  
 ძმაცულებაჲ სივერაგისაჲ აღუარეს, ვითარმედ ფოკას ეძიებენ განსაპატიებელად,  
 5 და ევედრებოდეს, რადთა შესძინოს ქველის-მოქმედებაჲცა უცხოთ-მოყუარებასა  
 თანა და დაშურეს მათ თანა კართამდე<sup>1</sup> ძიებულისათა. ესჲა ესე მსახურსა უფ-  
 ლისასა და შეუძრწუნებელითა სულითა | სიტყუსა მის მიმთუალველსა, არარაჲ 652r/b  
 შეემთხუა მდაბალი და უმწნოჲ, არცა ზღვევისაგან შეშინებულმან ლტოლვაჲ მო-  
 ივერაგა, და ესე ფრიადისა და დაუყენებელისა ფლობისა განლტოლვისა[დქმი მქო-  
 10 ნებელმან<sup>2</sup>, | არამედ ყოველი წინა-აღმდგომი ყო<sup>3</sup> და მიეწამა ვედრებასა მათ- PG ვიბ  
 სსა «მეო,—ჰრქუა,—თანა შეგეწიო თქუენ წინამდებარისა მიმართ. რამეთუ ვიც-  
 ნობ კაცსა მას, და ადვილად მომძიებელმან გაუწყო; და ესე არა შორიელად,  
 არამედ შემდგომად დღისა ერთისა<sup>4</sup>. მხოლოდ თქუენ განისუწნებდით მკოლოფ-  
 სსა ამას საყოფელსა შინა».

15 ხოლო ესრეთ მტკიცედ მათდა აღთქუმისა თავსმდებმან, ორთა საქმეთჲ  
 განუკერძოა. თავი თჳსი: მასპინძლობასა მკლველთა თჳსთასა, და განშზადებასა  
 საფლაავისასა. ხოლო შემშხადა რაჲ სამარხოჲ, და დასაფლაავად მიმართ სათა- 652v/a  
 ნადონი, უკუანაჲსქენელ მათმან მოჯდომილმან ჰრქუა: «მხარკედ მოვიძიე ფოკა  
 და სანადირორჲ მზა არს, და გთნაჲს თუ, შეპყრობილ იქმნელა. ხოლო მათ ჰრქუსს  
 20 რაჲ მხიარულებით, ვითარმედ «სადა არს კაცი იგი», ჰრქუა: «არა შორს, არა-  
 მედ თქუენ თანა არს. რამეთუ თუთ მე ვარ იგი თქუენ თანა მყოფი ვინაჲ  
 იკუმით ბრძანებული და აღასრულეთ გზის საგრობისა და შრომისა თქუენი-  
 საა».

მუესმა რაჲ<sup>5</sup>, კაცთა მათ იწყლნეს სულითა, და შეჰყინდეს ოდენ სმენისა  
 25 მიმართ, მომგონებელნი მარილისა და ტაბლისა, და სიმკოდვესა შინა პატივის-  
 მოყუარისა მასპინძლისანი. ხოლო იგი ევედრებოდა მოკლვად შეკადრებასა | და 652v/b  
 არცა მცირედ ორგულებასა უბრძანებდა მეტყუელი, ვითარმედ არა მათისა ჰე-  
 ლისაჲ არს კლვაჲ იგი, არამედ მბრძანებელთა საქმე. თქუა, დაარწმუნა და ივ-  
 ნო. და თავ-წარკუშთილი საკუშრთხად შეწყყნარებულად მიერთუა ღმერთსა. და  
 30 მიერთოგან აქამომდე სუსტად და სიმტკიცედ ღმრთისაჲ<sup>6</sup> ეკლესიათად კაცთა

<sup>1</sup> ამ სიტყვის ადგილას ბერძნულში სწერია „*ἡγὶ κήρα*“ („ნადირი“), რაც მთარგმ-  
 ნელს „*ἡγὶ κήρα*“ ჰგონებია და „*κάρτα*“-დ გადმოთუცია.

<sup>2</sup> ამ სიტყვის („*ἔχον*“) შემდეგ ბერძნულში სწერია: «*ὅτι μήτε θῆλις ἦν ἕ: ἀν-  
 ὄν, ὁ παρ'ἑξείῃσιν ἐπέκρουσεν*», რაც B-ში ასეა გადმოცემული: «*რამეთუ არღა საცნა-  
 ურო იყო ჯერეთ მათ მიერ თუ იგი არს საძიებელი მათი*».

<sup>3</sup> ამ სიტყვის („*ἐπίει*“) შემდეგ ბერძნულში სწერია «*ἀνδρὶ ἕσθαι: μᾶλλον, καὶ ὀχ-  
 ρεσγῶν προήρησεν*», რაც B-ში ასე იკითხება: «*განვმდებოდა უფროჲს და არათუ სიფლ-  
 ტოლად განვმადებოდა*».

<sup>4</sup> ამ სიტყვის („*ἡγὶ ἐπίεισεν*“) შემდეგ ბერძნულში სწერია: «*καὶ ἀν-ὀξ ἔμειν ἐπ-  
 ὀξ*», რაც B-ში ასეა გადმოცემული: «*გჩრქუნო იგი*».

<sup>5</sup> «გუესმა რაჲა»-ს შესატყვისი სიტყვები ბერძნულში არაა.

<sup>6</sup> ამ სიტყვის („*ἡγὶ ἰερέων*“) შემდეგ ბერძნულში სწერია: „*ἡγὶ ὀξωσεν*“, რაც  
 B-ში გადმოცემულია ასე: „სთოფლისათა“.

გუაქუს იგი, და მოწამეთა არს უსაჩინოეს იგი რჩეულთა და სანატრელთა შორის პირველობისა მქონებელი.

- რამეთუ<sup>1</sup> ვარსკულავი ვარსკულავსა ჰმატს დიდებითა ზოგადისაცა საექვსაებრ და ჯმისაებრ ქურისა რჩეულისა და უფროსლა მკვდროანისა ყოველსა 5 კერძოსა სახელოანცა არს წმიდათა შორის და ყოველთა მიიზიდავს და ასწრავებს თვისისა საყოფლისა მიმართ. და სავსე არიან ფოლოცნი თითოეულისა 653 r/a სოფლებსანი სალოცველისა ადგილისა[დ]მი მოსწრაფეთაგან. ვინაჲ არს დიდ-  
 10 შუშნიერი ტაძარი მისი<sup>2</sup>, ქირვეულთა—ლხინებაჲ, დავრდომილთა ღონე<sup>3</sup>, ძვრ-  
 ხილულთა სამკურნალო, მომყმართა ეგვბტე<sup>4</sup>; და უუხუცსად ზრდის ფოკა აღ-  
 15 სრულებული, ვიდრე იოსებ ცოცხალი<sup>5</sup>. რამეთუ იგი ვეცხლად განჰყოფდა იტქლ-  
 სა, ხოლო ესე უფასოდ მოჰმადლებს მოქენეთა. და<sup>6</sup> ვითარ სახედ ზამთრისა  
 ეამსა ძვრ-ყოფსა საზრდელისასა ტრედნი ახალ ნამორჩთა ყანობირთა ზედა  
 მფრინვალენი ორნატა მათთა ზედა მსხდომარეობენ, ეგრეთ ყოველთავე გლა-  
 ხაკთა და მიმო-მრონინეთა ტომი სინოჰად, ვითარ საზოგადოდ საუნჯედმი მსრბრ-  
 20 ლობს. ხოლო თუ სადა სხუაგანცა ვითარ დედა-ქალაქით ვარდასამკვდრებელ-  
 სა მოწამემან მცირეთა ნაწილთა მიერ გარდაადგინა თავი თვისი. საკვრველ<sup>7</sup> PG 309  
 იგიცა ადგილი და ყოველთა ქრისტეანეთად სასწრაფო, ვითარ სახედ ჩუენ შო-  
 რისცა ესე ადგილი წმიდაჲ შესაქრებელი მედღესასწაულეთაჲ. «რამეთუ პატი- ფს. 115,6  
 ოსან<sup>8</sup> წინაშე უფლისაჲ სიკუდილი ღირსთა მისთაჲ» და მრავლით კერძო გან-  
 20 ყოფილნი სრულებით ყოველგან სცვენ სამგზის ნეტარისა შესხმასა:

მსრეთ უუქს სამეფოსაცა ქალაქსა, თხემსა იტალიასსა და დედოფალსა სოფლისასა შინა არს მისდა ფრიადი ძლუნისა შეწირვაჲ, და პატივი, და საჩინოჲ სახლი მოსწრაფედ განშუშნებული. და არა უდარეს ფოკას ჰმსახურებენ რომეონნი, ვიდრედა პეტრეს და პავლეს. და ვითარ სიტყუაჲ ასწავებს, თავი მთ 14,6

<sup>1</sup> აქედან მოყოლებული ვიდრე «და ყოველთა»-მდეს შესატყვისი ადგილი ბერძნულში არ არის.

<sup>2</sup> ამ სიტყვის («*ναρξ*») შემდეგ ბერძნულში სწერია: «*ὅς καὶ τὸ ξερὸν ἔχειν τὸν μάρτυρα ἐκλήρησθη τῷμα*», რაც B-ში ასეა გადმოცემული: «იგი მკვდრ არს პატიოსანი გუამი მოწამისაჲ».

<sup>3</sup> «დავრდომილთა ღონეს» შესატყვისი სიტყვები ბერძნულში არაა.

<sup>4</sup> სიტყვა «*εγβტე*»-ს ადგილას ბერძნულში სწერია: «*παράπει*» («*ტაბლა*»), რაც B-ში გადმოცემულია «*გამომზრდელი*»-თ.

<sup>5</sup> ამ სიტყვის ადგილას ბერძნულში სწერია: «*τὸ παρτερπον*».

<sup>6</sup> აქედან მოყოლებული ვიდრე სიტყვა «*ეგრეთ*»-მდეს შესატყვისი ადგილი ბერძნულში არაა. ცხადია, რომ ბერძნული ნუსხის გადაწერს აქ მოსვლია შეცდომა კიდურთ-მსგავსების გამო: «*οἷα*»-დან მეორე «*οἷα*»-ზე გადასულა. მართლაც და, თუ ამ პერიოდული წინადადების პირველ ნაწილს არ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ შედარება გვექნება შესადარებლის გარეშე.

<sup>7</sup> ამ სიტყვის («*μαμαατῶς*») შემდეგ ჩავარდნილია შემამნენელი «*არს*» ისევე, როგორც ბერძნულში: «*μαμαατῶς καὶ οὐτὸς ὁ τῶμα*», სადაც სიტყვა «*μαμαατῶς*»-ს შემდეგ იგულისხმება «*ταῦ*».

<sup>8</sup> ამ სიტყვის («*τῷμα*») შემდეგაც იგივე ამბავია, რაც ზემო შემთხვევაში. ბერძნულში აქ ასე იკითხება «*τῷμας γὰρ λαγυσιον τὸν Κυρίου ὁ μαμαατῶς τῷ τῷμα ἄπει*», სადაც სიტყვა «*γὰρ*»-ის შემდეგ «*ταῦ*» იგულისხმება.



| მოწამისაჲ მოსწრაფებით მოიგეს ბილწისა იროდის წინაუქმოთა ჯერ-ჩინებითა გამომრჩეველთა. რამეთუ მან, სისხლისა წყურიელმან, მართლისა თავი საგებებელად ითხოა; ხოლო მათ პატივად და სარგებელად თჳსად<sup>1</sup> მოილონეს.

და მენავეთა და ნავით მავალთა ყოვლით-კერძოვე არა ხოლო რომელნი 5 ეექსინოახსა წილსა<sup>2</sup> მცურვალობენ, არამედ აღრიახსაცა განმშებელნი, და ეგეოახსა ზედა ყვანებულნი, და რაოდენნი სამწუხროახსა\* უკეანოსსა მცორვალობენ, და აღმოსავლურთა წილთა შინა მეზღუტურობენ, ჩუტულებითნი\*\* მქადაგებელობანი, რომელთა მიერ მცურვალობისა შრომასა განუსუტნებენ, ახლითა წესითა შესხმად ახოვნისა ამის შეცვალეს, და ენასა მათსა ზედა არს სამგზის 653v/b  
10 სანატრელი<sup>3</sup> ესე, ვინაჲთგან ცხადად მიჰმადლებსცა შეწევნისა გამოცდილებათა. რამეთუ მრავალ-გზის ეჩუენა მმართველსა, აფქონისა ზედა | მორულებულ- PG 312  
სა ღამე დღევისა მოლოდებასა, და კულად ოდესმე საბლებისა განმრთხმელთა, და აფრისა მოურნეთა, და წინაჲთკერძო მჰკრობელთა სითხისათა<sup>4</sup>. ვინაჲ სჯულად დაიდევს მენავეთა თანა-მეინაჲედ ქონება ფოკაჲსი, და ვინაჲთგან აწ  
15 უსხეულოახსაჲ ცხორებისა ზიარად ქონებაჲ უღონო<sup>5</sup>, ისწავეთ ვითარ კეთილმსახურითა გულის-სიტყვათა მოისიბრძნეს შეუძლებელი: დღითი-დღე ჰამადთა ნაწილსა სწორსა მქამელთასა განუნაწილებენ მოწამესა. | ხოლო ერთი მეინა- 654r/a  
ვეთა მათგანი, მომსყიდელი მისი, დაუდებს ვეცხლსა, და უკუნაჲსკენელ სხუაჲ ვინმე და კულად სხუაჲ; და | ესრეთ წილი მოსყიდისაჲ ყოველთა ზედა ვიდრ- PG 313  
20 დის რაჲ. მისცემენ დღითი-დღე კერძოსა მას მომსყიდელსა. ხოლო რაჲჲამს ნავთ-სადგურმან მიითუალნეს იგინი, და ქუეყნად განვიდეს, ვეცხლი იგი განეყოფვის დაერდომილთა. და ესე<sup>6</sup> ნაწილ ფოკაჲსა დაერდომილთა ქველის-მოქმედებაჲ.

<sup>1</sup> ამ სიტყვის („ἐξαστῶ“) შემდეგ ბერძნულში სწერია: «μαρτυρῆς ἕνεκα ἁμαρτῶν παρ᾽ ἐπιτήρατον», რაც A-ში არაა გადმოცემული (ზმნის გარდა), ხოლო B-ში არის: «მოწამისა იგი თავი მოიძიეს და მიიღეს ღირსებით».

<sup>2</sup> საკუთარი სახელი „Πύριος“ უფარგმნიათ A-ში „წილ“-ად და B-ში „სიღრმე“-დ.

\* დედანში ამ სიტყვაზე მითითებით აშიაზე სწერია: „დასავლეთისა იტყვს“.

\*\* აშიაზე: „ჩუტულებითად“ ქადაგებად იტყვს მენავეთაგან ნავისა აფრის აღმოზიდვასა მენავეთაგან მოკსენებლთა წითა შეწევნად მომწოდებელობასა.

<sup>3</sup> „სამგზის სანატრელი ესე“-ს შესატყვისი სიტყვები ბერძნულში არაა.

<sup>4</sup> ამ სიტყვის („τὸν ἁψίραγῆν“) წინ ბერძნულში სწერია: „ἡ ἐξέρπας“, რაც A-ში გადმოცემული არაა, ხოლო B-ში კი ასეა: «და ძილისაჲან განაღვიტებენ».

<sup>5</sup> ამ სიტყვის ადგილას სწერია ბერძნულში „τὸ βράχ.“ („სოღდე“, „მეჩეჩი“), რაც მთარგმნელს გაუგია როგორც „βραχίη“ და „სითხისათა“-დ უთარგმნია (B-ში ეს სიტყვა სწორადაა გადმოცემული: იქ ამ ადგილას „კლდეთა“-ა).

<sup>6</sup> ამ სიტყვის („ἐπιτήρατον“) შემდეგ შემასმენელი „არს“ ჩაჯარდნილია ისევ, როგორც ბერძნულში, სადაც ვკითხულობთ: «Καὶ ἐπειδὴ τὸν ἦν ἀνάματον, ὁπότεον εἶνα: καὶ ἰουναγὸν τραπεζῆς ἐπιτήρατον». უნდა ითქვას, რომ B-ში ეს ადგილი უფრო ზუსტადაა გადმოცემული, ვიდრე A-ში; ეს ადგილი B-ში ასეა გადმოცემული: «ხოლო ვინაჲთგან აწ უკორო არს იგი და თანა-მეინაჲედ და თანაზიარ მიღებასა საზრდელისასა ვერ შემძლებელ». სიტყვა „ὁπότεον“ („თანა-მეინაჲე“) A-ში გამოტოვებულია.

<sup>7</sup> ამის („τῶν“) შემდეგ ჩაჯარდნილია შემასმენელი „არს“ ისევ, როგორც ბერძნულში: «τῶν ἡ μαρτῶν τῶν Φακῶ, πενήτων ἐμπερῶσι».

მშვიდნი ამას მეფენიცა ყოვლად მოთმინესა, და ღმრთის-მოყუარესა, და მდიდართა საუნჯეთა მიერ შეამკობენ საღმრთოსა<sup>1</sup> ტაძარსა მისსა, ხოლო ძლევის-მოყუარებენ მომავალნი უმოხუცებულესთა ზესთ-აღვდომასა. და არა საკვრველ<sup>2</sup>, უკუეთუ რომეონთა მთავრობისა მპყრობელთა, მამრთა კეთილ-მსახურთა, წესთა და სჯულთა შინა აღზრდილთა, ესრეთ კრძალულებდა აქუს ქრისტეს მსახურისა მიმართ, ვინათგან ბარბაროზამდეცა მიიწია საკვრველებად მისი: და ყოველნი ყოვლად ველურნი სკვთნი, რაოდენნი წიაღ-კერძო ევქსინო პონტოესა წმელისა მკვდრობენ, ტბასა მეოტიდოესსა და ტანიდოეს მდინარისა შენნი, და რაოდენნი ვოსპოროს შენობენ და ფასიდოეს მდინარემდე განრთხმულ არიან, ყოველნივე იგი ძღუესსა ართუმენ მემტილესა ამას. ხოლო ყოვლითა ჩუტულებითა და ქცევითა განყოფილნი ჩუენგან მხოლოდ ამით თანაჯერ-ჩინება იქმნებიან, ქცევითა ველურებისა ქეშმარიტებისა მიერ მომამშუდებლნი. ვინაჲ მიერ ერთმან მთავართაგანმან და მეფეჲმან თავით მოიჯადა გვრგვნი, ოქროთა და ქვათა ყუავილოვნებითა ბრწყინვალე, და აღიძარცუა საბრძოლი საჭურველი, მდიდრისა ნივთისა მქონებელი (რამეთუ ბარბაროზთა საჭურველი ანკანაკ და სახუაობელ არს), და მრჩობლნივე შესაწირავად მოუვლინა ღმერთსა მოწამისა მიერ და ძლიერებისა, და პატივისა მიზენზი სამღვდლო ყენა. რამეთუ ცხად არს, ვითარმედ გვრგვნი ვიდრემდე მეფობისა იყო ნიჭ, ხოლო საჭურველი—მბრძოლობათა ძალი.

ხოლო ამით ზედანი წვირებით შემთხუტულნი ქველის-მოქმედებანი ჩუენებათა შინათა ხილვათა მიერნი, და კურნებანი, რომელთა მიიხუმენ სნეულნი, ვითარმცა ვინ მიუთხრნა დლითი-დღე მოქმედებულთა ზედა სიტყვსა<sup>3</sup> მიტყვევებად შეუძლებელ ყოფასა თვნიერ?<sup>3</sup> ამას ოდენ ჯერ არს თქუმაჲ მრავალ-ღმრთობისა საცთურისა მსახურთა მიმართ, ვითარმედ ერთი მონაჲ ქრისტესი და თანამონაჲ ჩუენი მრავალთა თქუენ მიერ ღმერთად საგონებელთა უქეშმარიტესთა მოქმედებათა აღასრულებს; დაღუშნებოდედ მისნობანი ვითარ უკუჲ დაღუშნა მანცა ჩუენ შორისთა წინათქუმათგან მართლისათა ძლეულნი. ხოლო უქმებდედ მკურნალობისა სამოქმედებონი და ასკლიპიოს ნუ თაყუანის იცემებინ! ხო-

<sup>1</sup> ამ სიტყვის („πατριάρχης“) შემდეგ ბერძნულში სწერია: „πατριάρχης“ (=B: „სახლახაკოჲ“), რაც A-ში გადმოცემული არაა.

<sup>2</sup> ამ სიტყვის („μαμαρτ“) შემდეგ შემასმენელი „არს“ ჩავარდნილია ისევე, როგორც ბერძნულში: „καὶ ὁπῶτα μαμαρτ“ (უკანასკნელი სიტყვის შემდეგ „ἔστ“ იფულისხმება).

<sup>3</sup> ამ სიტყვის შემდეგ ბერძნულში სწერია: „ἦμεν τῶν ἑνὸν ἀποστόλων, ὁ ὁνομαζόμενος Πέτρος, ὁ ὁνομαζόμενος Κηφῆς, ὁ ὁνομαζόμενος Πέτρος, ὁ ὁνομαζόμενος Πέτρος, ὁ ὁνομαζόμενος Πέτρος...“. ხოლო რაც შეეხება სიტყვებს A-ში „ამას ოდენ ჯერ არს“-იდან მოყოლებული ვიდრე სიტყვა „თაყუანის ეცით“-მდე (233v) ბერძნულში არაა. აქაც ჩვენის აზრით, ბერძნული ნუსხის გადამწერელს შეცდომა დაუშვია კიდურთ-მსგავსების გამო. 232v სწერია: „ამას ოდენ ჯერ არს თქუმაჲ მრავალ-ღმრთობისა საცთურისა მსახურთა მიმართ“, ხოლო 233v: „რომეონიცა საცთურისა მიმართ უძღუებოდეს“. ხახვასმული სიტყვები მსგავსია (ბერძნულში ორივე ადგილს იქნებოდა „πατρὸς τῶν ἀποστόλων“). B-რედაქციაში კი ზუსტად ისეა, როგორც მინის პატროლოგიაში.

ლო დიოჯნ მსახურნი ნუ საგონებლობენ მენავეთა მეშუღლად რამეთუ უწყიან მცურვალთა ძკრთაგან გამომკსნელი.

სადა<sup>1</sup> მდებდრი მკითხველი, ცრუ-მისანი | მეძიებელთა ელამთა და უჩინო-  
 5 თა მიგებათა მიმადლებელი, რაჲთა სიტყუათა საეჭუღლობითა მიუმთხუღლო-  
 ბისა და ტყუელისა პასუხი წინა განიმზადოს? სადა<sup>2</sup> წყაროჲ მისნობითისა  
 წყლისა მშობელ საგონებელი? არა ყოველნი სიჩქურ და წარრევა<sup>3</sup>, რანიცა  
 საცთურისა მიმართ უძღუღობდეს? თაყუანის ეცით უკუღ ღმერთსა, რომლისა<sup>4</sup>  
 10 სარწმუნონი მონანი ესოდენსა მადლსა ღირს იკმნენს<sup>5</sup> არა თვთ-ველწიფებით  
 მოქმედნი, არამედ მათდა მოცემულისა ნიჭისაებრ ქველის-მოქმედნი თანა-მონა-  
 თანი; და ესე შემდგომად ამიერ განსლვისა და სხეულით განშორებისა<sup>6</sup>. იცანთ<sup>7</sup>  
 15 მონათაგან უფლისად დიდ-მუღნიერებაჲ, და აღიდეთ ქეშმარიტებით ყოველთა  
 ზედაჲ ღმერთი, | რომელსა მუღნის თაყუანის ცემაჲ<sup>8</sup> აწ და მარადის და საუ-  
 კუნეთა საუკუნეთაჲსა ამინ. 655r/2

<sup>1</sup>, <sup>2</sup>, <sup>3</sup> ამ სიტყვების შემდეგ ჩავარდნილია შემასმენელი „არს“.

<sup>4</sup> ამ სიტყვის („თ“) წინ ბერძნულში იკითხება: «*ὁ δὲ τῶν τῶν Ἰακώβου προσηλωμένων*», რაც B-ში ასეა ნათარგმნი: «დიდებაჲ შევსწიროთ მაცხოვრისა და ღმრთისა ჩუენისა».

<sup>5</sup> ამ სიტყვის („*ἡ γένεσις*“) შემდეგ ბერძნულში სწერია: «*ὅταν παρὰ πᾶσαν γένεσιν καὶ πειρασόν*», რაც B-ში ასეა: «ვიდრემდის ყოველსა ჭირსა და განსაცდელსა».

<sup>6</sup> ამ სიტყვის („*χωρισμός*“) შემდეგ ბერძნულში სწერია: «*ὅτι ἡ μνηστὴρ μετὰ τὴν ἔργον καὶ ἡμέραν διατρέχει πόνους καὶ ἀμάς πανταχὸν τὸν ἀπεργετην ἰερῶσισσ-σᾶ Κῆρσι*», რაც B-ში ასეა გადმოცემული: «რომელთა იგი საცხენებელი საქმეთა თანა დღი-თი-დღე მიმოიქუმის ქალაქთა შინა და დაბათა», როგორც ჩანს A-რედაქციის მთარგმნელი „*რე*“ („რომელთა“)–დან გადასულა მომდევნო „*ტ*“ („რომელსა“)–ზე გრაფიკული მსგავსებისა გამო.

<sup>7</sup> ამ სიტყვიდან მოყოლებული ვიდრე სიტყვა „რომელსა“–მდე ბერძნულ დედანში არაა.

<sup>8</sup> ამ სიტყვის ბერძნულში შესატყვისი არ მოეპოება და სიტყვა „მუღნის“ („*μῦσιν*“) შემდეგ ასე სწერია: «*πᾶσα δὲ τῶν, καὶ ἰακώβ, καὶ ἰακώβ, καὶ μὴ ἀποπῆσιν*», რაც B-ში ასეა გადმოცემული: «ყოველივე დიდებაჲ, და პატივი, დიდ-მუღნიერებაჲ და სიმტკიცე».

შესხმაა წმიდისა და ღიღებულისა ქრისტეს მოწამისა ფოკაჲსი.  
აღწერილი ნეტარისა ასტერიოს ამახიელ ეპისკოპოსისა.

მამაო გუაჟურთხენ.

ღიღებულ არს უკუჲ და ღმრთივ-განწესებულ ყოველი კრებული წმიდათა მოწამეთაჲ. რამეთუ ვნებთა ვნებისათვის | მაღლი. შეწირეს, ხოლო სისხლითა ყოველი თანანადები სისხლთა წილ მაცხოვრისათა გარდაივადეს. გარნა თუთ ამათ ყოველთა არა ერთი ღიღებამა კაცთა მიერ მიეცემის, არცა ერთი საზომი შესხმისაჲ დაემკვდრების, არამედ პირველობაჲ და შემდგომობაჲ—არცა თუ მათისა კრებულისაგან უცხო იქმნების. ხოლო მიზეზსა მისსა, ვითარ მე ვპოვნებ, კეთილად და უცთომელად განჩინებულ არს მართლ-მსაჯულისა მიერ; რამეთუ ხედავს სიდიდესა სატანჯველთასა და მოთმინებასა დგომისასა, და მძვნეარებასა გუჲშათასა და ღირსთა მისაგებელთა განუყოფს მათ თითოეულად და მსგავსად ლუაწლისა მათისა.

და უკუეთუ ღმრთისა მიერ ესრეთ პატივ იცემებიან მართალნი, არა არს საკვირველ: ვითარ იგი ოდესმე ჩუენ მიერცა ერის-მთავარნი და წყობათა წინამავალნი | არა თანასწორ იქმნებიან ერისაგანთა და მგედართა, არამედ აქაცა თითოეულსა საზომსაებრ წარმართებულებისა მიეთუალვიან მიგებანიცა იგი ნიქთა და საფასეთანი. ხოლო ესე ამისთჳს წარმოვთქუ, რაჲთა გიჩუჲნო, ვითარმედ მომცემელი ესე ჩუენდა მიზეზსა დღისა ამის შეკრებისასა, ფრიად უპატიოსნეს არს სხუათა მათ მის თანა-მოღუაწეთასა. რამეთუ სხუანი იგი არა ყოველნი ყოველთაგან ცნობილ არიან, და არცა სიმრავლითა სიმწნისათა ყოველთა შორის განთქუმულ. ხოლო ფოკას, ვინ არს რომელი არა იცნობს? რამეთუ ვითარცა მცხინეარებამა მზისაჲ განფენილ არს თუალთა ზედა ყოველთასა, ეგრეთვე მოწამისა განთქუმულებამა—მიწეენილ სასმენელსა ყოველთასა. ამის მიერ უკუხმე პატოსანსა ამას რაჲ ტაძარსა მისსა მოვიწიე, და დიდსა მას სამარხო-სა მისსა შევემთხვე მხოლოდ ადგილსა მის მიერ აღვსებულ ვიქმენ საკრველ-ბითა. და ესენებად მოვედ ერთბამად ყოველთა მისთჳს თქუმულთა თხრობათა.

რამეთუ ვხედავ მემტილესა და სახესა მას მისსა ლიტონსა და უმანკობა-სა | სოფლისასა, და უცხოთ-მოყუარებასა მისსა, უზეშთაეს ყოველთა მყოფთა ზღვს-კიდისათა, ჳველის-მოქმედსა შორის ქუეყნისა მყოფთასა და მოწაფე მო-

2 ქრისტეს + ზღვლ-მოწამისა B.—3 ეპისკოპოსისაჲ B.—4 მამაო გუაჟურთხენ abs. B.—9 შესხმისაჲ + ყლთა B.—10 მიზეზსა ამისა B.—14 გუემათასა B.—21 სწ<sup>ა</sup>თა A.—22 სი-მწნისაჲთა B.—23 განთქუმულ + არიან B.—25 მიწეენულ + არს B.—26 უკუხმე] უკუხმე B. რაჲ abs. B.—27 მხოლოდ] და B. ადგილისა ამის B.—28 თქუმულთა + და B.

წამისა ვიქმნებდი, და ვისწავებ ვიდრე დასასრულადმდე ქირთა უცვალებელად დაცვად ღმრთის-მსახურებისა. გარნა უკუეთუ გნებავს, დაუტეო ზოგადი იგი და ყოველთა საცნაური და ნემტსა მას თხრობასა მოწამისასა მიგიოთხრობდე თქუენ მოყუარეთა მაგათ მოწამისათა.

- 5        მსე კაცი წმიდაჲ და ღირსი, დიდი სარგებელი ქრისტეანეთაჲ, აღმო-  
ცენა უკუშ ადგილმან სინოპისამან, ქალაქმან მრავალ-ქამეულმან და ყოველთა A 249r/a  
შორის საცნაურმან კეთილ-პოვნიერებითა, მკნეთა, და მდიდართა, და ფილო-  
სოფოსთა კაცთაჲთა. ხოლო იყო მოქალაქობაჲ ამისი მოქმედებაჲ მტილისაჲ,  
რომელი იგი არს წინაშე ბჭეთა ქალაქისათა, და დაშენებულ არს პირსა თანა  
10 ზღვსასა, რომელსა იგი მოსწრაფებით და ტკივილთ-მოყუარებით იქმოდა ნუგე-  
შინის საცემელად ცხორებასა თვისსა და მვედრებელთა მიერთასა. ხოლო გა-  
ნულებდა უცხოთა ფრიადითა | წადიერებითა და განუშხადებდა მცირესა მას B 194a  
და საგლახაკოსა ტაბლასა; ექმნებოდა სადგურ მოგზაურთა და ყოველთა მომა-  
ვალთა დაუგებდა ზოგებით და სწორებით რომელი რაჲ ეპოებოდა; რამეთუ  
15 იყო იგი ლოთ არა სოდომით აღმოცენებული, არამედ სინოპით გამობრწყინ- შეს. 19;  
ვებული. | წელიწადთა პირველ წარსრულისა მის ამის, აღიბურვა სათნოებაჲ და A 249r/b  
აღსრულებაჲ იგი | მცნებისაჲ არა ექმნა მას უსასყიდლო: რამეთუ უცხოთ-მო- PG. 305  
ყუარებისა მიერ შეიძინა მან სიკუდილი, მიზეზი ცხორებისაჲ. ხოლო თუ ვინაჲ,  
გინა ვითარ, მცირედ გულს-მოდგინე იქმნენით და ისინით:
- 20        რაჲჟამს იგი იქადაგა სიტყუაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ, და საკრველებად  
იგი ქადაგებისაჲ მიიწია სასმენელსა ყოველთასა, რომელ არს ცნობაჲ ქრისტე-  
სი, და მეცნიერებაჲ საიდუმლოთა მისთაჲ, მაშინ უკუშ ალიძრნეს წარმართნი, ფს. Z.1-?;  
—სიტყუსაებრ ფსალმუნებასა, და მეფენი, და მთავარნი შეკრბეს ერთად და  
ერნი იგი საცთურებისანი განრისხნეს მეუფებისათჳს იესუსსა და ყოველი ქრის-  
25 ტეანე, ვითარცა ძვრის-მოქმედი იძიებვოდა: მახლობელი იტანჯებინ, ხოლო B 194b a  
შორიელი იღვენებინ. ამისთჳსცა ფოკა არა დაფარა არცა თუ უნდოებამან მო- A 249v/a  
ქალაქობისამან და მოქმედებამან მტილისამან, არამედ ეგრეთცა შესმენილვე იქმ-  
ნა ვიძარცვა ერთგული მოწაფე ქრისტესი.
- ხოლო წარმოგზავნილ რაჲ იქმნეს წარმყვანებელნი მისნი, და ებრძანა  
30 ბოროტისა ამის და წარმდინარისა სოფლისა მთავართაგან თვნიერ საშჯელისა  
და სიტყუს-გებისა მოკლვად მისი. რამეთუ იყო ბრალი მისი ღმრთის-მსახურე-  
ბაჲ; ბრალი, რომელსა მოქმედი იგი ბრწყინვალითა ჳმიდა აღიარებდა. და რო-  
მელი არა ჰკითხვიდა, მას საქმით უჩუწნებდა, ხოლო უკუეთუ ვინ ჰკითხვიდის,  
მას ჳმითა მაღლითა უღალადებდის.
- 35        და მიიწინეს რაჲ მტბრვალნი იგი მისისა სატანჯველისანი და მიზეზნი  
ჩუენისა დღესასწაულიქსანი, დაივანეს მათისა მის საძიებელისა თანა, რომელი A 249v/b

1, დასასრულადმდე + სატანჯველთა და B.—6 აღმოცენე A.—7 კოთლად-პოვნიერებითა B.  
—11 მიერთასა| მისთასა B.—14 ებოვებოდა B.—16 ამის abs. B. აღიბურვა| აღიშურვა B.  
—23 ფსალმუნთაჲსა B.—24 და| რ B.—25 იძიებოდა: მახლობელ თუ ვინმე იყვის, იტანჯებინ B.  
—26 შორიელი| გან-თუ-ეშორის B.—29 წარმყვანებულნი + იგი B.—32 იგი + მისი B.—33 ჰკით-  
ხვიდის B. უჩუენებდა B.—35 მისისა + მის B.—36 ჩუენისა + ამის B.



არცა მაშინ მეცნიერ იყვნეს, რამეთუ ჯერეთ დაფარულად აქუნდა მიზეზი მი-  
სლვისა თვისსაჲ, რაჲთა პირველად გარეშე ქალაქისა ისწავონ თუ ვინ არს ფო-  
კა, გინა სადა დამკვდრებულ არს; ამისთვისცა მოუტდეს შემპყრობელნი იგი, ვი-  
თარ ოდესმე ჰურთიანი იუტაჲს თანა მტილსა მას შინა უფალსა. და მი-რაჲ-ვი- მთ 26,<sup>17</sup>  
5 დოდეს, შინაგან ბადეთა აქუნდა ნადირი იგი, ვითარცა ძალთა ცხოვარი. და B 195a  
ვითარცა მგელთა კრაჲვი და «ვეფხთა თანა განისუქნებდა თიკანი, და მგელთა თა-  
ნა ძოვდა კრაჲვი და ლომნი იგი ვბოჲსა თანა ზოგად განიმზადებდეს სადგურსა». ეს. 11,<sup>17</sup>

ხოლო განემზადა რაჲ ტაბლაჲ ვითარ იგი მათ უქმდა, და პური[ს]მტეო-  
ბამან ურთიერთას კადნიერებაჲ მიჰმადლა, | იკითხვიდა მათგან მოწამე იგი: თუ  
10 ვინაჲ არიან, გინა რომლისა მიზეზისათჳს ქალაქსა მას მისრულ არიან. ხოლო  
მათ შეიკდომეს წადიერად შეწყნარებისაგან უცხოთ-მოყუარისა მის კაცისა და A 250r/4  
პირველად ამცნეს მას, რაჲთა არა ვის უთხრას სმენილი იგი და მერმელა აუწ-  
ყეს მას დაფარულებაჲ განზრახვისაჲ. და განაცხადეს ზაკულებაჲ თჳსი, ვითარ-  
მედ ფოკას ეძიებენ შეპყრობად და ტანჯვად. და უცხოთ-მოყუარებასა თანა  
15 ამისიცა ქველის-მოქმედებისა მინიჭებად ევედრებოდეს, რაჲთა მათ თანა და-  
შურეს მონადირებად საძიებელისა.

ხოლო ესე რაჲ ესმა სარწმუნოსა. მას მონასა უფლისასა, და შეუშფოთე-  
ბელითა სულითა სიტყუად იგი შეიწყნარა, არა შეემთხვა მდაბალთაჲ რაჲმე და  
მოშიშთაჲ, არცა | რაჲ ესევეითარი თქუა, და არცა შიშითა ღუაწლისაჲთა სიე- B 195b  
20 ლტოლად განიზრახა. და ესე მაშინ, ოდეს იგი ფრიალი ჯელმწიფებაჲ აქუნდა ამის- A 250r/6  
სა ქმნად; რამეთუ | არაღა საცნაურ იყო ჯერეთ მათ მიერ თუ იგი არს საძიე-  
ბელი მათი, არამედ ყოველსავე წინააღმდეგომსა იქმოდა: განმწნდებოდა უფრო- PG. 308  
25 კაცსა მას და ვიძიო რაჲ არა ძნელად, არცა ყამ რაოდენმე, არამედ ხვალისა  
დღე გიჩუქნო იგი, გარნა ხოლო ამას გევედრები. რაჲთა დაივიანოთ ჩემსა ამას  
უნდოსა სადგურსა და განისუქნოთა.

მსრეთ რაჲ მტკიცედ თავს-მღებ შე[ქ]ქმნა მათ | უწყებად საძიებელისა, თა-  
ვი თჳსი განყო ორთა საქმეთა მიმართ: სტუმრობისა მიმართ თჳსთა მათ მკლველ- A 250v/2  
30 თაჲსა, და განმზადებისათჳს თჳსისა საფლავისა. ამის ყოვლისა შემდგომად მო-  
უტდა მათ და ჰრქუა: «აჲა ესერა, მოსწრაფედ გიძიე თქუენ ფოკა || და მზა არს  
სანადიროჲ თქუენი და უკუეთუ გენბავს, შეიპყართ იგი». ხოლო მივილინებულ- B 196a  
ნი იგი სიძარულით ჰკითხვიდეს, ვითარმედ «სადა არს კაცი იგი?» და წმიდა-  
მან მიუგო: «არა შორს, არამედ თქუენ თანა არს. აჲა, მე ვარ საძიებელი თქუე-  
35 ნი; აწ უკუქ აღასრულეთ საქმით და ყავთ მიზეზი მგზავრობისა და შრომისა  
თქუენისა».

მსე რაჲ ესმა კაცთა მათ, იწყუნეს სულითა, და განკვრდეს სმენითა და

1 არცა + პ'ლ უწყოდეს და არცა B.—3 ვითარ + იგი B.—13 მას] მ'თ B.—18 მდა-  
ბალთა B.—20 მშ'ნი A. ამისა B.—23 სათხოველისა მათისათჳს] პატივით უწოდა მ'თ და B.  
—24 შეგაერთნე + თქ'ნ B.—25 რაჲდენმე B.—26 გიჩუენო + თქ'ნ B.—27 უნდოსა abs. B; გა-  
ნისუენოთ B.—28 შექმნა A, ექმნა B.—30 საფლავისა + და დასაფლველთაჲს B. ამის ყ'ნი (sic.) B.  
—35 შორს + არს B. საძიებელი + იგი B.—35 უკუე B. II და + გზისა B.

სირცხვლეულ იყვნეს მარილითა შენელებულისა მის ტაბლისა და სიგლახაკესს *A 250v/b* შინა სიყუარულით პატივის-მცემელისა შემწყნარებელისაგან.

5 ბარნა ეგრეთცა ჯერეთ ევედრებოდა წმიდაჲ იგი, რაჲთა კანნიერ იქმნენ სიკუდილსა მისსა, და არცა თუ მცირედ ორგულებდეს აღსრულებად ბრძანებულსა. და ეტყოდა, ვითარმედ «არა თქუენისა კელისაჲ არს კლვისაჲ ეგე ბრალი, არამედ მბრძანებელთა თქუენთაჲ». ესე რაჲ ჰრქუა, არწმუნა, და-  
არწმუნა რაჲ, ევნო: და მახვლითა წარეკუშთა თავი, და მსხუტრპლი სიხარუ-  
ლისაჲ შეიწირა ღმრთისა, სუტტი და სიმტკიცე ყოვლისა სოფლისა | წმიდათა *B 196b* ღმრთისა ეკლესიათაჲ.

10 მსე გუაქუს ჩუენ კაცთა მიერითგან ვიდრე მოაქამდე და არს ესე მოწამე-  
თა შორის წარჩინებულ, და განწყობილსა მათსა თანა შეერთებულ; ესე მო- *A 251r/a*  
იზიდავს ყოველთა ყოვლით-კერძო თვისისა მის მიმართ სამკჯდრებელისა. რამე-  
თუ აღსავსე არიან ველნი მოგზაურთა მიერ თითოეულისა სოფლებისგან აღ-  
გილსა ამას ლოცვად შრამავალთა. ხოლო დიდად შუშნიერი იგი მკჯდრ არს  
15 პატიოსანი გუამი მოწამისაჲ, ექმნების განმსუშნებელ ჰირვეულთა, განმკურნე-  
ბელ სნეულთა და გამომზრდელ მომყმართა; რამეთუ უმდიდრეს ზრდის ფოკა  
აწ აღსრულებული, ვიდრე იოსებ ეგვტეს არა აღსრულებული; რამეთუ იგი *შეს. 41, 66*  
ვეცხლად განსცვალებდა იფქლსა, ხოლო ესე უსასყიდლოდ მიანიჭებს მედრე-  
ბელთა. ესრეთ უკუშ სიმრავლენი გლახაკთა და უღონოთანი სინოპისა ზღუს-კი-  
20 დედ მისწრაფიან ვითარცა ზოგადისა რაჲსმე და ზიარისა საუნჯისა. და ესე- *A 251r/b*  
ვითარი არს აღგილსა მას მყოფი დიდებდა მოწამისაჲ.

ხოლო უკუეთუ სხვთ კერძოცა სამე მიცემითა მცირისა ნაწილისაჲთა მო-  
წამემან ვითარცა სამკჯდრებელი | რამე დედა-ქალაქი თვისად განაჩინა, | ს- *B 197a*  
კარველ არს იგიცა აღგილი, და მოსწრაფედ მისლვისა ღირს ყოველთა ქრის- *PG. 30g*  
25 ტენანეთაგან, ვითარ ესე არს ჩუენი ესე სამდღელოჲ მწყობრი, საჯანე მედღე-  
სასწაულეთა. რამეთუ პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მის-  
თა და მრავლით-კერძო განყოფილნი იგი ნაწილნი ყოვლითურთ სრულ და  
ცხოველ ჰყოფენ სამგზი[ს] სანატრელისა ამის დიდებასა და განთქუმულე-  
ბასა.

30 მსრეთ უკუშ სამეფთოსა მასცა ქალაქსა, თავსა იტალიისასა და დედო-  
ფალსა სოფლისასა, მყოფ არს ყოვლით კერძოჲ ძლუნის-შემწყირველობაჲ და  
პატივი მისი. ტაძარი შუშნიერი და სახილველად ყოველთა აღმართებულთ. რა- *A 251 v/a*  
მეთუ არა უნაკლულევიანეს პეტრესსა და პავლესსა იმსახურების მათ მიერ ფო-  
კა, ვინაჲცა, და ვითარცა სიტყუად გუასწავენს, თავი მოწამისაჲ მოსწრაფებით  
35 მოიძიეს წინააღმდეგრმად ბოროტსა მას ნებასა ჰეროდიაჲსსა. რამეთუ მას სისხლ- *მთ 14, 6*  
თათუს სწყუროდა მართლისათა, და თავი იგი პატიოსანი, შეურაცხ-ყოფად

1 ტაბლისაგან *B*.—3 ევედრებოდავე *B*; კანნიერ იქმნენ *B*.—4 ორგულებდეს *B*.—6 არს  
თქუენისა კელისაჲ არს კლვისაჲ ეგე ბრალიქარა თქნი არს ბრალი ეგე *B*.—11 წარჩინებული *B*;  
შეერთებული *B*.—12 მის მიმართ] მომართ *B*.—14 იგი + ტაძარი სადა იგი *B*.—19 უკუე *B*.  
—25 მწყობრი + რლთა მრ გწმუნედების ყი მწობრი მედღესასწაულეთა *B*. სავანე *abs. B*.  
—26 მისთა *B*.—28 სამგზისანატრელისა *A*.—30 უკუე *B*; დბაჲ *A*.—30 თავსა + მას *B*.  
—31 სფლრსა *B*.

მისსა ითხოვა უღირსებით. ხოლო ამათ პატივისცემისათჳს მისიქსა და სარგებე- B 197b  
ლისა თჳსისა მოწამისა იგი თავი მოიძიეს, და მიიღეს ღირსებით.

ხოლო კუალად მენავენი და ნავით მავალნი ყოველნივე არა ევქსინოდასა  
სიღრმეთა ხოლო განმავალნი, არამედ რომელნი იგი ანდრიანოსისასა მას წი-  
5 აღ ვლენ, და რაოდენნი დასავალისა უკიანოსსა ვლენ, და ეგეოდასსა მას გა-  
ნაპებენ, და რომელნი იგი აღმოსავალისა წიაღთა თანა-წარჳდებთან ჩუქულე- A 251v/b  
ბითა მით ბრძანებისადათ. დაღაცათუ შრომისა მისგან ოდესმე განისუშნებენ,  
არამედ ქებით ჳსენებასა მოწამისა არაოდეს დააცადებენ. რამეთუ ენისა მიერ  
ყოველთადასა ფოკა იგალობების. ვინაფთვან იგიცა სამარადისოდ მისცემს შე-  
10 წვენისა თჳსისა სიმრაველსა.

მრავალგზის უკუქ ეჩუშნებინ, ოდესმე ღამით დაადგობინ, მენავეთ-მძღუარ-  
სა და | ძილისგან განალუძებენ, და მოწვენასა ქარისასა აუწყებენ, და საჭეთა PG. 312  
პყრობად უბრძანებენ. კუალად ოდესმე კეთილად განგებად საბელთა და გან-  
მართებად აფრისა აწუშენ, და წინა აუწყებენ და შესაკუთრებულთაგან კლდეთა  
15 განაკრძალენ. ვინაფცა ჩუქულეობა იქმნა მენავეთა შორის, რაფთა ფოკა აქუნ- B 198a  
დეს პურის-მტედ თჳსსა. ხოლო ვინაფთვან აწ უჭორცო არს იგი, და თანა-მე- A 252r/a  
ინაჳე, და თანა-ზიარ მიღებასა საზრდელისასა ვერ შემძლებელ, იხილეთ თუ ვი-  
თარი სიბრძნე აჩუშნა გულის-სიტყუამან მოყუარებან ღმრთის-მსახურთამან უღო-  
ნოებისათჳს საქმისაჲ. რამეთუ ნაწილსა მას დღითი-დღედისა საზრდელისა  
20 მათისასა თანა-ზიარ ჰყოფენ, და დასდებენ მოწამისათჳს ვითარცა ერთისა მათ-  
განისა. და მიიღებს მას და განჰყიდის ერთი პურისმტეთა მათგანი და მის  
წილ ვეცხლსა დაიუნჯებს. და ამას იქმან ყოველნი, რომელნი იყვნენ ნავსა მას  
შინა თითოეულსა დღესა ერთნი მეინაჳენი, და შემდგომსა სხუანი პურის-  
25 მტენი, და კუალად სხუასა სხუანი. | და ესრეთ წილსა მას ხუშდრებულსა დღი- FG. 313  
სასა აღასრულებენ თითოეული თჳსსა დღესა | და მისცემენ ნაწილსა წმიდისა- A 252r/b  
სა მას, რომლისადა ერწმუნოს განსყიდაჲ მისი. და ესე იქმნების მათ შორის  
ვიდრემდის მიიწინენ ვიდრეცა მივიდოდინ. და მი-რაჲ-იწინენ ჳმელადა, გა-  
ნუყოფენ ვეცხლსა მას | გლახაკათა და მშვიერთა. და ესე არს ნაწილი ფოკადსი, B 198b  
ქველის-მოქმედებაჲ გლახაკათა.

30 ამის საქმისა სმენითა განჰკრთეს მეფენიცა და დაუკვრდა. ებაძენეს  
შურსა მას მოთმინეთა. და ღმრთის-მსახურთასა და საგანძურთა მათთაგან განა-  
შუშნეს და შეამკვეს სახლი იგი საგლახაკოჲ, ყოველთა მიერ ხილული და ქე-  
ბული; სადა იგი შემდგომნი მათნი მოსაყდრენი მოსწრაფე არიან, რაფთა ჳემ-  
თა ექმნენ პირველთა მათ ქველის-მოქმედებითა.

35 არამედ არა ესრეთ საკვრველ არს, უკუეთუ მთავარნი ბერძენთა, კაცნი  
აღზრდილნი ღმრთის - | მსახურებასა შინა, და შჯულთა, და წესთა მოყუარე- A 252v/a  
ბასა ესრეთ სარწმუნოებით გულს-მოდგინე იქმნენ მსახურებასა წმიდისა ქრის-  
ტეს მოწამისა, ვინაფთვან ოდესმე ბარბაროზთამდეცა მიიწია საკვრველბაჲ  
მისი. და ყოველთა კაცთა უველურესნი იგი სკვთნი, და რაოდენნი იყოფებიან

5 დასავალისა + მას B; ეგეოდასსა B.—14 აწუშენ B; შესაკუთრებულთა კლდეთაგან B.  
—19 საქმისა B.—20 მათგანისათჳს B.—23 შემდგომსა + დღესა B.—24 ხუშდრებულსა. B.—27 ჳმე-  
ლად B.—30 დაუკვრდა + და B.—31 განაშუენეს B.—34 იქმნენ B.—36 ღის სხურებასა A.

- წილ-კერძო სიღრმესა მას ევქსინოფსა, და ქალაქსა მეოტიდოფსა, და მკვდრ არიან მდინარესა თანა ნადროფსა<sup>2</sup>, და რაოდენნი მყოფ არიან ეოსპორს, და მიიწევიან ვიდრე | მდინარედ ფასიდოდმდე, ესე ყოველნი ძლუნის შეწერიველ B 199a  
 ექმნებიან მემტილესა მას და რომელნი იგი განწვალებულ არიან სახისგან და  
 5 წესისა ჩუენისა ამას ზედა, ხოლო ერთ არიან ჩუენ თანა გონებითა და განზრახ-  
 ხითა. რამეთუ სახე იგი ველურებისა მათისაჲ ქეშმარიტებისა მიერ მომშუღე-  
 ბულ იქმნა. | ამისთვისა ერთმან მეფეთა და მთავართა მათთაგანმან აღიჭადა A 252v/15  
 გვრგვნი თავისა თვისსაჲ ოქროფთა, და ყუაველითა თუალთა პატიოსანთაჲთა  
 განბრწყინებულნი, და ეგრეთვე ფარი თვისი, რომელსა ფრიადი ნივთი აქუნდა  
 10 სიმღიდრისაჲ, ვითარ იგი არს წესი მზუაობართა მათ ბარბაროფთა საქურვე-  
 ლისაჲ, და ორივე იგი წარმოსცა შესაწირავად მოწამისათჳს ქრისტესისა. და  
 ძალითა და ღირსებითა გამოაჩინა მიზეზი ძლუნთა მათ ღირსებისაჲ, რომელ-  
 ნი იგი საცნაურ არიან. რამეთუ გვრგვნი იგი სამეუფოჲ იყო შესაწირავი, ხო-  
 ლო ფარი—ძლევისა მტერთაჲსა და უვნებელად დაცვისა.
- 15 ხოლო დღითი-დღე მოწევენულნი იგი მის მიერ ქველის-მოქმედებანი—ხილ-  
 ვათა მიერ ჩუნებისათა, და კურნებათაგან, რომელთა | სნეულნი მიიღებენ, ვი-  
 თარ ვინ მიგიტხრნეს?! რამეთუ შეუძლებელ არს დღითი-დღედ ქმულთა მის  
 მიერ ქველის-მოქმედებათა გამოთქუმაჲ სიტყუთა ჩუენითა. არამედ ჩუენ თქუ-  
 მისაგან აქა დადგომილთა, დიდებაჲ შევწიროთ მაცხოვრისა და ღმრთისა ჩუე-  
 20 ნისა, რომელმან თვისნი მონანი სარწმუნონი ესევეთარსა მადლსა ღირს ყვნა,  
 ვიდრემდის ყოველსა კირსა და განსაცდელსა თანა-მონათა თვისთასა წელის ამ-  
 პურობელ ექმნებიან მოცემულისა მისებრ მათდა მადლისა. და ამას ჰყოფენ  
 შემდგომად ამიერ განსლვისა და ჯორცთაგან განყოფისა, რომელთა იგი საცნე-  
 ნებელი საქმეთა თანა დღითი-დღე მიმოითქუმის ქალაქთა შინა და დაბათა. და  
 25 ყოველთა შორის ქადაგებს ქველის-მოქმედსა უფალსა, რომელსა ჰმუნის ყო-  
 ველივე დიდებაჲ და პატივი დიდ-შუენიერებაჲ და სიმტკიცე აწ და მარადის  
 და დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა საუკუნეთაჲსა.

B 199b  
A 253r/15

1 მეოტიდოფსა A.—2 ნაიდოფსა B.—3 ძლუნისა B.—4 იქმნებიან B.—16 ჩუენებისა-  
 თა B.—17 ქმნილთა B.—18 არაუდ ჩუენ თქუმისაგან აქა დადგომილთა ად მეტყუელებაჲ ჩუნ  
 აქა დადგომილ და დასრულებულ იყავნ და ჩუნ დიდებაჲ.—21 მონათა + მთ B.—26 დიდად  
 შუენიერებაჲ B.—27 საუკუნეთა + უქე ამინ B. საუკუნეთაჲსა abs. B.

«მრავალთავი»

«მრავალთავი», როგორც სახელწოდებაც მიგვითითებს, წარმოადგენს ისეთ წიგნს, რომელშიც მრავალი სტატია ანუ თავია შესული. ისინი საქრისტიანო მწერლობის ცნობილ ავტორებს ეკუთვნიან. აღმოსავლეთის ეკლესიის მოღვაწეების გვერდით დასავლეთის ეკლესიის მოღვაწეებიც უგულვებელ ყოფილნი არ არიან. შედარებით მოგვიანო ხანის ხელნაწერ ნუსხებში ქართველ მწერალ-მწიგნობართა კალმის ნაყოფსაც ვხვდებით მათში.

კრებულში შემავალი მასალა გარკვეული რიგითაა წარმოდგენილი. ესაა ძველად ჩვენში საყოველთაოდ ეკლესიის მიერ მიღებული კალენდარული რიგი. იგი დეკემბრის 24-დან იწყებოდა. ამ რიგზეა სათანადო მასალა წარმოდგენილი საგალობლების კრებულში, ე. წ. იადგარებში<sup>1</sup>, «განჩინებისა და განწესების» წიგნებში<sup>2</sup> და სხ... «მრავალთავების» სტატიას ან, უმეტეს შემთხვევაში, სტატიების სერიას ჩვეულებრივ წარწერა გააჩნია იმის მაუწყებელი, თუ რა დღესთან არიან ისინი დაკავშირებული. ყოველ სტატიას (საკითხავი) ეწოდება, რაც იმას მოწმობს, რომ გარკვეული დღისათვის ესა თუ ის სტატია წასაკითხავად ყოფილა დანიშნული და არა, ვთქვათ, საგალობლად ან სხვა რამედ. საკითხავები ყოველი დღისათვის კი არაა დანიშნული, არამედ ე. წ. საუფლო და მთავარ მოწამეთა დღეებისათვის, ე. ი. უმთავრესი საეკლესიო დღესასწაულებისათვის. ქვემოთ წარმოდგენილ ნაკვეთში ასეთებია: ხარება, შობა, დავით და იაკობისა და სტეფანე პირველ-მოწამის ხსენებანი.

«მრავალთავის» საკითხავები ამა თუ იმ დღის სამღვდელთ-მსახურო მოქმედების დროს იკითხვოდა ეკლესიაში შეკრებილთა საყურადღებოდ. საკითხავის თემა ამა თუ იმ დღის დღესასწაულისა და მოღვაწის ხსენება იყო. ისინი უმთავრესად ან ჰომილიებსა ან და მარტვილობა-ცხოვრებას წარმოადგენენ. ღვაწლის შესწმას, რომელიმე მოღვაწის წამების ანდა ცხოვრების თხრობას, ქრისტიანობის მიმდევართა სარწმუნოებაზე განმტკიცება ჰქონდა მიზნად. მიზნის განხორციელება «საკითხავებისათვის» არა მარტო შინაარსისა, არამედ ფორმის დაძებნასაც განსაზღვრავდა. ენის მხატვრულობას, უმთავრესად მისი ლიტონო-

<sup>1</sup> უძველესი მათგანის ნიმუშია კილ-ეტრატის ხელნაწერი IX საუკუნისა.

<sup>2</sup> ქ. ქვექელიძე, Иерусалимский канонарь VII в., Тб. 1912 г.



ბის დაცვით, უაღრესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომაც სწორედ ამ დარგის მწერლობას საეკლესიო მწერლობის ისტორიაში belles-lettres-ად მიიჩნევენ.

ქართული «მრავალთავები» მარტო ამ თვისებით არ იპყრობენ ჩვენს ყუჩადღებას. ისინი არა თუ მხატვრული სიტყვის ძველ ნიმუშებს, არამედ, ამასთან ერთად, ადრინდელსაც გვაწვდიან. საზოგადოდ ისინი შეიცავენ უმეტესად ქრისტიანობის ხანის ქართული მწერლობის იმ ძეგლებს, რომლებიც V—IX ს.ს-ში აღმოცენდნენ ჩვენში. აქვეა მოთავსებული თვით ქართული ორიგინალური შემოქმედების ადრინდელი ძეგლებიც (შუშანიკი, აბო და სხ...).

უძველესი «მრავალთავი», რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია, ე. წ. «ხანმეტის მრავალთავია», რომელიც პალიმფსესტში მიაკვლია და 1927 წ. გამოაქვეყნა კიდევაც აკად. აკ. შანიძემ<sup>1</sup>. მცირეა ამ «მრავალთავიდან» გადარჩენილი ტექსტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის უაღრესი მნიშვნელობისაა. ჯერ იმით, რომ ის სტატიები, რომელთა ნაწყვეტები აქ მოიპოვება, საკმაოდ ძველი ხანისაა. «მრავალთავის» გამომკვმელი ამ კრებულს VIII ს-ისათვის მიიჩნევს აღმოცენებულად<sup>2</sup>. ცხადია, მასში შესული ტექსტები ამ ხანაზე უფრო ადრეა ნათარგმნი. მეორე საინტერესო მხარე ისიცაა, რომ ის ფრაგმენტები, რომლებიც ამ «მრავალთავში» მოგვეპოვება, მერმინდელ «მრავალთავებშიაც» რედაქციულად თითქმის უცვლელადაა დაცული. ეს გარემოება შესაძლოდ ხდის ვივარაუდოთ საერთოდ «მრავალთავების» მიმართ ის, რომ მათში დაცული ძველი დროის თარგმანები რედაქციულად ხელუხლებელი არიან.

პირველი თარიღიანი ძველი ხელნაწერი «მრავალთავისა» სინას მთის «მრავალთავია», რომელიც გრიგოლ ხანძთელის მოწაფის მაკარის მიერაა გადაწერილი 864 წელს. ეს «მრავალთავი» პროფ. ალ. ცაგარლის აღწერილობის (1898 წ.) შემდეგ სამეცნიერო წრეების დიდ ყურადღებას იპყრობდა. 1902 წ. მის შესწავლას ადგილზე აკად. ნ. მარტი და აკად. ივ. ჯავახიშვილი აწარმოებდნენ<sup>3</sup>. აკად. ნ. მარტი ამ ძეგლის უდიდესი ნაწილის ფოტო-პირიც კი გადაიღო, ხოლო მისი აღწერილობა მხოლოდ ამ ბოლო დროს გამოვიდა<sup>4</sup>. ამ აღწერილობიდან ნათლად ვხედავთ, რომ ამ ძველ «მრავალთავშიაც» სტატიების შერჩევის დროს ანგარიში ეწევა კონფესიონალურ მომენტს. ეს აშკარად ჩანს ზოგიერთი დოგმატიკურ-პოლემიკური სტატიიდან, რომლებიც დიოფიზიტური ეკლესიის შეხედულებას ასაბუთებენ ამა თუ იმ დღესასწაულისათვის გარკვეული დღის დასაქანონებლად და სხ....

უთარილოა, მაგრამ IX ს-ად მიიჩნევენ ე. წ. «უდაბნოს მრავალთავსაც» (საქ. მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდრი № 1109). სრულად არც ეს ხელნაწერი

<sup>1</sup> ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII. გვ. 98—159, ტფ.: 1927 წ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 109.

<sup>3</sup> Н. Я. Марр, Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джавахишвили, и в Иерусалиме, в поездку 1902 г. (апрель-ноябрь): Сообщения Палест. Общ-ва, т. XIV, ч. 2, СПб, 1904 г., стр. 1—51.

<sup>4</sup> Н. Я. Марр, Описание груз. рукописей синайского монастыря, М.-Л. 1940.

ჩვენამდის მოღწეული. მას აკლია დასაწყისშიაცა და ბოლოშიაც. საკითხავები აქ იანვრის თვიდან იწყება, მაშასადამე, წინა ნაწილი, ე. ი. დეკემბრის თვის საკითხავები, დაახლოებით წინამდებარე ნაკვეთის მოცულობისა, ამ «მრავალთავს» დასაწყისში აკლია.

ძველი «მრავალთავებიდან» სხვები X—XI ს.ს-ებს ეკუთვნიან. თარიღი არც მათ აქვთ, მაგრამ სხვა ნიშნულობანი ამას მოწმობენ. სამი მათგანი საქართველოში იპოვება (A—№ 19, № 95 და № 144), ხოლო ერთი—საზღვარგარეთ, —ათონზე (№ 57)<sup>1</sup>. ათონისა და თბილისის ორი ხელნაწერი (A—№ 95 და № 144) ნუსხა-ხუცური ხელითაა შესრულებული, ხოლო ერთი—A № 19—ასო-მთავრულით. პირველთ XI ს-ად ქიიჩნევენ, ხოლო მეორეს—X საუკუნისად. სრული სახით არც X—XI ს.ს-ის «მრავალთავებს» მოუღწევია ჩვენამდის; თითქმის ყველას აკლია თავსა და ბოლოს. დასაწყისი ნაწილი დიდად აქვთ დაზიანებული შემდეგ თბილისურ ხელნაწერებს: A—№ 1009 და № 144-ს, ხოლო ბოლო—A № 19-სა და № 95-ს.

«მრავალთავი», როგორც აღვნიშნეთ, საკითხავების წიგნია. იქ ვხვდებით საუფლო დღესასწაულთა და მთავარ წმინდანთა ხსენებისადმი მიძღვნილ ენკომიებს ანდა წამება-ცხოვრებათა წიგნებს. შემონახული ხელნაწერი ცალეხი მოწმობენ, რომ ზოგჯერ ენკომიებს წამება-ცხოვრებათა ტექსტები სჭარბობენ. არის ისეთი «მრავალთავები», რომლებიც ოდენ მარტილობა-ცხოვრებათა ტექსტებს შეიცავენ. სომხურ მწერლობაში ასეთებს ძველად «მარტიროლოლონი» (*մարտիրոլոլ*) ჰრქმევია<sup>2</sup>. «მრავალთავის» ცალკეული სახეები, ცხადია, საკუთარი სახელწოდების მატარებელი იქნებოდა ქართულშიაც, მაგრამ ჯერ ასეთი არსად შეგვხვედრია. «მარტიროლოლონის» ქართული ხელნაწერების ნიმუშად შეიძლება XI ს-ის ცნობილი «მრავალთავი» H—№ 341 დავასახელოთ, რომელიც კალენდარულ რიგზე გაწყობილ წამება-ცხოვრებათა წიგნებს შეიცავს.

«მრავალთავი», რომლის გამოცემას ამ ნაკვეთით ვიწყებთ, ძირითადად თბილისის ხელნაწერებს ემყარება. «მარტიროლოლონის» ტიპის «მრავალთავების» გამოცემა ცალკე გვაქვს გადაწყვეტილი, ხოლო ის «მრავალთავი», რომელსაც აქ ვაქვეყნებთ, იმ ტიპს ეკუთვნის, რომელშიაც მასალა ჯერ კიდევ შინაარსობლივ დაუნაწევრებელია (ენკომიები და მარტილობა-ცხოვრებანი ერთად არიან). ასეთია სწორედ ჩვენამდის მოღწეული ზემორუ ხსენებული «მრავალთავების» უძველესი ნუსხები.

აღნიშნული გვქონდა, რომ ქართული «მრავალთავების» ნუსხებს დასაწყისი ცოტად თუ ბევრად აკლია-თქო. ამისდა მიხედვით ჩვენც საფუძვლად ის «მრავალთავები» ავარჩიეთ ამ ნაწილისათვის, რომელთაც ეს მხარე ნაკლებ დაზიანებული აღმოაჩნდათ. თბილისის ხელნაწერებიდან ასეთებია A—№ 19 და

<sup>1</sup> Н. Марр, Агиографические материалы по груз. рукописям Иверы. Часть I. Описание пяти пергаментных рукописей: Зап.-Вост. Отд... т. XIII, стр. 1—88. СПб. 1901.

<sup>2</sup> იაკობ ტურტაველი, «მარტულობა შუშანიკისი». ქართული და სომხ. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფ. 1938, გვ. 028, შენ.

№ 95. ესენი დაახლოებით ერთნაირ რიგსა და საკითხავენს გვიჩვენებენ: საკითხავენის რიცხვი შედარებით გაზრდილია A—№ 95-ში, მაგრამ ის მასალა, რაც კი A—№ 19-ს ხვდება, ორივეგან ერთი და იგივე რედაქციისა ჩანს. თბილისური «მრავალთავების» კიდევ ერთი წყვილი—A № 1009 და № 144—დაახლოებით ერთნაირი რიგისა გამოდგენენ, ეს კი მეტად ხელსაყრელი გარემოებაა, რადგან ყველა ხსენებული «მრავალთავეის» გამოყენებით საშუალება გვეძლევა, დაახლოებით მთლიანი სახით აღვადგინოთ ძველი «მრავალთავეი».

საქართველოს გარეთ არსებული «მრავალთავებიდან» ერთ დროს ათონურის ცალკე გამოცემა გადაწყვიტა და განხორციელებასაც მიჰყო ხელი აკად. ნ. მარმა. მოახერხა მხოლოდ პირველი ნაკვეთის გამოცემა ფრანგული თარგმანითურთ<sup>1</sup>. სისტემებრივი სახით სხვა «მრავალთავეის» გამოცემა არავის უცდია<sup>2</sup>. ჩვენი გამოცემისათვის, ბუნებრივია, ჩვენ ვიყენებთ, აკად. ნ. მარის მიერ გამოცემული «მრავალთავეის» ხსენებულ ნაკვეთს, ისე როგორც სხვების მიერ გამოცემულ ცალკე სტატიებსაც ხსენებული «მრავალთავებიდან». «მრავალთავების» გარეშეც თუ სადმე ძველ ხელნაწერში შევნიშნეთ «მრავალთავეში» შესული რომელიმე ცალკე თავი, ჩვენ ასეთ ხელნაწერებსაც სათანადო ანგარიში გაუუწიეთ. თბილისური ხელნაწერებიდან ჩვენი ნაკვეთისათვის ასეთი აღმოჩნდა H—№ 535 ხელნაწერი, რომელიც XI ს-ის მეორე ნახევრისა უნდა იყოს. იგი ნუსხა-ხუცურით არის შესრულებული და ორთოგრაფიულად მხარს უჭერს ამდროინდელ მხედრულ ნაწერებს.

წინამდებარე ნაკვეთისათვის, რომელიც ინსტიტუტის «მოამბის» წინამდებარესა და მომდევნო №№-ში იბეჭდება, შემდეგი ხელნაწერებით ვისარგებლეთ:

B — საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდის ხელნ. № 19, X საუკუნისა.

C — საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდის ხელნ. № 95, XI საუკუნისა.

E — ათონის «მრავალთავეის» ხელნაწერი № 57, XI ს-ისა<sup>3</sup>.

H — საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა H ფონდის ხელნ. № 535, XI საუკუნისა.

ამათ გარდა ვისარგებლეთ ახლახან გამოსული სინას მთის მონასტრის ქართული ხელნაწერების აღწერილობით, რომელიც აკად. ნ. მარს ეკუთვნის. აქ საქმაოდ ვრცლადაა მოყვანილი თვითიველი სტატიის დასაწყისი და დასა-

<sup>1</sup> Le Synaxaire géorgien, rédaction ancienne de l'union arméno-géorgienne, publié et traduit d'après le manuscrit du couvent Iviron du Mont Athos, par N. Marr: Patrologia Orientalis, t. XIX, fasc. 5, pp. 629—743. Paris, 1926.

<sup>2</sup> ვგულისხმობთ სრულ «მრავალთავეს».

<sup>3</sup> აკად. ნ. მარი ამ ხელნაწერს X ს-ად მიიჩნევს (Le Synaxaire géorgien... p. 629).

სრული, რომლებიც ჩვენს ტექსტებს შევუდარეთ და განსხვავებული მხარეებიც აღვუნიშნეთ სქოლიოებში (S).

საკითხავები, ავტორიანი თუ უავტორო, რომლებიც ამ პირველ ნაკვეთშია წარმოდგენილი, შემდეგია:

1. :ე: საკითხ. იოანე ოქროპირი—ხარებისათვის («ძმანო, სამეუფოსა საიდუმლოსა...») BC.
2. :ვ: „ ეპიფანე კვპრელი—სარწმუნოებისათვის მარიამისა («ღმერთი არა სადა ვინ იხილა...») BS.
3. :ზ: „ მელეტი ანტიოქელი—ხარებისათვის («თთუესა მეექუსესა მოივლინა გაბრიელ...») C.
4. :ა: „ იოანე ოქროპირი—შობისათვის («საყუარელნო, პირველითგანვე მამათ-მთავარნი...») BC.
5. :ბ: „ იოანე ოქროპირი—შობისათვის მაცხოვრისა და შობისათვის იოვანსისა («თანანადებისა ჩუენისა წიგნი...») BC.
6. :გ: „ ათანასი ალექსანდრიელი—განკაცებისათვის («საიდუმლოსა უცხო-სა და დიდებულსა...») BCS.
7. :დ: „ კლემენტოს პრომაელი—დღესასწაულთათვის («ვითარმედ დღენი დღესასწაულთა თქუენთანი...») BC.
8. :ე: „ გრიგოლ ნაზიანზელი—შობისათვის («რამეთუ გამოჩნდა ღმერთი...») BC.
9. :ვ: „ გრიგოლ ნაზიანზელი—ნათლისღებისათვის («შობისათვის, რომელ ჯერ იყო...») BC.
10. :ზ: „ გრიგოლ ნოსელი—შობისათვის და წმ. სტეფანოსსთვის («რამეთუ კეთილ არს...») BC.
11. :ც: „ იოანე ოქროპირი—შობისათვის («პირველ ამისა გამოუჩინებელ იყო...») BC.
12. :თ: „ გრიგოლ ნაზიანზელი—შობისათვის («ქრისტე იშვების...») B.
13. :ი: „ ისტუნიანე მეფე—ხარებისათვის და შობისა მიგებებისათვის და ნათლისღებისა («ყოველნი რომელნი ხართ ქრისტეიანნი...») BC.
14. :ია: „ პეტრე იერუსალმელი—შობისათვის უფლისა («ვიცნი ფასის მოყუარეთაგან...») B.
15. :იბ: „ ევსები ალექსანდრიელი—შობისათვის («აწ მოსლვასა მას...») BC.
16. :იგ: „ ნინო—შობისათვის («აწ მოვედით და ვიხილოთ...») C.
17. :იდ: „ იოანე ოქროპირი—შობისათვის («მრავალ არიან და აღრაცხელ...») C.
18. :ია: „ წამებად იაკობ ძმისა უფლისა («და იყო, რაჟამს ნებითა...») BCS.  
წამებად იაკობ ძმისა უფლისა («ცვალებდა ტაჰარსა მას...») H.
19. :ბ: „ გამოცხადებად ზაქარიადსი, სუმეონისი და იაკობისი («ღრის მსახურთა და წათა...») BC.

20. :გ: საკითხ. იოანე ოქროპირი—ტაძრის მწერალთათვის («ჰბაძევედ სიჯელოვ-  
ნითა...») B.
21. :ა: „ წამებად სტეფანსი («დღეთა მათ პილატსთა...») BCHS.
22. :ბ: „ წამებად სტეფანსივე («საჯენებელი კეთილი ჩუენ წინა გვც...») CE.
23. — „ პოენად სტეფანსი («რომელნი ხართ ქალაქსა შინა და დაბნე-  
სა...») BEHS.
24. :გ: „ გრიგოლ ანტიოქელი—სტეფანსთვს («ბრწყინვალე თქუენ, ძმა-  
ნო...») CE.
25. — „ ლუკიანე—საფლავისათვს და პოენისათვს... («ალექსანდრე სე-  
ფეწულმან...») BEH.
- :დ: „ ლუკიანე—საფლავისათვს და პოენისათვს... («სტეფანს სავს  
იყო...») C.
26. — „ ქებად სტეფანსი («საყუარელნო, დღეს მადლთა მათგან...») BE.

საკითხავების აღნიშნული ნუსხიდან ნათლად ჩანს, თუ რომელი საკითხა-  
ვი რომელ ნუსხაშია დატული; რომელია, რომ უძველესი ნუსხიდანვე გვაქვს  
და სხ... აღნუსხულია აქვე ისიც, თუ რომელი სტატიია ცალკე რედაქციების  
მქონე (18, 25) და რომელი არა. ასეთი განსხვავებული და ცალკე მდგომი რე-  
დაქცია ჩვენ ძირითადი ტექსტის გვერდით, სქოლიოში, წარმოვადგინეთ, აქვე  
გვაქვს ცალკე აღნუსხული ერთნაირი რედაქციის ცალკეული ნუსხების წაკი-  
თხვა-სხვაობანიც, რომლებიც ე. წ. მხრეკალთა და გადამწერთაგან მომდინა-  
რეობენ.

ცნობილია, რომ ძველი გადამწერლები მარტო უბრალო კობის გადამ-  
ლებნი არ იყვნენ; ისინი გადაწერის დროს სიტყვებს ან გამოთქმებს, თუ ისი-  
ნი რაიმე მხრით შეუწყნარებელი მიაჩნდათ, სცვლიდნენ. იშვიათია, რომ რო-  
მელიმე გადამწერი აღიარებდეს: «გადაწერე, არა გამომიცვალებია სიტყუაჲ  
არცა მიკაზმავსო», როგორც ამას ერთ-ერთი ძველი ხელნაწერის გადამწერი  
აცხადებს<sup>1</sup>. «მრავალთავეების» ნუსხებს შორის არსებული წაკითხვა-სხვაობანი  
სწორედ უმთავრესად «სიტყუა-ცვალებისა და ნაკაზმობისაგან» მომდინარეობენ.  
ძირითად ტექსტში ჩვენ უძველესი ხელნაწერის წაკითხვები დავტოვეთ, ხოლო  
«კაზმულნი» სქოლიოებში გავიტანეთ. ორთოგრაფიული სხვაობა (შ-ს გარდა,  
რომელიც მეტად მერყევია) ერთისა და იმავე ხელნაწერის ტექსტშივე არსე-  
ბობდა, ჩვენ შემთხვევათა უმეტესობას ვუქერდით მხარს, ხოლო როცა ამის გა-  
დაწვეტა ჭირდა, ჩვენ ორივე შემთხვევას დავუთმეთ ადგილი. ასეთია, მაგ.,  
გულისხმა—გულისწმა და მისთ... დავტოვეთ უცვლელად ისეთი შემთხვევები,  
რომლებიც თუმცაღა «შემთხვევითნი» ჩანან, მაგრამ მაინც ძველ ვითარებას  
უნდა გვანიშნებდნენ; მაგ., უხეთქა—უხეთქნა (პირდაპირი ობიექტი მხოლო-  
ბითში იგულისხმებოდა), მცოკვანი—მცრცოვანი...

<sup>1</sup> მარტვილის ხელნაწერი № 1; იხ. კ. კეკელიძე, Keimena, შესავალი, გვ. XXXV.





ასეთი გავრცობილი რედაქციისა აღმოჩნდა. მოცულობით იგი სრულიად შეხვედა ერევნის ერთ-ერთ ნუსხას (№ 1524). ქართულისა და სომხური ტექსტების წინასწარმა შედარებამ გვიჩვენა, რომ ქართული არსად ამჟღავნებს სომხურიდან მომდინარეობის კვალს. ეს სიტყვა რომ ქართულით ათანასეს მიეწერება, მეტად საინტერესოა. ცნობილია, და ამას არ ვარდნიან იც აღნიშნავს, რომ გრიგოლ ნეოკესარიელის სახელით ცნობილი სომხური თხზულებანი ყველანი გრიგოლისა არ არიან, არამედ ზოგჯერ სხვებისა ჩანანო. შესაძლოა, ამ სიტყვის მიმართაც ასეთივე ვითარება იყოს და ის მართლაც ათანასესი იყოს. ყოველ შემთხვევაში ამიერიდან ქართულის ხსენებულ ჩვენებას ანგარიში უნდა გაეწიოს.

«მრავალთავში» სხვა ძველ ავტორთა შორის წარმოდგენილია გრიგოლ ნაზიანზელიც. ნაზიანზელის სიტყვებიდან აქ პირველ რიგში ის სიტყვებია შეტანილი, რომლებიც შობასა და ნათლისღებას ეხებიან. ესენი სულ რიცხვით ოთხია («მრავალთავის» წინამდებარე ნაკვეთში სამი შემოდის). ამით ყველას აღნუსხავს აკად. კეკელიძე თავის ნაშრომში: «უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში» და შემდეგ სათაურს უკეთებს: «ტაო-კლარჯეთის უცნობთარგმნელთა ნაშრომნი (IX—X საუკ.)»<sup>1</sup>. ამ სათაურით, მაშასადამე, ხსენებულ სიტყვათა ქართულად აღმოცენების ხანად მიჩნეულია IX—X ს., მოხაზულია გარემოც, სადაც ისინი უნდა ჩანდნენ აღმოცენებულად (ტაო-კლარჯეთი), მაგრამ არაფერია ნათქვამი, თუ რა ენიდან არიან ისინი ნათარგმნი. სავარაუდო იყო, რომ სომხურიდან ყოფილიყვნენ თარგმნილი, მაგრამ სომხურ ტექსტთან შედარებამ რაიმე სამოწმო ნიშანი არ გვიჩვენა. ამიტომ ისინი შესაძლებელია ბერძნულიდან მომდინარეობდნენ უშუალოდ. თუ ესეც არ დადასტურდა, მაშინ უნდა ვფიქროთ, რომ ისინი ისეთი სომხური დედნიდან მომდინარეობენ, რომლებიც განსხვავდებოდნენ დღეს არსებული ტექსტისაგან.

ნაზიანზელის აღნიშნული ქართული თარგმანების ჯერ სომხურთან<sup>2</sup> და მერმე ურთიერთთან შედარებამ ნათლად გამოავლინა ერთი ახალი მხარე. ეს ის, რომ ჩვენ ზემოთ აღნუსხული ძველი თარგმანების სახით ნაზიანზელის ოთხ დამოუკიდებელ ნაწარმოებთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ორთან. «მრავალთავში» მოკლე საკითხავების სახით წარმოდგენილი «შობისათვის» (VIII) და «ნათლისღებისათვის» (IX) გარკვეული მიზნით გამოკრებილი ადგილებია ამავე სათაურით ცნობილი სიტყვებიდან (XII: «შობისათვის»—54, 9—16; «ნათლისღებისათვის»: ძმანო ჩემნო საყუარელნო, აჰა კუალად დღეს საიდუმლოა, კუალად იკ ჩემი...» მეორე ნაკვეთში შედის; ჯერჯერობით ნ. A—№ 19, 364 გვ. II8—22).

ქართული ტექსტის ურთიერთთან შედარებით ირკვევა, რომ ნაზიანზელის აღნიშნული მოკლე საკითხავები ქართულად არსებული ვრცელისა და იმავე სათაურის მატარებელი საკითხავების ტექსტიდან კი არაა გამოკრებილი, არამედ

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წლის გამოცემა, გვ. 591.

<sup>2</sup> ნაზიანზელის ყველა (45) სიტყვის თარგმანი არსებობს ძველ სომხურზე, რომლებიც V-VI ს.ს-ში ითვლება ნათარგმნად (ზ. მ. კ. ხ. ს. ა. ნ. ჯ. სასკან ნაკერქუნდ... სკყ. მასის. კ. I. 1932, გვ. 68); გამოცემულია მხოლოდ ერთი—«შობისათვის» (\*ჩიქე კ. ჰაიო ნიკესან, სწ. 1722)–

სხვათაგან: არსებულ ვრცელ საკითხავთაგან რომ ყოფილიყვნენ გამოკრებილი, მაშინ ისინი ტექსტობრივად ერთი და იგივე უნდა გამომდგარიყვნენ, რაც სწორედ არა გვაქვს. ეს გარემოება კი გვიკარნახებს დაეუშვათ ან ის, რომ ქართული მოკლე საკითხავები ჩვენამდის არ-მოღწეული სხვა ვრცელი ქართული ტექსტებიდანაა გამოღებული, ანდა ისინი ხელთ ჰქონდა გამოკრებილი სახით «მრავალთავის» რედაქტორს უცხო ენაზე და ცალკე გადმოთარგმნა ისინი. ხსენებული სიტყვებიდან გამოკრებილ ასეთ მოკლე საკითხავებს, დოგმატიკურ-პოლემიკური მიზნით წარმოდგენილს სპეციალურს კრებულებში, ეხედებით სომხურ ენაზედაც. ერთ-ერთი ასეთი კრებულია *«სუჩქ ნასათიკი»*, რომელიც VII ს-ის დამდეგს ითვლება აღმოცენებულად<sup>1</sup>. დოგმატიკურ-პოლემიკური ინტერესით ჩანს ეს საკითხავები აგრეთვე ცალკე დადებული ქართულ «მრავალთავში-აც». ასეთი ინტერესი კი საზოგადოდ; როგორც უკვე აღნიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, «მრავალთავის» შემდგენელთათვის უცხო არ არის<sup>2</sup>.

დოგმატიკური მიზნითაა შერჩეული უთუოდ აღნიშნულთ გარდა ზოგიერთი სხვა საკითხავებიც, მაგ.: IV—იოანე ოქროპირის «შობისათვის»; XI—მისივე ერთი სხვაც «შობისათვის»; XIII—ისტჯნიანე მეფის «დღესასწაულთათვის» და XIV—პეტრე იერუსალიმელის «შობისათვის», რომელთაც დიოფიზიტური ეკლესიის თვალსაზრისი თვალნათლივ ატყვიათ. იოანე ოქროპირის საკითხავის «შობისათვის-ის» (IV) ქვემოთ წარმოდგენილი ტექსტი უფრო სრულად არსებულა ერთ დროს ქართულად. იგი ისეთივე მოცულობისა ყოფილა, როგორც დაახლოებით ბერძნულია. ასეთი ვრცელი ქართული საკითხავის ბოლო ნაწილი დაცულია «ხანმეტ მრავალთავში»<sup>3</sup>.

«მრავალთავის» წინამდებარე ნაკვეთის სხვა საკითხავებიდან, რომლებიც სომხურშიაც პოულობენ შესაბამისს, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ იოანე ოქროპირის ერთი ნაწარმოები, რომელიც ქართულში ატარებს შემდეგ სათაურს: «ავ: საკითხავი დავით იაკობისი, თქმული იოვანე ოქროპირისაჲ, ტაძრის-შწერალთათვის» (XX). ეს საკითხავი, რომელიც 50-ე ფსალმუნის განმარტებას წარმოადგენს, სომხურშიაც იოანე ოქროპირს მიეკუთვნება და იწოდება: *«Խ սաղմոսն յիսներկու»*—ად (*მ. მასკერანსი ანხნიოქჩან Թეթიკն Պաღიսի, հատ. II, გვ. 654-672, ვენეტიკი 1862 წ.*). თუმცა ტექსტები ურთიერთს გასდევნენ, მაგრამ ერთმანეთზე დამოკიდებულების ნიშან-წყალს არ გვიჩვენებენ. საფიქრებელია, რომ ისინი მესამე წყაროდან, ამ შემთხვევაში, ბერძნულიდან მომდინარეობდნენ. როგორც ქართული, ისე სომხური ტექსტის ენა არაა ადვილად გასაგები. ჯერ ერთი, ეს საგნის ბუნებით უნდა იყოს გამოწვეული (ეგზეგეტიკური ნაშრომი) და მეორეც, შეიძლება რამდენადმე გვიანდელი თარგმანი იყოს.

მარტილობრივი ხასიათის იმ საკითხავებიდან, რომლებსაც შესაბამისი ტექსტი სომხურადაც მოეპოვებათ, ორია. ერთია: «წამებად წმიდისა იაკობ მო-

<sup>1</sup> *«სუჩქ ნასათიკი»... კალსიკი ნიძითთას კაქიოქიკიის ნამარაღახას, ნოთარას... კაქიოქიკიის ზარაყენო ნაქსიციოის... ტქაჩაბან, 1914.*

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941 წლის გამოც. გვ. 512.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი: ტფილ. უნივ. მოამბე, VII, გვ. 125—128.

ციქულისა იერუსალშმელ ეპისკოპოსისა ძმისა უფლისაჲ» (XVIII), რომელიც ორგვარი რედაქციის სახით არის შოდწეული, და მეორეა: «პონენაჲ წმიდისა სტეფანსი, რჩეულისა მის მსახურისაჲ და პირველ-მოწამისაჲ» (XXIII), აგრეთვე ორნაირი რედაქციისა.

«იაკობის წამების» ერთი განსხვავებული რედაქცია, რომელიც მარტვილობა-ცხოვრებათა ერთს ნაკლულევან კრებულში იპოვება, ორთოგრაფიული მარტვილობის მიხედვით XI ს-ის გასულის ნუსხას უნდა წარმოადგენდეს. როცამას «მრავალთავებში» დაცულ რედაქციას ვუდარებთ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ისინი ერთი და იგივე წყაროს ცალკე დამოუკიდებელი თარგმანები უნდა იყვნენ. ძველი დროის ორი ასეთი დამოუკიდებელი თარგმანი მეტად კარგი წყაროა ძველის ლექსიკის შესაწამებლად და ზოგიერთი სიტყვების შინაარსის დასადგენად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს სიტყვები სინონიმებით არიან წარმოდგენილნი. ეს მომენტი ჩვენ მხედველობიდან არ გავვიშვია; მით ჩვენ ვისარგებლეთ და სათანადოდაც აესახეთ ჩვენს ლექსიკონში.

«იაკობის მარტვილობის» ცალკე წიგნი სომხურადაც მოიპოვება<sup>1</sup>. უკანასკნელი ქართულისაგან რედაქციულად დიდად სხვაობს. ქართულთან სამაგიეროდ ძლიერ ახლოსაა ევსები კესარიელის «საეკლესიო ისტორიის» ის ადგილი, რომელიც იაკობის წამებას გადმოსცემს<sup>2</sup>. ამ ძველის ქართულთან შედარება არკვევს, რომ ქართული მარტვილობის წიგნი თითქმის მისგან სიტყვასიტყვით გამოკრებილი ნაწარმოებია. გამომკრებს მხოლოდ ორიოდ წინადადება დაურთავს თავსა და ბოლოს, შესავლისა და დასასრულის მისანიჭებლად გამონაკრებისათვის. მარტვილობის წიგნი ქართველი მარტიროლოგის მიერ შედგენილი არ უნდა იყოს, ის ისევ უცხო წყაროს მხოლოდ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. ვერ ვიტყვით გადაჭრით, რომ ის სომხურიდან მომდინარეობის რაიმე მამულავენებელ ნიშნულობას შეიცავდეს; ისე კი უნდა ითქვას, რომ ქართული რედაქციები ტექსტობრივად ძალიან ახლოს დგანან სომხურთან.

«პონენაჲ წმიდისა სტეფანსი-სა» (XXIII) ერთი განსხვავებული ნუსხა, რომელიც ცალკე რედაქციას წარმოადგენს, C მრავალთავეში გვაქვს შენახული. იგი ცალკე საკითხავად არაა აქ დადებული, არამედ სტეფანესათვის განკუთვნილი მეოთხე (XXV) საკითხავის ნაწილს შეადგენს. სომხურ მრავალთავებში ეს სტატია აგრეთვე ცალკე საკითხავადაა მოცემული. სტეფანესათვის დადებული საკითხავებიდან მხოლოდ ის ხვდება ქართულს. იგი გამოცემული არაა. ჩვენმას ცნობილი «მუშის მრავალთავეთ» (1204 წ.) ვიცნობთ. ქართული და სომხური ტექსტი ურთიერთს მხარდამხარ გასდევენ, მაგრამ მიუხედავად ამისა წინასწარი ჩვენი შესწავლით არა ჩანს რაიმე ისეთი ნიშანი, რომ ერთი მეორისაგან მომდინარედ გამოვაცხადოთ. ასეთია მოკლედ წინასწარი ჩვენი დაკვირება

<sup>1</sup> *Թանգարան Զայկոսիւն Զին և Նոր դպրութեանց: Գ-Մնկոսնի Զիրք. տապգրքակտնք, Վենետիկ, 1904, გვ. 449-452.*

<sup>2</sup> *Եւսեբիոսի Կեսարացւոյ Պատմութիւն Եկեղեցւոյ, յեղեւ յասորոյն ի Նոր ի Նիւքիւրք դարու, պարպարանեակ Նոր Թարգմանութեամբ ի Կոյն ընսպրէն ի Ճիւն ԶԱքրանամ վ. Ճարեան ի Իլիւսթրեանց, ի Վենետիկ 1877, გვ. 127-131.*

სომხურთან მიმართების შესახებ იმ ქართული ტექსტებისა, რომლებიც წინამდებარე ნაკვეთში შემოდიან.

«მრავალთავის» ამ პირველ ნაკვეთს ეურთავთ მოკლე ლექსიკონს, რომელშიაც განსამარტავად ყველაზე უფრო საჭირო სიტყვაა შეტანილი. ვრცელი ლექსიკონი, ისე როგორც «მრავალთავის» მთლიანი index verborum-ი, მთელი გამოცემის დასასრულს გვექნება მოთავსებული.

1941.27.V

თბილისი



«ქ ს ა კ ა ლ თ ა ვ ი»

(ტექსტები)

ნაკვეთი კიბეული



## [ : ე : ს ა კ ო თ ს ა ე ო ]

თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ,  
კავტანტინეპოლელ მთავარ-ეპისკოპოსისაჲ

ხარებისათჳს წმიდისა ღმრთის-მშობელისა მარიამისა მთავარ-ანგელოზისა  
გაბრიელის მიერ

5

მმანო, სამეუფოსა საიდუმლოსა დღესასწაულსა ვდღესასწაულობთ დღეს  
ყოველთა თანა დაბადებულთა შემოკრებულნი! იხარებს ცაჲ ვარსკულავისა მი-  
ერ, წელის-პურობით კრებად მიისწრაფის ქუეყანაჲ მწყემსთა მიერ, კრებად მირ-  
ბის ესაია მალედ წინაღმართმეტყუელებულსა საყდარსა, რაჲთა აჩუენოს დღესას-  
წაული. დასაბამსა ქალწულისასა ვიდოდა, თავადსა მეუფესა უჩუენებს დღესას- 10  
წაულსა და იტყჳს: „ესე არს ღმერთი ჩუენი, არა შეირაცხოს მის თანა სხუაჲ“.  
ზაქარიას სიხარული მოაქუს მედღესასწაულეთაჲ სრბით, საუფლოსა მოსლვასა  
გამოაჩინებს ბრძანებულსა: | «გიხაროდენ—იტყჳს—ასულო სიონისაო, აჰა მე-  
უფჳ შენი მოვალს შენდა მშჳდი და მჯდომარჳ კარაქულსა ზედა და კიცუ[სა  
ახ]ალსა». მარიამ და იოსებ ბაგქასა შინა, ვითარცა სა[განძურსა], მრავალ- 15  
სასწყიდლისა მარგალიტი წინა [დადვეს]. მოგუთა იხილეს და შეეშინა[ს] სიკჳ-  
თესა ზედა ბუნებისა[ს]; ამას ჰეროდეს, ვითარცა ღირსსა მეფესა, მიუთხრობ[ბ]-  
დეს. ხოლო მას ესმა, ზაქუვით დამალა სიკუდილი, თაყუანის-ცემად და ხილვად  
მარგალიტისა ისწრაფდა, არამედ ამისთჳს უღირსი იყო და სასურველსა ნას  
ვერ მიემთხუა. და იგი, უპოვრებითა რაჲმცა ქმნა, განიზრახვიდა. ხოლო ანგე- 20  
ლოზ[ნი], უჯორცოთა ბუნებანი, კრებასა ამას სიხარულით იტყოდეს: «დიდებაჲ  
მალალთა შინა ღმერთსა და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ».

ეჰა უკზოდ და დიდებული საკრველი! ყოველსა ენასა სძლო დღესასწაუ-  
ლისა ამის საქმემან გამოთქუმად მარიამის ქებასა, რომლისა იგი მიივლინა ან-  
გელოზი და უღალადა: «გიხაროდენ და მზიარულ იყავ».

25

2-5 B-ში სათაური დაზიანებულია. იგი ასეთად აღდგება: «[თქუმული წმიდისა იოვანე მთავარეპისკოპოსისა კავტანტინეპოლელისა ოქროპირისა ხარებისათჳს წმიდისა ღმრთის-მშობელისა] მარიამისა». 6 ვდღსასწაულობთ C. 8 ველისა პურობით C. მიიწრაფის B. 9 წინაღმართმეტყუელებს B; დღესასწაული B. 11 არს abs. B; სხუაჲ C. 14 მშჳდი და abs. C; კარაქულსა C. 15 იოსებ C. 18 ხოლო არამედ C; ესმა + და C. 19 ამისთჳს + რამეთუ C; და abs. C. 22 და abs. C. 24 საქმსან B; გამოუთქუმელად C. 25 და abs. C; უღალადებდა C.

ხოლო იგი აღდგა და გურდივ თუალითა მეტყუელსა მას განიმტრობდა, და ხილვასა ზედა [პირი]სასა განუკრდებოდა, [ხოლო სიტყუათა თვისა შინა გონებასა აღსწონდა, თუ ვითარ არს მოკითხვად ესე, რომელსა უცხოვ ესე იტყვს, უცხოვ ჳმა. გიკვრს თქუმული, ანუ უმეცარ ხარ თქუმულთა მათ ჩუეუ- 5  
ლებასა, ანუ გამომცდი მე, რაშეთუ «გინხაროდენსა» ყოველნი იტყვან, ხოლო მი-  
მადლებულო უცხოვ არს, უფროსდა რომელთა იგი აღთქუმაჲ აქუს ღმრთის-  
მსახურებით ცხორებისაჲ ქებულად, რომლისათჳსცა ფიცხლითა პირითა, რისხუ-  
ლითა თუალითა მცირედ მივხედნე და განვაძო მოსრული.

- წარვედ, წარვედ კაცო, წინა კართა ჩემთავან! რაჲსათჳს მოსრულ ხარ?  
C 14 არა მინავ მე! ჰგონებ ცთუნებასა ჩემსა ვითარცა ევაჲსსა, დედისა | ნათესავისა 10  
ყოველთაჲსა, არა სძლოს სიკეთემან პირისა შენისამან გონებაჲ, რომელ მაქუს  
გლახაკისა მიმართ, რომლისა მითხოვილ ვარ მე. პირველ მოსლევამდე ბერი-  
სა სახლისა ჩემისაგან ივლტოდე, დაუტევენ აქანი! ნუ წინა დაუდგები მას, მო-  
B 14 წმურნე არს მოხუცე[ბული], წარსლავა უმჯობეს არს შენთჳს. უკუეთუ გიხილოს 15  
შენ მოსრული და მთხრობელი ჩემდა ამას, რომელი კაც[ო]ბრიესა ბუნებასა ვერ  
ეტევის, არამედ შენცა თავსა თჳსსა მოატყუა ჳირი და მე—გლოვად და ცრემლ-  
ნი. ხოლო იგი «გინხაროდენ მიმადლებულო» მოუკლებულად იტყოდა.

იხილა რაჲ ქალწულმან მოთმინებაჲ იგი მისი, განჰფინნა სასმენელნი თჳს-  
ნი, უქეშმარიტსად-რე ეგულებოდა სწავლის მოსრულისა მის სწრაფასა და  
ეგინხაროდენ მიმადლებულო ესმა. ამისსა შემდგომად მოელოდა რასმე, ხოლო 20  
ლუკა 1, 28 მან თქუა: «უფალი შენ თანაჲ. მაშინ უშინაგანსს შეუწოდდა სწრაფით მოსრულ-  
სა და ჰრქუა: „უკუეთუ უფალი მოიყვანე შენ თანა, უშინაგანსს-რე შემოგვედ, და  
რომლისათჳს მოსრულ ხარ, სწრაფით თქუ“. და ანგელოზმან ჰრქუა: «აჲა ესე-  
რა შენ მიუდგე და ჰშვე ძმ და უწოდინ სახელი მისი ენმანუელ. ესე იყოს  
ღმერთი ძლიერი, ჳელმწიფე, მამად მერმეთა მათ საუკუნეთაჲ». 25

[ხოლო მან] მიუგო და ჰრქუა მას: „[არა სა]და ჳორწილი, არა [სადა სი-  
ძ]მ არაჲ გაქუს, [რაჲ ჰქმ]ნე! უკუეთუ გიქმს რაჲმე, მიიღე და წარვედ, დ[ა ნუ]  
ცუღად, რომელი არა უწყი, სწინაჲსწარმეტყუელებ, დაღაცათუ კულა მიუდგე  
ძესა, განალა იოსებისგან!“. და ანგელოზმან ჰრქუა: «ნუ სცები, ესე იყოს  
ლუკა 1, 29 დიდ». ხოლო მან ჰრქუა: „ვითარი დიდი, რამეთუ დაწინდებული ჩემი გლა- 30  
ხაკ არს და მე სრულიად მკოდოვ. ნაშენებნი არა მისხენ მე, საწმარი მაკუს მე,  
C 15 ნათესავნი არა მისხენ მე. ამისსა შემდგომად აღწერად | მივალთ, ხოლო განა-  
ლა შობილმანცა გარდაივადოს ხარკი და იტყვ: «იყოს დიდა. დასცხერ, დას-

3 ~ გონებასა შინა C; აღსწონდა | აღსწერდა C; თუ abs. C; ესე abs. B. 7 ცხორებაჲ C. 8 მოსრული + ესე C. 9. ჩემგან B. 10 ჰგონება C. 11 სიკეთემან B; ~ შენისა პირისამან C; გონებასა C. 12 მითხოვილ C. 13 გაწივლტოდე C; აღუდგები C; მოხურნე C, მოშორნე B. 16 თჳსსა | შენსა C. 18 განჰფინნა | განჰმარტანა C; თჳსნი abs. B. 19 უქეშმარიტსად-რე B, უქეშმარიტსად-რე C. 21 მაშინ abs. B; შეუწოდა C. 22 და ჰრქუა abs. B. 23 ჰრქუა abs. B. 24 ჰშვე C; უწოდო C; ენმანუელ C. 25 ძლიერი + მთავარი C; ჳელმწიფე C. 26 მიუგო და abs. C. 27 რა-  
მე C. 28 სწინაჲსწარმეტყუელებ C; დაღაცათუ C; კულად C. 29 სცები | სცები C. 30 რა-  
მეთუ abs. B. 31 ნაშენებნი B; მე abs. C.

NB. აწიხე B-ში ტექსტის ხელითვე წერია: „ნეტარ ესე [-] ვისი წყ[რ]ილი არს“.

ცნერ ესევეთარსა აღთქუმასა“! ხოლო ანგელოზმან ჰრქუა: «არა გრწამს მცი-  
 ლუკა 1,32 რედი უფროდსი, დადაცათუ არა გინდეს, თავს იღვა, ძე მალღის ეწოდოს». ხოლო ქალწულმან ჰრქუა: „აწ და აწ სახლით ჩემით განვედ, ნუ ესმას იოსებს და მიუთხრას მღდელთა, და მე მოვაკლდე თანამეუღლესა; და მძღავრ ეჩოათა წარითქუეთოს ქედი შენი ამისთვის, [რამეთუ აქმას მეტყუ მე და წინაშე კა[რთა] 5 სენაკისა ჩემისათა [სდგა], და ზეცით სიძესა [მიუთხრობ] მოყვანებად. და რომელი ბუნება[დ გულის] სათქუმელი ქორწინებისა არს, ყოველნი ზეცისანი სულნი არიან უჯორცონი, არა ვითარ უკუე უჯორცონი შეეხნენ უჯორცოთა“. და ანგელოზმან მიუგო: „უჯორციელთა ვიდრემე და უჯორცოთა, ძე მალღის ეწოდოს“. და ქალწულმან ჰრქუა: „ვინაჲ უკუე ესუას მამაჲ, რომელსა იგი ჩემგან 10 ეგულების, ვითარ იტყუ, შობაჲ?“. და ანგელოზმან ჰრქუა: „რამეთუ ესე არს, ქალწულო, ფრად დიდებული, რამეთუ მამაკაცი არა უწყოდი და ჰშვე რომელსა ვიტყუ, და ობლად ყრმაჲ არა იპოვოს და საშოესა შენისაგან გამოვიდეს, და ბქეთა არა აქირვოს, და ყოფაჲ შენი ქალწულად არა წარსწყმიდო, და აწოებდე შობილსა მას და ღმრთად აღიარო, რომელ იგი შენგან იშვას, 15 და მკლავთა ზედა იტვართო ჩხელი, და ქერობინთა ზედა იგი იხილო. ესე რომელი შენგან იშვეს ქალწულო, ამოსცეს უფალმან ღმერთმან საყდარი დავეითის მაქმისა] მისისაჲ“. და ქალწულმან ჰრქუა: „ვითარ არა ჭინდა, რომელ იტყუ, [შეგქადო ცთომასა შენმან პირმან, შენ შეგასმენენ შენნი ბაგენი და შენდა იქმნეს მამხილებელ, წინა მკირედ იტყოდე, ვითარმედ «ძე მალღის ეწოდოს, 20 რომელ იგი იშვეს», და აწ იტყუ ძედ დავეითისად, რაჲ არს სიტყუაჲ ესე? ოდეს გნებავს, ჩემსა გონებასა ზეცად აღიყვანებ, და ოდეს გნება(ვის), ქუეყანად გარდა(ა)მოიყვანებ. რომელი მრწმენეს, პირველი ანუ მეორე თქუმული! რამეთუ იტყუ, ვითარმედ «ამოსცეს მას საყდარი | დავეითისი მამისა მისისაჲ და სუფუვისა მისისა არა არს დასასრულ». არავინ მეფე იყო უკუდაჲ, არავინ ზიარსა მას 25 დასასრულსა განერა, ყოველნი მიცვალნა უფალმან სიკუდილდ, ყოველთა განიკითხვენ მატლნი. არავინ მეფემან ჯოჯოხეთისა ბქენი განვლნა, ყოველთა შეიპყრობს, ყოველთა საფლავსა შინა სცავს, არავინ მისსა მახესა განერა: არა საულ, რომელმან იგი პირველად ენკენია ყო მეფობისა გვრგვნი; არცა დავით, რომელი რქისა მიერ გამოჩნდა და ღირსად მეფობისა იწოდა; არცა სამოელ, 30 რომელი მეფეთა მამაჲ არს, რომელმან ზეთისა მეერ იცნა ღირსი და განადლო უღირსი; არცადა სოლომონ ბრძენი, რომელმან იგი ჳრმლითა აწხილა ხატისა ტყუილი; არცა ეზეკია, რომელმან ცრემლითა უკუნ აქცია სიკუდილისა სიტყუ-გებაჲ. და ვითარ ძქ ჩემი სუფუედეს უკუნისადმდე?“ და ანგელოზმან ჰრქუა: „რამეთუ ესე არს, ქალწულო, უცხოჲ საიდუმლოჲ, რამეთუ ყოველნი 35 მოკუდეს და შენმან ძემან სძლოს სიკუდილსა, მკუდარნი აღადგინენს, საფლავ-

1 ხოლო abs B. 2 დაღათუ C; ძქ BC. 3 სახლისა ჩემისაგან C; ნუ უკუე C; ესმეს C. 4 ეწითა B; წარგუეთოს C. 8 ~ უჯორცონი არიან C; არა abs. C; უჯორცოთა] ცოროთა C. 9 ძქ BC. 12 ჰშვე C. 13 იპოს C. 15 რომელი C; იშვეს C. 17 დავეითისი C. 18 რომელსა C. 20 ძქ BC; რომელი C. 25 მისისაჲ C; მეფე BC. 26 სიკუდილმან B; მეფე B. 28 საფლავთა C. 34 ~ ჩემი ძქ C. 36 ძქმან B.



ნი განახუნეს, ტარტაროზისა კლიტენი შემუსრნეს და შრავალნი ჯორცნი და-  
ძინებულთანი აღადგინნეს, რამეთუ უკუდავისაგან იშვა, მოაკუდინოს სიკუდილი.  
ნულარა ურწმუნო ხარ. რაათა არა ბრალსა შეჰვარდე! რამეთუ რომლისათჳს  
იგი ვიტყვ, აჲა შენსა მუცელსა სასმენელთაგან შევიდა საშოსა შენსა და ენკე-  
ნიასა აღასრულებს“. და ქალწულმან ჰრქუა: „ვითარ დავიჯერო ესე, პირველად  
5 მე მარწმუნე, ვითარ «ძე მალლის ეწოდოს!» და «ძედ დავითისად» იტყვ, რო-  
მელსა იგი ჩემგან ჰნებავს [შო]ბად ქუეყანასა ზედა. იტყვ [მას უმა]მოდ, და  
ვითარ ორთა მამათა ჰქადაგებ?!“ და ანგელოზმან ჰრქუა: „პირველად ისწავე:  
და მაშინ სიტყუასა მიგდებდ. ოდეს შენ გრქუა «ძე მალლის», პირველ საუკუ-  
ნითგან უვნებელად შობილი მამისაგან გაუწყე; ოდეს ვთქუა «ძმ დავითისი», რა-  
10 მეთუ შენ ხარ ნათესავისაგან | დავითისა, ვთქუ. მიილე რწმუნებდა, სიტყუანი  
ჩემნი დაიცვენ, რამეთუ მე მონად ვარ მისი, რომლისაჲ გნებავს ხილვად, ვი-  
თარცა ღმერთი იქმს შენ თანა“. და რომელ იგი მოივლინა მისა ანგელოზი ესე  
ჰრქუა და დაუტევა იგი. და ქალწული თავით თჳსით განიზრახვიდა: «მიუთხრა-  
15 მია იოსებს ანუ დავთარო უფროდსლა საიდუმლოდ ესე, ნუ უკუე ტყუეა მო-  
სრულმან მან?».

ვითარ იგი ამას განიზრახვიდა, მუცელი მისი განივსო და წარმოდრკა  
და ჩხლი შინაგან იმღერდა, ხოლო მარიამ რამდცა ყო, განიზრახვიდა. ბევრი  
B 17 | საბურველი მუცელსა შეიმოსა, იოსებისგან დ[ა]ფარვად ეგულებოდა, [არამედ]  
მათე 5.11 | ევერ შეუძლებდა დაფარვად ქალაქსა მთასა ზედა მდგომარესა». ხოლო იო- 20  
სებს უგუმირა ჩუენებამან მუცლისამან და მრუდად თუალათა ქალწულისა მუ-  
ცელსა აღსწონდა, კითხვად უნდა და დუმილსა იკირვიდა, და [გინე]ბად უნდა  
ვითარცა განმსყიდელსა ქალწულებისა სამკაულსა და პირველი იგი ცხორებაჲ  
აყენებდა. მიერთგან თჳსსა სულსა ურვითა სტანჯვიდა, «ვადმე—იტყოდა,—რაჲ  
ევო? პირი ქალწულისაჲ არს, დგომად ქალწულისაჲ არს, თუალნი ქალწული- 25  
სანი, სიცილი ქალწულისაჲ, სიტყუად ქალწულისაჲ და მუცელი არა ქალწული-  
საჲ, არამედ დედისაჲ. [ვე]რ დაუთმობ ამიერთგან ხილვასა, განვთქუა საქმს  
ესე, გინა ვამხილო მარიამს, რამეთუ სირცხული ზიარი არს. ღაღად ეყო კმითა  
და მეშინის, ნუ უკუე უთესლოდსა ყრმისა შემასმენელ ვიწოდო. არავინ არს  
[ქალწულისა] შემასმენელ. ამისთჳს არა აქუს მუცლად-ღებულსა ყრმასა მრეწა- 30  
ვი, და ესე ვიდრემე ჩემდა სიტყუადცა და დუმილად საქირო არს. რაჲ უკუე  
ევო? მოუწოდო და ვჰკითხო, გინა პირველ კითხვამდე ვაჩუენო, არამედ წერი-  
ლი მეწამების მე და იტყვს — «ამხილე, ნუ უკუე | არა უქმნიეს». მოუწოდო  
C 18 | უკუე მას, ფიცხლითა პირითა დავსაჯო, რომლისა იგი მუცელსა შინა მსაჯუ-  
ლი ჯდა.

35

2 იშვა + და C 5 ვითარ] რა B; ~ ესე დავიჯერო B. 6 მე abs C; ვითარ] ვითარმედ  
C; ძმ BC; ეწოდოს abs. B; იტყვ abs. B. 7 ჰნებავს + იტყვ] B. 8 მამამათა C. 9 მაშინ] მერ-  
მე C; სიტყუას C; საუკუნეთაგან C. 11 ნათესაგან C; ვთქუ abs. C. 12 დაიცვენ + და C. 14 ქალ-  
წული abs. B; მიუთხრა B. 15 ესე abs. B; ნუ უკუე] ნუ თუ უკლა B. 17 მუცელი მისი განივსო  
და abs. B. 20 მდგომარესა] მდებარესა B. 21 ქალწულისა] ქალწლისა B. 23 ცხორება B. 24 ურ-  
ვით C. 25 ქალწულისაჲ არს] ქალწულისა B. 27 ხილვასა abs. C. 28 ესე abs. B. 31 დუმილად-  
ცა C. 32 კითხვისა C.

და ეტყოდა: „მითხარ მე ჭეშმარიტად, რომელ იქმნა, ნუ დაჰფარავ ჩემგან, რად იგი შეგემთხვა შენ; არაეინ არს სიტყუსა მსმენელ, უწყი დამარხვად საიდუმლოდსა, არაეინ ისწავებს საქმესა. მე ხოლო დამარწმუნე, ვინაჲ არს ესე, რომელი როკავს შენ შორის. ამისი მამად მიჩუენე მე და განსთავისუფლდე შეცოდებისაგან, რამეთუ შენდობასა ღირს იქმნე ვითარცა იგი გულის-თქუმითა ძლეული დედაკაცი“.

ხოლო უბიწოდ ქალწული ტიროდა და თქუა: „უკუეთუ მამასა ყრმისასა ეძიებ, ჰპოვებ არა ოდეს; ხოლო უკუეთუ ობლად ჰგონებდე, ამასცა ვერ მიემთხვე“. და იოსებ ჰრქუა: „ტყუვილად მარიამ ვერ ძალ გიც, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს, თუ ობოლ არა იყოს და მამად არა ესუას“. ხოლო ქალწულმან ჰრქუა: „უკუეთუ ვთქუა ჭეშმარიტი, არა გრწმენეს ჩემი. მუცელსა ჰხედავ და რომელ იგი დამალულ არს უფალი, არა ჰხედავ. საშოსა განიციდი და არა შეჰრაცხებ, რომელ იგი საშოდგან მთიებისაჲთ მამისაგან იშვა და მუნ იქცევის. უკუეთუ ვთქუა, რომელ იგი მრქუა ანგელოზმან, სთქუა, ვითარმედ «თავით თჳსით სწამებ, წამებად შენი არა არს ჭეშმარიტი; მოიყვანენ, რომელთა იგი ესმა, მომცენ წინამდგომარენი, მოიყვანენ ჭეშმარიტნი მოწამენი». უკუეთუ აჰას ეძიებ, ჰპოებ არა ოდეს, რამეთუ ერთი ერთისაგან ერთისა მიმართ მოივლინა, მხოლოდ მხოლოდსაგან შობილი მხოლოდ იტყოდა; არაეინ იყო, რანეთუ არავის შობილისა მამად ეგულებოდა ყოფად“.

ხოლო ვითარ არა ჰრწმენა ქალწულისად ვითარცა დედაკაცისად, მიერთგან მარიამ სხუასა გულქის-ზრახვასა მოვიდა, არა [ენე]ბა და თქუა: ამისთჳს რამეთუ არა ჰრწმენა მრავალი ჩემი თქუმული, და ჭეშმარიტად საშოდ ჩემი წინა მიმცემს, | შეილი ჩემი შემა[სმენს], | მუცელსა შინა ჩემსა ხლდების, რად უკუეცყო? თავით თჳსით ვსძლო იოსებს დუმილითა სიტყუს-გებასა, შევკრნე დუმილითა ბაგენი და ანგელოზისა მიმართ უხილავად ვიშჯოდი. სადა ხარ აწ, რომელმან იგი ჯგინაროდენია მარქუ მე: რომელთა ადგილთა; რომელთა არეთა იქცევი, მითხარ, რადთა მუნ მოვიდე და დამოგეცილო ქედსა შენსა, ვიდრე არა მოხვდე და არწმუნო იოსებს, ვისი ძე არს ესე, რომელი ჩემისა მუცლისა სასუენებელსა შინა იმღერის! ვერ დავითმენ მოხუცებულისა ბრძენვასა და დრტუნვასა, და შენ რომელსა ადგილსა ჰყოენი, უმეტარ ვარ, მოვედ და ჩემთჳს სა-მართალი თქუ!

ამას მარიამ თავით თჳსით იტყოდა რად, მწრაფლ ანგელოზი იოსების დანა მოვიდა \* და არწმუნა ქალწულისათჳს, და განგდებად დააყენა და ჰრქუა: „ნუ გეშინი იოსებ, შენგან არად თუ ჰქორწინებისა ზიარებაჲ, არამედ საღმრთოდსა საიდუმლოდსა განგებულებაჲ; ცოლად შენდა ვიტყჳ, არამედ მამად არა

1 იტყოდა B; რომელი C. 4 მე abs. C; განსთავისუფლდე C. 5 შეცოდებათაგან C. 8 ზოლო და C; ვერვე მიემთხუევი C. 9 ვითარ შესაძლებელ B. 12 რომელი C. 14 რომელი C; სთჳა C. 15 სწამებ + და C. 17 არა ოდეს| არა C. 18 იტყოდა + და C. 21 სხუასა| სახლსა B; გულის-ზრახვასა| გულის-სიტყუსა C. 22 ჰრწმუნ C. 23 ~ ჩემსა შინა C. 24 თავით თჳსით + გარნა თუ C; ველი B; შევიკრნე C. 25 მიმართ| მიერ. 26 რომელთა არეთა abs. C. 27 მოგეცილო C. 28 ძე BC. 32 თავით თჳსით abs. C; სწრაფით C.

\* ამის ქვემოთ B-ში ტექსტს აკლია, ამოვარდნილია ფურცლები.

ხარ. მამასა ქუეყანასა ზედა ნუ ეძიებ, ნუცა ცათა შინა დედასა, რამეთუ ყოვლისა სიობლისა ბუნებად იცვალა, რამეთუ მხოლოდ მხოლოდსაგან მხოლოდ პირველ საუკუნეთა იშვა და კუალად მხოლოდ მხოლოდსაგან ვითარცა იცის მხოლოდმან. ნუ სულმოკლე ჰყოფ მარიამს, ნუ შეაწუხებ, რომელ იგი მარიამისგან არს; ნუ ეძიებ, თუ ვითარ, ნუ სადა დაგიბუშოს ნათელი; ნუ გამოეძიებ საუნჯესა, ნუ სადა დაიზღვიო საფასს. შეუგინებელი არს კურტკერი, უბიწოდ სამკაული, აღუმრღუეველი ალაბასტროდ, უთესლოდ შობად, უქორწინებელი სძალი, გამოუკუეთელი კლძს, დაწული მტილი, წყაროდ დაბეკდული, უთესავი ყანად, დაუნერგველი რქად, მიუთხრობელი საკრველი, უცნაური შობად. ხოლო უკუეთუ ურწმუნო ხარ რომელსა ვიტყვ, ჟამსა შობისასა მოელოდე. და უკუეთუ

C 20 | ცრემლოოდის გინა სულთ-ითქუმიდის მარიამ, ვითარცა იგი სხუანი დედანი, კაცი არს და არა ღმერთი, რომელი ჯორცითა მარიამისგან იშვეს“.

და იოსებ მიუგო და ჰრქუა: „უკუეთუ ესე ესრტთ არს, ვითარცა სტქუ, ფსალ. 2,1 ზ ანგელოზო, «რად აღიძრნეს წარმართნი და ერმან იზრახა ცუდი»? და ანგელოზმან ჰრქუა: „უკუეთუ გნებაეს სწავლის, ისწავლე მწრათელ ამისთეს, რამეთუ უფალმან თქუა შობილისა მიმართ: ძძ ჩემი ხარი შენ, და მე დღეს მიშობიე შენ», რამეთუ მისა ჰშუენის დიდებად და პატივი და ძლიერებად აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

II

B 22 :ვ: ს ს კ ი თ ს ს ვ ი 20

თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ებიდანე კვპრელ მთავარებისკვაძობისაჲ, ორმელი კოსტანტია დედაქალაქისა იწამა

სარწმუნოებისათეს წმიდისა ღმრთის-მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, რამეთუ ამისგან კორციელ იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ძძ ღმრთისა ცხოველისაჲ

25

ღმერთი არა სადა ვინ იხილა, არამედ რომელი იგი არს წიაღთა მამისათა, მან იცის იგი. მამამან ძძ იცის და ძემან მამად, და სული წმიდაჲ ამათ თანა შეყოფილ. ესე მამად და ძძ და სული წმიდაჲ არა განყოფილ, ნუ იყოფინ, არამედ ერთ-სამება, ერთ-ძალ, ერთ-ველმწიფება, ერთ-უფლება, ერთ-მთავრობა, რომელი პირველ ყოველთა საუკუნეთა იყო და არს და იყოს. რომელი წმიდისა და ტრედისა მარიამისგან იშვა, უკუანადსენელთა ჟამთა ჩუენ კაცთათეს და ჩუენისა ცხოვრებისათეს ჯ[ე]რ იჩინა ჯორცითა ამათ ჩუენთა შესენად ძემან\*.

21 ეტჯჳანე S. 22 კოსტანტინე დედაქალაქისა S. 23 ღის-მშობელისა და abs. S. 24 მარიამისთეს S; ქრისტე BS; 25 ცხოველისაჲ abs, S. 26 არა სადა ვის უხილავს S. 27 ძძმან B მათ თანა S. 28 შეყოფილ + არს S. 29 ერთ-სამება + წმიდა S. 30 საუკუნეთასა S ~ და იყოს და არს S.

\* აქამდის აღწევს S-ი.

აწ აღვიარებთ ღმერთსა მამისა და ძესა და წმიდასა სულსა. მამად სრული, ძმ სრული და სული წმიდაჲ სრული, ერთ-არსებაჲ, სამებაჲ, წმიდაჲ, ძმ ქეშმარიტად მამისაგან შობილი და სული წმიდაჲ არა უცხო მამისაგან და ძისა. არამედ იყო მარადის სამებაჲ წმიდაჲ და არა სადა შეეძინა, არცა მოაკლდა რაჲ, ერთ-ღმრთეება და ერთ-მთავრობა ღმრთისა და მამისა და ერთ-ნება. და ამის სამებისა წმიდისაგან-მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ყოველივე შეიქმნა. არა ყოფილ სადამე იყვნეს, არცა თანამზრახველ ღმრთისა, არცა პირველად შობილ, არა რაჲსაგან შექმნულ. ამის ყოვლისა დასასრული ვიციით და გურწამს, ხოლო მამისა და ძისა და სულისა წმიდისა არცა დასაბამი, არცა დასასრული ყოფად არს. და ესე ქეშმარიტად ვიციით... \*.

5  
30

III

[ :ზ: ს ა კ ი თ ს ა ვ ი ]

C 20

თქუებული წმიდისა და ნეტარისა მელეტი ეპისკოპოსისაჲ

ხარებისათვის წმიდისა ღმრთის-მშობელისა

(თ)თუესა მეექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი უფლისა მიერ გალილელად ქალწულისა ერთისა, რომელი განთხოილ იყო ჟამსა მას. და ვითარცა გულისცემა ყო გაბრიელ, რომლისა სახისათვის მოივლინა ხარებად, დაღათუ მხიარულ იყო, სახარებითა მით სავსე იყვნეს ბაგენი მისნი, ხოლო დიდსა მას საკვრელებასა მისსა ზედა უფროჲს დაკვრეებულ იყო გონებაჲ მისი, ვითარმედ ვითარ ყოველნი დაბადებულნი ვერ შემძლებელ არიან დატყვენად, ვითარ შევიდეს და დაადგრეს მუცელსა მას ქალწულისასა! და რომელი მოუგონებელსა და გამოუთქუმელსა მას ნათელსა დამკვდრებულ არს, ვითარმე ბნელსა მას მუცელსა დედაკაცისასა შევიდეს გამოუთქუმელი იგი და შემოქმედი ყოველთაჲ? ვითარმე ყრმა ჩჩულ იქმნეს, ანუ ვითარმე შემოქმედი იგი ადამისი იშვეს დედაკაცისაგან? და გულისცემა ყო გაბრიელ, ვითარმედ რომელსა სიმდაბლესა მოსლვად არს სიმდიდრე იგი ძისა ღმრთისაჲ. დაუკვრდებოდა უმეტეს კაცთ-მოყუარებისათვის, რომელი ეგულებოდა კაცთა მიმართ, და გამოთქუმად ქეშმარიტად ვერ შემძლებელ იყო, დაღათუ უწყოდა, ვითარმედ დიდ არიან მადლნი იგი, რომელ არიან ანგელოზთა თანა. ხოლო არა ეგოდენ, რომელ იქმნების კაცთა მომართ, დაღათუ გამოუთქუმელ არიან მოწყალეებანი იგი, რომელ არი-

C 21

30

13 თქუებული. 15 თქუსა.

\* ა-ში ეს სტატიკა მთლიანად ყოფილა (45r—54r), მისი დაბლოცება აქ შემდეგია: «ვკრ-ხალენით კვთილად, ნუ უკუე ვინმე ერთად შეარწყუას ღმრთეებაჲ, არამედ წმიდაჲ სამებაჲ სრული, მამად სრული, ძმ სრული, სული წმიდაჲ სრული. ერთი ღმერთი და ერთ-ღმრთეება, რომლისა შუენის დიდებაჲ და პატივი და ძალი და თაყუანის ცემაჲ მამისა და ძისა და სულისა წმიდისა აწ და მარადის და უკუნისამდე, ამენ.

ან ზესკნელთა ზედა, არამედ უფროსს გამოუთქუმელ არიან მოწყალეები იგი, რომელ არიან კაცთა ზედა. დიდი მადლი არს ანგელოზთა თანა, რამეთუ ეგდენ განადიდნა, არამედ უფროსს უძლიერსს არიან მადლნი ესე, რომელ ესრეთ მოკუდავთათს დაიმდაბლებს ღმრთეებასა.

და ვითარცა გულისკმა ყო გაბრიელ, ვითარმედ შემოქმედი იგი გარდა- 5  
მოვალს და შევალს საშოსა დედაკაცისასა, დამამტკიცებელი იგი დამდაბლდების მუცლისაგან ქალწულისა შობად, და ღმერთი იგი მიუწოდებელი ჯორცთა კაცთასა შეიმოსს, და უფალი იგი ანგელოზთა გამოჩნდების ხატად მონებისა, ისწრაფა ადრე-ადრე და შთაიციუა სიმდაბლს უფლისა თვისსა, რადთა იყოს მორჩილ და ნების-მწყოფელ ქველის-მოქმედისა მის და დამდაბებელისა. დაუ- 10  
ტევა მანცა თუხი იგი პატივი, და მოვიდა სიმდაბლით მისთჳს, რომლისათჳს იგი ეგულებოდა დაფარვად ღმრთეებისა და მოსლვად სიმდაბლით. გამოუცხადა დაფარული იგი მისი გამოჩინებულად გამოუჩინებელისა მისთჳს, რომელი იგი გამოცხადებდა იყო. და იცვალა იგი თვისსა ხატისაგან სხუად ხატად მსგავსად მისა, რომელსა იგი ეგულებოდა დაფარვად ღმრთეებისა და გამოჩინებდა ხა- 15  
ტად კაცთა. გამოეყენა ცეცხლის მსგავსთა მათგან და მოვიდა მიწისაგანთა მათ მისთჳს, რომელ იგი მოვლინებდა იყო მამისაგან. მოკუდავთა მათ გამოეცხადა ანგელოზი იგი კაცად მისთჳს, რომელსა იგი ეგულებოდა ხატი მონებისა შთაცუმად; იცვალა ხატად ქუეყანისათა მისთჳს, რომელ იგი გამოჩინებდა იყო ქუეყანასა ზედა. | დაღათუ ხატად მოხუცებულისად გამოჩნდა ანგელოზი იგი ამის- 20  
თჳს, რადთა არა შეადრწუნოს, რამეთუ არა სადა ეხილვა ანგელოზი იგი მარიამს, და ვითარცა სანატრელსა ეფრემს უთქუამს.

ხოლო მნებაეს გულისკმის ყოფად — სახლეულისა-მე ხატად გამოუჩნდა ანგელოზი იგი მარიამს, ანუ უცხოჲსა სახედ? და ერთისა-მე მოხუცებულისა მსგავსად გამოჩნდა, რომელმან იცოდა იგი? ანუ უცხოჲსა ხატად მხიარულითა 25  
პირითა შევიდა მისა სახარებისა. მისთჳს, ანუ საშინელებით-მე დიდებისა მის დიდებითა მეუფესა მას, რომელსა მოველინა იგი? მარტო-მე იყო მარიამ, ანუ დაეცა-მე მისი მის თანა იყო? ანუ ჩუენება-მე რად იხილა მას ღამესა, ანუ უზრუნველად ყუდროდ ეძინა? სცნობდა-მე რას მას ღღესა გულსა თვისსა, ანუ დაფარულად-მე იყო მისგან ქეშმარიტებად იგი გამოცხადებამდე მისა ანგე- 30  
ლოზისა მის?

მოვიდა მისა ანგელოზი იგი, ვინაჲცა შევიდა მისა. საშინელ იყო ხილვად მისი. და თუ მეყს გამოუჩნდა სახლსა მას შინაგან კართა-ჯშულთა, მითცა საშინელ და ზარის ასაჯდელ იყო ხილვად იგი ანგელოზისად მის; და თუ განუხუნა კარნი იგი და შევიდა, იგიცა დიდ საშინელებად იყო. და ვითარცა ჰკითხა 35  
ოდენ ქალწულმან, ვითარმედ: „ვინ ხარ, რომელი ეგე შემოხუედ?“

უსწრო და ნუგეშინის-სცა მას მოკითხვითა მით, ჰრქუა მას: „მშუდობად შენ თანა, კურთხეულო დედათა შორის, რამეთუ შენ გამო იკურთხნენ ყოველნი დედანი! მშუდობად შენ თანა, კურთხეულო დედათა შორის, რამეთუ შენგან განახლდეს კურთხევა ქუეყანასა ზედა! მშუდობად შენ თანა კურთხეულო დე- 40



დათა შორის, რამეთუ შენგან ყოფად არს კადნიერებაჲ პირველსა მას დედა-  
თასა! მშუდობაჲ შენ თანა, კურთხეულო დედათა შორის, რამეთუ შენ გამო გან-  
ღებად არს კარი სამოთხისაჲ მის, რომელ დაიწვა | ევაჲსგან დედისა ყოველთა  
დედა(თა)ჲსა!“

C 23

მარიამ შეშინებულ იყო შესლევასა მას ანგელოზისასა, ხოლო უფროჲს შე-  
ძრწუნებულ იყო ჳმასა მას მოკითხვისასა და განიზრახვიდა გონებასა თჳსსა და  
იტყოდა: რაჲმე არიან საქმენი ესე და ვინაჲ-მე არს უფალი იგი, რომელმან მო-  
აველინა ჩემდა? უკუეთუ ესე ესრტთ საშინელ არს, რომელმან მოაველინა ესე რაჲ-  
დენ არა უფროჲს საკვრველ იყოს! უკუეთუ მოციქული ესრტთ ჰაეროვან არს,  
რომელმან მოაველინა ესე რაოდენ არა უფროჲს ჰაეროვან იყოს! უკუეთუ  
მოვლინებული ესე ესრტთ დიდებულ არს, თუთ უფალი, მომავლინებელი ამი-  
სი, რაჲდენ არა უფროჲს დიდებულ იყოს! მითხოვად-მე მოსრულ არს ჩემ-  
და? გულისწმა ვყო, ვითარმედ რაჲსა მოუვლინებეს უფალსა მას ესე ჩემ-  
და?! და რამეთუ უგუნურ და ურცხუნელ არა ვარ, თუთ მოწამე ვარ თავსა ჩემ-  
სა. და თუმცა უწყოდა, თუ მშუდ და კრძალულ ვარ, რად არამცა დედაკაცი  
მოაველინა ჩემდა და არა მამაკაცი ესე?! დაღათუმცა არა ვისა თხოილ ვეყავ,  
ვითარმცა თავს ვიდევ კაცისაჲ ამის უცხოჲსაჲ?! დაღაცათუ წინდი იგი არა  
მომელო იოსებისგან, ვითარმცა სიტყუაჲ დავდევ კაცისა ამის თანა უცხოჲსა,  
რომელი არა ვინ ვიცი?! დაღათუ ობოლ და შეუწყენელ ვარ, ცოლად მისა  
არავე მეგულების, რამეთუ უპოარ ვარ. დაღათუ ქმნულ-კეთილ ვარ, ხოლო სი-  
მდიდრს არაჲ მაქუს, ვითარ ეგების თავს-დებად ესე?! დაღათუ შეუნიერებაჲ პი-  
რისა ჩემისაჲ განთქუმულ არს, ხოლო აღსაგებელი არცაღა გლახაკისაჲ მაქუს,  
კაცსა, რომელსა ესევეთარი მონაჲ უვის, მისნი საფასენიცა დიდ იყენენ, და მე  
გლახაკი მონისაჲცა მისისა არა ღირს ვარ. ვითარ ანუ რომლითა-მე-მცა სათნო  
ვეყავ უფალსა მას, რომელსა ესევეთარი მონაჲ უვის?! ვითარ-მე-მცა მოაველინა  
| ესე ჩემდა, უკუეთუმცა არა ვეხილვე-და სათნო ვეყავ მას!?! და თუმცა არა  
მეცნიერ რაჲმე იყო ჩემდა, ვინ უწყის, ღმრთისა ტაძრადღა იგი შევიდოდე, მა-  
შინ სადამე უხილავ მას. და რაჲჲმს თაყუანის ვსცემდი მას შინა, მაშინ თუ სა-  
და თუალ იგნა ჩემ ზედა. და თუმცა ჰკითხა ვის ჩემთჳს, უთხრამცა ვინმე, რამე-  
თუ განთხოილ ვარ, და თუ არავეს ჰკითხა, ვითარ-მე მოაველინა ჩემდა?! დაღა-  
თუ სათნო უჩნდი, ვითარ-მე მოაველინა მამაკაცი ესე და არა დედაკაცი?! და ჩემ-  
და ვითარმცა ობლისა ყრმისა მოაველინა თჳსი, არა ვინმე ესუა დედაჲ, გინა თუ  
დაჲ, რომელიმცა მოაველინა? და თუ ნათესავი დედათაჲ არა უვის მას, ჩემდაცა  
არა წეს არს თავს-დებად სიტყუაჲ მისი, დაღათუ მონაჲ ესევეთარი არს; ხოლო  
თესლ-ტომი მრავალ არს სახლისაგან დავითისა, და ვინ უწყის, იყოს ვინმე ნა-  
თესავი მისი, რომელ არა მახლობელ იყოს მისა. და თუ ესუას მონაჲ და შორს  
იყოს მისგან, გამოკითხვად უფლისა მისთჳს ვერიდები. და თუ არა გამოკითხი-  
თხო, რაჲ სარგებელ არს! მი-თურას-უგებდე კაცსა მას, ვითარცა ურცხუნო  
შემრაცხუნოს, და თუ დავედუმნე და სიმძიმესა რასმე ვაჩუენებდე, რაჲ სარგებელ  
არს, რამეთუ იოსებისა თხოილ ვარ. და თუ ვიტყვიდი რას, ურცხუნოდ შემრ-  
ა

C 24

ცხოს. და თუ ვდუმნე, არა რაე განილოს ჩემგან სიტყუად უფლისა მისისა მი-  
 მართ. თუაღნი თუ მივადგნე, ლირბად შემრაცხოს, და თუ თავი დავიკიდო და  
 დავდუმნე, რაე სარგებელ არს, რამეთუ მე განთხოილ ვარ. და თუმცა არა  
 განთხოილ ვიყავ, მი-მცარამე-უგე. და თუმცა არა მომელო წინდი, ვეკრძალე-  
 მცა რამე სიტყუად აწ, რამეთუ მითხოვად ჩემდა ვერ შესაძლებელ არს და 5  
 ვერცა მიყვანებად უფლისა თვისისა ცოლად.

C 25 ხოლო აწ ვდუმნე და არა რაე მიუგო, რაეთა განზრახვად | დგეს გულისა  
 შინა, რაეთა არა უსწრო იოსებს, და ესმეს და თავ ეყოს, ვითარმედ ქალწული-  
 სა მის გლახაკისა, რომელნი მდიდრად შეეთუალოდეს, უფალმან ვინმე მდი- 10  
 დარმან სიტყუად მოართუა ობოლსა მას უგინცოსა და მარტოსა, რომელი შე-  
 ურაცხ იყო დედიერ-მამიერთაგან. კაცმან ვინმე აზნაურმან, ნათესავ-ტომიერმან,  
 მოავლინა მთავარი მონათაგანი მითხოვად მარიამისა ცოლად თსა. და თუ არა  
 მითხოვად მოსრულ არს ჩემდა, რაესამცა იყო ცუდად სიტყუად ესე ჩემდა მო-  
 მართ!? და თუ არა წინდი რამე მოუღებდეს, ვითარმცა მოვიდა ჩემდა ქალ- 15  
 წულისა ერთისა, რომელი არა სადა ვის უხილავ ურაკპარაკთა!? და თუ ვთქუა  
 სიგლახაკისა ჩემისათს მომიკითხა, არა ღირს ვარ ესევეთარისა პატიოსნისა კა-  
 ცისაგან. და თუ ვთქუა, ვითარმედ სიტყუად რაესამე მოვიდა ჩემდა, აჰა თქუა- 20  
 ცა, რომლისათს იგი მოსრულ იყო. უკუეთუმცა მოკითხვისა ხოლო მისთს  
 მოსრულ იყო იგი, რაესამცა შესძინა თქუმად: «უფალი შენ თანა». სიტყუად იგი,  
 რომელ თქუა შემდგომად მოკითხვისა მის, გამოაჩინებს; ვითარმედ მოკითხვა 25  
 ესე მისთს იყო, რაეთა მოკითხვითა მით გულისწმა ყოს სახელი უფლისა, რო-  
 მელი თქუა შემდგომად მოკითხვისა მის. აწ თუ მითხოვად ჩემდა მოსრულ არს  
 ცოლად, რამეთუ მე სხუასა თხოილ ვარ; და თუ სხუად, რად მოსრულ არს?  
 მნებავს გულისწმის ყოფაე, რამეთუ შემადრწუნა მე შემოსლვასა მას და ზარ-  
 განტლილ ვიქმენ საშინელად ხილვითა მით უფროჲ(ს)ლა, რამეთუ სახელი უფლი- 25  
 სა მისისაე ასმინა ყურთა ჩემთა.

ამის ყოვლისათს განიზრახვიდა ქალწული იგი უბიწოე, რამეთუ იტყვს  
 მახარებელი იგი, ვითარმედ ამის ყოვლისათს «განიზრახვიდა გულსა თსსა, ვი-  
 ლუკა 1, 28 თარმედ რამე არს მოკითხვაე ესე?» მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა: „ნუ  
 გეშინინ, მარიამ, არა თუ დაწინდებად მოვედ შენდა, არამედ სახარებად; არა 30  
 C 26 სრულად | განმზადებად; არამედ რაეთა მიუდგე ახლითა მით სასწაულითა; აჰა  
 ესერა ჰჰოვე მადლი არა თუ საქმეთათს სათნოთა რამე, არამედ მადლთა მათ-  
 გან ქველის-მოქმედებისათა. და არა თუ სიმართლისათს რაე, არამედ ქველის-  
 მოქმედისა მის მიერ და კაც[ეთ]-მოყუარისა, დაღათუ არიან შენ თანა წესიე-  
 რებანი, ხოლო ვერ ესწორების მადლთა მათ, რომელ მოვილინნეს შენდა მად- 35  
 ლით. აჰა ეგერა ჰჰოვე მადლი წინაშე უფლისა და ქალწულებასავე შენსა მიუ-  
 დგე. და თუ შეუძლებელ გიჩნდეს გონებასა შენსა სიტყუად ესე, «აჰა ჰჰოვე ძმ  
 ლუკა 1, 31 და სახელი უწოდინა ყრმასა მას იესუ». რამეთუ რომელ იგი შობად არს შენ-  
 ლუკა 1, 22 გან, ზეშთა ბუნებასა კაცთასა არს; ამისთს ძეე მადლის ეწოდოს». და რამეთუ  
 დაითრგუნა მიუფებაე იგი იუდაესი, რომელ ლეკუ ლომის წოდებულ იყო, მის- 40

ლუკა 1,32 ცე შენ ძესა შენსა არად თუ თესლი იუდაისი დაჩრდუნვილი და არცა ნათესავი ისრაჲლისა დაძუელბული, არამედ «მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი იგი დავითისი», რომელ აღუთქუა დღეთა მათ იაკობისთა, და მეუფებდეს იერუსალმს, და არა ხოლო იერუსალმს ერთსა მას ნათესავსა ზედა, და არცა ამას რიას ხოლო, ათსა მას ნათესავსა ზედა, არამედ მეუფებდეს ყოველსა მას ზედა სახლსა იაკობისსა და ზედა ათორმეტთა მათ ნათესავთა იაკობისთა. და არა თუ ვითარცა მეუფებდა იგი დავითისი განწესოს მეუფებდა მისი შემდგომთათჳს, და არცა ნათესავთაგანსა ვის მიეცეს ჳელმწიფებდა მისი, ვითარცა მეუფეთა მათ ისრაჲლისათა, არამედ უკუნისამდე ჟამთა მეუფებდეს, «და სუფევინსა მისისა დასასრული არა იყოს», და დასამტკიცებელად სიტყუათა ამათ, რომელთა ვიტყვ.

C 27 და იცვალა ხატი პირისა მისისაჲ, რადთა ჰაეროვნებდა იგი, რომელ იყო პირსა მის ანგელოზისსა, და დამტკიცენს სიტყუანი იგო, რომელთა იტყოდა ენითა თჳსითა. და ვითარცა იხილა მარიამ, რამეთუ იცვალა ხატი პირისა მისისაჲ, ცნა, ვითარმედ ანგელოზი არს მალლით და არა ჭუეყანით მოვლინებული, ზეცით და არა მოკუდავთაგან, რამეთუ ღრმთისაჲ არს დიდებდა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

IV

თთუესა დეკენბერსა კმ

B 23 C 27 საკითხვანი ქრისტეს შობისანი :ა: 20

თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მთავარ-გუბისკობლისა ვახტანტინეპოლელისაჲ

შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა წმიდისა და მარადის ქალწულისა მარიამისგან

ბარ. 3,38 საყუარელნო, პირველითგანეუ მამათ-მთავარნი და წინაღწარმეტყუელნი ქადაგებდეს და მართალთა სწადოდა, რადთამცა [თუ]ალით მხილველ იქმნენს ამისთჳს, რომელცა ესე აღესრულა დღეს, რამეთუ «ღმერთი ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცეოდა».

აწ ძმანო, ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ, უკუეთუ იოვანე ჭეცელსა დედისასა ჰკრთებოდა მოსლვასა მას მარიამისსა, არამედ რომელი იგი მისგან იშვა, მეუფეს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, მას ვხედავთ. ჯერ არს, რადთა უმეტეს ვი-

4 იწლმს. 19 თთუესა დეკენბერსა კე abs. C. 20 ქრისტეს შობისანი abs. B + დეკენბერსა :კე.—C. 21 მამისა ჩუენისა abs. C; ~ იოვანეს კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ C. 22 კოსტანტინეპოლელისაჲ B. 23 ქრისტესა C. 25 მამად-მთავარნი B. 26 იქმნეს B. 30 რომელ C. 31 ქრისტე C.

ხარებდეთ და ვიშუებდეთ განკჯრეგებითა დიდსა ამას დიდებასა ჩუენისა ცხო-  
რებისასა, რომელი იგი ყოველთა გონებათა გარდამატებულ არს.

აწ მო-ლა-იგონე და ამსგავსე რეცა კადრებით მისივე შექმნილი მზმ ესე,  
ვითარმცა თჳსი ბრწყინვალეობაჲ ზე სიმაღლესა ცათასა დაუტევა, და იგი გარ-  
დამოჳდა და ქუეყანასა ზედა რბიოდა. გან-ლა-იზრახე და გულისხმა ყავ, რავდენ 5  
უსაკჯრეველს არს, რომელმან იგი მზმ და ყოველნი დაბადებულნი შექმნნა, მან  
თჳსი იგი ბრწყინვალეობაჲ ზეცას დაუტევა და ჩუენ თანა ჯერ იჩინა დამკჯრე-  
ბაჲ, და მარადის სულთა ჩუენთა განაბრწყინებებს და თუალით მხილველ ვართ  
ჯორციელად. მრავლით ქამითგან მინდა ამის დღისათჳს ხილვად. არა თუ მცი-  
რედითა ნებითა გულს ვეტყუდე, არამედ დიდ[ითა] წადიერებითა და გარდა- 10  
რეულითა სურვილითა ვილ[ო]ცევედ, რადთამცა კრებულნი ესე განმტკიცნა სარ-  
წმუნოებითა და ეკლესიაჲ ჩუენი აღივსო მართლ-მადიდებლობით; | რომელცა  
ესე აწ მოგუემადლა და ვხედავთ აღვსებულსა|.

C 28

[აწ] ესედათუ არს, ვინათგან [გჯ]სწავიეს ესე ჩუენსა უპირატესსა  
მათგან, რომელნი იგი შეუქმნეს მას, რომელნი იგი თუალით მხილველ იქმნენს 15  
შობასა მას მაცხოვრისასა და ჩუენ გუეუწყა მათგან. აწ წმიდისა ამის დღესას-  
წაულისა შეჰგავს ახლად წოდებად || და ძუელად; ახლად ამისთჳს, რამეთუ ჩუენ  
ვისწავეთ შემდგომად დამტკიცებულნი; ძუელად ამისთჳს, რომელთა იგი პირ-  
ველთა მათგან ისწავეს თუალით მხილველთა მათგან, რომელთაცა გუაუწყეს  
და დაგვდევს კანონი ესე. 20

B 24

და აწ შეწვევითა ქრისტესითა ჩუენი ესე სწავლად მათსა მას ცნობასა  
ეზიარა, ვითარცალა ვინ დაჰნერგის ხმ შუენიერი და აღორძნდის, და გამოი-  
ლის ნაყოფი კეთილი, და ყოველთავე სწადინ ჴამად და ყოველნივე გულს ეტყუ-  
ედ, რადთამცა ნერგისა მისგანი ფესჳ ერთი წარიღეს და დაჰნერგეს სამოთხე-  
სა შინა თჳსსა. და ოდეს სიკეთისა და სულნელებისა მისგან აღივსის სამოთხე 25  
იგი, და სულნელებაჲ ზღუდეთა ზედა გარდაეცის, და რომელნი თანა წარჰვლი-  
ედ, ჰნატრიედ და გულს ეტყუედ მოღებად ხისა მისგან, ეგრეცა ესე სამოთ-  
ხე ჩუენი, რომელ არს ეკლესიაჲ ჩუენი, საესე არს მართლ-მორწმუნეთაგან და  
გარდაეცემის; და ვიხარებდეთ და უმეტესად ვჰმადლობდეთ.

აწ ძმანო, თქუენისა მაგის მოწრაფებისა და მტკიცედ სარწმუნოებისათჳს 30  
მოგეცინ მადლი ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან, რომელი იგი იშვა დღეს ჯორ-  
ციელად, და თქუენი ეგე სარწმუნოებით სიყუარული ქრისტესი დიდად სათნო  
არს ღმრთისა და შეწირულ. და აწ ძმანო, თქუენ თანა შეწვევითა ღმრთისათა  
ვიტყოდით და ვთქუათ თქუენისა აღშენებისათჳს, რომლისათჳს იგი გსურიან.  
ისმინეთ, რამეთუ აქამომდევცა რომელნიმე არიან მღურციელ, რომელნიმე კუა- 35

1 განკჯრეგებით C; დიდისა B; ამას მის და B; დიდებულისა B; ჩუენისა ცხოვრებისასა  
abs. C. 3 ამსგავსე B; ~ ესე მზმ C. 5 გა-ლა-იზრახე B; გულისხმა C. 6 უსაკჯრეველს C. 9 ყა-  
მით C; ~ ხილვად ამის დღისათჳს C. 12 მართლ-მადიდებლობითა C. 15 იქმნენს B. 16 დღესა-  
სწაულისა C. 18 შემდგომად ამათგან ვისწავეთ C. 19 გუაუწყეს გუასწავეს C. 20 ესე abs. C.  
24 ნერგისა მისგანი ნერგისაგანი B; სამოთხესა C. 26 ~ ზღუდეთა ზედა გარდაეცის სულნელებ-  
აჲ C; წარჰვლინედ C. 27 ხისა ხილისა C. 28 ჩუენი abs. C; საესე C. 29 უმეტესად C. 30 მო-  
სწრაფებისა C. 33 აწ abs. C; უფლისათა C; ვიტყუთ C. 34 რომლისათჳსცა C; გსურიან +  
დღეს C. 35 აქამომდევცა C.

- ლად დააჯერებენ და ასწავებენ, და მრავალი ძიებად არს ამის დღისათჳს მრავალ-  
 C 29 თა ადგილთა; რომელნიმე იტყჳან ახალი არს და ახლად გამოძიებულთი, და რომელნიმე იტყჳან და დააჯერებენ, ვითარმედ პირველითგან არს, და ძუელი არს. და მოიქსენებენ წინაღწარმეტყუელთა მიერ შობისა მისისათჳს, დასავალითგან აღმოსავალდმდე საცნაურ არს ყოველთა მკვდრთა ქუეყანისათა. 5
- აწ ვიწყით და ვთქუათ, უკუეთუ ესოდენსა ცილობასა ესევეთარი სარწმუნოებად და წრაფად გუაქუს, საწყუარელნო, რავდენლა მერმე, ოდეს უბრწყინვალესად-რე გუუწყყოს! საცნაურ არს აწვე სურვიელად მოსლვად იგი თქუენი და უმეტესადლა მერმისათჳსცა. აწ სამითა ამით ჯერითა მარჯუე არს, ძმანო, ცნობად, რადთა გურწმენეს, რამეთუ ესე არს ჟამი, ოდეს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე იშვა. და სამისა ამისგან ერთი ჩუენებად ესე, რამეთუ ესრჳთ მკუეთორ განითქუა ყოველთა ადგილთა დღესასწაული ესე. და ვითარცა იგი გამალიელ ქადაგებისა მისთჳს მოციქულთაჲსა ეტყოდა ჰურიათა, ვითარმედ «უკუეთუ კაცთაგან რადმე იყოს საქმშ ესე, დაჰქსნდეს, და უკუეთუ ღმრთისა მიერ იყოს, ვერ ძალ გიც დაქსნად, ნუ უკუე ღმრთის მოლაღეცა ვიპოვნეთ». 15
- აწ ძმანო, ესრჳთცა მე ამის დღისათჳს ვიტყჳ კანდიერად, რამეთუ ღმრთისაგან ღმერთი-სიტყუად არს, რომელმან ყოველი დაბადებული შექმნა; ამისთჳს არს თუ დაჰქსნდა, არამედ წლითი-წლად აღემატების და უბრწყინვალესი იქმნების. და რამეთუ ქადაგებამანცა მოციქულთამან მცირეთა წელთა ყოველნი [ქუეყანანი აღავსნა, მესახეველეთა მათგან უსწავლელთა, დაღათუ უსწავლელ იყენე[ს] და უწიგნო, არამედ ქადაგებას[ა] და სწავლასა არაგინ იყო განმკითხველ და დამაბ[რ]კოლებელ, ვისთჳს იგი ქადაგებდეს, იგივე შეეწოდა. 20
- აწ უკუე მაცილობელთა მ[ათ]განი არაგინ დაშჯერდებ[ი]ს პირველსა ამას. C 30 | ის[მი]ნე მეორეცა სახარების[ა]გან, ვითარ იგი იტყჳს: «და იყო მათ დღეთა შინა ბრძანებ[ა]დ გამოვდა აგვტოს კ[ე]ისრისაგან აღწერად ყოვლი[სა] სოფლი- 25 სა. ესე იყო პირველ[ი] აღწერად მთავრობასა მას ასურთა ზედა კკრი[ნ]სსა. და მოვიდოდა და [ა]ლიწერებოდა თითოეული თჳსსა ქალაქსა. აღვიდა იოსებ-ცა გალილეა[მთ] ნახარეთით ჰურიასტან[ს], ქალაქად დავითისა ბეთლემდ, რამეთუ იყენეს იგინი სახლისაგან დ[ა] ნათესავისა დავითისა, შთაწერად მარიამითურთ, რომელი იგი თხოვილ იყო მისა, და იყო იგი მიდგომილ. და იყო 30 ვიდრე იყენესლა იგინი მუნ, აღივსნეს დღენი იგ[ი] შობისა მისისანი. და შვა ძ[მ] || იგი მისი პირმშოდ, და შეხვა იგი, და შთააწვინა ბავასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მასა.
- [ა]წ ჩას, რამეთუ პირველსა მას აღწერასა იშვა. და უკუეთუ გნებაუს, ფლობა გაქუს. რადთა მიხვდე ჰრომდ და აღმოიკითხნე პირველ-აღწერილნი იგი და 35 დაიჯერო. აწ არა თუ ჩუენ ჰრომნი ვართ, არცაღა მისრულ ვართ ჰრომდ,

საქ. მოც.  
5, 28—38

B 26  
ლ. 21  
2, 1—

7 და წრაფად abs. C; უბრწყინვალესად-რე C. 8 იგი abs. C. 9 უმეტესადლა C. 10 ქრისტე C. 11 ჩუენებად C. 13 ქადაგებისა] ვადგებისა B. 17 ღმერთი-სიტყუად] ღმრთისა სიტყუად C. 19 მცირედთა C. 21 ქადაგებასა + მათსა C; არაგინ] არავე C. 24 მეორეცა C. 25 ~ გამოვდა ბრძანებად C; სოფლისა C. 26 ~ აღწერად პირველი C; ასურეთა B. 27 მივიდოდეს ყოველნი C; აღიწერებოდეს C. 28 ჰურიასტანდ C. 30 თხოვილ C. 33 მათ B; სავანესა B. 35 პირველ-დაწერილნი C. 36 ჰრომედ C.



არამედ მუნ მყოფთა სარწმუნოთა კაცთაგან გუეუწყა ჩუენ დღჲ ესე, რომელთა იგი პირველითგან იცოდეს და ჰყოფდეს. და არცა სახარებამან სადაგად თქუა, არამედ დღჲცა და ჟამიცა გუაუწყა ჭეშმარიტად. და ღმრთისაცა იგი წყალობად ჩუენდა მომართ გამოაჩინა, არა თუ თვთ რამე განზრახვით ყო აგვსტო მეფემან აღწერად იგი, არამედ ღმრთისა მიერ აღიძრა, რათამცა უნებლიად მსახურა მხოლოდ-შობილისა მოსლვასა. და ესე ემსგავსების მოლუაწებასა? [ა]რა მცირედი რად, საყუარელნო, არამედ ფრიადცა მოლუაწებად არს. გალილეად სოფელი არს [პალესტინეს და ნაზარეთი ქა]ლაქი არს გალილეადსად, და კუალად ჰურიასტანი ქუეყანად არს, და ბეთლემი ქალაქი არს ჰურიასტანისად. | და რამეთუ ქრისტესა ყოველნი წინადაწარმეტყუელნი წინადაწარმეტყუელებდეს არა თუ ნაზარეთით, არამედ ბეთლემით შობად. და ოდეს ჰეროდე ჰკითხვიდა ჰურიათა, ვითარმედ ესადა შობად არს ქრისტე, მათ წინადაწარმეტყუელივე იწამეს და უთხრეს, ვითარმედ «ესრე იტყვს წინადაწარმეტყუელი, ვითარმედ—შენ ბეთლემ, ქუეყანაო იუდაესო, არად სადა უმრწემს ხარ მთავართა შორის იუდაესთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდა მთავარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაელი». ამისთჳსცა ნათანაელ, ოდეს იყო ფილიპს თანა, ეტყოდა: «ვოვეთ ჩუენ იესუ ნაზარეთით». და მან ჰრქუა, ვითარმედ «ნაზარეთით ეგების-მე-რადა კეთილი?» და ვითარ იესუ თქუა «აჰა ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვად არა არს», და არცა შეეპყრა ფილიპე სიტყუასა მას, რამეთუ ჭეშმარიტად იცოდა, რამეთუ არცა გალილეადთ, არცა ნაზარეთით, არამედ ჰურიასტანს და ბეთლემს შობად არს ქრისტე უფალი. და ესე ნათანაელ სწავლულ იყო შჯულსა და იტყოდა წერილთაგან, ვითარმედ «ბეთლემს შობად იყო [უფალი]». | ამისთჳსცა უფალმან ჰრქუა: «აჰა ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვად არა არს». ამისთჳსცა ჰურიანი ნიკოდემოსს ეტყოდეს: «იხილე, რამეთუ წინადაწარმეტყუელი გალილეადთ არა აღდგომილ არს». და სხუანი იტყოდეს: «არა თესლისაგან დავითისა და ბეთლემით დაბით შობად არს ქრისტე». და ყოველთაგე ამათ სწორ და მსგავს იყო წამებად, რამეთუ ბეთლემს იშვა და არა გალილევს. იოსებ და მარიამ იყვნეს ბეთლემელნი და მიიცივალნეს იგინი ნაზარეთა და მუნ ცხონდებოდეს, ვითარდა კაცმან რომლისამე მიზეზისათჳს დაუტევის თჳსი სოფელი და წარვიდის და მწირობით ცხონდებიან სხუასა სოფელსა, ან ეგრე მისრულ იყვნეს იგინი ნაზარეთა და მწირობით ცხონდებოდეს მუნ.

და რამეთუ შობად იგი ბეთლემს ყოფად იყო, მისთჳს იყო აღწერად იგი მეფისად მის, და კაცად-კაცადი აღიწერებოდა თჳსით სოფლით. მივიდეს იგინიცა თჳსა საშოდ, | რათა აღიწერნენ იგინი თჳსსა სოფელსა ბეთლემს. და ესე გამოაჩინა მახარებელმან და თქუა: «აღვიდა იოსებცა გალილეადთ, ნაზარეთით

C 31

მათე 2, 5

მათე 2, 6  
იოანე 1, 45  
— 46

იოანე 1, 47

იოანე 1, 47

B 27

იოანე 7, 52

C 32

1 კაცთა მიერ C. 2 სადაგად რად თქუა | სადა განთქუა B. 3 დღეცა C. 4 თუ abs. B; აგვსტოს C. 5 მეფემან B. 9 ქუეყანად | სოფელი C; ჰურიასტანისად C. 10 ქრისტესა B. 12 ქრისტე C. 13 ესრეთ C; ვითარმედ | და C. 14 არა C; უმრწემს C. 16 ნათანაელ C; ფილიპეს C; იტყოდა C. 17 ჰრქუა | თქუა C. 18 თქუა | ჰრქუა B; თქუა + ვითარმედ C; ჭეშმარიტა C. 19 არცა | არა C; ფილიპე C. 21 არს | იყო C; ქრისტე C. 22 იტყოდა | იცოდა B. 24 ნიკოდემოსს B; ეტყოდეს + და C. 25 აღდგომილ არს | აღდგების C. 26 ქრისტე C. 31 მწირობით B; მუნ abs. C. 32 ამისთჳს C. 33 მეფისა C; მის | მიერ C; თჳსსა სოფელსა C. 34 იგინი abs. C. 35 ნაზარეთით C.

თით ბეთლემდ; რამეთუ იყენეს იგინი სახლისაგან და ტომისა დავითისა, რაჲ-  
თა აღიწერნენ მუნვე. და ვიდრე იყენესლა იგინი მუნ, აღივსნეს დღენი იგი შო-  
ბისა მისისანი და შვა ძმ იგი მისი პირმოჲა.

ლუკა  
2, 1-7

აწ ჰხედავა, ვითარ ყოველივე სიბრძნით განაგო ღმერთმან მორწმუნეთა-  
თჳს, რაჲთა ცნან ძალი მისი და დიდებაჲ ვითარ ვარსკულავე იგი მოიყვანებ-  
და მზის-აღმოსავალით მოგუთა მათ, და რჩული მოაწუყედა მარიამს სოფლად  
თჳსა, რომელ იგი თქუმულ იყო წინაჲსწარმეტყუელთა მიერ. აწ ამის ყოველისა-  
გან საცნაურ არს ჩუენდა, რამეთუ მარიამ დავითის ნათესავე არს. და ამისთჳს  
მახარებელმან გამოაჩინა, რამეთუ იოსებისი წარმოგვთუალა ნათესავე და მა-  
რიამისი არა წარმოგვთუალა, რაჲთა არა აცილობდენ და იტყოდი, ვითარმედ  
—რაჲთა ვცნა, უტუეთუ დავითის ნათესავე არს იგიცა ქალწული? ამისთჳსცა  
—ქალწულისა თხოვილისა ქმრისა, რომლისა სახელი იოსება. და რომელ იგი თქუა,  
|| «სახლისაგან დავითისა», ესე ქალწულისად თქუა. და ვითარცა აღივსნეს დღე-  
ნი იგი ქალაქსა მას თჳსსა ბეთლემს, მაშინ შვა ქრისტე. და არა იყო მათა აღ-  
გილ სავანესა მას, რამეთუ ყოველი იგი ნათესავე ბეთლემდ შეკრებოდეს და  
დაიპყრობდეს სავანესა, რამეთუ აღივსო ყოველი სახლი ბეთლემისად, ვიდრე-  
მდე ვერ კმა იყენეს მათა ველნიცა სადგურად და დიდი იწროებაჲ იყო. მაშინ  
პოვა იოსებ ქუაბი იგი და დაადგრა მას შინა. და ოდეს იშვა უფალი, შეხვა  
იგი მარიამ და შთააწვინა ბაგასა, რომლისაგან ძ(რ)წიან ქერობინნი.

ლუკა 1, 20  
—21  
B 28

C 33

ებრ. 9, 24

აწ რაჲთამცა უქეშმარიტსად-რე გამოგინენ და გამოგიცხადენ და თქუენ-  
ცა გულისხმა ყავთ, რამეთუ პირველ წერილისად მნებაჲს სიტყუად შჯულისა-  
გან, რაჲთა უბრწყინვალსად ცნათ. | და რამეთუ არა გონებითა ჩუენითა  
ამას ჩუენ შევატყუებთ, არამედ ისმინე რასა იტყუჲს პავლე ქრისტესთჳს: «რამე-  
თუ არა ჯელით-ქმნულთა სიწმიდითა შევიდა ქრისტე სახედ ქეშმარიტთა მათ,  
არამედ თვთ მათ ცაათა». და რამეთუ ხატსა მას აჩუენებს ქეშმარიტსა, რამეთუ  
ყოველივე იგი სახმ პირველისა მის კარვისად შემდგომისა მის გამობრწყინები-  
სათჳს იყოფოდა და კრეტსაბმელი იგი კარავსა მას შინა, რომელი განჰყოფდა  
წმიდასა მას წმიდათასა ვითარცაღა ესე ცაჲ, რომელი შუვა განჰყოფს; და ცა-  
სა მას უწოდა ვითარცა კრეტსაბმელად. ხოლო სასოებისათჳს იტყუჲს: «სარკმ  
გუაქუს ჩუენ სულისად განკრძალული, დამტკიცებული და დაფუძნებული». და  
კუალად დართო და თქუა, ვითარმედ «შევიდოდა მღვდელთ-მოძღუარი იგი წე-  
ლიწაღსა ერთგვის კარავსა მას შინა, წმიდასა მას წმიდათასა». აწ ჰხედავა,

ებრ.  
6, 10—20

1 სახლისაგან | სახლისა მისგან C. 2 ~ იგინი იყენეს C. 4 ხედავა C. 5 ძალი + იგი C.  
7 ამის abs. C. 8 ნათესავისაგანი C; არს | იყო C. 10 არა | არაინ C; რაჲთა + აწ C. 12 თჳსა  
C. 13 თხოილისა C; ქმრისა | კაცისა C. 14 ქალწულისათჳს C; ვითარ C; დღსნი B. 15 იშვა  
ქრისტე C; მათა abs. C. 16 რამეთუ ყოველი იგი ნათესავე ბეთლემდ შეკრებოდეს და დაი-  
პყრობდეს სავანესა abs. C; 17 სავანესა B; ყოველი + იგი C; ვიდრემდის C. 18 ეყენეს B; ~  
სადგურად ველნიცა C. 20 შთააწვინა + იგი C; რომლისათჳს C. 21 უქეშმარიტსად-რე C; ~  
გამოგიცხადენ და გამოგინენ C. 22 გულისხმა C; რჩულისაგან C; 23 უბრწყინვალე იცნათ C. 24  
პავლე BC. 25 ქრისტე C. 26 მათ abs. C. 27 სახე C; კარვისა B; გამობრწყინებისათჳს C. 28  
რომელი + იგი C. 29 შოვა B. 30 ამას C; კრეტსაბმელად (დ-ღენი მერმეა ხელნაწერში აღ-  
დგენილი). 32 იგი abs. C. 33 ხედავა C.



შდ. ლევ. 16, 29—31  
B 30 გზის ჰყვით შჯულად საუკუნოდ. და მრქუა მე უფალმან აღმართებასა მას კარვისასა და რამეთუ ამას ჰყოფდა მღღელთ-მოძღლუარი იგი წელიწადსა ერთგზის<sup>6</sup>. აწ ამით ჩას, რამეთუ ამას დღესასწაულსა ეჩუენა ზაქარიას ანგელოზი იგი წმიდასა მას შინა წმიდათასა, ოდეს იგი შევიდა მარტოა კუმეველ საკუმეველისა. და რამეთუ მღღელთ-მოძღლუარი იგი არა შევიდის მარტოა, არამედ მაშინ 5 ხოლო. აწ რაა ვუაყენებს ჩუენ სმენად სიტყუასა მას!

C 35 | იყო ვინმე დღეთა მათ მეფისა ჰურიასტანისათა მღღელი, რომლისა სახელი ზაქარია, დასისა მისგან აბიასა, და ცოლი მისი ასულთაგან აპრონისთა და სახელი მისი ელისაბედ. და იყო დაწესებულსა მას მსახურებისასა, ხუდა წესი იგი მსახურებისა მის საკუმეველთადასა. და შევიდა იგი ტაძარსა ღმრთი- 10 სასა და ყოველი იგი ერი მოსრულ იყო და დგა გარეშე, და ილოცვიდა ჟამსა მას კუმევისას(ა).

ლევ. 16, 17  
წმიდისა კლემენტისისი, რომელი იყდ მღწაფე წმიდისა მოციქულისა პეტრესი,  
 რომელგა იგი შემდგომად წმიდისა პეტრესსა დაჯდა საყდარსა მისსა ჰროლმს

**ბრძანებაჲ წმიდათა მოციქულთაჲ კლემენტისის მიერ მიძღუნებული  
 ყოველთა მიმართ სამოციქულო კათოლიკე ეკლესიათა**

სიტყუაგან და წამებისა და დღესასწაულთათჳს

25

ბ 53

ვითარმედ დღენი დღესასწაულთა || თქუენთანი დაიცენით: პირველად  
 შობად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელი ჯერ არს ჩუენდა ყოფად

2 რომელი C; ადამი] ადამის წილ C; სამოთხედ] ავაზაკი C. 6 იგი abs. C; ვა + იგი C.  
 7 განვრწნა C; ეგრეცა + ღმერთი C. 8 ღმრთივ] ღმრთის B; და abs. C. 9 და + კაცისა ხატი  
 C; კაცისა ხატად abs. C. 11 დაჰქსნეს C. 12 მსახურებაჲ + იგი C; ჰრწმენა + იგი S; წარ-  
 მართთა + არცა ჰურიათა S; ნაშობსა S. 13 რი + იგი S. 14 შუენ C. 15 დაიმარხა CS; ამის-  
 თვის C. 16 და ვადიდებთ abs. S; ქალწულისა abs. S; ქრისტესა B. 17 რომლისა CS; პატივი  
 + და თაყუანის ცემაჲ C. 18 ~ სულისა წმიდისა C; საუკუნეთა მიმართ საუკუნეთაჲსა] აწ და  
 მს და ოკი ოკე S.

20 საკითხავი abs. C. 21 რომელი + იგი C; მოწაფე C; პეტრესი C. 22 რომელგა C;  
 წმიდისა პეტრესსა] მისსა C. 23 ბრძანებითა C; მოციქულთაჲთა C; მიძღუნებული C. 24 ~  
 კათოლიკე სამოციქულოთა C. 25 დღესასწაულთათჳს B; + ესრეთ C.

\* აქიდან იწყება S.

C 60

ოცდახუთსა მეცხრისა (თ)თჳსასა. ხოლო არს მეცხრე (თ)თჳს, მსგავსად საღმრთო-  
თა | წიგნთა, პირველად აპრილი თთჳს, და მეცხრე არს დეკენბერი. და მის-  
სა შემდგომად ცხად თქუენდა იყავნ პატიოსანი იგი დღჳს განცხადებისაჲ, რო-  
მელცა იგი უფალმან გამოუცხადა ყოველთა ღმრთეებითა თჳსითა, და იყავნ ესე  
ექუსსა (თ)თჳსასა, რომელ არს იანვარი. და აღირაცხეთ ოცდახუთითგან დეკენ- 5  
ბერისაჲთ და ჰპოვოთ მეორმოცე იგი დღჳს. განწმედისაჲ მსგავსად შჯულისა  
(თ)თჳსა ფებრვალსა ორსა\*.

## VIII

B 53  
C 60

:კ: [ს ა კ ი თ ს ა ვ ი]

წმიდისა გრიგორი ღმრთის-მეტყუელისა ეპისკოპოზისა ნანძინანძორვეელისაჲ 10  
**შობისათჳს უფლისა**

რამეთუ გამოჩნდა ღმერთი კაცთა შორის ჳორციელად შობილი, რომელი  
იყო და მარადის არს სამარადისოჲსაგან არსებისა, და ჩუენთჳს იქმნა იგი უკუა-  
ნაჲსენელ კაც. და ვითარცა არსებაჲ მოსცა კაცთა ეგრევე, რაჲთა უმჯობჳ-  
სად ყოფაჲ მონიქოს და, უფროჲსლა, რაჲთა დაცემისაგან ბოროტისა ალაღ- 15  
გინოს მასვე კუალად ღი[რ]სებასა ჳორც-შესხმისაგან[ნ] თჳსისა. და სახელ ეღების  
გ[ა]მოჩინებისა მისისათჳს გამოცხადება, ხოლო შობისათჳს—შობ[ა]. ესე არს  
ჩუენდა კრება და ამ[ას] დღესასწაულსა აღვასრულებდეთ დღეს, და შემდგო-  
მად მცირედ ვიხილოთ ნ[ათ]ლისებაჲცა იესუჲსი იორდან[ა]ნისა მდინარე[სა] ჩუე-  
ნისა გან[წ]მედისათჳს და უფროჲს [ხოლო] განწმედისათჳს წყალთაჲს[ა]\*\*. 20

## IX

B 53  
C 60

:ვ: [ს ა კ ი თ ს ა ვ ი]

მისივე

**ნათლისღებისათჳს სიტყუაჲ**

შობისათჳს, რომელ ჳერ იყო ჩუენდ[ა], დღესასწაული აღვასრულეთ ყოვ- 25  
ლითა შემკულებითა და უფროჲსცა შემკულე]ებისა ვარსკულავისა თანამორბედ

1 მეცხრე + იგი C. 2 წიგნთა] წერითა C; თჳს B; თთჳს C; მეცხრე C; მისა B.  
3 ცხადად C; დღე C. 4 ~ თჳსითა ღმრთეებითა C. 5 თჳსა C. 6 ჰპოვოთ C; მეორმოცე C; ~  
დღჳს იგი C; რჩულისა C.

10 გრიგოლისი C; ღმრთის-მეტყუელისა C; ნანძინანძორვეელისა C. 13 იგი abs. C. 14  
უმჯობესი C. 15 ბოროტისა abs. C. 16 ჳორცთ-შესხმისაგან C. 17 განცხადება C. 19 მცირედ-  
რჳს C; ნათლისღება C.

24 რომელი C. 25 უფროჲსლა C.

\* ეს საკითხავი გამოცემული აქვს აკად. კ. კეკელიძეს წიგნში: „უცხო ავტორები  
ძველს ქართულ მწერლობაში“, გვ. 181 (შდრ. მისსავე „ქართ. ლიტ-რის ისტორიას“ I,  
გვ. 652).

\*\* შდრ. გვ. 294, 9-16.

19. ენიშვი-ს მოამბე, ტ. XIV.

ვიქმნენით, და მოგუთა თანა თაყ[უ]ანის ვეცით და მწყემს[თა] თანა ვადიდებდით, და ანგელოზთა თანა გამოვბრწყინდით და ვაქებდით, და შემდგომად კუალად სხუასა ქრისტეს სიდიუმლოსა ვდღესასწაულობდით\*.

## X

B 53  
C. 60

:ს: [ს ა კ ი თ ს ა ვ ი]

5

წმიდისა გრიგორისი ნახელისა[ჟ], წმინდი იყო მამა წმიდისა ბასილისი

**შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ [ქრისტე]სა და წმიდისა სტეფანესთჳს**

ვითარ კეთილ არს შედგომად კეთილისაჟ, ვითარ კეთილ არს მხიარულებისაგან მხიარულებად მოსლვად, რამეთუ აჰა ესერა დღესასწაული დღესასწაულისაგან, და მადლი მოღებად მადლისაგან! [გ]უშინ უფალმან ყოველთა გვწოდა 10 ჩუენ და დღეს მიმსგავსებულმან უფლისამან, ვითარ მან ანუ ვითარ ამან. მან კაცებად ჩუენთჳს შეიმოსა და ამან კაცებად მისთჳს განიძარცუა. [რამეთუ] ოცდამეშუდესა დღესა (თ)თჳსა დეკენბერისასა აღესრულების დღესასწაული წმიდისა სტეფანესი იერუსალჳსს, სადაცა იგი პატიოსანნი ნაწილნი მისნი სხენან. და ესე ცხად არს ყოველთა და ამისგან ჩას, [რამეთუ] ოცდახუთსა დეკენბერსა არს 15 შობად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, და მიერთვან მეორემოცქ დღე არს მიეგებებად უფლისაჟ, და (თ)თუესა ფებრვალსა აღესრულების მეორესა დღესა.

## XI

B 54  
C 61

:ს: [ს ა კ ი თ ს ა ვ ი]

20

[წმი]დისა იოვანე კოსტანტინეპოლელისა მთავარ-ეპისკოპოსისაჟ

**შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა**

[პ]ირველ ამისსა გამოუჩინებელ იყო და შემდგომად მცირედთა წელთა გამოცხადნა, რამეთუ მოვიდეს ვიეთნიმე დასავალით, რომელთა აუწყეს გამოჩინებად მისი და ყოფად ქამისაჟ, რომლისათჳს მამათ-მთავარნი დაშურეს პირველად

1 და მწყემსთა] მწყემსთა C; ვადიდებდით] გამოვბრწყინდით C. 2 გამოვბრწყინდით და abs. C. 3 დღესასწაულობდით B; დღესასწაულობთ C.

6 გრიგორისი C; ბასილისი] გრიგო[ლი]სი B. 7 ქჳსა C; წმიდისა + პირველ დიაკონისა C; სტეფანესთჳს C. 8 ვითარ] [ვ]რ B. 9 დღესასწაულისაგან B. 11 ვითარ ამან. მან] ვინ C. 13 თუესა C; დეკენბერსა C; დღესასწაული] ცხენებად C. 14 ~ პატიოსანნი იგი C. 15 დეკენბერისასა B. 16 დღე C. 17 თჳსა C.

20 იოვანე ეპისკოპოსისა კოსტანტინეპოლელისაჟ C. 21 ქრისტესა C. 22 ამისა გამოჩინებულ C. 24 მისი abs. C; მამად-მთავარნი B.

\* ეს ტექსტი გრიგოლ ნახიანუელისაჟე ვრცელი სანათლისღებო სიტყვიდანა გამოღებული (აჰა კუალად დღესა...<sup>4</sup>), იბ A—№ 19. გვ. 360-369.

და წინააწარმეტყუელნი წინავე იტყოდეს, და რომლისათჳს მართალთა გული უთქუმიდა ხილვად. ესე გამოჩნდა დღეს და აღესრულა დღეს, და ღმერთი ქუეყანასა ზედა გამოჩნდა ჳორციელად და კაცთა შორის იქცეოდა. და არღა არს მეთაჳ წელი, ვინაჲთგან გამოჩნდა დღჳ ესე და საცნაურ იქმნა, არამედ პირველ და უწინარჳს მრავალთა წელთა მოცემული ესრჳთ აღყუავილნა თქუენისაგან მოწრაფებისა, ვინაჲცა იგი არავინ ცოდოს ახლად და ძუელად სახელის-  
 C 62 დებად მისა. ახლად,—აჳ ცნობისათჳს ჩუენთჳს, ხოლო ძუელად და პირველად, რამეთუ სხუათა თანა დღესასწაულთა იქმნა | სწორ, მწრაფლ და მსგავსად მათისა პატივისა მიიწია საზომსა. რამეთუ დასავალით მყოფთა მათ შორის პირველ ცხად იყო, ხოლო ჩუენ შორის აჳ მოვიდა არა მრავალთა წელთა, და მყის  
 B 55 ესრჳთ აღორძნდა || და ესევეთარი ნაყოფი გამოიღო, ვიდრემდის თანა არს ჟამი ესე აჳ და გარემოჲს ჩუენსა აღსავსჳ ეკლესიაჲ და შეიწრებულ ერისაგან და მრავალთაგან მომავალთა.

რამე უკუე გული გითქუამს სმენად დღეს სხუაჲ, არამედ დღეს ამისთჳს ვიცი, რამეთუ მრავალნი აჳცა ურთიერთას იცილობიან. რომელნიმე იტყჳან, ვინა-  
 15 თარმედ «ახალი არს და აჳ მოღებულნი», და რომელნიმე მიუგებენ და იტყჳან, ვითარმედ «ძუელი არს და პირველი, და თრაკეთითგან და ვიდრე გადირონად-მდე მყოფთა საცნაურად უწყებულ არს».

მოვედით აჳ და ამისთჳს სიტყუაჲ აღეძრათ, რამეთუ მაქჳს ჩუენებად თქუენდა სიტყუაჲ, რომლითა დაგარწმუნო ყოველთა. რამეთუ ესე არს ჟამი,  
 20 რომელსა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე იშვა. ერთი არს ჩუენებად ესე, რამეთუ მწრაფლ ყოველთა ესრჳთ ეუწყა და შეიწყნარეს. და რამეთუ სიმადლესა ესე-ვითარსა მიიწია და აღყუავილდა დღესასწაული ესე. და რომელ იგი გამაღიელ ქადაგებისათჳს თქუა, ვითარმედ «უკუეთუ კაცთაგან არს, დაჳჳსნდეს, ხოლო უკუეთუ ღმრთისაგან არს, ვერ შემძღებელ ხართ დაჳსნად, ნუ უკუე ღმრთის  
 25 მოლაღჳცა ვიპოვნეთ». ესე დღისა ამისთჳს ვთქუ და ვიცი, რამეთუ ღმრთისა მიერ არს, არა ხოლო თუ არა დაჳჳსნდა, არამედ წლითი წლად მიმოეფინების და ქადაგებამან მისმან დაიპყრა ყოველი სოფელი. და სხუაჲცა მრავალი არს, რომელი შეჳავს გამოძიებად და სიტყუად, რამეთუ ეხარა მარიაჲს თთუესა დჳსტროჲსსა ოცდახუთსა, რომელ არს მარტი, ხოლო იჳყო მუცლად-ღებაჲ  
 30 ქსანდიკოსითგან, რომელ არს აპრილი, და ესრჳთ ცხრად თთუედ აღირაცხე-ბის, რომელსა შინა იშვა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. | და კუალად ესე, რამეთუ სოფლისა აღწერაჲ, რომელი იყო აგჳსტოს კეისრისაგან, ღმრთისა მიერ აღძრვითა იყო, რამათა საიდუმლოჲ იგი გამოჩინებისა მისისაჲ ამით გამოცხად-  
 C 63

1 და რომლისათჳს | რომლისათჳს C. 2 უთქუმიდა C. 3 ჳორციელთა C. 5 ესრეთ C; აღყუავილდა C. 6 სახელის-დებაჲ მისი C. 7 ჩუენთჳს | ჩუენ შორის C. 8 რამეთუ abs. C. 11 ესრეთ C. 12 ჟამი ესე abs. C; და შეიწრებულ | შეიწრებულ C. 15 აჳცა | დღეს B; იცილობებიან C; მე-ტყჳან C. 16 და რომელნიმე | რომელნიმე C. 17 გადიროდმდე C. 20 დაგარწმუნო | გარწმუნო C. 21 ქრისტე BC. 22 ესრეთ B, abs. C. 23 რომელი C. 24 ქადაგებისათჳს + მოციქულთაჲსა C. 25 ღმრთისა მიერ C. 26 მოლაღჳცა C. 28 სოფელი | ქუეყანაჲ C. 29 თუესა C. 30 დისტროს-სა C. 31 ესრეთ C; თუედ C; აღირაცხებიან C. 33 აღწერაჲ + იგი C; რომელ C; აგჳსტოსის-გან კეისრისა C.

B 56

ნეს, რამეთუ აღწერილი იგი იპოვა ჰრომს, და ჰრომი პირველითგან ჰყოფს,—  
 მართ(ლ)-მორწმუნს და დიდებული საყდარი წმიდისა მოციქულისა პეტრსი.  
 უკუეთუ ვინმე თქუას, რაჲსათჳს-მე ყოველსა სოფელსა პირველითგანვე არა აქუნ-  
 დაო,—არა ხოლო ესე, არამედ ოდესმე ქრისტიანენი || აღესებასა ჰურიათა თა-  
 ნა ჰყოფდეს (ა)თოთხმეტსა მთოვარისასა, და არა ხოლო თუ კურიაკესა ჰყოფ-  
 დეს, არამედ ყოველსა დღესა, ვითარცა რიცხჳ იგი მთოვარისაჲ მიემთხვის,  
 და შეურაცხ იქმნებოდა დღს იგი აღდგომისაჲ. და ესე გამოიძია წმიდამან კრე-  
 ბამან ნიკეაჲსამან სამას ათრვამეტთა ეპისკოპოსთა ნეტარისა კოსტანტინს ზე  
 მეფისა დიდისა, და განაჩინეს კურიაკესა ყოფად დღს იგი დიდი აღდგომისაჲ,  
 ვითარცა სამართალ იყო. ხოლო რომელნიმე ურჩ იქმნეს და პირველსავე მას  
 დაადგრეს ჰურიათა თანა ყოფად აღესებასა, და წვალებასა შეცუვეს ურჩებისა-  
 გან, და ჰრქუან მათ—ათოთხმეტისა მყოფელნი. და ესე ცხად არს ყოველთა და  
 იციან, რამეთუ ვიდრე ნეტარისა კოსტანტინე მეფისამდე ქრისტიანენი დაწუ-  
 ნებულ იყვნეს და დევნულ ყოველთა მიერ მეფეთა; დაღათუ იქადაგა წმიდათა  
 მოციქულთა მიერ ყოველი, არამედ არა ყოველთა ჰრწმენა და არცაღა წმიდა-  
 ნი მოციქულნი ახლად მორწმუნეთა მათ უმეტეს რასმე აიძულებდეს, ვითარცა  
 წერილ არს, არამედ განზორობაჲ კერპთ-მსახურებისაგან და სიძვისა, და სისხ-  
 ლისა დამშდვრისა და მერმე უდიდსი ამისა მცნებაჲ.

5

10

15

C 64

ამისა შემდგომად სრულ ყვეს და განაგეს ყოველი წესი ეკლესიისაჲ ოთხ-  
 თა | მათ წმიდათა კრებათა: პირველმან კრებამან ნიკეაჲსამან სამას ათრვამეტ-  
 თა ეპისკოპოსთა, სანატრელისა კოსტანტინს ზე მეფისა დიდისა; და მეორემან  
 კრებამან, კოსტანტინეპოლის, ასერგასისთა, თევლოსის ზე მეფისა დიდისა; და  
 მესამემან კრებამან ეფესოსამან, პირველმან, თევლოსის ზე მეფისა მცირისა; და  
 მეოთხემან კრებამან ქალკიდონისამან, ექუსას ოცდაათთა, მარკიანს ზე; და  
 ამათ თანა წმიდამან ბასილი, გრიგოლი, ათანასი, იოვანე, ეპიფანე, კრილე და  
 სხუთა საკრველთ-მოქმედთა და წმიდათა მოძღუართა. რამეთუ ესენი არიან  
 თანამოღუაწენი წმიდათა მოციქულთანი და ჰეშმარტინი მოძღუარნი ეკლესიისა-  
 ნი, ვითარცა იტყჳს ნეტარი პავლე, ვითარმედ «პირველად მოციქულნი, მეორედ  
 || წინაღწარმეტყუელნი, მესამედ მოძღუარნი», რომელმან ესენი შეურაცხ ყვნეს,  
 მან წმინდანი მოციქულნი შეურაცხ ყვნეს, და რომელმან ესენი შეურაცხ ყვნეს,  
 იგი თავადსა უფალსა შეურაცხ ჰყოფს, ვითარცა იტყჳს წმიდაჲ სახარებაჲ: «რო-  
 მელმან თქუენი ისმინოს, მან ჩემი ისმინა, და რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს,  
 მან მე შემიწყნარა». არამედ ესეცა ვთქუათ, უკუეთუ ვისმე თხრობილი არა ჰრწმე-  
 ნეს, მას ხილულიცა არავე ჰრწმენეს, და ურწმუნოებაჲ ბოროტ არს, არამედ სარ-  
 წმუნოებაჲ ღმრთისაჲ ვერ განაქარვოს ურწმუნოებამან მისმან, ვითარცა წერილ 35

20

25

30

B 57  
I კორ.  
12,25

მათე  
10,10

2 მართლ-მორწმუნე C. 3 ~ რაჲსათჳს პირველითგანვე ყოველსა სოფელსა C. 4 ხოლო  
 + თუ C; აღესებასაცა C. 5 კურიაკესა C. 6 ყოველსა რომელსავე C; ~ იგი რიცხჳ C. 7 დღს  
 C; გამოიძია გამოიჩინა C. 8 ნიკეაჲსამან C; ათრვამეტთა B; ~ კოსტანტინე მეფისა ზე C.  
 9 განაჩინა C; დიდი abs. C; აღდგომისა C. 10 იქმნეს B. 11 შეცუვეს შესცუტეს C. 12 ათოთხმე-  
 ტის C; ესეცა C. 13 მეფისამდე მეფისა ზე. 16 უმეტესა C. 18 დამშოვრისა C. 19 ამისა და  
 მისა C; ეკლესიასა C. 20 პირველად C; ნიკეაჲსამან G. 22 ზს C. 24 მარკიანეს BC. 25 კრი-  
 ლს B. 26 და abs. B. 27 ეკლესიათანი C, 23 პავლს BC. 32 შეგიწყნარა C. 34 არავე არა C.



C 65 არს და უფროჲსცა, თუ ვისმე ცილობის უნდეს, ჩუენ ეგვევითარი ჩუეულებად არა გუაქუს, არცაღა ეკლესიათა ღმრთისათა, რამეთუ თითოეულმან სიტყუად მიუგოს ღმერთსა თავისა თჳსისათჳს, არამედ ერთ-ზრახვა იყვენით და ერთ-სარწმუნოება და ერთ-სამწყსო, ვითარცა იტყჳს წმიდაჲ სახარებაჲ. და ვითარცა მარადის ქებულ არს სარწმუნოებაჲ თქუენი | და საყუარელ ხართ. წმიდისა 5 ქალაქისა და ყოველთა უბიწოჲსაგან სარწმუნოებისა თქუენისა, ეგრევე ეგენით, რადთა იპოვნეთ ყოველნი ერთობით დაფუძნებულნი და შეუძრავნი სარწმუნოებასა ზედა ეკლესიისასა, და რადთა ერთობით ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

XII

10

B 57 :თ: ს ა კ ი თ ს ა ვ ი

თქუებული წმიდისა გრიგოლი ანძიანძორვეგელისა ეპისკოპოსისაჲ

შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა

ქრისტე იშვების, უგალობდეთ; ქრისტე ზეცით გარდამოვალს, მივეგებოდით; ქრისტე ქუეყანასა ზედა, ამაღლდებოდეთ! «უგალობდით უფალსა ყოველი 15 ლი ქუეყანაჲ!» და რადთა ორივე შემოკლებულად ვთქუათ, «ისარებდინ ცანი და ვალობდინ ქუეყანაჲ» ზეცისაჲსა მისთჳს და მერმე ქუეყანისაჲსა! ქრისტე ჳორციელად,—შიშით და სიხარულით უგალობდეთ! შიშით,—ცოდვისათჳს, და სიხარულით,—სასიხარებისათჳს. ქრისტე ქალწულისაგან, ჳ დედანო, ქალწულ იქმნენით, რადთა იქმნეთ დედა ქრისტესა! 20

ვინ არა თაყუანის სცემდეს დაუსაბამოსა მას? ვინ არა უგალობდეს უკუანაჲსენელსა მას?! კუალად ბნელი დაჰჳსნდების, კუალად ნათელი მოიქცევის, კუალად ეგვბტე იგუემების ბნელითა მით, კუალად ისრაშლი სუეტითა მით განათლდების. «ერი რომელი სხდა ბნელსა უგუჳურებისასა იხილეს ნათელი მენიერებისა დიდისაჲ. პირველი იგი წარჳდა და აჰა ესერა იქმნა ახალი», სახშ 25 იგი წარვალს და სული აღორძინდების; ჩრდილნი იგი განქარდებიან და ქეშმარიტებაჲ მოიწევის. მელქიზედეკ შეკრების, რომელსა არა ესუა დედაჲ, იყო იგი უმამო; უდედო პირველად და უმამო მეორედ. შჯული იგი ბუნებათაჲ განქარდების და ჯერ არს განსრულებაჲ; ზეცისა იგი სასუფეველი, ქრისტე, გუამცნებს არა დაბრკოლებაჲ. «ყოველმან თესლებმან აღიტყუენენით ჳელნი თქუენ- 30 ნია, რამეთუ ყრმაჲ იშვა ჩუენდა და ძედ მოგუეცა ჩუენ, რომლისა მთავრობაჲ ზედა მჳართა მისთა, რამეთუ ჯუარსა ზედა ამაღლდების და ჰრქჳან მას სახელი დიდისა ჳრახვისა მამისა ანგელოზ». იოვანე დაღადებს: «განმზადენით

B 58  
მათე 5,16  
II კორ.  
5,17

1 უფროჲს C. 2 არცა წმძდათა ეკლესიათა C; ღმრთისათა abs. C. 5 თქუენი + უფროჲს ყოველთა C. 7 და შეუძრავნი abs. C. 8 რადთა abs. B.

იონე 1,23 გზანი უფლისანი». და მე ვლალადებ ძალსა დიდსა მისსა: უგორცო იგი ჯორ-  
ციელ იქმნების, ძმ ლმრთისაჲ ძმ კაცის იქმნების, «იესუ ქრისტე გუშინ და  
ებრ. 13,8 დღეს და იგი თავადი უქუნისამდე».

ჭურჩანი დაბრკოლდებოდედ, წარმართნი გუეკიცხვეედ და მწვალებელნი  
მრავლის-მეტყულებედ! მაშინ ჰრწმენეს, რაჟამს იხილონ იგი ზეცად აღმალ- 5  
ლებული; და უკუეთუ აწ არა ჰრწმენეს, მაშინ სამე ჰრწმენეს, რაჟამს მოვიდეს  
ზეცით და დაჯდეს განშჯად. ხოლო ესე უკუანაჲსკნელ, და აწ კრებაჲ ესე არს  
ლმრთისა გამოჩინებისა, — შობაჲ. და ორნივე ესე ითქუმიან ორითა სიტყუთა,  
ორნი ერთსა ხოლო მოასწავებენ, რამეთუ გამოუჩნდა კაცთა შობითა. ხოლო  
შობაჲ მისი პირველად არს და მარადის არს, რომლისაგან იგი მარადის არსი- 10  
სა მისგან უზეშთაეს მიზეზთა და სიტყუსა, რამეთუ არა იყო სიტყუაჲ უფროჲს  
სიტყუსა. ხოლო მეორეჲ ესე შობაჲ ჩუენთჲს უკუანაჲსკნელ, რათა მომცემელმან  
არსებისამან მოგუანიქოს ჩუენ კეთილი არსებაჲ, და უფროჲსლა ვთქუათ, თუ  
ვინაჲთვან მივიცვალენით ბოროტის საქმითა კეთილისა მისგან არსებისა, და  
კუალად მოგუაქცინეს ჯორც-შესხმითა მისითა. და მისსა გამოჩინებასა ეწოლა 15  
გამოჩინებაჲ ლმრთისაჲ, და შობასა — შობაჲ.

B 59

ესე არს კრებაჲ ჩუენი, ამით ვლდესასწაულობთ დღეს, — მოსლგაჲ ლმრთი-  
საჲ კაცთა შორის, რათა ჩუენცა მივეახლნეთ ლმრთისა, ანუ თუ მოვიქცეთ მი-  
სა. და უფროჲსლა ჯერ არს თქუმაღ, ვითარმედ «განვიძარცოთ ძუელი იგი კა- 20  
ცი და შევიმოსოთ ახალი, ვითარცა იგი ადამის მიერ მოგკუედით, ეგრეცა  
ქრისტეს მიერ ვცხონდეთ! ქრისტეს თანა შობილნი და ჯუარცუმულნი, და და-  
ფლულნი და ცხოველნი, და ჯერ არს ჩუენდა მიცვალებაღ კეთილისა. და ვი-  
თარცა იგი კეთილისაგან მივიცვალენით მწუხარებაღ, ეგრევე მწუხარებისაგან  
უმჯობესი, «რამეთუ სადა იგი განმრავლდა ცოდვაჲ, მუნ უფროჲს გარდაემატა 25  
რომ. 5,20 მადლი». და უკუეთუ გემოჲს-ხილვამან მან დასაჯა, და უფროჲს(ს)ლა განამართ-  
ლოს ვნებამან ქრისტესმან!

ამისთჲს ვლდესასწაულობდეთ არა თუ სიმღერითა, არამედ ლმრთისა მი-  
ერ, არა თუ ქუეყანისაჲთა ამით, არამედ უფროჲსლა უფლისა ჩუენისაჲთა, არა  
თუ უძღურებით, არამედ კურნებითა, არა თუ დაბადებულობით, არამედ განახ- 30  
ლებითა დაბადებულისაჲთა. და ვითარ იყო(ს) ესე? არა თუ შემკობითა ბქეთაჲთა  
და არცა განწყობითა მემღერთაჲთა, და არცა ურაკპარაკთა განშუენებითა, არ-  
ცა შუებითა თუალთაჲთა და არცა განცხრომითა სასმენელთაჲთა და არცა სა-  
ყნოსელთაჲთა. არცა ვისიძვიდეთ გემოჲს-ხილვითა, არა მივერჩდეთ კელის-შე-  
ხებასა მწრაფლ მიმყვანებელსა სიბოროტესა დღისასა. არა შევიმოსნეთ სამოს-  
ლითა ჩჩვლითა, რომლისაჲ შუენიერებაჲ მისი განქარებებაღ არს, არა თუ გან- 35  
ბრწყინებითა ქვათა პატიოსანთაჲთა, არცა ელვითა ოქროჲსათა და არცა სი-  
მრავლითა ფერთაჲთა, რომლისაჲ შუენიერებაჲ ტყუვილ არს და მოპოვნებაჲ  
მისი დამჯობა არს კაცისა, რომელ იგი არს ხატი ლმრთისაჲ. არა სიმდიდრი-  
რომ. 13,13 თა, არცა სიმთრვალითა, რომლისაგან არს მრუშებაჲ და სიბილწს, რამეთუ  
სწავლად ბოროტი არნ ბოროტთა მოძღუართა მოძღურებაჲ, და უფროჲსლა 40  
ვთქუათ, ვითარმედ თესლისაგან ბოროტისა ბოროტი მკაჲ. არა განვიმზადნეთ

B 60

ტაბლანი მალაღნი განსასუენებელად || მუცლისა, რომელ არს ჭურჭელი დაქსნი-

ლებისაჲ; არა პატივ ვსცემდეთ სასუმელთა შემზადებულთა, არცა სიკვლოვნესა მზარაულთასა, არცა მრავალფერთა სულნელთა. ნუმცა მოგვძღუნებს ჩუენ ზღუად და ვმელი სკორესა პატიოსანსა, —რომეთუ ესრჳთ პატივ ვსცემ მე შუებასა! არა ვისწრაფდეთ ჯობნად ურთიერთას უძღებებთა, რამეთუ უძღებებაჲ არს ყოველი, რომელი უფროჲს საწმირისა არს; და სხუანი მშვიერ და უპოვარ არიან, რომელნი ერთისაგან თივისა და ერთისაგან შეზავებისა არიან, არამედ ესევეთარნი ესე საქმენი მიუტყვენეთ წარმართთა და ამპარტავანებისა მათი(სა) კრებულსა, რომელნი ხადიან ღმერთთა, რომელნი იხარებენ კუამლითა ნაზორევთათა და ჰმონებენ იგინი ღმერთთა მათთა მუცლითა მოძღუარნი, ბოროტნი დამგებელნი, ბოროტნი ეშმაკთანი.

ხოლო ჩუენ, რომელნი ესე ვჰმონებთ სიტყუასა, უკუეთუ გვნდეს შუების, ვიშუებდეთ სიტყუა და შჯულითა და მითხრობითა ღმრთისაჲთა, და სიტყუთა, სათნოებითა, რომელ არს კრებაჲ ესე, რაჲთა იყოს მადლი მახლობელ და არა შორს მისსა, რომელმან იგი შეგუჳკრიბნა. და უკუეთუ ინებოთ, მე განვიგზადო თქუენ დღეს საზრდელი და წარმოვიდგინო თქუენ სიტყუად ამისთჳს, # სტუ- 15 მარნო კეთილნო, ვითარ იგი ჯერ არს ფართოებით და შუებით, რაჲთა სცნათ, თუ ვითარ გამოზარდნის უცხოჲმან მკვდრნი ქუეყანისანი და მსოფლიომან—მოქალაქენი, და უშუებელმან—შუებულნი, და ბრწყინვალენი სიმდიდრითა—გლახაკმან და უპო(ვ)არმან.

ამიერთგან ვიწყო, განმზადენით გონებანი თქუენნი და სასმენელნი და 20 საცნოზელნი, რომელთა გინებს ჩუენების, რამეთუ სიტყუად საღმრთოჲ არს და ღმრთისათჳს, რამეთუ წარხვდეთ შუებულნი წარუვალთა. და იყოს თქუმული ესე შემოკლებულ, რაჲთა არა იყოს შემაწუხებელ ნაკულუევანებითა და არცა ნამეტავ განგრობითა.

ღმერთი იყო მარადის და არს და იყოს, და უფროჲსდა არს მარადის, 25 რამეთუ «არს და იყოს». განყოფად არს || ჟამისა ამის ჩუენისაჲ და ბუნებისა მდინარისაჲ, არამედ იგი არსი არს მარადის; და ამით სახელ ეღვა, რაჲჟამს იგი ეჩუენა მოსეს მთასა ზედა, რამეთუ მიეღო ყოველი არსებაჲ დაუსაბამო დაუსრულებელი. ვითარცა უფსკრული არსებისა მიუწლომელი, დაუსრულებელი, რომელი უზეშთავს არს ყოვლისა ბუნებისა ჟამიერსა და ბუნებითსა გამოსახუ- 30 ლი გონებითა, ხოლო და ესეცა ფრიად მცირედ, და არა თუ ბუნებაჲ მისი, არამედ საქმეთაგან შეკრებითა აჩრდილი აჩრდილსა თანა ხატითა ჳეშმარიტად, რომელი შეპყრობადმდე წარვიდის და მოგონებადმდევე განგუეშორის. და სინათლჳ მისი გონებითა ჩუენითა რაჲჟამს განვწმიდნეთ, ვითარცა ეღვაჲ რაჲ მწრაფლ წარვიდის სახილველთაგან. მე ესრე ვჰგონებ, ვითარმედ მისა- 35 წლომელთა მით მიიზიდავს მისა, რამეთუ მიუწლომელი იგი უსასო არნ და არა საძიებელ, და რომელთა იგი მიუწლომელ არს და საკვრველითა მით საწადელ არს ფრიად და მისა მიმართ წადიერებითა განწმედს. და განწმედითა მით მსგავსსა გუყოფს; და რაჲჟამს ესრჳთ ვიპოვნეთ, ვითარცა თჳსთა გუეტყოდის. და სიტყუად ესე ჩემი კადნიერად იტყჳს: ჯღმერთი ღმერთთა შორის აღრეულ 40

B 61

შდრ.  
I კორ.  
13,1ა

და საცნაურ არს, და იცნის საცნაურნი იგი, ვითარ მათ იცნეს იგი, რამეთუ ღმერთი დაუსრულებელ არს, და რომელი რაჲ მისგან მისაწდომელ არს, დაუსრულებელ არს“. და უკუეთუ ვისმე ეგონოს, ვითარმედ ბუნებაჲ განმარტებულ არს იგი, ანუ თუ ყოვლითავე მიუწდომელ არს იგი, გინა თუ ყოვლითავე მისაწდომელ, არამედ ვეძიებდეთ რაჲ იგი არს განმარტებულბით, რამეთუ არა განმარტებულბაჲ არს ხოლო ბუნებაჲ ღმერთი, ვითარცა იგი შეერთებულთაგან არს, ბუნებაჲ არს; შეერთებაჲ არს რომელ იგი დაუსრულებელ არს. ორ სახედ საცნაურ არს, რაჲჲს მიუტევნის გონებაჲმან სიღრმესა მას ზეცისასა, და არა პოოს სადამცა დაადგრა ანუ მიეყრდნა აჩრდილსა ღმრთისასა.

B 62

და აწ რომელ დაუსრულებელ არს აქა და გარეწარუვალი, უწოდა მას დაუსაბამოჲ; და რაჲჲს მიხედნეს ქუესკნელსა, უწოდის უკუდავ, და წარუვალ არს; ორივე შეკრბის, უწოდის უკუდავ საუკუნო, ორამეთუ საუკუნოჲ არა თუ ეჲმი არს, არცა კერძოჲ ეჲმისაჲ და არცა განზომილ, არამედ ვითარცა იგი ეჲმი ჩუენი არს ძრვად მზისაჲ და განზომილი და საუკუნოჲ დაუსაბამოჲსაჲ დაუსრულებელი არსებითა ვითარცა ძრვად და სივრცე ეჲმისაჲ.

და აწ ესე არს სიბრძნე ჩემი ღმრთისათჳს, რამეთუ არა არს აწ ეჲმი სიტყუად უფროჲს ამისა, და თქუმული ესე არა არს ღმრთისათჳს, არამედ განგებულბებისათჳს გორც-შესხმისა. და რაჲჲს ვთქუა ღმერთი, ვიტყჳ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, და არა განეფინების ღმრთეებაჲ უფროჲს ამისა, რაჲჲს არა შემოვიხუნეთ ღმერთნი მრავალნი, და არცა უფროჲს ამისა განისაზღვრების; არა სიგლახაკე ღმრთეებისაჲ ვთქუათ და ვიქმნეთ ჰუროი ერთისა ხოლო თქუმითა და წარმართ—მრავალ-ღმრთეებითა, რამეთუ ბოროტი ორთაჲვე მათ სწორ არს, დაღაცათუ თჳს-თჳს იხილვების; ესრჳთ არს წმიდაჲ წმიდათაჲ, რომლისაგან იფარვენ სერაბინნი და უგალობენ სამწმიდაარობითა ერთ-ღმრთეებასა და ერთსა უფლებასა, ვითარცა იგი სიბრძნის-მეტყუელთა ერთ-მან, რომელი უწინარჳს ჩუენსა, კეთილად და პატიოსნად.

B 63

და რამეთუ არა კმა ეყო კეთილის-მყოფელსა მას აღძრვად კეთილთა მათ თჳსთაჲ, არამედ ჯერ იჩინა განფენად მადლთაჲ, რაჲთა მრავალთა მიჰმადლოს (და ესე არს უმეტესი კეთილი), და რამეთუ პირველად იზრახა ძალთა მათთჳს ანგელოზებრთა ზეცისათა. და ზრახვად იგი მისი იყო საქმე განსრულებული სიტყუთა და სულითა წმიდითა. მაშინ დაემტკიცნეს ნათელნი იგი მეორენი, მსახურნი იგი პირველისა მის ნათლისანი; სულნი ცნობიერნი, გინა თუ ცეცხლნი შეუხებლნი და უსხეულონი, გინა თუ სხუანი ბუნებანი მსგავსნი ამათნი. მნებაჲს სიტყუად, ვითარმედ აღუძრველ არიან იგინი ბოროტისა, და ყოველი აღძვრად მათი არს კეთილისა მიმართ, რამეთუ მახლობელ არიან დღესა და განათლებულ პირველად ღმრთისა მიერ, და ესენი არიან ნათელნი ორ მეორენი, არამედ მაბრკოლებს მე თქუმად, ვითარმედ აღუძრავ არიან იგინი ბოროტისა მიმართ, რომელი იგი იყო მთიები განთიადისაჲ, ბრწყინვალე იქმნა ბნელ ამპარტავანებითა, და ძალნი იგი ბოროტნი, მის თანა მოქმედნი ბოროტისანი, სივლტოლითა მათითა კეთილისაგან და მიზეზ გუექმნეს ჩუენ ბოროტისა.

1 საცნაურ] საცთურ; საცნაურნი] საცთურნი. 9 ღთისა. 21 სიგლახაკე. 30 საქმე.

ესრტთ ამასცა აქუნდა დაბადებულებად გონიერი, ვითარ ვჰგონებ მე. აღ-  
 ვჰწონ დიდ-დიდთა საქმეთა მცირითა სიტყვთა. და რაჟამს განმზადა კეთილად  
 მის მიერ საქმელ იგი პირველი, იზრახა მეორისა ამისთვის სოფლისა, ნიეთიერისა  
 და სახილავისა, რომელ არს დამტკიცებად ესე, შეზავებული ცათაგან და ქუე-  
 ყანისა, და რომელ რად არს შორის მათსა, კეთილად განმზადებული ყოვლი- 5  
 თავე, და უფროსლა ქებული განსრულებად ერთისა ამისგან სოფლისა, რადთა  
 აჩუენოს, ვითარმედ შემძლებელ არს დაბადებად ბუნებასა არა თუ მახლობელსა  
 თვისსა, არამედ ფრიად შორიელისა მისგან, რამეთუ მახლობელ ღმრთეებისა  
 არიან ბუნებანი იგი გონიერნი და შორს მისგან ფრიად—ყოველი, რომელი  
 არს საცნობელთა ამათ ქუეშე, და უშუერა მათსა—უსულონი და უძრავნი. 10

და უკუეთუ ვინმე თქუას დღესასწაულის-მოყუარემან, ვითარმედ უგუმირე  
 კიცუსა დეზითა, და გუეტყოდენ ჩუენ დღესასწაულისა ამისთვის, რომლისათვის  
 არს კრებად ესე ჩუენი დღეს, და მე ვყო ვგრტთ, დაღაცათუ ვიწყე მდლით  
 პირველად, არამედ ნებამან და სიტყუამან მაიძულა.

(გონებად) და გრძობად ესრტთ განიყენეს, და თითოეული თვისსა საზღვარ- 15  
 სა დაადგრა და უპყრიეს პატივი შემოქმედისა თვისისა, და აქებენ დამბადე-  
 ბელსა თვისსა დუმლით და ქადაგებენ მას ჯმა-მაღლად. და ვიდრე აქამომდე  
 არღარა ქმნულ არს შეზავებად მათგან, და არცა შერევად შეუზავებელთა, რო-  
 მელ არს მეცნიერებად სიბრძნისა დიდისა და სიმდიდრელ ბუნებათა. და არღა  
 ყოფილ არს ყოველი სიმდიდრელ კეთილის-ყოფისა მისისა საცნაურ. და სიტყუა- 20  
 მან დამბადებელისამან რაჟამს ინება, მან ესე ცხოველი ერთი ორთავე ბუნე-  
 ბათაგანი, ხილულისა || და უხილავისა, დაჰბადა კაცი. ხოლო ჯორცნი მისნი მო-  
 იხუნა სიჭმოასაგან, რომელ იგი პირველ დაბადებულ იყო, და თვთ ყო ცხო-  
 რებად მის თანა, რომელსა თქუმული უწესს სულად გონიერად მსგავსად ღმრთი-  
 სა. დაამტკიცა ქუეყანასა ზედა მეორე სოფელი, დიდი მცირესა შინა, სხუად 25  
 ანგელოზი თაყუანის-მცემელი, შეზავებული, მხედვარი დაბადებულთა ხილულ-  
 თად და გულისხმის-ყოფელი უხილავთა, მეუფელ მეუფეთა ქუეყანისათა მეუ-  
 ფედ განჩინებული ზეცით, ქუეყანისა და ზეცისა, ჟამიერი და უკუდავი, ხი-  
 ლული და ცნობილი შორის სიმდიდრესა და სიმცირესა. და იგრ არს სულ და  
 ჯორც, სულ—სიმდაბლითა და ჯორც—ამპარტავანებისათვის; ერთი იგი, რადთა 30  
 ეგოს და აღიდებდეს კეთილის-ყოფელსა მას, და მეორესა მას, რადთა ივნოს.  
 და რაჟამს ივნოს, მოეჯსენოს და განისწავლოს პატივცემული დიდებითა, ცხო-  
 ველი აქა და განგებული და სხუად მიცვალებული. დასრულებებად საიდუმლო-  
 სად ესე არს, ვითარმედ წადიერებითა მისითა ღმრთისა მიმართ განღმრთნეს  
 იგი[ნი]\*. 35

და მას მიმიყვანებს მე ნათელი ქეშმარტებისად მაცხოვარი, რადთა ვიხი-  
 ლოთ და მივსწუდეთ ნათელსა ღმრთეებისასა ღირსსა, რომელმან იგი შეაულ-  
 ლა, და მერმე დაჰქსნის და კუალად უდიდებულსად შეაყოს. ესე დაადგინა სა-  
 მოთხესა მას შინა და პატივ სცა მას აზნაურებითა, რადთა იყოს პატივი კეთი-

11 დღესასწაულის. 29 სიმცირისა. 38 უდიდებულესად.

\* ფრჩხილებში ჩასმული სხვა ზელით არის ჩამატებული.



B 65

ლის-მოკმედისაჲ მის არა უმცირეს მიზეზის-მომცემელისაჲ მის, ქუეყანის-მოკმედ  
 ნერგთაჲ მათ უკუდავთაჲ, რომელ არიან ზრახვანი საღმრთონი, წრფელნი და სრულ-  
 ნი, შიშუელნი სიწრფოებითა ცხორებასა შინა უზაკუველსა, თვნიერ საფარვე-  
 ლისა და სამოსლისა. და ესრეთ ჯერ იყო ყოფად პირველისაჲ. და მისცა შჯუ-  
 ლი აზნაურებისაჲ, რაჲთა რომლისა სახისაგან მოიღოს, და რომლისაგან არა. 5  
 ესე იყო ხს მეცნიერებისაჲ, რომელი პირველად არა ბოროტად დაჰწერგა, არ-  
 ცა შორით დაეყენა მისგან. ნუ მიავლინებ მონათა მისთა ღმრთის-მბრძოლნი,  
 ნუცა ემსგავსებიედ გუელსა მას! არამედ კეთილ არს, რაჲჲმს მოიღოს ჟამსა  
 თვისა, რამეთუ, ვითარ ვგონებ, ხს იგი იყო ზრახვად, რომელი შეჰგავს სულთა  
 მათთჳს და კეთილისა, და კეთილთა მათთჳს, რომელნი ჯერეთ უსრულ არიან. 10  
 და ნებაჲ მათი უძღებ არს, ვითარცა იგი არა კეთილ არს საზრდელი სრული  
 ჩჩვლთა მათთჳს, რომელთა იგი უვნ სძს.

და შურითა ეშმაკისაჲთა და ვნებითა დედაკაცისაჲთა, რომელი იგი შე-  
 ემთხვა მას დაჰსნილობითა, და მან დაარწმუნა (ჲ უძღურებაჲ ჩემი! რამეთუ  
 რომელი იგი პირველისა მამისაჲ იყო, იგი ჩემი არს), დაავიწყდა მცნებაჲ იგი, 15  
 რომელი მოეცა და დაემორჩილა მწარესა მას გემოას-ხილვასა, და განჰებულ  
 იქმნა იგი ხისა მისგან ცხორებისაჲსა და სამოთხისა და ღმრთისაგან ბოროტი-  
 სა მისგან. და შეიმოსა სამოსელი ესე ტყავისაჲ, ჯორცნი ესე ზრქელნი არიან,  
 და პირველად ცნა სირცხული თვისი და დაემალა ღმერთსა. არამედ ამით შეი-  
 ძინა სიკუდილი და განკუეთაჲ ცოდვისაჲ, რაჲთა არა იყოს ბოროტი უკუდავი. 20  
 და იქმნა შურის-გებაჲ იგი წყალობა. და მე დამიჯერებდეს, ვითარმედ ესრე  
 სწავლის ღმერთმან.

B 66

და პირველად განისწავლა იგი მრავალთა ცოდვილთათჳს, რომელი აღმო-  
 აცენა ძირმან ბოროტმან მრავლითა მიზეზითა მრავალთა ჟამთა, სიტყუთა და  
 შჯულობითა წინაღსწარმეტყუელთა კეთილის-ყოფითა, თქუმიითა და გუემითა, წყლვი- 25  
 თა და დაწყევითა, ბრძოლითა, ძღვეითა, სივლტოლითა, ნიშებითა ჰაერთაჲთა,  
 ქუეყანისაჲთა და ზღუათაჲთა, კაცთაჲთა, ქალაქთაჲთა, ნათესავთაჲთა, შეცვა-  
 ლებითა არა მოსალოდებელითა, და ამით ყოვლითა უნდა განჰარვებად ბორო-  
 ტისაჲ. და უკუანაღსკნელ საწმარ იყო წამალი ძლიერი საღმობათათჳს ბოროტ-  
 თა, სიძვაჲ, მრუშებაჲ, ცრუ-ფიცებაჲ, მამათ-მავლობაჲ, და უკუანაღსკნელ ყოვ- 30  
 ლისა ბოროტისაჲ და პირველ არს კერპთ-მსახურებაჲ, მიცვალებად მონებისაგან  
 დამბადებელისა || მონებაჲ დაბადებულთა. რამეთუ უვნდა წამალი დიდი და იპო-  
 ვა. და ესე თუთ იყო სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ დაუსაბამოჲ, უხილავი, მიუწლო-  
 მელი, უჯორცოჲ, პირველი პირველისაგან, ნათელი ნათლისაგან, აღმომაცენე-  
 ბელი ცხორებისაჲ, ბეჰედი შეუძ(რ)ველი, მსგავსებაჲ ჰეშმარიტი, საზღვარი მა- 3  
 მისაჲ და სიტყუაჲ მისი; მოვიდა ხატისა თვისისა და შეიმოსნა ჯორცნი ჯორ-  
 ციელთათჳს, და შეიზავა სულითა გონიერითა სულისა ჩუენისათჳს, რაჲთა გა-  
 წმიდოს მსგავსი მსგავსითა. და კაც იქმნა ყოვლითაჲვე, თვნიერ ხოლო ცოდვი-  
 სა. იშვა ქალწულისაგან განწმედისათჳს ჯორცთა და სულისა მიერ წმიდისა, და  
 ჯერ იყო პატივის-ცემად შობად. და გამოვიდა ღმერთი მოღებულითა მით, ერ- 40

თი ორთაგანი, შემავაგესებულთა სულისაგან წმიდისა; ერთმან ორთა ამათგანმან განაღმრთო და მეორე იგი განიღმრთო.

ჰ შეზავებდა საკრველი, ჰ შეზავებდა დიდებული! არსი იგი არს იქმნების და დაუბადებელი დაებადების, დაუტევნელი დაეტევის შუვამდგომელობითა სულისა გონიერისადათა. განმამდიდრებელი იგი დაგლახანების წორციითა 5 ამით ჩუენითა, რაათა მე განვმდიდრნე ღმრთეებითა, და სავსე დაცალიერდების მცირედ დიდებისაგან თვისისა, რაათა მოვილო მე სავსებისაგან მისისა. რაა არს სიმდიდრე ესე კეთილისაა! რაა არს სადღუმლოდ ესე კეთილისაა, რომელი ჩემთვის იყოფის?! მოვილე ხატებად და არა დავიმარხე. მიხეუნა ჯორცნი, რაათა დაცივეს ხატი, და ჯორცნი უკუდავ ყენეს, გჯიარნა მეორედ უსაკრველს- 10 სად პირველისა მის ფრიად, რამეთუ მაშინ მოგუცა კეთილი, აწ თავს იღვა ნაკულევეანებად; და ესე უფროდსა შეუნის პირველისა მის!

ამისთვის რაა მრქუან ჩუენ მაცილობელთა ღმრთის-მბრძოლთა, განმწარებულითა ძკრის-მეტყუელ, სულნი ქებულთანი დაბნელებულ ნათელსა თანა, რომელსა არა აქუს სწავლად სიბრძნესა შინა, რომელთათვის ქრისტე ცუდად მო- 15 კუდა, დაბადებულნი უმადლონი, სახენი ბოროტისანი? კეთილისათვის აბრალება ღმერთსა? რავდენ შენთვის დაწუნებულ იქმნა. რამეთუ ამწყემსი კეთილი მოვიდა წარწყმედულისა, თავი თვისი დადვა ცხოვართათუსა, რომელთა მათაა ზედა შესწირვედ, და პოვა იგი წარწყმედული და აღიკიდა იგზ მვართა თვისთა ზედა, რომლითა აღიკიდა ჯუარი, და კუალად ეგო იგი ცხოვრებასა ზეცისასა და შე- 20 ერთო იგი სამარადისრთა მათ თანა. რამეთუ აღანთნა სანთლად ჯორცნი თვისნი და მოჰმართა სახლი, განწმიდა სოფელი ცოდვათაგან და ეძიებდა დრაქმისა, ხატსა სამეფოსა, დაფლულსა შორის ვენებათა. და მოუწოდა მეგობართათვისთა ძალთა ანგელოზებრთა პოვნასა დრაქმასასა და იზიარნა სიხარულსა, რომელნი იგი იყენეს მხიარულებით განგებულებასა მისსა. რამეთუ ნათელი იგი 25 დიდი შეუდგეს ნათელსა წინამორბედისასა, და სიტყუად ჯმასა, და სიძე შემამკობელსა სძლისასა, რომელი განუმზადებს უფალსა ერსა თვისსა, და განსწმედს წყლითა და სულითა. ამისთვის აბრალება ღმერთსა?! ამისთვის იზრახე ბოროტი, რამეთუ მოირტყა არდაგი» და დაჰბანნა ფერკნი მოწეფეთანი, და აჩუენა გზად მაღალი მდაბალთა? რამეთუ სულისათვის დაღონებულისა დამდაბლდა, რაა- 30 თა აღადგინოს დაცემული ქუეყანი ცოდვისაგან? და ვითარ არა აყუედრებდე, რამეთუ მეზუერეთა თანა ჰამდა და მოიმოწაფნა ივინი, რაათა შე-რაამე-იძინოს? და რაა იგი?—ცოდვილთა ჯსნაა. ნუ უკუე აბრალებდეს ვინმე მას მკურნალსა, რამეთუ მიხედის წყლულსა და თავს იდვის სულმერალობად მისი, რაათა მოსცეს ცოდვილთა კურნებად, და აღმოიყვანოს ცხოვარი ჯურღმულისაგან, 35 ვითარცა წერილ არს შჯულსა.

მოივლინა, არამედ ვითარცა კაცი, რამეთუ ორთაგანი იყო; და დაშურა, მოემშია და მოეწყურა, და შეძრწუნდა და ცრემლოდა || შჯულითა ჯორციითა. და უკუეთუ ვითარცა ღმერთსა შეემთხვნეს ესე ვითარნი ესე, (?), არამედ ნებად მამისაა შეჰრაცხე მოვლინებად, რომელსა იგი აჩემებს თავსა თვისსა საქ- 40

B 67

იოანე  
10,11შდ. ლუკა  
15,4-5შდ. ლუკა  
15,8-9

ტიტე 2,4

იოანე  
13,4-5გამ. 2,7;  
ლუკა 14,5

B 68

რომ. 4, 25  
შდ. ეფ.  
5, 2-26  
საქ. მოც.  
3, 18; 1, 11.  
მშ. 4, 13

მედ. რამეთუ პატივ სცემს ვითარცა დასაბამსა დაუსაბამოსა, რაჲთა არა სა-  
 გონებელ იყოს, ვითარმედ შეუშმაგავსებელ არს იგი ღმრთისა. და ითქუმის, ვი-  
 თარმედ მიეცა, და თუთ მისცა თავი თვისი. და ითქუმის, ვითარმედ «აღადგი-  
 ნა იგი მამამან და აღამა[ლ]ლა». წერილ არს, ვითარმედ აღადგინა თავი თვ-  
 სი და აღამალა ნებითა და კელმწიფებითა. ხოლო შენ მცირეთა მათ საქ- 5  
 მეთა იტყვ და დიდ-დიდთა მათ თანა წარჰვალ, და ვნებასა მისსა განიზრახავ  
 და არა აღიარებ, ვითარმედ თავით თვისით იყო. ვითარცა აწ შეემთხუევის თქუ-  
 მულთა რომელთაგანმე, ვითარმედ ღმერთსა პატივ სცემს და შეიარწყუევის. და  
 რომელთაგანმე, ვითარცა ჯორცნი იგი ჰნებავენ და განიყოფიან. აწ რომელთა-  
 თვის უფროჲს განრისხნეს ღმერთი და, უფროჲსლა ვთქუათ, რომელთა უფროჲს 10  
 მიეტეოს, რომელთა უფროჲს შეარწყუევენ, ანუ რომელნი უგუნურად განჰყოფენ,  
 რამეთუ იგინი შეარწყუეიდეს და ესენი განჰყოფდეს. რომელნიმე რიცხუთ და  
 რომელნიმე ღმრთეებით დაჰბრკოლდებიან ჯორცთაგან, ეგრევე ჰურიანი და  
 სამარტელნი უწოდი შენ. ხოლო შემდგომისა მისთვის დავდუმნე. უფარ ჰყოფა  
 ღმრთეებასა? არცალა ეშმაკნი ესრცთ, შენ უფროჲს ჰურიათასა უფარის-მყო- 15  
 ფელ ხარ და ეშმაკთა უძრცს! რამეთუ მათ სახელი ძეობისაჲ ბუნებისა შეერ-  
 თებასა აჩემეს. და ეშმაკთა აღიარეს, ვითარმედ ღმერთი არს, რომელი განა-  
 სხმიდა მათ, რამეთუ იცოდეს მის გამო, რომელი შეემთხუეოდა მათ, და შენ  
 არა შეიწყნარებ სწორებასა. უმჯობეს იყო შენდა, თუმცა წინადაგეცუთა ანუ  
 განცოფებულ იყავ (რაჲთა ვთქუა რაჲმე სიცილით), ვიდრე დადგრომასა წინა- 20  
 დაუტუეთელად და უფარის-მყოფელსა ბოროტად.

იოანე 1, 23  
B 69  
მრ. 1, 10

მათე 4, 23

მცირედლა და იხილო იესუ იორდანეს განწმენილი გაწმენითა ჩემითა,  
 და უფროჲსლა ითქუმის, ვითარმედ განსწმენდს წყალთა განწმენითა თვისითა, რა-  
 მეთუ მას არა უწმდა განწმენდაჲ, რომელი «აიხუამს ცოდვათა სოფლისათა»; და  
 «ცათა განხუქმულთა», წამებულსა სულისაგან წმიდისა მსგავსისა თვისისა. და გა- 25  
 მოიცადოს და სძლოს, და იმსახუროს ანგელოზთაგან. «განკურნეს ყოველნი  
 სნეულებანი» და აღადგინნეს მკუდარნი (და ნეტარ თუმცა აღდადგინა შენ, — მკუ-  
 დარი წვალეებისაგან!). და განასხნეს ეშმაკნი, რომელნიმე თავით თვისით და რო-  
 მელნიმე მოწაფეთა მისთა, და ჰურიითა მცირითა გამოზარდნეს ბევრეულნი, და  
 ვიდოდეს ზედა სიღრმესა, და მიეცეს მანებებელთა და ჯუარს ეცუას, და ჯუარს 30  
 აცუას ცოდვად ჩუენი; ვითარცა ტარიგი შეიწირვის და ვითარცა მღღელმან  
 შეწიროს; ვითარცა ჯაცი დაეფლა და ვითარცა ღმერთი აღდგა. ამისა შემდგო-  
 მად აღვიდეს ზეცად და მოვიდეს დიდებითა თვისითა, რავდენ მრავალ არიან  
 დღესასწაულნი საიდუმლოთა ქრისტესთანნი! და თავ ყოველთა ერთი არს, —  
 განსრულებად და განახლებად ჩემი; და მიქცევაჲ ჩემი პირველსავე ადამსა. 35

ესაია 1, 3

და აწ შეიწყნარე შობაჲ და იმღერდ, დაღაცათუ არა ვითარცა იოვანე  
 მუცლით გამო, არამედ ვითარცა დავით წინაშე კიდობნისა. და პატივ ეც აღ-  
 წერასა და აღიდე შობაჲ, რომლითა განიქვენ საკრველთაგან შობისათა. და პა-  
 ტივ ეც მცირესა ბეთლემსა, რომელმან მოგაქცია სამოთხედვე, და თაყუანის  
 ეც ბავასა, რომლისაგან გამოიზარდე სიტყუთა, რაჲამს იგი იყავ უსიტყუელ. 40  
 «იციან ჯარმან მომგებელი თვისი—გობრძანებს შენ ესაია—და ვითარცა ვირმან  
 ბავად უფლისა თვისისაჲ».

და უკუეთუ წმიდათაგანი ხარ, ვითარცა შჯულსა წერილ არს, და აღმო-  
 იცოხნი სიტყუასა, და ღირს ხარ შეწირვად. და უკუეთუ არა წმიდათაგანი ხარ,  
 რომელი არა ჯერ არს, არცა დაკლვად ნაწილი წარმართებრი. ვარსკულავისა  
 თანა რბიოდე, მოგუთა თანა ძღუენსა შესწირევდ, ოქროსა, გუნდრუჟსა და  
 მურსა, ვითარცა მეუფისა და ღმრთისა, ვითარცა მკუდრისა შენთვის მოკლულ- 5  
 სა. მწყემსთა თანა აღიდებდ, ანგელოზთა თანა უგალობდ, მთავარ-ანგელოზთა  
 თანა იხარებდ. იყავნ კრებად ზოგადი ძალთა ზეცისათა და ქუეყანისათა.  
 მრწამს, რამეთუ დღესასწაულობენ დღეს, ვინაფთგან მწყალობელ არიან(ნ) იგი-  
 ნი და ღმრთის-მოყუარლ, ვითარცა იგი მოაგსენებს დავით შემდგომად ვნებისა,  
 ვითარმედ აღვიდეს ქრისტეს თანა, შემთხუევით უბრძანებს განხუმათა. ერთ 10  
 ხოლო მოიძულე შობისა ქრისტესი მოწყუედად იგი ჰეროდეს მიერ ჩჩვლთაჲ;  
 და უფროსდა ითქუმის, პატივ სცა მას შესაწირავსა მობაძავ ქრისტესა უწი-  
 ნარსს საკვრველისა შესაწირავისა. უკუეთუ ივლტოდა იგი ეგვტედ, მის თანა  
 ივლტოდე გულსმოდგინედ. რაჲხომ კეთილ არს სივლტოლად ქრისტეს თანა,  
 რაჲჲამს იდევნოს იგი! უკუეთუ იდევნოს ეგვტედ, მოუწოდე მას ეგვტით, და 15  
 იგი მუნ კეთილად იმსახურების. ვიდოდე ყოველსა ჰასაჲსა ქრისტესსა და ძა-  
 ლითა მისითა უბიწოდ დაიცევ. ვითარცა მოწაფლ ქრისტესი განწმიდენ, წინა-  
 დაიცუთე, განიძარცუე საბურველი შობისაჲ და ამისსა შემდგომად ასწავებდ  
 ტაძარსა შინა. და ნახენ ღმრთის-მოფარდულნი, და უკუეთუ შეგემთხვოს შენ ქვი-  
 სა დაკრებაჲ, მიითუალე. მე უწყი, რამეთუ განერე შენ მოისართაგან ფარუ- 20  
 ლად და ხვდოდი შორის მათსა ვითარცა ღმერთი, რამეთუ სიტყუად არა ეცე-  
 მის. უკუეთუ წარგადგინონ შენ წინაშე ჰეროდესა, ნუ უფროს-მეტყუელისა მის  
 იტყვ, რამეთუ ჰრცხუენინ დუმლისაგან შენი(სა) უფროს-მეტყუელისა. ეძიებდ  
 დარჩომილსა მას, მიიღე ნავლელი ნავლლისა მისთვის, სუ ძმარი, ეძიებდ ნერ-  
 წყუასა მისსა, თავს იდევ ყურიმლის-ცემად მისთვის, დაიდგ გვრგვნი ეკლისაჲ, 25  
 ფიცხლად ცხორებითა ღმრთისათვის. შეიმოსე სამოსელი ძოწეული კიცხვისაჲ,  
 შეიწყნარე ლერწამი, თაყუანის იცემე მოკიცხალთაგან ქეშმარიტთა. უკუანაჲს-  
 კნელ;—მის თანა ჯუარს ეცუ, მის თანა მოჰკუედ, მის თანა დაეფალ, რაჲთა  
 მის თანა ასდგე და მის თანა იდიდო, და მის თანა ჰსუფევდე და ჰხედვიდე,  
 ვითარ იგი შესაძლებელ იყოს. და იხილვებოდი ღმრთისაგან თაყუანის საცემე- 30  
 ლისა საქმებისა დიდებულისა, რომელსა ვევედრებით, რაჲთა გამოგვბრწყინდეს  
 ჩუენ, ვითარ იგი შესაძლებელ იყოს კრულეზასა მას წორცათასა ქრისტე იესუმს  
 მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

B 70

B 71

XIII

B 71 :ი: ს ს კ ი თ ს ს ვ ი

C 66 თქმული დღესასწაულთათვის; რომელ იგი მიიწერა იერუსალმში ისტანიანს მთელ მთელსა მართლ-მორწმუნისა

ხარებისათვის და შობისა მიგებებისათვის და ნათლისღებისა

5

ყოველნი რომელნი ხაროთ ქრისტიანენი და აღიარებთ სარწმუნოებასა კათოლიკე ეკლესიისასა, რომელი წმიდათაგან წიგნთა დაწერილი წმიდათა მამათა მოძღუართა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთვის გუასწავებს, კრძალულად აღვასრულოთ; და გულისხმა ვყოთ, რავდენი რაჲ არს მისი იგი ჩუენდა მომართ სახიერებაჲ და კაცთ-მოყუარებაჲ. დასაბამ[ა]დ ესე.

10

რამეთუ კაცი შექმნა თავისა თვისისა ჴელმწიფედ და დაადგინა იგი სამოთხესა, და მისცა მცნებაჲ, და უკუეთუმცა დაემარხა იგი, იყომცა უცოდველ და სამოთხისა მისგან არამცა გამოძებულ იყო. დაღათუ გარდაჰქდა იგი, ესრქთცა არავე უგულბელს ყო იგი სახიერმან, კაცთაჲ ნათესავი, და მოსსს მიერ მოსცა ცხოვრებისა შჯული და მისცა გარდა-ვე-ჰქდეს. და მისსა შემდგომად წინაჲსწარ-მეტყუელნი მოავლინნა და მათიცა არავე ჰრწმენა და სხვთ ვერვინ რაჲ შესაძლებელ იყო. რაჲთამცა ცხონდა ნათესავი კაცთაჲ, არა თუმცა თვთ იგი თავადი მოსრულ იყო. და მოავლინა გაბრიელ ანგელოზი, ვითარცა იგი გუასწავებს ჩუენ ლუკა მახარებელი, ზაქარიასა ქმრისა ელისაბედისსა და ახარა მას ძისა მისისა იოვანესთვის, რაჲთამცა წინამორბედ და მოწამე იპოვა მაცხოვრისა მოსლვასა. და ოდეს შევიდა ზაქარია ტაძარსა უფლისასა ჟამსა მას კუმევისასა,

15

C 66 და ურწმუნოებისა მისთვის იყო იგი დადუმებულ, ვიდრემდის შვა ელისაბედ ძე იგი მისი წმიდაჲ იოვანე, ვითარცა იგი ითქუა მისა მიმართ ანგელოზისა მიერ.

B 72 და ელისაბედის მიდგომითგან ო მოივლინა იგივე გაბრიელ ანგელოზი მეექუსესა თთუესა ღმრთისა მიერ ქალწულისა მარიამისა ხარებად, რაჲთამცა მუცლად ილო თავადი უფალი და შვა კორციელად.

და ჯერ არს გულისხმის-ყოფად დიდიცა ესე ღმრთისა საიდუმლოჲ. რამეთუ ოდეს იგი იოვანესთვის ეხარა, არა თუ ელისაბედისა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი, არამედ ზაქარიასა, რამეთუ იოვანე თესლისაგან ზაქარიასა შობად იყო ელისაბედისგან, და კუალად იგივე გაბრიელ ანგელოზი არა თუ იოსებისა მოივლინა, არამედ მარიამისა, რაჲთა სიტყუად ღმრთისაჲ კორციელ იქმნეს და

30

2 საკითხავი abs. C. 3 რომელი C; მოიწერა C; ისტანიანს C. 4 მართლ-მორწმუნისა] მართლ-მადიდებელისა C. 6 კათოლიკე ეკლესიასასა C. 7 რი + იგი C; წერილი C. 8 ქრისტესთვის C. 9 გულისხმა C; რავდენ C. 10 მომართი C. 12 იყომცა + იგი C. 14 არავე] არა C; მოსეს C. 15 რწული C; მისსა C. 16 სხვთა C; ვერვინ რაჲ] ვერვინაჲ C. 19 ზაქარიასსა C. 20 იოვანესთვის; მოწამედ C. 22 მისისათვის C. 23 იოვანე C. 24-25 ~ მეექუსესა თუესა მოივლინა ღმრთისა მიერ იგივე გაბრიელ ანგელოზი C. 27 გულისხმის C. 28 იოვანესთვის C; ახარა C; მოივლინა] მოვიდა C.



იშვეს. ხოლო იოსებისა, ბრძანებითა ღმრთისადათა, თხოვილ ოდეს იყო, რაჲ-  
თამცა ჰმსახურა თავადსა უფალსა და წმიდასა მას ქალწულსა და დედასა. თა-  
ვადი იგი უწინარსს საუკუნეთა მხოლოდ-შობილი, სიტყუად ღმრთისად მამისა-  
გან შობილი დაუსაბამოდ არა ჯორციელად, ხოლო ჯერ იჩინა ღმერთმან შე-  
მოსად ხატი მონებისად, ესე არს ბუნებაჲ კაცთაჲ. ქალწულისა მარიამისგან 5  
ყრბად იშვა და ბავსა შიდა განისუენა და კაცთა თანა იქცეოდა და არა რაჲ  
მოაკლდა ამის ყოვლისაგან ღმრთიებასა მისსა, არამედ იწსნა საცთურისაგან  
ნათესავი კაცთაჲ, და საუკუნოდსა მისგან დაშჯისა ყოველნი მორწმუნენი მისნი  
განათავისუფლნა. რამეთუ ქალწულმან მამაკაცი არა იცოდა, გარნა ქურჭელნი  
იგი ჯორცთა მისთანნი უფალსა ამსახურნა, და იშვა მისგან ბუნებით და არა 10  
კოდვით.

და ესეცა საკრველი გულისხმის-საყოფელ არს, რომელ ზაქარია ურწმუნო-  
ებისა მისისათჳს დადუმებულ იყო, ვიდრემდის იშვა ძმ იგი მისი იოვანე, ვითარ-  
ცა იგი ითქუა მისა მიმართ ანგელოზისა მიერ. გარნა მარიამ სიტყუასა მას ან-  
გელოზისასა არა ურწმუნო იქმნა, არამედ ჰკითხა მას, ვითარ მუცლად ილოს? 15  
C 67 და ვითარცა ისწავა. საიდუმლოდსა მის ძალი, ჰრქუა ანგელოზსა | მას: *ამეყავნ*  
ლუკა 1, 38 მე სიტჯსაებრ შენისაჲ. და კურთხეულ და დიდებულ არს ღმრთის-მშობელი, და  
ჯერ არს მარადის ღმრთისა კაცთ-მოყუარებაჲ მოჯსენებაჲ, და სახიერებასა მის-  
B 73 სსა დიდებაჲ უმეტესს ყოველთა დღესასწაულთა || სარწმუნოთა, ვითარცა მიემთხუე-  
ვის დღეს აღსრულებად ღმრთიებისა მისისა საიდუმლოჲ, რომელი იგი აღა- 20  
სრულა ჩუენისა ცხორებისათჳს.

გუესმა, ვითარმედ იერუსალმს შეცთომილნი ვინმე არა შეუდგან წმიდათა  
წერილთა და მამათა მოძღუართასა, და არა ჰყოფენ წმიდასა მას ჯორციელად  
შობასა ოცდახუთსა თოჯსა მის დეკენბერისასა შობასა უფლისასა; დავით-იაკო-  
ბისსა ჰყოფენ, და მეექუსესა მას დღესა (თ)თჯსა იანვარისასა ნათლისღებაჲ არს, 25  
და შობასა და ნათლისღებასა ერთად ჰყოფენ. და ამას ცთომისა მით შეცკვეს  
პირველნი იგი, რამეთუ არა ეკრძალნეს დღესა მას ხარებისასა, რომელი იგი  
იყო. გაბრიელ ანგელოზისა მიერ წმიდისა მიმართ მარადის ქალწულისა მარია-  
მისა, რომელი იგი ჯორციელობით იყო მისა ღმრთისა სიტყუად, რომელი იგი  
მუცლად ილო, რომელიცა იგი აღასრულა ოცდახუთსა თოჯესა მარტსა და მით 30  
ცთომილთა და ცილობითა ვერცაღა მიგებებასა მართლ ჰყოფენ.

ხოლო მე აწ არა თუ მძლავრობით, არცა ველმწიფებით, არამედ საღმრ-  
თოთაგან წმიდათა წიგნთა და წმიდათაგან მოძღუართა გამოძიებითა და სწავ-  
ლითა ვისწრაფე ესე უწყებად თქუნდა და მათა, რომელნი იგი გარდააქცევენ  
დღესასწაულთა მათ გამოჩინებად უმეცრებითა მათითა, რაჲთა მოიქცენ ცნო- 35

1 თბილ C; ოდეს abs. C. 2 ჰმსახურა abs. B; მას abs. C. 3 უწინარეს C. 4 არა ჯორ-  
ციელად abs. C. 6 შინა C. 8 დარჩის C. 9 განათავისუფლნა abs. C; ქურჭერი C. 12 გულის-  
ჯმის C. 13 შვა C; იოვანშ C. 14 ანგელოზისა B. 15 მოცლად B. 18 მოჯსენება B. 19 უმეტესად  
C. 22 შეუდგა B. 23 ამას C. 24 შობასა + უფლისასა და C; თჯსა C. 25 თჯესა C; იანვარსა C.  
28 მიმართ + და C. 29 ჯორციელებით C. 30 რომელცა C; აღესრულა C; თჯესა C; ამით C.  
31 ცილობითა] უცბობითა C. 32 (მძლავ)რობით არცა ველმწიფებით abs. B-ში (წაჭრილი ჩანს).  
32-33 ~ არამედ წმიდათაგან საღმრთოთა წიგნთა C. 34 იგი abs. C.

ლუკა 1, 27-28  
C 68  
ლუკა 1, 36

ბად ვითარცა ლუკა მახარებელი გუასწავებს ჩუენ, ვითარმედ «თთუესა მეექჳესესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქსა გალილეადსასა, რომლისა სახელი ნაზარეთ, ქალწულისა მარიამისა, რომელი იგი თხოვილ იყო ქმრისა», ახარა მას უფლისათჳს და ჰრქუა, ვითარმედ «ესე მეექჳესე თთუე არს, ვინათგან ელისაბედ ნათესავი შენი მიდგომილ არს სიბერესა თჳსსა». და აკურთხა იგი ანგელოზმან მან და წარვიდა. ხოლო მათ დღეთა შინა აღდგა მარიამ და წარემართა მთად ქალაქად იუდადსა, და შევიდა სახლსა ზაქარიადსსა და მოიკითხა ელისაბედ. და ვითარცა წერილ არს მოიკითხნეს ურთიერთას, და დაადგრა მუნ მარიამ სამ თთუე.

B 74

ამით ჳეშმარიტად ჩას, რამეთუ მეექჳესესა (თ)თუესა მიდ[გომილ იყო ელი-საბედ იოვანწსთჳს], || თთუესა, რომელ არს მარტი. ამას (თ)თუესა ახარა გაბრიელ ანგელოზმან მარიამს, ოცდამეხუთესა დღესა. და სამნილა (თ)თუენი უკუ: მოეთუალვიან და აღესრულებიან ცხრად (თ)თუედ. (თ)თუესა იენისსა ოცდახუთსა არს შობაჲ იოვანწსი, რომელსა განჩინებულად ვჳყოფთ ყოველნი ქრისტეანენი შობასა მისსა, და მით დღით უკუმოითუალვის და ჩას, რამეთუ ოცდახუთსა არს ხარებაჲ მარიამისი გაბრიელის მიერ. და მითვე დღით ჩას შობითგან იოვანწსით წამომართ წამოითუალვის და აღესრულების ცხრად (თ)თუედ ოცდამეხუთშ დღშ (თ)თჳსა დეკენბერისად. და ამას წმიდათა წიგნთაგან და წმიდათა მოძღუართა მიერ სწავლითა ჩუენ მართლ-მადიდებელნი აღესრულებთ პირველითგან და არა თუ ჩუენ რაჲმე ახლად მოვიძიეთ. და ჩას წმიდათაგან წიგნთა და სახარებისაგან, ვითარმედ სხუად დღშ არს შობისად და სხუად დღშ არს ნათლისღებაჲ, შობასა ქრისტწსსა ანგელოზთა ერნი და ნათლისა გამოჩინებაჲ და მწყემსთა საკურველებად, და ვარსკულავისაგან აღმოსავალით მოგუთა მოსლვაჲ, და ეროდწსგან ჟამისა გამოკითხვაჲ. ხოლო ნათლისღებისათჳს და განცხადებისათჳს სხუად აქუს წიგნთაგან წამებაჲ, წმიდათაგან მახარებელთა. რამეთუ მათე მახარებელი იტყჳს, ვითარმედ «მათ დღეთა მოვიდა იესუ გალილეადთ იორდანენდ იოვანწსა ნათლისღებად მისგან, ხოლო იოვანე აყენებდა და ეტყოდა: «მე მივმს შენ მიერ ნათლისღებაჲ და შენ ჩემდა მოხუალა?» და მერმელა მიუშუა მას იოვანე, ვითარცა წერილ არს. და ვითარცა აღმოვდა მიერ წყლით, განეხუნეს ცანი და სული წმიდაჲ გარდამოვდა მის ზედა, ვითარცა წერილ არს მიწყებით. და აწ ჩას, რამეთუ სხუად დღშ არს ნათლისღებისად და სხუად დღშ არს შობისად.

C 69  
მათე 3, 11

1 ვითარცა † იგი C; თუესა C. 3 რომელი იგი თხოვილ იყო ქმრისა] და C. 4 მეექჳესე BC; თთუშ B; თჳშ C. 5 თჳსსა] მისსა C. 6 ხოლო] და C; აღდგა] ზე აღდგა C. 7 წარემართა] მწრაფლ წარვიდა C. 9 მუნ abs. C; თუშ C. 10 (მიდ)გომილ იყო ელისაბედ იოვანწსთჳს abs. B (წაჭრილი ჩანს). 11 იოვანწსთჳს C; თუესა C; ამას] და მასვე C; თჳსა C; გაბრიელ abs. C. 12 თთუენი † სხუანი C. 13 უკუმოითუალვიან] უკმოერთვიან C; ოცდაოთხსა C. 14 შობაჲ † წმიდისა C; იოვანწსი B. 15 უკმოითუალვის C. 16 ამითვე დღითა C. 18 წმიდათა † მამათა C. 19 მიერ abs. C. 21 დღე C. 22 ნათლისა გამოჩინებაჲ] ნათლისა გამობრწყინებაჲ C. 24 ეროდწსგან B; ჰეროდწსგან C. 25 წიგნთაგან abs. C; მათშ BC. 26 მათ დღეთა] მაშინ C; ~ იორდანენდ გალილეადთ C. 27 აყენებდა † მას. 29 იოვანწ C; მიერ abs. C. 30 გარდამოვდა abs. B.

ხოლო აწ ვითარცა წიგნნი და მოძღუარნი გუასწავებენ, ეგრეცა ვჰყოფ-  
დეთ თითოეულად, და არა ორივე ერთსა დღესა აღვასრულოთ. და აწ ვაჩი-  
ნით მრავლისაგანი მცირედი, რომელი იგი წმიდათა მამათა || წიგნთა შინა გა-  
მოიძიეს ძლითი-დღედ და შემდგომითი შემდგომად და ჩუენ გუასწავეს.

გრიგორი ეპისკოპოსი ნანზიანზორეველი და ღმრთის-მეტყუელი და საკვრ-  
ველთ-მოქმედი ქეშმარიტად იტყჳს, ვითარმედ «სხუად დღჳ არს შობისად და  
სხუად დღჳ არს ნათლისღებისად», და ესრე იტყჳს, ვითარმედ «შობისად გარდა-  
ვიტადეთ, ვარსკულავისა თანამორბედ ვიქმნენით და მოგუთა თანა თაყუანის  
ვეციოთ, და მწყემსთა თანა გამოვბრწყინდეთ და ანგელოზთა თანა ღიდებად მიე-  
სცეთ». და ნათლისღებისათჳს ესრე იტყჳს, ვითარმედ «სხუად მაღლი და სხუად 10  
საიდუმლოდ, დაღათუ იოვანსსებრ ვერ ღირს ვიქმნე ქადაგებად, დღესა ამას პა-  
ტივ ვსცეთ და აღვასრულოთ, რადთა ნათელ ვილოთ მის თანა».

და ნეტარმან გრიგოლი ეპისკოპოსმან ნოსელმან, ძმამან წმიდისა ბასილისა  
მან, თქუა, რამეთუ წჳარვიძღუანოთ თავადი დავით წინაღწარმეტყუელია, რა-  
მეთუ იტყჳს: «ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან, მოვედით, ვიხარებდეთ და 15  
ვიშუებდეთ ამას შინა». რამეთუ დღჳ ესე შობისად ამით ჩას ოცდამეხუთჳ(თ)თჳ-  
სა დეკენბერისად, რამეთუ ნათელსა და დღესა შეემატების და ღამესა მოაკლ-  
დების. და ამითცა ჩას რამეთუ შობად ქრისტესი ოცდახუთსა დეკენბერსა არს.

და ნეტარი ავსტინოსჳ ეპისკოპოსი აფრეკეთისად შობისათჳს იოვანსსისა  
ესრე იტყჳს და აჩუენებს ჟამსა, და დღეთა და ხარებასა მარიამისსა, და შობა- 20  
სა ქრისტესსა. «დღჳ ესე | იოვანსს შობისად გამოვჩინო, დასაბამი და დასა-  
სრული, რამეთუ ორი ჯერი არს მზისა ქცევაჲ წელიწადსა და დასწორებაჲ  
დღეთად, ერთი ესე ქცევაჲ მზისად დღეს არს, ოცდახუთსა ივნისსა, და ერთი  
იგრ ქცევაჲ (თ)თუესა დეკენბერსა ოცდახუთსა, რამეთუ რვით დღით წინა (თ)თჳს  
თავითგან იანვარსად, (თ)თუესა დეკენბერსა ოცდახუთსა, იშვა ქრისტე მარი- 25  
ამისგან ქალწულისა, და რვით დღით წინა (თ)თჳს თავითგან აპრილისად, (თ)თუ-  
ესა მარტსა ოცდახუთსა, ეხარა მარიამს გაბრიელის მიერ. და რვით დღით წი-  
ნა (თ)თჳს თავისადგან ივლისისად, (თ)თუესა || ივნისსა ოცდახუთსა, იშვა წმი-  
დად იოვანე. და რვით დღით წინა (თ)თჳს თავისად ოკტობერისხად, (თ)თუ-  
ესა სექტენბერსა ოცდაოთხსა, მუტლად ილო ელისაბედ იოვანე. იოვანსს შობად 30  
დღეთა მოკლებასა იყო, ხოლო ქრისტესი—დღეთა აღმატებასა. და ამას იოვანე  
თუთ იტყჳს, ვითარმედ ჩემდა ჯერ არს მოკლებად, ხოლო მისა აღმატებაჲ.  
და ესეცა საკვრველი გულისხმა ვყოთ, ვითარ იოვანე ღამეთა შემატებასა იშვა,

1 ხოლო abs. C. 2 დღესა B; აწ + ჩუენ C; ვაწუენოთ. C. 4 და შემდგომითი შემდგო-  
მითი. C. 5 გრიგოლი ეპისკოპოსი C; ნანზიანზორეველი B; და ღმრთის-მეტყუელი abs. S. 6  
დღე C. 7 დღე C; ესრე C. 9 თანა გამოვბრწყინდეთ abs. C; მივეციოთ C. 10 სხუად C. 11 იოვან-  
ნესებრ C; ვიქმნეთ C; მას C. 13 გრიგორი ნოსიანსამან C. 14 რამეთუ abs. C; ~ წინაღწარ-  
მეტყუელი დავით C. 15 დღე B. 16 დღე B; ესე იგი C. 18 რამეთუ ვითარმედ C. 21 ჟამთა C.  
21 ქრისტესსა. 22 ქცევიად C. 23 ოცდაოთხსა C. 25 თჳსა; ქრისტე C. 26 თჳსა C. 28 (თა)-  
ვისადგან ივლისისად თთუესა—abs. B (წაპრილი ჩანს სტრიქონი); (თ)თჳსა C; ოცდაოთხსა C.  
29 იოვანს C; თჳსა C. 30 იოვანსი C. 31 ხოლო და C; ქრისტესი C. 32 დაკლებად C. 33 გუ-  
ლის-ჟამა C.

20. ენიმკი-ს მოამბე, ტ. XIV.

B 75

ფსალ.  
117,24

C 70

B 75

ხოლო ქრისტე დღეთა შემატებასა იშვა<sup>4</sup>. და იგივე ნეტარი ავგუსტინე ნათლის-  
 ღებისა დღეთა გამოაჩინებს და იტყვს, ვითარმედ «ნათლისღებისა წინა ათორ-  
 მეტით დღით იშვა», და მით ჩას, იანვარსა ექუსსა ნათლისღებად არს და გან-  
 ცხადებდა.

და წმიდა იოვანე ოქროპირი ესრე იტყვს, ვითარმედ «სხუად დღე არს<sup>5</sup>  
 შობისა და სხუად დღე არს ნათლისღებისა; რად იტყვან და გუაცილობენ,  
 ვითარმედ ახალსა რასმე მოიღებენ და გუაცილობენო!»<sup>6</sup> ესე კეთილად დაი-  
 რწმუნე მაცილობელო, რამეთუ დღს ესე ძუელი არს დასავალისათა, და ჰრომთა  
 გარდაუქცევლად უპყრის დღს ესე შობისა და ნათლისღებისა, ხარებისა და  
 მიგებებისა, ხოლო ჩუენი ათილა წელი არს, და-რა-ვემყენით ძუელსა მას<sup>7</sup>  
 და აღვიზარდებით, და ნაყოფი გზხილავს. უკუეთუმცა არა იყო ღმრთისა მი-  
 ერ, | გან-მცა-ქარდებოდა. ხოლო აწ ყოველი სოფელი სავსე არს და შეიწყნა-  
 რებენ დღითი-დღედ. და ესეცა ჩას, ვითარ ელისაბედისთჳს ზაქარიას ეხარა კუ-  
 მევასა საკუმეველისასა, რომელ არს (თ)თუე მეზღე, რამეთუ შემდგომად ხარე-  
 ბისა მიუღდა ელისაბედ და ამას გამოაჩინებს ლევიტელთა და რიცხუთა, რა-  
 მეთუ ათხუთმეტით დღითგან ვიდრე ოცდამეორედ დღედმდე ზატიკომედ (თ)თუ-  
 ესა სეკენებრსა. და მერმელა შემდგომად ოცდაორისა დღისა წარვიდა სახიდ  
 თჳსა, ესე იგი არს ოცდამესამესა დღესა; და ოცდამეხუთესა დღესა მუცლად  
 ილო ელისაბედ და კულად იტყვს, ვითარმედ «თქუენ შორის || დგას, რომელი  
 თქუენ არა იცით და არცა მე ვიცოდე იგი, გარნა რომელმან მომავლინა მე,<sup>8</sup>  
 მან მრქუა, ვითარმედ—რომელსა ზედა იხილო სული ღმრთისა და გარდამომავა-  
 ლი და დადგრომილი მის ზედა, იგი არს რომელმან ნათელ გცეს თქუენ სული-  
 თა წმიდითა». რომლისა მიზეზისათჳს იყო იოვანსი იგი მოსლვა იორდანედ,  
 ამისთჳს რამეთუ ყოველი იგი ერი იორდანსა მიკრბა და ყოველნივე იგი ველ-  
 ნი სავსე იყვნეს მიმავალთაგან ქალაქებისაგან და დაბნებისა, და რაჟამს უფალი<sup>9</sup>  
 ჩუენი იესუ ქრისტე მოვიდოდა იორდანედ, ყოველსა ერსა უჩუენებდა და ყო-  
 ველთა გამოუცხად(ა) მამინ ღმერთი. არა თუ იოვანე კარად-კარად ვიდოდა და  
 უთხრობდა, და არცადა სავსებასა მას კაცთასა კიდეთა იორდანისათა ჳელის-  
 პყრობით კრებულსა შორის შეიყვანებდა, არამედ შორის მათსა მდგომარს უჩუ-  
 ენა და მამისაგან წამებითა იოვანსი იგი ქადაგებდა დამტკიცნა.<sup>10</sup>

აწ ამით ყოვლითა, რომელი წმინდათა მამათა და მოძღუართა წმიდათა-  
 გან წიგნთა გამოიძიეს და დადვეს და დაამტკიცეს, და ჩუენ ყოველნი ვჰყოფთ  
 ამით დღესასწაულთა: ოცდახუთსა (თ)თუესა მარტსა—ხარებად წმიდისა ღმრთის-  
 მშობელისა და (თ)თუესა დეკენებრსა ოცდახუთსა—შობად ქრისტესი ღმრთი-  
 სა ჩუენისა და ქალწულისა მარიამისგან, და წმიდად იგი განცხადებდა მისი და<sup>11</sup>

1 ქრისტე C; ნათლისღებისა + და განცხადებისა. C. 3 ამით C. 5 იოვანსი C. 8 დღე C.  
 9 ნათლისღებისა + და C. 10 ჩუენ C; არს გუაქუს C; და-რა-ვემყენით C. 12 სავსე C. 14  
 საკუმეველისასა C. 14 თუ B, თჳს C; მეზღე C. 15 ~ ლევიტელთა და რიცხუთა აჩინებს C.  
 17 სახლად C. 18 ოცდამესამსა B; და ოცდამეხუთესა დღესა abs. C. 20 იგი abs. C. 21 მრქუა  
 + მე C; ღმრთისა წმიდა C. 22 და abs. C; მის მას C. 23 იოვანესი C. 24 იორდანსა იო-  
 ვანსა C. 25 სავსე C. 26 მოვიდა C. 27 ღმერთი abs. C; კარად-კარად კაცად-კაცად C. 28  
 კაცთა B. 29 შეიყვანა C. 30 იოვანესი C. 33 (თ)თუესა abs. B; წმინდისა abs. C. 34 თჳსა C.

C 72 — ნათლისღებად—(თ)თუესა იანვარსა ექუსსა. | და შობითვან მივთულოთ, ვითარ-  
ცა ლუკა მახარებელი გუასწავებს, მეორემოცესა დღესა, ოდეს რგი წმიდამან  
სემეონ მიიქუა უფალი, და მიხუდების იგი ფებრვალსა ორსა და ჩუენ ვპყოფთ,  
და არა თუ ფებრვალსა (ა)თოთხმეტსა, ვითარცა ივინი, რომელნი იგი სცთებინან.  
აწ არა თუ ახლად რამე გამოვიძიეთ ჩუენ, არამედ წმიდათავან წიგნთა და  
მამათა მოძღუართა გამოიძიეს მართლ-მორწმუნეთა და დასაბამითვან პყოფდეს  
და ჩუენცა ვპყოფთ, და თქუენდაცა ჯერ არს აღსრულებად, რათა ერთობით  
ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი  
უკუნისამდე; ამენ.

## XIV

10

B 77 :იან: ს ა კ ი თ ს ა ვ ი

თქუმული წმიდისა და ნეტარისა პეტრე მთაკარ-ეპისკოპოსისა იერუსალმელიხაჲ

## შობისათვის უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა

B 78 ვიცნი ფასის-მოყუარეთავან ვაქარნი, რომელნი მრავალ-ღვზის ზღუასა შე-  
ვიდიან და ჰაერთავან ბოროტთა ლელვათა აღძრულთა შორის დაეპყრნიან, 15  
ხოლო რაჟამს სხუათა ვიეთმე მიეწინიან, ფრიად შეასმენედ თქსსა მას ორგუ-  
ლებით უგუნურებასა და ზედასზედა აბრალებედ თავთაცა თქსთა და იტყვედ:  
«ვიდრემდის ხოლო ამას შრომასა შინა ვიყენეთ და ზღუასა შინა ძვრს ვიხილვი-  
დეთ?» ხოლო ოდეს ლელვათა მათვან და ქირისა გარე გამოვდიან, წადიერებით  
და სურვილითა მით ვეცხლის-მოყუარებისაჲთა, რომლითა იგი შეპყრობილ არი- 20  
ედ, მერმეცა გული უთქუამნ მათ მისლვად ზღუადვე და შევრდომად მასვე ქირ-  
სა, რეცა თუ პირველი იგი ქირი დააჩაწყდის.

არამედ ქუეყანის-მოქმედმანცა კაცმან რაჟამს იხილის წვმათა მშობელთა-  
გან ღრუბელთა ქუეყანაჲ წვმითა განშაძლარი და მოწიფებული და მოწევეული  
თესლის დათესვად; ვარნი შეაულლის და ქუეყანაჲ განალის და ურნატი და- 52  
აღრმის; და მრავალ-ღვზის კლდოვანსაცა ჰბრძანენ და ფერვითა ქვაჲ იგი აღმო-  
აზულიის, და თავსა თქსსა მიმოაქცევენ, და მერმე კულად მიექცის და ოფლი  
დიდძალი ვორცთა სდინ. მაშინ ქუეყანისა საქმესა მას საღმობისა და უჩინოე-  
ბისა დედა უწენს, ხოლო ოდეს მცირედ აყოვნის და ქუეყანაჲ იგი მწუანვილი-  
თა შემოსილი, ვითარცა თავი თმითა, ეგრეთ სახედ ნაყოფიერად იხილის, მა- 30  
შინ განიხარის და განმხიარულდის და გულის-თქუმითა აღივსის, და მრავალ-  
ღვზის და ზედასზედა გარე მოჰვლინ მას, და ნაყოფის-განმრყუნელსა მას, გინა  
დაამკლებელსა მას, აღმოჰვზურინ, ხოლო ნაყოფსა მას განაშუენებნ. და მიე-

1 თქსსა C. 3 იგი + თუესა C. 4 ათხუთმეტსა C; ივინი] იგი B; იგი abs. C. 6 მართლ-  
მორწმუნეთა abs. S; და დასაბამითვან] დასაბამითვან C.



რითგან ილოცვენ, რაფთა მარადის ღირს იქმნეს მასვე შრომასა და ყოველთათს ღმრთისა, მიერ საზრდელად და საცხორებელად მოცემულად ქუეყანისა საქმესა მას იტყუნ და სხუათაცა დაარწმუნებნ.

B 79

აწ უკუეთუ ვაჭარსა და ქუეყანის-მოქმედსა საწუთროვსა მის ფასისა, რომელი ქუეყანადვე მიიქცის და სიზმრისა უღარქს ჩუენგან წარვალს, ესრეთ გული უთქუამს, და რომელიმე ზღუასა იკადრებს, რომელი სიკუდილსა ესოდენ შორავნ, რავდენცა წყალთა მათგან ნავი ზედა მცურვალი, არამედ კეთილთაგანცა ქალაქთა შინადასათა ერთვე დაკლებულ არს და შრომითა მით არა დასცხრების, ვითარ უკუე გვღირს ჩუენ სიცონილი, რომელთა ესე საღმრთოვსა მისთვის და საუკუნოვსა გული გვთქუამს, და უკუდავებასა თავთა თვსთათს და სხუათათს საღმრთოთა წიგნთაგან დავიუნჯებთ და ღმრთივ-სულეერთა მათგან ნერგთა ნაყოფსა შევიკრებთ, რაფთა ნანდვლვე ამისნი მცენარენი ფრიად კეთილ და მსგავსად წერილისა მის გული(ს)-სათქუმელ არიან უფროვსად და ქვათა პატრონსანთა მრავალთა, და უტკბილქს არიან უფროვს თაფლისა გოლეულისა! არამედ უკუეთუ ინებოთ, მერმეცა გარე შევლოთ ესე და ყუაველის სახედ გამოურჩიოთ კრებულსა ამას სარგებელად, რომელ იგი ამისგან ხოლო ვის საცნობელ არს, რამეთუ უკუეთუ მადლმან სულისა წმიდისამან ინებოს უღარქსა შევიდეთ და უახლქსი რაფმე ამას მოვართუათ.

რამეთუ იყო ოდესმე, ბუნებად კაცთად უმეცრებისა უფსკრულსა იქცოდა ვითარცა ნავითა, და ნავისა მავლებელად ჰქონდეს ბოროტნი იგი ცოდვანი, რომელნი ყოვლით კერძო ჰქირსა შეამბხუევედქს მათ, და გარემოვს ღელვითა მათ კერპთ-მსახურებისათა სიმაღლედ აღაწევდეს და აერთა ღრუბლის სახედ შეჰჭარვიდეს, არამედ ღელვანი იგი კერპთ-მსახურებისანი ცისა ხილვადცა არა უტეობდეს და ღმრთისა ცნობისა წილ, კლდეთა უღალთა მიმართ მიაკენებდეს და წყალთა მათგან ჰქირსა უთქუმიდეს და ესე რაფ ესრე სახედ მიმოაქუნდა და ყოვლადვე წამსა შინა სიკუდილისასა მოელოდა, ღმერთმან, რომელი ყოველთა კეთილთა მომცემელი არს, რომელმან არა არსისაგან ყოველივე არსად მოიყვანა, ვითარცა იხილა იგი ჰქირსა შინა, რამეთუ მიწევნულ იყო იგი დანთქმად და უფსკრულსა ცოდვისასა შთასლვად, შეიწყალა იგი ვითარცა ხატად თვსად შექმნული.

B 80

ხოლო არა თუ იგი უფლისა ღმრთისა მოწყალისაგან შეწევნას(ა) რას ითხოვდა და შე-მცა-ისმინა მისი, არამედ იგი არა ხადოდა კაცთ-მოყუარებასა მისსა და არცა სინანულთა მოიზიდვიდა წყალობასა, რამეთუ არღარა იყო მის თანა. მაშინ ღმრთის-ცნობისა სიტყუა არცა ერთი რაფ, და ღმერთი ექმნა მოლუაწ კაცობრივსა, რომელი იგი ამას არღა ეცნა; და მკურნალ თვნიერ წოდებისა, რომელსა მან არა ხადა. რამეთუ ესე ჰეშმარიტად გამოუთქუმელი კაცთ-მოყუარებად არს ღმრთისაფ. ხოლო ვითარ ბუნებად ესე ჩუენი არს მკირედლა და-მცავედრე-ითქა მაშინ ვითარცა ჯელ-შეუხებელისა რაფსმე თხემისაგან სანთლისა ბრწყინვალისა სახედ ჯერ იჩინა ღმერთმან, რომელმანცა თავი თვისი თვთ მოიყვანა, ვითარცა იგი ფსალმუნთა შინა გუასწავეებს ჩუენ გალობით შემასხმელი დავით და იტყუს: „მწუერვალთა ხეთაფსა არს-გამოსავალი მისი და მიწევნა მისი ვიდრე მწუერვალად მისადმდე“.

ჯერ არს უკუე ნავითა სრულისად მის ცოდვათაგან ვითარცა არმურისა-  
 გან ბოროტად მიმოღებულისა და მიმოტაცებულისად, რომელსა არა სადა ვის  
 ეხილვა მათ თანა ღმრთის ცნობისა ნავთსაყუდელი, არამედ მითხრობად მა-  
 თი იყო სერტყათს და ბომონთა და კერბთა შესაწირავისათს, და სისხლი-  
 სა მოსაპყრებელად, კაცთა დაწყუდისათს, ეშმაკთა და უფროსლა ეშმაკეულ-  
 თა პატივის-ცემისათს, რამეთუ ხელთ-საქმრად მათა ღმერთთა გამო საქმს იგი 5  
 ოდენ კმა ეყოფოდა და ხუროებით დღითი-დღედ ძელთა, ქვათა, ღმრთად გა-  
 მოსთლიდეს. ხოლო ჩუენდა მრავალ-მეტყუელებაცა არს კუალად ამითს სი-  
 ტყუად, რომელთათს იგი ერთ-გზის და მრავალ-გზის წუთილად გამოვთქუ, და  
 ძეგლის სახედ ვამხილოთ მათ, რომელთა შორის ეგევითარნი იგი იმსახურები- 10  
 ან; არამედ მის სახისათს უკუე ღმერთი, რომელი გაბრიელის მიერ ეხარა ქალ-  
 წულსა მას მისვე ქორწილისა უმეცარსა მუცელსა წმიდისა მარიამისსა დაიტია,  
 რომლისა ქმრად სახელდებულ იყო იოსებ. ხოლო თანაზიარ არცა მაშინ და  
 არცა მერმე სადა ყოფილ იყო, და ჯორციელი სულიერი სულითა მეტყუელითა 15  
 და საცნაურითა ამისგან მოიღო, და მეყსეულად მიდგომილებად იგი გამოუთქუ-  
 მელად გამოაჩინა.

81

ხოლო აწ მითხრობადმედ ჩუენდა საღმრთოჲსა მის თხრობისა ჯერეთ  
 იგობრომელ უცხოჲთა ენითა წოდებულ იყო ანგელოზსა მას სახელი უპირადღს  
 მისსა, იგი გამოჩინებად ვყოთ, რამეთუ მან გამოაცხადოს და უქეშმარტოსად  
 განგვმარტოს მოღუაწებისა მის დიდებულისა პოვნად. ებრაელთა ნაშობნი გა- 20  
 ბრიელისსა სახელსა მას მათა მიმართ, რომელთა იგი ებრაელთს ენად არა იცი-  
 ან, ღმრთად და კაცად აუწყებენ. ჩას, რამეთუ ამას ჩუენ ვგრე გამოგვთარგმა-  
 ნებენ, # წინადასწარცნობისა ძალი, რამეთუ არა რად ცალიერად ქმნა, არამედ  
 წინადასწარმთხრობელად სახელიცა იგი ლიტონი ანგელოზსა მას უწოდა და  
 უფროსლა დაუმტკიცა მის მიერ. ყოველთა გამოუცხადნა მის მიერ ქადაგებუ- 25  
 ლისა მის შობისა ბუნებანი, რამეთუ აქა იწყებს გაბრიელ მარიამის მიმართ და  
 იტყუს: «გიხაროდენ სახარულევანო». და შემდგომად სიტყუსა ამის აჩუენა ხო-  
 ლო მეორედ დაქცევისა ზემოჲსა მის სიხარულითა გარდამატებად, რამეთუ პ(ი)რ-  
 ველი იგი სიტყუად ჩუეულად მოკითხვისა სახე არს, ხოლო მეორს ესე წადიე-  
 რებისა მოწამედ გონებასა მას მიიყვანებს, ვითარმედ «უფალი შენ თანა», და 30  
 ერთითა სიტყუთა ქალწული იგი ღმრთის შემოსილად გამოაჩინა.

ხოლო ჟამმან მან შემთხუეული იგი მადლი გამოაცხადა და სახს იგი მუ-  
 ცლისა მის მარიამისი აღივსებოდა, რამეთუ უღ(ი)რდავე ვგრე საქმესა მას, რად-  
 თა საზღვარსა მასცავე ბუნებისასა ეგოს, რადთა საქმენი იგი სარწმუნო იყენენ.  
 მაშინ იქუსა შედად იოსებ არა სადა ყოფილისა მისთს სახისა, ხოლო დაღაცა- 35  
 თუ კაცი იგი მართალ იყო, არამედ ესოდენთა მათ საკვრველებათა არავე წი-  
 ნადასწარმეტყუელ იყო. და ამისთსცა ვითარ ჰგონებ მუცლისა მის ქალწულისა  
 დამძიმებითა, იგი ვითარცა გუემითა იწყლა თავსა შინა თჳსსა და მის ქალწუ-  
 ლისაცა მიმართ ერქუასვე სამე მრავალ-გზის? ეჰა, ვითარი სასოებად კეთ(ლი)  
 მაქუნდა მე შენდა მიმართ, ხოლო აწ ვითარ ჰგონებ? რა ვითარ-მე მართლ 40

B 82

შეგემთხვა შენ კაცობრივი სახს, რამეთუ მოცემულ არს შჯული მართალთა კაცთა წმიდთა და ბოროტის-უმეცართა დედათა თანა მკვდრ ყოფად? ხოლო არა ვითარმცა გულის-თქუმისა საწერტელი ჰმძლავრონ მათსა მას მეულღებასა, არამედ შჯული ბუნებისა და სასოებად შეილის-სხმისა. და სიტყუად იგი ღმრთისა არს, რომელსა იგი იტყვს «ალორძნდიო და განმრავლდიო». შენიცა 5  
ეგრევე სახედ ყოფად მრწმენა და მით მოყვანებად შენი თავს ვიდევი, # ქალწუ-  
ლო თხოილო!

ხოლო შემდგომსა მას არღარა შევსძინებ სიტყუად, არამედ ვითარ ვპო-  
ნებ, ეგვეითარსა მას სასოებასა შე-ვის-ხუდი. და მუცლისა იგი სიმძიმე წამებს,  
რამეთუ ქალწულებისა ჩუელებასა თანა წარსრუ(ლ) არს. ხოლო აწ მე გამეშორე, 10  
და შიში განიშორე შენგან, და იზარდებოდე შენ ტკბილითა, რამეთუ ღუმილითა  
დავფარო საქმე ესე და არცა ერთი რაჲ გმობად შეეხოს შენსა მაგას მადლსა.

აწ შეიღწო, საყუარელნო, უკუეთუ სათნო გიქს, მერმეცა ანგელოზისა მის  
სიტყუთა მითხრობასავე მივიტკეთ, რამეთუ ფრიად დაკვრებულ იყო ქალწული  
იგი თქუმათა ზედა, და გონებითაცა განიზრახვიდა, ძაძსა მას მათსა ზედამიწვე- 15  
ნულ იყო. მაშინ გაბრიელ ნუგეშინის-სცემდა მას და ამას ეტყოდა: «ნუ გეშინინ  
მარიამ, რამეთუ პპოვე მადლი წინაშე ღმრთისა, და აჰა ეგერა შენ მუცლად ილო,  
და ჰშვე ძმ, და უწოდინ სახელი მისი იესუ. და იყოს იგი დიდ და ძმ ჰლ-  
ლის ეწოდოს მას. და მოსცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითის მამი-  
სა თვისისა. და სუფევდეს იგი სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ და სუფევი- 20  
სა მისისა არა იყოს დასასრულ».

ლუკა  
1, 30—33

B 83

# საკვრველებად, რომელსა საზომი არა აქუს. ბუნებით || მამად არს ღმერ-  
თი და არა მადლით, ჰეშმარიტად უკუე იქადაგა მუცლად მღებელსა მას. და  
რეცა თუ დაამტკიცებს ანგელოზი იგი და საქმით უჩუენებს მას, რომელი იგი  
ფსალმუნთა შინა პირველითგან და წინადათ მისთვის წერილ არს. მე დავდეგ მე- 25  
უფედ მის მიერ ზედა სიონსა მათსა, მათსა წმიდასა მისსა, თხრობად ბრძანე-  
ბასა უფლისასა. უფალმან მრქუა მე: «ძმ ჩემი ხარი შენ და მე დღეს მიშობიე  
ფსალ. 2, შენ? #, საკვრველებისა ძალი, რავდენ დიდ არს და დიდებულ!

ხოლო კულადღე მივექცე მერმეცა ძალსა მას გაბრიელის მიერ თქუმულთა,  
რამეთუ ვინმე სადა ვინ იხილა უწინარსს შობისა ღმრთისა მიერ, და სახე- 30  
ლითა გამოჩინებულ და ესრეთ ნათლად გამოსრული, სამეუფოდ ცხებული და  
მაცხოვრად ნათესავისათვის კაცთაჲსა სახელდებული, რომლისა მთავრობად იგი  
უფროსლა დაუსაბამოდ და სამარადისოდ მის თანავე ქმნულ იყო და იოვანე-  
ცა, რომლისათვის წერილ არს, ვითარმედ „ნაშობი დედათად უფროს ამისსა არა  
ვინ არს უწინარსს შობისა, არცა ერთი სახელისა ღირს იქმნა, არამედ ზაქა- 35  
რიაცა, ამისმან მამამან, კელის წერითა უფროსლა ვიდრე არა ენითა შემდგო-  
მად შობისა დასდვა მას ესე. რამეთუ კმაჲ შეპყრობითა იყო საკვრველებათა  
მათგან, რომელნი უწინარსს მუცლად-ღებისა ჩუენებულ იყვნეს. აწ უკუე ღმერ-  
თი იშვების დედაკაცისაგან და ხატი მონებისაჲ მოაქუს და ჩუენისა ცხოვრები-  
სათვის უფროსლა უკუდავებისა მოლუაწ გუექმნეს. 40

და შემდგომად შობისა სახუეველითა წარიგრაგნების, და ბაგასა მიიწვი-  
 ნების ყოვლისა სოფლისა უფალი. და რომელი ცათა და ყოველსა განავსებს,  
 პირუტყუთა საზრდელისა შთასადებელსა დაეტევების. ჰე, ამას სამე აჩუენებს,  
 დამბადებელ ყოფად არს იგი პირუტყუთებრისა და საცხოვართ-სახისა მის ცხო-  
 რებისაგან და უფროსდა მერმე წამართ, საზრდელისა მის ანგელოზთ-მთავარ-  
 თაჲსა მოცემად, რამეთუ იტყჳს: «პური ანგელოზთაჲ ქამა კაცმან». განმიახლეთ  
 მე ესენებიათა ამით ადამი. ჰ ურწმუნოთა სიმრავლეო, გრწმენედ თქმული ესე  
 და მქსნელად და განმაქარვებელად მონათა მათოჳს პატიკთა ხილულსა ამას  
 უწოდეთ. ადამ ურჩებითა შით კაცთა სიკუდილის მიზეზ ექმნა და სამოთხისა-  
 გან შიშუელი გამოვარდა, და ლელჳსა ფურცილითა შვილთ-სხმისა მიზეზნი იგი 10  
 გონიერად დაიფარნა, ხოლო ჩუენმან ამან ადამ, რომელ არს ქრისტე, რომელ-  
 მანცა შექმნა პირველი იგი ადამ, რამეთუ წერილ არს, იყო პირველი იგი ადამ  
 საშუმინველა ცხოველად, ხოლო უკუა(ნა)მსკნელ ესე ადამ სულად განმაცხოვე-  
 ლებელად. მამისა ჩუენისა ურჩებაჲ იგი განიკურნა და ტანჯვაჲ იგი, რომელ  
 მის გამო ჩუენ ზედა მოწვენულ იყო, განაქარვა ღმერთმან. ღმერთი იყო და 15  
 კაც ექმნა, და პირმეტყუელისა მისგან სამოთხისა გამოვიდა. ესე არა იგი არს,  
 ქალწულისაგან მუტლისა ნეფსით გამოსლვაჲ მისი. და ლელჳსა ფურცილისა წილ  
 სახუეველთა შინა დაიფარვის, და საცნაურსა მას ცათა თანა განგვლებს ჩუენ  
 სამოთხესა, და უკუდავებად ნეფსით მიგვწესს ჩუენ, რომლისათჳს შჯულის-მდე-  
 ბელი პავლეცა ქადაგებს და იტყჳს: «რამეთუ კაცისა მიერ იყო სიკუდილი, და 20  
 კაცისა მიერ აღდგომამჲ მკუდართაჲ. ვითარცა იგი ადამის მიერ მოწყდებიან,  
 ეგრეცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხრველ ექმნებიან, და კუალად «ვითარცა იგი  
 შევიმოსეთ ხატი მიწისაგანისაჲ, შევიმოსოთ ხატი იგი ზეცისაგანისაჲცა მისა».

ჩას, რამეთუ ქუეყანად-მზიდველისა ამის და მძიმისა ცხორებისაგან გარე-  
 მომაქცევს ჩუენ, რამეთუ მიწისაგანისად სამართლად სახელ ედების ამას. ხო- 25  
 ლო ჰნებაჲს ჩუენი, რაჲთა საღმრთოსა მას და ანგელოზებრსა ცხორებასა მი-  
 ვისწარაფოთ და ზეცისა მოქალაქე ვიქმნეთ. რამეთუ პირველი იგი ადამ ყოვე-  
 ლადვე თავსა შინა ფჳსსა გამოისახა, და მეორედ ადამის წილ თავი თჳსი ჯორ-  
 ციელად სოფელსა შინა კაცთა გამოუცხადა. და ესეცა ფრიად შეეტყუების გა-  
 ლობით შემასხმელისა დავითის დაწერილსა მას, ვითარმედ: «შესაწირავი და 30  
 მსხუერპლი არა ინებე, ხოლო ჯორცინი დამამტკიცენ მე, საკუერთხი ცოდვათა-  
 თჳს არა სათნო იყავ. მაშინ ვთქუ,—ესერა მოვალ, თავსა წიგნთასა წერილ არს  
 ჩემთჳს. ყოფად ნებისა შუენისა ვინებე», რამეთუ პირველი იგი წერილი აღთქუმი-  
 საჲ, რომელი იგი უკუანამსკნელ ექმნა, ღმრთისა მიერ აქუნდა დასაბამი და მისა  
 მიმართვე მიქცეულ იყო, ესე იგი არს, შემოქმედის(ა) მის სიტყუაჲ, რამეთუ ორი- 35  
 ვე იგი მის მიერ და მისა მიმართ სრულ ყო, და ესრეთ ჩუენ ამას გუასწავებს.  
 და რამეთუ პირველთა მათ სიტყუათა, რეცა თუ გამოუჩინებელადვე იგმევდა,  
 შე-უკუე-ჰგვანდა, რაჲთამცა გამოსპეტაკენს და გამოცხადნეს ქრისტეს ღმრთისა  
 ჩუენისა მოსლვაჲ. რამეთუ ამასცა ქადაგი იგი ეკლესიათაჲ წიგნსა შინა თჳს-  
 თა იტყჳს: «იესუ ქრისტე გუშინ და დღეს, და იგი თავადი არს საუკუნედ მი- 40

B 84

I კორ.  
15,22—25;  
15,48

B 85

ესალ.  
39,7—9

სა, ვითარ მგონიეს, ორსავე მას აღთქუმასა თავისა თვისისა ყოფილად აღუწყებს, რამეთუ ჰგის უკუდავად მისგან და მისა მიმართ, დ(ა) მიიქცევს და შეამსგავსებს.

არამედ მეცით მე შენდობად, რამეთუ [მცირედ რადმე დამირჩა მ[ო]კუთათა მათთჳს, რამეთუ იგინიცა არა მცირესა სარწმუნოებასა მოსცემენ ზქუმულ-  
[თა] მათ. რამეთუ ყო ოდესმე წმიდამან კრებამან სპარსეთი და ბაბილო[ვ-  
ნე]ლთა სამეფოთა დაუტევია და აქა მოემართა. ხოლო წინამძღურად ვარსკუ-  
[ლა]ვი იგი აქუნდა და გზისა ს[ლვ]ასა იგი განუგებდა მათ. ოდესმე სავანედ  
მიაწივ[და], ოდესმე კულად გზისა ს[ლვ]ასა მას ასწრაფებნ და თით[ო] სახედ  
უწუნებდა მეუფესა მას, რომელსა იგინი დიდი[თა] გულს-მოდგინებითა ეძი-  
ებდეს და ჯგრი ერთი მი-ცა-ე[...].

B 86

ხოლო მე ესრე ვჰგონებ, რამეთუ ვითარ იგი მა[შინ] სურვიელ იყენეს მო-  
[გუ]ნი იგი შობილისა მისგან [მე]უფისა ხილვად, ზედად-ს[ზედა] ჰკითხვიდენ თა-  
ნამავა[ლთა] მათ თვსთა, გინათუ სხ[უ]აეცა ვინ შეემთხუილდა. და ჰურაასტან-  
სა გამო[...], უხელდეს. და თუ ოდეს [...], და იხილონ იგი, მასცა გამოემიებდენ და  
ვითარცა თვ[...], [წინამძღურ]სა ჰრისხვიდეს გულის-წყრომით. [დ]ალათუ მათ  
მიერსა მას [თქუმულსა არა სცნობდეს], არამედ და-ვე-მტკიცებულ იყვნ[ეს]  
ძულსა მას დაწერილ[სა], რომელსა იტყვს: «მე უცხო [თქ]ესწნი დამემორჩილ-  
ნეს», რამეთუ [ს]ლვითდა თაყუანის-ცემ[ით] ღირს იქმნეს მას, რომელი იგი [შ]ო-  
ბილი ღმრთისა სიტყუად [პ]ირველად მათ მოიწრაფეს [წ]არმართთაგან და ემ-  
მაკ[თ]ა ნატყუენავისა მისგან [...], და ვითარცა ნავერებისა მის [უ]მთავრსთა.  
და იტყვს [...], [ეს] პირველ-ნაყოფთა [უ]წინარსს ძლუ[ენი] ამათ [პ]ატივ სცეს  
ენმანუელს ვითარცა [...], და შეუფესა და მის თანასა მოსიკუდიდსა. [მ]ოართუეს  
ოქროდ, გუნ[დრ]უვი და მური, რამეთუ წერილ [არ]ს: «პატივ ეც უფალსა შენ-  
თაგან მართლად ნაშრომათ. [შ]ეწირე მისა შენგანთა [პ]ირველთა ნაყოფთა სი-  
მ[არ]თლისათა. და ფსალმუ[ნ]სა შინა იტყვს, ვითარმედ «ყოველთა [...] არიან  
გარემო მისა, შე[წი]რ[ონ] მისა ძლუენი», [სა]ღმრთოვსა ამის სიტყვსა, რომელი  
მოწვენადსა მას ვითარცა მოწვენულსა გვთხრობს, და ზოგად საჩუენებელსა ში-  
ნა გვჩუენებს ჩუენ მას, რომელ იგი მრავლისა ჟამისა შემდგომად ყოფად იყო.

ფსალ-  
59,10

იგ. 3,9

და რადსათჳსმე მოგუთა მათ და არა სხუასა ვის შობისა მისთჳს ვარსკუ-  
ლავი ეუწყა ღმრთისად? რამეთუ ამისთჳს სამე, რადთა უფროდს გონებისა საქ-  
მისა მისთჳს სხუათა მიმართ ყოველთა ქადავად ქეშმარიტად გამოუჩნდენ, და  
უცხოვსა მის რჩულისა მსახურთა მიიღეს ყოველი ურწმუნობად და იქვ სიტ-  
ყვთა მომადლებისადათ, და რადთა უფროდსა აღესრულოს პირველითგან თქუ-  
მული წინადაწარმეტყუელისადა, რომელსა იტყვს: «იხილონ, რომელთა არა თხრო-  
ბილ არს მისთჳს, და რომელთა არა ასმიეს, გულისხმა ყონ». ეროდე გულის-  
წყრომით გამოჰკითხვიდა მათ და რისხვით ალატყდა, და მრავალნი მწოვარნი  
მოსრნა მათ გამო.

ესაია  
52,15

B 87

აწ უკუე კმა იყავნ ესე, მრავალ-გზის მიეთხრა ჩუენ მიერ, სასმენელთა მი-  
მართ თქუენთა. ¶ არამედ მწყემსთაცა მო-რადმე-აქუს სარწმუნოებისათჳს მათი-  
40

29 გუეჩუენებს.



სა მით, და შობილსა მას მეუფედ ქადაგებდეს. რამეთუ მათცა თჳსი იგი ღმრთის-  
გამოჩინებად გამო-ვე-უცხადა. და აქა უფროსდა ინება, რაათა აჩუენოს, ვი-  
თარმედ ჯერ არს, რაათა სწავლულთათჳს მთავარ და წინამძღუარ ეკლესიასა  
მწყემსნი იყვნენ, რამეთუ ცხოვრისა უმანკოებად არაარა მან ცვალის. და ესენიცა  
შობაძვე არიან მათა, რომელთა კეთილად სრულ ყოფად ეკლესიასა სწადის, 5  
და რამეთუ ქრისტე უფალი ჩუენი მეუფე არს და მწყემს და ღმერთ, პირვე-  
ლადვე უწყებულ არს ქრისტე გორციელად მოსლვისა და კაცთა შორის გამო-  
ჩინებისათჳსცა, რამეთუ ესრეთ იტყოდა ეზეკიელ; რომელმან იხილა ღმრთის  
შუენიერი იგი ძლიერებად და თქუა, ვითარმედ ვეიგსნენ ცხოვარნი ჩემნი და  
არა იყვნენ წარსატაცებელ, დავსაჯო შორის ვერძისა და ვერძისა, და აღუდ- 10  
გინო მათ ზედა მწყემსი ერთი და მწყსიდეს მათ მონად ჩემი დავით, და იყოს  
იგი მათა მწყემს; და მე უფალი ვიყო მათა ღმერთ და დავით მთავარ შორის  
მათსა. მე უფალი ვეტყოდე და აუთქუა სახლსა დავითისსა აღთქუამად მშჯღო-  
ბისად, და აღვკოცო სული უკეთური ქუეყანით». და სხუასა ადგილსა იტყუს მის-  
თჳს, ვითარმედ «აღუდგინო მათ ნერგი მშჯღობისად და არლარა აღიკოცნენ 15  
იგინი სიყმილითა ქუეყანით». ხოლო რამეთუ არა იესუსგანისათჳს, არამედ რო-  
მელი იგი თესლისაგან დავითისა შობად იყო ქრისტე, მისთჳს ამას იტყუს. და  
მერმე საცნაურ არს, რამეთუ შემდგომად მრავლისა ნათესავისა განისუენა ამის  
ცხოვრებისაგან. ამან მგალობელმან და წინაძსწარმეტყუელმან მან ესე პირველად  
ყრველთა მიუთხრა და გამოაცხად(ა), არამედ ესაია წინაძსწარ გვთხრობს ჩუენ 20  
და იტყუს: «აჰა ესერა, უფალი ზის ღრუბელსა ზედა სულმცირესა და შევიდეს  
ეგვატედ, და შეიძრნენ ჳელით-ქმულნი ეგვატისანი», რომლისათჳსცა მახარებე-  
ლი იტყუს: «აჰა ესერა ანგელოზი უფლისად გამოეცხადა იოსებს ჩუენებით და  
ჰრქუა: «აღდეგ და წარიყვანე ყრმაე ეგე და დედაე მავისი და ივლტოდე ეგვა- 25  
ტედ, და იყავ მუნ ვიდრემდე გრქუა შენ». და ღირსად მგალობელი იგი იტ-  
ყუს: «ვეფუცე წმიდასა ჩემსა დავითს და მე არა ვეცრუო მას, ნათესავი მისი  
უკუნისამდე ეგოს და საყდარი მისი ვითარცა მზე წინაშე ჩემსა». და ამბაკუმ წი-  
ნაძსწარმეტყუელი იტყუს: «მერმე წუთ ერთ მცირედლა მომავალი იგი მოვიდეს  
და არა ყოენოს». და სხუასა ადგილსა იტყუს: „აჰა ესერა ღმერთი ჩუენი საშ- 30  
ჯელით მიაგებს და მიაგოს, თავადრ მოვიდეს და მაცხოვრენეს ჩუენა. მრავალ  
არიან ჩუენ-მიერნი ესე თქუმულნი და სარწმუნოებისათჳს მაღალ არიან, არა-  
მედ უმრავლეს არს; რომელი ვიცით, და-ლა-გვტყევიბიეს. რამეთუ არა არს ჩუ-  
ენი ესე წრაფად, რაათა ამათჳს ყოველი ერთ-სახედ ვთქუათ, არამედ მცი(რე)-  
დი რაამე ამათგანძ და რაათა ვითარცა მჳელეული რაე ჩუენისა ამის ნამუშა-  
კევისაგან კრებულსა ამას მოვართუათ. ხოლო თქუენ, რომელნი ეგე ღმრთისა 35  
წინაშე სტგათ, და საიდუმლოთჳ მსახურნი, და სხუანიცა ეგე ყოველნი, რო-  
მელნი ყოვლად კეთილსა ამას ეკლესიასა მსგავსად ვენაჩისა რტო-შუენიერისა  
ადავსებთ და განაშუენებთ, მერჩლით მე გონებითა თქუენითა, უფროს ხოლო  
აწ, რომელსა ესე ყოველთათჳს ცნობჳსა მიგითხრობ და მართლ-დიდებისა ნავთ-  
საყუდელსა შეგიყვანებ თქუენ, რამეთუ ნანდჳლვე ყულრო არს ესე და მას თა- 40

ეზმპ.  
34,22—25

ეზმპ.  
34,29

ესაია 19,1

B 88.  
მათე 2,13  
ფსალ.  
8,3—5

ამბ. 2,3

ესაია 35,3

ვადსა შეგკვანებს ჩუენ, გამოუთქუმელსა მას მოლუაწებისა ჩუენისა სარწმუნო-  
 ებასა. ჯერ არს უკუე თქუენდაცა, რომელნი ეგე ახალ-ნერგნი ხარბ და ნაყოფ-  
 ნი ეკლესიისანი, აღმოცენებულნი დაბანასა მას მეორედ შობისასა, ღირს ქმნულ  
 ხართ, რაჟთა გრწმენეს და აღიაროთ მამისა მიმართ და ძისა და სულისა წმი-  
 დისა სამებაჲ ერთობით და ერთობაჲ სამებით საცნაურ ყოფილი.

5

B. 89

რამეთუ განიყოფვის შეერთებული და ერთ იქმნების განუყოფელი, რომე-  
 ლი საკრველცა არს. არამედ საღმრთოჲსა მის მოლუაწებისათჳსცა და რომელ  
 იგი არს ერთი მისვე წინა და ერთ-სასოებისა სამებისა სიტყუაჲ. და თუ ვინმე  
 გონებითა წმიდითა შეიწყნაროს ესე, იგი ნათლისა უბრწყინვალესად გამო-  
 ბრწყინდეს, და წიგნთა და მამათა მიერ მოძღუარებითა განმტკიცებოდის. რა-  
 მეთუ საუკუნეთა უწინარჳს მამამან ღმერთმან და სიტყუამან და ყოველთა შე-  
 მოქმედმან ჩუენი ესე ბუნებაჲ კაცთ-მოყუარებისათჳს შეიმოსა, და თავსა შინა  
 თჳსსა წმიდა ჰყოფს კაცობასა მას. და ვითარცა ცომი იქმნა ყოველსა მას აღ-  
 სუარულსა და შეაერთნა თავსა თჳსსა, რომელმან იგი წმიდისა მისგან ქალწუ-  
 ლისა და ღმრთის-მშობელისა მიიხუნა ჯორცნი და შუვამდგომელ იქმნა სული-  
 თა მით ცნობილითა შორის ღმრთეებისა და ჯორცთა სიმძიმისა. და ესრჳთ  
 განყოფილი იგი შეამტკიცა ორთავე მიმართ შუვამდგომელისა მის თჳსობითა  
 ყოვლადვე. ყოველთათჳს იქმნა ვითარცა ესე ჩუენ თჳნიერად ცოდვისა, ამისთჳს  
 უკუე სამართლად ღმრთად, სრულად მასვე ყოფად და ცნობილად აღვიარებთ,  
 რამეთუ შეყოფითა მით ორისა მის ბუნებისა გინა არსობისა ძლიერებისა მის  
 ერთობაჲ იგი იქმნა მისვე ქალწულისა მუცლისაგან შეურწყუველად და განუ-  
 ყოფელად ყოვლითურთვე დაადგრა, რომლისათჳს სამართლად, ესე იგი არს  
 ჰეშმარიტად, წმიდასა მას ქალწულსა ღმრთის-მშობლად აღვიარებთ, რამეთუ  
 საუკუნეთა უწინარჳსმან მან სიტყუამან და ჰეშმარიტმან ღმერთმან მისგან ჯორც-  
 ნი შეისხნა და კ[ა]ც იქმნა.

25.

მ 90

ხოლო ესე რაჲ ვთქუათ, არა თუ ვითარცა ღმრთისა სიტყუამან დასაბა-  
 მი მოიღო, არამედ რამეთუ ჯორცნი მისგან შეისხნა და მსგავს თჳსისა მის არ-  
 სებისა ჩუენიცა იგი გონებაჲ თავისა თჳსისა უქცეველად შეაერთა და იქმნა კაც,  
 და სახელ ეღვა ძედ კაცისად: და რაჟთურთით ძლით თჳსისაგან ღმრთეებისა  
 არა იცვალა, არამედ არცალა კაცად პირველად შეიქმნა მუცელსა მას შინა  
 წმიდისა მის ქალწულისასა. და ესრჳთ გარდამოვდა მას ზედა სიტყუაჲ იგი, რა-  
 მეთუ არა თუ ღმრთისა შობაჲ ესე არს, არამედ შობად მოსლვად მსგავსად თქუ-  
 მულისა მის დიდისა გრიგოლისი: რამეთუ იგი, რომელი მამისა თანა სამარა-  
 დისოჲ არს ჭა თანაარსი, გუეზიარა ჩუენ ჯორცითა და სისხლითა, ვითარცა  
 იტყუს წმიდაჲ მოციქული: ჩუენი ყოველივე თავს იღვა თჳნიერ ხოლო ცოდვი-  
 სა დიდითა მით კაცთ-მოყუარებითა თჳსითა, რომელი აქუს საღმრთოსა მას  
 მისსა ბუნებასა. შე-რაჟმე-ეხო ჯორცთა იგი ღმრთეებაჲ, რამეთუ უვნებელ არს  
 ღმრთეებაჲ, ვითარცა იგი უსხეულო. არამედ ჩუენთჳს ჯორცითა იენო, ვითარ-  
 ცა იგი მოციქულთა მთავარი იტყუს: ქრისტემან რაჲ იენო ჩუენთჳს ჯორცითა,  
 არა თქუა ვითარმედ ღმრთეებითა, რამეთუ ღმრთეებაჲ ჰეშმარიტად უვნებე-  
 ლად ჰვიეს ვითარცა წინაღწარმეტყუელებით წერილ არს, ვითარმედ «მე თავადი  
 იგივე ვარ და არა შევიცვალა».

40

აწ უკუე ღმრთად ჰეშმარიტად ქრისტე ვიცით და მისივე ვთქუათ ქრისტეს ვნებად და ღმრთისა ვნებად ჯორცითა. რამეთუ არა თუ. სხუად ვინმე ქრისტე თჯიერ მისა, რომელი იგი კაც იქმნა, ღმრთისა სიტყუად ვიცით, არამედ ერთი და იგივე, რამეთუ ესევე კაცთა შორის იქცეოდა და სიკუდილი ჩუენისა ცხორებისათვის თავს იღვა, რადთა ძალი მტერისად შემუსრო(ს) და ჩუენ ზედა მოწვეულთა მათგან შეცოდებათა გამოგვჯსნეს, და ღმერთსა და მამისა და აგოს ჩუენი ესე ბუნებად. ამისთვის უკუე სამართლად უფლად და მაცხოვრად და ღმრთად ჰეშმარიტად ამას აღვიარებთ, თანაარსად მამისა ღმრთეებითა და თანაარსად ჩუენდა მომართ მასვე კაცობითა. დაღათუ. ორთა ბუნებათა განუყოფელად ვიცით იგი არსობითა, ერთობად შეურწყუველად და განუყოფელად ჰგის ყოვლითურთ ერთითა პირითა და ერთითა ძალითა, რამეთუ ერთი იგი ორთა მათგან არს და ერთისა მისგან არიან ორნივე იგი, ვითარცა იგი იტყვს წმიდად გრიგოლი. ხოლო ბუნებათა მათ თითოეულებასა არა სადა აღიღებს, შეერთებისა მისთვის უფროსდა გამოაცხადებს თითოეულებასა მას ორთა მათ ბუნებათასა, და ერთად პირად და ერთად ძალად შეჰყოფს. არა ორად პირად განჰყოფთ, გინა განესწვალეზთ, ნუ იყოფინ, რამეთუ არა ჯერ არს, ვითარმცა ვინ განაშორა კაცებად იგი ღმრთეებასა, არამედ ერთსა და მასვე ძესა, მხოლოდ-შობილსა სიტყუასა, ღმერთსა და უფალსა იესუ ქრისტესა არა სადა ვიტყვთ, და მის თანა აღვიარებთ და გურწამს, და არცაღა ღმრთეებისა მისისა და კაცებისა ერთობად იგი ღირსებით, გინა პატივით სწორებით, გინა წარმომატებითა. ნუთუ სხუა რაღსმე ზიარებასა ანუ ვითარმცა იგი ყოველსა შინა მსგავსად უღმრთოვსა მის ნისტორისა ყოფილად გურწამს, ნუ იყოფინ! და არცაღა კუალად ქცეულებასა, გინა საუტრებასა, შემოვიღებთ მსგავსად ხენეშად მსახურისა მის ევტჯქოსისა, ნუ ყყოფინ!

B 91

სადა უკუე განყოფად და ქცეულებად არა შეეხების, მუნ საცნაურ არს კეთილად, რამეთუ არსობისად მის ერთობად იგი ცოცხლად ჰგიენ და დამარხულ არნ ბუნებათა მათ თითოეულებასა მას შინა, დაღათუ არსებით ერ(თ)ობად იგი ღმრთეებისად და კაცებისა მის მისისად იქმნა. არამედ შეურწყუველადვე უფროვს ბუნებისა მოლუაწებად იგი მისი დამარხულ არს. რამეთუ ერთი არს უფალი და უწინარსს ჯორცითა შესხმისა, გინა თუ განკაცებისა მის მისისად, და ამისა შიმდგომადცა იგივე არს ჰეშმ(შ)არიტად, რომელი იგი მამისა თანა და სულილსა წმიდისა თაყუანის იცემების და თანა იდიდების. ამასვე საღმრთონი წიგნი გვთხრობენ და ამასცა ღმერთ-შემოსილნი ეკლესიისა მოძღუარნი ქადაგებენ.

ამათ ყოველთათვის თქუენცა, საყუარელნო, გლოცავ, რადთა გევსენენ ესენი, არა თუ რადთა კედელთა გინა ზღურბლთა სახლთა თქუენთასა გამოჩინებულად გამოსწერნეთ, არამედ რადთა დაწოლასა თქუენსა და აღდგომასა და გარე გამოსლვასა და კრებულისა საქმესა, ანუ თვისისა თავისა საქმესა, რამეთუ ფსალმუნისა ჟამსა და ყოველსა ადგილსა ფრიად კეთილს არს მოვსენებად ღმრთისად და მართლ-დიდებისა მოძღურებისად ღმრთის-მოყუარისა სულისად.

და ამათ თანა ესეცა გევსენენ. რომელსა ესე გეტყვ: რამეთუ ესეცა შეძლებელვე არს, რადთა წინამძღუარ ექმნეს სულთა თქუენთა ცხორებად კერძო. ვავასხებდეთ ურთიერთას კაცთ-მოყუარებასა, რამეთუ ყოველი კაცი ამისა

მ 92

მოქენე ვართ. ნუ ვინ ჩუენგანი ქედ-მალლოვინ || გლახაკისა მიმართ სიმდიდრისა სასოგებითა, რამეთუ ერთი ბუნებად არს ჩუენ ყოველთაჲ, ხოლო საფასს სიტყვისა უდარს ერთისაგან ერთისა მივალს და მიეცვალების.

აწ უკუე ვერდინეთა სიტყუათა მწარეთა, რომელი ვითარცა ისარი მოყუსისა მიმართ განეტყორცის, რამეთუ მალე არს ენაჲ ცოდვილისა მიმართ და მარჯუე. ამისთჳსა თანამდებ არს, უკუეთუ ცუდისა სიტყვისათჳს საშჯელი მიცემად არს, საყუარელნო, რადენ უფროჲს საქმეთათჳს ბოროტთა მიგუეჳადოს პატივი! იყუე ნუ უკუე თითოეული მსაჯულ თჳსთათჳს ცოდვითა და ნუმცა გამოიწულოლავს სხუათასა, რადთა ესრეთ ვინმე იპოოს მართალი; რამეთუ რომელმან თავი თჳსი თჳთ განიკითხოს, იგი სხჳსაგან არა განიკითხოს. დაიბანე-  
ნით ჳელნი თქუენნი, საყუარელნო, გლახაკთა მიმართ ქველის-საქმეთა, და ნუ ხოლო წყლითჲ, რამეთუ რომელი იგი თქუეს, ვითარმედ «არა ჳერ არს უბანელითა ჳელითა სიწმიდესა მას შესლვად», მე გონებასა ესე მომიწდის, რომელი შეუდგნ საქმესა ბუნებასა, ეგრევე იყოს. რამეთუ არა დიდების-მოპოვნებისათჳს არს თქუმული ესე, არამედ ზეგარდამო ბრძანებად. ესე მოცემულ არს ჩუენ-  
და, ამათ გლახაკთა ძმათა ჩუენთათჳს, რამეთუ არა ჳერ არს, ვითარმცა სირცხულ გჳნდა ამათი ესრეთ სახელის-დებად. რამეთუ შემოქმედსაცა ესრეთ შეურაცხიან და მათსა მას კეთილსა თავისა თჳსისად იჩინებს და ესრეთ იტყჳს: «ამენ გეტჳჲ თქუენ, რამეთუ რადენი რად უყოთ ერთსა მას მცირეთაგანსა, იგი

მათე 25, 10 მე მიყოთ», რამეთუ იგივე ჳორციი ასხენ, რომელნი ჩუენდა ამასვე ჳოგადსა აერსა მიიღებენ. აწ უკუე რაჳამს ვიხილნეთ იგინი წინაშე წმიდათა მათ ბჳეთა მდგომარენი, საბანელისა წილ მათა მოვიდეთ, მათა და, რად გუაქუნდეს, მივსცემდეთ მათ. და ესე რომელ მწიკული ცოდვისად არს ჩუენ თანა ამით განჯრცხნეთ, და სიწმიდესა მას შევიდეთ, რამეთუ კადნიერებაჲ ამით უფრო გუაქუნდეს წინაშე მისსა წარდგომად და || ლოცვად, ვიდრელა არა თუმცა ყოველი გუამი დაგუეზანა, რამეთუ წერილიცა ამასვე გუასწავებს. არა თქუა, ვითარმედ ჳელნი დაბანილნი და სამოსელი სჳეტაკი». არამედ გული წმიდაჲ მოგუცეს ჳამსა ლოცვისასა, რომლისა სახარებასა. შინა ქრისტე ღმერთი ჩუენი ებრაელთა მოძღუართა მათ აყუედრებს და ეტყჳს: «თქუენ ფარისეველნი გარეშს სასუმელსა და პინაკსა მოსწმიდით, ხოლო შინაგან თქუენსა სავესს არს ნატაცე-  
ბითა და სიმწარითა», და მოციქულიცა წიგნთა შინა იტყჳს, ვითარმედ ყოველივე წმიდა არს წმიდათათჳს, ხოლო შეგინებულთათჳს და ურწმუნოთა არა  
ტიტე 1, 15 რად წმიდა არს». ხოლო მოვეცინ მე ღმერთმან, რადთა წამართ მსგავსსა თქუენსა ღირსად ვცხონდებოდი, და ჳერმეცა მას დღესა ამის კრებულისათჳს გჯრგზნი შევთხზა. ხოლო თქუენ ღმერთმან ღირს გყვენინ რადთა ჩემ მიერ გესმოდის და აღთქუმულსა მეს ჳყოფდით, და მოილოთ მოტევებად ცოდვითაჲ.

მ 93

და თქუენ შორისცა აღესრულოს და აღთქუმულსა მას ჳყოფდეთ, და მოილოთ ცოდვითა მოტევებად და თქუენ შორისცა აღესრულოს მოციქულისა იგი თქუმული, რომელსა იტყჳს: «ღმერთმან მშჳდობისამან წმიდა გყვენინ თქუენ ყოვლითა სრულებითა და სიცოცხლითა; სული თქუენი, საშუმინველი და გუამი უბიწოდ მოსლვასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა დაგმარხენინ» ოხითა წმიდისა და დიდებულისა ღმრთის-მშობელისა მარადის ქალწულის მარტომისითა.

ლუკა 11, 30

თეს. 5, 23

5

10

15

20

25

30

35

40

ბასილი ეზოსმოძღვარი

ცხორება

მეფეთ-მეფისა თამარისი

გამოცემა

ივანე ჯავახიშვილისა

ივ. ჯავახიშვილის მასალა დასაბეჭდად გაამზადეს  
ნათ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ



## რედაქციისაგან

1923 წელს ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცულ ერთს, ე. წ. ჭალაშვილისეულს ხელნაწერში (ამჟამად ხელნ. № Q/207) აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ ახალი ნუსხა, რომელშიაც თამარ მეფის ისტორია წარმოდგენილია არა იმ თხზულებით, რომელიც მანამდე იყო ცნობილი და რომელიც „მარიამ დედოფლისეულ ქართლის ცხოვრებაში“ მოთავსებული (ე. წ. «ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი»), არამედ სრულიად ახალი, აქამდე უცნობი, ისტორიკოსის თხზულებით.

„ქართლის ცხოვრების“ ამ ახალ ნუსხას ივ. ჯავახიშვილმა იმავე 1923 წელს უძღვნა წინასწარი გამოკვლევა<sup>1</sup>, რომელშიაც ნათელჰყო, რომ ჭალაშვილისეულ ნუსხაში შემონახულია მხოლოდ პირველი ნაწილი თამარ მეფის ამ ახალი ისტორიისა, ხოლო მეორე დაკარგულია ნაწილის აღდგენა შესაძლებელი ხდება XVIII საუკუნის შვეცბული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, რომლის შემავსებელთაც თამარის ისტორიისათვის გამოუყენებიათ როგორც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ისე მეორე ისტორიკოსის თხზულებაც. იმავე გამოკვლევაში ივ. ჯავახიშვილმა გამოსთქვა მოსახრება: „ჰიპოთეზის მსგავსად, ან საკითხად შეიძლება წამოყენებული იყოს“, რომ ამ თხზულების ავტორი ბასილი ეზოს-მოძღვრავარი არისო<sup>2</sup>.

თამარ მეფის ამ მეორე ისტორიის თხზულების ტექსტი ივ. ჯავახიშვილს დამხადებული ჰქონდა გამოსაცემად; როგორც ჩანს, ის აპირებდა ერთეული გამოკვლევის დამზადებას ამ თხზულების შესახებ<sup>3</sup>; განსვენებული აკადემიკოსის არქივის ერთ შეკრებაში, რომელშიაც მოთავსებული იყო ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულება, სწვა ჭალადდებთან ერთად აღმოჩნდა ასეთი გამოკვლევის ნაწყვეტი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

«ისტორიათა და აზმათა» და ქცის შვეცბული ტექსტების შედარებითი შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებას არც მხელნაწერში უნდა ჰქონდეს დასაწყისი სრულად შენახული, არამედ მას შესავალი უნდა აკლდეს. თავისდა-თავადაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართველს ისტორიკოსს XII და XIII საუკუნეში თავისი, ასეთი დიდი გვირგვინის მფლობის მდებარეობის ნაწარმოები, როგორც თამარი იყო, ამგვარი ლიტონი სიტყვებით და მატინისებური კილოთი დაეწყო, როგორც იგი B-ში იწყობა. საფიქრებელია, რომ როდესაც ეს ძეგლი B ქართლის ცხოვრების კრებულში შექონდათ, მისთვისაც იმგვარადვე, როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებისათვის, შესავალი მოუცილებიათ. ქცის შემავსებელთ, როგორც ჩანს, ეს ნაწარმოები B ან იმის მსგავსი ხელნაწერთგან არ უნდა ჰქონდეთ ამოღებული, არამედ თითქოს მისი ცალკე მყოფი სრული დედანი უნდა ჰქონოდათ ხელთ. ამით უნდა აიხსნებოდეს ალბათ ის გარემოება, რომ შევსებულ ქცაში ისეთი ნაწყვეტი მოიპოვება, რომელიც არც „ისტორიათა და აზმათა“-გან არის ამოღებული, არც B ხელნაწერის თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება (წინასწარი მოხსენება): თბ. უნივ. მოამბე, ტ. III (1923), გვ. გვ. 186—216.

<sup>2</sup> ი. ც. გვ. 208.

<sup>3</sup> 1937 წელს ივ. ჯავახიშვილმა ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულების ტექსტი დაუთმო რუსულ ენაზე გამოსაცემად ვ. დონდუას (იხ. В. Дондуа, Басили, историк царств Тамары, კრებულში Памятники эпохи Руставели, 33—76, Ленинград 1938).

გვხვდებოდა, შინაარსით-კი სწორედ მას უნდა ეკუთვნოდეს. იგი შეესებულ ქვაში თამარის გამეფების შესახებ სათაურს მისდევს, მაგრამ B ხელთნაწერში არც ამ ადგილას და არც სხვაგან სადმე არ მოიპოვება და ამის გამო საფიქრებელია, რომ ქვის შემავსებელს ეს ნაწვეტი შესავალითგან უნდა ჰქონდეს გადმოტანილი.

«შეესებულს ქვაში სათაურის შემდგომ სწერია: «ხოლო აწ ამიერითგან ვიწყო და მიგი-თხრა და დაფარული იგი ცეცხლი ვითარცა საღრტილსა შორის კვეთებითა რკინისათა გამოჰკრ-თის, ეგრეთვე აღმობრწყინებდა ამბავთა თამარისთა და სიტყვით ოდენ მცირედი რამე ნაბერ-წყალი დიდისა მის საჭმლისა აღმოვაქვირეთ და მიგითხრა მიუთხრობელი და სიტყვთ გამოუთ-ქმელნი ცხორებანი და ქვევანი თამარ ბრძნისანი». ე. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი ს ა ხ რ ი თ (ქვა მარამ დედოფლისა გვ. 399, მენ. 8) ეს შესავალი «ისტორიათა და ახმათა» შემდეგი სიტყვების გადაკე-თება უნდა იყოს: «ხოლო ამიერითგან ვიწყო წყობად, ბრძოლად ვონებისად მიქიხიდექლქან და მკუთებელმან მსგავსად ქვისა და რკინისამან; აღმოვშობო ცეცხლი სიყუარულისა, და ქებისა, და სურვილისა, აღვატყინო და აღვაშალო საგმილი ცამდინ, მუნ შიგან აღმოვაჩინო ვთერიცა ცეცხლისა და ქუეყანა ცეცხლთაგან მღვეელი ურჩთა და ცეცხლებერ ღონე-და მოქმეპარებელი მეგობართა და მოყუარეთა» (მშ დღს ქვა \*623, გვ. 397).

«უბეველია ამ ორ ნაწვეტს ერთგვარი მსგავსება ეტყობა: პირველი სამი სიტყვა ორთა-ვეს თითქმის ერთიდაიგივე აქვს, ტალ-კვესთან შედარებაც ორთავე ნაწვეტში გვხვდება, მაგ-რამ შემდეგ უკვე განსხვავება იწყება. ამასთანავე ისიც გასათვალისწინებელია, რომ პირველი სამი სიტყვა მეორე შემთხვევაში განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს და ჩვეულებრივია ყოველი ახალი მოთხრობის დასაწყისისათვის, შესაძლებელია ქვის შემავსებელის მიერაც იყოს მიკერებული, მით უმეტეს, რომ ზნა «მიგითხრა» წინადადებაში ორჯერ არის გამეორე-ბული. ტალ-კვესთან შედარება-კი მწერლობაში ისე იყო გავრცელებული, რომ ორსავე ისტო-რიკოსს დამოუკიდებლად შეეძლო ეხმარა ამგვარი შედარება; მით უმეტეს, რომ თვით სურათი ორსავე შემთხვევაში სხვადასხვანაირად არის დახატული და ამ მხრივ მათ შორის მსგავსება არ არსებობს. ეხლა უკვე ვიცით, რომ ქვის შემავსებელი მხოლოდ ტექსტის გადაკეთებული კი არა იყო, არამედ წყაროების, ცნობებისა და ნაწვეტების ჩამრთველი».

რადგან ახალი დამთარებელი გამოკვლევა ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულების შესახებ განსვენებულს არაფერი დარჩენია, ამიტომ ტექსტის წინ წათავსებთ მისი 1923 წლის წინასწარ-რი მოხსენებიდან ამოღებულ, თამარის მეორე ისტორიის შესახებ ნაწილს.

ტექსტი იბეჭდება იმ სახით, როგორც ეს განსვენებულის არქივში აღმოჩნდა, ხოლო სა-ჭიროა შემდეგის გათვალისწინება:

- 1) ყველა შენიშვნა, რომლებიც ტექსტს ეხება, ეკუთვნის ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ს;
- 2) ტექსტში შეტანილი შესწორებებიც (აღდგენა კონტექსტისათვის საჭირო სიტყვებისა, შესწორება უმართებულო ფორმისა, შემოტანა მთელი ფრაზისა ე. წ. შეესებულ «ქართლის ცხოვრებიდან») მასვე ეკუთვნის;
- 3) ტექსტში «ქართლის ცხოვრებიდან» შემოტანილი ადგილები, კალაშვილისეული ხელ-ნაწერის ძველი ნაწილის ფარგლებში, უფრჩხილებოდაა დატოვებული, ხოლო თვით ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ს მთავრად აღდგენილი სიტყვები კუთხოვან ფრჩხილებშია ჩასმული;
- 4) ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ს დედანში კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული ყველა აღდგენი-ლი (ე. ი. ჩამატებული) სიტყვა, სტრიქონის ზევით სწერია და კითხვითი ნიშანი უზის;
- 5) კალაშვილისეული ხელნაწერის ახალი ნაწილს (გადაწერილია 1731 წ.) მიხედვით გამზადებულს დედანში კუთხოვან ფრჩხილებშია ის ადგილებიც, რომლებიც ნუსხაში არის, მაგრამ ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ს საეჭვოდ მიაჩნია მათი ბასილი ეზოს-მოძღვრისეულობა.

## შემოკლებული და ქარაზმიანი სიტყვების განმარტება

ანა დღეს ქცა—ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება.

ანდ—არამედ.

აწა—ფითარცა.

კდ—კუალად, კვალად.

მშ დღეს ქცა—მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება.

M ქცა—მარიამისეული ქართლის ცხოვრება.

რ—რაზედუ.

საღთო—საღმრთო, საღვთო.

საღთოთა—საღმრთოთა, საღვთოთა.

ფდ—ფრიად.

ქცა—ქართლის ცხოვრება.

ქრონიკონსა—ქრონიკონსა.

ლთი—ღმერთი.

ღთმან—ღმერთმან.

ლთსა—ღმერთსა.

ღთივ-განბრძნობილსა—ღმრთივ (ღვთივ) განბრძნობილსა.

ღთის—ღმრთის, ღვთის.

ღთისა—ღმრთისა, ღვთისა.

ღთისაგან—ღმრთისაგან, ღვთისაგან.

ღთისათა—ღმრთისათა, ღვთისათა.

ღთისათუს—ღმრთისათუს, ღვთისათუს.

ღთისამან—ღმრთისამან, ღვთისამან.

ღთისანი—ღმრთისანი, ღვთისანი.

ღთისასა—ღმრთისასა, ღვთისასა.

ღთის-მშობელისათა—ღმრთის (ღვთის) მშობელისათა.

ღთის-მშობელმან—ღმრთის (ღვთის) მშობელმან.

ღთის-მშობელსა—ღმრთის (ღვთის) მშობელსა.

ღთის-მშობლისათა—ღმრთის (ღვთის) მშობლისათა.

ბ—ბოლო.

## ლიტერატურა

A (ტექსტში) კალაშვილისეული ქართლის ცხოვრების ძველი ნაწილი (1731 წლამდე გადაწერილი).

B (ტექსტში) კალაშვილისეული ქართლის ცხო-

ვრების ახალი ნაწილი, გადაწერილი თვით კალაშვილის მიერ 1731 წელს.

Б (ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევაში) კალაშვილისეული ქართლის ცხოვრების ძველი ნაწილი (1731 წლამდე გადაწერილი).

**თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი\***

მ<sup>ა</sup> ქვ<sup>ის</sup> ხელთნაწერის შუა ნაწილის უძვირფასეს სამკაულს თამარის მეფობის აღწერილობა შეადგენს. აქამომდე M ქვ<sup>ის</sup> წყალობით ჩვენ „ისტორიკოსი და აზმანი შარავანდედთანი“ გვექონდა, რომლის უხვს შინაარსიანობას მისი რიტორულ-ფილოსოფიური მიმართულების გამომმელავნებელი რთული ხელოვნური ენა ვერ ჩრდილავდა. შევსებულ ქვ<sup>ა</sup>ში თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებას ორად (გიორგი III-ისა და თამარის მეფობად) გაყოფის გარდა შესავალიც ჩამოცლილი აღმოაჩნდა და ახალი ცნობებით შევსებულობაც ეტყობოდა. ამ ფრიად საყურადღებო დანართი ცნობების სადაურობა გამოურკვეველი იყო და ზოგს მერმინდელ შეთხზულად ეჩვენებოდა კიდევ.

ქართული საისტორიო წყაროების შესწავლამ კარგა ხანია დამარწმუნა და ეს შემდეგ 1916 წ. დაბეჭდილს ჩემს შრომაში „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ I წიგნში აღნიშნულიც მაქვს, რომ თამარ მეფის ხანას უეჭველია საქართველოში ბევრი აღმწერელი და ისტორიკოსი ეყოლებოდა, მაგრამ ერთის გარდა სხვების ნაშრომი ჯერჯერობით დაკარგულად უნდა ჩითვალოს. ამ ერთის თხზულებაც შენახულია „მშდფლს ქვ<sup>ა</sup>“-ში, მაგრამ მეტისმეტად დამაინჯებელია მერმინდელ-გადამწერთაგან-ა<sup>1</sup>. M ქვ<sup>ის</sup> ტექსტმა იქ, სადაც თამარის მეფობაა აღწერილი, გაამართლა ჩემი სიტყვები და მართლაც თამარის მეორე, აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება აღმოჩნდა. თუ მთლად არა, მისი პირველი ნახევარი თურმე დაკარგული არ ყოფილა და ტფილისში M ქვ<sup>ის</sup> ხელთნაწერში ინახებოდა.

საკმარისია აღამაინმა იქ მოთავსებული თამარის მეფობის აღწერილობა გადაიკითხოს, რომ მისმა მკვირცხლად დაწერილმა, დალაგებულმა და მთლიანი აზრითა და გრძნობით გამსჭვალულმა შინაარსმა უნებლიეთ გაიტაცოს და მოხიბლოს თავისი ცხოველი დასურათხატებითა და მრავალი ახალი ცნობებით. ყოველ წინადადებაში თანამედროვის დაკვირვებული თვალი და გონება მოჩანს და აღფრთოვანებული ძლიერი გრძნობა ჩქეფს.

ამ პირველი საერთო შთაბეჭდილების გარდა ქვემოთ თავის ადგილას თამარ მეფის ამ ახლად აღმოჩენილი ისტორიკოსის პიროვნებისა და მისი მსოფლმხედველობის შესახებ საგანგებოდ გვექმნება საუბარი, ეხლა-კი გამოსარკვევი გვაქვს, თუ სად უნდა ვიგულისხმოთ ამ ძეგლის დასაწყისი?

\* ამოღებულია ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევებიდან „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება“, (თბ. უნივ. მოამბე, ტ. III, გვ. გვ. 186—216). რედ.

\*\* „M ლიტერით აღნიშნულია ჭალაშვილისეული ხელნაწერი № Q/207. მისი აღწერილობა მოცემული აქვს განსვენებულ აკად. ივ. ჯავახიშვილს გამოკვლევაში „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება“ (თბ. უნივ. მოამბე, ტ. III, 1923) და მისი რედაქციით გამოქვეყნებული ბერი კვანტაშვილის ახალი ქართლის ცხოვრების<sup>3</sup> წინასიტყვაობაში (თბილისი, 1940), რედ. <sup>3</sup> გვ. 165.

თუ წითური საბატონის მიხედვით ვიმსჯელებთ და ამაზე დავამყარებთ ჩვენს დასკვნას, თამარ მეფის ახლად აღმოჩენილი ისტორიკოსის თხზულება თითქოს იქ უნდა იწყებოდეს, სადაც წითურად სწერია: დაჯ და ნებითა ღთისათა თამარ მეფედ დასაბამით განთა წელთა ექუსითათა ექუსას ოთხმოცდა ექუსა, ქორონიკონსა ოთხას და სამსა-ო. მაგრამ ამგვარი აზრი სამართლიანი არ იქნებოდა, რათგან ამ ადგილს რამოდენიმე გვერდი უძღვის წინ, რომელიც აგრეთვე თამარს ეხება, მხოლოდ მისი დაბადებისა და აღზრდის ხანას გვისურათებს. საფიქრებელია, რომ ეს ნაწილიც, როგორც ზევით ვაკვრით უკვე აღნიშნული გვქონდა<sup>1</sup>, თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებას შეადგენდეს და მისი ნაწარმოების დასაწყისი იყოს. ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ თუმცა ამ ნაწყვეტს თავში გიორგი III-ის გამეფების თარიღი უზის და მისი მეფობის მოკლე ერთი-ორი წინადადებით გამოთქმული საზოგადო დახასიათებაა, მაგრამ მთელი დანარჩენი მოთხრობა მხოლოდ თამარს ეხება და აქვეა ნაამბობი თამარის გამეფებისა და კურთხევის მთელი გარემოება, აღწერილია მისი გარეგნობაც. ამ პირველი ნაწილის ავტორი რომ მართლაც თამარის მეფობის მთელი დანარჩენი ისტორიის აღმწერელი ყოფილა, ამის ერთი პირდაპირი დამამტკიცებელი ცნობაც მოიპოვება. პირველ ნაწილში იქ, სადაც თამარის მეორე მამიდის რუსუდანის დახასიათებაა, სახელდობრ ნათქვამია: «რომლისათვის აწ დამაკლებს წინამ დებარე ესე მოთხრობად, თუ რაოდენ შუენიერება და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა», წინამდებარე ასაწერი ამბები საშუალებას არ მძლევენ რუსუდანის პირადი სათნოება დავახასიათოო. წინამდებარე-კი თამარის მეფობაა, ამგვარად ამ სიტყვებით ორივე ნაწილის აღმწერელის ერთდამიჯივობა ცხადი ხდება. მაშასადამე, ზემომოყვანილი, საბატონის მსგავსად დაწერილი, წითური წინადადება მხოლოდ თამარის მეფობის მომთხრობელი ნაწილის წარწერად უნდა ჩაითვალოს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საკითხი მაინც მართლ ამ დაკვირვებითა და დასკვნით არ ამოიწურება და თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებას, ზემოაღნიშნული წინამავალი ნაწილის მიმატების შემდგომაც, მაინც მისი დასაწყისი სრულად ისე, როგორც იგი დაწერილი ყოფილა, არ ექმნება წარმოდგენილი, მაგრამ ამაზე ეხლა საუბარი შორს წავიყვანდა. უნებლიეთ უნდა ჯერჯერობით ამით დავეკმაყოფილდეთ და ამჟამად გამოვარკვიოთ მხოლოდ, თუ სად და რით თავდება ეს ძეგლი?

სამწუხაროდ თამარ მეფის ახლად აღმოჩენილი ისტორიკოსის თხზულებას მთელი მეორე ნაწილი აკლია. იგი სწყდება რუკნადლინთან ბრძოლის უწინარეს ამბავზე, რათგან ქცის იმ ძველ მე-XVI—XVII სს. ხელთნაწერს, რომელშიაც ეს თხზულება შეტანილია, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა<sup>2</sup>, ბოლო მოგლეჯილი ჰქონია და მხოლოდ შემდეგში 1731 წ., სხვა ქალაქზე და სხვა ხელით ერაჯ ქალაქილს ქცის ვახტანგისეული რედაქციის ტექსტიტგან

<sup>1</sup> იხ. ავტორის წერილი «ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება», გვ. 199.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 200.



გადმონაწერით შეუვსია დანაკლისი. ამისდა მიუხედავად თამარ მეფის ამ მეორე ისტორიკოსის მეორე, დაკარგული ნაწილის თუმცა სრულად არა, მაგრამ მაინც შევსება შეიძლება.

ჯერ კიდევ ჩემს 1914 წ. დაბეჭდილ „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში ვამბობდი: ეხლა, როდესაც ანა დ'ფს ქვ'ის ხელთნაწერმა დაგვანახა, რომ დიმიტრი I-ის მეფობის შესახებ ცნობები ლაშა-გიორგის დროინდელი ქართველი მემკვიდრის თხზულებითგანა ყოფილა ამოღებული და სხვა შემთხვევებშიც ქვ'ის შემავსებელთ ძველის წყაროებით უსარგებლიათ, მე დარწმუნებული ვარ, რომ თამარ მეფის ისტორიის ბოლოც შევსებულს ქვ'-ში რომელისავე ძველი ქართველი მემკვიდრის თხზულებითგან უნდა იყოს ამოღებული<sup>1</sup>. B ქვ'ის აღმოჩენამ ჩვენ სრული საშუალება მოგვცა გამოგვერკვია, თუ საითგან ამოულიათ ქვ'ის შემავსებელთ ის ცნობები, რომელთა კვალი თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში არ ჩანს. M, B და შევსებული ქვ'ის ტექსტების შედარებითი შესწავლა ცხადჰყოფს, რომ თამარის მიერ მოწვეული საეკლესიო კრების შესახებ, მიქელ კათალიკოსზე და დანარჩენი ცნობებიც, რომელიც შევსებულ ქვ'-შია, თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში კი („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) არ მოიპოვება, B ხელთნაწერში შენახული თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებითგან ყოფილა ამოღებული. ეს დაკვირვება საშუალებას გვაძლევს ამ მეორე ისტორიკოსის ნაწარმოების დაკარგული ნაწილი აღვადგინოთ. ამისთვის შევსებული ქვ'ის თამარის მეფობის მომთხრობელი ტექსტი M ქვ'ის „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტს უნდა შევადაროთ და, რაც ამ უკანასკნელთან შედარებით შევსებულ ქვ'-ში ზედმეტად აღმოჩნდება, ის თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ნაწარმოებითგან იქმნება ამოღებული. თუ ამ ზედმეტ ნაწილებს შევაერთებთ და ვადავაბამთ, ჩვენ თვალწინ ამ ძეგლის დაკარგული მეორე ნაწილი წარმოგვიდგება. ამნაირი შედარებითი მუშაობის წყალობით თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ჯერჯერობით დაკარგული ნახევრის ტექსტი აღდგენილი გვაქვს კიდევც.

მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ამ ძეგლის პირველი შენახული ნაწილისა და M ქვ'ისა და შევსებული ქვ'ის ტექსტების შედარებითმა შესწავლამ დამარწმუნა, რომ ქვ'ის შემავსებელთ ჯერ ერთი თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ყველა ცნობებით არ უსარგებლიათ და ყველაფერი არ შეუტანიათ, და თანაც არც დედნის მოთხრობის წესრიგი დაუცავთ ყოველთვის, მართლწერისა და სიტყვათა წყობილების შეუცვლელობისათვისაც თითქოს ჯეროვანი ყურადღება არ უნდა ჰქონდეთ მიქცეული. ეს გარემოება სიფრთხილეს უნდა გვიკარნახებდეს და უნდა გვახსოვდეს მუდამ და ვიცოდეთ, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულების დაკარგული ნაწილის ზემოაღნიშნული გზით აღდგენილი ტექსტი დედნის სრულ ტექსტად ვერ ჩაითვლება. მას შეიძლება და უეჭველია ამაზე მეტიც უნდა ჰქონოდა, თვით მოთხრობის წესრიგი და სიტყვათა წყობილება, მით უმეტეს მართლწერა სრული სისწორითა და ზედმიწევნობით დაცულად არ უნდა გვეგულებოდეს.

<sup>1</sup> იხ. „ქალი ერის ისტორია“ II, 632 შენ. 1914 წ.

ამგვარი აღდგენა მაინც საშუალებას გვაძლევს ავტორზე და მის თხზულებებზე საერთო მსჯელობა ვიქონიოთ. რატან თხზულების არც ბოლო და არც დასაწყისი სრულად შენახული არ არის, პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის უნდა იყოს თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულება დაწერილი, არ მოგვეპოვება. ამიტომ გამოსასრულებია, როდის და როგორ არის დაწერილი იგი, ერთად თუ ნაწილ-ნაწილ, როგორც მაგ. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ნაწარმოები „ისტორიანი და აზმანი“-ა შეთხზული? ამის გამოკვლევის საშუალებას ჩვენი ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილი გვაძლევს, რომელიც ზაქარია შვარცრძელის ამირსპასალარად, ივანე შვარცრძელის მსახურთ-უხუცესად და კიბაბერის მანდატურთ-უხუცესად დადგენის ამბავის შემდგომ და შანჭორის ომამდე მოთავსებული. იქ ჩვენს ისტორიკოსს სხვათა შორის ნათქვამი აქვს, რომ თუ მომავალი თაობანი თამარის მეფობის დიდებულების ამბავს არ დაიჯერებენ, ასეთმა ურწმუნობებმა გაიხსენონ «ერაყამდის მისგან დადებული ხარაჯა და ბაღდადის კერძ მარაღამდის» და მაშინ დარწმუნდებიან, რომ ყველაფერი, რაც ნამბობია, მართალი არისო. ვინც თამარ მეფის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორია იცის, ის რასაკვირველია მაშინვე მიხედება, რომ ჩვენს ავტორს აქ საქართველოს ლაშქრის სპარსეთში ძლევამოსილი გალაშქრება აქვს ნაგულისხმევი, როდესაც ზემომოყვანილ წინადადებაში აღნიშნული ამბები მართლაც მოხდა. ხოლო ეს გარემოება ცხადყოფს, რომ თამარ მეფის ამ ახლად აღმოჩენილ ისტორიკოსს თავისი თხზულების პირველი, 1184—1195 წ.წ. ამბების შემცველი, ნაწილი იმ დროს დაუწერია, როდესაც საქართველოს ჯარს ჩრდილოეთი სპარსეთი უკვე დაპყრობილი ჰქონდა და საქართველოს სახელმწიფოს ყმად ნაფიცად იყო ქცეული, ე. ი. თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში და მაინცდაბაინც 1210 წ-ს, ან ამის შემდგომ ახლო ხანებში.

ჩვენი ისტორიკოსი რიტორული ენაწყლიანობით მოქარგული სიტყვებით ერთგან გაიძახის: «რომელმან შეუძლოს აღწერასა მიცემად წართეებანი თამარის საქმეთანი? რამეთუ ვითარ თმანი თავისანი თუითეულად ვერავინ აღრიცხუნეს. ეგრეთვე ვერცავინ ესენი აღწერნესა-ო. მაგრამ თუნდაც რომ ვინმემ შესძლოს, სულ ერთია მომავალი თაობანი ამას არ დაიჯერებენ: «რომელთაცა ოდენ შეუძლოს, საექუთელ მიჩნს მომავალთაგან შემდგომად არა დარწმუნება და-ო. მას საქართველოს სახელმწიფოს ბრწყინვალე ხანის თანამედროვეს და მომავალში თავის სამშობლოსათვის უფრო მეტი წარმატებისა და სიძლიერის მოიმედეს, ეგონა, რომ მერმინდელი თაობანი ისტორიკოსს არ დაუჯერებდენ, რომ საქართველო წინათაც, თამარის დროსაც ასე დაწინაურებული იყო. მან არ იცოდა, რომ ისტორიის ბედის ტრიალი ჩვენს სამშობლოს ისეთ მდგომარეობაში ჩაადგებდა, რომ თამარის ხანა მერმინდელ თაობებს უუბრწყინვალეს დროდ ეჩვენებოდათ და არამცთუ იმას დაიჯერებდენ, რასაც ისტორიკოსები მასზე მოუთხრობდენ, არამედ ქართველს ერს ყოველი საქართველოს შესანიშნავი ძეგლი უეჭველად თამარის აგებულ-ნამოქმედარად ექმნებოდა მიჩნეული.

თამარ მეფის ისტორიკოსის თანამედროვეობა მისი თხზულების უკანასკნელ ნაწილშიც ნათლად ჩანს და თვით მასაც აქვს ორგან ეს გარემოება აღნიშნული. თამარის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების შესახებ მას ნათქვამი აქვს: «ეს რეთ გვანდა დაღათუ ჩუენ თანა იგლოვსცა და ყოველი სოფელია-ო. ხოლო დიდებული მეფის სახელგანთქმულობაზე იგი ამბობს: «საქმეთა მისთათჳს რადღა საქმარ არს თქმად, რამეთუ კიდით კიდედმდე განისმნეს ვითარცა თჳთ მოწამე არს ყოველი ჩუენ მიერ ზილული სიტყუისაებრ ბრძინისაა-ო.

საქმარისია ადამიანმა გადაიკითხოს თამარ მეფის ავადმყოფობისა და სიცოცხლის უკანასკნელი წუთებისა და სიკვდილის მშვენიერი აღწერილობა, რომ ადამიანმა იქ თანამედროვის გულისძგერა და ტკივილი ცხადად იგრძნოს. თუ ზემოთ განსაზღვრულ თარიღთან ერთად გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ისტორიკოსის თხზულების მეორე, შვესებულ ქცაში შენახული, ნაწილი თამარის უკანასკნელ დღეებსა, წუთებსა და სიკვდილს ისეთი სიციხოველითა და გრძობიერებით მოგვითხრობს, რომ აღწერილობას თავზე ახლად დამტყდარი უბედურების ძლიერი შთაბეჭდილების გავლენა ეტყობა, მაშინ თავისთავად დაგვებადება დასკვნა, რომ იგი თამარ მეფის გარდაცვალების უმაღლეს უნდა იყოს დამთავრებული. ამგვარად თამარის მეორე ისტორიკოსის მთელი შრომა 1210-1213 წ.წ. უნდა იყოს დაწერილი.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის პიროვნების დასახასიათებლად უნდა აღინიშნოს, რომ მისი მოთხრობა არას დროს, რამდენადაც შენახული ტექსტითგანა ჩანს, საომარ მოქმედების მიმდინარეობას არ გვესურათებს. ამ მხრივ იგი თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიათა და აზმათა“ ავტორისაგან განსხვავდება, რათგან ამ უკანასკნელს პირიქით, როგორც შანქორის, ისევე რუკნადდინთან ბრძოლა დაწვრილებით აქვს მოთხრობილი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ თამარის მეორე ისტორიკოსი სამხედრო მოქმედების დამსწრე და თვითმხილველი არ უნდა ყოფილიყო. ამის გამო შექვევლია ის სამხედრო პირი არ იქმნებოდა.

მეორეს მხრით თამარ მეფის ისტორიკოსი არც სამეფო დარბაზობის აღწერილობით ყოფილა დაინტერესებული. საგულისხმოა, რომ ჩვენს ავტორს არც ერთი დარბაზობა, თვით მნიშვნელოვანი, საზეიმოც კი, არა აქვს დასურათებული იმ დროს, როდესაც „ისტორიათა და აზმათა“ აღმწერელს დარბაზობისა და ზემის შესახები ამბები ასე ჰყვარებია. ამის გამო თამარის მეორე ისტორიკოსი დარბაზის მოხელედ, ან წევრადაც არ არის საფიქრებელი.

შექვევლია იგი არც მმართველთა უმაღლეს წრეს უნდა ჰყუთნებოდა; რამდენჯერმე ის მათ წუნსა და ბრალსა სდებს. იგი მაგ. არ მალავს, რომ განძის საქმე აქა ვერა კეთილად განაგეს ზაქარია და ივანე და ესე ოდენ იქმნა დაკლებტ ამას გამარჯუებასა შინაა-ო (რვ. 35 აქ) გაუფრთხილებლობას აბრალებს იგი თამარ მეფის მახლობელ და მმართველ პირებსაც, რომ მძიმე ავადმყოფს გვირგვინოსანს არ გაუფრთხილდენ და ერთი ადგილითგან მეორეში მიჰყავდათ: აქა საბრალობელ მიჩნს დიდად ერთგულნი იგი კაცნი, თუ ვითარ უგულვებელს ყუეს ეგოდე-

ნი ტკივნეულობაჲ მისი, რამეთუ წარმოიყუანეს კუბოთა ტფილის[ს] და შემდგომად მცირედთა დღეთა ენებათ ჩუენულებისაებრ, რათა დასოს განვიდენ, ისწრაფდეს და მუნ წარიყვანეს კუბოთავე და დიდად განძნელდა სენი იგი უწყალა-ო.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ისტორიკოსმა მაინც თამარ მეფის შინაური ცხოვრება კარგად იცის. დაწვრილებით მოთხრობილი აქვს; სად და როგორ ლოცულობდა, როცა საქართველოს ჯარს საომრად გაისტუმრებდა ხოლმე, არ ავიწყდება, თუ ვინ ახლდა ასეთ შემთხვევებში დიდებულ გვირგვინოსანს. ამიტომ ისე გამოდის, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი თითქოს დიდებული გვირგვინოსნის ცოტად თუ ბევრად ახლო მდგომი პირი უნდა ყოფილიყო.

სათქმრებელი ხდება, რომ იგი ანტონი მწიგნობართუხუცესის, ჭყონდიდლისა და ვაზირთა უპირველესის მომხრეთაგანია, რათვან არც ერთი მაშინდელი მოღვაწე მას ასე შექებული არა ჰყავს, როგორც ანტონი. მისი ვრჩევაღვთის შთაგონების შედეგად არის წარმოდგენილი. იგი არის «ნანდვილვე კაცი ღირსი ქებისა, ქეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი. უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგულე უზომოდ და შემეცნებული საურავთა საეკლესიოთა და მონასტერთათუის. რადღა სავმარ არს თქმად, თვთ წამებენ ქმნილნი მისნი ყოველგან-ო, გაიძახის ჩენი ისტორიკოსი.

უნებლიეთ იპყრობს მკვლევარის ყურადღებას ის გარემოებაც, რომ რუკნადინის წინააღმდეგ გასასტუმრებელი ჯარის თამარ მეფისაგან დალოცვის აღწერილობაში ჩვენს ისტორიკოსს ასეთი წერილმანი ცნობა აქვს მოხსენებული, თუ ვის ეჭირა სახელდობრ ჯვარის მეორე მხარე იმ დროს, როდესაც მეომრები ჯვარისა და თამარის ხელზე სამთხვევად მოდიოდნენ. და იწყეს «თაყუანის ცემად პატიოსნისა ჯუარისა და ამბორის ყოფად და ეგრეთვე შემთხუევად ჯელსა თამარისასა... რამეთუ ერთითა ჯელითა თუით მას ეპყრა ძელი ჯუარისა. ხოლო ერთითა ეზოს-მოძღვარსა ბასილის და ჯუარის მტვირთველსა-ო. რაკი აქ ასეთი უმნიშვნელო რამის გამო ეზოს-მოძღვარი ბასილი არის დასახლებული, ჰიპოთესის მსგავსად, ან საკითხად შეიძლება წამოყენებული იყოს, ეს წარმოება ბასილი ეზოს-მოძღვრის ავტორობის მომასწავებელი ხომ არ არის?

ასე თუ ისე, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი დახელოვნებულ მწერლად მოჩანს. თუმცა საღმრთო წერილითგან ამოღებული წინადადებები მის თხზულებაში იშვიათი არ არის ხოლმე, მაგრამ მსოფლიო ისტორიის განთქმული მოღვაწეებისა და შემთხვეულებათა მოხსენებაც იცის. შანქორის გამარჯვებას ის უწოდებს ულუმპიანს გამარჯვებას, «ფრიად უაღრესსა საქებელისა მისგან ძლევისა, რომელი ყო აღექსანდროს დარიოსს ზედა» (რე. 35: 6). მაინც, რამდენადაც შვინახულ ტექსტიდან ჩანს, მსოფ-



ლიო ისტორიითგან მოყვანილი შედაზრებანი ჩვენს ისტორიკოსს ცოტა აქვს და არც ერთხელ, რაც ფრიად დამახასიათებელი და საგულისხმოა, სპარსულ-არაბული მხატვრული მწერლობითგან ამოღებული მაგალითები მას მთელს თხზულებაში არ მოეპოვება. ამ მხრივ ჩვენი ისტორიკოსი თამარის პირველი ისტორიკოსის, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. უეჭველია ეს გარემოება შემთხვევითი არ უნდა იყოს და უფლება გვაქვს მისი მიმართულებისა და მსოფლმხედველობის გამომჟღავნებლად მივიჩნიოთ. რაც უნდა იყოს, თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი უმთავრესად საღმრთო წერილსა და ბერძნულ წამთაღმწერელობის ძეგლებში ნაკითხ ადამიანად გვეჩვენება და მაჰმადიანური მხატვრული თუ ისტორიული მწერლობის ნაკითხობა არ ემჩნევა. იქნებ ეს დარგი მისთვისაც სრულებით უცნობი არ ყოფილიყოს, მაგრამ გული და გონება ამისთვის მაინც დახშული ჰქონია.

რასაკვირველია ჩვენს ავტორს ქართული საისტორიო თხზულებები უნდა სცოდნოდა კარგად და ეტყობა კიდევ, რომ ამ ცოდნას მისთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. თამარ მეფის უკანასკნელი წუთების აღწერილობასა და გოდებაში იგი ცოტა არ იყოს გიორგი ხუცეს-მონაზონს გვაგონებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც საზოგადოდ შთაბეჭდილება მოუხდენია და ერთგან თავის თხზულებაში ჩვენი ავტორი მას ცხადად ჰგულისხმობს კიდევ. სახელდობრ მას აღნიშნული აქვს, რომ თამარის მეფობის დასაწყისში „მისვე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა, შვილთა კახაბერთა... იწყეს ძმაკუჲად და ბრძოლად მახლობელთა თუისთა, რომელთა არცა მხილებულთა შეიგონეს, არცა წყალობათაგან თამარისთა შეიკდიმეს, არამედ ძუელად მათთუის დაწერილი კუჲად განაახლეს და კუდსა ძაღლისასა, გინა კუთხსა ფლასისასა ემსგავსებოდესა“ (რვ. 36 ა). ლიპარიტის შესახებ ძველად ქართულ საისტორიო მწერლობაში მართლაც მოიპოვება ცნობები, მაგრამ მხოლოდ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსა აქვს ლიპარიტის მოღალატური მოქმედებისადმი მიდრეკილების დაუშლელობაზე ნათქვამი, დიდებულმა ჯვირგვინოსანმა ბევრი ცდის შემდგომ დაინახა, რომ როგორც კული «ძაღლისა არა განემართების», ისევე ლიპარიტის გასწორება შეუძლებელი იყო და ამიტომ საქართველოთგან გააძევაო<sup>1</sup>.

თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის მოთხრობის დამახასიათებელ თვისებად ის გარემოება უნდა იქმნეს შიშნეული, რომ იგი თამარის მეფობის პირველ წლებში მომხდარი შინაური პოლიტიკური ბრძოლის შესახებ თავის მკითხველს არაფერს უამბობს: ცალი სიტყვითაც-კი მოხსენებული არ არის დიდგვარიან აზნაურთა ვაფიკვისა და ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის საგულისხმო ამბავი. სამაგიეროდ მას ვრცელი და საყურადღებო ცნობებით აღსავსე მოთხრობა მოეპოვება თამარ მეფის მიერ მოწვეული საეკლესიო კრების შესახებ, რომელსაც „ისტორიანი და აზმანი“ სრულებით არ იხსენიებენ. შეიძლება ადამიანს ეფიქრა, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსს, როგორც მე-XIII ს.

<sup>1</sup> ცა შ'ფთ მ'ფსა დავითისი (#522, გვ. 289).



დამდგის მწერალს, საქართველოს დიდებული გვირგვინოსანის მეფობის პირველი წლების ამბები კარგა არც-კი სცოდნოდეს და მისი მღუმარება სწორედ ამითვე აიხსნებოდეს ამ შემთხვევაში, მაგრამ იმის გარდა, რომ ამგვარი აზრის უსაფუძვლობას ჩვენი ისტორიკოსისაგან მოყვანილი საეკლესიო კრების აღწერილობაც ამტკიცებს, თითონ მას აქვს ერთგან მოხსენებული ამბავი, რომელიც ნათლად მოწმობს, თუ თამარის მეფობის პირველი წლების თავდადასავლის რამდენად კარგი მცოდნე უნდა ყოფილიყო. ის სახელდობრ ამტკიცებს, რომ თამარი თითონაც დაუცხრომელად მუშაობდა და სხვებსაც მუდამ ამუშავებდა სხვათა შორის იმიტომაც, რომ მოცილილი არა ესხუათა განხრახვათა და მოუკიდნენ, ვითარცა სამდიდრითა აღადებულთა, ანუ ერთიერთისა მტერობად მოიცილდეს და ბრძოლად, ვითარ ყუესცა ვიეთმე დაწყებასავე ამისსა მეფობისასა მისვე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ღიპარიტეთთა შვილთა კახაბერთა, რამეთუ იწყეს... ბრძოლად მახლობელთა თუისთა», რომელთაც არაფრხთ თავიანთი არ დაუშლიათ და ანტონი ჭყონდიდელის ორი ძმა დაუხოციათ კიდევ და რომელიც განრისხებულს თამარს ხუთივე ძმა დაუპერინებრა და სათითაოდ ხუთს ციხეში ჩაუსვამს; ხოლო შემდგომ, როდესაც თურმე ჭკუა ვერც ამან ასწავლათ, ექსორიაქმნით საქართველოთგან საბერძნეთის მაკედონიაში განუდევნია. ეს უკანასკნელი ამბავი თამარ მეფის პირველ ისტორიკოსსაც-კი არა აქვს თავისს ნაწარმოებში („ისტორიანი და აზმანი“) მოხსენებული. ამის გარდა თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობაში, რომ „სიმდიდრით აღადებულთა შორის, რამელიც ესხუათა განხრახვათა და მოუკიდნენ“ და თამარის მეფობის დასაწყისში „მტერობად და ბრძოლად მოიცალეს“, უნებლიეთ მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუთლუ-არსლანი და მისი დასი გვაგონდება და შესაძლებელია ჩვენს ავტორსაც სწორედ ეს ამბავივე ჰქონოდეს ნაგულისხმევი. ზემომოყვანილი ცნობითგან მაინცდამაინც ცხადია, რომ მას თამარის მეფობის დასაწყისის ხანის შესახებაც ბევრ რამე სცოდნია, რაც მოთხრობილი არა აქვს.

საზოგადოდ მისი როგორც მოთხრობა, ისევე ამბების გაშუქება თამარის პირველი ისტორიკოსის მოთხრობა-გაშუქებისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. რაც ერთს აინტერესებდა, მეორეს გაკვირით მოუხსენებია, ამ სრულებით დაუდუნნია. იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ორთავე ისტორიკოსს ერთიდაიგივე ისტორიული მოვლენა აქვს აღწერილი, მათი მოთხრობა ხშირად საგრძობლად განსხვავდება, ზოგჯერ ერთი მეორეს არც-კი უდგება ალბათ იმიტომ, რომ მოვლენის სხვადასხვა საფეხურები აქვთ მაგულისხმევი. ქცის შემავსებელთ ეს გარემოება სრულებით გათვალისწინებული არ ჰქონიათ და ამ ორი ისტორიკოსის ცნობები მექანიკურად გადაუბამთ ერთი მეორეზე და ვერც-კი შეუმჩნევიათ, რომ ზოგჯერ ეს ცნობები ერთი მეორეს სრულებით არ ეგუება.

თამარის მეორე ისტორიკოსი, როგორც ეტყობა, შინაური პოლიტიკურ-სოციალური მოძრაობის აღწერას უფრო გაურბოდა. საფიქრებელია, რომ მას სომეხ-ქართველთა საეკლესიო კრებისა და ცნობილ შეცილებულაც არაფერი უნდა ჰქონოდა. ნამბობი. სძულვებია მას თამარ მეფის პირველი ქმარიც. მართა-

ლია თამარ მეფის მეორე ისტორიკოსი პირველი ქმრის გიორგი რუსის შესახებ ზოგიერთი უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის, ვიდრე „ისტორიანი და აზმანი“, მაგრამ მის სახელს არც ერთხელ არ იხსენიებს იმ გვარადეე, როგორც რუსის მომყვანელი დიდებულის სახელსაც არ უმკლავნებს მკითხველს. ის მხოლოდ არ მალავს თავის უმკაყოფილებას და ამბობს: «ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყუნეს, რომელსა იგი მოიყუანებდეს» და ჩივის, რომ «ესოდენსა მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდესა»-ო. დაწვრილებით აქვს მას აღწერილი ის მედგარი წინააღმდეგობა, რომელიც თამარს გაუწევია ამ საქმისათვის, მაგრამ თავისი მაინც ვერ გაუტანია, რათგან დიდებულები და მმართველი წრეები საქართველოს სამეფო ტახტის უმემკვიდრეობის საბუთიანობით ძალას ატანდენ და «ყოვლითუთ შეაიწროებდეს სულსა მისსა». ბოლოსდაბოლოს თამარ მეფე იძულებული გახდა, საერთო სურვილს დამორჩილებოდა. ისტორიკოსის მაინც ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ «თუ ინიერ ნებისა მისისა ყუეს ქორწილია»-ო.

ჩვენი ისტორიკოსი სდუმს გიორგი რუსის სამხედრო მოღვაწეობაზეც და მას ერთი სიტყვითაც მოხსენებული არა აქვს ის ლაშქრობანი, რომლის მონაწილეცა „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის სიტყვით იგი უნდა ყოფილიყო. სამაგიეროდ მას აღნიშნული აქვს, რომ გიორგი რუსის სკუითური ბუნება და ქცევა, სიმთვრალე და სხვა სისაძაგლე უკვე «რა მრავალთა დღეთა შემდგომად» გამოსჩენია. სულ სხვანაირად აქვს აღწერილი ჩვენს ავტორს თამარისაგან პირველი ქმრის განტყვევების ამბავიც. თუ „ისტორიანი და აზმანი“ თამარს განშორების-დროს მაინც ცრემლს აღვრევინებს, აქ თამარი უფრო ბუნებრივად, ადამიანურად არის წარმოდგენილი და მისი ქალური თავმოყვრეობის აღშფოთება მშვენიერი ფერადოვნობით არის აღბეჭდილი: მართალია სანდრითო სჯული ბრძანებს «რა განშორებად პირველსა საწოლსა», მაგრამ ეს ისეთ პირებისათვის არის ნათქვამი, რომელნიც თითონაც საცოლ-ქმრო დამოკიდებულების სიწმინდეს იცავენ ხოლმე. ხოლო «რომელმან არა დაიცვას საწოლი თვისი წმიდად, არა ჯერ არს მის თანადათმენა»-ო. ცნობილია, რომ საქრისტიანო მოძღვრება სამწუხაროდ ორთავე სქესს თანასწორ პირობებში არ აყენებდა, არამედ ქალს უფრო მკაცრად ეპყრობოდა. თამარ მეფეს ამ მხრივ ცოლ-ქმარი თანასწორად პასუხისმგებლად მიუჩნევია. ხოლო, როდესაც თამარის ყოველსავე ცდას მის განსაშორებლად უუქად ჩაუვლია, პირიქით, იმდენადაც-კი გაკადნიერებულა, რომ მოგზავნილი ჩამგონებლები ნაცემიც-კი გამოუსტუმრებია განრისხებულს, მაშინ მოთმინებით-გან გამოსულს თამარ მეფეს საჯაროდ «წინაშე ყოველთასა» გიორგი რუსისათვის გამოუცხადებია: რათგან ვითარცა მრუდე ხის აჩრდილის გასწორება შეუძლებელია, ისევე შენი მორჯულება მე არ ძალმიძს, ამიტომ «განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერა»-ო. მიუხლია თუ არა ამ უკადრისი და სოდომური ქცევის მიმდევარი კაცისადმი ეს ზიზღითა და აღშფოთებული გრძნობით აღსავსე სიტყვები, მაშინვე წარმომდგარა და

გასულა ოთახითგან. ხოლო იქ მყოფ რუსუდანსა და მთავრებს ამ სამარცხვინო საქმისათვის ბოლო მოუღიათ: ვიორგი რუსის გაქვევა გადაუწყვეტიათ და აუსრულებიათ კიდევ.

ჩვენი ისტორიკოსი თამარისათვის როგორც პირველი საქმროსა, ისევე მეორე საქმროს არჩევის დროს გამოჩენილ შრავალ მოაჯისა და თამარის ქმრობის მსურველთა შესახებაც სდუმს. ამ მხრივ იგი თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორისაგან თელსაჩინოდ განსხვავდება.

თამარისათვის მეორე საქმროდ დავით სოსლანის არჩევის ამბავიც ჩვენს ისტორიკოსს უფრო ბუნებრივად და სინამდვილით აქვს გადმოცემული. თუ „ისტორიათა და აზმათა“ აღმწერელი მოგვითხრობს, ვითომც თამარ მეფეს განეცხადებინოს «არაოდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქმროსნობისა არცა პირველ, არცა აწუაო» (\*646, გვ. 431), იგი გვაუწყებს, რომ თამარი ახალ საქმროს იცნობდა და სწორედ «მეცნიერებისათუის ყრმისა» თანხმობა განაცხადარ. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ თამარი მისთვის პირველი საქმროს მოყვანის დროს დიდებულებს ეუბნებოდა, როგორ იჩეუთ ისეთს ადამიანს, რომელსაც არ ვიცნობთო, საფიქრებელი ხდება, რომ შესაძლებელია დავით სოსლანი გულში თამარს მაშინვე უფრო შესაფერისად მიაჩნდა და მეორეჯერ არჩევანიც მისი სურვილის თანახმად ყოფილიყო მოხდენილი.

საგულისხმო ცნობებში აქვს ჩვენს ისტორიკოსს თამარ მეფის მოღვაწეობის შესახებ. იგი ახასიათებს მას ვითარცა პოლიტიკურს მოღვაწეს და სამეფოსს საქეთმპყრობელს, თვალწინ უშლის მკითხველს თამარის პოლიტიკურს გეზს შინაურს ცხოვრებაში და საერთაშორისო დამოკიდებულებაში. საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა და საზღვრების სწრაფი ზრდის საერთო მიმოხილვის შემდგომ ჩვენი ისტორიკოსი თავის მკითხველს აფრთხილებს: «ესე ყოველი რა გესმოდის, ნუ ვინ ესრეთ ჰგონებთ, თუშცა თუნიერი თამარისსა რამე ქმნილ იყო ვისგანცა, არამედ ესრეთ განიგონე, მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქუეყანა მოსარბეველი, მოაჯსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიას და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი, თუით დავით მეფე წაეიდის და არა სადათ შემოქცეული ცუდად. უკეთუ უმცირესი რამე იყვის, მყის შესხნის დარბაისერნი (sic) თუისნი და, ვითარ შავარდენტა მოისაქმიან. თუ თუით იყვის ანუ მინდორით ნადირობასა შინა, ანუ შინამყოფსა, და ესმის რამე და შესხნის მუნ ღირსნი მისნი: ვითარ არწივთა კაკაბნი ეგრეთ დანაბნიან ყოველნი წინააღმდეგომნი» (რვ. 36:ბ—36:ა). ხოლო ისტორიკოსის სიტყვით «მას ყოველსა დაუშრომელად რა მოქმედებდა, არა თუისისა ქონებისა მოქმენე იყო და არცა სამეფოდ იმპირვი და ესტოდენტა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თუით მათვე»

მისცემდა, რომელთა აუტოლოგებდა თუისთა ლაშქართა: ვითარ წამებს დიდი და სახელგანთქმული სახ(ე)ლი სომეხთა მეფეთა ანისი, რომელი წარულო სპარსთა შანშაობისა თანა მრავალ-ჯამ მათგან ქონებული,—ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი დვინი. და ამათ ორთა პირთათუის იქმოდა: პირველად რათა მარადის გული უთქუმიდეს და შური აიღონ ერთ-მანერთისა წარმართთა შეძინებისათუის თუისისა, და მეორედ რათა მოუყუეთოს ყოველი მიზეზი, რომელი დაჯსნის ერთგულობასათ (რგ. 36: B).

თუმცა ქცის შემავსებელის წყალობით ჩვენი ისტორიკოსის ზოგი ცნობები უკვე წინათაც ვიცოდით, მაგრამ კიდევ ბევრია ისეთიც, რომელიც ფრიად საყურადღებო საკითხებს ეხება, მაშინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს ახასიათებს და გვისურათებს. და აქამდე სრულებით უცნობი იყო. წინასწარ მოხსენებაში ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია და არც საქირთა: ძეგლი რომ დაიბეჭდება, ყველას საშუალება ექმნება ეს ცნობები თვითვე ამოიკითხოს. სხვათა შორის მხოლოდ ამ ისტორიკოსს აქვს თამარ მეფის გარეგნობის აღწერილობა. მისი სიტყვით ტანსა ზომიერსა გრემანობა თუალთა და დაწუთა სპეტაკთა ზედა გარდებრივ ფეროვნობა, მორცხუივ ხედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილბ პირი, მხიარული და უღიზრო სიტყუის სინარსარქა (რგ. 33: B) ახასიათებდა საქართველოს უმშვენიერეს ასულსა და დიდებულ გვირგვინოსან საქეთმპყრობელს. აღვილი წარმოსადგენია თუ რამდენი საყურადღებო, ჩვენთვის სრულებით უცნობი, ამბები უნდა იყოს დაკარგული თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულების იმ მეორე ნაწილთან ერთად, რომელიც B ქცის ხელთაწერს აკლია.

უეჭველია ბატონიშვილს ვახუშტს თავისი ისტორიის შედგენის დროს თამარ მეფის ამ მეორე ისტორიკოსის თხზულებაც ხელთ უნდა ჰქონოდა. ამ გარემოებას ის ცნობებიც ცხადპყოფენ, რომელნიც ვახუშტსა აქვს თამარის მეფობის აღწერილობაში შეტანილი და რომელნიც მხოლოდ ამ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის ნაწარმოებთგან შეიძლება რომ ამოღებული ყოფილიყო. ამგვარ ცნობათა ჯგუფს ეკუთვნის: ჯერ ერთი ამბავი კახაბერისძეთა მიერ ანტონი ჭყონდიდელის ორი ძმის მოკვლისა და თამარისაგან ამის გამო კახაბერისძეთა შეპყრობისა, ციხეში დამწყვდევისა და შემდეგ მათი მაკედონიაში გაქვების შესახებ, სადაც ისინი ბრძოლაში დახოცილან (ბაქრაძე. საქართველოს ისტორია, 197).—შემდეგ ცნობა თამარის მეორე მამიდის მეორე რუსუდანის შესახებვე, რომელმან შეიყვარა ქალწულება 80 წლისა დღეთაო, რომელთანაც თურმე იზრდებოდა ოვსთა ბატონიშვილი დავით სოსლანი (იქვე 202).—აგრეთვე ცნობა იმის შესახებ, რომ შანქორის ომში საქართველოს ჯარის გასტუმრების უმალ თამარ მეფე ფეხშიშველი მივიდა მეტეხს და წარგზავნილი სპის ძლევამოსილებისათვის ევედრებოდა ღმერთს (იქვე 207), რომ მაჰმადიანნი ხალიფას სთხოვდენ თამარ მეფის წინაშე ეშუამდგომლა მათზე ხარკის დადებით დაკმაყოფილებულიყო, რაც დიდებულ გვირგვინოსანს შეუწყნარებია კიდევ (იქვე 211) და სხვა. რათგან არაფერი ამის მსგავსი

ისტორიათა და აზმათა შარავანდედა“-ში არ მოიპოვება და მხოლოდ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსსა აქვს მოთხრობილი, ამიტომ ყველა ამგვარი ცნობებისათვის წყაროდ ჩვენ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება უნდა ვიგულისხმოთ. მართალია ზოგიერთი ამ ამბავთაგანი ვახტანგისეულ სწავლულ კაცთ ქცის ტექსტში ჩაურთავთ და ამ ჩანართებითგანაც შეეძლო ვახუშტს ამოეკითხა, მაგრამ ზოგიერთი ცნობათაგანი, როგორც მაგ. კახაბერისძეთა დანაშაულობისა და დასჯის შესახებ და თამარის მამიდა შეორე რუსუდანზე, არც ამ ჩანართებში მოიპოვება და მხოლოდ თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების სრულს ტექსტშია. თავის დროზე განსვენებული დ. ბაქრაძე ერთი ასეთი ვახუშტის ისტორიაში შეტანილი ცნობის შესახებ რუსუდანზე ამბობდა კიდევ: „მეორე რუსუდან სრულებით არ არის ცნობილი და არა ჩანს, სად ჰპოვა ეს ცნობა ვახუშტმ“-ო (იქვე 202, შენ. 1). მაშინ ეს მართლაც გაუგებარი იყო, ეხლა კი ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ იგი თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებითგან აქვს ბატონიშვილს ვახუშტს ამოღებული. ეს გარემოება სრულს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბატონიშვილს ვახუშტს თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულება სრულად და არა ჩანართების სახით უნდა ჰქონოდა. საფიქრებელია, რომ ეს ძეგლი მას ქცის ხელნაწერში შეტანილი ექნებოდა. ხოლო რათგან ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა ისტორიკოსმა თავისი თხზულება მოსკოვში 1743 წ. დასწერა, ამიტომ ქცის იმის მსგავსი მეორე ხელნაწერი, რომელიც ეხლა აღმოჩნდა და დღევანდელი ჩემი მოხსენების საგანს შეადგენს, რუსეთშიაც უნდა ყოფილიყო გატანილი და შესაძლებელია სადმე ეხლაც გადაჩენილი იყოს.

ჩვენი ისტორიკოსის ენა ოდნავადაც არ მიაგავს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ხელოვნურს, რიტორული მჭერმეტყველებითა და ფილოსოფიური სკოლის მიმდევრობით მძიმე ტერმინოლოგიით დატვირთულს ენას. მისი მოთხრობა მკვირცხლად მიმდინარეობს, მსუბუქი, ლამაზი ენით არის გამოთქმული და მკითხველს თავისი ბუნებრივობითა და გულწრფელობით უნებლიეთ ჰხიბლავს. ამ მხრივ იგი ქართველ ისტორიკოსთა საუკეთესო წარმომადგენელთა მაგალითს მისდევს და მათ სკოლასა და ტრადიციებს არ ჰღალატობს. ამიტომ ის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან უფრო ახლო დგას, ვიდრე თავის თანამედროვე თამარის პირველ ისტორიკოსთან.



# სტორება მეფეთ-მეფისა თამარისი

A 33, a დაჯდა მეფედ გიორგი, ძე დემეტრესი, დავითის შვილისა, ქორანიკონსა სამას სამოცდათხუთმეტსა: ამან დაყუნა მორქმასა შინა ყოველნი ჟამნი და დღენი მისნი და იმეფა კეთილთა მეფობითა და მატა ყოველთა საყდართა, მონასტერთა და ებისკოპოსთა წყალობასა<sup>1</sup>. ამას შვილი არა ესუა და მისთვის მწუხარე იყო უშვილოებისათვის. მერმე ინება ზეგარდამო მოწყალებამან ღმრთისამან და იწყო მობერვად ნიაემან ამოანმან და იშვა მათგან ქალი, ქმნილ-კეთილი, ყოვლითურთ უნაკლო და შესატყუისი. ამას დაარქუა სახელი თამარ.

A 33, b გარდაჯდეს ამას შინა წელი რაოდენნიმე და გარდაიცვალა მეფე გიორგი და იქმნა გლოვა და მწუხარება უზომო უფროსლა დასა თუისსა რუსუდანს. 10

ესე იყო სძალ-ყოფილი დიდთა სულტანთა შამირამელთა და დედოფალი ყოვლისა ხუარასნელთა უფლებისა, რომელი სიჭურვისათვის თუისადვე მამულად მოყვანებული, დედოფლად დაჯდა ქართველთად უფროსლა დიდებად სახლისა თუისისად და ყოვლისა ამის სამეფოსა. ამას წინაშე იყო თამარ მაშინ, ვითარცა თუისსა მამიდასა თანა, დითურთ თუისით, რომელსა რუსუდანვე მოაქუნდა სახელად, რომლისათვის აწ დამაკლებს წინამდებარე ესე მითხრობად, თუ რაოდენ შეუნიერება და თავდგმულობა ექმნა ყოველთა პირველ მისსა ყოფილთა დედოფალთა. ვიკადროთ რამე, რამეთუ ოთხმოცისა წელიწდისა დღეთამან შეიყუარა მტკიცედ ქალწულება, სიწმიდე და სიკეთე დიდად სრული.

A 33, a და ჩუენ პირველსავე სიტყუასა წარუძღუეთ. გლოვა იყო წინამდებარე 20  
III მეფ. I, 39 დირსთა, არამედ არა თავს იღვეს წარჩინებულთა სამეფოსათა, მიმხედველთა თამარისთა, განიყარეს გლოვა და დასცეს საყუირსა, ვითარცა ოდესმე სოლომონისთვის, და დადგეს სუიანი ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი, რომელი პირველ მთავარისა განამზადა მეფეთ-მეფემან საბაოთელიომ სამფლობელოდ ზღუითი-ზღუამდი და მდინარითგან კიდემდი სოფლისა. აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა და მისთანა; დროშა დავითისი, არაოდეს მობერილი წინააღმდეგომთაგან ნიაეთა. და ყოველთა ერთა ჯმა-ქმნილთა აწუიეს თამარს ჳრმალი მამული თანა-საყდრითურთ მამისა მინიჭებულთ.

A 33, b ლიტონადმე მიიღოა დიდმან ამან გონებამან, არა, ნუ იყოფინ. უმშუენოდმე შეიწყნარა იგი გუირგუინმან და მეფობამან. ანუ არა მალნანტ ექმნა ყოველსა თუალსა თუისად? ვინ ძუელი სიტყუა აქა ახლად ევიგმართ ებრმა-შობილმან ბრმადვე წარვლოა უმხედველომან თამარისმან. ტანსა ზომიერსა გრემანობა თუალთა და დაწუთა სპეტაკთა ზედა ვარდებრივ ფეროვნობა, მორცხუივ ხედვა, ლალი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და უღიზლო სიტყუის სი-

2 ძე დავითისი დემეტრეს შვილისა A.—7 დაიწყო A; ამაოზან A.—8 უნაკლულთ A.—11 შამირამეთი A.—13 დაბად A.—18 დღემან A.—20 ლოვა A.—24 საბოთელით A.—25 სიპტრა A.—27 ნივთთა A; ჳმა-ქმნილი A.—29 ლ იტონადმე A.—34 სინარანე A.

ეს სიტყვა ხელნაწერში არ არის და კონტექსტისათვის ჩამატებულია ი. ვ. ჯავახიშვილის მიერ.

წარნარე და ზრახვისა უჩუქნობა. არა ცუდად დასდვა ღმერთმან მაღლად თა-  
მარს ესრეთ შემკულობა, რომლისათვის არა უჯგრო მიჩნს თქმად, ვითარმედ  
პირი ამისი პირველვე იქო დავითის მიერ თქმითა რათა ლიტანიობით<sup>1</sup> თაყუ-  
ანის სცემდენ მეფენო და მთავარნი და მეძღუნებოდენ ნათესავნი.

ესრეთ იდიდა ღთი ყოველთა პირთავან. იხილეს რა კელისუფალთა<sup>2</sup> მღვდელთ- 5  
მოქძღვართათა მეფე გუირგუინოსანი და ქება შეასხეს ძალითა საქებელსა ვმითა  
ობრისათა და სთქუცა, თუ ყოველნი ძალნიცა ზეცისანი თანაშემწე არიან სი-  
ნარულსა || ქუეყანისათა და ესე უსაკუირველეს მიჩნს ყოვლისა მე, რომელ  
სხუა მვედარი არაოდეს იხილა მის ჟამისათა მამადებრ მეფედ და ყოველნი  
ვითარ გამოცდილნი სასოებრითა წინასწრობითა უძლოდა<sup>3</sup> ერთი-ერთისა და 10  
სინარულითა სავსენი ღთსა ჰმადლობდეს, მეფესა აქებდეს და თავთა ჰნატ-  
რიდეს:

და ჯ და ნებითა ღთისათა თამარ მეფედ დასაბამით განთა  
წელთა ექუსიათას [sic] ექუსას ოთხმოცდა ექუსსა, ქრონიკონსა ოთხას და  
სამსა: შვილი მეფეთ-მეფისა გიორგისი, დიდისა დავითის ძისა, დემეტრეს ძი- 15  
სა, ცოლისაგან ბურდუხან ოვსთა მეფისა ასულისა, რომელი ჰმატდა სიკეთესა  
დღდათასა სხუითა ყოვლითა, გარნა თამარის დედობითა. სძალი სხუა მისებრი  
მამინ არა ეხილვა ქართლისა თემსა და შემდგომითი-შემდგომად აქონ.

ამიერითგან რა ჯგერ აქრს თამარისი თქუმად. გარნა მონაცვალეობა<sup>4</sup> ღთი-  
სა სამეფოსა და ერისათვის, რამეთუ აღიღო გონება მაღლად და მდაბლითა 20  
სულითა, განიცადა სიდიდე საქმისა, მისდა რწმუნებულისა, მიაყუნა მყუანებელ-  
სა თუისსა ხედვა და იწყო განგებად, ვითარ იგი მობერვიდა სული. მიმოიხილა  
სიმახუილითა ცნობისათა თუისსა გარემო ყოველი და მყისსა შინა შეემეცნა  
ხილვითა ოდენ, წრფელთა [და] დრკუთა, გულარძნილთა<sup>5</sup> და უშანკოთა, ერთ-  
გულთა და ორგულთა. და სიბრძნითა გონებითა თუისითა პირველად ყოველთა 25  
ზედა დასხა წყალობა უხვებით<sup>6</sup>, რათა ჟამთა საქმეთასა ერთნი ერთგულობით  
მაღლიერობდენ, სოლო მეორენი უსიტყუელ იყუნენ მიგებისათვის სამართლისა.

4 მეფეთა A.—5 სრეთ A.—15 იი ძისა| ძისაგან A.—19 არნა A.—20 აღიღონ A.—21 სუ-  
ლითა+და A.—25 გონებითა| განგებითა A.—26 უხვებით<A.—27 მიგებისათვის სამართ-  
ლისა| უშურველად წყალობათასა (ქცა).

<sup>1</sup> ეს სიტყვა ივ. ჯავახიშვილს ჩაუწერია სტრიქონს ზევით კიბხეის ნიშნით; ამ  
სიტყვის ადგილას ხელნაწერში სწერია «ლიტონებით».

<sup>2</sup> ამ სიტყვის ადგილას ხელნაწერში იკითხება «ველითა», ხოლო ივ. ჯავახიშვილს  
ზევიდან დაუწერია: «ველითა-ველისუფალთა».

<sup>3</sup> ხელნაწერში ეს სიტყვა ასე სწერია, მაგრამ ივ. ჯავახიშვილს მის ზევით ფანქ-  
რით დაუწერია «უძლოდეს».

<sup>4</sup> ამ სიტყვის ზემოდან ივ. ჯავახიშვილს უწერია; ქცა 405—407—412 (ივლისხ-  
მება ხ. კვიციანიძის გამოცემა).

<sup>5</sup> ამ სიტყვიდან მოყოლებული ვიდრე «ორგულთა»-მდე (ჩათვლით) ხელნაწერში არაა  
და ტექსტში შემოტანილია «ქართლის ცხოვრებიდან» (იხ. ხ. კვიციანიძის ვამ. 405).

<sup>6</sup> ეს სიტყვა ხელნაწერში არაა და აქ შემოტანილია «ქართლის ცხოვრებიდან» (იხ.  
ხ. კვიციანიძის ვამ. 405).

A 33, a

M 390, a

A 33, b

A 33, a ხოლო სჯულთათუის სულითთა მეორე კოსტანტინე იქმნებოდა და მისებრვე ჰგორივნებდა დაწყებასა საღმრთოსა საქმეთასა<sup>2</sup>, რამეთუ იწყო აღლესად ორპირი[ის]სა მახუილ[ის]სა მოსასრველად თესლთა ბოროტთა და || ინება, რათა იქმნას შეყრა და გამორჩევა დიდთა მათ და მსოფლიოთა [კრებათა].

პირველად აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალემით ნიკოლაოსს გულაბერისძესსა, რომელსა სიმდაბლისა ძალითა ეჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან. ესე რა მოიყვანა, შემოკრიბნა ყოველნი სამეფოსა თუისისა მღვდელთ-მოძღუარნი, მოწაზონნი და მეუღაბნოენი, კაცი მეცნიერნი სჯულისა საღმრთოსანი და მოსწრაფე იყო, რათა შართლ-მადიდებლობასა ზედა [აღმოცენებულნი]<sup>3</sup> თესლნი ბოროტნი აღმოფხურნეს სამეფოსაგან თუისისა. რომელი ესე აღრე განმარჯუა სასოებისა კეთილისა მქონებელსა.

A 33, b ხოლო შემო-რა-კრბეს ორისავე სამთავროსა ებისკოპოსნი, რომელთა პირად აქუნდა ზემო მოქსენებული ნიკოლაოს, მსგავსი სენისა თუისისა, და ანტონი ქუთათელი საღირის ძე, დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმით და || სიტყუით. მიეგებოდა მათ თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა კაცი და არა მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა. შეკრიბნა ყოველნი ერთსა სადგურსა და დასხნა საყდრებითა, ხოლო თუით დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით და ესრეთ ეუბნებოდა: «ში წმიდანო მამანო, თქუენ ღმრთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღუარად ჩუენდა და მმართველად წმიდასა ეკლესიასა და თანა გაც სიტყუის მიცემა სულთათუის ჩუენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დამტკიცეთ მართალი, ხოლო განჯადეთ გულარძნილი. იწყეთ ზემ ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთისა მბრძოლობისა. ნუ თუალ ახუამთ მთავართა სიმდიდრისათუის, ნუცა გლახაკთა უღებ-ჰყოფთ სიმცირისათუის. თქუენ სიტყუითა, ხოლო მე საქმით, თქუენ სწავლით, ხოლო მე განსწავლლით, თქუენ წურთით, ხოლო მე განწურთით ზოგად ჯელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუვიწებელად, რათა არა ზოგად ვიზღუვიენეთ: თქუენ, ვითარცა მღვდლნი, ხოლო მე, ვითარცა მეფე, თქუენ, ვითარცა მნენი, ხოლო მე, ვითარცა ებგური».

ესმნეს რა სიტყუანი ესე ყოველსა მას კრებულსა მამათასა, მადლობდენს ღმერთსა და თანად მეფესა ღმრთივ-განბრძნობილსა. ჯდა უკუე თამარ მცირედ-ჟამ შორის მათსა, მერმე მოილო კურთხევა მათგან და წარვიდა პალატად თუისად.

ხოლო წინამძღუართა კრებისათა ნიკოლაოს და ანტონი, რომელნი<sup>4</sup> ვითარ

2 საქმეთასა < A—3 მოსასრველად + უღმრთოთა და (ქ'ცა)—5 პირველთა A; იელუსარემით A.—6 ქართლკოზობისაგან A.—7 თუისსა A.—8 საღმრთოსა A.—28 უგბური A.

1 ეს სიტყვა ხელნაწერში არაა და ტექსტში შემოტანილია ივ. ჯავახიშვილის მიერ „ქართლის ცხოვრებიდან“ (იხ. ზ. კიკინაძის გამ. გვ. 406).

2 ეს სიტყვა ტექსტში შეტანილია თვით ივ. ჯავახიშვილის მიერ. ამ სიტყვის ადგილას „ქართლის ცხოვრებაში“ სწერია „შემოთესილნი“ (იხ. ზ. კიკინაძის გამ. გვ. 406).

3 ამ სიტყვის შემდეგ სტრიქონის ქვემოთ ივ. ჯავახიშვილს უწერია ორი სიტყვა: „[იყუნეს? ბრწყინვიდეს?]“. მაგრამ რადგან ეს სიტყვები სავარაუდოა და კონტექსტისათვისაც მანცადამანც არაა საკირო, ამიტომ ტექსტში არ შეგვაქვს.

A 33, e b პირმეტყუელნი მთიებნი უძლოდეს მომრგულებასა ცაებრივსა მის ვარსკულავთა კრებულისასა, არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოზი, რამეთუ წინაუკმო რამე იწყო წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელ-მაწყუერელობა და<sup>1</sup> მწიგნობართ-უხუცესობა მოვევრა<sup>2</sup> უფლისაგან. არამედ ვერა განაყენეს, დაღაცათუ ფრიად ილუაწეს, რომელი ადრე თუით განაყენა 5  
სასჯელმან ღმრთისამან. ხოლო სხუანი ვინმე ებისკოპოსნი შეიცვალნეს [და] მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს და სხუანი საეკლესიაონი წესნი განმართნეს უდებთა მიერ დაქსნილნი.

ხოლო აღივსებოდა რა კრება, შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერის-თავნი სამეფოსანი და მოაქსენეს მამათა, რათა ზოგად ილუაწონ შემოყუენებად 10  
სიძისა თამარისათუის, რომელი ყვესცა და შემოკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა და განზრახვითა ყოველთათა წარავლინეს კაცი ვინმე რუსთა სამეფოდ ქრისტიანობისა და მართლ-მადიდებლობისათუის მათ ნათესავთასა. და ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყუნეს, რომელსა იგი მოიყუენებდეს. 15

A 34, a შემდგომად ჯამისა მოიწია კაცი იგი || წარვლინებული და მოიყვანა კაცი დიდად გუარიანი, უდიდესი ყოველთა მათ მეფეთა მის კერძოსათა და სახითაცა არა უმარჯუი. რომელიცა იხილეს რა, ყოველთა კაცთა სინდა, რამეთუ არარას მეცნიერ იყუნეს ჩუეულებისათუის მისისა. 15

სკრბეს<sup>3</sup> წინაშე რუსუდან დედოფლისა პატრიარქი და დიდებულნი, სპა-20  
სპეტნი და ერისთავნი და აცნობეს თამარს და აწუეედეს ქორწინებასა და ასწრაფობდეს ამის პირისათუის. არამედ იგი მიუგებდა, ვითარმედ «კაცო, ვითარ ღირს შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა, და საქმე, არცა მვედრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა. მაცაღეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი.» 25

ხოლო იგინი წინააღუდეგობდეს, უშვილოებასა მოაქსენებდეს, სახლისა მისისასა უნაყოფოებასა დრტუინვიდეს, წინამძღუარსა სპათასა ითხოვდეს, და ყოველითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა, და ირემსა ემსგავსებოდეს სახისა ოდენ მიხედვითა, პილოთაებრ არა ჯანიხილვიდეს მისაყრდნობელსა || და ყოველითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა და ესეოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს. 30  
რასალა [მრავალსა ვიტყოდი<sup>4</sup>] შემდგომად მრავლისა ცილობისა თუინიერ ნებისა მისისა ყვეს ქორწილი და მრავალ-ჯამ იყუნეს განცხრომასა შინა, მსგავსსა საქმისასა.

1 მომრგულებასაცა: ებრისა A.—2 კათალიკოზი A.—3 იწყო იყო (ქცა).—4 მაწყუერელთ მწიგნობართ და უხუცესობა A; უფლისაგან] ჯამისაგან A.—6 სასჯელმან] სჯულმან A.—9 აღდგებოდა. A.—18 რა<A.—23 ქცევა] ქმნა A.—24 I არცა] არა A.

<sup>1</sup> ხელნაწერში სწერია «მაწყუერელთ-უხუცესობა»; რაც შეეხება ორ სიტყვას «და მწიგნობართ-ს, ისინი ტექსტში შემოტანილია ივ. ჯავახიშვილის მიერ «ქართლის ცხოვრებიდან» (იხ. ხ. კიკინაძის გამ. 407).

<sup>2</sup> «შეკრბეს»-იდან მოყოლებული ვიდრე სიტყვამდე «და აცნობეს» ხელნაწერში არაა და ტექსტში შემოტანილია ივ. ჯავახიშვილის მიერ «ქართლის ცხოვრებიდან» (იხ. ხ. კიკინაძის გამ. გვ. 412).

<sup>3</sup> ეს ორი სიტყვა კონტექსტისათვის არის ჩამატებული ივ. ჯავახიშვილის მიერ.



არა<sup>1</sup>-მრავალთა დღეთა შემდგომად, მიიღო აღსასრული სიტყუამან თამარისმან და განოჩნდებოდეს რუსსა სკუითურნი ვითარ ნაღებნი<sup>2</sup> ბუნებითნი. და სიმთრვალეთა შინა საძაგელთა უწესობად იწყო მრავალთა, რომელთათუის ნამეტნავ არს წერად და [თქუმაღ<sup>3</sup>], რათა არა სიგრძელ მიიწიოს სიტყუა.

ორისა და ნახევრისა წელთა, ვითარ გურდემლი, მოითმენდა მკნე თამარ 5  
უკეთურებათა რუსისათა: გარნა სხუა ვერლარავინ მოითმენდა. და იწყეს კრტინ-  
ვად, არამედ ცილობათა მათთვის პირველთა რცხუნოდა ყოველთა თამარისაგან<sup>4</sup>.

A 34, a a ხოლო ბრძენმან თამარ იძია მრავალი ღონე განკურნებისა მისისა და 10  
||უბრძანა სარწმუნოთა მონაზონთა პირითა მრავალ გზის, დაღათუ ყოველად არა 10  
სარგებელ ეყო რუსსა. ამისთვისა თუით პირის-პირ იწყო მხილებად მისდა, არამედ უფროს განძუნდებოდა რუსი, ვითარცა ღთისაგან საფარველ-მოძურ-  
იერ. 51, a ცილი. ვითარ იტყუის წერილი, «გუკურნებდით ბაბილონს და არა იკურნებო-  
და»; არა თუ ოდენ არა შეიგონა, არამედ უძუირესთა მიმართ იწყო და შერა-  
ციხილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა აღმოგდებითა ტანჯნა. 15

I კორ. 7, 10  
ებრ. 13, 1 შეუძნდა ესე ყოველი თამარსცა და წინაშე ყოველთასა ესრეთ თქუა:  
დაღათუ საღმრთოსა სჯულისა მიერ სწავლულ ვარ მე «არა განშორებად პირ-  
ველსა საწოლსა»; არამედ, რომელმან არა დაიცავს საწოლი თუისი წმიდად, არა ჯერ არს მის თანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ ბრს ტაძრისა ღთისა. და  
A 34, a b მე არა მიძღავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ || გან- 20  
ვიყრი მტურსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ». ესე თქუა და აღდგა და და-  
უტევა იგი. ხოლო რუსუდან დედოფალმან და ყოველთა მთავართა საწყალო-  
ბელად განაძეს იგი და არა ეგეოდენ უბადრუკი მეფობისაგან დამჯობითა; რა-  
ოდენ შეუნიერებისაგან თამარისსა დაკლებითა.

კულად იწყეს ურვად ყოველთა, რამეთუ თამარს ხედვიდეს უშვილოდ და 25  
მარტოსა მკუიდრად სახლისა თუისისა.

იყო უკუე შვილი ოვსთა მეფისა, გაზრდილი რუსუდნ დედოფლისა, ყრმა ფრიად შეუნიერი ასაკითა, ვითარცა შუენის მეფეთა შვილსა, სხუითა კულა ზრდილობითა კეთილად წურთილი, მკნე და მკედარი ძლიერი, რაინდობითა უსწორო, მშუილდოსნობითა შემმართებელი, ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ 30  
სრული სიკეთითა. ამისი ინებეს ყოველთა შეერთება თამარისი და საქმე ღთ-  
სა მიანდეს. თამარცა მიემორჩილა ნებასა მათსა მეცნიერებისათუის ყრმისა.

A 34, a 2 ნაღებთა A.—10 ყოლად A.—11 პირის ჯერ პირის A.—22 რამ რუსუდან (უკანასკნელი სიტყვა შერმე წაშლილია მელნით).

<sup>1</sup> ამ აბზაცის წინ ივ. ჯავახიშვილს უწერია: ქცა 417—418 (დგულისხმება ხ. კიკინაძის გამოცემა).

<sup>2</sup> ამ სიტყვის გასწვრივ ამაზე კითხვით ნიშნით ივ. ჯავახიშვილს უწერია: «ქც-ვანი, ხენი».

<sup>3</sup> ეს სიტყვა ჩამატებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ, სწერია სტრაჟონის ხემათ კითხვის ნიშნით და ჩასმულია კუთხოვან ფრჩხილებში.

<sup>4</sup> ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილს უწერია: «გაგრძელება იხ. ქცა 418—419, 423» (იგულისხმება ხ. კიკინაძის გამ.).



არღარა ყოვნეს, არამედ შეიყარნეს დიდუბეს და შერთეს დაეით თამარს. შემოვიდეს ტფილისად, დასხდეს ტახტსა ბედნიერსა ორნი მნათობნი, ორნი მზენი, ორნი განმანათლებელნი. განიხარა დიდითგან მცირედმდე ყოველმან ერმან და ნიშანნი ცხორებისანი მაშინვე იხილებოდეს მათ ზედა: იყუნეს ლაშქრობანი გამარჯუებულნი ზემოთ და ქუემოთ, და არა სადათ ვინ ჩნდა წინააღმდეგომი. 5

მოკულა ქართლისა კათალიკოზი, ჭყონდიდელ[ი], მწიგნობართ-უხუცესი, ქართველი, მირიანის ძე მიქაელ, რომელსა აქუნდა სამთავისიცა, და არაეინ შეწუხნა მისთვის, არცა დიდი, არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს.

მოკულა ამირ[სპასალარი გამრეკელი და ესე ყოველთა იგლოვეს.

A 34, a ბ ამას ეამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმერელ-სუანი მსგავსად ჩუეულობი- 10  
სა შრჯულობისა და რუსი მოიყვანეს, რეცა || კულად განსამეფებლად. გუბნებოდეს მესხთაცა მირთვასა, რომელი ვერა უძლეს, არამედ უფროსდა შეიმეტრნეს. გააქცივნეს და წავიდეს სირცხულიელნი, რამეთუ ღთი თამარისთვის მოურნეობდა.

ხოლო თამარი ევედრებოდა ღთსა და იგონებდა თუ ვის მიანდოს და- 15  
ვით, და სპა თუისი, და განსაგებელი სახლისა თუისისა, რომლისათვისცა არა არცხუინა ღთმან, არამედ აღაესო სიბრძნითა და მეცნიერებითა. და მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თუისისა მთავართა, და განიცადა თუალითა გონებისათა, მიანდო ღთსა საქმე, მოიყვანა ანტონი გლონის თავის-ძე გარეჯით, რომელ პირველ ჭყონდიდელ იყო და მიქაელ [ქართლისა?] კათალიკოზმან მას მი- 20  
სტაცა, მოძმაცვითა ვიეთ[თა]მე მეფისა განმზრახთათა, ესე მოიყვანეს. ნამდულივე კაცი ღირსი ქებისა, ჭეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, || ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ. ეკლესიათა და მონასტერთათუის რადლა საჯმარ არს თქუმად: თუით წამებენ ქმნილნი მისნი ყოველთაგან, ვითარცა მლუიშესა და კლარჯეთს თუით მის 25  
მიერ ქმნილსა მონასტერსა და ყოველთა ადგილთა. ესე დასუეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისის-ვევი და მწიგნობართ-უხუცესობა, რამეთუ მართალსა უკეთუ უბრკუმეს, არავე დაეცეს.

A 34, a იწყეს განზრახვათა კეთილთა სამეფოსათუის და ერისა უმჯობესთა: მოი-  
ყვანეს სარგის ამირ[სპასალარისა მჯარგრძელისა ორნი ძენი, ზაქარია და ივა- 30  
ნე, კაცი ბრძენნი, მკნენი, ბრძოლათა შინა დიდად გამოცდილნი და გუარეულადცა ერთგულნი მეფეთანი, ამისთვის დიდად შეყუარებულნი თუით თამარის პაქათა და მამათაგანცა. ამათ მიხედნა თამარ და ესეცა ღთსა მიანდო და შე-  
იწყალნა. და ზაქარიას უბოძა ამირ[სპასალარობა და უმცროსსა დლითა, ივა- 35  
ნეს, მსახურთა-უხუცესობა. ესე კაცი ღირსნი იყუნეს კაცობისანი: დაღაცათუ სჯულითა სომეხნი იყუნეს, გარნა ყოვლითურთ მართლ[ლ]-მადიდებლობისა მოსაენი. ესე ივანე წერილთა ზედამიწვევითა სწავლული იყო, რომლისათვისცა გულისგმა ჰყო სიმრუდგ სჯულისა სომეხთასა, ნათელ ილო და იქმნა ჭეშმარიტ ქრისტიანე.

18. თუისსა A.—20. კათალიკოზმან A.—21. მოძმაცვით ქვ. ა. ნანდილეგ A.—22. უმანკონი A.

1. ეს სიტყვა ჩამატებულია ივ. ჯ ა ვ ა ბ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ.

2. ეს სიტყვა ხელნაწერში სწერია სხვა ხელითა და სხვა მცნობით.

და შემდგომად ამისა მოიყვანეს ქიაბერი, კაცი ესეცა მართალი და ერთ-  
გული, და მისცეს მანდატურთ-უხუცესობა. და დლითი-დღე წარმატებოდეს  
საქმენი თამარისნი უმჯობესად და უკეთესად ბრძნად და მართლად განგებისა-  
თუის.

ამიერიდგან გონება უკმს ვრცელი და ენა ბრძნად მეტყუელი<sup>1</sup>, რომელ- 5  
მან შეუძლოს აღწერასა მიცემად წარმართებანი თამარის საქმეთანი, რამეთუ  
ვითარ თმანი თავისანი თუითუღად ვერაფერ აღრიცხუნეს, ვგრეთვე ვერცავინ  
ესენი აღწერნეს, და რომელთაცა ოდენ შეუძლოს, საეკუელ მიჩნს მომავალთა-  
გან შემდგომად არა დარწმუნებად. გარნა ლომი ბჟალთაგან საცნაურ არს და  
თამარ საქმეთაგან: ვის უნდეს ცნობად, იხილნეს ქალაქნი, ციხენი და თემნი 10  
სულტანთა სასხდომნი, მისგან ახმულნი, მზღუარნი, რომელნი მას დახუდეს მას  
გარეთ მისსა სამეფოსა, ორად განფართოქებულნი, და ამისგან ცნას მეძიებელ-  
მან საქმეთამან. მერმე ცნას გრაცამდის ქუემოთ მისგან დადებული ხარაჯა და  
ბაღდადის კერძ მარლამდის. და თუით იგი ხალიფა შეშინებული და მოაჯე კმა  
არს ქუე-ჯდომით მოქმედისაგან. 15

ითქუმოდენ წერილისა: «მოაქლდენ ძალი ბაბილოვისა და აღაშენა მთა  
ემორისა, განქარდა კუაღლი სუბაკთა და განძლიერდეს ბქენი სილიმისანი».

ესევითართა წყალობათა შინა ღთისთა იშუებდა ერი ქრისტიანეთა, გარ-  
ნა წუხდეს და იურვოდეს უნაყოფოებისათუის თამარისსა. არამედ ღთმან, რო- 20  
მელმან მოხედნა პირველ მანოეს ო და აბრაჰამს, და მდებართაცა ანასა, და  
ელისაბედეს: არა ყოვნა არცა აქა, რამეთუ შემდგომად მცირედისა ეამისა და-  
ორსულდა თამარ და ცნეს ყოველთა, იწყეს ლიტანიოებითა ღთის ვედრება-  
თა, მარხვითა, ლოცვითა და ცრემლითა, რათა მისცეს ღთმან შვილი წული, 25  
რომელი ესე იქმნაცა და შვა შვილი ყოვლითურთ მსგავსი პაპისა. და დაარქუეს  
სახელი გიორგი, და განიხარეს ყოველთა სიხარულითა მიუთხრობელითა.

და შემდგომად წელიწდისა კუალად დაორსულდა და შვა ასული, თუისი  
შემსგავსებული, რუსუდან, რომლისათუის კუალად უფროსი სიხარული შეიქმნა  
ყოველთა ზედა.

და უმეტეს გარდაემატა ბედნიერობით ქუეყანა ყოვლითა კეთილითა და  
განმარჯულებითა ლაშქართათა. იწყეს ყოველგნით რბევად სპარსეთისა და იქმ- 30  
ნებოდეს განმარჯუებანი საკუირველნი: ციხეთა მქონებელნი ბრძანებითა ოდენ  
დასკლიდეს; ტყუისა და ალაფისაგან აღიესო ყოველი კაცი. ხოლო დაშთომილ-  
ნი მათნი, ვითარცა მელნი იმაღვოდეს, და ვითარცა მთხუნველნი ძურებოდეს  
მიწათა შინა.

შეიწრდეს ყოვლით კერძონი სპარსნი და უღონოებამან მოიციუნა და მხო- 35  
ლოდ ერთიდა სასოება ცხოვრებისა მოიპოეს; ესე იგი არს სიკუდილითა ქსნა  
თავისა. ამისთუისცა შეკრბეს ყოვლით კერძო შეთქმულებითა, შეიღებნეს სამო-  
სელნი და პირნი, და მივიდეს წინაშე ხალიფასსა, აუწყეს თუისი ქირი და აწუ-  
ვედეს, რათა უბრძანოს ყოველსა სპარსეთსა შეწყენად მათდა. რომელი ესე ყო-  
[ცა] ხალიფა: განახუნა ძუელნი საგანძურნი და იღუმალ წარავლინა კაცი ყო- 40

<sup>1</sup> სიტყვები „გონება—მეტყუელი“ ხელნაწერში არ არის (ამის ნაცვლად იქ მხოლოდ ორი სიტყვაა „განგება ღირს“) და აქ შემოტანილია იგ. ჯაფახი შვილის მიერ „ქართლის ცხოვრებიდან“ (იხ. ხ. კიკინაძის ვამ. 422).

A 34, 8 b ველსა შინა სპარსეთსა, მისცა ოქრო აურაცხელი, რათა შეკრიბონ ყოვლით კერძო ლაშქარი ურიცხუი. და მისცა ბრძანება, რაათა, რომლისაცა სამთავროსაგან სპარსთასა არა წამოვიდნენ, თუით მათ ზედა მისლვითა იავარ ყუნენ. ესე ესრეთ-ცა იქმნა: იწყეს ამოღმართ რომ-გუიროს და ინდოეთისა და ქუემოთ სამარყანამდი და დარუბანდამდი. შეკრზა ესეოდენი, ვიდრემდის არცა რიცხუი იცოდეს და ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს. შეკრბეს აღარბადაგანს და მაშინლა გამეღავენეს წაქიდება თუისი.

M 462, 1 ესმა. ესე ყოველი თამარს და მოუწოდა ყოველთა ვაზირთა თუისთა და შეიქმნა გამორჩევა. უბრძანა ჭყონდიდელსა ანტონის არა ავითა გულითა, არცა დედაკაცურითა სიტყუითა, არამედ ესრეთ: «ისწრაფეთ დაწერად და შიმო-დადევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მვედრობა და კუალად მიუმცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი ღამის-თევანი და ღრტანიობანი აღესრულებოდინ ყოველსა ადგილსა, და წარგზავნეთ ფრიადი საფასე და საქმარი გლახაკთათუის, რათა მოიცალონ ლოცვად და მოწყალე ყონ ღთო, ნუ სადა თქუან წარმართთა ესადა არს ღთი იგი მათი».

A 35, 1 a ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იყო. და ათსა შინა დღესა, ვითარცა გზოი შევარდენთა, მოფრინდა ყოველი მვედარი, ყოვლით კერძო, საესენი სიხარულითა, რომელნი ძალით იპყრობოდეს თავთა შინა [თუისთა]¹. შეკრბეს სომხითს შინა. და მივიდა თამარ, იხილნა. დაყუნეს მცირედნი დღენი მათცა ლოცვისათუის. მერმე რქუა მათ: «მანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუნენი სიმრავლისა მათისათუის და სიმცირისა თქუნენისა, რამეთუ ღთი ჩუენ თანა არს. გასმია გედენონსათუის სამასნი და სიმრავლე ურიცხუი მადიამელთა მათ მიერ მოწყუედილი, კუალად ასურასტანელთა ბანაკი ლოცვითა ეზეციელისითა წამსა შინა ანგელოზისა მიერ დაცემულნი? მხოლოდ ღთსა ოდენ მიენდვენით და გულნი თქუნენი სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქუეყანად მათდა შეწყენითა ყოვლად წმიდისა ღთის-მშობლისათა და ძალითა უძლეველითა ჯუარისათა წარმართენითა».

M 462, 5 ესა. და მივიდა თამარ, იხილნა. დაყუნეს მცირედნი დღენი მათცა ლოცვისათუის. მერმე რქუა მათ: «მანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუნენი სიმრავლისა მათისათუის და სიმცირისა თქუნენისა, რამეთუ ღთი ჩუენ თანა არს. გასმია გედენონსათუის სამასნი და სიმრავლე ურიცხუი მადიამელთა მათ მიერ მოწყუედილი, კუალად ასურასტანელთა ბანაკი ლოცვითა ეზეციელისითა წამსა შინა ანგელოზისა მიერ დაცემულნი? მხოლოდ ღთსა ოდენ მიენდვენით და გულნი თქუნენი სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქუეყანად მათდა შეწყენითა ყოვლად წმიდისა ღთის-მშობლისათა და ძალითა უძლეველითა ჯუარისათა წარმართენითა».

A 35, 1 b ულოცა მათ და შეაჭედრნა ღთსა, წარუძღუანა ძელი ცხორებისა და თანა წარატანა ანტონი ჭყონდიდელი.

A 35, 1 b ხოლო თუით წარიჯანდა სამოსელნი ფერჯთანი და ფერჯივ შიშულითა ფერჯითა მიიწია ტაძარსა ღთის-მშობლისასა მეტეხთა და წინაშე ხატსა მას წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულ ყო ღთმან სათხოელი მისი. რამეთუ შემდგომად მცირედთა დღეთა მოიწია სარგის მვარგრძელი დმოგუელი და მოართუა სახარება ლაშქართა გამარჯუე-

A 35, 2 a ბისა და ყოვლითურთ უნაკლულოება მვედრებისა. არამედ აწ ჯერ არს მოცსენებად, თუ ვითარი შეწყენა მოიღეს თამარის ცრემლთაგან სპათა ჩუენთა. შევიდეს უკუე ქუეყანად მათდა, და იხილნეს განძას

5. და > A, ეჭვიდენ A.—6 არდაბადაგანს A.—26 ნათდაქ მათად A.

¹ ეს სიტყვა კითხვითი ნიშნით სტრიქონზემოთ სწერია და, როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილის მიერა ჩამატებული (არც ხელნაწერშია და არც ქცა-ში).

და შამქორს საშუალ მდგომნი, რომელნი სიმრავლითა უმეტეს იყუნეს რიცხუსა, ვითარცა მკალნი.

468, 1 მის გარდავიდეს<sup>1</sup> ცხენთაგან ყოველნი, თაყუანის სცეს ღმრთისა და წმიდასა ჯუარსა ევეტრნეს ცრემლითა და, ვითარ არწივითა, მიმართეს და, ვითარ ევეზნი ეკუთუნეს. და პირველსავე წყობასა ათკეცი რაზმი მათი დანსნეს და შესდევს მახილი მათი და ძალი ღმრთისა და, ვითარცა თავუთა, მოსრვიდეს და, ვითარცა ქათამთა იპყრობდეს დიდთა მათ ამირათა მათთა ბაღდადეგთა და მუსულელთა, ავრიელთა და ერაცელთა და ადარბადაგანელთა და ერანელთა და სხუათა მრავალთა ადგილთასა, რომელნი ნიჯქადად || ჰყვეს, ვითარ ვთქუა ინდოეთიდან მზარულნი. წუერთა ზიდვით მოიყვანებდეს წინაშე დავით მეფისა. და იხილვებოდა დიდი, საკუთრველი და გარდამატებული შეწევნა ღმრთისა, რამეთუ თუით მოიღებდეს საქონელთა მათთა და. თუით მოასხმიდეს აქლემთა და ჯორთა-კიდებულთა, და თუით იყუნეს მსახურ იავარისა მათისა და ნატყუენავისა. 5

35, 2 b ხოლო ათაბაგმან ბუბაქარ აქო თუისი ონე და ღონიერება, რამეთუ მიწვენულმან ვნარცუსა სადმე მცირესა მიწასა შინა დაფლა თავი თუისი. 15

ესრეთ მოწყალეებათაგან ღმრთისათა აღვსებულნი მიიწივნეს განძად, და გზმოგებენეს მოქალაქენი, თავთა თუისთა მშუილობა ითხოეს და ქალაქი ნებსით შესწირეს. შეიყვანეს დავით დარბაზსა შინა, ტახტსა სასულტანოსა ზედა დასუეს, ფანჯანობათსა სასულტანოსა უკრეს და ღორის კორციითა დიდად ძალი მურობა გარდაიწადეს. || ყოველთა მის წინაშე განძელთა დიდი ძლუენი და ხარაჯა შესწირეს, გასნეს. საჭურჭლენი მათნი და მრავალი ტურფა ფიალ-ჯამი და ფეშხუნები სხუისა თანა განძისა მრავლისა წარმოიღეს. და გარეგან ქალაქისა დიბანაკეს მცირედთა დღეთა, რამეთუ ეძიებდეს ათაბაგსა და ვერა პოეს. ეგრეთვე შამქორელთა ითხოეს მშუილობა და მონება. 20

35, 3 a აქა ვერა კეთილად განაგეს ზაქარია და ივანე და ესე ოდენ იქმნა დაკლებათა ამას განმარჯუებასა შინა. იყო ვინმე კაცი სპარსი, შარვანშათსიძე, სახელით მირმირან. ესე შემოსუენით იყო წინაშე თამარისსა სათხოელისა რომლისათუისმე და მამინ დავითს წინაშე სამსახურად; ამან მირმირან გამოითხოა განძა ცნობადმდე თამარისსა და მისცეს შესანახავად. 25

35, 3 b რაქამს ბუბაქარ ცნა ჩუენთა ლაშქართა შინა მოსულთა, გამოჩნდა და განძელთა ქალაქი მასვე მისცეს, თუცა მირმირან || შიშითა ცოცხალი გამოუშუეს, ვითარცა ვთქუ<sup>2</sup>. 30

471, 1 მცირენი რა დღენი გარდავდეს; წარმოემართნეს ლაშქარნი დიდად მონარულნი ულიმპიანსა ამას ზედა ძლევისა, ფრიად უაღრესსა საქებელისა მისგან ძლევისა, რომელი იყო ალექსანდროს დარიოსს ზედა. 35

ვითარცა მიეახლნეს, მოეგებოდა მათ თამარცა, რამეთუ მისრულ იყო სარ-

7 ქცა: მესულელიელთა.—9 ქცა: ვთქუ.—10 წუერთა ზიდვით A.—20 მისქ მას A.—26 ყო; შარვანშათ.—34 ულიმპიანს A, ქცა: ულუმპიანსა.—35 ალექსანდროს+და A.

<sup>1</sup> ამ სიტყვის ზემოთ კითხვის ნიშნით (აღმათ საგარაუდოდ) ივ. ჯავახიშვილს ფანქრით უწერია: „გარდავდეს“.

<sup>2</sup> ამ სიტყვის შემდეგ ივ. ჯავახიშვილს უწერია: „გაგრძელება იხ. ქცა 449“ (=ხ. კიკინაძის გამ.).



გის თმოგუელი მახარობელად<sup>1</sup>. იხარებდა და მადლობდა ღმრთსა, მოიკითხვიდა თუითუელსა, ვითარცა შვილთა. და იშუებდეს იგინი ხილვითა მისითა.

ალიგსნეს ყოველნი ველნი გარემო ტფილისისა და ვერლარა იტევდა კაცსა, ცხენსა, ჯორსა და აქლემსა. და ესეოდენ მოსაწყინელიცა იყო სიმრავლე იგი ტყუთა, ვიდრემდის შეიყვანიან ქალაქად და ერთად კუტლად ფუყისად გაყიდინან; და ამისი მოწამე თუით იგი ღმრთი უტყუელი არს, და რათა არა ტყუელი ვისმე და ზღაპარი გიჩნდეს თქმულნი ესე მომავალთა || ჟამთა.

A 35, a

ნამდულივე ერმიონთასა უსახელოვანოესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე, აიღეს ფანჯიკი სამეფოდ და განაწყვეს ველსა დიდუბისასა ავკალამდი აქლემი ყუალა ტუირითთა, ცხენი ყუალა შეკაზმული. ეგრეთვე ყოველნი იგი ამირანი თუის-თუისითა დროშითა: პირველად ხალიფას დროშა, მერმე ათაბაგისა, შემდგომი—შემდგომად. განაწყვეს კართგან ქალაქისათა ჯეამდე გლდანისა ტყუე ყოველი. განიყვანეს თამარ, და შესწირეს, და ათაყუანნეს ყოველნი იგი თავნი სპარსეთისანი. მერმე თუითცა თაყუანის სცეს და მიულოცეს ბედნიერი მეფობა ღმრთისა მიერი.

M 471, 10

A 35, b

ამისსა შემდგომად შევიდეს ქალაქად და თუითუელმან იწყო ძღუენთა მოღებად: ოქროსა, და სამკაულისა, და ქურჭელთა მისთა, თუალთა პატროსანთა, და მარგალიტთა უსასყიდლოთა, ჯაქუთა, მუზარადთა, ჯრმალთა ამათ გამოცდილთა, ნაქსოვთა ფერად-ფერადთა ოქრო-ქსოვილთა || და შესამოსელთა მრავალ-სასყიდლოანთა, ცხენთა და ჯორთა, მანიაკთა ოქროსათა თუალიან-მარგალიტიანთა, სულნელთა მრავალ-ფერთა და ალვისა ხეთა სპილენძებითა ტუირთულად. იწყეთ ანაკოფის ციხით ვიდრე ციხემდე გულისტანისა. სეფენი აზნაურთანნი ალიგსნეს ტყუითა რჩეულითა და ყოველნი საგანძურნი ოქროთა, ვითარცა მიწათა, და ინდოურითა ქვითა, და პატროსანთა მარგალიტთა შიერურიცხუთა.

25

გარნა ამას ყოველსა ზედა აღზუენა გული თამარისი, განლანა ერთგზისცა წარბთა აღებითა, არა, ნუ იყოფინ! არამედ უფროსად დამდაბლდებოდა წინაშე ღმრთისა მმადლობელი და მოქენე მისგან წყალობისა. აღავებდა ჯელსა მოქენეთასა და წიაღებსა გლახაკთასა, განამდიდრებდა სამზრუნველოთა ეკლესიათა, ქურივთა და ობოლთა, და დავრდომილთა, ზოგად ყოველთა ზედა ღმრთისა ჯელობად || მიუპყრობდა მასვე ძღუნად, რომელმან არწმუნა განგებად, და მასვე მიუზღვიდა, რომელი მისცემდა მდიდართაგან და მოუკლებელთა წიაღთა. ძეულთა აღმსავსოებდა თუისთა საქმეთა ზედა, ახალთა წარვლებოდა, ვითარცა უახლესთა მოქმედი. ვინა ზემოვე ვთქუა, არამედ ჩუენ ვიტყოდეთ წერილისასა: «იყო სიმტკიცე ქუეყანასა ჩუენსა და მშუილობა თავსა მთათასა».

A 35, a

35

არა ოდენ ქუეყანა იავარსა განადიდებდა თამარ, არამედ სარწმუნოება განმტკიცებოდა, წმიდანნი ეკლესიანი შეიმკობოდეს მრავალ-ფერთა მიერ სამკაულთა, ლოცვანი და ლამის-თევანი განმრავლდებოდეს უფროსლა თუით პალატ-

<sup>1</sup> მახარობელად] მახლობელად A.—8 ამდულივე A, ქცა: ნანდვილვე.—9 ქცა: ფანჯიკი; ავკალამდ A.—12 გლდანისა A.—20 მანიაკთა A.—27 წარბსა A.—29 გლახათასა A.—32 რომელნი A.

<sup>2</sup> ეს სიტყვა შემოტანილია ტექსტში ივ. ჯ ა ვ ა ბ ი შ ვ ი ღ ი ს მიერ „ქართლის ცხოვრებიდან“ (იხ. ჰიჭინაძის ვამ. 448).



სა შინა წმიდათა საიდუმლოთა სრულ-ყოფანი მიმდემნი. და რასა მრავალსა ვი-  
ტყოდი, წყალობა ღთისა განმრავლდებოდა და ყოველი სიბოროტე ეშმაკისა  
მოუძღურდებოდა.

A 35, b ყოველნი || თუის-თუის იღუწიდეს, რათამცა თამარ მოიმაღლეს და ვინა-  
ცა გამოაჩინნეს საქმეთა შინა საქებელთა. მონაპირენი, რომელნი იყუნეს, ღამე- 5  
თა დღეთავე ზედა დართვიდეს შეუსუენებელად და, რომელნი შიგნით იყუნეს,  
იგინი სანაპიროთა იაჯდეს. და ესევეთარმან გულს-მოდგინებამან და მოსწრა-  
ფებამან ყოველთამან ესევეთართა მიაღწია სამეფო, რამეთუ პირველ ქუემოთი  
სანაპიროი გაგი იყო, რომელნი ჰქონდა ზაქარიას მხარგრძელსავე, ვარამის მა-  
მასა, და ესენი მუნ მონაპირობდეს, კაცნი მცენენი, ბრძოლასა შინა მრავალ-გზის 10  
გამოცდილნი და განმარჯუებულნი, და შიშითა ღთისათა და პატრონისა ერთ-  
გულობითა დიდად საქებელნი.

A 35, ea ამოღმართ ძორაკერტი იყო და ტაშირი, სადათ ზაქარია და ივანე დი-  
წყეს პირველად ბრძოლა ლომურად ზემოთ, და ქუემოთ, და ყოველსა ადგილსა.  
და ზემოთ ჯაფახეთი, სადა სარგის მჭარგძელივე თმოგუელი და შალვა 15  
თორელი მონაპირობდეს.

ზედათ არტანი, სადა მესხნი მონაპირობდეს, რომელთა შორის იყო ყუარ-  
ყუარა, სამცხისა სპასალარი, ჯაყელი, კაცი დიდად გამარჯუებული და ერთ-  
გული მეფეთა.

შევეთით სპერით კერძო ფანასკერტი იყო. ამის შევეთისა ღადოთა ში- 20  
ნა გამოჩნდა ვინმე კაცი ასპანის-ძე, გუარითა არა უაზნო და ქცევითა და არ-  
ცა ღმერთო უბედო. ამას ზაქარია ერქუა სახელი. არცა სახელსა არცხუნინა,  
არცა პატრონისა წყალობა აუქმა თუისსა ზედა, გარნა საქებელთა ზედა შერ-  
თო თავი. მარტოდ იქმოდა მრავალთა და დიდთა საქმეთა: აილო ბანა, ხახული  
და სხუანი მრავალნი სახელოვანნი ციხენი და ადგილნი. 25

A 35, e h ქუემოთ, ნაპირის კერძ, გრიგოლის-ძენი, და უფროსლა ტბელი, და მაცატ-  
ლის-ძენი მონაპირობდეს, რომელთა შიშითა განძას და ბარქდავს ყრმა მცირე  
ვერ აუტირდებოდა დედასა, და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკურის  
პირსა საძოვარსა აწყენდეს.

ესე ყოველი რა გესმოდის, ნუ ჭინ ესრეთ ჰგონებთ, თუმცა თუინიერ თა- 30  
მარისსა რამე ჭმნილ იყო ვისგანცა, არამედ ესრეთ განიგონე: მონაპირეთა მო-  
ნახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი  
განსატეხელი, ანუ ქუეყანა მოსარბეველი, მოაქსენიან თამარს და მან გასინჯის  
საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყრასა ლაშქართასა, უბრძა-  
ნის ზაქარიას და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი, თუით დავით მეფე წავიდის 35  
და არა სადათ შემოქცეული ცუდად. უკეთუ უმცირესი რამე იყვის, მცის შესხ-  
ნის დარბაზისერნი თუისნი და, ვითარ შევარდენთა, მოისაქმიან. თუ თუით  
იყვის ანუ მინდორით ნადირობასა შინა, ანუ შინა მყოფსა და ესმის რამე და  
A 35, f შესხნის მუნ ღირსნი მისნი. ვითარ არწივთა კაკაბნი, ეგრეთ დანაბნიან ყოველ-  
ნი წინააღმდეგომნი. 40

არცა თუით უქმობდა და არცა თუისთა ყმათა აუქმებდა, ვითარ იგი იტყუის ვინმე ქამთა-აღმწერელი ალექსანდრესთუის: და ამან სარწმუნო ყოს სიტყუა ესე, რამეთუ დიდად სახელ-განთქმულისა ქალაქისა ტფილისისა შემოსავალი წელიწდისა მასვე და ერთსა წელიწადსა არა ეყვის გასაცემრად მახარობელთა ზედა. მრავალ-ვზის ერთსა და მასვე დღესა-სამნი და ოთხნი მოვიდიან მახარობელად. და, თუ ვითარ, ისმინე: ქმნიან რამე ერთი საქმე და წარმოავლინიან ამბავი გამარჯუებისა და მას დღე მას არა დასჯერდიან და კუალად სხუა რამე წარუმართის ღმერთმან და სხუაცა მახარობელი წარმოვზავნიან. და სხუანი ესევეითარნი აურაცხელნი არიან, რამეთუ ზემონი სხუათა იქმოდინ, ხოლო ქუემონი სხუათა და ერთსა შინა დღესა მოიწიის მრავალი ამბავი და მახარობელი, რომელთა ნამეტნავ არს და შეუძლებელ არს აღწერა, ესე ღმერთმან უწყის თუით.

ამას ყოველსა დაუშრომელად რა მოქმედებდა, არა თუისისა ქონებისა ვრქენე იყო და არცა სამეფოდ იმჭირვიდა ესეოდენტა ქალაქთა და ციხეთა, არამედ თუით მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა, თუისთა ლაშქართა, ვითარ წამებს დიდი და სახელ-განთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანისთ, რომელი წარულო სპარსთა შანშობისა თანა მრავალქამ მათგან ქონებულნი, ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი დვინი. და ამით ორთა პირთათუის იქმოდა: პირველად, რათა მარადის გული უთქუმიდეს და შური აიღონ ერთმანეთისა წარვართთა შეძინებისათუის თუისისა; და მეორედ, რათა მოუყუეთოს ყოველი მიზნი, რომელი დაქსნის ერთგულობასა.

და კუალად ამისთუის არა უდებებდა, ორთა არა მოკლილთა განსუენება[დ] სიჩუქედ განსცენ თავი და სხუათა. განზრახვათა დამოეკიდნენ, ვითარცა სიმღიდრით ალაღებულთა, ანუ ერთი-ერთისა მტერობად მოიკლიდეს და ბრძოლად, ვითარ ყუესცა ვიეთმე დაწყებდასავე ამისსა მეფობისასა მისვე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა, შვილთა კახაბერთა, რამეთუ იწყეს ძმკუად და ბრძოლად მახლობელთა თუისთა, რომელთა არცა მხილებულთა შეიგონეს, არცა წყალობათაგან თამარისთა შეიკდიმეს, არამედ ძუელად მათთუის დაწერილი კუალად განახლდეს და კუდსა ძალისასა, გინა კუთხსა ფლასისასა ემსგავსებოდეს, და ქმნესცა დიდი ბოროტი: და ორნი ძმანი ანტონი ჭყონდიდელისანი დაჯოცნეს და ამით შეაწუხეს მართალი იგი და განარისხეს თავთა თუისთა ზედა ღმერთი. და თამარ, რამეთუ ქალასა მდგომმან, მოუწოდა ხუთთავე და სიბრძნითა თუისითა შეიპყრნა და თუითო თუითოსა ციხესა შესუა, რათამცა განიწუართნეს. არამედ იგინი იგოვე იყუნეს, ამისთუის ექსორია ყუნა მაკედონიას საბერძნეთისასა და მუნ მოსწუდეს ყივჩაყთა მიერ კარგნი ქაბუკნი ბრძოლასა შინა, ვითარცა გუესმა.

ამისთუის არავის მისცემდა მოცალოებასა: ანუ იყუნიან წინაშე მისსა, ახარებდის და საბოძვართა ღირსებისაებრ სწყალობდის და განუსუენებდის, ანუ თუით წარუძღუის, იორის პირი და მტკურის პირი მოინადირის. მერმე დისოს შემოდგის და მუნ იხარებდიან ვიდრემდის თოვლმან არა დაამძიმის კარავი. მუნით სომხითს შემოვიდიან, ნადირობდიან ამოთა თამაშითა. და ამას შინა თუ

9 აურაცხელ A.—16 სახლი] სახელი. A.—17 შანშობისა. A.—22 განსუენება. A.—28 საბოძვართა. A.

რამე სადით ესმის, ანუ ნახიან, ყოველად არა მომედგრდებოდეს განსტენებისა ძილითა, არცა რას დააცადებდეს, რომელიცა რა წინააღმდეგომი ცნინან სამეფოსა და თამარისი:

მთავარ სეკუნდოს მიერ დაგზავნილი მტარვალები დაძრწიან მთელ არემარეში და ეძებენ ქრისტიანობის მქადაგებელთ. მათ გაიგეს ლალაქტიონის მოღვაწეობაზე სინას მთაზე, შეიპყრეს იგი და მიჰგვარეს მთავარს. გაიგო თუ არა ეს ეპისტიმიამ, იგიც გაჰყვა თავის მეუღლეს, რადგან არ უნდოდა გაეტეხა ფიცი, რომლითაც შეჰფიცეს მათ ერთმანეთს «ნებისა ერთობა».

მტარვალებმა ორივეს თავები მოკვეთეს. ეკტოლმიოსმა დამარხა მათი გვამები.

ძნელი არ არის იმის შემზნევა, რომ Acta Sanctorum-ში 5 ნოემბრის ქვეშ მოთავსებული «ცხოვრება და მოქალაქეობა და წამება... ლალაქტიონ და ეპისტიმისი» წარმოადგენს აქილევს ტატიოსის ცნობილი რომანის «ლევკიპეს და კლიტოფონტის» გაგრძელებას.

აქილევს ტატიოსი (Αχιλλεύς Τάτιος), ახ. წ. III საუკუნის მწერალი, ავტორი 8 ნაწილისაგან შემდგარი სათავგადასავლო რომანისა Τῆς ἀρχαίας Ἀλεξάνδρειας καὶ Κλειτοφάνης, გადმოგვცემს შეყვარებულთა თავგადასავალს. ლევკიპეს და კლიტოფონტს ერთმანეთი უყვართ, მაგრამ მათ მრავალი დაბრკოლება ელობებათ წინ: ჯერ არის და ისინი იძულებული არიან სახლიდან გაიქცნენ, რადგან კლიტოფონტის შამა არ დათანხმდება მათ ქორწინებაზე. შემდეგ, ხომალდით მოგზაურობის დროს ისინი რამდენჯერმე გახდებიან მეკობრეთა თავდასხმის მსხვერპლები: ზოგჯერ ისეთ უკიდურეს მდგომარეობაში ვარდებიან, რომ თითქოს იღუპებიან კიდევ (ხან ერთი და ხან მეორე, ისიც თითქოს ერთი-მეორის თვალწინ). მიუხედავად ამისა ისინი ინარჩუნებენ სულიერ სიფაქიზეს და ზორციელ სიწმინდესაც. საბოლოოდ გამოირკვა, რომ ისინი არ დაღუპულან, მათი მამებიც მათ საძებრად წამოსულან; ისინი ქალაქ ეფესოში ნახავენ მათ. ასე, უსახლგრო სიყვარულით ერთმანეთისადმი გამსჭვალული ქალ-ვაჟის თავგადასავალი დამთავრდება მათი ქორწინებით.

ჩვენი რომანი „ლალაქტიონი და ეპისტიმია“ იწყება იქ, სადაც თავდება „ლევკიპე და კლიტოფონტი“: კლიტოფონი და ლევკიპე ცოლ-ქმარნი არიან, ორივენი შესანიშნავნი შთამომავლობითაც, გარეგნობითაც და სულიერი სილამაზითაც; ცხოვრობენ ემესაში<sup>1</sup>. მათ მყუდრო ცხოვრებას არღვევს მხოლოდ ის, რომ ისინი უშვილონი არიან. ამ დაბრკოლების გადალახვა ხერხდება მხო-

<sup>1</sup> წარმართული რომანის „ეფესო“ შეცვლილა ქრისტიანულ ღანაში ცნობილი „ემესით“.

ლოდ ქრისტიანობის მიღებით: ლეგკია და კლიტოფონი გაქრისტიანდებიან და შვილიც ეყოლებათ, ლალაქტიონი.

ასე ხდება ძველი წარმართული რომანის გადაზრდა ქრისტიანულ რომანში, სადაც უკვე რომანის პირებად მეორე წყვილია—ლალაქტიონი და ეპისტიმია. ამათაც ერთმანეთი უყვართ, მაგრამ დაბრკოლება ეღობებათ: ლალაქტიონი ქრისტიანია, ეპისტიმია კი—წარმართი. ლალაქტიონის მეცადინეობით ეპისტიმიაც ღებულობს ქრისტიანობას, და ისინი ქორწინდებიან. მაგრამ მათ სიყვარული ესმით ქრისტიანული გაგებით; თავიანთ სულიერ სიფაქიზეს, სიყვარულის გრძნობას ისინი ინახავენ ქრისტეს სამსახურისათვის და არა ამქვეყნიური ხორციელი სიამისათვის იყენებენ მას. ისინი ბერებად შედიან და ქრისტეს რწმენისათვის იწამებენ ერთობლივი თანხმობით.

როგორც ვხედავთ, „ლალაქტიონი და ეპისტიმია“ წარმოადგენს აქილევს ტატიოსის წარმართული რომანის ქრისტიანულ გაგრძელებას. რომ ორივე ეს თხზულება სათავგადასავლო რომანია, ჩანს იქიდან, რომ ერთშიც და მეორეშიც:

1. მოთხრობა აგებულია ქალ-ვაჟის სიყვარულზე;
2. მათ სიყვარულს ეღობება წინ დაბრკოლებები;
3. ამ დაბრკოლებათა გადალახვას ისინი შესძლებენ მხოლოდ სიყვარულის გრძნობის წყალობით; მათი სიყვარულის გრძნობას ვერას ენებს ვერც დენა მტარალთა, ვერც ცემა-გვემულება; ისინი დიდის სიმტკიცითა და შეუღრეკლობით გადაიტანენ ტანჯვა-წვალებას და შეერთდებიან საუკუნო სიყვარულით.

განსხვავება კი ამ ორ რომანს შორის სიყვარულის გაგებაშია; ერთს ერის სიყვარული როგორც ამქვეყნიური სიამისათვის შეერთება ქალ-ვაჟისა, ხოლო მეორეს—როგორც მხოლოდ სულიერი შეერთება და მომზადება ქრისტეს სიყვარულისათვის<sup>1</sup>.

§ 3. რომანის დაწერის თარიღისათვის. რამდენადაც „ლალაქტიონი და ეპისტიმია“ აქილევს ტატიოსის რომანის გაგრძელებას წარმოადგენს, იგი შეიძლება დაწერილიყო მხოლოდ III საუკუნის შემდეგ<sup>2</sup>. ჩვენს რომანში არსებული ზოგიერთი მითითება კი უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ „ლალაქტიონი და ეპისტიმია“ VI საუკუნეზე გვიან არ უნდა იყოს შეთხზული. ეს მითითებები შემდეგია: რომანში ჯერ კიდევ ის ხანა ასახული, როდესაც პროვინციის მმართველებს, რომაელ სარდლებს, ჯერ არ შეუწყვეტათ ქრისტიანთა დენა.

<sup>1</sup> აქილევს ტატიოსის რომანსა და ჩვენს რომანს შორის კავშირი პირველად აღნიშნა ალ. ვესელოვსკიმ, შემდეგ მას შეუბო პ. ბეზობრაზოვი. იხ. А. Веселовский, Из истории романа и повести. Вып. I: Греко-византийский период. СПб., 1886, გვ. 35-36; II. Безобразов, Византийские сказания, часть I: Рассказы о мучениках. Юрьев 1917, გვ. 236-237 (=Физиологическое обозрение, т. II. 1916. გვ. 208-209).

<sup>2</sup> აქილევს ტატიოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაგრამ დღეს შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ იგი III—IV საუკუნეზე გვიან მოსკუთვნილებელი არაა (იხ. Christ, Gr. Literaturgeschichte, გვ. 1047). თარიღის საკითხი გადაწყვიტა იმ გარემოებამ, რომ ნაპოვნი იქნა IV საუკუნის დასაწყისის პაპირუსი, რომელშიაც ტატიოსის რომანის მეორე თავის ნაწყვეტები აღმოჩნდა.

ჩვენ კი ვიცით, რომ IV—VI საუკუნეებში ზოგიერთ პროვინციაში წარმართობა მართლაც ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო. მართალია, VI საუკუნის შემდეგაც მოიპოვება წარმართული იდეოლოგიის ნაშთები, მაგრამ ქრისტიანთა დევნაზე, იუსტინიანეს ეპოქის შემდეგ, ლაპარაკიც ზედმეტია. გარდა ამისა ჩვენ აღვნიშნავდით კიდევ ერთ დეტალს. ლალაქტიონის და ეპისტიმის თავგადასავალში მნიშვნელოვანი როლი აქვს მიკუთვნებული მონასხ, ევტოლმიოსს: სინას მთაზე მონასტერში მიმავალმა ცოლ-ქმარმა უბრძანეს შედგომა მათი ევტოლმიოსის ვისმე, რომელი იგი აქუნდა უსაკუთრესად და უგონიერესად მონათა შორის თქსთა; და წააშების ბოლოშიც ნათქვამია, რომ «პატიოსანი იგი ნაწილი მათნი პატიოსანსა რასმე ქურქელსა შინა დასხნა ზემოცხენებულმან მან ევტოლმიოსს, რომელი იგი შედგომილ იყო წმიდათა მათდა ბრძანებითა მათითა, იგი ხოლო მართლად ყოველთაგან მონათა მათთა». ასეთი დეტალი კი მონათმფლობელის მიმართ VI საუკუნის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია.

**§ 4. რომანის ქართული თარგმანი.** „ლალაქტიონი და ეპისტიმის“ ქართული ტექსტი მოთავსებულია საკითხავთა კრებულში, რომელიც გადაწერილი ყოფილა და ე ი თ ა ლ მ ა შ ე ნ ე ბ ლ ი ს ა თ ვ ი ს (საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი № S—384, გვ.გვ. 572-582) და, მაშასადამე, თარიღდება XI—XII საუკუნით.

ხელნაწერის 535 გვერდზე მოთავსებულია გადაწერის შემდეგი ანდერძ-მინაწერი:  
 „იკ ქე. მფლობელი ყოველთა სუფევათაჲ, აღიდუ ორკერძიანთავე დიდებითა შენ მიერ გზრგვოსანი, ბრწყინვალე და უძლეველი მეფეთა-მეფე გიორგი და მალალი კესაროსი, და განამრავლენ წელნი მეფობისა მათისანი ნებისაებრ მათისა; და [ღმრთისა] მიერ მონიჭებულნი ძე მათი და ე ი თ მეფე და პანიპერსევასტრისი აღიდუ და მძლე ყაფ ყოველთა ხედა მტერთა და წინააღმდეგთა ან“<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, გიორგი II გადადგა 1089 წელს და სამეფო ტახტი თავის შვილს, დაეითს, დაუთმო. ზემომოყვანილი მინაწერი გულისხმობს ორივე მეფეს, გიორგი II-ის გარდაცვალებამდე.

თუ. როდისაა თვით ძველი გადმოთარგმნილი, ამის თქმა ძნელია<sup>2</sup>. თარგმანზე ჩვენს ყურადღებას იპყრობს რამდენიმე იშვიათი გამოთქმა და ფორმა;

**მეკერპე** „წარმართი“ «და იყო კაცი იგი მეკერპე (Μεκηρα) შჯულითა» (თავი 2).

**მკვდრი** „მემკვიდრე“: «...არცა ვის მიემთხვნეს, რაჲთამცა იყო მათდა მკვდრ (αληθινήμα;) სიმდიდრისა» (თავი 2).

**ხუესტი** „მომჭირნე“: «პირველად ჩემი ნაქონები წარუვგო არა მცირედი, არცა ხელითა ხუესტითა და ქირვეულითა (φειδοίχθη χερι;) არამედ ფრიადი და უხუებით და ყოვლად დაუყენებლობით. (თავი 10).

ჩვენი კონტექსტით «ხუესტი» ნიშნავს „მომჭირნეს“ (ჩემს ქონებას გავცემო, ეუბნება ლალაქტიონი ეპისტიმისს, და ხელმოქვრით კი არა; არამედ უხვად). მის გვერდით ნახმარი «ჭირვეულითა, რომელსაც ბერძნულში

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე თ. ჟორდანია კტონიკები I, 19, 236.  
<sup>2</sup> ბერძნული ტექსტი Acta Sanctorum-ში მოთავსებული, ჩვენ ამჟამად ხელთ არა ვაქვს. ზოგიერთი ადგილებს შესაძარებლად ესარგებლობდით სიმეონ მეტაფრასტის „კრებულთ“ (Migne PG, 116, 93—108). ამიტომ ამჟამად თავს ვიკავებთ ქართული თარგმანის შეფასებისაგან.

შესატყვისი არ მოეპოვება. იმავე სიტყვის, ხუესტის, განმარტება უნდა იყოს (ქირვეული || მომქირნე)<sup>1</sup>.

დამბრმალი „დაბრმავებული“: «და იქმნეს დამბრმ[ალ] თუალითა ჰე-  
პყრამსოი ძაჲ ზჳეჲ» მტარვალნი იგი წმიდისანი» (თავი 17).

§ 5. ტექსტის გამოცემისათვის. ტექსტი იბეჭდება ისე, როგორც ის წარ-  
მოდგენილია ხელნაწერში (№ S—384). ორთოგრაფია დავიცავით ხელნაწერი-  
სა; ქარაგმები გავხსენით მიღებული წესების მიხედვით (თ'ლი თუალი, მ'რ მი-  
ერ, ლ'თისა ლმრთისა და სხვა); სასვენი ნიშნები ახალია; დედანში გადასული  
ან ნაკლულევანი ადგილების შევსება აღვნიშნეთ [კუთხოვანი ფრჩხილებით]. პა-  
რაგრაფებად დავყავით Migne-ის მიერ გამოცემული ბერძნული ტექსტის პარა-  
გრაფების მიხედვით.

<sup>1</sup> განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას სხვა ტექსტებში:

1) «შეიწუნდეს სპარსნი კადნიერებასა მისსა და უეიკნი სიხუესტესა მისსა» (ივდი-  
თი 16,12). ამ ტექსტზე მითითებით საბა ორბელიანი განმარტავს: «სიხუესტე სილაღე-  
საით (16,12 ივდთ.)». და მეორე ადგილას: «ხუესტი ლაღივით („კადნიერებასა და სიხვეს-  
ტესა შეიწუნდა ყოველი ბანაკი ასურთა“ დაბადება, ივდით)». მართლაც, დაბადების სხვა  
თარგმანებში ამ სიტყვას უდრის „სილაღისა“ და „კადნიერების“ მნიშვნელობის გამოთქმები:  
ბერძნულში *φιρότης*, ლათინურში *audacia*.

2) ენოპერიანოს ბქ'ა: თულნილა დაუყვენით მაგას ყრმათა დედასა ყრმათა მაგათ წინაშე  
და ეტყოდეთ ნუ თქა ხუესტად იტყჳ (კიმენი I, 47,6) ე. ი. „კადნიერად ნუ ლაპა-  
რაკობ“.



572 b

თა ნოემბერსა ე ცხოვრება და მოქალაქეობა და წამება წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა ქრისტესთა და ლაქაციონ და ეპისტიმიხი გ.ქსნ ო.ო.

1. ლიბანით კერძო მთით ფინიკიისაჲთ მრავალნი უკუე არიან ქალაქნი და სხუანიცა, დასაეალითცა და ჩრდილოჲთ. ხოლო მათცა და სხუათა ყოველთა უმჯობეს არს და ჩრდილოჲთ კერძო შენ არს ქალაქი ემესაჲ, რომელი იგი იყო მშობელ და აღმზრდელ კაცისა სახელით კლიტოფონისსა, ნათესავით წარჩინებულისა, და სიმდიდრით არა ვის მიერ მოქალაქეთაგანთა უდარესისა, და გონიერებითა მრავალთა სხუათა უზეშთაესისა.

ამისსა უკუე მეუღლე იქმნა დედაკაცი ვინმე სახელით ლევკიპაჲ, სხუთა ყოველითავე სახითა კეთილად განმარჯუებული. რამეთუ ესევეითარისა მის ქმრისა და შეყოფილ იყო, და შეუნიერებითა არაარაჲთ მისგან ნაკულუევან იყო, გარნა ხოლო ბერწობისა ძნელზედობასა მიმთხუელი და ქმრისა მიერ ფრიად ყუედრებული; აღვსებულ იქმნებოდა მწუხარებითა, და განიჭრებოდა ურვითა; და ყოველით კერძო ეძიებდა მიზეზსა საკრველთა მისთაგან ქსნისასა.

573 a

2. რამეთუ ორთავე მათ მეუღლეთა სირცხულ უჩნდა საქმე იგი, | რომელ არა იყვნეს მამა შვილისა, და არცა ვის მიემთხვნეს, რადეთამცა იყო მათდა მკვდრ სიმდიდრისა, და არა სრულიად განქარვება ნათესავისა მათისა, რომლისა მიერ დაუშთამცა მათ თესლი.

ხოლო ვინაჲთგან იქმნა ჟამთა მათ მპყრობელთა მიერ კერპთმსახურთა წარვლინებაჲ სეკუნდოჲს ვისიმე მთავრად ემესისა, და იყო კაცი იგი მეკრპე შჯულითა, ხოლო გონებითა ყოველად ბარბაროზი, რომლისა საქმე და მოსწრაფებაჲ სხუად არა რაჲ იყო, თჳნიერ მოსრუად ყოველთა ქრისტეანეთაჲ, და რადენცა შეეძლოს აღმოფხურად მათი ძირითურთ.

და ვინაჲთგან ესე ესრეთ მღელვარე იყვნეს, და ქრისტეანენი სივლტოლთა მოიყიდდეს ცხოვრებასა. იყო ერთი ვინმე, რომელსა ეწოდებოდა ონოფრი, მონაზონი სახითა, და ფრიად სახიერი და ღმრთის-მოყუარე წესითა. რომელმან

იგი ყოვლითურთ სივლტოლად და დატევებად ესევითარისა მის ჟამისად, და აღ-  
შფოთებულისა მის კაცთა ლელვა-გუემულეებისად, და სულთა უძღურთა მიმო-  
კუეთებისად, არა ღმრთის-მოყუარისა კაცისა საქმედ ჰგონა და ერთგზის ესე-  
ვითარისა მას დასსა დაწესებულისად.

და არა ხოლო ესე, არამედ კადნიერებითა ღმრთის-მსახურებისადთა გან-  
საცდელსა რასმე შთადებდა ფავისად არავე უბრალოდ ჰგონა, არცა შჯულად-  
კეთილად მსახურთათს განწესებულად. ამისთსცა საშუვალ ვანულო შორის ორ-  
თა მათ: და დაფარა თავისა თვისისა სამოსელი იგი სამონაზუნოვ სამოსლითა.  
სპეტაკითა, რომელი მონაზონ იყო ქეშმარიტად გონებითა. და ცხორებდა შე-  
მსგავსებული აღირჩია, და ესრეთ განბრძნდა უღმრთოებისა შიმართ. რამეთუ  
მიზენისათს ღმრთის-მსახურებისა სიგლახაკე იქნა.

573 B

და იყო იგი მთხოველ თვისით ნეტესით, და მიმოვიდოდა სახლებსა საწმრი-  
სათს საჭიროდსა. ხოლო უფროდსა იგი განუყოფდა პურსა სულთა დამტკი-  
ცებად შემძლებელსა და რომელთაცა მიემთხუეოდა განაძლიერებდა სიტყვათა-  
ღმრთისადთა, და ასწავებდა, რადთა ივლტოდინ რაოდენ შემძლებელ იყვნენ  
მათგან, რომელნი შორს განშორებულ იყვნენ ცხორებისაგან, და მათცა განა-  
შორებდენ დამბადებლისგან.

მ. მართსა უკუე დღესა მივიდა იგი სახიდ კლიტოფონისსა და ითხოვდა სა-  
ზრდელსა, კელთა განჰმარტებდა და ჯმათა აღმოუტევებდა, რომელნი შემძლე-  
ბელ იყვნენ მოწყალე ყოფად სულთა.

ხოლო ეამს მას, დაემთხუა ლევკიკაპა შეშფოთებულად და აღსავცელ მწუ-  
ხარებითა, რამეთუ უნდა მას მოთმინებად დღითი-დღედთა მათ ყუედრებათა  
ქმრისათა ბერწობისათს. ამისთსცა აღშფოთებულ იპოვა იგი ონოფრის მი-  
მართ, და უბრძანა დავჴად კარი მის ზედა. ხოლო ნეტარი იგი არავე წარვი-  
და მიერ, რამეთუ უწყოდა რად ზვი ყოფად იყო, და ვითარ იგი მცკემად მო-  
სრულ იყო მუნ უფროდს, ვიდრე არა მოღებად. ამისთსცა დაადგრა თხოვასა  
მას ზედა, ვიდრედა საქებელისა მისთს ურცხვანოებისა შეიწოდა, და კეთილსა  
მიემთხუა სიყუარულით სტუმრობასა.

574 a

| ხოლო ვითარ იგი სიტყუად წარმოიღეს შორის და ზრახვად იგი განგრ-  
ძელდა, იწყო ლევკიკაპა თხოვად მისსა თავისა თვისისათს, ვითარ იგი განჴმელ  
იყო საშოდ მისი და ბერწ, და ვითარმედ არაფინ იპოვა ღმერთთაგანი დღე-  
სამომდე შემძლებელი განჯსნად საკრველთა მისთა და სირცხვლსა მას უშვილო-  
ებისა მისისასა დაჯსნად. რომლისათსცა ონოფრი ესრეთ მიუგებდა მას და ეტყო-  
და, ვითარმედა „არღა სადა მოგიგიეს ჯეროვანი, მოსწრაფებამ, ვინაფთგან ესე-  
ვითართაგან ეძიებ შეწვენასა ბერწობისა განჯსნისასა. რამეთუ რომელთა საქმედ  
სირცხვლი განუკუთნებდეს, მათ ვითარ შეუძლონ დაჯსნა სირცხვლსა სხუათასა.  
არამედ უკუეთუ სიტყუათა ჩემთა რწმუნებამ მიჰმადლო თავსა თვისა დე ინებო.  
ცნობამ ღმრთისა ქეშმარიტისად, რომელსა ძალ უც ქვათაგანცა აღდგინებამ  
შვილთად და განჯსნად საკრველთა ბერწობისათად, არა ხოლო თავსა შენსა მო-  
მატუებელ ექმნე სარგებელისა, არამედ იქმნე ქველის-მოქმედ ყოვლისა ნათესა-  
ვისა შენისა; და დაუტევეო მათ ღმრთის-მსახურებამ, ვითარცა სამკვდრებელი  
რამე დიდი“.

მე უკუე სიტყუანი შეიწყნარნა გონებასა თვისსა ლევკიკაჲ, ვითარცა ქუეყანამან კეთილმან თესლი. ხოლო საღმრთომან მან კაცმან პირველ ყოვლისა ასწავა მას მაღალი იგი მეცნიერებაჲ ღმრთისა სამებისაჲ.

574 B

4. ამისსა შემდგომად ჰლოცვიდა მას და ასწავებდა მოქმედებად სათნოებათა. და ეგრეთღა, საცხოქრებელისა მისთვის და წმიდა-ყოფელისა ნათლისღებისა ასწავებდა, რომლისა მიერ იქმნების პირველი განწმედაჲ ცოდვითაჲგან და ბილწებათა.

ამას ყოველსა თანა უჩუენა მას სახეცა იგი მონაზონებისა თვისსაჲ, რომელი იგი ემოსა. სამე და დაეფარა ვიდრემე, რაჲთა მის ძლით თანა წარვლოს მახე იგი ბოროტთა მათ მონადირეთაჲ. და ამასცა ეტყოდა, ვითარმედ ცხოვრებისათჳს მათისა მიზეზ ყო მოსლვაჲ იგი მათდა სახითა მთხოველისაჲთა. ხოლო დედაკაცი იგი ეტყოდა, ვითარმედ „ორთა საქმეთა წინააღმდეგომთა მეშინის შთაფროდომად: ერთად, რამეთუ რომელთა ესევეთარი აქუნდეს სარწმუნოებაჲ და სახელ ეღებოდის ქრისტიანე, ფრიად არიან გინებანი და ქადებანი მათნი მპყრობელთაგან ამის ჟამისათა და უმრავლეს არიან და უფიცეს სატანჯველნი მათნი. და მეორედ უკუეთუ მოვიცვალო მე ღმრთის-მსახურებად და განვეყენო მე მამათა შჯულისაგან, და არა მიქუნდეს მეულლე ჩემი თანაზიარად განზრახვისა მის, არამედ მასვე შჯულსა ზედა ეგოს, რომელი აჲ აქუს, ვითარ-მე ერთმან შეუძლო, რაჲთამცა ვიყავ ერთნება მის თანა, ვითარცა გვკმსცა ერთობაჲ, და კუალად თვისაგან აღვირჩევიდმცა უმჯობესსა რასმე. ესე ხოლო განმიმარტე მე, რომელსა უღონო ვარ ცნობად, და მიერიოგან სხუთ ყოვლით კერძო უზრუნველ მყო მე“.

5. მშინ იწყო ბერმან და სხუადცა მრავალი მიუთხრა ამის ჯერისათჳს, და დასასრულად ყოვლისა ესეცა აუწყა, ვითარმედ იყოს ოდესმე ქმრისაცა მისისა შეცვალებაჲ მისსავე სარწმუნოებასა.

575 A

| და ამით ესევეთართა სიტყუთა ესოდენ შორწმუნე ყო დედაკაცი იგი, ვიდრეღა მეყსეულად უბრძანა მან მკვეალთა თვისთა ყოფად ყოველივე რაჲცა მან თქუას.

და უბრძანა ონოფრი აღვსებაჲ წყლითა საბანელსა მას, რომელი იყო მტილსა შინა მათსა, სადა იგი პირველად განსწავლულ იქმნა მის მიერ ლევკიკაჲ. და აღასრულეს ყოველი რაოდენი წეს იყო ყოფად ქრისტიანეთა. და ეგრეთღა ღირს ყო იგი სრულ-ყოფად წმიდითა ნათლისღებითა.

და შემდგომად მცირედისა, წარ-რაჲ-ვიდოდა მიერ ნეტარი ონოფრი, ფრიად ასწავებდა მას კეთილად დამარხვისა სარწმუნოებისა და ქრისტის მცნებათასა.

ხოლო ლევკიკაჲ იჩემებდა სნეულებასა და წესსა დედათასა, რამეთუ ევლტოდა თანაზიარებასა ქმრისასა, და არცაღა ენება განწმედილსა სულისა მიერ და მიმღებელსა წმიდისა მის საბანელისასა, რაჲთამცა კუალად შეიბილწა არაწმიდითა მით შეერთებითა ქმრისა ჯერეთ კერპთმსახურისაჲთა.

და ვითარცა წარვდეს ამას შინა დღენი რაჲდენნიმე, ცნა თავისა თვისსაჲ, ვითარმედ მიდგომილ არს კუალად თანაშეერთებითა ქმრისა თვისსაჲთა, რომელი იგი შემდგომად არა მრავლისა ჟამისა ეუწყა კლიტოფონსცა ქმარსა მისსა.

ვინაეცა ვითარცა უმეტარი ჭეშმარიტებისად ესრეთ იტყოდა შეუღლისა მიმართ თვისისა: „აწ უწყი დედაცაო, ვითარმედ სათნო იგი ყვეს ღმერთთა უკუდავთა, ამისთვისცა აწლა ღირს იქმენ მოხედვასა და წყალობასა მათსა“.

575 B ხოლო მან მცირედ მიხედნა ქმარსა თვისსა და ჰრქუა: „ჴ კაცო, ნუ სახელსდებ წინაშე ჩემსა ღმერთთა მრავალთა, რამეთუ არა მნებავს, არამედ იტყოდე ერთსა ხოლო ღმერთსა, უფალსა და შემოქმედსა ყოველთასა, რომელი იგი მოწყალე ქმნილ არს შენთვის და ჩემთვის. და არა ხოლო თუ ბერწობისა ოდენ დაგხნად შეძლებელ არს, არამედ ყოველივე რაეცა ენებოს ადვილად იქმს“.

აჟულად კაცმან მან ჰრქუა: „და ვინ არს სხუათა უძლიერესი იგი და ჩუენდა მომართ ესრეთ მოწყალებით მხედველი“.

და ლევკიპპა ჰრქუა: „ჩუენებით მეჩუენა მე იგი, ᴫ ტკბილო მეუღლეო ჩემო. და აყო სახე მისი კაცისაჲ, და გელნი მისნი განრთხმულ ჯუარსა ზედა; რომლისა მიერ მყის დაიგხნნეს საკრველნი მუცლისა ჩემისანი, და ესრეთ საკრველებით მუცლად ვიდე. ვინაეცა ჩუენ რაჲსა არა მას ვჴმსახურებთ და ყოველსავე ჩუენსა მისისა სახიერებისა შევსწირავთ?“.

6. ხოლო კლიტოფონ მცირედ დადუმნა: რაჲთა მისცეს გულის-სიტყუასა თვისსა მოგონებაჲ; და ეგრეთღა მიუგო და ჰრქუა: „უწყი რომელსა ევე იტყუ; რამეთუ იგი არს რომელი იმსახურებისა გალილეველთა მიერ, და ჭეშმარიტებით ფრიადი აქუს ძალი უბრძოლელი. არამედ ვინ თავს იდვას მპყრობელთა სასტიკებაჲ?“.

და ლევკიპპა სიხარულით მიიტაცა სიტყუაჲ იგი და ჰრქუა: „უფალო ჩემო პატროსანო, ჯერეთ დაფარულადღა გუაქუნდინ მსახურებაჲ მისი, რაჲთა ესრეთ განვერნეთ არაწმიდათა მათგან და ბოროტის-მოყუარეთა, რამეთუ იქმნების ოდესმე მისვე ძალისა მიერ განთავისუფლებაჲ ჩუენი მათგან, და მაშინ ვითარცა დღესა შინა შეუენიერად ვიდოდით და საქმეთა დღისათა განცხადებულად ვიქმოდით“.

576 A

ხოლო ვინაეთგან ყოვლითურთ დაარწმუნა ქმარსა თვისსა, რამეთუ ჯერ იყო გამოჩინებულ მის ზედა ქრისტსს კაცთმოყუარებასა და ვითარ იგი წინაშე ეთხრა მისდა ნეტარსა ონოფრის არაგანვრდომად ქმრისა მისისაჲ. ამისთვისცა არღარა სახის-მეტყუელებით რაჲმე, არამედ განცხადებულად ყოველივე მიუთხრა მონაზონისა მისთვის კანნიერებით, და ვითარ იგი ნათელ ელო მისგან, და ვითარმედ იგი არს განმგხნელი კრულებათა საშოფსა მისისათა ძნელთა. ამას თანა ეტყოდაცა, ვითარმედ არარაჲ არს დამაყენებელ. რაჲთა მსგავსად მისსა იგიცა ღირს იქმნეს ნათლისღებასა. და ვითარმედ სხუასა ყოველსა თანა ესეცა მითხრაო, ვითარმედ „იყო ოდესმე და გყვეს შენ საყუარელიცა იგი შენი თანაზიარ ქმნულად სარწმუნოებისა შენისა“.

26 რაჲ თქუა, შემდგომად მცირედისა საქმით აღესრულა თხოვად მისი; და ქმარიცა მისი ღირს იქმნა საღმრთოსა მას საბანელსა, და ღმრთის მსახურებისა სიტყუანი ესწავნეს. რამეთუ კულად მანვე ონოფრი ჰმსახურა ამასცა საქმესა, ვითარცა კაცმან საღმრთომან და საკრველმან.

7. ხოლო ვითარცა მოიწია ჟამი ლევკიპპაჲს შობისაჲ, და შვა ძე წული, მყის მოუწოდეს ონოფრის, ვითარცა აქუნდა ჩუეულებაჲ მისგან მოღებად სარგებელისა ღმრთივ მონიჭებულთა მათ კეთილთა მისთაგან.

576 B

და ახლად შობილიცა იგი მისვე ნეტარისა მიერ აღმოიშვა ნათლისღებითა და სახელისღებადცა მიიქრო მის მიერ და ეწოდა ლალაქტიონ.

და იყო სახელისღებად იგი ყოფადისა მის უტყუველად მომასწავებელი; რამეთუ ესრეთცა იქმნა წმიდათაგან წმიდად და აზნაურთაგან ნამდვლვე აზნაური გამოვიდა ნერგი.

ხოლო წარკვდებოდეს რაჲ ჟამნი მცირედ შემატებასა თანა დღეთა ლალაქტიონისთასა, შეემატებოდა გულსკმისყოფადცა. და უფროსდა უმეტეს დღეთა მისთა იყო გონიერებაჲ მისი. ამისთჳსცა მიეცა იგი სამოძღუროთა, რომელთა შინა მოსწარაფებით დაშურა განსრულებისათჳს სწავლისა და სიფრთხილითა გონებისათა და იგიცა ექმნა მოძღუარ შემდგომად მოძღუართა თჳსთა.

და აღვიდოდა იგი ჟამთა წელიწდისა ოცდა მეოთხისათა. ხოლო მიერითგან ზრუნვად აქუნდა მამსა მისსა, რაჲთა შეაყოს იგი მეუღლესა წესიერად და შემსგავსებულად, რამეთუ დედაჲ მისი ლევკიკაჲ აღსრულებულ იყო.

8. ხოლო იყო მამსინ ქალწული ვინმე სახითა და წესითა განშუენებულთა ყოველთა უფროსად წარმატებული, რომლისა სახელი ეპისტიმი, წარჩინებული აზნაურებითა და დიდებითა, და მას აქუნდა უპირატესობად შორის დედათამსა, ამას დაეწინდა ლალაქტიონ პირველად უკუე სახითა ქორწინებისაჲთა, ხოლო შემდგომად ერთობითა და საკუთრებითა სულისაჲთა.

577 a

გარნა ეგრეთცა ჯერეთ ეძენებოდა სულსა ლალაქტიონისსა ცოლყოფად მისი და არა თავს იღებდა დაწინდებასა მას არა-ერთობისათჳს | შჯულისა მისისსა; რამეთუ არღა მიეღო წმიდაჲ ნათლისღებად დედაკაცსა მას. ამისთჳსცა ფრიადითა სიტყუთა წინააღუდგებოდა მაწუეველთა მის საქმისათა, და აქუნდეს იგინი არა ვითარცა განმზ[რახველნი] კეთილისანი.

და კუალად ერთსა შინა ჟამსა მარტოდ მივიდა ეპისტიმისსა ნეტარი ლალაქტიონ. და ჰკითხვიდა რაჲ ეპისტიმი, გამოუცხადა მას მიზეზი, რომლისათჳს იგი საძულელ უჩნდა: და შესძინა თხოვად მისსა, ვითარმედ არა თავს იღებს ზიარებასა მისსა ქორწინებითა, უკუეთუ არა იგი პირველად ეზიაროს შჯულითა და სამსახურებელითა. და ეტყოდა, ვითარმედ „უჯერო არს განწმედილისა მიერ შეხებაჲ არა წმინდისაჲ. ვინაჲცა შ დედაკაცო, უკუეთუ გნებავს თანაზიარყოფად ჩუენი ცხოვრებითა, ირწმუნე ჩემი, რომელი ესე უმჯობესსა განგაზრახებ. და ვინაჲთგან აწ ჟამსა ამას უღონო არს პოენად ხუცისაჲ, რომელმან ჰმსახუროს წესსა მას ნათლისღებისა შენისასა, რომლისა თჳნიერ შეუძლებელ არს სხუებრ სრულყოფად საქმისაჲ, გარნა თუ იწროებისაგან, და ჰირისა ამის ჟამისა ეგრეთ განვაგოთ, ვითარცა მადლმან გამოგვცხადოს.

9. ესრეთ უკუე ნეტარმან ლალაქტიონ, იხილა რაჲ დედაკაცი იგი შორჩილ ყოველსავე ზედა და არა რაჲთ ურჩ, უბრძანა აღვსებად საბინელსა მას წყლისასა, რომელი იყო მტილსა მას შინა. და ესრეთ [დაის...]-ს ყოველივე და თჳთ ნათელსცა მას შინა ეპისტიმის.

577 B

ხოლო ვითარცა შემდგომად ნათლისღებისა გარდაჯდეს რეანი დღენი, ჩუენებაჲ იხილა ძილსა შინა ღირსმან მან დედაკაცმან ეპისტიმი. და იყო იგი ახალი რაჲმე და უცხოჲ ჩუეულებისაებრთა მათგან ხილვითა, რამეთუ რეცა საგონებელ იყო მისი, ვითარმცა იქცეოდა იგი ეზოთა რათმე სამეუფოთა მოუგონე-



ბელთა სიკეთითა და შუენიერებითა, რომლისა კედელთა სამ კერძო იხილვებოდეს სამნი დასნი მოდგომილად.

და ერთი იგი იყო მამათად, შუენიერთად ხილვითა და შემკულთად სამოსლითა შავითა.

ხოლო მეორე იგი დედათად იყო, რომელთა ეგევითარივე სახე აქუნდა შემკულებისად.

და მესამე იგი იყო ქალწულთად, რომელთაგან გამოჰკრთებოდა შუენიერებად ფერთად და ნადლი სახედ ყუავილისა შეამკობდა პირთა მათთა და ჰყოფდა მათ მოხარულ ღიმილის სახედ.

ხოლო დედათა მათ შემოსილთა სამოსლითა შავითა რეცა საგონებელ იყო ქონებად ფრთეთა რათმე, რომელთაგან ცეცხლი გამოჰკრთებოდა, და აზმნობდა დაწუვად ყოველსა მას გარემოვს მყოფსა ადგილსა.

ესმა რად ღალაკტიონს ჩუენებად იგი, ესევეითარსა იტყოდა შეტყუებასა მისსა, ვითარმედ სამნივე იგი დასნი განშორებულ არიან თავით თჳსით სოფლისაგან და სოფლითა ყოველთა. და სიწმიდესა ქალწულებისსა დაიცვენ. და ცხობრებად ქრისტეს-მიერი აღურჩევიეს. ხოლო შავითა შემოსილნი ქონებით მით ფრთეთადთა ანგელოზთა სახესა გამოსახვენ. რამეთუ მათი არს ფრთოვანებად და ცეცხლის სახეობად. რომლისა მიერ საცნაურ იქმნების მოსწრაფებად და ძალისა მათისა უბრძოლველობად.

578 a

10. ხოლო ეპისტიმოს ესმა რად ძალი იგი ჩუენებისად, მყის განაცხადა აზნაურებად და სიკეთე სულისა თჳსისად, და გულისთქუმა იგი რომელი აქუნდა დიდებულებისათჳს მათ ხილულთადასა. ამისთჳსცა ეტყოდა ქმარსა თჳსსა და ჰრქუა: „წ კაცო, უკუეთუძეცა განვეშორენით ურთიერთას და ღმრთისა შევიწირენით ვერლარამცა უძღვთლად დაცვად სიყუნარულსა მას და აღთქუმათა ერთი-ერთისასა. ამისი ხოლო მომეც სიმტკიცე უქცევლობისად და არა სადა განგეყო არა ზიარებად შენდა ნებასა ამას კეთილისსა.

ესე რად თქუა, არწმუნეს ურთიერთას და გულსავე ყვეს ერთმანერთი, რადთა არა განიყენენ ნებისა ერთობითა. და ესე რად იქმნა, ღალაკტიონ ჩუენებისაებრ სიტყუანი მადლობისანი შეწირნა ღმრთისა. და განუწესა მეუღლესა თჳსსა ეპისტიმოს და ჰრქუა: „წარვედ უკუე შენ და უხუებით განუყავ ნაქონები შენი ჭლახაკთა, და ნუ განბნევასა მათსა ჰგონებ, არამედ უფროდსა და უნჯებად მათი გრწმენი წარუპარველთა მათ საუნჯეთა. ხოლო მე გექმნე შენ უპირატეს მოქმედ და სახე საქმისა, და პირველად ჩემი ნაქონები წარვაგო არა მცირედი, არცა ველბითა ხუესტითა და ჰირვეულითა, არამედ ფრიადი და უხუებითა და ყოვლად დაუყენებლობით. და შენ რაეამს სრულჰყო საქმე შენი, მესამესა დღესა კუალად იქეც ჩუენდა და ვყოთ საქმე, რომელსა შინა იყოს ნებად ორთავე.

578 B

11. და ვითარცა ესე ყვეს და ყოველივე ნაქონები მათი კეთილად განაბნინეს, კუალად შეკრბეს ურთიერთას, და უბრძანეს შედგომად მათი ევტოლოზოს ვისმე, რომელი იგი აქუნდა უსაკუთრესად და უგონიერესად მონათა შორის თჳსთა. და ერთბამად გამოვიდეს სახლით თჳსით და წარემართნეს წარსლვად და შესლვად ცხობრებასა მღნაზონთასა. და ვითარცა ვლეს ათი დღე, მით-

წინეს მთასა, რომელსა პოპლიონ უწოდიან გარემომს მკვდრთაგან, რომელი იგი მახლობელ სამე არს მთისა სინაძსა, სადა იგი მიემთხვნეს ათორშეტთა მონაზონთა მარტოებით და მოლუაწებით ცხორებულთა, და მიუთხრნეს მათ გულისსიტყუანი და ნებანი თჳსნი. და ევედრებოდეს ჳმათ შეწყნარებად და აღრიცხუვად რიცხუსა თანა მათსა.

ვინაჲცა შემდგომად მცირედთა დღეთა იქმნა ნებისაებრ მათისა და ლლაქტიონ იღირაცხა დასსა თანა მათ მამათა და მონაზონთასა, ხოლო ეპისტიმი მათ მიერვე წარივლინა მონასტერსა დედათასა, რომელსა შინა მკვდრ იყვნეს ოთხნი ქალწულნი.

12. ხოლო ლლაქტიონ აღირაცხა რად კრებულსა თანა მამათასა, რომელი არა წარვლო გზად მიმყვანებელი სიმდაბლედ და სწავლად მორჩილებისა? ანუ რომელი საცნობელთაგანი არა განსწავლა, და დაუდვა მათ ყოველთა წესი და საზღვარი და კეთილად დაამტკიცნა იგინი გულისსიტყუასა ზედა სიწმიდისსა? ხოლო მარხვისათჳს ესოდენ მოლუაწე იქმნა ვიდრეა ყოველთა ჳამთა ორისა წლისათა ერთგზის შუდელსა შინა მიიღებნ საზრდელსა, პურსა ოდენ და მასცა ფრიად შვირესა, რომელიდა ძლით ოდენ შესაძლებელ იყო პყრობად სამშენველისა მისისაჲ.

ხოლო მოლუაწებასა თანა მარხვისასა აქუნდა მოლუაწებაცა იგი ლამისთევისაჲ და მარადის დაუცადებელი შრომაჲ ლოკვისაჲ.

და სიწმიდისათჳს ესოდენ განკრძალულად მოლუაწე იყო, ვიდრეა არცა თუ ხილვასა თავს იღებდა დედაკაცისასა მიერ დღითგან, ვინაჲთგან შეერაცხა რიცხუსა თანა მონაზონთასა.

და ამას დაამტკიცებს განცხადებულად სჯქმე ესე: რომელსა მეგულების თქუმად. რამეთუ ორთა ვიეთჳე მათ მონაზონთაგანთა ესუა დედაჲ, არა ხოლო მოლუაწე სათნოებისაჲ, არამედ მყოფი მთასა გარე და დაბერებული მოლუაწებით და მარტოებით ცხორებასა შინა. და მჳანი იგი ევედრებოდეს ნეტარსა დალაქტიონს ხილვად მისსა და მიღებად დედობრფი იგი ლოკვაჲ მისი, ხოლო მან ყოვლადვე არა თავს იღვა.

13. ესრეთ უკუე ყოვლით კერძო კეთილად რად მოქალაქობდა და ყოვლისა სათნოებისა მიმართ წარმართებულად ვიდოდა, არა თავს იღვა დუმილით ბოროტმან მან მტერმან, არამედ მოუჭდა იგთ თჳთმპყრობელისა მიერ წარმოვლინებულსა მას მთავარსა მათ ადგილთასა. და განაძუნა იგი ყოველთა ზედა ქრისტიანეთა და მის მიერ აღძრა დევნულებაჲ განცხადებული, რომელი იგი სიმძიმით და სასტიკებით მიუვიდოდა მათ ზედა რომელთაჲ თავით თჳსით და რომელთაჲ მსავსეთა მისისავე მძნეარებისათა მსახურთა მიერ. ამას მოუჭდეს რომელნი იგი მის ჳამისა კერპთა მსახურებად მოსწრაფე იყვნეს და ჰრქუეს, ვითარმედ არიან ვინმე კაცნი მკვდრნი მთისა სინაძსანი, რომელნი იგი ღმერთთა აგინებენ და ერთსა ხოლო ღმერთსა და მასცა ჯუარკუთმულსა პატივსცემენ და ყოველთა მსახურებად მისსა მიაქცევენ.

ხოლო იგი მყის იწყულა სმენითა ამის სიტყუსაჲთა, ვითარცა იგი რაჳამს ესმინ ვის სიტყუაჲ ვინებისაჲ, და უბრძანა გუნდსა მკვდართასა წარსლვად მსწრაფლ და მისლვად მთასა მას. და რაჲთა რაოდენნიცა პოვნენ მუნ ქრისტიანენი [ყოვე]ლნი მიიყვანენ მისსა.

ბელთა სიკეთითა და შუენიერებითა, რომლისა კედელთა სამ კერძო იხილვებოდეს სამნი დასნი მოდგომილად.

და ერთი იგი იყო მამათაჲ, შუენიერთაჲ ხილვითა და შემკულთაჲ სამოსლითა შავითა.

ხოლო მეორე იგი დედათაჲ იყო, რომელთა ეგევითარივე სახე აქუნდა შემკულებისაჲ.

და მესამე იგი იყო ქალწულთაჲ, რომელთაგან გამოჰკრთებოდა შუენიერებაჲ ფერთაჲ და ნადირი სახედ ყუავილისა შემკობდა პირთა მათთა და ჰყოფდა მათ მოხარულ ღიმილის სახედ.

ხოლო დედათა მათ შემოსილთა სამოსლითა შავითა რეცა საგონებელ იყო ქონებაჲ ფრთეთა რათმე, რომელთაგან ცეცხლი გამოჰკრთებოდა, და აზმნობდა დაწუვად ყოველსა მას გარემოჲს მყოფსა ადგოლსა.

ესმა რაჲ დალაქტიონს ჩუენებაჲ იგი. ესევეთარსა იტყოდა შეტყუებასა მისსა, ვითარმედ სამნივე იგი დასნი განშორებულ არიან თავით თჳსით სოფლისაგან და სოფლიოთა ყოველთა. და სიწმიდესა ქალწულებისსა დაიცვენ. და ცხორებაჲ ქრისტეს-მიერი აღურჩევიეს. ხოლო შავითა შემოსილნი ქონებითა მით ფრთეთაჲთა ანგელოზთა სახესა გამოსახვენ, რამეთუ მათი არს ფრთოვანებაჲ და ცეცხლის სახეობაჲ. | რომლისა მიერ საცნაურ იქმნების მოსწრაფებაჲ და ძალისა მათისა უბრძოლველობაჲ.

578 a

10. ხოლო ეპისტიმის ესმა რაჲ ძალი იგი ჩუენებისაჲ, მყის განაცხადა აზნაურებაჲ და სიკეთე სულისა თჳსისაჲ, და გულისთქუმაჲ იგი რომელი აქუნდა დიდებულებისათჳს მათ ხილულთაჲსა. ამისთჳსცა ეტყოდა ქმარსა თჳსსა და ჰრქუა: „შე კაცო, უკეთეთმცა განვეშორენით ურთიერთას და ღმრთისა შევიწიონით ვერლარამცა უძღეთლქა დაცვად სიყუარულსა მას და აღთქუმასა ერთი-ერთისასა. ამისი ხოლო მომეც სიმტკიცე უქცევლობისაჲ და არა სადა განგეყო არა ზიარებად შენდა ნებასა ამას კეთილისსა.

ესე რაჲ თქუა. არწმუნეს ურთიერთას და გულსავე ყვეს ერთმანერთი, რაჲთა არა განიყენენ ნებისა ერთობითა. და ესე რაჲ იქმნა, დალაქტიონ ჩუენულებისაგებ სიტყუანი მადლობისანი შეწირნა ღმრთისა. და განუწყესა მეუღლესა თჳსსა ეპისტიმის და ჰრქუა: „წარვედ უკუე შენ და უხუებით განუყავ ნაქონები შენი გლახათა, და ნუ განბნევასა მათსა ჰგონებ, არამედ უფროსლა დიუნჯებაჲ მათი გრწმენინ წარუპარველთა მათ საუნჯეთა. ხოლო მე გექმნე შენ უპირატეს მოქმედ და სახე საქმისა, და პირველად ჩემი ნაქონები წარვაგო არა მცირედი, არცა ველითა ხუესტითა და ჰირვეულითა, არამედ ფრიადი და უხუებით და ყოვლად დაუყენებლობით. და შენ რაჲამს სრულქყო საქმე შენი, მესამესა დღესა კუალად იქეც ჩუენდა და ვყოთ საქმე, რომელსა შინა იყოს ნებაჲ ორთაგვე.

578 b

11. და ვითარცა ესე ყვეს და ყოველგვე ნაქონები მათი კეთილად განაბნინეს, კუალად შეკრბეს ურთიერთას, და უბრძანეს შედგომად მათი ევტოლომოსის ვისმე, რომელი იგი აქუნდა უსაკუთრესად და უგონიერესად მონათა შორის თჳსთა. და ერთბამად გამოვიდეს სახლიჲ თჳსით და წარემართნეს წარსლვად და შესლვად ცხორებასა მონაზონთასა. და ვითარცა ვლეს ათი დღე, მიი-

წინეს მთასა, რომელსა პოპლიონ უწოდიან გარემოას მკვდრთაგან, რომელი იგი მახლობელ სამე ზრს მთისა სინაძსა, სადა რგი მიემთხვნეს ათორმეტთა მონაზონთა მარტოებით და მოღუაწებით ცხორებულთა, და მიუთხრნეს მათ გულის-სიტყუანი და ნებანი თჳსნი. და ევედრებოდეს მათ შეწყნარებად და აღრიცხუვად რიცხუსა თანა მათსა.

ვინაჲცა შემდგომად მცირედთა დღეთა იქმნა ნებისაებრ მათისა და ლა-ლაქტიონ აღირაცხა დასსა თანა მათ მამათა და მონაზონთასა, ხოლო ეპისტიმი მათ მიერვე წარივლინა მონასტერსა დედათასა, რომელსა შინა მკვდრ იყენეს ოთხნი ქალწულნი.

12. ხოლო ლალაქტიონ აღირაცხა რამე კრებულსა თანა მამათასა, რომელი არა წარვლო გზად მიმყვანებელი სიმდაბლედ და სწავლად მორჩილებისა? ანუ რომელი საცნობელთაგანი არა განსწავლა, და დაუდგა მათ ყოველთა წესი და საზღვარი და კეთილად დაამტკიცნა იგინი გულის-სიტყუასა ზედა სიწმიდის-სა? ხოლო მარხვისათჳს ესოდენ მოღუაწე იქმნა ვიდრეღა ყოველთა ჟამთა ორისა წლისათა | ერთგზის შუდუელსა შინა მიიღებნ საზრდელსა, პურსა ოდენ და მასცა ფრიად მცირესა, რომელიღა ძლით ოდენ შესაძლებელ იყო პყრობად სამ-შენველისა მისისაჲ.

ხოლო მოღუაწებასა თანა მარხვისასა აქუნდა მოღუაწებაჲცა იგი ღამის-თვეისაჲ და მარადის დაუცადებელჲ შრომაჲ ლოცვისაჲ.

და სიწმიდისათჳს ესოდენ განკრძალულად მოღუაწე იყო, ვიდრეღა არცა თუ ხილვასა თავს იღებდა დედაკაცისასა მიერ დღითგან, ვინაითგან შეერაცხა რიცხუსა თანა მონაზონთასა.

და ამას დაამტკიცებს განცხადებულჲდ სჯამჲ ესე, რომელსა მეგულების თქუმად. რამეთუ ორთა ვიეთმე მათ მონაზონთაგანთა ესუა დედაჲ, არა ხოლო მოღუაწე სათნოებისაჲ, არამედ მყოფი მთასა გარე და დაბერებული მოღუაწე-ბით და მარტოებით ცხორებასა შინა. და ძმანი იგი ევედრებოდეს ნეტარსა ლალაქტიონს ხილვად მისსა და მიღებად დედობრივე იგი ლოცვაჲ მისი, ხოლო მან ყოვლადვე არა თავს იღვა.

13. ესრეთ უკუე ყოვლით კერძო კეთილად რაჲ მოქალაქობდა და ყოვლი-სა სათნოებისა მიმართ წარმართებულად ვიდოდა, არა თავს იღვა დუმილით ბოროტმან მან მტერმან, არამედ მოუქდა იგი თჳთმპყრობელისა მიერ წარმოვ-ლინებულსა მას შთაფარსა მათ ადგილთასა. და განაძნა იგი ყოველთა ზედა ქრისტიანეთა და მის მიერ აღძრა დევნულებაჲ განცხადებულნი, რომელი იგი სიმ-ძიმით და სასტიკებით მიუვიდოდა მათ ზედა რომელთამე თავით თჳსით და რომელთამე მსგავსთა მისისაჲ. მძნეარებისათა მსახურთა მიერ. ამას მოუქდეს რომელნი იგი მის ჟამისა კერპთა მსახურებად მოსწრაფე იყენეს და ჰრქუეს, ვი-თარმედ არიან ვინმე კაცნი მკვდრნი მთისა სინაძსანი, რომელნი იგი ღმერთ-თა აგინებენ და ერთსა ხოლო ღმერთსა და მასცა ჯუარკუმულსა პატივ-სიკ-მენ და ყოველთა მსახურებად მისსა მიაქცივენ.

ხოლო იგი მყის იწყულა სმენითა ამის სიტყუასაჲთა, ვითარცა იგი რაჲმს ესმინ ვის სიტყუაჲ გინებისაჲ, და უბრძანა გუნდსა მკვდართასა წარსლვად მსწრაფლ და მისლვად მთასა მას. და რაჲთა რაოდენნიცა პოვნენ მუნ ქრისტიან-ენი [ყოველნი მიიყვანენ მისსა.

579 a

579 a

ხოლო იგი ვიდრეღა მივიდოდეს მკედარნი იგი შეპყრობად წმიდათა მათ, ჩუენებად იხილა ეპისტიმი მასვე მონასტერსა შინა ქალწულთასა, სადა იგი შოლუაწებით ცხოვრდებოდა. რამეთუ ხედვიდა თავსა თქსსა შემავალად მეფისა ვისსამე თანა ღალაკტიონითურთ, და გვრგვინოსან იქმნნეს მეფისა მისგან თავნი მათნი და შქემკულ.

და ვითარცა აღდგა ძილისაგან განთიად, ჰზრახვიდა იგი იკონომოსსა ჩუენებისა მისთვის, რომლისა განცხადებულად ეუწყა შეტყუებად მისი. რამეთუ სამეუფოდ ეტყოდა ზეცისსა მას სასუფეველსა, ხოლო მეფედ მას მხოლოსა, რომელსა იგი კემშარიტად ბუნებით აქუს მეუფე[ბად], და გვრგვინთა მათთვის ამას საცნაურ ჰყოფდა, ვითარმედ აწლა უახლესთა ღუაწლთა შემავალ არიან, და უშქემტესად მძლედ და ზეშთა ქმნილად წინააღმდეგომისა გამოჩინებად არიან.

14. და ვითარცა მიიწინეს განჩინებულსა მას ადგილსა, სადა ბრძანებულ იყო მისლვად მკედართად მათ, სხუანი ყოველნი სივლტოლით განერნეს და არაგინ იპოვა მათგანი, გარნა ორნი ხოლო მონაზონნი, რომელთაგანც ერთი იყო ღალაკტიონ.

ხოლო შეპყრობილ რაჲ იქმნა ღალაკტიონ და მიიყვანებოდა, ისწავა ესე ეპისტიმი, და აღწდა იგი ადგილსა მალალსა და დაჯდა ფარულად ადგილსა, ვინაჲ იგი ხედვიდა სხუათა. ხოლო მას ვერვინ. და იხილა თუალითა საქმე, რომელსა ყურითაცა ვერ თავს იღებდა სმენად, ვითარ იგი შეკრული მიიყვანებოდა ღალაკტიონ მუნ, სადა იგი მოსალოდებელ იყო მისდა შემთხუევაჲ ძკრთად ამისთვისცა დაავდო თავი თვისი ქუეყანასა ზედა და ფრიად ევედრებოდა დედათ-დიაკონსა განტეგებად მისსა, რადთა თანა წარჰყევს იგი ღალაკტიონს, და თანაზიარ იქმნას კრულებათა მისთა მათვე საყრველთა თავსდებითა. და უკუეთუ შემთხუეოდის მას განსლვად ამის ცხოვრებისაგან, რადთა იგიცა თანაზიარ იქმნას სიკუდილსა მისსა. რამეთუ ესე ვითარი არს აღთქუმად მათ შორის, რადთა არა ოდეს განიყენენ გონებითა და ნებითა ერთი-ერთისაგან. და იტყოდა ამასცა, ვითარმედ ძნელ არსო დავიწყებდა აღთქუმისაჲ, რაჲამს ჟამი უწოდდეს აღსრულებად აღთქუმისა.

ხოლო დედათ-დიაკონი იგი პირველად მოსწრათე იყო სიტყუათა მიერ დაყენებად სრბისა მისისა. და ვითარცა ვერ არწმუნა, უტევა იგი ყოფად ნებისა მისისა.

15. ხოლო მან ჯმნისაჲ იგი მოკითხვად დისასრულისაჲ დაუტევა მის თანათა მათ ქალწულთა და სწრათით შეუდგა კუალთა ღალაკტიონისთა, და მორად-ეახლა, ვმა უყო და ჰრქუა: „უფალო ჩემო, წინამძღუარო ცხოვრებისა ჩემისაო, ნუ გარემიმატევე მე შენსა ამას, ნუცა უჯსენებელ ჰყოფ აღთქუმასა მას რომელი იგი არს ჩუენ შორის“.

ესე რად ვმად ესმა ბოროტთა მათ მსახურთა უღმრთოებისათა, იქცეს საშუვალით გზისადთ და შეიპყრეს იგი და შეკრეს, და არა რად ჰრქუეს, არცა ჰკითხეს, რამეთუ თვთ კითხვადცა რადსამე მის მიერ ამპარტავან იქმნნეს.

ხოლო ღალაკტიონ არცა თუ ესე ვითარისა მის შფოთისა ჟამსა დაეცადა სწავლათაგან, არამედ სლვასაცა შინა და კრულებამაცა ასწავებდა მას ჯეროვნად და ეტყოდა: „მ დედაქყო, ნუმცა გაცთუნებენ შენ მტერნი ესე, ნუმ



შინებთა ზატანჯველთადათა, ნუცა გემოვნებითა შუებათა და განსუენებათადათა მიგიყვანებენ უღმრთოებად“.

და ვიდრეღა იგი ამას იტყოდეს, დაემთხვა მათ მსწრაფლ მომავალი ვინმე, რომელსა აქუნდა პირი აღმფოთებული გარეშე გარდამატებულისაგან შიშისა, რომელი აქუნდა შინაგან. და აუწყებდა მათ, ვითარმედ ხეალისა დღე განჩინებულ არს განკითხვად მოწამეთად, რამეთუ ესრეთ ინება მთავარმან მან.

ხოლო განთიად დაჯდა მსაჯული იგი ადგილსა მას, სადა აქუნდა ჩუეულებად განკითხვად დაშჯილთა მათ, და ბრძანა მიყვანებად წმიდათად მათ.

16. და მესი წარადგინნეს იგი წინაშე მისსა. რომელმან იგი არაჲ ჰკითხა ქუეყანად, არცა ნათესავი, არცა პატივი, არცა სამსახურებელი, არცა სხუად რაემდ ჩუეულებისაებრთა კითხვათაგანი, არცა ჰრქუნა სიტყუანი რწმუნებისანი. არამედ სასტიკებით და სიმწარით და მძვნეარებით და მწუხარედ მიხედნა ლალაკტიონს და ჰრქუა მუნ მდგომთა მათ: „ვინ არს ესე, ანუ ვისსა მსახურ არს სხვსა, ვინაჲთგან მაგინებელ არს ღმერთთა“.

მაშინ ლალაკტიონ არა შეშინდა, არცა შეიძრა სიმტკიცისაგან დგომისა, არამედ დაწყნარებულად ჰრქუა: „მე ცხოვრებითა მონაზონ ვარ და ქრისტესგან მაქუს წოდებად ქრისტიანობისაჲ, რომლისა მსახურებასა მოსწრაფე ვარ კეთილად გონიერებითა“.

ესრეთ იწყო მოწამემან და ფრიადსა ყუედრებასა აყუედრებდა მთავარსა შას და ჰბასრობდა ღმერთთა მისთა და კაცად უგუნურად სახელ-სდებდა მათ, რომელნი ჰმსახურებენ ქუსულთა მათ. ამისთჳსა შეეკრნეს ჳელნი უკუმართ. და უბრძანა დაწყუელმან მან, რაჲთა ძარღვთა უხელელითა უწყალოდ ჰგუემდენ ჳორცთა მისთა.

და ვითარ იგი ესრეთ იგუემებოდა ნეტარი ლალაკტიონ, მიხედნა მას ღმრსმან ეპისტიმი და ფრიად ეღმრდა სულსა მისსა, და ესრეთ იტყოდი მტანჯველთა მათ მიმართ: „შე განუძლომელობად ეგე სულთა თქუენთად სატანჯველთა მოწვევისათჳს. რაჲსა დასძინებთ ესოდენტა გუემითა ჩხვლთა მაგათ ასოთა და განლეულთა ტკივილითა მოლუაწებათადათა? ვითარ არა დაიჭსნებიან ჳელნი ეგე მკემელთანი, რომელნი ეგე მოსწრაფებით უწყალოდ ჰგუემენ გუამსა განლეულსა მოლუაწებითა?“.

ამათ უკუე სიტყუათა მიერ უფროჲსად რისხვით აღეტყინა მსაჯულნი იგი და ჰრქუა: „განაშიშულეთა ურცხვნოჲ ეგე და კანნიერი ვიდრე მისცი უშინაგანესისა ტილოჲსამედ რომელი ჰმოქიეს, და გუემეთ ეგე შოლტებითა უწყალოდ, რაჲთა ისწავოს მორცხვად ზრახვად. და არა ეგრეთ კანნიერი იყოს მისსა უხეშეთისსა მიმართ.“

17. [და] მსწრაფლ აღესრულა მტარვალთა მიერ ბრძანებაჲ იგი მძლავრისაჲ და ფრიად განაგრძვეს ნეტარსა მას [ხედა] სიმრავლე იგი სატანჯველთაჲ. და [ეს]რეთ ყოვლისა მიმართ ძვრთა მოწვევისსა სიმქნით მოთმინე იყო მოლუაწე იგი. და არღარა რიდობით, არამედ უ[...].ბად ჳმობდა მთავრისა მიმართ და [უსა]სოებასა მას საქმისსა აყუედრებდა. ვითარმედ ბუნებისა მის, რომლისა ჳერი იყო არა ხილვად არა ხოლო ერთისა ვისმე, არამედ მრავალთა წინაშე სახილავე ყო და ტანჯულ.

ამისთვისცა [იტ]ყოდა, ვითარმედ მიგელის შენ მის წილ... სატანჯველი, და არა ხოლო მერმეს[ა], არამედ აწცა არავეყოფნოს მ[ოსლ]ეად შენ, ზედა სამართალმან მან [სას]ჯელმან ღმრთისამან.

ესე რაჲ [პრქუა] წმიდამან, მყის მასვე ჟამსა აღესრულა სიტყუად მისი. და იქმნეს დამბრმალ თუალითა მტარვალნი იგი წმიდისა[ნი] და ესე იქმნა ერთბამად წმიდითათს მისზე დიდებისა, ხოლო მტანჯველთათს მობატყუებელ ცხორებისა.

ვინაჲცა აღიარეს სარწმუნოებაჲ ქრისტესი და სიბნელისა მისგან თუალთაჲსა [დაი]ქსნა სიბნელე სულთა მათთაჲ და [ნა]თელი ღმრთის მეცნიერებისაჲ გამოუბრწყინდა მათ. და მყის მოსლვაჲსავე თანა ნათლის სულიერისა [ქუა]ლად იქცა ნათელი თუალთა მათ ჯორციელთაჲ, და ზღეხილნეს თუალნი მათნი.

ხოლო იყო რიცხუ კაცთაჲ მათ არა ორ, არცა სამ, არამედ ერგასის და სამ.

18. ბარნა დაღაცათუ ესე ყოველი იქმნა, არამედ მთავარი იგი ჯერეთ ბრმავე იყო გონებითა, რაჲთა უფროჲს განაცხადოს სრლრმე სიბოროტისა თვისისაჲ. ამისთვისცა ბრძანა აღმახუვად ლერწამთაჲ და შემშუალვად ნუნასა ფრჩხილთა მათთასა. რომელი ესე აღესრულა რაჲ მსწრაფლ, აღმატებასავე თანა ტკივილთა სასტიკებისასა აღმატებულსა აჩუენებდეს წმიდანი იგი მოთმინებასა. და რომლისათს მას ყოველსა თავს იღებდეს, ფრიადსა მადლობასა მისსა მიმართ აღავლენდეს. და ცუდსახელდებულთა მათ და მტყუვართა ღმერთთა გინებითა აღავსებდეს მსაჯული იგი, ვინაჲთგან გემოვნებად სისხლის მსუმელისა მის სულისა მისისა მიიღებდა ტანჯვასა თვსთა მათ მსგავსთა კაცთასა. ამისთვისცა უბრძანა ერთბამად დაკუეთად ჯელთა და ფერჯთა და ენებსა წმიდათასა. და ვითარცა ესეცა მსწრაფლ იქმნა და წმიდანი იგი არარაჲთ უნაკლულევანესსა აჩუენებდეს მოთმინებასა და განმზადებულ იყვნეს, რაჲთა უმძნვარეს ისაჯენ და უსასტიკესად იტანჯნენ.

ამისთვისცა ისწრაფა მსაჯულმან და განსცა წმიდათათს განჩინებაჲ დასასრულისაჲ და ბრძანა, რაჲთა მახელისა მიერ წარკუეთითა თავთაჲთა მოიკლნენ.

მსევეითარითა უკუე სახითა მიიღეს წმიდათა მათ აღსასრული და განსლვად ამიერ. რამეთუ მეხუთესა დღესა, თვსა ნოემბერისასა წმიდანი თავნი მათნი წარკუეთნეს.

ხოლო პატიოსანი იგი ნაწილნი მათნი პატიოსანსა რასმე ქურქელსა შინა დასხნა ზემოვსენებულმან მან ევტოლმიოს, რომელი იგი შედგომილ იყო წმიდათა მათა ბრძანებითა მათითა, იგი ხოლო მარტოჲ ყოველთაგან მონათა მათთა. და მანვე დიდებისათს მათისა ნაწილნი მათნი სხუათა მიმართ მიაწინა სუ დიდებულად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, რომელი სამებით ერთ არს ღმერთი, რომელსა შუენის ყოველივე პატივი, დიდებაჲ და დიდად შეუენიერებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე აწ.

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობის 1936—1944 წ.წ.

1. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობის („ენიშვილი“) ჩამოყალიბდა 1936 წელს ~~ამხანაღი~~ ~~ინსტიტუტის~~ ~~ფუნქციონირების~~ იმ უმნიშვნელოვანეს-ამოცანებზე სამუშაოდ, რომელნიც საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებას დაუსახა ხალხთა დიდმა ბელადმა, ამხანაგმა იოსებ სტალინმა.

2. ამ არსებითად სრულიად ახალი ინსტიტუტის საორგანიზაციო საყრდენად არჩეულ იქნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ე. წ. „კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი“, რომელიც, თავის მხრით, წარმოადგენდა ძველი „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის“ ერთ-ერთი რეორგანიზაციის შედეგს.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი“ (Кавказский Историко-Археологический Институт) დაარსებულ იქნა 1917 წლის 1 ივლისს. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა აკადემიამ მიანდო მისი ორგანიზაციის ინიციატორს, აკადემიკოს ნ. მარს. ინსტიტუტს მაშინ ჰყავდა სულ 4 მეცნიერი თანამშრომელი: ორი ნამდვილი წევრი (ე. თაყაიშვილი და გ. ჩუბინაშვილი) და ორი ადიუნქტი<sup>1</sup>. ნ. მარის თბილისში არყოფნის დროს ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობას ასრულებდა ე. თაყაიშვილი<sup>2</sup>. ინსტიტუტის მიზანს მისი წესდება ასე განსაზღვრავდა: ა) „შეისწავლოს ენები, ყოფა და სიძველეები კავკასიის მოსახლეობისა და ლინგვისტურად ან კულტურულად მისი მონათესავე ირანის, მესოპოტამიისა და მცირე აზიის ცოცხალი და გადაშენებული ხალხებისა, მათი ისტორიის მთელ სივრცეზე, და აგრეთვე ხელი შეუწყოს ჰუმანიტარული კავკასიისმცოდნეობის ყველა დარგისა და მათთან დაკავშირებული სამეცნიერო დისციპლინების განვითარებას; ბ) დაიცვას სხვადასხვა კულტურების ნივთიერი და სულიერი ძეგლები კავკასიის სამეფოსნაცვლოს ფარგლებში და აწარმოოს მათი რეგისტრაცია“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Отчет о деятельности Российской Академии Наук. в 1917 г., стр. 232—241; стр. 16. П. 1917.

<sup>2</sup> იქვე, 233.

<sup>3</sup> Устав Кавказского Историко-Археологического Института: ИРАН, 1917, № 13, стр. 957.—იხ. იქვე, გვ. 967 და შემდ.: „Записка акад. Н. Я. Марра о Кавказском Историко-Археологическом Институте“. აგრეთვე „Доклад академика Н. Я. Марра о подготовительной деятельности по открытию Кавказского Историко-Археологического Института“. იქვე, გვ. 1005 (აქ სრულიად არეულია გვერდების თანამიმდევრობა ს. ჯ.).

6. მარი ინსტიტუტის ამ ამოცანებს სხვა ადგილას განმარტავდა კიდეც უფრო დაწვრილებით: «Задачи Института выходят как территориально, так культурно-исторически далеко за пределы традиционно узко понимаемых гуманитарно-научных интересов Кавказа: исходя из обильных материалов и прочно устанавливаемых теоретических данных Кавказоведения и проникая в таинственные пласты общечеловеческой цивилизации, имевшей очаг-источник в Передней Азии, они имеют захватить в сильной степени основные, наиболее чреватые вопросы по истории архаической культуры в Иране, Месопотамии и Малой Азии, и с точки зрения задач новой исследовательское учебное учреждение имело бы полное право быть названным Передне-Азиатским Историко-Археологическим Институтом»<sup>1</sup>. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ეს მნიშვნელოვანი ამოცანები შემდეგში თანდათან მივიწყებულ იქნა და მათი გადაწყვეტისათვის არაფერი კეთდებოდა წლების სიგრძეზე. თავისი არსებობის დასაწყის პერიოდში-კი, ვიდრე მასში სერიოზული მეცნიერული ძალები მუშაობდნენ, «კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა» განსაზღვრულს დადებითს შედეგებს მიაღწია.

ამასთანავე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ინსტიტუტის უფრო ნაყოფიერ მუშაობას აღებულ ხანაში ხელს უშლდა არა მარტო მისი სამეცნიერო კოლექტივის მკარგე რიცხოვნობა, არამედ ნაწილობრივ აგრეთვე ინსტიტუტისათვის სახელმძღვანელოდ დასახული მეთოდოლოგიური პრინციპების შეზღუდულობა და ზოგჯერ სრული უმართებულობაც მეცნიერული თვალსაზრისით. ინსტიტუტის ამოცანებს არ შეეფერებოდა მისი სამუშაო მეთოდები და თეორიული წინამძღვარები. აი, მაგალითები.

არ შეიძლება მკვლევარს ან საკვლევო დაწესებულებას წავართვათ თავისუფლება შეზღუდონ თავისი მეცნიერული ობიექტი, მატრიალონ იგი ერთი გარკვეული მხრით, ან წინ წამოსწიონ იღებულ საგნის კავშირები სხვა საგნებთან. ეს არსებითად ტექნიკური ანუ საორგანიზაციო მომენტი იქნება მხოლოდ, თუ რომ ხედვის არეში კვლავ რჩება პრობლემა მთლიანად და საერთო ისტორიული პერსპექტივი. ამდენადვე, ინსტიტუტის ორგანიზატორთა კომპეტენციის საკითხს შეადგენდა, რათქმუნდა, მისი თემატიკის განსაზღვრა თუნდაც — «სომხურ-ქართული ფილოლოგიის» სახით, მაგრამ სრულიად შემეტარა შემდეგი კონცეფცია, რომელსაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ქვაკუთხედად უდებდა ინსტიტუტის მომავალ მუშაობას: «Армянно-грузинская филология не только успела объединить в себе две национально-культурные разновидности одного общего типа, но наметила основные вехи и продолжает выяснять, что оба поздних его национальных воплощения, армянское и грузинское, образуя один культурный мир, представляют местные развития начал восточно-христианской цивилизации, противопоставляемой одинаково и Европейскому западу, и Византии. Эти местные проявления и куль-

<sup>1</sup> ИРАН, 1917 г., № 13, стр. 364.

ტური национальними ставовятся постепенно, достигнув полноты национализации лишь после арабского нашествия. В первый период армянский и грузинский народы представляют лишь части восточно-христианского мира, имея общую культуру с восточными христианами—сирийцами, персами (христианской их частью) и др. Как за первый период армянские и грузинские материалы важны для вопросов по древне-христианскому Востоку, так за второй период они представляют высокий интерес для исследователей христианства на древней Руси. В борьбе или в единении с Византийским миром и у грузин, и у армян имеется различная в различные эпохи степеней близости к нему, и для специалиста по армяно-грузинской филологии подлежащую его компетенции богатую тему представляет область византийских влияний и явлений, в полной мере доступных правильному анализу лишь при арменистических или грузиноведных знаниях. Еще более важные проблемы ставит нам тесная связь армянской церковности с сирийской и грузинской церковности с православной арабской (мелькитской), а позднее влияние персидской литературы на грузинскую светскую литературу вообще и на армянскую поэзию<sup>1</sup>.

ჩვეუკირდეთ ამ რამდენადმე ბუნდოვანსა და არც თუ სავსებით შინაგან წინააღმდეგობას მოკლებულ დებულებებს. რა ყოფილა სომხურ-ქართული ფილოლოგია? მეცნიერების დარგი, რომლის ობიექტიც, უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანულ ხანასა და ქრისტიანულ ცივილიზაციას განეკუთვნება. არსებობს სამი დამოუკიდებელი ქრისტიანული სამყარო: დასავლურ-ევროპული, ბიზანტიური და აღმოსავლური. აღმოსავლურ-ქრისტიანული ცივილიზაცია „უპირისპირდება“ როგორც დასავლეთ ევროპას, ისე ბიზანტიას ამ აღმოსავლურ-ქრისტიანულ ცივილიზაციას ისტორიის ორი პერიოდი ჰქონია: ძველი, რომელიც არაბთა შემოსევას წინ უსწრებს (მამასადამე—IV—VII სს.), და მომდევნო, რომელიც მე-7 საუკუნიდან იწყება. „პირველ პერიოდში სომეხი და ქართველი ხალხები წარმოადგენდნენ მხოლოდ ნაწილებს აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროსას, მათ აქვთ საერთო კულტურა აღმოსავლეთის ქრისტიანებთან—სტრიელებთან, ქრისტიან სპარსელებთან და სხვებთან“. აღმოსავლურ-ქრისტიანულ კულტურას აქვს თავისი „ადგილობრივი“ (სიტყვას „ადგილობრივი“ შემდეგში ამ მოძღვრების ადებტები შესცვლიან სიტყვით „პროვინციალური“) გამოხატულება ამიერ-კავკასიაშიაც. „კულტურის ეს ადგილობრივი გამოვლინებანი“ ანუ „აღმოსავლურ-ქრისტიანული ცივილიზაციის საწყისების ეს ადგილობრივი განვითარება“ ეროვნულს, ნაციონალურ სახეს იღებს „თანდათან“ და „ნაციონალიზაციის სრულქმნას, სისავსეს აღწევს მხოლოდ არაბთა შემოსევის შემდეგ“, რასაც ადგილი ჰქონდა, როგორც ცნობილია, მე-7 საუკუნეში.

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ნებადართულია „კულტურის ადგილობრივს გამოვლინებებს“ ამიერ-კავკასიაში უკვე ეწოდოს ქართული და სომხური ეროვნ-

<sup>1</sup> Записка акад. Н. Я. Марра о Кавказском Историко-Археологическом Институте: ИРАН, 1917, № 13, стр. 980—981.



ნული კულტურები, მაგრამ, ამასთან ერთად, კონცეფცია მოითხოვს აღიარებულ იქნას რომ ეს გაეროვნულებული „ადგილობრივი გამოვლინებანი კულტურისა“ მაინც შეადგენენ „ერთს საერთო ტიპის ორს ნაცდინალურ სახესხვაობას“, რომ „მისი (ე. ი. ერთს საერთო ტიპის) ორივე ნაგვიანვე ნაციონალური განსხვავლება, ხორცშესხმა, სომხური და ქართული, შეადგენენ ერთს კულტურულ სამყაროს“, რომელსაც ჩვენს დროში უკვე „თავის თავში აერთიანებს სომხურ-ქართული ფილოლოგია“.

ხედმეტია სიტყვებს განვრცობა იმის შესახებ რომ ზემოთაღსაზრებულ შეხედულებანი, ვერ ჰპოვებენ ვერავითარს ისტორიულსა და ფაქტიურ დასაყრდენს და ამავე დროს მცთარი და მუნე არიან მეთოდოლოგიურად. მართლაც და, ვის შეუძლია დაამტკიცოს რომ, ქრონულ-კულტურული თვალსაზრისით, ვახტანგ გორგასლისა და იაკობ კურტაველის ქართლი (V ს. დამდევი) უფრო ახლოსა იმავ დროის სომხეთთან, ვთქვათ—ლაზარე ფარპელის სომხეთთან (VI ს. დამდევი), ვიდრე იოანე საზანიძისა და გრიგოლ ხანძთელის ქართლთან? ისეთი რა ცვლილება მოხდა კულტურის სფეროში არაბობის ხანაში? ელემენტარული და მტკიცედ დადგენილი ფაქტია რომ, თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში უკვე მე-5 საუკუნეში არსებობს ქრისტიანული ხასიათის მწერლობა ქართულსა და სომხურ ენებზე, მაშასადამე, უკვე მოცემულია ეროვნული კულტურის ეს ყველაზე არსებითი და თვალსაჩინო ნიშანი. ჩვენ აქ ხაზი მოვუსვით ტერმინ „კულტურას“ შესაძლო უკუთქმის წინააღმდეგ, ვინაიდან თუ სიტყვას ჩამოადებდნენ თვით ერის ანუ ნაციის შესახებ, მაშინ რაღა აზრი ექნებოდა მტკიცებას „ნაციონალიზაციის“ პროცესის დამთავრების შესახებ არაბულ ხანაში? ეროვნული მწერლობის არსებობა აშკარად მოწმობს აგრეთვე მღვდელთმსახურებას ეროვნულ ენებზე, რაც უთუოდ საინტერესო უნდა იყოს „ქრისტიანული ცივილიზაციის“ მკვლევარბათვის. მაშ რაღა ჰქმნის კულტურულ ერთიანობას ქართლის სამეფოსა და სპარსეთის. სამეფოს შორის ან ამ უკანასკნელის სომხურ ადმინისტრაციულ ოლქს შორის („პერსარმენია“), ვთქვათ, იმავე ვახტანგ გორგასლის ხანაში (მე-5 საუკუნის მეორე ნახევარი)? პოლიტიკური მომენტი? საეკლესიო დოგმატიკისა და რიტუალის სპეციფიკური ნიშნების სიახლოე? მაშინ რაღა უნდა გვეთქვა ჩვენ იმ ქართველების, სომხების, იტალიელების, პოლონელების, ჩეხების, ხორვატების, ფრანგების, გერმანელების, ისპანელების, ბასკების და მრავალ სხვათა შესახებ, რომელნიც რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნიან და რომელთაც ბოლომდე შეინარჩუნეს თვით საეკლესიო მღვდელთმსახურების ენა-კი?

რათქმაუნდა, მრავალსაუკუნოვანი ახლო ჯავშირები არსებობდა სომხურსა და ქართულ ეროვნულ კულტურებს შორის, მაგრამ ეს იყო ორი თავისთავადი ერთეულის ურთიერთობა და არა იგივეობა. ჩვენ მეტი უფლება გვქნებოდა გვემსჯელა საერთო კავკასიური სამყაროს შესახებ, რომელიც სხვა ელემენტებსაც შეიცავს; რატომ უნდა იყოს მისგან გამორიცხული თუნდაც ძველი ალბანია? ალბანელებს ეყოფათ ისიც, რაც მათ ნომადებმა დამართეს, რომ თანამედროვე მეცნიერებაც მათ უსამართლოდ არ მოექცეს!

მაგრამ კავკასიური სამყაროს ერთობაც სრულიად არ მოასწავებს მისი შემადგენელი ერთეულების ინდივიდუალური თვითმყოფობის გაუქმებას. ეს—ერთი. მეორე კიდევ ის იქნება რომ ეროვნული კულტურის ხასიათის განსაზღვრისას, მისი განვითარების რომელი საფეხურიც არ უნდა ავილოთ, შეუწყნარებელია მარტოდენ „საკლესიო ცივილიზაცია“ ნიშნებს დავეყრდნოთ. ვინ წაართვა ხალხებს უფლება ამ თავისებურს სამეცნიერო სამსჯავროში წარდგნენ შთელი თავისი სულიერი საგანძურით, რომელიც სიმდიდრის, მრავალფეროვნებისა და მოცულობის მხრივ განუზომლად აღემატება ოფიციალური საეკლესიო-კონტესიური იდეოლოგიის, წესწყობილებისა და ყოფის მართლაც რომ „ადგილობრივ გამოვლინებას“.

რომ ზემოთგანხილული შეხედულებანი არ იყო შემთხვევითი ინსტიტუტის იმდროინდელი მიმართულების განმსაზღვრელი ძალებისათვის, ეს ჩანს ინსტიტუტის მუშაობის პირველივე წლის საანგარიშო მოხსენებიდან. იგი გვამცნობს, მაგ., რომ 1917 წელს ინსტიტუტს მოუწყვია ექსპედიცია მესხეთში („Месхия“!), ამ „ძველ-კულტურულ რაიონში, რომელმაც ყველაზე უფრო მკაფიოდ აისახა თავის თავში, როგორც ფოკუსში, სრულიად სხვადასხვანაირი ლინგვისტიკურ და კულტურულ-ისტორიულ მიმდინარეობათა შეჯვარედინება, რომელსაც ჰქონდა თავისი განსაკუთრებული ისტორია და რომელმაც, იმავე დროს, საქართველოს ქრისტიანული ცივილიზაციისათვის ითამაშა უზარმაზარი როლი, ყველა ნიშნის მიხედვით უფრო მნიშვნელოვანი როლი, ვიდრე შირაკის ოლქმა, ქალაქ ანისთან ერთად, სომხური ცივილიზაციის ისტორიაში“<sup>1</sup>. ექსპედიციას, სხვათა შორის, გამოუკვლევია მესხეთის ხელოვნების ძეგლები, კერძოდ—სახელგანთქმული ზარზმის, ჭულესა და საფარის ტაძრების ხუროთმოძღვრება და მხატვრობა. ანგარიში ამტკიცებს (გვ. 240) რომ „შეგროვებული მასალები უნდა გამოყენებულ იქნას“ მკვლევრის მიერ „იმ სამუშაოში, რომელიც ეხება აღმოსავლურ-ქრისტიანული ტაძრების მრავალფეროვნებათა სქემების საკითხებს დაკავშირებით საკითხთან პროვინციალურ მიმდინარეობათა შესახებ ბიზანტიურ ხელოვნებაში“.

აქ მეთოდი მკაფიოდ ჩანს: კვლევა ეს-ეს არის იწყება, შედეგი-კი უკვე წინასწარ არის განსაზღვრული. ამ „შედგვიდან“ აშკარა ხდება რომ საქართველოს იმ უძველესი კულტურული რაიონის ხელოვნება, რომელსაც თურმე უზარმაზარი, გარდამწყვეტი როლი შეუსრულებია „საქართველოს ქრისტიანულ ცივილიზაციაში“, თვითონ განხილულ უნდა იქნას „ბიზანტიური ხელოვნების პროვინციალურ მიმდინარეობათა“ ასპექტში!.

საჭირო არ არის, რათქმაუნდა, დიდი ენერჯის განვითარება იმის საჩვენებლად რომ ეს შეხედულება სრულიად მცთარია როგორც მეთოდოლოგიურად, ისევე ფაქტიური მხრივაც. ჭვემით ჩვენ საგანგებოდ შეფერადებით „ვაკლენების“ საკითხზედაც, რომელიც უკვე იჩენს თავს ზემოთმოტანილ გრძელ ციტატაში.

<sup>1</sup> Отчет о деятельности Российской Академии Наук... за 1917 г.: Кавказский Историко-Археологический Институт, стр. 237.

3. შემდგომ წლებში ინსტიტუტის საქმიანობა სულ უფროდაუფრო უფერული ხდებოდა. აკად. ნ. მარი, რომელიც, ძველებურად, ლენინგრადში მოღვაწეობდა, ველარ ახერხებდა ინსტიტუტთან ახლოს ყოფნას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ინსტიტუტის მუშაობის მიშკვდარებისათვის იმ გარემოებას რომ ინსტიტუტმა ვერ დაამყარა კონტაქტი თბილისის მეცნიერულ ძალებთან, და ეს მაშინ როცა ამგვარ კავშირს პირდაპირ მოითხოვდა ინსტიტუტის წესდება. წესდების მე-20 მუხლის თანახმად, მაგ., ინსტიტუტის საბჭოში წევრებად შედიოდნენ კავკასიის მუზეუმის დირექტორი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და სომხური ეთნოგრაფიული საზოგადოების წარმომადგენლები, აგრეთვე, გარკვეული შემთხვევებისათვის, ადგილობრივი ქრისტიანული ეკლესიებისა და მაჰმადიანურ საზოგადოებათა წარმომადგენლებიც<sup>1</sup>. ინსტიტუტის მერყევი მდგომარეობის მაჩვენებელი იყო მისი რეორგანიზაციები, რაც სახელისა და ადმინისტრაციული დაქვემდებარების ცვლილებებში გამოიხატებოდა უმთავრესად. ასე, ერთი პირობა, ინსტიტუტი ატარებს „ამიერ-კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურის“, შემდეგ — „კავკასიისმცოდნეობის“, შემდეგ — „ამიერ-კავკასიის ცაკთან არსებული კავკასიისმცოდნეობის“, დასასრულ, კვლავ მარტივად „კავკასიისმცოდნეობის“ ინსტიტუტის სახელს.

მაღე ინსტიტუტი თავის თავშესაფარად აქციეს ისეთმა ელემენტებმა, რომელნიც იმდენადვე შორს იყვნენ მეცნიერებისაგან, რამდენადაც ახლოს ანტისახელმწიფოებრივ ძალებთან. მათ ინსტიტუტი ჩამოაქვეითეს მეცნიერულად უმნიშვნელო, თბილისის სამეცნიერო საზოგადოებრიობისაგან სახსვებით მოწყვეტილ პატარა დაწესებულებებს დონემდე.

1935 წლიდან რამდენიმე თბილისელი მეცნიერი მუშაკი იწყებს ინსტიტუტში მუშაობას იმ მიზნით, რათა შესაძლებლობის ზარღლებში აღადგინონ ინსტიტუტში მეცნიერული ინტერესები და დაუკავშირონ იგი ადგილობრივ მეცნიერულ-საზოგადოებრივ ნიადაგს. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. საჭირო იყო ამ დაწესებულების ძირეული გარდაქმნა და მისი სრული გადახალისება პირადი შემადგენლობის მხრივ. ეს პროცესი გაგრძელდა მთელი 1936 წლის სივრძეზე.

4. 1936 წლის იანვარში (საკავშ. მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის დადგენილება 23.1.1936 წ.) ინსტიტუტის ენის სექტორის (ხელმძღვანელი აკ. შანიძე) დაეწალა ქართულ-მეგრულ-ქანურ-სვანური შედარებითი ლექსიკონის შედგენა; გაიხსნა ახალი სექტორი — საქართველოს ისტორიისა, რომელიც მხოლოდ სამი უფროსი მეცნიერი თანამშრომლისაგან შედგებოდა (მუდმივი სწავლული კონსულტანტი — ივანე ჯავახიშვილი, უფროსი სწავლული სპეციალისტი — ნ. ბერძენიშვილი, სექტორის ხელმძღვანელი — ს. ჯანაშია), რაც სრულიადაც არ შეეფერებოდა იმ ვრცელ გეგმას, რომელსაც საქართველოს ისტორიის დარგში საკვლევო მუშაობის გაშლის თაობაზე შეიცავდა სპეციალური მოხსენებით ბარათი, წარდგენილი, 1935 წლის შემოდგომით, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმის სახელზე.

<sup>1</sup> ИРАН, 1917, № 15, 88 959.

შემდეგ, ფილიალის პრეზიდიუმისავე დადგენილებით (27.II.1936 წ.) ინსტიტუტს ეწოდა ახალი სახელი („აკად. ნ. შარის სახ. ამიერ-კავკასიის ხალხთა ისტორიის, მატერიალური კულტურის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი“) და ნაწილობრივ გადახალისდა ინსტიტუტის დირექციაც. იმავე წლის 12 მარტის დადგენილებით ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელმა ორგანოებმა შემდეგი სტრუქტურა მისცეს ინსტიტუტს. მოწყობილ იქნა სექტორები: 1) საქართველოს ისტორიისა და მატერიალური კულტურისა, 2) ენათმეცნიერებისა, 3) საქართველოს ლიტერატურისა და ფოლკლორისა, 4) ამიერ-კავკასიის ხალხთა ისტორიისა, 5) მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებისა და 6) ამიერ-კავკასიის ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიისა. ეს ცვლილებები ნაწილობრივ დადასტურებულ იქნა საკავშ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის 1936 წ. III.25-ის დადგენილებით.

საქ. ფილიალის პრეზიდიუმისავე დადგენილებით (7.VI.1936 წ.), რაც გამოწვეული იყო ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით ფილიალის მიერ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გაძლიერების შესახებ ენათმეცნიერებისა და ისტორიის დარგში, შეტანილ იქნა მეტი გარკვეულობა ინსტიტუტის სტრუქტურაში, ხოლო თვით ინსტიტუტს კვლავ გამოეცვალა სახელი („აკად. ნ. შარის სახელობის ამიერ-კავკასიის ხალხთა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი“). საბოლოო სახე ამ სახელმა („აკად. ნ. შარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი“) მიიღო კიდევ უფრო გვიან, 1936 წლის 9 ივლისსა და 21 ივლისს (ა. ჯ. სეს სხდომის ოქმი № 213). ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სექტორები: ქართველურ ენათა, ამიერ-კავკასიის ხალხთა სხვა ენებისა, მახლობელ აღმოსავლეთის ენებისა, ლექსიკოლოგიისა, ისტორიისა, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიისა, კაბინეტი შარის მემკვიდრეობის შესასწავლად. ენიშის-ს გადმოეცა ორი ყოფილი ინსტიტუტი—არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიისა და აგრეთვე სატერმინოლოგიო კომიტეტი<sup>1</sup>. სამაგვიეროდ ინსტიტუტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა ლიტერატურა და ფოლკლორი. იმავე წლის დეკემბერში მთლიანად გარდაიქმნა ინსტიტუტის დირექცია. მომდევნო, 1937, წლის დამდეგს ჩატარდა ინსტიტუტის გენერალური წმენდა შეუფერებელი ელემენტებისაგან. იმავე დროს, 19.IV.1937-ის დადგენილებით გაერთიანებულ იქნა ინსტიტუტის ორი სექტორი: ა/კ ხალხთა ისტორიისა და საქართველოს ისტორიისა, ხოლო იმავე წლის მაისის 22-ის ბრძანებით საბოლოოდ დაიხვეწა ინსტიტუტის სტრუქტურა, რომელმაც შემდეგი სახე მიიღო.

1. ქართველურ ენათა განყოფილება (გამგე—ა.კ. შანიძე; 1941.XI.23-დან ვ. თოფურია).
2. კავკასიურ ენათა განყოფილება (გამგე—არნ. ჩიქობავა).
3. ლექსიკოლოგიის განყოფილება (გამგე—ვ. თოფურია; 1943.I.21-დან კ. დონდუა).

<sup>1</sup> იხ. ბრძანება საქ. სსრ გან. სახ. კომისიისა № 957, 28.VIII.1936.

4. ისტორიის განყოფილება (გამგე—ს. ჯანაშია; 1939.IX.1-დან 6. ბერძენიშვილი).

5. არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილება (გამგე—გ. ნიორაძე. სექციების ხელმძღვანელები: ანთროპოლოგიისა—ალ. ნათიშვილი, ეთნოგრაფიისა—გ. ჩიტაია. 1938 წლის 1 ივნისიდან ეთნოგრაფიის სექცია გამოიყო ცალკე განყოფილებად, ანთროპოლოგიის სექცია-კი დაიხურა).

6. მახლობელ აღმოსავლეთის ენათა განყოფილება (გამგე—გ. წერეთელი).

7. ტერმინოლოგიის განყოფილება (გამგე—ვ. ბერიძე).

8. ფონეტიკის კაბინეტი (გამგე—გ. ახვლედიანი).

9. მარის კაბინეტი (გამგე—მ. ხუბუა. შემდეგში, 1939 წლის 1 ივლისიდან, ეს ორი კაბინეტი გაერთიანდა ერთ, ზოგადი ენათმეცნიერების, განყოფილებად გ. ახვლედიანის გამგეობით).

1939 წლის 1 ივლისიდან ინსტიტუტში მოწყობილ იქნა კიდევ ერთი, ახალი, განყოფილება—ფილოლოგიისა (გამგე—ა. შანიძე; 1940.X.7-იდან—ს. ყაუხჩიშვილი).

5. ამრიგად, ინსტიტუტის აღნაგობისა და მისი პირადი შემადგენლობის ჩამოყალიბებას საკმაოდ დიდი დრო მოუხდა, კერძოდ, 1936 წელი უმთავრესად საორგანიზაციო საქმეებს მოხმარდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს რომ მთელი ეს პროცესი უშუალოდ ~~მისი~~ ხელმძღვანელობით ჩატარდა. ~~მისი~~ მოწვეული თათბირები, რომლებზედაც ირჩეოდა ინსტიტუტის მოქმედების მიმართულების პრინციპული და თვით სამუშაო გეგმის საკითხები, ასევე ~~მისი~~ ცალკეული მითითებები ინსტიტუტის მთელი კოლექტივისათვის საუკეთესო სკოლას შეადგენდა მის წინაშე მდგომი ამოცანების გარკვევაში. შემდეგშიაც, თავის ყოველდღიურ მუშაობაში, ინსტიტუტი ყველაზე დიდ დახმარებას რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში ჰპოვებდა.

6. 1941 წლის 1 მარტიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიარსებასთან დაკავშირებით, „ენიმიკი“ გაიყო ორ მოძმე ინსტიტუტად: ა) აკად. ნ. მარის სახელობის ენისა და ბ) ისტორიის ინსტიტუტებად. ინსტიტუტის მიერ განცდილ ყველა ორგანიზაციისაგან განსხვავებით, ეს საორგანიზაციო აქტი შედეგი და ნიშანი იყო ინსტიტუტის ზრდისა და მომწიფების მაღალი დონისა, რამაც აუცილებელი გახადა მისი ახალი აღნაგობა. ამავე დროს აღსანიშნავია რომ გაყოფის შემდეგაც ინსტიტუტს დიდხანს შერჩა ერთიანი ხელმძღვანელობა: სამეცნიერო საბჭო ერთი იყო ვიდრე 1944 წ. ივლისამდე, დირექციაც—ერთი ვიდრე 1943 წ. 1 მარტამდე, როცა ენის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შესრულება დაევალა ვარლამ თოფურიას. უკანასკნელი დონისძიებანი აიხსნებოდა ახალი ინსტიტუტების წინაშე მდგომი საერთო ხასიათის ამოცანებით და აგრეთვე ბუნებრივი სურვილით, რათა „ენიმიკის“ სამეცნიერო საბჭოს შეენარჩუნებინა დისერტაციების მიღების უფლება მანამ, სანამ სათანადო ორგანოები ამ უფლებას არ მიანიჭებდნენ „ენიმიკის“ მემკვიდრე ინსტიტუტებს. პართლაც საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 16 თებერვლის განკარგულებითა და უმაღლესი სკოლების საქმეთა სრულიად საკავშირო კომიტეტის 1944 წლის 18 თებერვლის ბრძანებით როგორც ენის,



ისე ისტორიის ინსტიტუტებს მიენიჭათ სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების მიღების უფლება.

ხსენებული აქტით დედა ინსტიტუტსა და მის მემკვიდრე განაყოფ ინსტიტუტებს შორის არსებული შემდგომადობა დაკულ და განვითარებულ იქნა ამ მნიშვნელოვანი მიმართულებითაც.

7. ამრიგად, 1944 წლის იელისში შესრულდა 8 წელი მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დაარსებიდან. აქედან თითქმის ნახევარი ომის პერიოდზე მოდიც. უკანასკნელ გარემოებას, ცხადია, არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ინსტიტუტის საქმიანობის მასშტაბებსა და ფარგლებზე. მიუხედავად ამისა, ინსტიტუტმა შეინარჩუნა თავისი მუშაობის ძირითადი მიმართულება და იმავე დროს ფიცი დაძაბულად ემსახურებოდა ფრონტისა და ფრონტისათვის მომუშავე ზურგის ინტერესებს თავისი საკუთარი საშუალებებით.

8. აქ აღვნიშნავ არ არის ინსტიტუტის მიერ შესრულებული მუშაობის არსებითი შეფასებისა ან საბოლოო აღრიცხვისათვის<sup>1</sup>. მოვიტანთ მხოლოდ ზოგერთს ფაქტიურ მონაცემს.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ რომ, თავისი მოქმედების პირველივე ნაბიჯებიდან მოყოლებული, ინსტიტუტი საგანგებოდ იყო დაინტერესებული და ზრუნვითმოცული თავისი თეორიული ბაზისის სიწმინდისა და სიმტკიცის გამო. ინსტიტუტის იდეოლოგიური მრწამსი, ცხადია, იმავე მოწინავე, საბჭოთა მეცნიერების კრედიო იყო: მეცნიერება ხალხის სამსახურში თავისი სპეციფიკური საშუალებებით, როგორც ერთადერთი ნამდვილი მეცნიერება; მატერიალისტური დიალექტიკა, როგორც შემეცნების მეთოდი; საკაცობრიო მეცნიერული მემკვიდრეობა, როგორც აქტიური ათვისების საგანი; საბჭოთა პატრიოტიზმი და უმაღლესი ტექნიკური მომზადება, როგორც მოწინავე მეცნიერების მუშაობა მიუცილებელი აღჭურვილობა; ბრძოლა ცრუ-მეცნიერების, მეცნიერების ვულგარიზაციისა და მეცნიერული მეთოდის გაყალბების, ყოველი სახის მეცნიერული „წინააღმდეგ, როგორც პოზიტიური, შემოქმედებითი მუშაობის განუყოფელი პირობა.

ამასთანავე ინსტიტუტი ამოდიოდა იმ შეხედულებიდან, რომ ის გენერალური მეთოდოლოგიური პრინციპი, რომელიც დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორიის კონკრეტიზაციის სპეციფიკურ სახეს ჰპოვებს თვითველ ცალკე შემთხვევაში, ყველა მეცნიერებისათვის (მაგალითად—ენათმეცნიერებისათვის) უკერ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული, და რომ ამ მხრივ კიდევ დიდი ძიება ჩასატარებელი.

ნაჩვენებ პრინციპების ჭანხორციელებისა და განმტკიცებისათვის ინსტიტუტმა საკმაო შრომა გასწია როგორც თვით ინსტიტუტის შიგნით, ისე მის გარეთ მეცნიერული დისკუსიებისა და კრიტიკის სახით.

<sup>1</sup> საამისო მასალები ნაწილობრივ იხ. 1) ს. ჯანაშია, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქ-ში დიდი „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავზე: „ენიშვის მოამბე“ ტ. 1 და 2) გ. აბღლედიანი, თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში: თბ. უნივერსიტეტის „მოამბე“, XIX.

ასე, ინსტიტუტი აქტიურად გამოდიოდა ჰოკროვსკის სკოლის შეცოდება-თა აღორძინებისა თუ რეციდივების და, საერთოდ, ისტორიული მეცნიერების მეთოდის დამახინჯების, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა და მსოფლიო ისტორიის გაყალბების ცდათა წინააღმდეგ<sup>1</sup>. დიდი მუშაობა შეასრულა ინსტიტუტმა აგრეთვე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მიერ წამოწყებული „საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის თორმეტტომეულის“ სწორი გზით წარმართვისათვის<sup>2</sup>.

ენათმეცნიერების დარგში ინსტიტუტი დაადგა ასევე გარკვეული შეხედულებების გზას. მიიღო, რა, დიდ სახელთან ერთად, მარის უზარმაზარი მეცნიერული მემკვიდრეობა, როგორც ძვირფასი ჭაგანძური, რომელსაც სკირია დაცვა შესწავლა და შემდგომი გამდიდრება, ამავე დროს ინსტიტუტმა გადაჭრით უარყო იაფეტიდოლოგიის პრეტენზია იყოს მარქსიზმის მომწიფებული წარმომადგენელი ენათმეცნიერებაში. ინსტიტუტმა კატეგორიულად უარყო, კერძოდ, იაფეტიდოლოგიის ისეთი პრინციპები, როგორცაა: 1) „ოთხი ელემენტი“, როგორც ისტორიული თეორია და როგორც საკვლევო მეთოდი („პალეონტოლოგიური მეთოდი“), 2) ენათა სტადიალური კლასიფიკაცია და, საერთოდ, თვით მოძღვრება სტადიების შესახებ, რომელიც სცვლის მარქსიზმ-ლენინიზმის ნათელ მოძღვრებას საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ, 3) ენათა მონათესაობის გენეტური წარმოშობის სრული უარყოფა და მისი უნივერსალური ახსნა სხვადასხვა ტომის სამეურნეო-საზოგადოებრივი დაახლოების ნიადაგზე, 4) ნაციონალური ენების შეზღუდვა კლასობრივი ენების ფარგლებამდე და ენების კლასობრივი ბუნების დაყვანა ფონეტიკის კლასობრივ ხასიათამდე, 5) წოდებათა წარმოშობა სხვადასხვა ტომთა ბატონობა-მორჩილების ურთიერთობიდან, რაც სცვლის მარქსისტულ თეორიას კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის შესახებ, 6) დასავლეთ ევროპის მიჩნევა ბგერითი ენის, პალეოლითური, ნეოლითური და ბრინჯაოს კულტურების სამშობლოდ, და სხვა.

ინსტიტუტს თავისი მეთოდოლოგიური შეხედულებები ენათმეცნიერების დარგში წარმატებით გაჰქონდა ინსტიტუტის გარეთაც—კერძოდ, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სესიაზე 1940 წლის მაისში<sup>3</sup>.

ისტორიული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი განყოფილებების მუშაობას, ემყარებოდა თანამედროვე მეც-

<sup>1</sup> იხ., მაგ. ა) ს. ჯანაშია, გაზ. „კომუნისტი“ და გაზ. «Заря Востока» 1936. XII. 31: „ბეთების ისტორიისა და ენის საკითხისათვის“ და ბ) მის რეკ. «Известия», 1940. VII. 11 «Историк-марксист», 1940 (უფრო ვრცელი სახით): «История СССР и история народов Кавказа».

<sup>2</sup> ინსტიტუტის თანამშრომლებმა (ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა და ს. ჯანაშიამ) დასწერეს 12-ტომეულისათვის საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან მე-19 ს. დამდეგამდე, 30 თაბ. მოცულობისა; ს. ჯანაშიამ იმავე გამოცემისათვის დასწერა აგრეთვე კავკასიის შიგელ ხალხთა ისტორია. ეს ნარკვევები ჯერ გამოუქვეყნებელია. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტი 12-ტომეულის მასალების კრიტიკულ განხილვაშიაც საერთოდ.

<sup>3</sup> იხ. А. Чикобава, Проблема языка, как предмета лингвистики, в свете основных задач советского языковедения: „ენიკის მოამბე“. ტ. X, გვ. 355—410.

ნიერების ყველაზე შემოწმებულ დებულებებს: ძველი საქართველო უფრო ვრცელი სამყაროს ორგანული, მაგრამ თავისთავადი ნაწილია; ამ სამყაროს შეადგენს ვიწრო ასპექტში კავკასია, ფართო ასპექტში—ძველი აღმოსავლეთი, რომელთა სხვა კომპონენტებსაც საქართველო უკავშირდება მრავალსახოვანი და ნაირსახოვანი გენეტიური და ისტორიული კავშირებით; კომპონენტების დამოუკიდებელი შესწავლა განვითარებაში ხელს უწყობს და მოითხოვს კიდევაც მათი კავშირების შესწავლას იმავე თვალსაზრისით: სათანადო მეცნიერებათა მდგომარეობის დონე აუცილებელს ხდის კომპლექსური მეთოდის გამოყენებასა და ცალკეული დისციპლინების (ენათმეცნიერება, ისტორია და არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია...), კოოპერაციას; საშუალო და ახალი საუკუნეებისათვის ფართოდება ისტორიული გარემო და ჩნდება ახალი კავშირები (რუსეთი, დასავლეთი ევროპა, ისლამის ქვეყნები...)¹.

ისტორიული გარემოს პრობლემა ინსტიტუტის საგანგებო ყურადღების არეში აქცევდა ე. წ. „გავლენების საკითხს, რადგანაც ამ სფეროში ჩვენ განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ცალმხრივს ან სრულიად ყალბ შეხედულებებსა და მტკიცებებს. მაგალითისათვის, „ძირფესვიანად მცთარად მიგვაჩნია ის შეხედულება, რომელმაც, სამწუხაროდ, გავრცელება მოიპოვა და რომელსაც დაჰყავს, რუსთაველის ეპოქის ქართული კულტურის სინკრეტული ხასიათის თეორიის ფორმით, მნიშვნელოვანი პრობლემა ქართული კულტურის გარემოს შესახებ—მექანისტურ გაგებად, რომლის მიხედვითაც გარედან მომავალსა და შეჯვარდინებულ გავლენებს შეუძლიათ შექმნან ეროვნული კულტურები, უცნაური და მახინჯი ჰიბრიდები.

რომ გარედან მომავალი გავლენების ნაკადთა არავითარ სინთეზს, არავითარს ჰარმონიულ შერწყმას არ შეუძლია წარმოშვის ახალი ორიგინალური კულტურული მოვლენა, თუ ამისათვის არ ვრსებობდა სათანადო და საკმაო შინაგანი პირობები, ამაში ჩვენ შეიძლება ისტორიულად დაფრწმუნდეთ იმ ქვეყნების მაგალითზე, რომელნიც როგორც გეოგრაფიულად, ისე კულტურულ-ისტორიულად, გაცილებით უფრო მკიდროდ, ვიდრე საქართველო, დაკავშირებული იყვნენ ირანთან, რომლის ლიტერატურულ ზემოქმედებაზედაც ასე ბევრს ლაპარაკობენ²: ამ ქვეყნებში, სათანადო ხანაში, ჩვენ ვხედავთ ეროვნული კულტურის ზოგიერთი დარგის, მათ შორის თვით ლიტერატურის გარკვეული ენარების, განვითარების მაღალ დონეს, მაშინ როცა საერო პოეზია აქ მხოლოდ ჩანასახის ევითარებაში იმყოფება³. ამრიგად, გარედან მომავალი გავლენის შემთხვევაში საჭირო ხდება ადგილობრივი ნიადაგისა და მისი შემხვედრი ზემოქმედების გათვალისწინებაც. გარდა ამისა, საძიებელია ურთიერთობის პირუკუმიქ-

¹ ამ საკითხებისათვის იხ.: ივ. ჯავახიშვილი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში და ს. ჯანაშია, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავზე: „ენიმკის მოამბე“.

² ივლინისებმა საყოველთაოდ გავრცელებული თეზისი ქართული საერო მწერლობის სპარსულის ზეგავლენის შედეგად წარმოშობის შესახებ.

³ იხ. „ენიმკის მოამბე“, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილის, III ტომის წინასიტყვაობა ს. ჯანაშიათ.

ცული პროცესების მოვლენებიც. მათი გამორიცხვა აპრიორულად შეუწყნარებელია.

9. გადავდივართ ინსტიტუტის მუშაობის შედეგების ფაქტიურს სქემატურ მიმოხილვაზე. დავიწყებთ საკუთრივ საკვლევო დარგით.

ენათმეცნიერება. ინსტიტუტის ორგანიზაციის ინიციატორებმა იმთავითვე მის კოლექტივს შემდეგი უპირატესად ენათმეცნიერული ხასიათის ამოცანები დაუსახეს:

ა) „კავკასიურ და, უმთავრესად, ქართველურ ენათა წარმოშობისა და ისტორიის შესწავლა“, ბ) „ამ ენების შედარებითი და ისტორიული გრამატიკებისა და ეტიმოლოგიური ლექსიკონების შედგენა“, გ) „ქართული ისტორიული ლექსიკონის, აგრეთვე ქარბულ-რუსული და სხვა ლექსიკონების შედგენა“. აქედან, ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიული განვითარების შესწავლისათვის დაწერილია და. გამოცემული შემდეგი მონოგრაფიები: 1) ჭანურის გრამატიკული ანალიზი (ა. ჩიქობავა. 1936), 2) სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში (ა. ჩიქობავა. 1942), ვ) გურული კილო (ს. ჟღენტი. 1936), ხოლო მრავალი წერილი გამოკვლევა გამოქვეყნებულია ინსტიტუტის თუ სხვა ორგანოებში.

ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი და დიალექტოლოგიური შესწავლისათვის გამოქვეყნებულია: 1) ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (ა. ჩიქობავა. 1938), 2) გურული ლექსიკონი (გ. შარაშიძე. 1938), 3) ზემო-იმერული ლექსიკონი (ბ. წერეთელი. 1938), 4) ლეჩხუმური ლექსიკონი (მ. ალავეძე. 1938), 5) ქიზიყური ლექსიკონი (სტ. მენტეშაშვილი. 1943). პუბლიკაციის ელის რიგი სხვა ლექსიკონები. შეუწყვეტივ მუშაობდა ინსტიტუტი აგრეთვე დიდს ქართულს განმარტებითს ლექსიკონზე.

ისტორიულ-დოკუმენტური ხასიათის ლექსიკონებიდან გამოქვეყნებულია: 6) ფარსადან გორგიჯანიძის ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი (გამომც. ვლ. ფუთურიძე. 1941).

თარგმნითი ლექსიკონებიდან დამზადდა და გამოიცა: 7) რუსულ-ქართული ლექსიკონი (ვ. თოფურია და ს. ყაუხჩიშვილი. გამოცემულია ორჯერ: 1938 და 1940), 8) ქართულ-რუსული ლექსიკონი (გ. ახვლედიანი და ვ. თოფურია. 1942), 9) ლათინურ-ქართული ლექსიკონი (ს. ყაუხჩიშვილი. 1940).

დიალექტოლოგიურ მიზნებს ემსახურებოდა ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი ექსპედიციები, მივლინებები და მოგზაურობანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მის გარეთაც. ამ მუშაობის შედეგად, ისე როგორც წინათ ჩატარებული ანალოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული მასალის გამოქვეყნება ინსტიტუტის ერთს პირველ საზრუნავთაგანს შეადგენდა.

ქართველურ ენათა ცოცხალი მეტყველების ძეგლთა გამოცემის ხაზით შესრულებულია: 1) სევანური პროზაული ტექსტები, 1. ბალსზემოური კილო (ა.კ. შანიძე და ვ. თოფურია. 1939), 2) სევანური პოეზია. 1 სიმღერები (ა.კ. შანიძე, ვ. თოფურია და მ. გუჯაჯიანი), 3) ჭანური ტექსტები (ი. ყიფშიძე. 1939), 4) ჭანური ტექსტები. არქაბული კილოკავი (ს. ჟღენტი. 1938), 5) ჭანური ტექსტები (ვიწურ-არქაბული და ათინური) (ა. ჩიქობავა, „ჭანურის გრამატიკული

ანალიზის“ დამატება. 1936), 6) მეგრული ტექსტები (მ. ზუბუა. 1937), 7) გურული ტექსტები (ს. ჟღენტი. „გურული კილოს“ დამატება. 1936).

დამახასიათებელია ისტორია იმ ქანური ტექსტებისა, რომლებიც ჩაწერილი იყო 1917 წელს ცნობილი ქართველი მეცნიერის იოსებ ყიფშიძის მიერ ოსმალეთის ლაზისტანში. მიუხედავად იმისა, რომ პროფ. ი. ყიფშიძე მივლენილი იყო ლაზისტანში ყოფ. „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის“ მიერ და იმის მიუხედავადაც, რომ ამ ინსტიტუტის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შორის მეცნიერული მნიშვნელობით ყიფშიძის ქანური ტექსტებს ერთი პირველი ადგილთაგანი ეკირა, მათი გამოცემა ინსტიტუტის მესვეურებს თავშიაც არ მოსვლიათ 18 წლის განმავლობაში. სამაგიეროდ, როცა ახალმა ინსტიტუტმა ტექსტების გამოცემის საკითხი პრაქტიკულად დააყენა, მასალები ინსტიტუტთან გაიტაცეს. ისინი ბაქოდან უკან დაბრუნებულ იქნენ მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ჩარევის წყალობით, სამწუხაროდ, ეხლა უკვე განახევრებული სახით<sup>1</sup>.

ინტენსიურ მუშაობას აწარმოებდა ინსტიტუტი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის უნიფიკაციისა და რეგლამენტაციისათვის. დამუშავებულია და გამოცემული, ვ. ბერიძის რედაქციით, ტერმინოლოგიური ლექსიკონები (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული): 1) აღრიცხვისა (ლ. კარბელაშვილი. 1942), 2) მეშენებარეობისა (ალ. მაყაშვილი. 1938), 3) ენტომოლოგიისა (ლ. კალანდაძე და ვ. ბაქრაძე. 1938), 4) სოციალურ-ეკონომიური (1936), 5) ტექნიკისა (ვ. ოშიაძე. 1943), 6) მათემატიკისა (1944) და გ. ახვლედიანის რედაქციით: 7) გეოლოგიისა (გ. ლომთათიძე, მ. ფოფხაძე და კ. ჯავრიშვილი. 1941).

როგორც უკვე იყო ზემოთ განმარტებული, ქართველური ენებისა და ქართული კულტურის ისტორიული შესწავლა, ინსტიტუტის რწმენით, მკიდროდ არის დაკავშირებული წინა აზიის უძველესი ენებისა და კულტურების სტრუქტურისა და შემადგენლობის საკითხებთან. ინსტიტუტი შეძლებისდაგვარად, სპეციალისტების მწვავე ნაკლებობის პირობებში, მუშაობდა აღნიშნულ საკითხებზედაც. ძირითად უჯრედს ამ მუშაობისას წარმოადგენდა ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ენათა განყოფილება. მან უწყებელი მიმართულებით გამოაქვეყნა შემდეგი ორი დიდი მონოგრაფია, რომელთაც უკვე ჰპოვეს საბჭოთა და უცხოეთის სამეცნიერო საზოგადოებრიობის აქტიური გამოძახილი: „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები (გ. წერეთელი. 1939), (და 2) Армазская былинга. Двухязычная надпись, найденная при археологических раскопках в Микета—Армази (მისივე, 1941).. საეურნალო წერილებიდან დავასახელებთ: 3) Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока (И. А. Джавахишвили): Вестник Др. Истории, 1939, № 4; 4) К этимологии названия Топата (ა. შანიძე), 5) მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის (ქართველური ენებისა

<sup>1</sup> „კავკასიის ისტ.-არქ. ინსტიტუტის“ 1917 წლის მუშაობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ი. ყიფშიძეს ჩაუწერია ტექსტები 15 თაბახის მოცულობით, იხ. Отчет... РАН за 1917 г., стр. 237.



და ხალხურის ურთიერთობისათვის. ა. ჩიქობავა), 6) თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი (ს. ჯანაშია, 1937), 7) უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე (ს. ჯანაშია, 1940) და სხვ.

არა ნაკლები ინტერესის და უფრო ფართო დაყენების საგნად იქცა ინსტიტუტში მთის კავკასიური ენების შესწავლა. ინსტიტუტში ცალკე სპეციალისტების სახით წარმოდგენილი იყო შემდეგი მთის კავკასიური ენები: აფხაზური, ადიღური, ბაყბურ-ქისტურა, ლაკური, ხუნძური, დარგოული, უდური, ბუღუზური და აგრეთვე თავისებურ პოზიციაში (ლინგვისტურად) მდგომი ოსური. ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილებამ დიდი მუშაობა ჩაატარა და საბჭოთა კავშირის წამყვან მეცნიერულ უჯრედად იქცა კავკასიოლოგიის უწყებულ დარგში. გამოქვეყნებულია მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ინსტიტუტის ამ ხასიათის გამოცემათაგან პირველ რიგში უნდა ხსენებულ იქნეს აკად. ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტალური ნაშრომი: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937).

ქართველი ხალხის სამოქალაქო ისტორია, ისტორია მისი საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული დაწესებულებებისა, სახალხო მეურნეობის ისტორია საქართველოში ინსტიტუტის ყურადღების ცენტრში იდგა მის სხვა წამყვან პრობლემებთან ერთად. ჩამოთვლილ საკითხებს მიეძღვნა შემდეგი მსხვილი მონოგრაფიები და გამოცემები: 1) ქართველი ერის ისტორია. წ. III. XIII-XIV სს. (ივ. ჯავახიშვილი, 1941), 2) საქართველოს ისტორია უძველეს დროიდან XIX ს. დამდეგამდე (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ს. ჯანაშიას რედაქციით, 1943), 3) ქვემო-ქართლი XVIII ს. პირველ მეოთხედში (იას. ლორთქიფანიძე, 1938), 4) Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XV вв.) (ნ. ბერძენიშვილი, 1938), 5) თბილისის ისტორიისათვის (შ. ჩხეთია, 1938), 6) გ. შარვაშიძე, ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან (ს. ჯანაშია, 1939) 8) მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის ამიერ-კავკასიაში (პ. გუგუშვილი, 1939), 9) შინამრეწველობა ამიერ-კავკასიაში (პ. გუგუშვილი, 1939), 10) Восстание в Имеретии 1819—1820 гг. (ნ. მახარაძე, 1942), 11) Имеретия и Грузия в период 1804—1840 гг. (ალ. ფირცხალაიშვილი, 1942), 12) თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (შ. მესხია, 1939), 13) დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით (ვ. გაბაშვილი, 1943).

პარალელურად, ინსტიტუტის კოლექტივის ენერგიის თვალსაჩინო ნაწილი ხმარდებოდა საქართველოს ისტორიის ორიგინალური და უცხოური წყაროების მეცნიერულ გამოკვლევას. ამ საქმეებით და კიდევ უფრო ფართო ინტერესებით იყო გამოწვეული რომ ინსტიტუტმა იმთავითვე მიზნად დაისახა ქართული ფილოლოგიის, როგორც საქართველოს ისტორიისა და, საზოგადოდ, ქართველთმცოდნეობის ერთი უმნიშვნელოვანესი დაძვარე დარგთაგანის, განვითარებისათვის ხელისშეწყობა, რაც, როგორც უკვე ზემოთაც იყო აღნიშნუ-

<sup>1</sup> სრული მიმოხილვა იხ. ა. ჩიქობავა. მთის კავკასიურ ენათა შესწავლისათვის გეგმა: აენიშის მოამბე ტ. XII.

ლი, ფილოლოგიის განყოფილების ორგანიზაციაშიც გამოიხატა. როგორც ამ განყოფილების ხაზით, ისე საერთო საინსტიტუტო სამუშაოების ხაზითაც ინსტიტუტმა გამოსცა მთელი რიგი ძეგლები იმ სახით, როგორც ეს ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნილებას შეეფერება და რაც ესოდენ მწვავედ აკლდა, კერძოდ—საქართველოს ისტორიას: კრიტიკულად დადგენილი ტექსტი მთელი საქირო სამეცნიერო და საცნობო აპარატით. ასე, საქართველოს ისტორიის წყაროებიდან ინსტიტუტმა გამოსცა:

I. ისტორიკოსები: 1) აბუსერიძე ტბელი (რედ. ლ. მუსხელიშვილი), 2) ბასილი ეზოსმოდგარი, თამარის მეორე ისტორიკოსი (რედ. ივ. ჯავახიშვილი), 3) დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია (რედ. თ. ლომოური), 4) ბაგრატი ბატონიშვილი (რედ. თ. ლომოური), 5) ბერი ვენატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება (რედ. ივ. ჯავახიშვილი), 6) თამარის პირველი ისტორიკოსი, ისტორიანი და აზმანი შარაფანდეთანი (რედ. კ. კეკელიძე), 7) ქართლის ცხოვრება ანა დედოფლისეული ნუსხისა (რედ. ს. ყაუხჩიშვილი).

II. დოკუმენტები: 1) დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I: ბატონყმური ურთიერთობა (რედ. ნ. ბერძენიშვილი), 2) ვაჰანის ქვაბთა განგება (რედ. ლ. მუსხელიშვილი), 3) გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (რედ. ს. ჯიქია), 4) სვანეთის საისტორიო ძეგლები (რედ. პ. ინგოროყვა); შემდეგ მოდის ძეგლები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ არა მარტო საქართველოს, არამედ ამიერ-კავკასიის სხვა ქვეყნების ისტორიისათვისაც: 5) История горной промышленности Закавказья. т. I: Грузия (რედ. პ. აკრიტასი და შ. ჩხეტია), 6) Нахичеванские рукописные документы XVI—XIX вв. (რედ. ი. მარი), 7) Указы Кубинских ханов.

წმინდა ისტორიული წყაროების გარდა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა ძველი ქართული მწერლობის რიგი ძეგლები, რომელნიც გარკვეულ ინტერესს შეიცავენ ისტორიკოსისათვისაც. მათ შორის დავესახელებთ: 8) „ტიმოთე ანტიოქელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა“ (კ. კეკელიძის რედ., 1940), 9) „მარტვილობაი თეკლასი“ (ილ. აბულაძის რედ., 1940), 10) „ელინთა ზღაპრობანი“ (ილ. აბულაძის რედ., 1941).

ანალოგიური ხასიათის ძეგლები რიგი უკვე იბეჭდება, კიდევ უფრო გრძელი რიგი-კი სტამბაში ვაგზავნას ელის.

ინსტიტუტის რწმენით, ყოველმხრივ საქირო საქმეს წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების გამოცემა, ე. ი. იმ საქმის გაგრძელება, რომელიც დაიწყო სტალანის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კაბინეტმა და შემდეგში გაუმართლებლად შეწყვეტილ იქნა. ამ მიმართულებით უკვე გამოქვეყნებულია: 1) გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV, ნაკვ. I (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. 1940), 2) იგივე, ტ. IV, ნაკვ. II (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. 1944), 3) პლანო კარპინი. ისტორია მონღოლებისა (გ. ქიქოძის თარგმანი. 1942), 4) რუბრუჯისი გვილიომ, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში (გ. ქიქოძის თარგმანი. 1943), 5) ჰაჯი-მეჰდი-ყული ყაჯარი. უკეთესთავან უკეთესი (თარგ-

მანი ელ. ფუთურძისა. 1942). მომზადებულია გამოსაცემად ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორცაა: 1) ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, 2) შარდენის მოგზაურობის ახალი, კრიტიკული თარგმანი, 3) ისეთი ავტორები, რომელთა ცნობები საქართველოზე დღემდე სრულიად უცნობი და გამოუყენებელი იყო: მინადოი, გარსია დე ჟიგერია, სოლოსი, ლაშბერტი (უცნობი ნაწარმოები).

რესპუბლიკის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებად გადაიქცა ინსტიტუტი არქეოლოგიის დარგშიც. ინსტიტუტის გეგმა თავიდანვე ითვალისწინებდა მიზანშეწონილ სისტემატურ გათხრებს ამისათვის საგანგებოდ შტრჩეულ რაიონებში—წინასტორიული, ანტიკური და ფეოდალური საქართველოს ცენტრებსა და მნიშვნელოვან პუნქტებში. გათხრებს წინ უნდა წასდლოდა ფართოდ დაყენებული დაზვერვა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ინსტიტუტი აგრეთვე მოპოვებული მასალის დაუგვიანებელ დამუშავებას, შესწავლასა და გამოქვეყნებას.

ჩატარებულია გათხრები, დაზვერვები და სხვა ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოები: დაბლა-გომში (1936 წ., ხელმძღვანელები ნ. ბერძენიშვილი და ბ. კუტეჩი), ბოლნისში (1936, ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი, ჯგუფის უფროსი ლ. მუსხელიშვილი), ალაზნის ველზე, არხილოსკალოში (1937, ხელმძღვანელი გ. ნიორაძე), ბაშკიჩეთის რაიონში, სოფ. სათარლუს მახლობლად (1937, ხელმძღვ. გ. ნიორაძე), სოფ. ოდიშში, სამეგრელო (1937, ხელმძღვ. ალ. კალანდაძე), ყურღან „ნაოხვამე“-ზე, კოლხეთის დაბლობში (1938—1940, ხელმძღვან. ა. იესენი, გ. ნიორაძე), ლებში (1938—1940, ხელმძღვ. გ. გობეჯიშვილი), სოფ. დიდ-განთიადშო, ძირულას ხეობა (1939, გ. ნიორაძე), ჩხოროწყუში (1939, ნ. ხოშტარია), სამშვილდეში (1939, ლ. მუსხელიშვილი).

განსაკუთრებით დიდი გაქანება ინსტიტუტის სამუშაოებმა მიიღო საქართველოს უძველესი დედაქალაქის მცხეთის ტერიტორიაზე, სადაც ძიება წარმოებდა და წარმოებს სამ დიდ უბანზე: სამთავროს მინდორში, არმაზის ხევთან და ბაგნიოზე. გათხრითი სამუშაოები დაიწყო არმაზის ხევთან 1937 წ., სადაც იმავე წელს და მომდევნო წელს გამოვლინდა დიდი აბანოს ნაშაი, ჩანს ჩვენი წელთაღრიცხვის დამდევისა, და რიგი სამარხები (ხელმძღვ. გ. ნიორაძე და ს. ჯანაშია, ჯგუფის უფროსი ალ. კალანდაძე), სამთავროს მინდორში 1938—1941 წწ. (ხელმძღვ. ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, ჯგუფების უფროსები ალ. კალანდაძე და მიხ. ივაშჩენკო), სადაც გახსნილ იქნა, დიდს ისტორიულ მონაკვეთზე (მეორე ადასწლეული, ჩვენს წელთაღრიცხვამდე—ფეოდალური ხანა) განფენილი, სამარხები მანამდე უნახავი რაოდენობით: 1938 წ.—350; 1939 წ.—740, 1940 წ.—400; სამარხები შეიცავდნენ უმდიდრესსა და უმრავალფეროვანეს ინვენტარს; აქვე მოპოვებულია სხვა მნიშვნელოვანი ცალკეული ძეგლები, მათ შორის—წარწერიანი სტელები. არმაზისხევთან მეორე წყების სამუშაოებმა 1940—1941 და 1943—1944 წ.წ. (ხელმძღვ. ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, ჯგუფის უფროსები ა. კალანდაძე, ა. აფაქიძე, გ. ლომთათიძე) წარმოაჩინეს, ამიერიდან საყოველთაოდ ცნობილი, ძველი ქართლის

ურისთავთა საგვარეულო ნეკროპოლი თავისი გასაოცარი ძეგლებით<sup>1</sup>. მესამე უბანზე, ბაგნითში, მუშაობა წარმოებდა აკროპოლისა და მის შიგნით მომწყვდეულ კაპიტალურ ნაგებობათა გამოვლინებისათვის (ჯფუფის უფროსი ა. აფაქიძე). მიღებული შედეგები ფართო პერსპექტივებს შლის საქართველოს ძველი დედაქალაქის იმ ნაწილის შესწავლისათვის, სადაც სამეფო რეზიდენციაა საძიებელი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს რომ ომის მიერ შეწყვეტილი სამუშაოები ექსპედიციამ განაახლა უკვე 1943 წელს, ომისავე პერიოდში, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანიზების დახმარებით (ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე გ. გობეჯიშვილი).

გამოქვეყნებულია შემდეგი მონოგრაფიები: 1) ალაზნის ველის გათხრები (გ. ნიორაძე, 1940), 2) ბოლნისი (ლ. მუსხელიშვილი, 1938), 3) Археологические раскопки в Трналети, кн. 1. Опыт периодизации памятников (Б. Күфтин, 1941), ქვა-ჯვარანი საქართველოში (ვ. თოფურია, 1942), 4) Материалы к изучению культуры колхов (მ. ივაშენკოსი, 1941), 5) Чхороику. Могильник с трупосожжением (захоронение в урнах) и остатки поселения (ბ. ხოშტარია, 1941), 6) Армази (ლ. მელიქსეთ-ბეგი, 1938), 7) Стекланные многогранные печати, найденные на территории Грузии (მ. მაქსიმოვა, 1940), 8) უკან-გორის ისტორიული ნაშთები (ლ. მუსხელიშვილი, 1940), 9) სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი (ლ. მუსხელიშვილი, 1943).

გეგმიანი და სისტემატური ხასიათი ჰქონდა იმ ვრცელ საქმიანობას, რომელიც ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებამ გაშალა ახალი მასალებისა და კოლექციების მოპოვების, შესწავლისა და გამოქვეყნების ხაზით. თუ რამდენად ფართოდ იყო დაყენებული, მაგალითისათვის, საველე მუშაობის საქმე განყოფილებაში, ჩანს იმ კერძო მაგალითიდან, რომ ინსტიტუტის მართო 1939 წლის ეთნოგრაფიული მივლინებისა და ექსპედიციების ანგარიშებმა ერთი დიდტანიანი ტომი ვააკსეს „ენიმის მოამბე“, XI). სპეციალურად აღსანიშნავია განყოფილების წარმატებითი მონაწილეობა ეთნოგრაფთა საკაფირო კონფერენციებსა და თათბირებში (მაგ. ლენინგრადში, 1938), სადაც აშკარა გახდა განყოფილების წამყვანი როლი საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიული შესწავლის დარგში.

გამოქვეყნებულია შემდეგი მონოგრაფიები: 1. ქართული ხალხური ორნამენტი. I. ხევსურული (ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, 1939), 2) სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალ-წლის ციკლი (ვ. ბარდაველიძე, 1939), 3) ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ვ. ბარდაველიძე, 1942), 4) დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში (რ. ხარაძე, 1939), 5) კოლექტიური ნადირობის გარდმონაშთები რაქაში (ალ. რობაქიძე, 1941).

ამას გარდა „საქართველოს ეთნოგრაფიის მასალების“ ხაზით გამოქვეყნებულია: 1) ხიზანაშვილი ნ. (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები (გ. ჩიტაიას რედაქციით, 1940), 2) აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ს. ჯანაშია, Памятники древней истории Грузии, —გაზ. „Правда“ 29.V.1941. იგივე, უფრო სრულად, გაზ. „კომუნისტში“ LVI.1941, გ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძ. არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში. 1944, ვ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა.



სასულიერო ტექსტები (ე. ბარდაველიძის რედაქციით. 1938), 3) მიცვალებულის კულტი ხევსურეთში (ბალიაური და სხვანი. გ. ჩიტაიას რედაქციით. 1940), 4) მიცვალებულის კულტი სამეგრელოში (თ. სახოკია, გ. ჩიტაიას რედაქციით. 1940).

ვინაიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებამდე, ინსტიტუტის არსებობის პერიოდში, ქართული ხელოვნების შესწავლის საორგანიზაციო პირობები მოუგვარებელი იყო, ინსტიტუტმა სცადა ხელი შეეწყო ქართველი ხალხის მდიდარი მემკვიდრეობის გამომზეურებისათვის ამ სფეროშიაც. თუმცა ფორმალურად მას ეს არ ეკისრებოდა. ამის შედეგად გამოქვეყნებულია სპეციალური გამოკვლევები და გამოცემები: 1) *Болнисский Спос* (გ. ჩუბინაშვილი. 1940), 2) ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები (რ. შერლინგი, გ. ჩუბინაშვილის რედაქციით. 1940), 3) აეჯი ძველ ქართულ ფრესკებსა და ქედურ ხელოვნებაში (ტ. ხერხეულიძე. 1941). 4) რუისის ტაძრის ისტორიისათვის (გ. ჩუბინაშვილი. 1940) 5) ნიკორწმინდა და მისი ადგილს საქართველოს კულტურაში (ლ. მაცულევიჩი. 1938), 6. შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში (შ. ამირანაშვილი. 1938) და სხვ.

ინსტიტუტს სპეციალურად იყო დაინტერესებული თავისი სამეცნიერო დარგების მეცნიერული ბიბლიოგრაფიით. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დასახელებულ იქნეს ინსტიტუტის შემდეგი გამოცემები: „ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“. „წიგნი I: ქართველური ენები“ (გ. ახვლედიანის რედაქციით. 1937). „წიგნი II. კავკასიური ენები“ (გ. ახვლედიანის რედაქციით. 1940), სადაც წმინდა ბიბლიოგრაფიული მასალა ვრცელდებოდა მეცნიერული ანოტაციის თანხლებითაა წარმოდგენილი, და „საქართველოს მუზეუმის 5 ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი“ (აე. შანიძე და ალ. ბარამიძე. 1939). შედგენილია და დაბეჭდვას ელის ენიმქის გამოცემათა სრული ბიბლიოგრაფია (გ. ბაქრაძე. 1944). დამზადდა და სანახევროდ დაიბეჭდა კრძევაც ქართულ ისტორიულ თხზულებათა საძიებლები.

10. წმინდა საკვლევო მუშაობის გარდა ინსტიტუტი ეწეოდა ისეთ პრაქტიკულ საქმიანობასაც, რომლის წარმატებისათვის არსებითს პირობათაგანს მისი მკაცრი მეცნიერული საფუძველი შეადგენს.

სკოლის მომსახურება გამოიხატა პირველ რიგში სახელმძღვანელოების შედგენაში. ასეთებია: ზემოთ მოხსენებული 1) „საქართველოს ისტორია“, 2) „Учебник грамматики русского языка для грузинских школ“ (ცალკე—უმადღესო სკოლისათვის, ცალკე—საშუალოსათვის. გ. ახვლედიანი. 1941), 3) „ქართული ენის გრამატიკა ქართული სკოლებისათვის“ (ა. შანიძე); გარდა ამისა, ქართული ენის სახელმძღვანელოები, 4) სომხური (ი. აბულაძე და თ. გონიაშვილი), 5) აზერბაიჯანული (ს. ჯიქია), 6) აფხაზური (თანაავტორი და რედ. ს. ჯანაშია) სკოლებისათვის. გარდა ამისა, ინსტიტუტის თანამშრომელთა რედაქციითაა გამოცემული ქართული ენის სახელმძღვანელოები 7) რუსულად (ა. ჩიქობავა) და 8) ოსურად (გ. ახვლედიანი) სკოლებისათვის.



აქტიურ საკონსულტაციო დახმარებას, მეთოდოლოგიურ საკითხებზე, უწყვედა ინსტიტუტი ყველა დაინტერესებულ დაწესებულებასა და ცალკე პირს.

ინსტიტუტის უახლოესი მონაწილეობით განხორციელებულ იქნა ისეთი რთული და მრავალსიმომცველი ღონისძიებანი, რომელთა მაღალი კულტურული და საზოგადოებრივი ღირებულებაც თავისთავად ცხადია და როგორც იყო აფხაზური და ოსური მწიგნობრობის გადაყვანა ქართულ შრიფტზე, ამისათვის სათანადო დამწერლობითი სისტემის შექმნა ქართული ანბანის შევსებასთან ერთად ახალი საკირო ნიშნებით და, შემდეგ, თვით სასტამბო ტექნიკის საკითხების მოგვარება (ნახატების, პუნსონებისა და მატრიცების მომზადება, სხვადასხვა სასტამბო, მათ შორის—სალინოტიპო, შრიფტების ჩამოსხმა...). სპეციალური სამუშაოები ჩაატარა ინსტიტუტმა აგრეთვე საკუთრივ ქართული სასტამბო შრიფტების გაუმჯობესებისათვისაც.

ინსტიტუტთან განაგრძობდა არსებობასა და საქმიანობას „ქართული სალიტერატურო ენისა და მართლწერის ნორმების კომისიაც“, რომელმაც სხვათა შორის სავანგებო მუშაობა ჩაატარა საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურის მართლწერისა და ტრანსკრიფციის საკითხების გარშემო.

დიდო მუშაობა ჩაატარა ინსტიტუტმა მეცნიერების პოპულარიზაციის დარგში (საჯარო ლექციები, მოხსენებები, მეცნიერულ-პოპულარული გამოცემები).

11. რვა წლის განმავლობაში ინსტიტუტმა გამოაქვეყნა 500-ზე მეტი შრომა, რომელთა მოცულობაც აღემატება 1500 სასტამბო თაბახს. დაახლოებით ამდენივე ჯერ ინახება ხელნაწერის სახით ან წარმოებაში იმყოფება. ამ ნაშრომთაგან 75 ცალკე წიგნადაა გამოცემული. დანარჩენი პერიოდულ გამოცემებშია მოთავსებული. თუ ძველმა ინსტიტუტმა 1917 წლიდან 1935 წლამდე (ჩათვლით), ე. ი. 19 წლის სიგრძეზე სულ გამოუშვა 187 სასტამბო თაბახის ლიტერატურული პროდუქტია, ახალმა ინსტიტუტმა უკვე 1936 წელს მოგვცა 116 სტ. თაბ., ხოლო 1937 წელს—210 თაბახი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ზემოთნაჩვენებ 19 წლის პროდუქციას. ინსტიტუტმა დააარსა ორი მუდმივი ორგანო: „აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე“ და „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. „მოამბე“ სულ გამოვიდა 14 ტომი (XIV ტომის ბეჭდვა თავდებოდა 1944 წლის ივლისში), ამათგან—10 ტომი 1937—1941 წლებში. „მასალები“ წლიური ორგანოა და ყოველწლიურად გამოდის რამდენიმე ნაკვეთის სახით (სულ გამოვიდა 7 ტომი 21 ნაკვეთის რაოდენობით, 1944 წლის I ივლისამდე საბეჭდად იყო კიდევ 2 ნაკვეთი მე-8 ტომისა).

გარდა ამისა, ინსტიტუტმა დააარსა სამეცნიერო პუბლიკაციათა შემდეგი სერიები:

1. საქართველოს ისტორიის ორიგინალური წყაროები
- ა) ისტორიკოსები
2. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან
3. ქართული სამართლის ძეგლები
4. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის

5. მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის
6. ქართველურ ენათა ლექსიკა
7. სასკოლო სახელმძღვანელოთა სერია
8. სასკოლო ლექსიკონთა სერია
9. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ
10. წითელ-არმიელის ბიბლიოთეკა.
12. ინსტიტუტის პირველხარისხოვან ამოცანას შეადგენდა კადრების ზრდისა და აღზრდის, დაწინაურებისა და გაწვრთნის ამოცანა. ინსტიტუტს ჰქონდა თავისი ასპირანტურა, რომელშიაც 1936 წლის 1 იანვრიდან 1944 წლის ივლისამდე სულ ირიცხებოდა 49 კაცი. აქედან ასპირანტურა დაამთავრა სულ 30 კაცმა, დარჩების მიხედვით:

1. საქართველოს ისტორია . . . . .	8
2. ქართველური ენათმეცნიერება . . . . .	8
3. კავკასიური ენათმეცნიერება . . . . .	3
4. საქართველოს არქეოლოგია . . . . .	4
5. საქართველოს ეთნოგრაფია . . . . .	4
6. ქართული ფილოლოგია . . . . .	1
7. ახლო აღმოსავლეთის ენები და ისტორია . . . . .	1
8. ქართული ფოლკლორისტიკა . . . . .	1

1944 წლის მეორე ნახევარში ამთავრებულ ასპირანტურას—7, განაგრძობს სწავლას—3, ჯარშია—2, გავიდა 2. გაირიცხა (აკადემიური მოუსწრებლობისა თუ სხვა მიზეზების გამო)—5.

ასპირანტურის სრულ კურსდამთავრებულთაგან 5 ქალია.

ინსტიტუტთან ერთმა კაცმა დაამთავრა სადოქტორო ასპირანტურა ამსტერდამის სახელობის სტიპენდიით. ინსტიტუტის თანამშრომელთა თუ ასპირანტთაგან სამეცნიერო ხარისხები მოიპოვეს:

დოქტორისა . . . . .	4
კანდიდატისა . . . . .	28.

მას შემდეგ, რაც ენიშვნის სამეცნიერო საბჭომ მოიპოვა დისერტაციების მიღების უფლება, ინსტიტუტში დისერტაცია დაიცვა

დოქტორის ხარისხზე . . . . .	2 კაცმა
კანდიდატის „ . . . . .	27 კაცმა.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტი კადრების აღზრდის ხაზით სპეციალურ დახმარებას უწყევდა როგორც საქართველოს ავტონომიურს, ისე მეზობელ მოძვე რესპუბლიკებს (სომხეთს, აზერბაიჯანს, ჩრდ.-კავკასიის რესპუბლიკებს), რომელთაც ინსტიტუტმა რამდენიმე ასპირანტი მოუმზადა.

ინსტიტუტის თანამშრომელთაგან, მისივე წარდგენით, რამდენიმე კაცი არჩეულ იქნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში: ნამდვილ წევრად—2, წევრ-კორესპონდენტად—2, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში: ნამდვილ წევრად—6; წევრ-კორესპონდენტად—3. შეიძლება ითქვას აგრეთვე რომ იმ მეცნიერულ საპირკველში, რომელზედაც აშენდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ინსტიტუტის წილი არ იყო მცირე.

ინსტიტუტის ყოფილი ასპირანტებისა და უმცროსი მეცნიერი თანამშრომლების რიცხვიდან რიგი ამხანაგები დაწინაურებულ იქნენ საორგანიზაციო მუშაობის ხაზითაც: ვლადიმერ ფანჩიძე, ალექსი რთბაქიძე, ანდრო აფაქიძე, გერმანე გობეჯიშვილი, გორგი ლომთათიძე, ივანე გიგინეიშვილი, ალექსანდრე ჯიშიაშვილი, ირაკლი ქავთარაძე, ნიკოლოზ რეხვიაშვილი.

13. ინსტიტუტის მიღწევები შესაძლებელი გახდა, ერთი მხრით, იმ ზნეობრივი და ნივთიერი პირობების წყალობით, რომელნიც ინსტიტუტს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა შეუქმნეს, მეორე მხრით—თვით ინსტიტუტის კოლექტივის ერთუზიანობით სავსე, გეგმაშეწონილი, თავდადებული მუშაობის მეოხებით. ინსტიტუტის ცალკე განყოფილებათა მუშაობის კოორდინაცია, თანამშრომელთა შეთანხმებული მოქმედება და ამხანაგური ატმოსფერო, საქმიანი კრიტიკა და სამსახურებრივი დისციპლინა, მოვალეობის შეგნება და პასუხისმგებლობის გრძობა ინსტიტუტის წარმატებათა წყაროდ უნდა იქნეს მიჩნეული. აღსანიშნავია ამ მხრივ ინსტიტუტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობა. დიდი მუშაობა გასწიეს დირექციის ხაზით ვ. თოფურიაშვილს. მაჭავარიანმა, ვლ. ფანჩიძემ და ალ. რთბაქიძემ. შეუფერხებლად და შეუტოვლად მუშაობდა ინსტიტუტის სამდივანში ვინგობრო, ს. მაჭავარიანის ხელმძღვანელობით, ინსტიტუტის საერთო საქმიანობის მიუცილებელ ნაწილს შეადგენდა ბიბლიოთეკისა (გამგე—ნ. პაულენკო) და ფოტოლაბორატორიის (გამგე—ი. ჰახოშვი, ირ. ქავთარაძე) მუშაობა.

ენიშის სამეცნიერო საბჭოს, რომელიც ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის მთელს მეცნიერულ მოღვაწეობას, თავისი არსებობის სიგრძეზე სულ 122 სხდომა ჰქონდა.

14. ინსტიტუტის კოლექტივს მისი მუშაობის განმავლობაში გამოაქლდნებ რიგი თანამშრომლები. აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ინსტიტუტმა ქართველი მეცნიერის, ინსტიტუტის ყველა ჰასაკის თანამშრომელთა მასწავლებლის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებით. ღრმა კმაყოფილებით მიიღო ენიშის სამეცნიერო საბჭომ ცნობა იმის შესახებ რომ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ენიშის განაყოფს, ისტორიის ინსტიტუტს, მისივე თანამშრომლების თხზვნის საფუძველზე, მიანიჭა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელი, რითაც კიდევ ერთი წარუშლელი პატივისცემის ძეგლი აეგო დიდ მეცნიერის ხსოვნას.

უღროო იყო აგრეთვე გარდაცვალება ინსტიტუტის უფ. მეცნ. თანამშრომლის პ. უშაკოვისა და ინსტიტუტის ასპირანტურის კურსდამთავრებულის იმედისმომცემ ახალგაზრდა ლინგვისტის ვ. გაჩეჩილაძისა.

15. ყველაზე დიდი საზოგადოებრივი გამოცდა ინსტიტუტს საბჭოთა ხალხის სამამულო ომმა მოუტანა. ფეიქრობთ, ამ გამოცდიდან ინსტიტუტი პირველად არ გამოსულა. ინსტიტუტის ახალგაზრდობამ უშუალო მონაწილეობა მიიღო ბრძოლებში. სტალინგრადის დაცვისას მძიმედ დაიჭრა კაპიტანი დ. გვრიტიშვილი. კავკასიის მისადგომებთან სისხლი დაღვარა ლეიტენანტმა ი. აფაქიძემ. ყირიმისათვის მძიმე ჭრილობა მიიღო უმცრ. ლეიტენანტმა შ. მესხიამ. სტალინგრადის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში მონაწილეობის გამო ორი წედა

ლით დაჯილდოებულია უფ. ლეიტენანტი ალ. ჯიშიაშვილი. ომის პირველი დღიდანვე ჯარში არიან ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები უფრ. სერჟანტი ალ. კალანდაძე, რომელმაც არქეოლოგის წერაქვი შაშხანით შესცვა-  
ლა, ლეიტ. შ. გაფრინდაშვილი, მაიორი ი. პახომოვი და ბევრი სხვა.

ინსტიტუტი მონაწილეობდა ამ გრანდიოზულ ჭიდილში არა მარტო ფი-  
ზიკურად, არამედ მთელი თავისი იდეური და მორალური ენერგიითაც. გარ-  
და მრავალი ასეული სამეცნიერო-პოპულარული და პროპაგანდისტულ-სააგო-  
ტაციო მოხსენებისა და ლექციისა, რომლებიც ინსტიტუტის თანამშრომლებმა  
წაიკითხეს წითელი არმიის სხვადასხვა ნაწილებსა თუ დაწესებულებებში, თბი-  
ლისისა და საქართველოს სხვა პუნქტების სხვადასხვა ორგანიზაციებში,—სა-  
ქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც,—ქართველი და საბჭოთა კავ-  
შირის ხალხების გმირული წარსულიდან, მიმდინარე პოლიტიკისა და მრავალ  
სხვა აქტუალურ საკითხზე, ყოველივე ამის გარდა ინსტიტუტმა დააარსა ორი  
საგანგებო სერია, რომელთაც საკმაო პოპულარობა მოიპოვეს: „ქართველი ხალ-  
ხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ“ და „წითელარმიელის ბიბ-  
ლიოთეკა“. მეტიც. ინსტიტუტმა დაამტკიცა რომ მეგრძოლი ფრონტის ინტე-  
რესებს პრაქტიკულად შეიძლება გამოადგინენ მეცნიერების ისეთი „მშვიდობიან-  
ი“ დარგებიც, როგორცაა ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება: ამ  
მხრივ ენისა და ისტორიის ინსტიტუტში არა მარტო ინტენსიურსა და ნაყო-  
ფიერ კონსულტაციას უწევდნენ დაინტერესებულ ორგანიზაციებს, არამედ ას-  
რულდნენ დამოუკიდებელს ორიგინალურ სამუშაოებს, რომელნიც ამრავლენ-  
დნენ საბჭოთა ხალხის საბრძოლო ძალებს. სპეციალური ყურადღების ღირსია,  
კერძოდ, ის მუშაობა, რომელიც ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებამ (გამ-  
გე გ. ახვლედიანი) ჩაატარა. თავისი ლოგოპედების ჯგუფის მეშვეობით, მეგრ-  
ძოლთა დაზიანებული მეტყველების აღსადგენად, მუშაობა საინტერესო თეო-  
რირულადაც.

საზოგადოებრივად იმავე ღირებულების შედეგს იძლეოდა ინსტიტუტის  
„წმინდა“ მეცნიერული სამუშაოებიც. უმთავრესად ინსტიტუტის არქეოლოგი-  
ური გათხრებითა და გამოცემებითაა გამოწვეული სიტყვები, საკავშირო მეც-  
ნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის პროფ.  
ა. არტამონოვის მიერ მიძღვნილი საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებში-  
სადმი. „რომელთაც მოახერხეს მოეწყოთ სისტემატური სამუშაოები საქართვე-  
ლოს სხვადასხვა კუთხეში და მიეღოთ შესანიშნავი შედეგები. წალკის რაიონის  
„ყურღანებში... მოპოვებული გასაოცარი ძეგლები, საუცხოო აღმოჩენები არმაზ-  
ში და მთელი რიგი სხვა, უაღრესად საინტერესო მონაპოვარი დამსახურებულ  
ჯილდოა მაჟი აქტიურობისათვის და შეადგენენ ეპოქას არა მარტო საქარ-  
თველოს ან ამიერ-კავკასიის არქეოლოგიაში, არამედ მთელს საბჭოთა არქეო-  
ლოგიურ მეცნიერებაშიც“. იგივე ავტორი ინსტიტუტის მიერ უკვე ომის დროს  
გამოცემულის ბ. კუფტინის გამოკვლევის გამო ამბობს რომ ეს წიგნი არის  
„შესანიშნავი მოვლენა ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ცხოვრებაში... სტალინური  
პრემიით ამ შრომის დაჯილდოვება, რომელიც მიძღვნილია საქართველოს ის-  
ტორიის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ისტორიის უძველესი პერიოდებისადმი,



არის თითქოს პასუხი ფაშისტი ბარბაროსების მისამართით, რომელნიც სპობენ ჩვენს ძეგლებს. ჩვენ დიდად ვაფასებთ და გვიყვარს ჩვენი წარსული, ეამაყობთ მით, და არასოდეს ხელს არ ავიღებთ ჩვენი ეროვნული კულტურის მონაპოვარზე, დამოუკიდებლობაზე, თავისუფლებაზე“<sup>1</sup>.

მიუხედავად ომის მიერ გამოწვეული სიძნელებისა საზღვარგარეთთან ურთიერთობაში, მთელი რიგი უცხო ქვეყნის სამეცნიერო დაწესებულებანი და ცალკეული მეცნიერები დადებითად გამოეხმაურნენ ინსტიტუტის იმავე სამუშაოებს. ცნობილი ინგლისელი არქეოლოგი პროფ. ელის მინსი (კემბრიჯი), რომელიც რამდენიმე გზის იტყობინებოდა მისი დიდი ინტერესის შესახებ მკვებითა და თრიალეთის ვათხრებისადმი, იმავე დროს სხვა თავის კოლეგებთან ერთად ადასტურებს რომ საბჭოთა მეცნიერების მუშაობა ხელს უწყობს საბჭოთა ხალხის მთელი საქმიანობის როლისა და მნიშვნელობის შეგნების ზრდას უცხო ქვეყნების მოწინავე ინტელიგენციაში. სველის რა იმავე ძეგლებს „მეცნიერების დიდებულ შენაძენად“ და გამოხატავს რა თავის კმაყოფილებას იმის გამო რომ საბჭოთა კავშირში, საზოგადოდ, და საქართველოში, კერძოდ, ომმა მეცნიერული მუშაობა ვერ შეაფერხა, პროფ. მინსი, ინსტიტუტის დირექტორის სახელზე გამოგზავნილს, მის მიერვე რუსულად დაწერილ წერილებში „თავის ღრმა სიხარულს გამოსთქვამს კავკასიისაგან საფრთხის აცილების გამო და აღტაცებას—საბჭოთა მეომრების ღვაწლთა გამო“. ერთს თავის წერილს პროფ. მინსმა შემდეგი სათაური-ლოზუნგი გაუკეთა: „ყოჩაღ, რუსებო, ქართველებო და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხო!“ (Ах да молодцы русские, грузины и все народы СССР!).

იხ. ინსტიტუტის მუშაობის შედეგების შედარება იმ ამოცანებთან, რომლებიც მის წინაშე იდგა, აშკარად მოწმობს რომ ენიმკის მემკვიდრე ინსტიტუტებს არ რჩებათ საფუძველი სამეცნიერო ობიექტის ამოწურვის შესახებ ჩივილისათვის: გასაკეთებელი უფრო მეტია, ვიდრე გაკეთებული. ეჭვი არ გვრჩება რომ ახალი ინსტიტუტები, ძმურად ხელისუფლ ჩაყიდებულნი, უჩვენებენ თავისი საზოგადოებრივ და სამეცნიერო ამოცანების კიდევ უფრო მკაფიო შეგნებას გამოიჩინენ უფრო დიდ ცოდნას, ოსტატობასა და მხნეობას და უფრო დიდ შედეგებსაც მოიპოვებენ, ვიდრე ეს მათმა წინაპარმა შესძლო. ამის ყველაზე დიდ გარანტიას ჩვენ იმ საზოგადოებრივ პირობებში ვხედავთ, რომლებშიაც ჩაისახა საბჭოთა მოწინავე მეცნიერებთა და რომლებშიაც მას ძლევაშილი განვითარება უწერია შემდეგშიც.

1943 წლის ზაფხულის პირველ ტენანტი აღ. ქავთარაძე ატყობინებდა თავისიანებს ჩრდილოეთ კავკასიიდან რომ მისი ნაწილი დგას გერმანელი ვანდალების მიერ უკანდახევისას გადაბუგულ დაბასთან. ბარბაროსებს ისე დაეგრიათ შენობები, რომ მშობლიურ ადგილებში მოფრენილი მერცხლები იძულებული გამხდარიყვნენ მზესუმზირაზე ეშენებინათ თავისი ბუდეები. ჩვენი მეომრები მზრუნველი-ხელით-საბჯენებს უკეთებდნენ მცენარის სუსტ ღეროებს, რათა მათ შესძლებოდათ ბუდეების სიმძიმის ატანა.

<sup>1</sup> იხ. Вестник Академии наук СССР, № 9—10, 1942 г.



ამ პატარა ფაქტში ურთიერთ დაჭიდებული ორ სამყაროს მთელი ხასიათია მოცემული. ერთს გულგრილად გასანადგურებლად გაუწირავს ერები, ადამიანები, მათი კულტურა და ინდივიდუალობა. მეორე მკერდით იცავს კაცობრიობას, პირიქნებისა და ერთა თავისუფლებას, ხალხთა წარსულსა და 'მყოფადს და, ამავე დროს, უსაშინელესი ომის ქარცეცხლში / თავის სულში' ადგილს პოულობს პატარა ფრინველის შესახებ საზრუნავადაც. უკვდავი და უძლეველია ხალხი, რომელსაც ასეთი უსაზღვრო სული უდგას. დიდებულია მომთაველი იმ კულტურისა, რომლის ბუდე საბჭოთა ხალხს უპყრია თავის მძლავრ ხელებში! \*

ნ. ჯანაშია.

\* მოხსენდა ენიშკის სამეცნიერო საბჭოს სახეიშო სხდომას 1944 წლის ივლისის 28-ს.